

მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი



United Nations Development Programme

გაეროს განვითარების პროგრამა



ოთარ მელქაძე, ბექა დვალი

სასამართლო სელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში



თბილისი
„მერანი-3“
2000

67.99.92(3)
347.99(100-87)
ა 546

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს მიერ
რეკომენდებულია გამოცემად**

***წიგნი იბეჭდება გაეროს განვითარების
პროგრამის ხელშეწყობით***

წინამდებარე მონოგრაფია ეძღვნება საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო ხელისუფლების ფორმირებისა და ფუნქციონირების მრავალფეროვან თემატიკას. დაწვებული მისი ისტორიული გაბოლოვებით და დამთავრებული სადღესოდ ჩამოყალიბებული სასტრუქტურის სამართლებრივი უფლებამოსილებების ანალიზით. ნაშრომში საზღვარგარეთის ქვეყნების კონკრეტული გამოცდალების ჩვენებით, განიხილება სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუცურა საფუძვლები და განხორციელების თანამედროვე ფორმები. სასამართლო სისტემის სტრუქტურული და ფუნქციური თავისებურებები, საკონსტიტუციო იუსტიცია – თავისი პრობლემატიკის სამართალი, ცალკე საეი ეძღვნება ნაციონალური და საერთაშორისო სასამართლოების ურთიერთმომართების საკითხებს.

განკუთხნილია კონსტიტუცურა სამართლის საკითხებით დაინტერესებულ და სასამართლო ორგანოებში მოღვაწე პრაქტიკოსი აურასტებისათვის, სასამართლო სისტემის მუშაკებისთვის, იურადულა ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, ეარე საეის მოღვაწეობას სასამართლო ორგანოების საქმიანობას უკავშირებს.

სარჩევი

წინათმავა	5
შესავალი — სასამართლოს ადგილი სახელისუფლო ტრიადაში	7
თავი პირველი — სასამართლო ხელისუფლების ისტორიული ტიპოლოგია	19
1-1. სასამართლო ხელისუფლება მონათმფლობელურ სახელმწიფოებში	19
1-2. სასამართლო ხელისუფლება ფეოდალურ სახელმწიფოებში	24
1-3. სასამართლო ხელისუფლება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში	28
1-4. სასამართლო ხელისუფლება სოციალისტურ სახელმწიფოებში	32
თავი მეორე — სასამართლო ხელისუფლების ფუნქციური თავისებურებები	38
2-1. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლები	38
2-2. სასამართლო ორგანოების საპროცესო თავისებურებები	46
2-3. სამართალმემოქმედებითი ფუნქცია სასამართლო პრაქტიკაში	59
თავი მესამე — სასამართლო ხელისუფლების განხორციელების თანამედროვე ფორმები	67
3-1. სასამართლო ორგანოთა სახეები	68
§ 1. საერთო სასამართლოები	72
§ 2. ადმინისტრაციული სასამართლოები	86
§ 3. საარბიტრაჟო სასამართლოები	110
§ 4. სპეციალური სასამართლოები	137
§ 5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები	148
§ 6. სხვა სახის სასამართლოები	154
3-2. სასამართლო ინსტანციები	158
თავი მეოთხე — სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაცია და სტრუქტურები	181
4-1. სასამართლო თვითმმართველობა და მმართველობა	181
4-2. მოსამართლის სტატუსი	191
4-3. სასამართლო ორგანოების დამხმარე სტრუქტურები	209
§ 1. პროკურატურის ორგანოები	209
§ 2. ადვოკატურის ორგანოები	225

თავი მესამე — საკონსტიტუციო იუსტიცია 237

5-1. ისტორიული ასპექტები 241
5-2. საკონსტიტუციო იუსტიციის საკანონმდებლო საფუძვლები 247
5-3. საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის სახეები და სისტემები 259
5-4. საკონსტიტუციო სასამართლოების სტრუქტურა 269
5-5. საკონსტიტუციო სასამართლოების შემადგენლობა და ფორმირების წესი 274
5-6. საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენცია 282
5-7. საპროცესო თავისებურებები 299

**თავი მეექვსე — ნაციონალური და საერთაშორისო
სასამართლოები - ურთიერთმიმართების საკითხები** 307

6-1. ნაციონალური სასამართლოების საერთაშორისო სამართლებრივი
საფუძვლები 307
6-2. საერთაშორისო სასამართლოები 312
 § 1. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო 316
 § 2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 321
 § 3. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო 327
 § 4. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო 331
 საქმიანობის პრინციპები 340
 სასამართლოს იურისდიქცია 343
 სასამართლოს საქმიანობის პროცესუალური საკითხები 347
 სასამართლოს საქმიანობის გარანტიები და ორგანიზაციული
 თავისებურებანი 355
 § 5. საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო 358
 § 6. ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო 364
6-3. საერთაშორისო სასამართლოების მიმართება ნაციონალურ
სასამართლოებთან 368

ბოლო თავი 372

დანართი 1 376
დანართი 2 377
ავტორთა შესახებ 378

წინათქმა

თქვენ ხელთა გაქვთ სტუდენტისა და პედაგოგის სამი წლის წინ დაწყებული თანამშრომლობის შედეგი. ყველაფერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყო, საქართველოში იმხანად ფეხადგმული სასამართლო რეფორმის პარალელურად. მეოთხე კურსის სტუდენტის საკურსო ნაშრომის თემაც – „სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში“ და პერსპექტივაც წინასწარვე განისაზღვრა. შემდეგ იყო სადიპლომო ნაშრომი, მანამდე და მერეც ინტენსიური საქმიანი ურთიერთობა ხელმძღვანელსა და დიპლომანტს შორის და ახლა თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ კოლეგების ერთობლივ ნაშრომს.

წინამდებარე მონოგრაფია მსოფლიოში სასამართლო ორგანოების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესისათვის დამახასიათებელი პრობლემატიკის შედარებითი სამართალმცოდნეო გამოკვლევის პირველი ცდაა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. ვფიქრობთ, ბევრი მასალა ახალია ქართველი მკითხველისათვის და საინტერესო უნდა იყოს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის თვალთახედვით ფაქტობრივად, ამავე მიზნით იქნა შემუშავებული წიგნის თემატიკური სტრუქტურა და წინა პლანზე გამოვიტანეთ საზღვარგარეთის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების განხორციელების თანამედროვე ფორმები, მათი დამახასიათებელი ფუნქციური, ორგანიზაციული და სტრუქტურული თავისებურებები. ცალკე თავის სახით გამოყვავით საკონსტიტუციო იუსტიცია საზღვარგარეთის ქვეყნებში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო ზედამხედველობის ახალი ქართული ინსტიტუტის შემდგომი სრულყოფისათვის. ჩვენი აზრით, მსოფლიო გამოცდილების სისტემატიზებული სურათი საკონსტიტუციო კონსტიტუციის ქართულ კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების საკითხს აყენებს.

საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის კვალობაზე, უდავოდ საინტერესო უნდა იყოს წიგნში წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალის წყობა. აქ, ერთი მხრივ, განხილულია ქვეყნები, სადაც სასამართლო სისტემა საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ამიტომ დღეს უპრობლეზოდ ფუნქციონირებს, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენ ბედქვეშ მყოფი ქვეყნები, რომლებიც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, ახალი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას ჩქარობენ და პრობლემებიც მრავლად აქვთ.

საქმე ის არის, რომ ამ ორი პოლუსის, ჩვენში მიმდინარე რეფორმებთან შედარებითი ანალიზი მრავალ კითხვას ბადებს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ წიგნში მოცემული მდიდარი ფაქტურა ყველა მათგანზე გარკვეულ პასუხსაც ვეთავაზობს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ნაშრომს ერთგვარი ხარეზიც „დაჰყვა“. ზოგიერთ თავში ადგილი აქვს ფაქტობრივი მასალის გარკვეულ განმეორებებს, მაგრამ იგი, ყველა შემთხვევაში, განსახილველი საკითხის პრიზმასთან არის დაკავშირებული. სასამართლო ხელისუფლების სახეების, სტრუქტურის, ინსტანციების განხილვის დროს ამას, უბრალოდ, ვერ გაეცევი. პროცესუალური თავისებურებებიც აღნიშნული ელემენტების ურთიერთკავშირით წარმოჩინდება, ვინაიდან სწორედ

სისტემაში მათი ადგილი და მნიშვნელობა განაპირობებს სასამართლო ხელისუფლების მდგრადობის ხარისხს, კომპეტენციასა და ურთიერთმიმართებას. ყველაფერი ეს კი პროცესუალური მექანიზმებითა და ნორმებით რეგულირდება.

სასამართლო რეფორმას რაც შეეხება, იქნებ ოდნავ დავიგვიანეთ კიდევ, მაგრამ სრულყოფაზე ფიქრი განა ოდესმე გვიანია. ამავე მიზნით, სიამოვნებით მივიღებთ შენიშვნებსა და წინადადებებს წინამდებარე გამოცემასთან დაკავშირებით, რათა ყველაფერი, საბოლოოდ, სასამართლო რეფორმას წაადგეს.

ჩვენი აზრით, მოცემული მონოგრაფია, გარდა იმისა, რომ, საზღვარგარეთის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების არგუმენტებით, ზაზგასმით წარმოაჩენს სასამართლოს ადგილს სახელისუფლო ტრიადაში, იმითაც უნდა იყოს საყურადღებო, რომ იგი ეხმარება ჩვენს ახალ ადგილს მსოფლიოს გეოგრაფიულ რუკაზე. ჩვენ ევროპულ სამართლებრივ სივრცეში შევედით, ამდენად, ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ და გამოვიყენოთ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. სწორედ ამიტომ ცალკე თავი მივუძღვენი ნაციონალური და საერთაშორისო სასამართლოების ურთიერთმიმართების საკითხებს. ეს სულ ახალი თემაა ჩვენი სასამართლო სისტემის პრობლემატიკაში, ახალი და პროგრესულად პერსპექტიული.

საქმე ის არის, რომ ევროპაში რეალურად შეინიშნება ფედერალურ სანყისებზე მოქმედი სახელმწიფოთა თანამეგობრობის კონტურები. ჩვენი ადგილიც ამ დიდ ოჯახშია. და თუ იმ პერსპექტივასაც გავითვალისწინებთ, რომ უდავოდ ამაღლდება ევროპის სასამართლოების მნიშვნელობა და გაიზრდება მათი კომპეტენცია, ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ სახელმწიფოთა ძალისხმევით შედარებით ეფექტური გახდება მათი გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმი. ეს იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგმული მშვიდობისა და უშიშროების, ადამიანის უფლებების დაცვის, სამართლიანობის გამყარებისაკენ.

თანამედროვე მსოფლიოში არსებული სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმები ახალ საუკუნეში განვითარდება და შეიცვლება უკეთესობისკენ როგორც რუდოლფ შტამლერი მიუთითებდა: „კაცობრიობის ხვედრია, ატაროს სულ უფრო უკეთესი და უკეთესი გაგება იმისა, რაც მიიჩნევა სამართლიანად განსაზღვრულ საკითხებზე.“

მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი და ავტორები დიდ მადლობას უხდებიან გაეროს განვითარების პროგრამას და მის მუდმივ წარმომადგენელს საქართველოში, გაეროს მუდმივ კოორდინატორს ბატონ მარკო ბორსოტის წინამდებარე მონოგრაფიის გამოცემის საქმეში ხელშეწყობისათვის.

ოთარ მელქაძე
ბეჰა ღვალაძე

უმსავალი

სასამართლოს ადგილი სახელისუფლო ტრიადაში

ახალი ათასწლეულის მიჯნაზე, სახელმწიფოთა შორის მიმდინარე ინტეგრაციული პროცესი საერთაშორისო სამართლით განმტკიცებულ პრინციპებს ეფუძნება. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა და დაცვა. ეს კი, მრავალსაუკუნოვანი პრობლემაა. საკითხი გადანაცვლას ითხოვდა და, როგორც ჩანს, იგი ერთდროულად მომნიშვნელოვან საკითხს, ორ, ერთმანეთისაგან ბევრი ნიშნით დაშორებულ ქვეყანაში. ამდენად, უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ 1791 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ მიღებულ იქნა „ბილი უფლებათა შესახებ“, ხოლო ორი წლით ადრე – 1789 წელს საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის დამფუძნებელი კრების მიერ გამოცხადდა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“. ამ საეჭაპო აქტებმა ნაციონალური თუ საერთაშორისო სამართლის ზრუნვის უპირველეს ობიექტად ადამიანი გამოაცხადა და მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფუძემდებლური პრინციპები განსაზღვრა.

ეს სულისკვეთება აისახა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს დამტკიცებულ და გამოცხადებულ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“, რომელიც დღესაც რჩება სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების საპროგრამო დოკუმენტად. დეკლარაციაში, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, მოცემულია ადამიანის პირადი, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული უფლებები და თავისუფლებები. ეს უფლებები საზღვარგარეთის სახელმწიფოებში, სხვადასხვა ხარისხით, ნაციონალური კანონმდებლობითაც არის დეკლარირებული. მაგრამ, როგორც ამბობენ, საკმარისი არ არის მხოლოდ კარგი ნორმების არსებობა და იმის მტკიცება, რომ მათი შესრულება აუცილებელია. ეს პრინციპები მხოლოდ მაშინ არის ღირებული, როცა არსებობენ იოლად მისაწვდომი სასამართლოები, მოუსყიდველი მოსამართლეები და ადმინისტრაცია, რომელსაც სურვილი აქვს სასამართლო გადანაცვტილებები აღასრულოს.¹

სახელმწიფომ, რომელსაც სურს, იყოს მსოფლიო თანამეგობრობის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვის ის უპირველესი გარანტია უნდა

1. რენე დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბილისი, 1993, გვ.112.

უზრუნველყოს, რომელზეც დეკლარაციის მე-8 მუხლში ნათქვამია: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტურად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციითა თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები“. ადამიანის უფლებების დაცვაზე ყურადღების გამახვილებას განაპირობებს ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც ადამიანი აღიარებულია უზენაეს ფასეულობად, როდესაც სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციების, ყველა სახის საჯარო ინსტიტუტის შექმნის მიზანია ადამიანის ღირსეული არსებობის უზრუნველყოფა და დაცვა. ეს ამოცანა დღესაც აქტუალურია. უნდა ვაღიაროთ, რომ იგი მხოლოდ ჩვენს საუკუნეში იქნა მოგვარებული და ისიც მხოლოდ სახელმწიფოთა გარკვეულ ნაწილში, დანარჩენი სამყაროსათვის იგი კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება, რაც განსხვავებული სახელმწიფო ფორმებითა და პოლიტიკური რეჟიმების არსებობით არის განპირობებული. საქმე ის არის, რომ ქვეყნების ამ ჯგუფში თავისებურებით ხასიათდება მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლებისა და, კერძოდ, სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების საკითხები.

წინამდებარე ნაშრომის თემატური მრავალფეროვნების მიუხედავად, კვლევის საგანი ოთხპლანიანია, რომლებსაც ჩვენ ასეთი ძირითადი ბლოკების სახით გამოვყოფთ:

- სასამართლო ხელისუფლების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს არსისა და ფუნქციების სამართლებრივი ასპექტები;
- სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ადგილი სახელმწიფო მექანიზმის სისტემაში და თავად სასამართლო ორგანოთა სისტემა;
- საკონსტიტუციო სასამართლოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რომელთა შორის ამკარად გამოიკვეთება ხელისუფლების დანაწილების ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი;
- სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ძირითადი პრინციპები.

ჩვენი მიზანია კვლევის საგანში გაერთიანებული ამ ოთხი პლანის შემუშავებით განეჭვრიტოთ და მკითხველსაც დინამიკაში დავანახოთ, როგორ ვითარდებოდა და რა სახით ჩამოყალიბდა დღეს მსოფლიოში სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმები, რისთვისაც შედარებითი კონსტიტუციური სამართლის მეთოდს ვიყენებთ. თუმცა, ფაქტობრივი მასალის ნაწილი სცილდება კლასიკური კონსტიტუციონალიზმის ეპოქის საზღვრებს – წარსულისაკენ, ვინაიდან ნაშრომი ითვალისწინებს სხვადასხვა ისტორიული ტიპის, ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის კონკრეტული სახელმწიფოების მაგალითზე სასამართლო ხელისუფლების განხ-

ორციელების ანალიზს. ამას გარდა, საერთაშორისო სოციალურ-პოლიტიკური სისტემის, საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის ფორმირება ჩვენ წინაშე აყენებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას და ჩვენც გადავწყვიტეთ, განვიხილოთ საერთაშორისო სასამართლოების ადგილი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და ამასთან დაკავშირებით, მათი ურთიერთმიმართება ნაციონალურ სასამართლოებთან.

კვლევის საგნიდან გამომდინარე, საგანგებო განხილვას საჭიროებს ხელისუფლების დანაწილების თეორია, რომელმაც ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში დაიწყო ფორმირება. მართალია, მისთვის იმთავითვე იყო დამახასიათებელი ხელისუფლების ფუნქციათა დანაწილების თავისებური გაგება, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ, ფაქტობრივად, აქედან მიეცა დასაბამი სახელმწიფო ხელისუფლების სამ – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა ცალ-ცალკე შტოების სახით ინსტიტუციონირებას. არისტოტელე (ძვ.წ. 384-322) მიიჩნევდა, რომ ხელისუფლება შეიძლება სამ ნაწილად იქნეს დაყოფილი: საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხების გადამჭრელ ხელისუფლებად, მმართველობით ხელისუფლებად და სასამართლო ხელისუფლებად. საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხების გადამჭრელ ორგანოს, მისი აზრით, სამართალშემოქმედებასთან ერთად უნდა გადაეწყვიტა ომისა და ზავის საკითხები და ზოგიერთი სასამართლო ფუნქციაც ჰქონოდა, მაგალითად, როგორცაა პირის სამშობლოდან გაძევების საკითხის გადაწყვეტა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არისტოტელეს მიხედვით, სახელმწიფო ფორმის იდეალს მონარქია წარმოადგენს.

სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებლად ახალი ფილოსოფიის კლასიკოსი ჯონ ლოკი (1632-1704) არის მიჩნეული. სწორედ მის მოძღვრებაში გამოიკვეთა სახელმწიფო ორგანოებს შორის ხელისუფლების დანაწილების აუცილებლობა, ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით. იგი სახელმწიფო ხელისუფლებას გამიჯნავედა საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებად. სასამართლო ხელისუფლება, მისი აზრით, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უნდა ყოფილიყო შთანთქმული. თუმცა, იგი შესაძლებლად მიიჩნევდა, ე.წ. ფედერაციული ხელისუფლების არსებობას, რომელშიც საგარეო პოლიტიკის წარმმართველ ორგანოს გულისხმობდა.¹

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი კლასიკური ფორმით ჩამოაყალიბა ფრანგმა განმანათლებელმა მარლ ლუი მონტესკიემ (1689-1755) ნაშრომში „კანონთა გონი“. უნდა აღვნიშნოთ, რომ მონტესკიეს თეორიული მემკვიდრე-

1. ვლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, 1995, გვ7

ობა, სისტემური კვლევის თვალსაზრისით, სამ თემას აფიქსირებს და შთამო-
წავლობს ამდენივე ფუძემდებლურ მოძღვრებას უტოვებს: სახელმწიფო ფორ-
მათა შესახებ, სადაც იგი გამოყოფს – რესპუბლიკას, მონარქიასა და დესპო-
ტიას; ხელისუფლების დანაწილების შესახებ და საზოგადოების ცხოვრებაში
გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის შესახებ.

მონტესკიეს მიხედვით, იდეალურია ის სახელმწიფო, სადაც უზრუნველყ-
ოფილია ადამიანის პოლიტიკური თავისუფლება, იმის გათვალისწინებით,
რომ თავისუფლება „ის სულიერი სიმშვიდეა, რომელიც თითოეულის უსა-
ფრთხოების შეგნებიდან მომდინარეობს.“ ამას კი მხოლოდ იმ ქვეყანაში აქვს
ადგილი, სადაც სახელმწიფო ხელისუფლების სამი სახე – საკანონმდებლო,
აღმასრულებელი და სასამართლო – დანაწილებულია დამოუკიდებელ შტოე-
ბად და მათ სხვადასხვა ორგანო ახორციელებს. როდესაც ერთ სუბიექტში –
იქნება ეს პიროვნება თუ ორგანო – შეთავსებულია საკანონმდებლო და აღ-
მასრულებელი ხელისუფლება, თავისუფლებას ადგილი არა აქვს. არსებობს
საშიშროება, რომ ამ პირმა ან ორგანომ შექმნას ტირანული კანონები, იმი-
სთვის, რომ ისინი ტირანულად აღასრულოს. თავისუფლება განსაკუთრებით
იზღუდება, როცა სასამართლო ხელისუფლება არ არის გამიჯნული საკანონ-
მდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. თუ იგი ხორციელდება
საკანონმდებლო ორგანოს მიერ, შესაძლებელი ხდება მოქალაქეთა სიცოცხ-
ლისა და თავისუფლების თვითნებური შეზღუდვა, რადგან მოსამართლე თვი-
თონვე იქნება კანონმდებელი, ხოლო თუ სასამართლო ხელისუფლება გაერ-
თიანებული იქნება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მოსამართლე შეი-
ძლება მჩაგვრელადაც მოგვევლინოს. მონტესკიე მიიჩნევს, რომ სასამართ-
ლო ხელისუფლებას უნდა ახორციელებდეს არა უუფადოდ დაკომპლექტებუ-
ლი სენატი, არამედ ხალხის წრიდან პერიოდულად არჩეული პირები, რომელ-
თა არჩევა უნდა მოხდეს წლის გარკვეულ დროს და კანონით დადგენილი
ნესით, რათა შეიქმნას ისეთი სასამართლო კოლეგია, რომლის უფლებამ-
ოსილების ხანგრძლივობაც აუცილებლობის ფარგლებს ვერ გადასცილდე-
ბა. ეს გაზრდის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს ავ-
ტორიტეტს და ადამიანებს ექნებათ არა მაგისტრატების, ანუ პიროვნულად
მოსამართლის შიში, არამედ მაგისტრატურისა, ანუ სასამართლო ხელისუ-
ფლების განმახორციელებელი ორგანოსი, რომელიც სტაბილურად, სამართ-
ლის შესაბამისად, სამართლიანად გადაწყვეტს კონკრეტულ საქმეს.

მონტესკიე საკანონმდებლო ორგანოს მიერ სასამართლო ხელისუფ-
ლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას შესაძლებლად მიიჩნევს
სამ შემთხვევაში:

1. შარლ ლუი მონტესკიე, კანონთა გონი, თბილისი, 1994, გვ.182.

– უპირველეს ყოვლისა, „კეთილშობილებს“, საზოგადოების ელიტარულ ნაწილს უნდა ასამართლებდეს არა ერის ჩვეულებრივი სასამართლო, არამედ საკანონმდებლო ორგანოს ის ნაწილი, რომელიც შედგება საზოგადოების იმავე წრის წარმომადგენლებისგან;

ამ პრინციპის თავისებურ ფორმას, სრულიად სხვა კონტექსტში, წარმოადგენს მთელ რიგ სახელმწიფოებში არსებული საკანონმდებლო ორგანოს მიერ უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის ან კონსტიტუციის დარღვევის საკითხის განხილვა, სასამართლო საპროცესო ელემენტების გამოყენებით. ეს მომენტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც საბრალდებო დასკვნას იღებს ქვედა პალატა, ხოლო პრეზიდენტის იმპიჩმენტის, ანუ მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს წყვეტს სენატი. უკრაინაში, ყაზახეთსა და ზოგიერთ სხვა პოსტსოციალისტურ სახელმწიფოში, ეს პროცედურა შედარებით გართულებულია და მასში მონაწილეობენ საკონსტიტუციო თუ უმაღლესი სასამართლოები, რომლებიც თავიანთ დასკვნას იძლევიან.

– მეორე შემთხვევა ის გახლავთ, როცა კანონი მეტისმეტად მკაცრია. მოსამართლეს არა აქვს მისი შეცვლის უფლება. ამ დროს სასამართლოს ფუნქცია თავის თავზე უნდა აიღოს საკანონმდებლო ორგანომ და შეარბილოს კანონი გათვალისწინებულზე ნაკლებმკაცრი გადაწყვეტილების გამოტანით;

– მესამე შემთხვევა თავისი ბუნებით ახლოს დგას პირველთან და იმ სიტუაციას ეხება, როდესაც რომელიმე მოქალაქე სახალხო საქმეში დაარღვევს ხალხის უფლებებს და ჩაიდენს ისეთ დანაშაულს, რომელსაც არსებული სასამართლოები არ დასჯიან ან ვერ დასჯიან.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების მონტესკიესეული გაგება და მისი ანალიზი, ხოლო მეორე მხრივ, ტრადიციული არისტოტელესეული შეხედულება ამ საკითხზე. არისტოტელე საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხების გადამჭრელ ხელისუფლებას განაკუთვნებს ფუნქციებს, რომლებიც მონტესკიეს თეორიით დანაწილებულია სამივე ხელისუფლებას შორის. ამასთან, თუ არისტოტელე აღმასრულებელ ფუნქციას ანაწილებს რამდენიმე დამოუკიდებელ ორგანოს შორის, მონტესკიე აღმასრულებელ ხელისუფლებას განიხილავს, როგორც ერთიან მონოლითურ ერთეულს.¹

1. *History of political Philosophy. Third edition, Edited by Leo Strauss and Joseph Cropsey. The University of Chicago, p.514.*

სამართლის მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ ტერმინი „ხელისუფლების დანაწილება“ უნდა შეიცვალოს ტერმინით „ხელისუფლებათა განაწილება“ ან „ხელისუფლებებს შორის ძალაუფლების განაწილება“, რაც გულისხმობს სამ ხელისუფლებას შორის კონკურენციას, ურთიერთკონტროლსა და ურთიერთშეზღუდვას. აღნიშნული იდეა კი უნდა ეფუძნებოდეს ადამიანთა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, კერძოდ, „თითოეული ხელისუფლება თვალყურს უნდა ადევნებდეს, თუ როგორ იცავს დანარჩენი ორი ადამიანის უფლებებს და კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში უნდა შევიდეს წარდგინებით შესაბამის ხელისუფლებაში, შემდეგ კი საკონსტიტუციო სასამართლოში“.¹ მიუხედავად იმისა, თუ რომელ ტერმინს გამოვიყენებთ და რა მიმართულებით წარვმართავთ თეორიულ დაევას, ფაქტია, რომ მცირედი სახეცვლილებით, მონტესკიეს თეორია დაედო საფუძვლად სამართლებრივი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, რომელთაც სახელმწიფო ფორმის ნიშანსვეტად გასდევთ შემდეგი პრინციპები:

– არსებობს ხელისუფლების სამი სახე: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო;

– სახელმწიფო ხელისუფლების თითოეულ სახეს სხვადასხვა ორგანო ახორციელებს;

– ეს ორგანოები ანონასწორებენ და აკონტროლებენ ერთმანეთს, რაც უზრუნველყოფს კონსტიტუციურ წესრიგს, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ამაზე განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება, ვინაიდან „სხვადასხვა უწყებას შორის სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება არ არის უბრალო ფილოსოფიური აბსტრაქცია. ეს ყოველთვის მიიჩნეოდა სასიცოცხლო მნიშვნელობის პრინციპად, მმართველობის რესპუბლიკური ფორმის შესანარჩუნებლად და ხალხის თავისუფლების გარანტიად დიქტატურის წინააღმდეგ.“²

ხელისუფლებათა განაწილების კლასიკურ თეორიაში მკვეთრადაა გამოიჯნული ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს კომპეტენცია და ფუნქციები. კერძოდ, მიჩნეულია, რომ სასამართლო ხელისუფლების ფუნქცია არის მართლმსაჯულების განხორციელება. თანამედროვე სახელმწიფოებში ამ პრინციპმა მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა. საერთო სამართლის

1. *სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, 1994 წლის 23 მაისს თბილისში გამართული საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გამომცემლები სერგო ჯორბენაძე, როლფ კნიპერი, ლადო ჭანტურია, თბილისი, 1994, გვ.30.*

2. იქვე.

3. *Summary of American Law, by Martin Weinstein of the New York Bar, Rochester, New York, 1991, p.144.*

ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლება სამართალშემოქმედადაც გვევლინება. მონტესკიეს აზრით, ეს ხელყოფს ადამიანის თავისუფლებას. მაგრამ პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინდოეთში, სასამართლო ხელისუფლების სამართალშემოქმედებითი ფუნქციური დატვირთვის მიუხედავად, შესაძლებელი შეიქნა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

სოციოლოგ როსის აზრით, ნებისმიერი საზოგადოებისათვის იმანენტურად დამახასიათებელია კონფლიქტი, ინტერესთა დაპირისპირება, დავების არსებობა. ფაქტობრივად, დანაშაულიც კონფლიქტისა და დაპირისპირების გამოხატულების ერთ-ერთი ფორმაა. სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად კონკრეტული დავის, კონკრეტული სამართალდარღვევის ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მექანიზმის სისტემაში ადვილს იმკვიდრებს სასამართლო ორგანო, რომელიც განიხილავს და წყვეტს კონკრეტულ საქმეებს. საუკუნეების მანძილზე, სახელმწიფოს განვითარების პარალელურად, ვითარდებოდა მისი მექანიზმის განუყოფელი ნაწილი – სასამართლო ორგანოები. ეს იყო ევოლუციის ხანგრძლივი გზა, რომელმაც არსებული, საკმაოდ რთული სასამართლო სისტემა ჩამოაყალიბა. თანამედროვე ვითარებაში ერთი ხასიათის დავების განმხილველი ერთი სახის სასამართლო ორგანო, მათ განხილვას ერთგვაროვანი საპროცესო ფორმით ახორციელებს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ბუნების დავების განმხილველი სხვა სახის სასამართლოსთვის დამახასიათებელი საპროცესო ფორმისგან.

სახეზეა სასამართლო ხელისუფლების პოლისისტემურობა, ანუ არსებობენ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განმხილველი სასამართლო ორგანოები, საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელი სასამართლო ორგანოები და სხვ. ამდენად, მატერიალური სამართლის სხვადასხვა დარგიდან მომდინარე საქმე, სხვადასხვა სახის სასამართლო ორგანომ, შეიძლება განსხვავებული საპროცესო წესით გადაწყვიტოს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მატერიალური სამართლის რამდენი დარგიც არის, იმდენივე სახის სასამართლო ორგანო და საქმეთა გადაწყვეტის საპროცესო წესი არსებობს. სასამართლო ხელისუფლების პოლისისტემური ხასიათი კი არაერთგვაროვნად იკვეთება სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, გერმანიაში მას შედარებით სრულყოფილი სახე აქვს. ამასთან, განსხვავებული საპროცესო წესის მიუხედავად, სასამართლო ორგანოების საქმიანობას საფუძვლად უდევს საერთო წესებიც, პრინციპებიც, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია საუბარი სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე.

აქვე, საჭიროდ მიგვაჩნია, გავარკვიოთ საკითხი ტერმინ „სასამართლო სისტემის“ ტევადობის შესახებ. ჩვენი აზრით, სასამართლო სისტემა არის სახელმწიფოში არსებული, ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირის მქონე ყველა სახის სასამართლო ორგანოს ერთობლიობა, რომლის შემადგენელი ყოველი სასამართლო, განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და პროცესუალური ფორმით, ახორციელებს მართლმსაჯულებას და სხვა სამართლებრივ ფუნქციებს. ამასთან, აღნიშნული ტერმინი, თავის თავში გაერთიანებული ელემენტების კოორდინატთა სრულ კომპლექტს გადაფარავს: იგი მოიცავს არა მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი სხვადასხვა სახის სასამართლო ორგანოს, ე.ი. სასამართლო ორგანოთა ჰორიზონტალურ სტრუქტურას, არამედ ცენტრალურ სასამართლო ორგანოთა სხვადასხვა რგოლის ინსტანციებსაც, ე.ი. ერთი სახის სასამართლო ორგანოთა ვერტიკალურ სტრუქტურასაც. მსგავსი დაყოფის შემდეგ უკვე შესაძლებელია სასამართლო სისტემის კლასიფიკაცია ინდივიდუალური პარამეტრებით. მაგალითად, სახელმწიფო ფორმების მიხედვით: რთულ, ფედერაციულ სახელმწიფოებში, სასამართლო ხელისუფლების დუალისტური ხასიათის გამო, სახეზეა, ერთი მხრივ, ფედერაციის სასამართლო სისტემა და, მეორე მხრივ, ფედერაციის სუბიექტების სასამართლო სისტემები. ფედერაციაში სასამართლო სისტემები შეიძლება იყოს ცენტრალიზებული, როგორც ეს გერმანიაშია, ან დეცენტრალიზებული, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია. კლასიფიკაციის საფუძვლად კი, ამ შემთხვევაში, გვევლინება სასამართლო ორგანოების იერარქიულობის პრინციპი.

სასამართლო სისტემაში შემავალი თითოეული სასამართლო ორგანო არის სასამართლო ხელისუფლების მატარებელი და მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა წარმოადგენს იუსტიციას.¹ ამ დროს, სასამართლოები სამართლებრივი კონფლიქტების გადასაჭრელად ახორციელებენ საქმიანობას, რომლის საგნობრივი და სიერცობრივი სფერო შეადგენს იურისდიქციას.²

შეიძლება განვიხილოთ იურისდიქციის ორი ასპექტი – იურისდიქცია განსახილველ საქმეზე და იურისდიქცია მხარეებზე მოცემულ საქმესთან დაკავშირებით. იმისთვის, რომ კონკრეტული სასამართლო გადანყვეტილება იყოს სამართლიანი, აუცილებელია ამ სასამართლოს ჰქონდეს იურისდიქციის ორივე მხარე. ამ დროს, ამერიკელი ავტორები განასხვავებენ

1. იუსტიცია - ლათ. *justitia* - სამართლიანობა, კანონიერება.

2. იურისდიქცია - ლათ. *jurisdictio* - სასამართლო წარმოება.

იურისდიქციის რამდენიმე სახეს. პირველი ინსტანციის წესით, საქმეთა განხილვას ისინი განაკუთვნიებენ ორიგინალურ იურისდიქციას, ასევე საუბრობენ სააპელაციო, ნარმოებული, დამატებითი, გენერალური, შეზღუდული, განსაკუთრებული და პარალელური იურისდიქციის ფორმებზე.¹

სწორედ სასამართლოს იურისდიქციული საქმიანობაა მართლმსაჯულება ფართო გაგებით, რომლის დროსაც ხდება სამართლიანი გადანაცვლებების გამოტანა სასამართლოს ქვემდებარე საქმეებზე. მართლმსაჯულების აღსრულების ფუნქციის მოცულობასა და მისი რეალიზაციის ფარგლებზე მრავალი შეხედულება გამოითქმის, ამ ფუნქციის ჩარჩოებში მისი ფარგლების გაფართოების თვალსაზრისით. არსებობს მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ განხორციელებული სასამართლო საკონსტიტუციო ზედამხედველობა თუ კონტროლი არ განეკუთვნება მართლმსაჯულების სფეროს არც სრულიად ნაწილობრივ, არც უფლებამოსილების განხორციელების ფორმებითა და მეთოდებით.² მაგრამ ძნელია ასე ცალსახად დაეთანხმო აღნიშნულ მოსაზრებას, მით უფრო, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოთა სტატუსი არაერთგვაროვანია. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის ნარმოების მეშვეობით, რაც იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოება ჩართულია მართლმსაჯულების საერთო სისტემაში.

განსხვავებული მიდგომაა მოცემული ესპანეთის კონსტიტუციაში, რომლის მეექვსე განყოფილება – „სასამართლო ხელისუფლების შესახებ“ – მართლმსაჯულებაში საერთო სასამართლოების მიერ განხორციელებულ საქმიანობას მოიაზრებს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი და უფლებამოსილებანი კონსტიტუციის სპეციალური, მეცხრე განყოფილებით განისაზღვრება. მსგავსი ფორმულირება შედარებით ზუსტად ასახავს სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი ორგანოს, საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობას. მის ფუნქციაში მკაფიოდ მჟღავნდება „განონასწორებისა და გაკონტროლების“ კონცეფციის ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელსაც საგანგებოდ განვიხილავთ შესაბამის თავში.

რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმებისა და მეთოდების სპეციფიკას, იგი დამახასიათებელია არა მხოლოდ საკონსტიტუციო სამართალწარმოებისთვის, არამედ სამართალწარმოებ-

1. *Summary of American Law*, p.115.

2. *Конституционное право, Учебник, Отв. ред. Ф. Е. Козлов, Москва, 1996, стр.346.*

ის სხვა სახეებისთვისაც. სწორედ მართლმსაჯულება, როგორც სასამართლოს მთავარი, ძირითადი ფუნქცია, განაპირობებს სასამართლო ხელისუფლების სპეციფიკას და მის ადგილს სახელმწიფო მექანიზმის სისტემაში. აქედან გამომდინარე, მართლმსაჯულების ფუნქცია წარმოადგენს საკონსტიტუციო რეგულირების ძირითად ობიექტს.

მართლმსაჯულების გარდა, სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს სასამართლო კონტროლი საპროცესო იძულების ზომების გამოყენების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე: მაგალითად, რუსეთის კონსტიტუციის თანახმად, სასამართლოს გადანყვევტილება არის გამოძიების, მოკვლევის, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მიერ ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესუალური იძულების ღონისძიებების გამოყენების ერთადერთი საფუძველი. იძულების ღონისძიებებში იგულისხმება დაპატიმრება, ჩხრეკა, მიმონერის, სატელეფონო საუბრების, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა სახის შეტყობინებების ამოღება. სასამართლოს ეს ფუნქცია ასახულია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 22-ე, 23-ე და 25-ე მუხლებში.

აქვე უნდა შევეხოთ, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ბრძანებების გამოცემის საკითხს, რომელიც, უპირველესად, სპეციფიკური, არასაპროცესო ფორმებით ხორციელდება. მსგავსი პრაქტიკა, ერთი შეხედვით, სასამართლო ხელისუფლების ბუნებისთვის უჩვეულო ფუნქციად გვევლინება. თუმცა, შეფასებისას არ უნდა ვიყოთ ცალმხრივი. საერთო სამართლის ქვეყნებში, ძირითადად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, მოსამართლეების მიერ ადმინისტრაციული ბრძანებების გამოცემა მათ ერთ-ერთ ძირითად ფუნქციადაა განხილული. ამის მაგალითია სასამართლო ბრძანების ერთ-ერთი სახე, რომელსაც Habeas corpus-ს უწოდებენ. მისი ძალით, მოსამართლეს უფლება აქვს მოსთხოვოს ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს, რათა მან წარუდგინოს სასამართლოს მის მიერ დაკავებული ან სხვაგვარად – თავისუფლებაზე ზღუდული პირი და თუ მას ბრალდება არ წაეყენება, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს პატიმრობიდან. ეს პრინციპი ინგლისის პარლამენტის მიერ 1679 წელს მიღებულმა Habeas corpus Act-მა¹ დაამკვიდრა, რომლის თანახმად, მხოლოდ სასამართლოს აქვს ბუნებითი უფლება, თავისუფლება შეუზღუდოს ადამიანს. ეს შეეხება, ასევე, პირის ქმედუწუნაროდ აღიარებას, ჭკუასუსტობის ან სულიერი დაავადების გამო.

სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ ფუნქციად უნდა განვიხილოთ სამართლის ნორმის განმარტება. საზღვარგარეთის ქვეყნებში ასეთი „გან-

¹ *Habeas Corpus* – სიტყვასიტყვით ნიშნავს “შენ გაქვს სხელი...” ამ სიტყვებით იწყებოდა ეს კანონი პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ.

მარტებში“ საკონსტიტუციო სასამართლოების საქმიანობის სფეროა და მათ სავალდებულო ძალა აქვთ სხვა სასამართლოებისათვის, ანუ ნარ-მოადგენენ ლეგალური განმარტების სახესხვაობას.

კიდევ ერთი ფუნქციაა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების ოფი-ციალური დადასტურება: მეტწილად მხოლოდ სასამართლოა უფლებამ-ოსილი ცნოს პირი გარდაცვლილად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად, დაადგ-ინოს ფაქტობრივი საქორწილო და ნათესაური კავშირების არსებობა, დაა-დასტუროს ანდერძი და სხვა ვარიანტები.

ყველა აღნიშნული ფუნქცია სასამართლო ხელისუფლების გარეგან სახეს ჰყენს ნათელს. ამასთან, შეიძლება გამოვყოთ ფუნქციები, რომელ-იც მიმართულია თავად სასამართლო სისტემაში წამოჭრილი სხვადასხვა საკითხის მოსაგვარებლად, როგორცაა მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების განხილვა და გადაწყვეტა, შინაორგანიზაციული საკითხ-ების მოგვარება და სხვ.

ცალკე განხილვას საჭიროებს საკითხი სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობაში სამართალშემოქმედებ-ითი ფუნქციის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ სხვადასხვა სამართ-ლებრივ სისტემაში.

დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების სო-ციალური მნიშვნელობა ვლინდება, იურიდიული კონფლიქტების მოგვარე-ბის დროს, სამართლის ბატონობის უზრუნველყოფაში, სამართლისა, რომელიც გადმოცემულია კონსტიტუციასა და კანონებში, საერთა-შორისო ხელშეკრულებებში, ასევე კანონთან გათანაბრებულ და ზოგიერთ კანონქვემდებარე აქტში – ბრძანებაში, დეკრეტში, ორდონანსში, შინასახ-ელმნიფოებრივ საჯარო სამართლებრივ ხელშეკრულებაში და ა.შ. ალექ-სის დე ტოკვილი სასამართლოს სოციალურ მნიშვნელობაზე მსჯელობი-სას აღნიშნავს: „ყოველ მთავრობას მოქალაქეების მიერ განუღი ნინააღ-დეგობების გადასალახავად აქვს ორი საშუალება: მატერიალური სახსრე-ბი და სასამართლოს გადაწყვეტილებანი“ – და შემდეგ – „მართლმსაჯუ-ლების უზენაესი მიზანი არის ძალადობის იდეის შეცვლა სამართლის იდე-ით, სამართლებრივი ბარიერის დადგენა მთავრობასა და მის მიერ გამოყ-ენებულ ძალას შორის.“¹

სასამართლო ხელისუფლება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს იცავს კანო-ნის დამრღვევი ინდივიდებისაგან და, მეორე მხრივ, იგი იცავს ინდივიდს მისი უფლებების სახელმწიფოს მიერ ხელყოფისაგან. ამ დროს უცილო-ბლად უნდა გამოირიცხოს პოლიტიკის გავლენა სასამართლოზე. მოსაპარ-

1. *Де Токвиль А, Демократия в Америке, Москва, Прогресс, 1992, стр.126.*

თლე არ უნდა გასცდეს სამართლებრივ ფარგლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ხელისუფლება კარგავს დამოუკიდებელ ხასიათს და გადაიქცევა ხელისუფლების სხვა შტოს დანამატად, როგორც ეს ხდება ავტორიტარულ და განსაკუთრებით, ტოტალიტარულ სისტემებში. უდავოდ უნდა ვალიაოთ, რომ სასამართლო ეს არის დემოკრატიის უკანასკნელი ბასტიონი. მაგრამ, თუ იგი დაექვემდებარება „სატელეფონო სამართალს“ ან თუ მოხდა მისი გადანყვეტილების იგნორირება, შეუძლებელია ასეთ სახელმწიფოში კონსტიტუციურ წყობაზე საუბარი. ასე რომ, დღესაც აქტუალურია ჯერ კიდევ სოკრატეს მიერ დასმული კითხვა: „წუთუ საზოგადოებას შეეძლება არსებობა, თუ მასში სასამართლო გადანყვეტილებას არ ექნება არავითარი ძალა?!“¹

საზღვარგარეთის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების ფუძემდებლური ნორმები კონსტიტუციაშია განსაზღვრული. მათგან უნდა გამოვყოთ, ერთი მხრივ, ის კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც აფუძნებს სასამართლოს სისტემას, ანუ წარმოდგენას ქმნის სასამართლო ორგანოების სტატიკურ მხარეზე, მეორე მხრივ, ნორმები, რომლებიც განამტკიცებს სასამართლოების მიერ სამართალწარმოების ძირითად საპროცესო პრინციპებს, ანუ ნათელს ჰფენს სასამართლო ხელისუფლების განხორციელების დინამიკურ მხარეს.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო იზრდება საერთაშორისო სამართლის გავლენა. ცხადია, ჰანს კელზენისეული სამართლის თეორია პრაქტიკულ განხორციელებას ჰპოვებს იმ თვალსაზრისით, რომ უკვე რეალურია სამართლის დინამიკა ზოგადიდან კერძოსკენ, რაც ინდივიდუალიზაციისა და კონკრეტიზაციის პროცესში ვლინდება. შინასახელმწიფოებრივი სამართალი უფრო მეტად დამოკიდებული და განპირობებული ხდება საერთაშორისო სამართალით. ბუნებრივია, იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ორგანოების, მათ შორის, საერთაშორისო სასამართლოების როლი, რომლებსაც უდიდესი წვლილი შეაქვთ იმ საერთაშორისო ნორმების აღსრულებასა და დაცვაში, რომელსაც ეფუძნება ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების სამართლის სისტემა.

¹ ე. შელტენელი. ე. დაქათა შვილი. პოლიტიკურ და ხანძართდებრივ მოძღვრებათა ისტორია (დექცირების კურსი). თბილისი. 1997. გვ.35.

თავი პირველი

სასამართლო ხელისუფლების ისტორიული ტიპოლოგია

მოცემულ თავში განვიხილავთ, ერთი მხრივ, სასამართლო ორგანოების ადგილს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, მათი განვითარების ძირითად ტენდენციებს სახელმწიფოთა სხვადასხვა ისტორიული ტიპის, მმართველობის ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის მაგალითზე; მეორე მხრივ – სასამართლო ორგანოების საქმიანობის თავისებურებებს ძირითად სამართლებრივ სისტემებში. გამოსაკვლევი საგნისადმი ორგვარი მეთოდოლოგიური მიდგომა იძლევა იმის მყარ საფუძველს, რომ შესაძლო სრულყოფილებით წარმოვაჩინოთ სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმების ჩამოყალიბების პროცესი საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ბუნებრივია, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ისტორიული ფორმების განხილვა უნდა მოხდეს სახელმწიფოთა შესაბამისი ისტორიული ტიპის ფონზე. მაგრამ, რამდენადაც სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება არაერთგვაროვანია სხვადასხვა ისტორიული ტიპის სახელმწიფოში, აქვე აღვნიშნავთ, რომ განსხვავებით მონათმფლობელური, ფეოდალური და სოციალისტური სახელმწიფოებისგან, სახელმწიფო ხელისუფლება თავის სრულყოფილ ფორმას, უპირველესად, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში აღწევს. ჩვენც სწორედ მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული და სოციალისტური სახელმწიფოების სასამართლო ხელისუფლებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს განვიხილავთ.

1-1. სასამართლო ხელის უფლება მონათმფლობელურ სახელმწიფოებში

მონათმფლობელური სახელმწიფო მექანიზმი შედარებითი სიმარტივითა და პრიმიტიულობით გამოირჩეოდა, განსაკუთრებით, მისი არსებობის საწყის პერიოდში. სახელმწიფო ორგანოებს შორის ფუნქციითა გაუმჯობესების პირობებში, გაბატონებული მონათმფლობელური კლასის წევრები, მმართველი ელიტის წარმომადგენლები ასრულებდნენ სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირთა, მათ შორის, მოსამართლეთა ფუნქციებს. მონათმფლობელური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი იყო მართვა-

გამგეობის სამი ძირითადი ფორმა: მონარქია, არისტოკრატიული რესპუბლიკა და დემოკრატიული რესპუბლიკა. სახელმწიფოებრიობის ისტორია თითოეული ამ ფორმის სხვადასხვა მოდელს იცნობს, აქედან გამომდინარე, მრავალფეროვანი იყო სასამართლო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებების რეალიზაციის ორგანიზაციული ტიპები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მონათმფლობელური წესწყობილების პირველ ეტაპზე საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება უმთავრესად ჩვეულებათა მეშვეობით ხორციელდებოდა, რომლებიც სავალდებულო ძალას იძენდა სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოს და, განსაკუთრებით, სასამართლოს მიერ მათი სანქცირების შემდეგ. თავად ეს ფაქტიც ნათლად მეტყველებს იმ ნელიონზე, რომელიც მართლმსაჯულების განმახორციელებელმა ორგანოებმა სახელმწიფოთა აღმოცენებისა და განვითარების ადრეულ სტადიაზე შეიტანეს სამართლის ფორმირების საქმეში.

კაცობრიობის ისტორიაში პირველ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ ძველი წელთაღრიცხვის IV-II ათასწლეულებში წარმოქმნილი აღმოსავლეთის დესპოტიები – ეგვიპტე და ბაბილონი, ასევე – ჩინეთი (ძვ.წ. XVIII საუკუნე) და ინდოეთი (ძვ.წ. 2500-1500 წლები). ყველა ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაური, იქნებოდა ეს ფარაონი, ვანი თუ პატესი, ერთპიროვნულად ფლობდა და ახორციელებდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. ეს მიიჩნეოდა მისთვის ღვთის მიერ მინიჭებულ პრეროგატივად, მის სახეში გაერთიანებული იყო უმაღლესი საერო და სასულიერო პირი. ამ აბსოლუტურ ძალაუფლებას, მათ შორის, მართლმსაჯულებას, იგი ახრულებდა მრავალრიცხოვან სახელმწიფო მოხელეთა აპარატის მეშვეობით.

ეგვიპტეში: სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციის თავისებურებებს განაპირობებდა არა მხოლოდ მონათმფლობელური საზოგადოებრივე-ეკონომიკური ფორმაცია და მართვა-გამგეობის დესპოტიის ფორმა, არამედ სახელმწიფო წესწყობილების, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ფორმაც და ის რელიგიური წარმოდგენები, რომელიც შეადგენდა ამ უძველესი სახელმწიფოს ცივილიზაციის ფუნდამენტს.

ეგვიპტეში: სასამართლო ხელისუფლებას განაგებდა ე.წ. ექვსი პალატა, რომლის სათავეშიც სახელმწიფო ვეზირი იდგა. ფარაონს ნებისმიერ დროს შეეძლო, შეექმნა განსაკუთრებული სასამართლო კოლეგიები. ახალი სამეფოს პერიოდში, კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვით XVII-XVI საუკუნეებში, ძირითადად, სწორედ აღნიშნული კოლეგიები – კენბეტები – მოქმედებდნენ. სახელმწიფო სასამართლოების გარდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სატაძრო სასამართლოებს, რომლებსაც ქურუმები ხელმძღვანელობდნენ. ცალკე უნდა გამოვყოთ ტერიტორიული ერ-

თეულების – ნომების – სასამართლოები, ნომარქის თავმჯდომარეობით. ეგვიპტეში მოსამართლეს „ჭემმარიტების ქალღმერთის ქურუმს“ უწოდებდნენ.

ძველი ნელთალრიცხვის მეორე ათასწლეულის დასაწყისი ბაბილონის ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით აღინიშნა. მართლმსაჯულების სფეროში აქ ორელემენტური სისტემა ფუნქციონირებდა და სასამართლო უფლებამოსილებანი სპეციალურ მოხელეს ეკისრებოდა. თუმცა, ამავდროულად, არსებობდა სასამართლო კოლეგიებიც, რომლებშიც „ქალაქის უხუცესი და სახელოვანი ადამიანები“ შედიოდნენ. სასამართლო პროცესის დროს მოწმეთა ფიცის დადება ქურუმების მონაწილეობით ტარდებოდა. უმაღლეს სასამართლოს თავად მეფე – პატესი – წარმოადგენდა. ბაბილონში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ის ფაქტი, რომ სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროს სწორედ სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენდა. თავად ჰამურაბის კანონის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ძველი ნელთალრიცხვის XVIII საუკუნით თარიღდება, სხვა არაფერია, თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებათა ჩანაწერი.¹

შედარებით მარტივად წყდებოდა სასამართლოს ფუნქციონირების საკითხი ჩინეთში – ხანის დინასტიის პერიოდში (ძვ.წ. III ს. – ახ.წ. II ს.). მართალია, აქ ფართოდ გამოიყენებოდა სახელმწიფო თანამდებობების გაყიდვის ინსტიტუტი, ასევე თანამდებობის დაკავების საგამოცდო წესი,² მაგრამ ეს ვერ ცვლიდა სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ბუნებას და ჩინეთი აღმოსავლური დესპოტიის ტიპურ მაგალითს წარმოადგენდა.

ერთობ საინტერესო ფორმით ჩამოყალიბდა სასამართლო ხელისუფლების „დანაწილების“ სისტემა ინდოეთის ტერიტორიაზეც, ე.წ. მაურების სახელმწიფოში (ძვ.წ. IV საუკუნე). უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება იმპერატორს ეკუთვნოდა, მასვე ჰქონდა ამნისტიის გამოცხადების უფლებამოსილება. ამ დროს სასამართლოების ქვემდგომ რგოლებში უპირატესობა ენიჭებოდა საქმეების კოლეგიურ განხილვას. უნდა აღინიშნოს, რომ მანუს კანონები (ძვ.წ. III ს. – ახ.წ. II ს.) მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა სასამართლო პროცესის საკითხებს.

მონათმფლობელური ტიპის სახელმწიფოს სახესხვაობას წარმოადგენდნენ ძველი ნელთალრიცხვით IX-II საუკუნეებში ჩამოყალიბებული ათენის სახელმწიფო, ე.წ. დემოკრატიული რესპუბლიკა და ძველი ნელთალრიცხვით VIII საუკუნეში წარმოქმნილი სპარტის სახელმწიფო, ე.წ.

1. *მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, I წიგნი, 1995, გვ.34.*

2. *З.М. Черниловский, Всеобщая история Государства и права, Москва, 1983, стр.25.*

არისტოკრატიული რესპუბლიკა. განსაკუთრებული სირთულითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმები ათენში. ეს მნიშვნელოვანილად განაპირობა რეფორმის არაერთმა ტალღამ, რომელიც ათენის სახელმწიფოში ტარდებოდა – იგულისხმება სოლონის რეფორმები – ძველი წელთაღრიცხვით 594 წელს, კლისთენის რეფორმები – 509 წელს, ეფიალტეს რეფორმები 462 წელს. არეოპაგი, როგორც უმაღლესი სასამართლო დაწესებულება, განიხილავდა სისხლის სამართლის უმძიმეს დანაშაულებს. გარდა ამისა, მოქმედებდა ექვსწევრიანი თესმოთეტების კოლეგია; 10 კოლეგიისაგან შემდგარი ჰელია, ჰელიატების – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; სამოქალაქო საქმეების განმხილველი ეგეტების სასამართლო. სასამართლო ხელისუფლების გამოვლინების სპეციფიკური ფორმა იყო ოსტრაქიზმი – განდევნა – ე.წ. „თიხის ნატყებების სასამართლო.“ ეს იყო, პრაქტიკულად, სახალხო კრება, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილებით აღიჭურვებოდა დიქტატურის დამყარების წინააღმდეგ საბრძოლველად და ნებისმიერ პირს, რომელიც ათენის დემოკრატიის დამხობას შეეცდებოდა, ქვეყნიდან 10 წლით აძევებდა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი ზოგიერთი ორგანო სხვა სახის უფლებამოსილებასაც ფლობდა. მაგალითად, ჰელია ასევე ასრულებდა საკანონმდებლო უფლებამოსილებას, ხოლო არეოპაგის საქმიანობა არისტოკრატიული მმართველობის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენდა.

რაც შეეხება სპარტას, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქაც დანაწილებული იყო სხვადასხვა ორგანოს შორის: სასამართლო ფუნქციების მატარებლად აქ გვევლინებოდა უხუცესთა საბჭო – გერუსია; 5 წევრიანი ეფორთა კოლეგია, რომელსაც ყოველწლიურად ირჩევდა სახალხო კრება, ძირითადად, სამოქალაქო საქმეებს განიხილავდა; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტასა და საბოლოო ინსტანციით საქმეთა განხილვაში დიდი იყო მეფისა და სახალხო კრების – აპელას როლი. ძველი ბერძნული სამართალი იცნობდა პროცესის ორ ძირითად ფორმას: გრიფე, ანუ საჯარო ბრალდების და დიკე, ანუ კერძო ბრალდების პროცესებს.¹

სასამართლო ხელისუფლების განხორციელების თვითმყოფადი ფორმები მოქმედებდა ძველ რომში, რომელმაც სახელმწიფო განვითარების სამი ფაზა განვლო, ეს იყო რექსების, ანუ მეფეთა ხანა (ძვ.წ. 754 – 510 წწ.); რესპუბლიკის ხანა (ძვ.წ. 519 – 17 წწ.); იმპერიის ხანა (ძვ.წ. 27 – ახ.წ.

1. მ. ცაცანაშვილი, *მითითებული ნაშრომი*, გვ. 67.

476 წ.). იმპერიის ხანას ყოფენ ორ პერიოდად: პრინციპატად (ძვ.წ. 27 – ახ.წ. 284 წწ.) და დომინატად (ძვ.წ. 284 – ახ.წ. 476 წწ.). მართვა-გამგეობის ფორმათა ცვლილება მართლმსაჯულების სისტემის რეფორმებით აღინიშნებოდა. არაერთი ინსტიტუტი და პრინციპი, რომელიც განსაკუთრებით, სამოქალაქო პროცესსა და სამოქალაქო იურისდიქციის მქონე სასამართლოთა საქმიანობას განსაზღვრავდა, თავად რომის სახელმწიფოზე უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვინაიდან შუა საუკუნეების ევროპაში მათი რეცეფცია მოხდა და დღესაც საფუძვლად უდევს სამართლებრივი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებს.

რომის ისტორიის პირველ ფაზაში უმაღლესი ხელისუფლებით (*imperium* – იმპერიუმ) აღჭურვილი რექსი უმაღლეს მსაჯულად იყო მიჩნეული, განსხვავებით აღმოსავლური დესპოტიზმისაგან, მისი უფლებამოსილებანი სახალხო კრებისა და სენატის მიერ იყო შეზღუდული. მაგალითად, სახალხო კრება (*comitia curia* – კომიცია კურიტა) ახდენდა სიკვდილმისჯილის საქმეზე განაჩენის გადასინჯვას. რექსების ხანაში არსებობდა სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი სპეციალური ორგანოები და თანამდებობის პირები: *duoviri praeduellionis* – დუოვირი პრედუელიონის და *quaestores paricidii* – ქუესტორეს პარაციდიი.¹ რესპუბლიკის პერიოდში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა სასამართლო პროცესის ორგვარი ბუნება. სამართლის საჯაროდ და კერძოდ დაყოფიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა პროცესის ორი სახე: *iudicia publica* – (იუდიცია პუბლიკა), ანუ საჯარო წარმოება და *iudicia privata* – (იუდიცია პრივატა), ანუ კერძო წარმოება. თუ რომის რესპუბლიკაში არსებობდა, ე.წ. ლეგისაქციური პროცესი, იმპერიის ხანაში მოქმედებდა ჯერ ფორმულარული, შემდეგ კი ექსტრაორდინარული პროცესები.

რომის რესპუბლიკაში კონსული, პრეტორი და დიქტატორი, ანუ უმაღლესი თანამდებობის პირები უფლებამოსილნი იყვნენ, განეხილათ საქმეები და დაედოთ სასჯელი, სიკვდილით დასჯის ჩათვლით, ასევე – განეხორციელებინათ *Infamia* (ინფამია), ანუ პირისთვის ჩამოერთმიათ გარკვეული უფლებები. რაც შეეხება რიგით თანამდებობის პირს – პოტესტასებს – მათ, განსაზღვრული პირობების არსებობისას, მხოლოდ ჯარიმების დადების უფლება ჰქონდათ. ქონებრივ დავებზე მართლმსაჯულების აღმასრულებელი პრეტორი თავისი ედიქტებით კანონს განმარტავდა. სწორედ მსგავსი ედიქტების გამოცემის უფლებამოსილებამ განაპირობა სამართლის ცალკე სახის – პრეტორული სამართლის ფორმირება.

1. ვ. მეტრეველი, რომის სამართალი, თბილისი, 1995, გვ.120.

ამას გარდა, რომის რესპუბლიკაში სახალხო კრება ქმნიდა საგანგებო სასამართლოებს, რომელთა თავმჯდომარეებს სენატი ნიშნავდა და მათი განაჩენების გასაჩივრება არ დაიშვებოდა. რესპუბლიკის გვიანდელ ხანაში ხდებოდა მუდმივი სასამართლოების ფორმირება პრეტორის ხელმძღვანელობით და მათ მიერ არჩეული წევრების შემადგენლობით. ამ სასამართლოებში განსაკუთრებით გაძლიერდა ინკვიზიციური პროცესი და საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილის განხილვა ადმინისტრაციული მეთოდებით წარმოებდა.

რომის იმპერიაში სასამართლო ხელისუფლებას, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ერთპიროვნულად ფლობდა იმპერატორი. მას შეეძლო ნებისმიერი საქმე უშუალოდ მიეღო წარმოებაში. იმპერატორი სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებდა უმაღლესი მოხელეების – პრეფექტების – მეშვეობით. მაგალითად, *praefectus urbi* (პრეფექტუს ურბი), *praefectus praetorio* (პრეფექტუს პრეტორიო). სასამართლო უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოებთან მოქმედებდა ბიუროკრატიული აპარატი. საქმეთა განხილვისათვის მომზადებას კურირებდნენ ასესორები (*assessores*) და კონსილარები (*consilarii*).

მონათმფლობელურ სახელმწიფოებში სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების საილუსტრაციოდ, ჩვენი აზრით, რომის იმპერიაში სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმების დამკვიდრების პროცესში გამოკვეთილი სამი ტენდენცია უნდა გამოვყოთ: სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის სასამართლო ხელისუფლებრივი უფლებამოსილება ჩამოერთვათ სახალხო კრებებს; გაიზარდა იმ საქმეთა ოდენობა, რომლებიც ერთპიროვნულად განიხილებოდა; სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის უფლებამოსილებანი გადაეცათ ადმინისტრაციულ ორგანოებს.

1-2. სასამართლო ხელისუფლება ფეოდალურ სახელმწიფოებში

467 წლის 28 აგვისტოს გერმანელმა, კერძოდ, რუგიელმა სარდალმა როდოაკრმა ტახტიდან ჩამოაგდო რომის უკანასკნელი იმპერატორი რომულუსი. ამ თარიღს უკავშირებენ დასავლეთ რომის იმპერიის დასასრულს, თუმცა აღმოსავლეთის რომის იმპერია – ბიზანტიამ – რომაული ცივილიზაცია, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები შემოინახა და განავითარა. აქ შენარჩუნებულ იქნა მტკიცე საიმპერატორო ხელისუფლება,

ხოლო სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის აღიარებამ ჩნიძენელოვან-ნილად განაპირობა ბიზანტიის იმპერიის სიცოცხლისუნარიანობა. ამასთან, ბიზანტიის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირება ძველი ბერძნული კულტურული ფასეულობების ზეგავლენითაც აღინიშნა. ანტიკური ცივილიზაციის სხვადასხვა შენაკადის პარმონიულმა შერწყმამ, სამომავლოდაც, ბოლომდე შეუფასებელი სამართლებრივი მემკვიდრეობის წარმოქმნა განაპირობა.

იმპერატორ იუსტინიანეს ძალისხმევით, 529-534 წლებში შეიქმნა კანონთა კრებული, რომელიც „იუსტინიანეს კოდექსის“ სახელით არის ცნობილი. მან უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თანამედროვე კერძო სამართლის ფორმირებაში. იუსტინიანეს კოდექსის დიგესტების ანუ პანდექტების ნაწილი, კერძოდ, პირველივე ნიგნის პირველი ტიტული დასათაურებელია, როგორც „მართლმსაჯულება და სამართალი.“ მასში მოყვანილია ულპიანეს მოსაზრება, რომლის თანახმად, სიტყვა „სამართალი“ (ius) წარმოშობილია სიტყვა „მართლმსაჯულებიდან“ (iustitia). ულპიანე იმონმებს ცელზიუსის მოსაზრებას, რომ სამართალი არის მეცნიერება კეთილისა და სამართლიანის შესახებ. იურისტებს დამსახურებულად უწოდებენ ქურუმებს, რადგან სწორედ ისინი ზრუნავენ მართლმსაჯულების განხორციელებაზე, განადიდებენ ყოველივე კეთილსა და სამართლიანს, ერთმანეთისაგან გამიჯნავენ დასაშვებსა და დაუშვებელს. ულპიანე სწორედ მართლმსაჯულების აღსრულებასა და ამ გზით სამართლიანობის დამკვიდრებაში ხედავს „ჭეშმარიტ ფილოსოფიას.“¹

იუსტინიანე აქტიურად ერეოდა სასამართლო საქმიანობაში. როგორც უმაღლესი მოსამართლე, იგი მიიჩნევდა, რომ „სახელმწიფოს უსაფრთხოება ემყარება და ძლიერდება იარალითა და კანონით... მათი შენევნით აღზედნენ რომაელნი, ასე იყო წარსულში, ასე იქნება მომავალშიც.“² ბიზანტიაში იმპერატორი მიიჩნეოდა უზენაესი ხელისუფლების მატარებლად და საეკლესიო დავების განხილვაც მის კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

IX-XI საუკუნეებში ბიზანტიაში საბოლოოდ დამყარდა ფეოდალური ურთიერთობანი, ხოლო ამ იმპერიის დაცემამდე, კონკრეტულად 1453 წლამდე, სახელმწიფო მმართველობას მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია არ განუცდია.

ყოფილი დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე წარმოიშვა მრავალრიცხოვანი ე.წ. ბარბაროსული სახელმწიფოები: იტალიის ტერიტო-

1. *Хрестоматия всеобщей истории государств и права. Т.1, Под ред. К.И. Ботыри и Е.В. Папикарповского, Москва, «Юристъ», 1996, стр.131.*

2. *ზ.ჩეჩნილოვსკი, მითითებული ნაშრომი, გვ.181.*

რიაზე – ოდოაკრის, ლანგობარდებისა და ოსტგუთების; ესპანეთის ტერიტორიაზე – ვესტგუთების; ხოლო თანამედროვე საფრანგეთისა და გერმანიის ტერიტორიაზე – ფრანკების, ბავარიელების, ბურგუნდიელებისა და ტიუდორების სახელმწიფოები. ამ ადრეფეოდალურ ქვეყნებში განსხვავებული იყო სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმები.

ფრანკების სახელმწიფოში მეფეს ეკუთვნოდა უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება, მეროვინგების დინასტიის მმართველობისას – VI-VIII საუკუნეებში – სასამართლო სისტემის ქვედა რგოლს წარმოადგენდა ასეულის სასამართლო – მალუსი, რომელიც შედგებოდა 7 არჩეული მოსამართლე – რახინბურგისგან. ისინი საქმეს განიხილავდნენ ხალხის მიერ არჩეული ტუნგინის ხელმძღვანელობით. სუვერენის ხელისუფლების ზრდასთან ერთად, მისი ადგილი დაიკავეს გრაფებმა და ჰერცოგებმა, შემდეგ კი მეფემ, რომლის სახელითაც საქმეს განიხილავდა მაიორდომი, რამდენიმე პირთან ერთად. სამეფო სასამართლოში საქმეთა განხილვას არჩევითი პირები არ ესწრებოდნენ. კაროლინგების დინასტიის პერიოდში, რომელიც VIII-IX საუკუნეებს მოიცავდა, გაუქმდა თავისუფალ მოქალაქეთა სავალდებულო დასწრება სასამართლო განხილვაზე და არჩევითი რახინბურგები შეიცვალა დანიშნითი თანამდებობის პირებით – სკაბინებით. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მეფის სასამართლო წარმოადგენდა, რომელიც საგრაფოსა და ასეულის სასამართლოებთან ერთად ერთიან სისტემას შეადგენდა.

შუა საუკუნეების ევროპის სახელმწიფოებში გაძლიერდა ქრისტიანული ეკლესია, რომლის ერთ-ერთ პრივილეგიად იქცა საკუთარი სასამართლო იურისდიქცია, რითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა სამეფო ხელისუფლება, ამოქმედდა „წმინდა ინკვიზიცია.“ რომის პაპის 1232 წლის განკარგულებით, ყველა საქმე ერესის შესახებ საეკლესიო იურისდიქციას დაექვემდებარა.

XV-XVI საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდა აბსოლუტური მონარქიები. მონარქის ხელში თავი მოიყარა საკანონმდებლო, აღმასრულებელმა და სასამართლო ხელისუფლებამ, როგორც ფორმალურად, ასევე ფაქტობრივად. მონარქის ძალაუფლება აბსოლუტურსა და შეუზღუდავ ხასიათს ატარებდა. მაგალითად, საფრანგეთში მონარქთან მოქმედი სათათბირო ორგანოს – სახელმწიფო საბჭოს წევრებს, ასევე ადგილებზე მონარქის წარმომადგენლებს – ინტენდანტებს – შეეძლოთ სასამართლოს განხილვიდან ამოეღოთ ნებისმიერი სისხლისა თუ სამოქალაქო სამართლის საქმე და თავად მიეღოთ წარმოებაში. მათ ასევე შეეძლოთ, დაუბრკოლებლად გადაესინჯათ უკვე გამოტანილი განაჩენები და გადაწყვეტილებები, ე.ი. აბსოლუტიზმის დროს სასამართლო ხელისუფლება კვლავ ადმინისტრაციული აპარატის ხელში აღმოჩნდა.

ინგლისში სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურირება XII საუკუნიდან დაიწყო და გამოიკვეთა, ერთი მხრივ, საერთო სასამართლოების სისტემა, მეორე მხრივ, სამართლიანობის სასამართლოების სისტემა. ჩვეულებრივ, სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებდნენ სამეფო სასამართლოები, გამსვლელი სესიების სახით. ისინი საქმეებს წყვეტდნენ ადგილობრივი ჩვეულებების შესაბამისად, შემდეგ კი ბრუნდებოდნენ ვესტმინსტერში – საკუთარ რეზიდენციაში და გამოყენებულ ჩვეულებათაგან შეარჩევდნენ საუკეთესოებს. სწორედ ვესტმინსტერის სასამართლოების აღნიშნული პრაქტიკით შეიქმნა „საერთო სამართალი“ და სასამართლოები მათ შესაბამისად წყვეტდნენ საქმეებს. საერთო სამართლის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კანცლერის მიერ სასამართლოების მიმართ, ე.წ. ბრძანება-მინერილობების გაცემის პრაქტიკას. 1285 წლის მეორე სავესტმინსტერო სტატუტით, სამეფო სასამართლოებს შეეზღუდათ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, იმ პერიოდში არსებული მინერილობათა სახეობების ფარგლებში. სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შეცვლის შედეგად წარმოშობილი სპეციფიკური დავების გადასაწყვეტად ამოქმედდა, ე.წ. „სამართლიანობის სასამართლო“ და მას შემდეგ, დავებს, რომელთა რეგულირება საერთო სამართლით არ იყო გათვალისწინებული, კანცლერი გადასწყვეტდა „მოცემულ შემთხვევაში სამართლიანობის“ კრიტერიუმით. თუ ვესტმინსტერის სასამართლოებში პროცესი ატარებდა ზეპირ და საჯარო ფორმას, კანცლერის სასამართლოში სამართალწარმოება იყო დახურული და წარმართებოდა, ე.წ. „დოსიეს სისტემით.“ როგორც ვესტმინსტერის, ასევე კანცლერის სასამართლოების გადაწყვეტილებები იძენდა პრეცედენტის ძალას. სასამართლო ხელისუფლების ორივე ფორმა მონარქის სახელით ხორციელდებოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XII საუკუნის ინგლისში, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი პრეცედენტი შეიქმნებოდა, საიდუმლო საბჭოს საქმიანობაში დამკვიდრდა საკონსტიტუციო კონტროლის ტოლფასი ფუნქცია, რომლის თანახმად, საბჭო კოლონიების საკანონმდებლო საბჭოების კანონებს ინგლისის პარლამენტის კანონებთან შეუსაბამობის შემთხვევაში იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებდა.¹

XIII-XIV საუკუნეებში ინგლისში მოხდა ნაფიც მსაჯულთა სისტემის, ე.წ. ჟიურის ფორმირება. არსებობდა დიდი ჟიური, რომელიც 12-23 წევრისგან შედგებოდა და მცირე ჟიური, რომელიც 12-მდე წევრს აერთიანებდა. ედუარდ პირველის მიერ 1293 წელს გამოცემულ კანონში ნაფიც მსაჯულთათვის დაწესებუ-

1. Конституционное (Государственное) право зарубежных стран, Отв.ред. проф. И.А.Стражун, т.1, 1995, стр.72.

ლი იყო ქონებრივი ცენზი — 40 შილინგი. 1362 წელს დაარსდა სამომრიგებლო სასამართლო, რომლის 3-4 წევრიც მოცემული საგრაფოს მკვიდრი უნდა ყოფილიყო. ცენზი მათთვისაც იყო დადგენილი და შეადგენდა საკუთარ მიწის ნაკვეთს და არანაკლებ 90 გირვანქა სტერლინგ შემოსავალს წელიწადში. თანდათან მომრიგებელი მოსამართლის კომპეტენციაში გადავიდა სასამართლო ფუნქციები, რომლებსაც მანამდე ადმინისტრაციული მოხელეები, კერძოდ, შერიფები ასრულებდნენ. 1383 წლიდან თითოეულ საგრაფოში 6-8 მოსამართლე ინიშნებოდა, უკვე ამ პერიოდში უმაღლეს სასამართლო ინსტანციას პარლამენტის ზედა — ლორდთა პალატა წარმოადგენდა.

ვეროპულისგან განსხვავებული იყო სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმები აზიისა და აფრიკის ფეოდალურ სახელმწიფოებში: ჩინეთში, იაპონიაში, არაბეთის სახალიფოში და სხვ. მაგალითად, ამ უკანასკნელში სამართლის უპირველეს წყაროდ თავიდანვე მიიჩნეოდა მაჰმადიანების წმინდა წიგნი — ყურანი, მუჰამედი კი კანონმდებელ მოციქულად ანუ შარიად. შესაბამისად, მუსულმანთა სამართალს შარიათი ეწოდა. სასამართლო ფუნქციებს სახალიფოში ყადები ასრულებდნენ. ყადის საქმე, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთ დღეში უნდა გადაეწყვიტა. განაჩენისა თუ სხვა სახის გადაწყვეტილების გამოტანისას, იგი სარგებლობდა, ე.წ. დისკრეციული უფლებამოსილებით, თავისუფალი გადაწყვეტილების უფლებით, რომელიც ზოგჯერ თვითნებობაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, ფეოდალური ტიპის სახელმწიფოებში სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაცია და ფუნქციები, მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოთა სტრუქტურა, ცვალებადი და არაერთგვაროვანი იყო, იქნებოდა ეს დეცენტრალიზებული, ე.წ. ნოდებრივ-წარმომადგენლობითი თუ აბსოლუტური მონარქიები. მიუხედავად ამ გარემოებისა, ჩვეულებითი სამართლის პარტიკულარული სისტემების უნიფიკაციაში სასამართლო ორგანოები სხვადასხვა ქვეყანაში კვლავაც აგრძელებდნენ მეტ-ნაკლებად ნაყოფიერ საქმიანობას და ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, ინგლისში, დღემდე შეინარჩუნეს დომინანტის მდგომარეობა სამართლებრივი ნორმების დადგენა-უზრუნველყოფაში.

1-3. სასამართლო ხელის უფლება გურქუაზიულ სახელმწიფოებში

XVI საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუცია პოლანდიაში, XVII საუკუნის რევოლუცია ინგლისში (1640-1653 წლებში), 1789 წლის რევოლუცია საფრანგეთში იყო სახელმწიფო მმართველობის ახალი ფორმებისა და დემოკრატიული რეჟიმების ფორმირების აუცილებლობის მაცნე.

საფრანგეთში, რევოლუციის შემდეგ, სასამართლო ხელისუფლება გამოეყო აღმასრულებელ ხელისუფლებას, პროვინციებში გაუქმდა სასამართლო პალატები, ე.წ. „სამეფო პარლამენტები,“ აიკრძალა სასამართლო თანამდებობების გაყიდვა. 1791 წლის კონსტიტუციამ განამტკიცა მოსამართლეთა არჩევის პრინციპი, ქონებრივი ცენზის გათვალისწინებით. ფეოდალური ეპოქის მრავალფეროვანი და სხვადასხვა სტატუსის მქონე სასამართლოების ნაცვლად, ჩამოყალიბდა მწყობრი სასამართლო სისტემა: მომრიგებელი მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავდა მცირე მნიშვნელობის სისხლისა და სამოქალაქო საქმეებს; პირველი ინსტანციის ტრიბუნალის ქვემდებარე იყო უფრო სერიოზული სამოქალაქო საქმეები. იგი ასევე განიხილავდა, ე.წ. გადაცდომებს; სააპელაციო სასამართლო გადასინჯავდა ტრიბუნალთა გადაწყვეტილებებს არსებითად, ხოლო დიდი მნიშვნელობის საქმეებს განიხილავდა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით; უმაღლესი საკასაციო სასამართლო ახორციელებდა საკასაციო წარმოებას სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე აღძრულ სარჩელებზე. საფრანგეთის სასამართლო ორგანოთა ეს სისტემა, შემდეგ გადაიღო ევროპის სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა.¹

რაც შეეხება ინგლისს, აქ სახელმწიფო მექანიზმის და მის სისტემაში სასამართლო ორგანოების საქმიანობის ახალი მნიშვნელობა განაპირობა ისეთმა აქტებმა, როგორც იყო 1628 წელს მიღებული პეტიცია უფლებათა შესახებ, 1701 წლის აქტი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, 1867 წლის აქტი საარჩევნო რეფორმის შესახებ და სხვ. რევოლუციის შემდეგ გაუქმდა, ე.წ. „ვარსკვლავიანი პალატა“ და „მაღალი კომისია,“ რომელიც მეფის აბსოლუტური ძალაუფლების მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენდა. სხვა მხრივ, ინგლისის სასამართლო სისტემა უცვლელი დარჩა. ყველაზე დაბალ ინსტანციას წარმოადგენდნენ მომრიგებელი მოსამართლეები, რომლებიც გამსვლელ სესიებს აწყობდნენ და ირიცხებოდნენ ინგლისის მაღალი სასამართლოს ამა თუ იმ პალატასთან. ინგლისის სასამართლო სისტემის რადიკალური რეფორმა 1875 წელს გატარდა. მაღალმა სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ შეადგინა უმაღლესი სასამართლო. მაღალ სასამართლოში იყო 5 განყოფილება: კანცლერიის; ანდერძების, განქორწინებისა და საზღვაო საქმეების; სამეფო; სახაზინო; საერთო დავების. 1880 წლიდან ორი უკანასკნელი განყოფილება სამეფო საქმეთა განყოფილებას შეუერთდა. სააპელაციო სასამართლომ მუდმივი პროფესიონალი მოსამართლეების შემადგენლობით, ეტაპობრივად მოიპოვა უფლება, გან-

1. ზ.ჩერნილოვსკი, მითითებული ნაშრომი, გვ. 395

ეხილა ყველა სახის აპელაცია. უმაღლესი სასამართლო აღიჭურვა უფლებამოსილებით, შეემუშავებინა და გამოეყენებინა ახალი პროცესუალური წესები. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, ინგლისის დღევანდელი სასამართლო სისტემა საბოლოოდ 1971-72 წლებში ჩამოყალიბდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც დამკვიდრდა რეფორმების შედეგად ბურჟუაზიული ქვეყნების სასამართლო სისტემაში, ეს იყო მოსამართლეთა შეუცვლელობა. ეს დებულება პირველად 1640 წელს ინგლისის პარლამენტის პეტიციაში გამოცხადდა, სადაც აღინიშნა, რომ მოსამართლეები დარჩებიან თავიანთ თანამდებობებზე მანამ, „ვიდრე წესიერად იქცევიან.“ ეს პრინციპი 1701 წლის კანონით განმტკიცდა და გავრცელდა მხოლოდ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებსა და საგრაფოს მოსამართლეებზე.

სასამართლო ორგანოების დაკომპლექტების დემოკრატიული ფორმები ეტაპობრივად დამკვიდრდა საფრანგეთში, რომლის 1791, 1793, 1795 წლების კონსტიტუციები ითვალისწინებდა მოსამართლეთა არჩევის წესს, მაგრამ მოსამართლეთა შეუცვლელობა აქ აღიარებულ იქნა მხოლოდ 1883 წლის კანონით. იგივე პრინციპი გერმანიაში 1877 წელს საკანონმდებლო წესით დამტკიცდა.

მეორე მნიშვნელოვანი წესი, რაც სასამართლო ხელისუფლების განხორციელებას შეეხება, არის საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა. გამოყოფენ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის ინგლისურ და ფრანგულ ვარიანტს.¹ ამ ინსტიტუტის ინგლისური ვარიანტი შემდგომ ამერიკაშიც დაინერგა. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში მეტ-ნაკლები უფლებამოსილებით დაუშვეს საფრანგეთში, გერმანიაში და ავსტრიაში.

სტაბილურობის ნიშნული ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლო ხელისუფლების სტატუსი, რომელიც განსაზღვრულია, როგორც 1787 წლის კონსტიტუციაში, ასევე 1789 წლის კანონში სასამართლო წყობილების შესახებ და იგი დღესაც მოქმედებს.

თავისებურებებით ხასიათდება სასამართლო ხელისუფლების განხორციელება ბურჟუაზიული ტიპის სახელმწიფოებში ტოტალიტარულ-ფაშისტური, ნახევრად ფაშისტური, სამხედრო-დიქტატორული რეჟიმების პირობებში. ეს რეჟიმები ფართოდ იყო გავრცელებული ორი მსოფლიო ომის პერიოდში იტალიაში, გერმანიაში, პოლონეთში, რუმინეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ლათინური ამერიკის

1. ზმერნილოვსკი, მითითებული ნაშრომი, გვ. 397.

ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად, 1926 წლის კანონით, მუსოლინი აღიჭურვა უფლებამოსილებით, გამოეცა, ე.წ. „საგანგებო კანონები.“ ერთ-ერთი ასეთი კანონით შემოიღო საგანგებო იუსტიციის ორგანოები – ტრიბუნალები და დაადგინა სასამართლო ორგანოთა კომპეტენციაში შემავალი ზოგიერთი საკითხის ადმინისტრაციული, არასასამართლო ფორმით გადაწყვეტის წესი. „საგანგებო ტრიბუნალები“ იხილავდნენ პოლიტიკური დატვირთვის მქონე საქმეებს, ნაფიცი მსაჯულების მნიშვნელობა, პრაქტიკულად, ნიველირებულ იქნა სხვადასხვა საპროცესო ცვლილების შედეგად. ნაფიცი მსაჯულები, როგორც სამართლის, ასევე ფაქტების საკითხს, წყვეტდნენ არა დამოუკიდებლად, არამედ პროფესიონალი დანიშნადი მოსამართლეების აქტიური მონაწილეობით.

ფაშისტურ გერმანიაში ნაცისტური პარტია იყო სამთავრობო მექანიზმის შემადგენელი ნაწილი. სახელმწიფო ხელისუფლება კონცენტრირებული იყო მთავრობაში, სამთავრობო ხელისუფლება კი „ფიურერის“ პიროვნებაში, რომელიც მიიჩნეოდა „რაიხის ბელადად და კანცლერად.“ სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს იყო ისეთი პერსონიფიცირებული ხელისუფლება, რომელიც არ ედრება არც ძველი დესპოტიის ქვეყნებს, არც ფეოდალური აბსოლუტიზმის სახელმწიფოებს. იგი ცნობილია, როგორც „სახელმწიფო საგანგებო მდგომარეობა.“¹ ასეთი რეჟიმი გერმანიაში განაპირობებდა განსაკუთრებული სახის სასამართლოების არსებობას. მაგალითად, ნაცისტური პარტიის წევრების მიერ ჩადენილ დანაშაულებს განიხილავდნენ საგანგებო სასამართლოები „საიდუმლო,“ დახურულ სხდომაზე.

პოლონეთში არსებული სამხედრო-პოლიტიკური დიქტატურის არსი აისახა 1835 წლის კონსტიტუციაში, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, პრეზიდენტს ეკუთვნოდა ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო ხელისუფლება.² მას შეეძლო თანამდებობიდან დაეთხოვა ნებისმიერი მოსამართლე, უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეების ჩათვლით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბურჟუაზიული სახელმწიფოების აბსოლუტურ უმრავლესობაში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო სისტემის მნიშვნელოვან ცვლილებებს. ე.წ მეორე ტალღის კონსტიტუციებით გერმანიაში, იტალიაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში დამკვიდრდა სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ის პრინციპები და ფორმები, რომლებიც ცალკეული ცვლილებებით დღესაც ძალაშია.

1. მცაცანაშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 142.

2. ზ.ჩერნილოვსკი, მითითებული ნაშრომი, გვ.468.

1-4. სასამართლო ხელის უფლება სოციალისტურ სახელმწიფოებში

სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო-სამართლებრივი დოქტრინა არ ცნობდა სამართლებრივი სახელმწიფოსა და მისი ძირითადი პრინციპის – ხელისუფლების დანაწილების იდეას. სახელმწიფოსა და სამართლის სოციალისტური თეორიის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ყოფილიყო ერთიანი და განუყოფელი, წარმომადგენლობით ორგანოებს კი ჰქონდათ კანონშემოქმედებითი, კანონთა აღსრულებისა და აღსრულებაზე კონტროლის სრული უფლებამოსილება. დასაშვებად მიიჩნეოდა, რომ წარმომადგენლობით ორგანოებს, განსაზღვრული ხარისხით, განეხორციელებინათ საგამოძიებო და სასამართლო ფუნქციებიც.¹

კანონმდებლობის, მმართველობისა და მართლმსაჯულების გამიჯვნა ემყარებოდა, უბრალოდ, სხვადასხვა ორგანოს შორის შრომის განაწილებას, სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობა კი სიმყარით გამოირჩეოდა და აკუმულირებული იყო წარმომადგენლობით ორგანოებში – საბჭოებში, თუმცა პრაქტიკულად, ეს თეორიული დებულებაც არ იყო რეალიზებული, ვინაიდან სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანო ანგარიშვალდებული იყო და ექვემდებარებოდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების კონტროლს. ასე რომ, სრულად მოქმედებდა ვ.ი. ლენინის საპროგრამო დებულება, რომლის თანახმად, „დექტატურას განახორციელებს საბჭოებში ორგანიზებული პროლეტარიატი, რომელსაც ხელმძღვანელობს „ბოლშევიკების კომუნისტური პარტია“ და „არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ორგანიზაციული საკითხი... არც ერთი დანებსებულების მიერ არ წყდება ცენტრალური კომიტეტის სახელმძღვანელო მითითების გარეშე.“²

საბჭოთა კავშირის, მასში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ ავტონომიური რესპუბლიკების ყველა კონსტიტუციის თანახმად, ძირითადი კანონის დაცვაზე კონტროლს ახორციელებდნენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები. ზოგიერთ სოციალისტურ სახელმწიფოში, მათი განვითარების პირველ ეტაპზე, ეს ფუნქცია ებარა უმაღლეს სასამართლო ინსტანციებს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის წარმოქმნიდან რამდენიმე წლის მანძილზე სსრკ-ის 1924 წლის კონსტიტუციის თანახმად, კონტროლში მონაწილეობდა უმაღლესი

1. Витрук Н.В., Конституционное правосудие (Учебное пособие), Москва, «Юнити», 1998, стр.31.

2. ვებერველი, გ.დავითაშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 351.

სასამართლო. ამ ფუნქციის შესრულებისათვის საჭირო ძირითადი უფლებამოსილებანი კი ენიჭებოდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, კერძოდ, 1924-1936 წლებში სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდა ცენტრალური ორგანოების აქტების შექმნა-გაუქმების შესახებ ნინადადებათა, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთვის მოკავშირე რესპუბლიკების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შესახებ დასკვნის შემუშავება.¹ მაგრამ ეს უფლებამოსილებანი ატარებდა საკონსულტაციო ხასიათს, ამიტომ ისინი არ შეიძლება მივიჩნიოთ საკონსტიტუციო სამართალწარმოების სრულყოფილ სახედ.²

კუბის 1959 წლის ძირითადი კანონი, რომელიც მიიღეს ფიდელ კასტროს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ითვალისწინებდა კუბის რესპუბლიკის საკონსტიტუციო და სოციალური გარანტიების პალატის შექმნას, რომელსაც საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია დაეკისრებოდა. თუმცა უკვე 1976 წლის კონსტიტუციაში ეს ინსტიტუტი აღარ იყო გათვალისწინებული.

საერთაშორისო გამოცდილების გავლენით, ზოგიერთი სოციალისტური სახელმწიფოს უმაღლეს ნარმომადგენლობით ორგანოში შეიქმნა სპეციალური სტრუქტურული დანაყოფი ან მოხდა ცალკე სპეციალიზებული ორგანოს ფორმირება. ყოფილ საბჭოთა კავშირში, ე.წ. „გარდაქმნის პერიოდში“, შეიქმნა საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანო – სსრკ-ის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი, რომლის საქმიანობის მარეგულირებელი კანონი 1989 წლის 23 დეკემბერს იქნა მიღებული, ხოლო მოღვაწეობას 1990 წლიდან შეუდგა. მას მრავალი უფლებამოსილება ჰქონდა, კერძოდ, აფასებდა საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სამართლებრივი აქტების კანონიერებას, მასვე ევალებოდა იმ უთანხმოებების განხილვა, რომელიც საკავშირო ხელისუფლებასა და მოკავშირე რესპუბლიკას შორის, ამ უკანასკნელსა და ავტონომიურ რესპუბლიკას შორის, მათი საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული კონსტიტუციური აქტების შედეგად წარმოიქმნებოდა. საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი კონსულტანტის როლს ასრულებდა სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსახილველ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით, ჩართული იყო კანონმდებლობის სრულყოფის საქმეში. საბჭოთა კავ-

1. Купрец Н.Я., Из истории науки советского государственного права, Москва, 1971, стр.232-236.

2. О.Мелქაძე, გ.ყურაშვილი, რუსეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, გვ 128.

შირის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტმა სულ ერთი წელი იარსება და 29 საქმის განხილვა მოასწრო. ამ ორგანომ შეწყვიტა არსებობა საბჭოთა კავშირის დაშლასა და 1991 წლის 8 დეკემბერს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფორმირებასთან დაკავშირებით.

1982 წელს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში შეიტანეს ახალი – 33ა მუხლი, რომელმაც დააფუძნა საკონსტიტუციო ტრიბუნალი, მისი ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები. საკონსტიტუციო ტრიბუნალის შესახებ კანონი პოლონეთის სეიმმა 1985 წლის აპრილში მიიღო და ეს ორგანო, მიუხედავად პოლონეთის სახელმწიფო სისტემის რეფორმირებისა, 1986 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს. პოლონელ ავტორთა ერთი ჯგუფი მას მიიჩნევს სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოდ, მეორენი – განსაკუთრებულ, სპეციალიზებულ სასამართლოდ. არსებობს მოსაზრებაც, რომ მას უჭირავს შუალედური ადგილი საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის.¹

ყოფილი სოციალისტური იუგოსლავიის ფედერაციასა და მის ექვს რესპუბლიკაში 1953, 1963 და 1974 წლების კონსტიტუციით, დანესებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოები. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში 1968 წლის 27 დეკემბერის №143-ე კონსტიტუციურმა კანონმა ასევე დაადგინა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი, რომელიც, პრაქტიკულად, არ შექმნილა.

რაც შეეხება საერთო სასამართლოებს, შეიძლება ვისაუბროთ მათ, ე.წ. სოციალისტურ მოდელზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია: ყველა მოსამართლისა და მსაჯულის არჩევითობა; მათი უფლებების თანასწორობა; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოლქების თანხვედრა სასამართლო ოლქებზე, რაც გამორიცხავდა სპეციალური სასამართლო ოლქების შექმნის საჭიროებას. ადგილობრივი საბჭოს მიერ არჩეული სასამართლო მოქმედებს ამ საბჭოს ქვემდებარე ტერიტორიაზე. ხელისუფლების დანაწილების არსებობა ამ მოდელის პირობებში იწვევს საერთო სასამართლოების პასუხისმგებლობას არა კანონის, არამედ სახალხო დიქტატურის განმახორციელებელი ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოების კრების წინაშე. მაგალითად, ჩინეთის უმაღლესი სახალხო სასამართლო პასუხისმგებელია სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა საბჭოსა და მისი მუდმივი კომიტეტების წინაშე, ხოლო ადგილობრივი სახალხო სასამართლოები – სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წინაშე.²

1. ნ.ვეიტრუკი, მითითებული ნაშრომი, გვ.32.
2. *Иностранное конституционное право*, Под ред. В.В.Маклакова, Москва, 1996, стр.392.

ტოტალიტარული სოციალიზმისა და ზოგიერთ პოსტსოციალისტურ სახელმწიფოში დღესაც არსებობენ, ე.წ. ამხანაგური სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ მცირე მნიშვნელობის დავებსა და სამართალდარღვევებს. თუ მხარეები არ ეთანხმებიან ამ სასამართლოთა გადანყვეტილებას, ის სავალდებულო ძალას იძენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ. ამხანაგური სასამართლოს გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საერთო სასამართლოებში, რომელთა ქვედა რგოლს მოქალაქეები ან წარმომადგენლობითი ორგანოები ირჩევენ, ხოლო ზედა რგოლის მოსამართლეებს – წარმომადგენლობითი ორგანოები. მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ სასამართლოების შემადგენლობის შეცვლა. მაგალითად, ჩინეთში სახალხო სასამართლოს ყველაზე დაბალ რგოლს მოსახლეობა ირჩევს, დანარჩენ რგოლებს კი – სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ნიშანდობლივია, რომ სოციალისტური სახელმწიფოების სასამართლო სისტემები არ იცნობდა და არც ამჟამად ითვალისწინებს სააპელაციო ინსტანციას (ყოფილი სსრკ, ჩინეთი, კუბა, ჩრდილო კორეა). ბურჟუაზიულ სისტემაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისაგან განსხვავებით, სოციალისტურ ქვეყნებში მოქმედებდა სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი. სახალხო მსაჯულებს, სამუშაო ადგილის მიხედვით, მოქალაქეთა კრებებზე ირჩევდნენ ღია კენჭისყრით. მოსამართლეების არჩევა, როგორც წესი, ზუსტად დადგენილი ვადით ხდებოდა, თუმცა ისინი დეპუტატების მსგავსად, შეიძლება ვადამდე გაენვიით ამომრჩეველებს ან წარმომადგენლობით ორგანოს.

სასამართლო სისტემის სოციალისტური მოდელის ანალიზისას, გვერდს ვერ აუფვლით მართლმსაჯულების განხორციელების ხელშემწყობ ისეთ ორგანოს, როგორცაა პროკურატურა. სოციალისტური სისტემის პირობებში, ეს ორგანო ჩვეულებრივი უფლებამოსილებების გარდა, ახორციელებდა, ე.წ. კანონიერებაზე საერთო ზედამხედველობას. ზედამხედველობის ობიექტებად გვევლინებოდნენ სახელმწიფო ორგანოები – სამინისტროები, დეპარტამენტები და ა.შ., გარდა წარმომადგენლობითი ორგანოებისა, აგრეთვე, საზოგადოებრივი გაერთიანებები, სამეურნეო ორგანიზაციები, სხვადასხვა სახის დანესებულებები და ფიზიკური პირები. პროკურატურა წარმოადგენდა ორგანიზაციულად განცალკევებულ ორგანოთა სისტემას – გენერალური პროკურორით სათავეში, რომელსაც ფორმალურად ნიშნავდა პარლამენტი, როგორც წესი, საკუთარი უფლებამოსილების ვადით გენერალური პროკურორი პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე. იგი ნიშნავდა ქვემდგომ პროკურორებს, რეალურად კი, პროკურორის დანიშნისა და გადაადგილების შესახებ გადანყვეტილებას იღებდა კომუნისტური პარტიის სხვადასხვა ინსტანცია.

ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 143-146-ე მუხლების მიხედვით, საპროკურორო ზედამხედველობას ახ-

ორციელებენ ცენტრალური პროკურატურა, ასევე პროვინციული, ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქების, საქალაქო, რაიონული, სამაზრო და სპეციალური პროკურატურები. მათ კომპეტენციას განეკუთვნება ზედამხედველობა კანონების ზუსტ შესრულებაზე სახელმწიფო ორგანოების, დანესებულებების, საზოგადოებრივოოპერაციული ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ; ზედამხედველობა სახელმწიფო ორგანოების დადგენილებებისა და განკარგულებების შესაბამისობაზე კონსტიტუციასთან, კანონებთან, პრეზიდენტის, ცენტრალური სახალხო კომიტეტის, უმაღლესი სახალხო კრების მუდმივი კომიტეტის, ადმინისტრაციული საბჭოს აქტებთან; მუშებისა და გლეხების ხელისუფლებისა და სოციალისტური წყობის დაცვა ნებისმიერი ხელყოფისაგან; სახელმწიფო და საზოგადოებრივი კოოპერაციული საკუთრების, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, სიცოცხლისა და ქონების დაცვა.

აღნიშნულ ამოცანებს პროკურატურა ახორციელებს დამნაშავეთა და კანონის სხვა დამრღვევთა მხილებითა და პასუხისმგებლობაში მიცემით. პროკურატურის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრალური პროკურატურა, რომლის თავმჯდომარეს კონსტიტუციის 76-ე მუხლის VIII პუნქტის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უმაღლესი სახალხო კრება. ყველა პროკურატურა ემორჩილება ზემდგომ პროკურატურებს და ცენტრალურ პროკურატურას. ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია უმაღლესი სახალხო კრებისა და ცენტრალური სახალხო კომიტეტის წინაშე. როგორც ვხედავთ, აქ პროკურატურის არავითარ ფუნქციურ დამოუკიდებლობაზე არ შეიძლება საუბარი: ჩინეთში უმაღლესი სახალხო კრება სხდომებს მართავს მხოლოდ რამდენიმე დღის მანძილზე წელიწადში, რომ არაფერი ვთქვათ, მის შემადგენლობასა და მასში არსებულ დამორჩილება-დაქვემდებარების წესებზე. მსგავსი ტენდენციების დაფიქსირება შესაძლებელია ზოგიერთი პოსტსოციალისტური ქვეყნის კონსტიტუციაში. მაგალითად, სლოვაკეთის კონსტიტუციით დადგენილია, რომ პროკურატურას, რომელიც იცავს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს, სათავეში უდგას გენერალური პროკურორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი, ეროვნული კრების წინადადებით.

თანამედროვე მეცნიერების მიერ მიჩნეულია, რომ „1917 წლის შემდეგ შექმნილი, ე.წ. სოციალისტური სახელმწიფოები არც ეკონომიკურად, არც პოლიტიკურად, არც სახელმწიფო ხელისუფლებაში ხალხის მონაწილეობისა და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, სოციალიზმის

იდევებს არ ასახავდნენ და არც შეიძლება ასეთად ჩაითვალოს."1 "უფრო მეტიც, სადაოდ აღარ არის მიჩნეული, რომ ამ სახელმწიფოებში, კერძოდ, უახლოეს წარსულში – სსრკ-ში, რუმინეთში, ბულგარეთში, პოლონეთში და სხვ., ამჟამად კი – ჩინეთში, კუბაზე, ჩრდილო კორეაში და სხვ., სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის ტოტალური მონოპოლიზაცია იყო და არის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, რომ სასამართლოებს უპირატესად სადამსჯელო ფუნქცია აკისრიათ და მონოდებულნი არიან, მოახდინონ დანაშაულისა თუ გადაცდომის ჩამდენი პირის, ვითომცდა „ხელახალი აღზრდა." ფაქტობრივად, სასამართლოს საქმიანობა აქ პარტიული პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა, რომელიც ახშობდა საზოგადოების განვითარების საფუძველთა საფუძველს – პიროვნების თავისუფლებას, პირადი ინიციატივის გამოვლენისა და რეალიზაციის შესაძლებლობას.

1. გ.ინჭიორველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 1997, გვ.34.

თავი მეორე

სასამართლო ხელისუფლების ფუნქციური თავისებურებები

სანამ სასამართლო ხელისუფლების განხორციელების თანამედროვე ფორმების დეტალურ განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებში სასამართლო ხელისუფლების შესახებ ფორმულირებულ კონცეპტუალურ დებულებებს შევეხოთ. მათი სახით ნებისმიერი ქვეყნის ძირითად კანონში მოცემულია ფუძემდებლური საწყისები ხელისუფლების ამ უმნიშვნელოვანეს შტოსთან დაკავშირებით. ამ დროს, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ისინი, შეიძლება ითქვას, არცთუ მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ, უპირველესად, იგულისხმება სასამართლო ხელისუფლების სტატუსის სტრუქტურა, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს სასამართლოების ფუნქციონირების სტატიკურ და დინამიკურ პრინციპებს, სასამართლო სისტემასა და მოსამართლეთა სტატუსს.

ჩვენ, ზოგადად მიმოვიხილავთ სასამართლო ხელისუფლების საპროცესო თავისებურებებს, რათა სასამართლოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების თუნდაც კალეიდოსკოპური კადრების მეშვეობით, შევქმნათ საფუძველი განსახილველი თემების უფრო ღრმად და ნათლად გაშუქებისთვის და, რაც მთავარია, სასამართლო ხელისუფლების კვლევის „გეოგრაფიის“ გასაფართოებლად.

დაბოლოს, განსაკუთრებული აქცენტის სახით, გვსურს ჩამოვაყალიბოთ სასამართლო ორგანოების სამართალშემოქმედებით ფუნქციასთან დაკავშირებული საკითხები. მით უფრო, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კვალობაზე, რომლებიც სამართლებრივი სისტემების პარამონიზაციას, შერეული სამართლებრივი სისტემების ფორმირებას და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების განმტკიცებას გულისხმობს, სულ უფრო მაღლდება სასამართლო ხელისუფლების როლი და საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკის ზრდიდან გამომდინარე, შეუქცევად სახეს ღებულობს სასამართლო ხელისუფლების ფუნქციების გაფართოებისა და სრულყოფის პროცესს.

2-1. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძველები

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციის საფუძ-

ვლებს, მიმართებას ხელისუფლების სხვა შტოებთან, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმების ფუძემდებლურ პრინციპებს. ამ პრინციპთა უმრავლესობას ზოგადი ხასიათი აქვს და სამართალწარმოების ნებისმიერ სახეს ახასიათებს, ნაწილი კი უპირატესად სისხლის სამართლის პროცესზე ვრცელდება, რომლის დროსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა პიროვნების უფლებათა დაცვას ენიჭება.

სასამართლო ხელისუფლების ზოგად კონსტიტუციურ პრინციპთა რიცხვს განეკუთვნება:

– მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოების მიერ;

სხვა თანამდებობის პირებსა და სახელმწიფო ორგანოებს არა აქვთ უფლება მიისაკუთრონ ეს ფუნქცია. მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუციის 117-ე მუხლის მესამე პუნქტით, „სასამართლო ხელისუფლების განხორციელება პროცესის ყველა სტადიაზე, სასამართლო გადაწყვეტილებისა და განაჩენის გამოტანა და მათი აღსრულების უზრუნველყოფა განეკუთვნება მხოლოდ მოსამართლეებისა და სასამართლოს კომპეტენციას...“¹ თუმცა, საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყანაში ვხვდებით ამნისტიის, შეწყალებისა და სხვა მსგავს ინსტიტუტებს, რომელთა ძალით ხელისუფლების სხვა შტოები, გარკვეულწილად, ერევიან მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. მაგალითად, შვედეთის კონსტიტუციის მე-11 თავის მე-13 პარაგრაფის მიხედვით, განსაკუთრებული მიზეზების არსებობის შემთხვევაში, მთავრობას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დანაშაულებრივი ქმედობის საქმეზე შემდგარი გამოძიების ან სასამართლო განხილვის შეწყვეტის შესახებ. იტალიის კონსტიტუციის 87-ე მუხლის თანახმად, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებებს განსაზღვრავს, გათვალისწინებულია მის მიერ შეწყალებისა და სასჯელის შემსუბუქების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. უფრო შორს მიდის ავსტრიის კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია არა მხოლოდ შეინალოს მსჯავრდადებული პირი ან შეუქსუბუქოს მას სასჯელი, არამედ მოახდინოს, ასევე, სასჯელის შეცვლა. მსგავსი მექანიზმების არსებობის ერთ-ერთ მიზეზად სასამართლო შეცდომის გამოსასწორებლად დაბატებითი გარანტიის შექმნის საჭიროება და, ასევე, გამოსწორების გზაზე დამდგარი მსჯავრდადებული პირებისთვის საზოგადოებაში ინტეგრირების კიდევ ერთი შანსის მიცემის ჰუმანური მოსაზრებები გვევლინება.

– მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი დამორჩილება მხოლოდ კანონისადმი;

1. *Конституции зарубежных государств, Москва, 1997, стр. 328.*

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საბერძნეთის კონსტიტუციის 87-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის თანახმად, „თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.“¹ არც ერთ სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირს არა აქვს უფლება, მიუთითოს მოსამართლეს, თუ როგორ გადაწყვიტოს მან ესა თუ ის საქმე. მოსამართლე ამას აკეთებს კანონის საფუძველზე და შინაგანი რწმენის შესაბამისად. იაპონიის კონსტიტუციის 76-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, „მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან და მოქმედებენ საკუთარი სინდისის შესაბამისად; ისინი შებოჭილნი არიან მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონებით.“² თუ ზემდგომი სასამართლო გააუქმებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, იგი ამ შემთხვევაშიც კი არ მიუთითებს, თუ კონკრეტულად, როგორ გადაწყვიტოს საქმე, ის განსახილველად ეგზავნება სხვა სასამართლო კოლეგიას, რომელიც ასევე შინაგანი რწმენის შესაბამისად გამოიტანს გადაწყვეტილებას.³

– სასამართლოში მიმართვის თავისუფლება;

მოსამართლეს უფლება არა აქვს კანონის არარსებობის ან კანონის ბუნდოვანების მოტივით, უარი თქვას საქმის განსახილველად მიღებაზე. სასამართლო მოვალეა, მიიღოს და განიხილოს სარჩელი თუ საჩივარი, მოსამართლეს შეუძლია უარი თქვას მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ საქმე არ არის მისი განსჯადი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგი მოვალეა, საქმე გადაუგზავნოს შესაბამის სასამართლოს;

– მართლმსაჯულების განხორციელების კოლეგიური ფორმა;

მომრიგებელი, საპოლიციო და სხვა სახის მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს მხოლოდ მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევებს. აქედან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, რომლებიც წყვეტენ „ფაქტის საკითხს,“ ხოლო სასჯელს ერთპიროვნულად უფარდებს პროფესიონალი მოსამართლე.

– სასამართლო პროცესის წარმოება მხოლოდ იმ ენაზე, რომელიც გასაგებია მხარეებისათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მათი უზრუნველყოფა თარჯიმნით სახელმწიფოს ხარჯზე;

მაგალითად, კანადის 1982 წლის კონსტიტუციური აქტის მე-14 მუხლის მიხედვით, პროცესში მონაწილე მხარე ან მოწმე, რომლებმაც არ იციან

1. *Конституции зарубежных государств, Москва, 1997, стр. 408.*

2. *იქვე, გვ 452.*

3. *Чиркин В. Е., Конституционное право зарубежных стран, Москва, 1996, стр. 306.*

სამართალწარმოების ენა ან არა აქვთ სმენა, უფლებამოსილნი არიან, მიმართონ თარჯიმნის დახმარებას.¹

– პროცესის სახალხო, ღია ხასიათი;

დახურული სხდომები ტარდება, თუ პროცესის დროს ნაპოიჭრება საკითხები, რომლებიც შეეხება სახელმწიფო საიდუმლოების ან მზარეთა ინტიმური ურთიერთობის საკითხებს. მაგალითად, იაპონიის კონსტიტუციის 82-ე მუხლით, სასამართლოებში საქმეთა განხილვა, გადანყვეტილებათა გამოქვეყნება წარმოებს ღია სხდომებზე. თუ სასამართლო კოლეგია ერთხმად გადანყვეტს, რომ პროცესის სახალხო ხასიათი საფრთხეს უქმნის საჯარო ნესრიგს ან მორალს, საქმე შეიძლება გაირჩეს დახურულ სხდომაზე. ამასთან, პოლიტიკურ დანაშაულებს, ბეჭდვით სიტყვასთან დაკავშირებულ დანაშაულებს, საქმეებს, რომლებიც მოქალაქეთა უფლებების დარღვევას ეხება, სასამართლო ყოველთვის იხილავს ღია სხდომაზე.²

– სასამართლო გადანყვეტილების გასაჩივრებისა და გადასინჯვის შესაძლებლობა;

აპელაციისას ხდება საქმის ხელახალი განხილვა არსებითად, პირველი ინსტანციის პროცედურით. ანგლოსაქსურ სისტემაში გამოიყენება აპელაცია, კონტინენტური სამართლის სისტემაში კი – მეორე ინსტანციის სახით – აპელაცია და მესამე ინსტანციის სახით – კასაცია. ავსტრიასა და გერმანიაში არსებობს ასევე საქმეთა განხილვის სარევიზიო წესი.

– სასამართლო შეცდომის შემთხვევაში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპი;

კერძოდ, სახელმწიფომ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უნდა აუნაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მას მიადგა მართლმსაჯულების არასწორი განხორციელებით. მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუციის 121-ე მუხლით, სასამართლო შეცდომის ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოების არამართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს სახელმწიფოს მიერ კანონის შესაბამისად.³ სახელმწიფოს აქვს რეგრესული სარჩელის უფლება იმ მოსამართლის მიმართ, რომლის ბრალეული მოქმედებითაც მიადგა ზიანი მოქალაქეს. ამ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსამართლეს გარდახდება იმ ოდენობის თანხა, რამდენიც სასამართლომ გადაუხადა სასამართლო შეცდომის შედეგად დაზარალებულ პირს.

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები განამტკიცებენ ზოგიერთ პრინციპს სისხლის სამართლის სფეროში, ე.წ. საპროცესო გარანტიების სახ-

1. Конституции зарубежных государств, Москва, 1997, стр. 472.
2. იქვე, გვ 453.
3. იქვე, გვ 329.

ით. ეს გარანტიები ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სასამართლო ანუ სახელმწიფო იძულება განსაკუთრებული სიმკაცრით სწორედ სისხლის სამართლის პროცესში ვლინდება. ეს პრინციპებია: ბრალდებულის უფლება, მისი საქმე განიხილონ ნაფიცო მსაჯულების მონაწილეობით; ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება დაკავების ან დაპატიმრების მომენტიდან; უფასო იურიდიული დახმარების უფლება, კანონით ვთავალისწინებულ შემთხვევებში; უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც თავის მხრივ, რამდენიმე ასპექტს შეიცავს: ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა მის მიმართ კანონის შესაბამისად გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლაამდე; ეჭვმიტანილი, ბრალდებული თუ განსასჯელი არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, არამედ ბრალმდებელს ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა; სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, ნებისმიერი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ ნაფიც მსაჯულებს აქვთ „კეთილგონიერი ეჭვი,“ რომ განსასჯელს არ ჩაუდენია დანაშაული, ისინი ვერ გამოიტანენ გამამტყუნებელ ვერდიქტს.

შეიძლება გამოვყოთ სხვა საპროცესო გარანტიებიც: არავინ არ შეიძლება გაასამართლონ ორჯერ ერთი და იმავე დანაშაულისათვის; კანონის დარღვევით მოპოვებულ მასალებს არა აქვს მტკიცებულების ძალა; კანონს, რომელიც აწესებს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, არა აქვს უკუქცევითი ძალა და სხვ. საპროცესო გარანტიები დეტალურადაა რეგლამენტირებული, მაგალითად, კანადის კონსტიტუციაში, კერძოდ, იმ კონსტიტუციურ აქტში, რომელიც ინგლისის პარლამენტის მიერ კანადისთვის იქნა მიღებული და გამოქვეყნებული 1982 წლის 17 აპრილს. ამ აქტის მე-7-14 მუხლები სწორედ საპროცესო გარანტიებს აწესებს. ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული პრინციპების გარდა, აქ საუბარია ისეთ დებულებებზე, როგორიცაა: ადამიანის უფლება, იცოდეს თავისი დაკავების ან დაპატიმრების მიზეზი, იცოდეს, თუ რაში სდებენ ბრალს; ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მისი ჩვენება არ გამოიყენონ სხვა სასამართლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ეხება ცრურწვენების მიცემას ან ფიცის დარღვევას.²

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში, 1868 წელს შეტანილი XIV შესწორებით, დამკვიდრდა „სათანადო სამართლებრივი პროცედურის“ ცნება. ამ შესწორების I მუხლის მეორე წინადადების თანახმად, „არც ერთ შტატს არ შეუძლია მიიღოს ან ცხოვრებაში გაატაროს ისე-

1. Конституции зарубежных государств, Москва, 1997, стр.470.

თი კანონი, რომელიც შელახავს შეერთებული შტატების მოქალაქეების პრივილეგიებზე უფლებებსა და ხელშეუხებლობას; არც რომელიმე შტატს აქვს უფლება, წაართვას ვინმეს სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე." ამ ცნების შინაარსში, ჩვეულებრივ, გულისხმობენ იმ უფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის IV, V, VI და VII შესწორებებით.¹ პრაქტიკულად კი, სათანადო სამართლებრივ პროცედურაში იგულისხმება მოთხოვნების, პრინციპების, ნორმებისა და პირობების ერთობლიობა, რომელიც უპირატესად სისხლის სამართალწარმოებისას არის სავალდებულო. ეს მოთხოვნები თავად აშშ-ის კონსტიტუციაშიც არის ფორმულირებული, კერძოდ, იმ პუნქტში, სადაც ხელისუფლებას ეკრძალება ისეთი კანონის მიღება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი შეიქნება ვინმეს დასჯა სასამართლოს გარეშე. აგრეთვე, ex post facto კანონის მიღება. გარდა ამისა, კონსტიტუციითვე ხელისუფლებას მოეთხოვება „ჰაბეას კორპუს“ ნორმის შესრულება და სხვ.

კონსტიტუციები სხვადასხვა მოცულობით ახორციელებენ სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხების რეგულირებას. ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუციით, სასამართლოს საქმიანობის ზოგადი კონტურებია ჩამოყალიბებული III მუხლში, რომელიც სამი კარისგან შედგება. სასამართლო გარანტიებზე კი, ძირითადად, პირველ ათ შესწორებაშია საუბარი. ამასთან, ორმოცდაათი შტატიდან თითოეულს აქვს საკუთარი კონსტიტუცია. ფედერალური კონსტიტუციის მსგავსად, ეს აქტებიც განამტკიცებენ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, რომლის თანახმად, შტატების წარმომადგენლობითი კრებები, ჩვეულებრივ, გენერალური ასამბლეები წარმოადგენენ საკანონმდებლო ორგანოს, გუბერნატორები – აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოს, სასამართლო სისტემა კი სასამართლო ხელისუფლებას განახორციელებს. ზოგიერთ შტატში სასამართლო სისტემის საფუძვლები, კერძოდ, დებულებანი პირველი და სააპელაციო ინსტანციების შესახებ, თავად კონსტიტუციითაა გათვალისწინებული, ზოგან კი კონსტიტუციები უშუალოდ წარმომადგენლობით ორგანოს აღჭურვავენ სასამართლო სისტემის შექმნის უფლებამოსილებით.

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის მე-7 კარში მოცემულია დებულებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, ხოლო IX კარით უმაღლესი თანამდებობის პირთა საქმეების განსახილველად, დაფუძნებულია სპეციალური სასამართლო ორგანო – მართლმსაჯულების უზენაესი პალ-

1. Боботов С.В., Конституционная Юстиция, Москва, 1997, стр. 46.

ატა. იტალიის 1947 წლის კონსტიტუციის IV თავი მაგისტრატურის საქმიანობას შეეხება. ამ თავის I კარში ქვეყნის სასამართლო წყობილებაა მოცემული, II კარში კი – სამართალწარმოების ზოგადი წესები. გერმანიის 1949 წლის ძირითადი კანონის IX კარში, რომელიც 92-104-ე მუხლებს მოიცავს, მართლმსაჯულების საფუძვლებია განსაზღვრული. ამ კარის პირველივე, 92-ე მუხლში დადგენილია, რომ „სასამართლო ხელისუფლება გადაეცემათ მოსამართლეებს და მას ახორციელებენ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, ფედერალური სასამართლოები და მინების სასამართლოები.“ ამავე კარშია განმტკიცებული საპროცესო გარანტიების ნაწილი. იაპონიის 1946 წელს პრომულგირებული კონსტიტუცია სასამართლო ხელისუფლების საკითხს მეექვსე თავს, კერძოდ, 76-82-ე მუხლებს უძღვნის. ესპანეთში 1978 წლიდან მოქმედი კონსტიტუცია სასამართლო ხელისუფლების ფუძემდებლურ ნორმებს VI კარის 117-127-ე მუხლები განსაზღვრავს.

სასამართლო ხელისუფლების სამართლებრივი ასპექტები განსაკუთრებით ვრცლად არის წარმოდგენილი საბერძნეთის 1975 წლის კონსტიტუციის მეოთხე კარში, რომელიც ორი თავისა და 14 მუხლისგან შედგება. პირველ თავში საუბარია ზოგადად სასამართლო ხელისუფლების, მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა თანამდებობის პირთა შესახებ, რეგლამენტირებულია მათი დანიშვნის, გადაადგილების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, ასევე სასამართლო თვითმმართველობის საკითხები, მეორე თავი კი სასამართლო სისტემას, მის ორგანიზაციასა და იურისდიქციას შეეხება. ავსტრიაში სასამართლო ხელისუფლება ჩართულია კონსტიტუციის იმ ნაწილში, რომელიც ეძღვნება ფედერაციის აღმასრულებელ ხელისუფლებას, რაც, ბუნებრივია, არ შეესაბამება ხელისუფლების დანაწილების კონცეფციას. ამასთან, შესაბამის ქვენაწილში საუბარია ყველა სასამართლოზე, გარდა ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო სასამართლოებისა, რომლებიც მიჩნეულია საჯარო სამართლის სასამართლოებად, იმ მოტივით, რომ ისინი აფასებენ მხოლოდ ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებს. ამ დროს, საერთო სასამართლოებთან მიმართებით ხელისუფლების დანაწილება გამყარებულია მოკლე ფორმულით: „მართლმსაჯულება გამიჯნულია მმართველობისაგან ყველა დონეზე“ (კონსტიტუციის 94-ე მუხლი). ადმინისტრაციულ და საკონსტიტუციო სასამართლოებთან დაკავშირებით, მსგავსი დებულებები ფორმულირებულია სპეციალურ ნაწილში, სადაც სასამართლოთა მხოლოდ ამ ორ სახეზეა საუბარი. ამ ნაწილს ეწოდება „მმართველობის კონსტიტუციურობისა და კანონიერების დაცვის გარანტიები.“¹

1. Лазирев В. В., Конституционный суд Австрии, «Государство и право», 1999, стр. 51.

90-იან წლებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, დემოკრატიული ცვლილებების გასამყარებლად, მიიღეს ახალი კონსტიტუციები. უპირველესად, მოხდა ძირითადი კანონების დეიდოლოგიზაცია და ისეთი სიტყვები, როგორცაა „სოციალიზმი“, „კომუნისმი“ და სხვა მსგავსი იდეოლოგიური დატვირთვის მქონე ტერმინები ამოიღეს აქტივობიდან. ამ ქვეყნების კონსტიტუციებში სხვადასხვა ხარისხით გამოვლინდა ლიბერალური და დემოკრატიული ტენდენციები. იქ, სადაც კომუნისტებმა და მათმა სამართალმემკვიდრებმა კონსტიტუციური რეფორმების პერიოდში შეინარჩუნეს ძლიერი პოზიციები, კანონებს ნაკლებად დაჰყვა დემოკრატიული პათოსი. ამის მაგალითად ბულგარეთის კონსტიტუციას ასახელებენ.¹ პოლონეთში კი, 1997 წლის კონსტიტუციის მიღებით, რადიკალური ლიბერალური დემოკრატიული კონსტიტუციური რეფორმა განხორციელდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთაგან უმრავლესობაში, მაგალითად, ალბანეთში, ლატვიაში, სლოვაკეთსა და უნგრეთში, საპარლამენტო რესპუბლიკა დამკვიდრდა, სადაც პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს. სასამართლო ხელისუფლება ამ რეგიონის თითქმის ყველა სახელმწიფოში იქნა რეფორმირებული და შედეგად, წინა პლანზე წამოინია ადამიანის უფლებების დაცვამ, გაძლიერდა მოსამართლეთა და მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ძირითადი გარანტიები.

პრაქტიკულად, ყველგან დანესდა საკონსტიტუციო იუსტიცია, ზოგან კი, მაგალითად, ბულგარეთში, პოლონეთსა და ჩეხეთში საკონსტიტუციო ინსტიტუტად იქცა ადმინისტრაციული იუსტიცია. ალბანეთის რესპუბლიკაში მოქმედებს კონსტიტუციური კანონი „ძირითადი კონსტიტუციური დებულებების შესახებ“, რომლის III თავი – „სასამართლო წყობა და საკონსტიტუციო სასამართლო“ – მთლიანად სასამართლო ხელისუფლებას ეძღვნება. მასში დადგენილია, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება ხალხის სახელით აქვეა მოცემული სასამართლო სისტემის, მოსამართლის სტატუსის, ადვოკატის საქმიანობასთან დაკავშირებული პრივილეგიები. იგივე საკითხებია დარეგულირებული ბულგარეთის კონსტიტუციის მე-6 თავში, უნგრეთის კონსტიტუციის მე-10 თავში, ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-6 ნაწილში, ლიტვის რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-9 თავში. რუმინეთის კონსტიტუციის მე-6 თავი ეძღვნება სასამართლო ხელისუფლებას და იგი სამი ნაწილისაგან შედგება: „სასამართლო ინსტანციები“, „პროკურატურა“, „მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო.“ სლოვენიის კონსტიტუციის ცალკე თავი ეძღვნება სახელმწიფო წყობილების რეგლამენტაციას, სასამართლო წყო-

1. Конституции государств центральной и восточной Европы, Отв.ред. Н.В. Варламова, Москва, 1997, стр. 9.

ბილებას კი ამ თავის ერთ-ერთი ქვეთავი განსაზღვრავს. პოლონეთის 1997 წლის 2 აპრილის კონსტიტუციის მე-8 ნაწილი – „სასამართლოები და ტრიბუნალები“ – ფართოდ აშუქებს ამ ქვეყნის სასამართლო სისტემას და მართლმსაჯულების აღსრულების პრინციპებს.

2-2. სასამართლო ორგანოების საპროცესო თავისებურებები

სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოები, განსხვავებით საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან, არ ქმნიან ქცევის ზოგად წესებს, აქედან გამონაკლისს მხოლოდ პრეცედენტი წარმოადგენს. სასამართლოებისთვის უცხოა აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობაც, ანუ უფლებამოსილებანი, რომელთა შესრულებაც აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება. სასამართლო ხელისუფლებას აქვს კონკრეტული, სამართალშეფარდებითი ხასიათი. სასამართლო იხილავს და წყვეტს კონკრეტულ საქმეებს და დევებს, რომლებიც წარმოიშვება საზოგადოებაში სხვადასხვა კონფლიქტის შედეგად, იგულისხმება სისხლის სამართლის საქმეები; ქონებრივი დევები; პოლიტიკური ხასიათის, როგორცაა პოლიტიკური პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებული დევები; ადმინისტრაციული საქმეები, როგორცაა მოქალაქეთა საჩივრები თანამდებობის პირთა მოქმედებაზე და სხვ. ამ დევებს სასამართლო განიხილავს კანონით დადგენილი საპროცესო წესით, რომლის დაცვას აქვს პრინციპული მნიშვნელობა: თუ დარღვეულია საპროცესო ფორმა, თუნდაც თავისი არსით სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილება გაუქმდება ზემდგომი სასამართლოს მიერ და საქმე დაბრუნდება ხელახალი განხილვისთვის სხვა ან იმავე სასამართლოში, იმ პირობით, რომ მას განიხილავს სასამართლოს განახლებული კოლეგია.

საპროცესო ფორმის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანგლოსაქსურ სამართლებრივ სიტყვაში, ვინაიდან საქმის განხილვა-გადაწყვეტისას პროცესუალური მოთხოვნების განუხრელი შესრულება, მკაცრი ფორმალიზმით გამორჩეული წესების დაცვა, აქ ჭეშმარიტების დადგენის უპირველესი ფაქტორია. განსაზღვრული პირობების არსებობისას, საქმე შეიძლება განსახილველად მიიღოს პირდაპირ ზემდგომმა სასამართლომ, თუ ის უპასუხებს უწყებრივი და სასამართლო განსჯადობის დადგენილ წესებს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილებას მიიღებს არა მთლიანად სასამართლო დანესებულება, არამედ კონკრეტული სასამართლო კოლეგია, ხოლო ერთმა მოსამართლემ მხოლოდ მცირე მნიშვნელობის საქმეები შეიძლება განიხილოს ერთპიროვნულად.

დადგენილი სასამართლო პროცედურის შესაბამისად, კოლეგია შეიძლება შედგებოდეს: მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეებისაგან, როდესაც სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა მნიშვნელოვან ნაწილს საზღვარგარეთის ქვეყნებში განიხილავენ კოლეგიები 3-5 პროფესიონალი იურისტის შემადგენლობით; ერთი ან რამდენიმე მოსამართლისა და ცალკეულ შემთხვევაში, დადგენილი თანაფარდობის გათვალისწინებით, 6-9-12 ან 24 ნაფიცი მსაჯულის შემადგენლობით. მაგალითად, საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განხილვა ხდება 3 მაგისტრისა და 9 ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობით. ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნებში პროცესში მონაწილეობს ერთი მოსამართლე და ორი სახალხო მსაჯული, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში – ექვსი ან ცხრა მსაჯული, შვეფენი ან ასიზი, ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში მოსამართლე და 12 მსაჯული. თუ სახალხო მსაჯულებს მოსამართლის თანაბარი უფლებები აქვთ და გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღება, ნაფიცი მსაჯულები, ცალკეული გამოწვევის გარდა, მონაწილეობას იღებენ მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესში და წყვეტენ საკითხს განსასჯელის ბრალეულობა-არაბრალეულობის შესახებ, ე.ი. იხილავენ არა სამართლის, არამედ ფაქტების შეფასების საკითხს, ხოლო სასჯელის ზომას მოსამართლე განსაზღვრავს.

სასამართლო წყვეტს სხვადასხვა დავას, კონფლიქტს მხოლოდ ფიზიკურ ან მხოლოდ იურიდიულ პირებს შორის, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, იხილავს სამართალდარღვევებს. კოლეგიის წევრებს გადაწყვეტილება გამოაქვთ კანონისა და შინაგანი რწმენის მიხედვით. შინაგანი რწმენის ფორმირებას მოსამართლის ცხოვრებისეული გამოცდილება და განათლება უდევს საფუძვლად, იგი გამოვლინდება კონკრეტული საქმის განხილვის დროს. სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისას გამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც მართლმეგნებას, ასევე შინაგან რწმენას და მათი რეალიზაცია ხდება სასამართლო განაჩენში, განჩინებასა და გადაწყვეტილებაში.

სასამართლო უპირველეს მიზნად ისახავს თავისი საქმიანობით უზრუნველყოს სამართლის უზენაესობა. იგი აღჭურვილია ისეთი უფლებამოსილებით, რომელიც არა აქვს არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელ ხელისუფლებას. საკუთარი გადაწყვეტილებით, მას ჩადენილი დანაშაულისთვის შეუძლია წაართვას ადამიანს თავისუფლება და სიცოცხლეც კი, ჩამოართვას ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს საკუთრება, გააუქმოს პოლიტიკური პარტია, შეაცვლევინოს სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილება, ჩამოართვას უღირს მშობელს მშობლის უფლება და ა.შ. ამიტომ მნიშვნელოვანია საზოგადოებაში არსებობდეს სამართლისა და

სასამართლოს პატივისცემა. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს დანაშაულის სპეციფიკურ შემადგენლობას, როგორცაა „უპატივეცემულობა სასამართლოსადმი“ ან „სასამართლოს შეურაცხყოფა.“

სასამართლო ხელისუფლების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს არსებობა, გულისხმობს სასამართლო თვითმმართველობას, ე.ი. არსებობენ სხვადასხვა სახის ორგანოები – მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო, საერთო-სახელმწიფოებრივი მოსამართლეთა საბჭო, უმაღლესი საკვალიფიკაციო სასამართლო კოლეგია, იუსტიციის საბჭო, სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო და სხვ. ეს ორგანოები წყვეტენ მოსამართლეთა სამსახურიდან დათხოვნის, გადაყენების, დანიშნულების, სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანის, დისციპლინური წესით სასჯელის დადების საკითხებს. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, როგორც წესი, ამ საკითხების გადაწყვეტის უფლება არა აქვთ, თუმცა მათ შეუძლიათ აირჩიონ ან დანიშნონ მოსამართლეები.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან სასამართლო ხელისუფლების განსხვავებულ ბუნებას ნათლად დაეინახავთ, თუ ხელისუფლების სამივე შტოს პოლიტიკასთან, პოლიტიკურ პროცესთან მმართველაში განვიხილავთ. საკანონმდებლო ხელისუფლება პირდაპირ კავშირშია პოლიტიკასთან, იგი განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. პარლამენტის წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არიან. აქედან გამომდინარე, განსაზღვრული პოლიტიკური იდეების, შეხედულებების პროპაგანდისა და ცხოვრებაში დამკვიდრებისაკენ ისწრაფვიან. ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტში ლობიზმის ინსტიტუტიც საკმაოდ ფართოდ გამოიყენება. აღმასრულებელი ხელისუფლება ასევე პირდაპირ მონაწილეობს პოლიტიკურ პერიპეტიებში, საგრძნობია მის საქმიანობაზე პოლიტიკური ზენოლა პარტიების მხრიდან. სასამართლო ხელისუფლებაზე ნებისმიერი სახის ზენოლა, რომელიც გავლენას მოახდენს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, გამორიცხული უნდა იქნეს.

მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუციური ნორმების თანახმად, ასეთი საქციელი ისჯება კანონით. და მაინც, ეს ტენდენცია უცხო არ არის უმაღლესი სასამართლო ორგანოების საქმიანობაში, განსაკუთრებით კი საკონსტიტუციო ზედამხედველობის პრაქტიკაში. მაგალითად, აშშ-ში თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, კერძოდ, 1890-1937 წლებში, უმაღლესი სასამართლო წარმატებით იცავდა მენარმეთა ინტერესებს კონგრესის მიერ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას. იგი აფერხებდა საკანონმდებლო ორგანოს მცდელობას, შეეზღუდა სამენარმეო ინიცია-

ტივის თავისუფლება. სასამართლომ არაერთხელ დაადო ვეტო კონგრესის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, იგი ცდილობდა, შემოეღო ფედერალური საშემოსავლო გადასახადი და ცხოვრებაში გაეტარებინა ანტი-ტრესტული კანონმდებლობა. თუ 80-იან წლებამდე აშშ-ის უმაღლესი სასამართლო თავისი გადაწყვეტილებებით ლიბერალური კურსის მხარდამჭერად გვევლინებოდა, ამ პერიოდიდან მის საქმიანობას აქვს შედარებით კონსერვატული ხასიათი, რომელსაც „ლეგალისტურს“ უწოდებენ: იგი მყარად დგება იმ პოზიციაზე, რომ ცვალებადმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ არ შეარყიოს აშშ-ის კონსტიტუციური დოქტრინა.¹

1980 წლის შემდეგ, უმაღლესმა სასამართლომ სწორედ კონსერვატული პოზიციებიდან განიხილა სამი საკონსტიტუციო საკითხი, დაკავშირებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან: საკანონმდებლო ვეტოს გამოყენების საკითხი; საბიუჯეტო დეფიციტის შეკვეცის ახალი მექანიზმის საკითხი; სახელმწიფო უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოსაძიებლად დამოუკიდებელი პროკურორის დანიშვნის საკითხი. ბევრი დასავლეთეუროპელი იურისტი, თანამედროვე სახელმწიფოში საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობის შეფასებისას, როგორც წესი, გამოყოფს მისთვის იმანენტურად დამახასიათებელი პოლიტიკური კონფლიქტების გადაწყვეტის, ე.წ. სამომრიგებლო ფუნქციას. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ბენდა და შმუდე ასევე აღნიშნავენ სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში სასამართლოს „მომრიგებლობით, ინტეგრირებით“ ფუნქციას,² რის შედეგადაც სასამართლო გვევლინება საზოგადოებისა და სახელმწიფოში სტაბილურობის გარანტიად.³

იმთავითვე არსებობდა საკონსტიტუციო სასამართლოების პოლიტიზაციის საფრთხე. სწორედ ამიტომ მრავალი ქვეყნის კონსტიტუციებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში ჩადებული დებულების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოებს არა აქვთ უფლება, განიხილონ პოლიტიკური საკითხები. რუსეთის ფედერაციის 1994 წლის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის ერთ-ერთი ნაწილის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს მხოლოდ და მხოლოდ სამართლის საკითხებს.“⁴

1. ს.ბობოტოვი, მითითებული ნაშრომი, გვ.40.

2. იქვე, გვ.74.

3. Benda E., *Die Rechtsprechung braucht Grundertrauen*, 21–11, 1976.

4. *Судостроительство. Сборник нормативных документов. Составители А.Сергеев. А.Рижков, Москва, «Белые Алысы», 1995 г., стр. 79.*

სასამართლო ხელისუფლებას აქვს როგორც სუსტი, ასევე ძლიერი მხარე. ეს არის ძლიერი ხელისუფლება, რადგან მოცემულ სახელმწიფოში მხოლოდ მას აქვს უფლება, შეზღუდოს ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც აღიარებულია სამართლის სუბიექტების სასარგებლოდ. სასამართლო ხელისუფლების სუსტი მხარე კი იმაში ელინდება, რომ აქ, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების შემთხვევაში, არ ხდება სასამართლო ორგანოების ფორმირება უშუალო დემოკრატიის ფორმით – არჩევნების გზით. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში ქვედა რგოლის მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები შეიძლება აირჩიონ მოქალაქეებმა. სასამართლო ხელისუფლებას არა აქვს ისეთი ძალისმიერი მექანიზმი, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებას: სასამართლო აღმასრულებლის ინსტიტუტი შედარებით სუსტ აპარატს წარმოადგენს. სასამართლო ხელისუფლების სიმტკიცე და სიძლიერე ელინდება კანონის უსიტყვო შესრულებით, სასამართლო გადაწყვეტილების პატივისცემის სავალდებულო ხასიათით, მისი ხელშეუხებლობით. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა სახელმწიფოში არ არსებობს მსგავსი დამოკიდებულება სასამართლო ხელისუფლების მიმართ. იგი დამახასიათებელია ხანგრძლივი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებისთვის, სადაც სამართლის ბატონობის პრინციპი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების საფუძვლად აღიქმება.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, კანონით უზრუნველყოფილ სხვა სიკეთეთა სასამართლო დაცვა, მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება, მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებთანაა დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო სისტემა მაქსიმალურად უნდა ზღუდავდეს საკითხის გადანყვეტის გაჭიანურების განმაპირობებელ ფაქტორებს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს საქმეთა გაუთავებელ გადაცემას ერთი ინსტანციიდან მეორეში და პირიქით. ნლების მანძილზე სასამართლო პროცესის გაჭიანურება უარყოფითად მოქმედებს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტზე.

ამ გარემოების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად, სასამართლოს ქვემდებარე საქმეების მოცულობის ზრდა გვევლინება. მაგალითად, დაწყებული 60-იანი წლებიდან, ეს ფაქტორი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად განიხილება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უკანასკნელ 30 წელიწადში გასამმაგდა პირველ ინსტანციაში განსახილველ საქმეთა რაოდენობა. ამის შედეგად შეიქმნა ვითარება, რომლის მიხედვით, ზოგჯერ ხუთი წლის ლოდინია საჭირო, სანამ სასამართლო შეუდგება კონკრეტული საქმის განხილვას. ამ მხრივ კიდევ უფრო გართულებულია სიტუაცია სააპელაციო სასამართლოებში. ზემოაღნიშნულს მრავალი მიზეზი აქვს,

მათ შორის, მოსახლეობის ზრდა, ცხოვრების დონის ამაღლება, სახელმწიფოებრივი რეგულირების არეალის გაფართოება, ოჯახის, ეკლესიის, სკოლის და სხვა სოციალური ინსტიტუტების გავლენის შემცირება, აგრეთვე, საზოგადოებაში რასობრივი, რელიგიური და სხვა სახის უთანხმოებების მატება. ამ მოვლენებმა განაპირობა სასამართლოებში ახალი თანამდებობების შემოღება, სასამართლო მოხელეთა რაოდენობის ზრდა და სასამართლო პროცედურის შეცვლა-განახლება. ყველაზე უფრო გადატვირთულმა პირველი ინსტანციის სასამართლოებმა შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული საქმისწარმოების ტრადიციული პროცედურის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია მოახდინეს.

აღნიშნული სიახლეების მიხედვით, სასამართლო განხილვის ცალკეული საკითხები მხარეთა წარმომადგენლების მიერ განისაზღვრება, ხოლო მოსამართლე მიუკერძოებელი არბიტრის როლში გვევლინება. ამჟამად, მოსამართლეები მხარეთა წარმომადგენლებს ეთათბირებიან, ადრეულ სტადიაზე საქმეზე ანესებენ კონტროლს, განსაზღვრავენ საქმის სასამართლომდელი წარმოების გრაფიკს და ცდილობენ, დროისა და თანხების დაზოგვის უზრუნველსაყოფად, წაახალისონ დავების გადაწყვეტა სასამართლო პროცესის დაწყებამდე. სააპელაციო სასამართლოების ქვემდებარე საქმეების ზრდამ კი ორი სიახლის შემოღება განაპირობა.¹ უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სამტატო იურისტის თანამდებობის შემოღება, რომლებიც, განსხვავებით მოსამართლის თანაშემწე კლერკებისგან, მთლიანად სასამართლოს ემსახურებიან. კერძოდ, სამტატო იურისტები წინასწარ იხილავენ საჩივრებს, ამზადებენ დასკვნებს კონკრეტულ საქმეებზე და შეიმუშავენ გადანყვეტილებათა პროექტებს. მეორე სიახლე გამარტივებული, ე.წ. შეზღუდული პროცედურების დანესებაში მდგომარეობს, რაც გულისხმობს მარტივი საჩივრების განხილვას შემოკლებული პროცედურით, მხარეთა მოსმენისა და მოსამართლეთა ოფიციალური თათბირის გარეშე. ამ დროს, სასამართლო ძირითადად ადვოკატთა წერილობით წარდგინებებს ან სასამართლო მოხელეების მიერ მომზადებულ რეზიუმეს ემყარება. მსგავს საქმეებზე გამოტანილი გადანყვეტილებანი ლაკონიურობით გამოირჩევა. რაც შეეხება რთულ საქმეებს, ისინი სრულად გაივლის ტრადიციულ პროცედურას, რომელიც მოტივების წერილობით განცხადებას, მოსამართლეთა თათბირს, გადანყვეტილებათა დეტალურ დასაბუთებას მოიცავს. დღევანდელ ეტაპზე სააპელაციო სასამართლოთა უმრავლესობაში გადანყვეტილებანი მეტწილად ზეპირი წარმოების გარეშე მიიღება და ისინი, როგორც წესი, მოკლე წერილობითი დოკუმენტის ფორმას ატარებს.

¹ *Дениэл Джон Мидор, Американские суды, Спит-Пол, Миннесота, 1991, стр.7.*

როგორც ვხედავთ, აშშ-ში ობიექტურად შექმნილი კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად ეფექტური ფორმები გამონახეს. ამასთან, განსაკუთრებით გაიზარდა მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირების პროფესიონალიზმისა და პატიოსნების მნიშვნელობა. აღნიშნული მოთხოვნა ყველა დროისა და ყველა ფორმის, განვითარების ნებისმიერ დონეზე მყოფი სახელმწიფოს პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენდა და დღესაც ასეთად რჩება, ვინაიდან მიუკერძოებელი და ობიექტური მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირება მთლიანად სახელმწიფო მექანიზმის ეფექტურობისა და ქვეყანაში კანონიერების პრინციპის დაცვის უმთავრესი აუცილებელი წინა პირობათაგანია.

სასამართლოები ზნეობრივად უმნიშვნელო, კანონის ზედმინევებით მცოდნე, პრინციპული პიროვნებებით უნდა კომპლექტდებოდეს. ამ მოთხოვნების რეალიზება ყველაზე უფრო სრულყოფილად შესაძლებელია მოსამართლეთა საკონკურსო წესით შერჩევისას, ასევე მოსამართლეთა პერიოდული ატესტაციით. ამასთან, აღნიშნულ სფეროში უნდა გამოირიცხოს კორუფციისა და არაობიექტურობის შესაძლებლობის პირობები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება მთელ რიგ სიძნელებთანაა დაკავშირებული: ადგილი აქვს მათ იგნორირებას; სასამართლოები არ სარგებლობენ სათანადო ავტორიტეტით; მათი მატერიალური უზრუნველყოფა მეტად მწირია. აქედან გამომდინარე, საზღვარგარეთის ქვეყნებში განსხვავებულია სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების დონე. იქ, სადაც არსებობს ხანგრძლივი და მყარი დემოკრატიული ტრადიციები, სასამართლო სარგებლობს დიდი ავტორიტეტით, შესაბამისად, მაღალია გადაწყვეტილებათა შესრულების ხარისხი და დონე.

განვითარებად ქვეყნებში, პოსტსოციალისტურ, პოსტკოტალიტარულ სახელმწიფოებში სასამართლოს ავტორიტეტი შედარებით დაბალია. მოქალაქეები ხშირად გაურბიან სასამართლოში მიმართვას და სარგებლობენ კონფლიქტის გადაჭრის სხვა მეთოდებით, მათ შორის, ძალისმიერი მეთოდებით. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის, სადაც უპირატესობას ანიჭებენ დავების გადაჭრის ტრადიციულ მეთოდებს, ხშირად ეს ხდება ტომთა ბელადების, უხუცესების, გამოსასყიდის, სისხლის ალების გზით. ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნებში სასამართლო იმყოფება კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური ხელმძღვანელობის ქვეშ და ვალდებულია, შეასრულოს ყველა მისი მითითება. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ პარტიულ ორგანოებს ეკრძალებათ კონკრეტულ საქმეთა სასამართლო განხილვაში ჩარევა, პრაქტიკულად, ამას ხშირად აქვს ადგილი. ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების

დროს სასამართლოს მნიშვნელობა კნინდება კიდევ ერთი გარემოების გამო: იქნება არასასამართლო ორგანოები პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასასწორებლად.

კონკრეტულ სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტზე ორი გარემოება ახდენს განსაკუთრებულ გავლენას. პირველი შეეხება ტრადიციების, ადათების, ჩვეულებების განსაკუთრებულ როლს მოცემული ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. რაც უფრო დიდია მათი მნიშვნელობა, მით უფრო იზრდება ლატენტური დავებისა თუ სამართალდარღვევების მოცულობა, რომელთა განხილვა-გადანყვეტა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებით, არასახელმწიფოებრივი მექანიზმების მეშვეობით ხორციელდება. მეორე გარემოება პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო რეჟიმის თავისებურებებს, კერძოდ, იმ ვითარებას, დაფუძნებულია თუ არა სახელმწიფო ხელისუფლება დემოკრატიზმის პრინციპზე და ხალხის ნების გამოხატულებას წარმოადგენს, თუ ეს სისტემა ძალადობას ემყარება და ერისთვის თავსმოხვეულ, მისი ფსიქიკისათვის მიუღებელ ნყოფას განამტკიცებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლო ორგანოებიც სწორედ ტოტალიტარული სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს და არც უნდა გვიკვირდეს, რომ მართლმსაჯულების ავტორიტეტი და მისი პატივისცემა ადგილს უთმობს შიშს საძულველი სისტემის მიმართ. საერთოდ, ამ მომენტის პრევალირება ტოტალიტარული სახელმწიფოების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია, მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების პრაქტიკა ამის ნათელ დასტურად გამოდგება. ეს ორი პარამეტრი უნდა გავითვალისწინოთ პოსტსოციალისტური, პოსტსაბჭოთა სივრცის ახალფეხადგმულ დემოკრატიებში სასამართლო ხელისუფლების არაერთგვაროვანი სტატუსის, პრესტიჟისა და ავტორიტეტის, მათი გრადაციის გასაანალიზებლად და შესაფასებლად, იქნება ეს აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის რეგიონისა თუ შუა აზიის სახელმწიფოები.

გლობალური და ფუნდამენტური ფაქტორების გარდა, სასამართლოს ავტორიტეტულობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესთან დაკავშირებული ყოველი დეტალის მაქსიმალურად სრულყოფილი ფორმა განაპირობებს. ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში, ინგლისში მიღებული თავისუფლების დიდი ქარტია სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოს რეზიდენციად ვესტმინსტერის სასახლეს აცხადებდა. ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ადმინისტრაციული განკარგულება, დიდი დატვირთვის მქონე, სიმბოლური მნიშვნელობის დოკუმენტად გვესახება. 1215 წლის ამ აქტით, ავტორებმა გამოაცხადეს, რომ სასამართლო უნდა ფუნქციონირებდეს გამორჩეულ საზოგადოებრივ შენობაში, რომელიც თვალსაჩინო ადგილას მდებარეობს და ყვე-

ლასთეის ცნობილია. ეს იდეა არა მხოლოდ ინგლისში, არამედ, კონტინენტურ ევროპასა და აშშ-იც იქნა რეალიზებული. აშშ-ის ფედერალურ და შტატების სასამართლოებს აღიარებენ საერო სამართლის ინგლისური სამართალწარმოების სტილის, პროცედურისა და შინაარსის ერთ-ერთ უპირველეს უფლებამემკვიდრეებად.

როგორც ამერიკელი ავტორები აღნიშნავენ, ატლანტიკიდან წყნარ ოკეანემდე გადაჭიმულ სივრცეში, ნებისმიერი ადმინისტრაციული ცენტრის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ სანახაობას სასამართლოს შენობა წარმოადგენს, რომლის სიახლოვესაც, ჩვეულებრივ, ეკლესია მდებარეობს'. ესეც ერთგვარი სიმბოლური მინიშნებაა იმ გარემოებაზე, რომ ამ ქვეყნის ახალმოსახლეებისა და აღმშენებლებისთვის კანონი და რელიგია იმთავითვე თანაბრად პატივისცემ და განუხრელად დასაცავ ფასეულობებს წარმოადგენდა. ყოველივე თქმული განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან. პოსტტოტალიტარულ სახელმწიფოებში მიმდინარე სასამართლო რეფორმას თან უნდა სდევდეს იდეოლოგიური ხასიათის გარდატეხა და ძვრები, ამ პროცესში კი არცთუ უმნიშვნელო როლის შესრულება შეუძლია, ერთი შეხედვით, ისეთ დეტალს, როგორც სასამართლო დაწესებულების იერსახეა.

სასამართლო ორგანოების მიერ სამართლის განხორციელების საქმეში კიდევ ერთ პრობლემად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მართლმსაჯულების ორგანოში მიმართვა, როგორც წესი, მხარეებისთვის არის ფასიანი და სასამართლო პროცესი საკმაოდ ძვირადღირებულია. გამოთვლებით დადგენილია, რომ აშშ-ის პირველ ინსტანციაში სასამართლო პროცესის ერთი საათი 300 დოლარი ჯდება. ცნობილი ადვოკატები ერთსაათიან კონსულტაციაში 500 და მეტ დოლარს ითხოვენ, როდესაც საკითხი ეხება შედარებით რთულ სამენარმეო, სავაჭრო, ასევე სამემკვიდრეო საქმეებს. დიდ ბრიტანეთში ადვოკატის საქმიანობის ერთი საათი საადვოკატო კანტორებში შეფასებულია 30-60 გირვანქა სტერლინგად, ამასთან, მხედველობაში მიიღება სატელეფონო საუბრებისა და მგზავრობის ხარჯები და მოცდენილი დროის საფასური, დაახლოებით 20 გირვანქა სტერლინგი ერთ საათში, ხოლო დრო, რომელსაც ადვოკატი სასამართლოში ხარჯავს, შეფასებულია ერთი საათი 40 გირვანქა სტერლინგად.¹ ამიტომ ყველა სახელმწიფოში პრობლემატურია საზოგადოების ღარიბი ფენების სამართლებრივი მომსახურებით უზრუნველყოფის საკითხი. როგორც

1. დენიელ ჯონ მიდორი, მითითებული ნაშრომი, გვ. 67.
2. ვაირკინი, მითითებული ნაშრომი, გვ. 297.

ნესი, ზოგიერთ შემთხვევაში, გათვალისწინებულია უფასო იურიდიული დახმარება – საადვოკატო მომსახურება, ხოლო ზოგიერთი სარჩელი, როგორც არის ალიმენტის საქმეები, შრომითი დავები და სხვ., არ ექვემდებარება სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებას.

ყოველ ქვეყანაში არსებობს სხვადასხვა სახის იურიდიული დანესებულებები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უწყობენ სასამართლო ხელისუფლების ფუნქციების განხორციელებას. აქ იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, პროკურატურა, ადვოკატურა, ასევე, მოკლევადისა და გამოძიების ორგანოები, ნოტარიატი და სხვ. ზოგიერთი მათგანი შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლო ხელისუფლების დანესებულებას, როგორადაც მთელ რიგ ქვეყნებში პროკურატურა მოიაზრება, ან იმყოფებოდეს მის გამგებლობაში, როგორც, მაგალითად, ადვოკატურა. შესაძლებელია იურიდიული ორგანო აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში ფუნქციონირებდეს, იქნება ეს, მოკლევადისა და გამოძიების ორგანო თუ ნოტარიატი. ზოგიერთ მათგანზე ჩვენ უფრო დეტალურად ქვევით ვისაუბრებთ.

XXI საუკუნის მიჯნაზე სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელობის ზრდას განაპირობებს რთული სასამართლო პროცესების სიმრავლე. ამ ტერმინით აღნიშნავენ თავიანთი მასშტაბითა და სირთულის ხარისხით ძირითადი მასისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ საქმეებს.

ჩვეულებრივი სამართალწარმოებისას პირი სარჩელს აღძრავს ერთი ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, წარადგენს რა ერთ ან მეტ პრეტენზიას. ამ დროს იურიდიული და ფაქტობრივი საკითხები შედარებით იოლად დგინდება, ხოლო სასამართლოს მთელი ძალისხმევა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისკენ არის მიმართული. პროცესი ამ შემთხვევაში მთავრდება მოსარჩლის ან მოპასუხის სასარგებლოდ. შემდეგ კი შესაძლებელია გადაწყვეტილების გასაჩივრება. მსგავსი საქმეები შეადგენს საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ განსახილველ საკითხთა ძირითად ბირთვს. ამასთან, სულ უფრო და უფრო რთულდება სასამართლო პროცესის ცალკეული სახეები, განსაკუთრებით, სამოქალაქო პროცესის წარმოებანი. ეს ეკონომიკური, სამეურნეო ურთიერთობების გართულებებითა და მათი ახალი ფორმების დამკვიდრებით, აგრეთვე, გარკვეულწილად, ტექნიკური პროგრესითაც აიხსნება. სასამართლო ორგანოების წინაშე მდგარი პრობლემები, რომლებიც აღნიშნული სახის საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისას წარმოიშვება, განსაკუთრებით თვალსაჩინო შეიქნება აშშ-ის სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შემდეგ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში რთული სასამართლო პროცესის რამდენიმე ნაირსახეობა გამოიყოფა. ერთ-ერთი მათგანი რომელიმე

კონკრეტულ შემთხვევასთან არის დაკავშირებული, მაგალითად, სამოქალაქო საპაერო ხომალდის დაღუპვასთან ან მრავალსართულიან შენობაში მომხდარ ხანძართან. მსგავსი შემთხვევები, კერძოდ, მასობრივი სამოქალაქო სამართალდარღვევები, არცთუ იშვიათად ასობით ადამიანის სიკვდილსა და დასახიჩრებასთან არის დაკავშირებული. თითოეული დაზარალებულის და ასევე გარდაცვლილის სამკვიდრო შეიძლება იქცეს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული სარჩელების საფუძვლად. მაგალითად, საპაერო ხომალდის კატასტროფის შემთხვევაში, 300 ან 400 მგზავრს ან მათ მემკვიდრეებს შეუძლიათ წარუდგინონ პრეტენზია საავიაციო კომპანიას ვალდებულებათა არასათანადოდ შესრულების მოტივაციით ან მწარმოებლებს მოსთხოვონ ზარალის ანაზღაურება უხარისხო პროდუქციის, მაგალითად, საავიაციო ძრავებისა თუ სანავიგაციო ხელსაწყოების გამოშვებისათვის, ანდა სარჩელი აღძრან მთავრობისა თუ აეროპორტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ფრენის არასათანადო მართვისათვის. მოსარჩელები ამ შემთხვევაში, როგორც წესი, სხვადასხვა შტატის მოქალაქეებს წარმოადგენენ, მოპასუხეთა პასუხისგებაში მიცემაც შესაძლებელია სხვადასხვა შტატში განხორციელდეს. ამგვარად, როგორც წმინდა თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისითაც, სასამართლო პროცესმა შეიძლება მთელი ქვეყნის ტერიტორია მოიცვას, რაც თითოეული ბრალდებულის მიმართ ასობით სარჩელის აღძვრაში გამოიხატება ათობით შტატში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეეხება როგორც შტატების, ასევე ფედერალურ სასამართლოებს. ამასთან, ფედერალურ სასამართლოებში აღძრული კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული საქმეები შესაძლებელია ერთ წარმოებად გაერთიანდეს რომელიმე ფედერალურ საოლქო სასამართლოში.

მასობრივი სამოქალაქო სამართალდარღვევის კიდევ ერთი სახეა უხარისხო პროდუქციის, მაგალითად, ამა თუ იმ სახეობის წამლის ან ავტომობილის ცალკეული მაკომპლექტებელი დეტალის გამოშვება. თუ არ არის დაცული სათანადო ტექნოლოგიები და უსაფრთხოების პირობები, მაშინ ნებისმიერი მათგანი ათასობით ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, რადგან განსხვავებით ზევით აღნიშნული ერთომენტთან დარღვევისაგან, აქ ზიანის მიყენება პერიოდულად, მრავალი წლის მანძილზე სხვადასხვა დროსა და ადგილას გრძელდება. ფედერალურ სასამართლოებს ამ შემთხვევაშიც ძალუძთ საქმეთა ერთ წარმოებაში გაერთიანება, თუმცა ეს იშვიათად ხდება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, მიყენებული ზიანის დროსა და სივრცეში გავრცელება საკითხის ერთ წარმოებაში გადაწყვეტას შეუძლებელს გახდის ან კიდევ უფრო გაართულებს. ამას გარდა, მოპასუხეებს ათასობით პრეტენზია წარედგ-

ინებათ უცნობი მოსარჩლეებისაგან დროის შეუზღუდავ პერიოდში. სასამართლო პროცესების უწყვეტი ციკლის პერსპექტივა კი ნამდვილად არასახარბიელო გარემოებას წარმოადგენს, თუ გავითვალისწინებთ სასამართლო პრეცედენტის მოქმედების თავისებურებებს აშშ-ში.

უფლებათა მასობრივ დარღვევას შესაძლებელია ადგილი პქონდეს ვაჭრობისა და ფინანსების სფეროში. ყველაზე გავრცელებულია შემთხვევა, რომლის დროსაც მსხვილ კორპორაციას ან საბირჟო მაკლერს ბრალად ედება აქციონერთა ან კლიენტთა მოტყუება. მსგავსი უკანონო მოქმედებით ზარალდება ასობით ათასი ადამიანი, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ თითოეული პირის მიერ განცდილი ზარალი შესაძლებელია უმნიშვნელო იყოს. ერთიანი გადანყვეტილების მიღება აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე შედარებით მარტივად მიიღწევა, თუ რამდენიმე პირი საქმეს აღძრავს ყველა დაზარალებულის სახელით და საქმეც, შესაბამისად, ერთი სასამართლო პროცესის მსვლელობისას გადანყდება. სასამართლო ამ შემთხვევაშიც არ არის დაზღვეული პროცესუალური გართულებებისგან, რაც, მაგალითად, გიგანტური პროცესის ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული. საერთოდ, ეს პრობლემა საზღვარგარეთის უკლებლივ ყველა ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი, ვინაიდან, ჩვეულებრივ, საქმეთა განსახილველად კონსტიტუირებული სასამართლო პროცესი ძნელად უმკლავდება მასობრივ პრეტენზიებთან დაკავშირებულ საქმეებს.

ერთული სასამართლო პროცესის კიდევ ერთ ნაირსახეობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ეჭვის ქვეშ დგება დიდი საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და პროგრამების, მაგალითად, სასწავლებლების, ფსიქიატრიული საავადმყოფოების, ციხეებისა და სოციალურ-საზოგადოებრივი სისტემის ფუნქციონირების კანონიერება. ასეთ საქმეთა უმრავლესობას ფედერალური სასამართლოები განიხილავენ. როგორც ნესი, მოსარჩლეები ამტკიცებენ, რომ დაწესებულების საქმიანობა ან პროგრამის განხორციელება დაკავშირებულია შტატის ხელისუფლების მიერ ფედერალური კონსტიტუციის დარღვევასთან. სასამართლო დაცვის ზომა ამ შემთხვევაში ვერ გამოვლინდება ერთი ისეთი გადანყვეტილების ფორმით, რომელიც ბრალდებულს დააკისრებდა ან აუკრძალავდა განსაზღვრული მოქმედების შესრულებას. თუ საჩივარი დასაბუთებულია, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს დაწესებულების საქმიანობის არსებითი გარდაქმნის აუცილებლობა და, ამასთანავე, ხანგრძლივი დროის მანძილზე გააკონტროლოს საკუთარი გადანყვეტილების შესრულება. მსგავს საქმეებს სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ, როგორიცაა „ინსტიტუციური სასამართლო პროცესები“, „საქმეები ხანგრძლივი მოქმედების შედეგებით“, ან „საჯარო სამართლის სასამართლო პროცესები.“ ამ შემთხვევებშიც, ტრადიციული სასამართლოს სტრუქტურა არ არის მომართული

მრავალმხრივი და ფართო სექტორის მქონე დავების გადასაწყვეტად. გარდა ამისა, ეს პროცესები ხშირად პოლიტიკურ ელფერსაც იძენს, ვინაიდან ფედერალური მოსამართლეები იძულებულნი არიან, შტატების თანამდებობის პირებს მიუთითონ მნიშვნელოვანი დანესებულებების მმართველობის ფორმებისა და საშუალებების შეცვლის აუცილებლობის შესახებ. ეს კი არსებითად, დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფის შესახებ შტატების საკანონმდებლო ორგანოთა მიმართ წარდგენილ მოთხოვნას უთანაბრდება.

რაოდენობისა და ხვედრითი წილის მიხედვით, რთული სასამართლო პროცესები აშშ-ის პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა მცირე ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ მათი მნიშვნელობა და ჩასატარებლად აუცილებელი ხარჯების ოდენობა ერთობ მაღალია. მსგავს საქმეებში მრავალი ადვოკატია დაკავებული. მსგავსი პროცესების დროს გადაწყვეტილების მიღება დიდხალ დროს მოითხოვს და ორგანიზაციულ, აგრეთვე ფინანსურ სირთულეებთან არის დაკავშირებული, პრობლემები ახლავს მიღებული გადაწყვეტილების შესრულების გაკონტროლების პროცესსაც. მაშინ, როდესაც განვითარებადი სახელმწიფოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას სასამართლო სისტემის ფორმირება და სრულყოფა წარმოადგენს, აშშ-სა და სხვა განვითარებულ სამართლებრივ სახელმწიფოებში ერთ-ერთ ძირითად გადაუწყვეტელ პრობლემად სწორედ ზემოაღნიშნული ხასიათის დავების მოგვარების ეფექტური მექანიზმებისა და ალტერნატიული მეთოდების დამკვიდრება რჩება.

ბევრ ქვეყანაში პროცესის ფარგლებს გარეთ, სასამართლო ფლობს სხვა უფლებამოსილებებს: შვედეთში სასამართლო ახდენს ქონების იძულებით ინვენტარიზაციას; უკრაინაში კი – კრძალავს ქონების გასხვისებას სასამართლოს გადაწყვეტილებამდე; აშშ-ში სასამართლო გამოსცემს თავისი არსით ადმინისტრაციული ხასიათის ბრძანებებს, რომელთა მეშვეობით შეიძლება: შეჩერდეს გაფიცვა სასამართლოს გადაწყვეტილებამდე; შეჩერდეს გაზეთების გაყიდვა, თუმცა მათ ვერ აკრძალავენ; გადაიდოს შეკრება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე და ა.შ. ასეთი დამატებითი უფლებამოსილებების შესახებ, რომლითაც სასამართლო ორგანოები არიან აღჭურვილნი, ჩვეულებრივ, კონსტიტუციებში არ არის საუბარი, ეს უფრო შესაბამისი კანონის რეგულირების საგანია. ზოგიერთ ქვეყანაში კი ძირითადი კანონის ცალკეული დებულებების განვრცობითი განმარტების შედეგად, მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ადამიანის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ზოგიერთი პირადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა განხორციელებულიყო სასამართლოს მიერ საქმიანობის სპეციალური ფორმებით, მაგალითად, როგორცაა ბრძანებების, სანქციების, ორდერების გაცემის უფლებამოსილება.

2-3. სასამართლო შემოქმედებითი ფუნქცია სასამართლო პრაქტიკაში

„სასამართლო პრაქტიკის“ ცნება შეიძლება ორგვარად განვმარტოთ: ფართო გაგებით, ეს არის უფლებამოსილებათა ერთობლიობა, რითაც აღჭურვილნი არიან სასამართლო ორგანოები, ხოლო ვიწრო გაგებით, ამ ცნებაში შეიძლება ვიგულისხმოთ სასამართლო საქმიანობისას გამო-მუშავებული სასამართლო პრეცედენტები, სამართლებრივი დებულებები, წესები, დეფინიციები, რომელთაგან ზოგიერთს საერთო-საველდებულო ძალა აქვს. სასამართლო ხელისუფლება თავისი უფლებამოსილების მატერიალიზებას ახდენს სასამართლო გადაწყვეტილებებით – განჩინებებით, განაჩენებითა და დადგენილებებით. სწორედ მათი ერთობლიობა წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობის შინაარსს, ხოლო სასამართლო პრაქტიკა არის უმაღლესი სასამართლო ინსტანციების პრინციპული გადაწყვეტილებების ერთობლიობა სამართალგამოყენების საკითხებზე.

სასამართლო პრაქტიკაში სამართალშემოქმედებით ფუნქციაზე საუბარი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ვალიარებთ, რომ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში რეალურად მოქმედებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რომლის არსიდან გამომდინარე, სამართალშემოქმედება, უპირველესად, საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივაა. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მონტესკიეს თეორიამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა იმ ტრადიციებისა და თავისებურებების ზეგავლენის გათვალისწინებით, რომელიც სხვადასხვა ქვეყანას ახასიათებს. თუ ინგლისურ-ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში სწორედ სასამართლო ორგანოები გვევლინება უპირველეს სამართალშემოქმედად და მოქმედებს პრეცედენტული სამართალი, კონტინენტურ სამართლებრივ სისტემაში, მოსამართლეების აზრით, სამართლის შექმნა მხოლოდ კანონმდებლობის, მმართველობის ან ადმინისტრაციულ გამგებლობათა საქმეა, რაზედაც უფლებამოსილნი არიან კანონმდებლის მიერ.¹

მიუხედავად ამისა, სამართლის მეცნიერება, რომანულ-გერმანულ სისტემაშიც გამოყოფს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა სამოსამართლო სამართალშემოქმედება და სამოსამართლო სამართალი. აღნიშნულს ადგილი აქვს, როგორც კერძო სამართლის, ასევე საჯარო სამართლის სფეროში. მის არსებობას განაპირობებს, ერთი მხრივ, სამართლებრივი აქტების სტაბილურობის შესანარჩუნებლად ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა ვითარების მუდმივი ცვლილებების შედეგად კანონის ახ-

1. რენე დავიდი, მითითებული ნაშრომი, გვ.124.

ლებურად ინტერპრეტაციის აუცილებლობა, მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა; მეორე მხრივ, საკანონმდებლო თუ მმართველობის ორგანოს მიერ გამოყენებული სამართალშემოქმედების ტექნიკის თავისებურება: იქ, სადაც საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული აქტები ანესებს ამა თუ იმ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, ე.წ. „ჩარჩოებს,“ ფარგლებს, შედარებით ზოგად ნესებს, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სასამართლო ხელისუფლების და კონკრეტულად, მოსამართლის როლი სამართალშემოქმედებაში.

საერთო სამართლის სისტემაში მოსამართლის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ხასიათდება გარკვეული სიმყარით და არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლის ფორმირებაში. რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემაში კი სასამართლო პრაქტიკა იმ ჩარჩოებში მოქმედებს, რომლებიც კანონმდებელმა სამართლისთვის დაანესა. სასამართლო პრაქტიკით შემუშავებულ „სამართლებრივ ნორმას“ არ აქვს ის ძალა, გნებავთ, ავტორიტეტი, რომლითაც კანონმდებლის მიერ ხელდებული ნორმები სარგებლობს. ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ისინი მერყეობით გამოირჩევა და ახალი საქმის განხილვისას ყოველთვის შეიძლება მათი უკუგდება და შეცვლა.¹ ინგლისსა და ამერიკაში მოსამართლის გადანყვეტილებაში ფორმულირებული სამოტივაციაო ნაწილი, ე.წ. „რაციო დესიდენდი“ დაზღვეულია ასეთი თვითშემოქმედებისგან და შემდგომ ანალოგიური საქმის განხილვისას, სხვა სასამართლოებისთვისაც სავალდებულოა გამოსაყენებლად. საქმე ის არის, რომ მოქმედებს სასამართლო პრეცედენტის სახელით ცნობილი თეორია, რომლის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს გადანყვეტილება მბოჭავია ქვემდგომი სასამართლოების გადანყვეტილებებისა.² და მინც, ინგლისსა და ამერიკაში პრეცედენტის პრინციპს მნიშვნელოვნად განსხვავებული ხასიათი აქვს, რაც განპირობებულია ამ ქვეყნებში სასამართლოთა არაერთგვაროვანი სისტემით.

ინგლისში სასამართლო პრეცედენტი შემდეგი სახით მოქმედებს:

– ლორდთა პალატის სასამართლოს გადანყვეტილებები სავალდებულოა ყველა ქვემდგომი სასამართლოსთვის. 1966 წლამდე ისინი მბოჭავი იყო ანალოგიური საქმეების განხილვისას თავად ლორდთა პალატის სასამართლოსთვის, ხოლო იმავე წლის 26 ივლისს ლორდუანცლერმა ლორდთა პალატის სახელით გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმად, ლორდთა პალატის სასამართლო აღარ მიიჩნევა თავისისავე წინა გადან-

1. ლადო ჭანტურია, *შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში*, თბილისი, 1997, გვ.107.

2. რენე დავიდი, *მითითებული ნაშრომი*, გვ.124.

ყვეტილებებს მისთვისვე სავალდებულოდ, „თუკი ეს იქნებოდა უსამართლო ცვალებადი სოციალური ვითარებისდა გამო;“¹

– სააპელაციო სასამართლო შებოჭილია ლორდთა პალატის და, უმრავლეს შემთხვევაში, საკუთარი გადანყვეტილებითაც. ისინი ასევე სავალდებულოა ინგლისის ყველა სასამართლოსთვის, ლორდთა პალატის გარდა;

– მაღალი სასამართლოს მოსამართლე შებოჭილია პალატისა და სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებებით, ისინი, თავის მხრივ, უნდა შესრულდეს ყველა ქვემდგომი მოსამართლის მიერ;

– საგრაფოს სასამართლოს მოსამართლისთვის სავალდებულოა ყველა ზემდგომი სასამართლოს გადანყვეტილებანი. საკუთარს კი არც ერთ შემთხვევაში არა აქვს მბოჭავი ხასიათი. ეს არ ნიშნავს, რომ ქვემდგომი სასამართლოს გადანყვეტილებებს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ეს არ არის მბოჭავი პრეცედენტი, არამედ მათ დამარწმუნებელი მნიშვნელობა აქვს. ისინი შეიძლება ავტორიტეტით სარგებლობდეს და ხალხი ასრულებდეს მათ საკანონმდებლო აქტების მსგავსად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლო პრეცედენტის მოქმედება გართულებულია ფედერალური და შტატების სასამართლო სისტემების არსებობით:

– აშშ-ის უზენაესი სასამართლო და შტატების უმაღლესი სასამართლოები არ არიან მოვალენი, მისდიონ საკუთარ გადანყვეტილებებს, მათ აქვთ საკუთარი პრაქტიკის შეცვლის უფლებამოსილება;

– ფედერალური სასამართლოებისთვის მბოჭავია მხოლოდ ფედერალური ზემდგომი სასამართლოს გადანყვეტილებანი;

– შტატების სასამართლოებისთვის მბოჭავია მხოლოდ შტატების ზემდგომი სასამართლოების გადანყვეტილებანი. შტატები სუვერენულია და პრეცედენტის წესი შეეხება მათ კომპეტენციას, მარტოოდენ მოცემული შტატის სასამართლო სისტემის ფარგლებში;

– ფედერალური სასამართლოსთვის მბოჭავია შტატების უმაღლესი სასამართლოს გადანყვეტილებანი, როცა ისინი შტატების სამართალს იყენებენ.²

მარში და სოულსბი გამოყოფენ კიდევ ერთ თავისებურებას, რაც საერთო სამართლის სისტემაში სასამართლო ორგანოთა სამართალშემოქმედებით ბუნებას ახასიათებს: ინგლისის სასამართლომ შეიძლება სახელმძღვანელოდ უხმოს აშშ-ის ან თანამეგობრობის რომელიმე სასამართლოს გადანყვეტილებას, რადგან სამართლებრივი სისტემები ამ ქვეყნებში საერთო საფუძველს ემყარება.³

1. S.B.Marsh, I.Soulshy, *Outlines of English Law*, 5th. edition, London, 1980, p.20.

2. რენე დავიდი, *მითითებული ნაშრომი*, გვ. 322.

3. მარში და სოულსბი, *მითითებული ნაშრომი*, გვ. 20.

როგორც ინგლისში, ასევე აშშ-ში, მოსამართლის გადანყვეტილებაში გამოიყოფა სამი ნაწილი: პირველ ანუ სარეზოლუციო ნაწილში მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს ან უარყოფს მას; მეორე ნაწილში მოსამართლე გამოყოფს იმ საფუძვლებს, მოტივებს, რომელთა გამო მან მიიღო კონკრეტული გადანყვეტილება, აღნიშნავს, თუ რა ნორმა შეუფარდა და რატომ შეუფარდა კონკრეტულ ფაქტს. გადანყვეტილებების სწორედ ამ ნაწილს ეწოდება „რაციო დესიდენდი,“ იგი ქვემდგომი სასამართლოების მიმართ მომავალში მბოჭავ ხასიათს ატარებს; მესამე ნაწილში მოსამართლემ შეიძლება განიხილოს ასევე მოცემულ საქმესთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი ასპექტები, შეეხოს ერთ ან ორ სავარაუდო სიტუაციას. გადანყვეტილებების ამ ნაწილს ეწოდება „სხვა კომენტარები“ და მას არა აქვს მბოჭავი ხასიათი.

გადანყვეტილება, რომელიც პრეცედენტად იქცევა, არ ატარებს აბსოლუტურად ხელშეუხებელ ხასიათს. მან შეიძლება, სავალდებულო ძალა დაკარგოს სხვადასხვა გზით: ერთ შემთხვევაში, იგი შეიცვლება თუ პროცესში დამარცხებული მხარე შეიტანს აპელაციას და ზემდგომი სასამართლო მას დააკმაყოფილებს, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პრეცედენტი მისთვის სავალდებულო არ არის; მეორე შემთხვევაში, ქვემდგომი სასამართლოს მიერ ადრე განხილული დავის ანალოგიური საქმის განხილვისას, ზემდგომმა სასამართლომ შეიძლება დავა სხვანაირად გადანყვიტოს და ამით დაადგინოს ახალი პრეცედენტი, შედეგად, ამ შემთხვევაში ქვემდგომი სასამართლოს ადრეული გადანყვეტილება ძალაში რჩება, მაგრამ მას აღარ ექნება მბოჭავი ხასიათი; მესამე შემთხვევაში, ქვემდგომი სასამართლოს მიერ ადრე განხილულ საქმესთან ბუნებით ახლოს მდგომი საქმის განხილვისას, ზემდგომმა სასამართლომ, საკუთარ გადანყვეტილებასთან ერთად, სხვა კომენტარების ნაწილში შეიძლება არ გაამართლოს, არ დაეთანხმოს ქვემდგომი სასამართლოს გადანყვეტილებას და ამით გზა გაუხსნას სასამართლოებს, უბრალოდ არ გამოიყენონ აღნიშნული პრეცედენტი; მეოთხე შემთხვევაში, იმ საქმის განხილვისას, რომლის პრეცედენტიც არსებობს, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებების განსხვავება და დაასაბუთოს მოქმედი პრეცედენტის გამოყენების დაუშვებლობა.

პრეცედენტული სამართლის არსებობა წარმოუდგენელია სასამართლო გადანყვეტილებების ჩანერისა და სისტემატიზაციის იმ მწყობრი სისტემის გარეშე, რომელიც ასწლებულების მანძილზე ყალიბდებოდა და განსაკუთრებით სრულყოფილ ფორმას XX საუკუნეში მიაღწია. ეს, უპირველესად, ინგლისს შეეხება, სადაც ანონიმი იურისტები გადანყვეტილებების ჩანერას XIII საუკუნიდან შეუდგნენ მოკლე შენიშვნების სახით ინ-

გლისურსა და ნორმანულ-ფრანგულ ენაზე. ეს ჩანანერები სისტემატიზაციის შემდეგ შეადგენდა, ე.წ. წელიწდეულებს. საბჭოედი საშუალებების გამოგონებისა და განვითარების კვალობაზე, 1530 წლიდან წელიწდეულების ადგილი დაიკავა ცალკეულ ავტორთა მიერ დამოუკიდებლად შედგენილმა სასამართლო გადაწყვეტილებების ჩანანერების სისტემატიზებულმა კრებულებმა, ხოლო 1865 წელს პროფესიონალურ დონეზე მომზადებული და ოფიციალურად გადამონმებული გადაწყვეტილებების ტომების სისტემური გამოცემის უზრუნველსაყოფად შეიქმნა სპეციალური საბჭო, რომელსაც დღეს სამართლის სისტემატიზაციის გაერთიანებული საბჭო ეწოდება. საბჭო ყოველწლიურად გამოსცემს მაღალი სასამართლოს სამეფო განყოფილების, კანცლერის განყოფილების, საოჯახო საქმეთა განყოფილების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა ჩანანერების თითო-თითო ტომს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი გამოიცემა მაღალი სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების ტომში, საიდანაც გამოვიდა აპელაცია. 1953 წლიდან, საბჭო უზრუნველყოფს ყოველკვირეულ გამოცემას, რათა პრეცედენტი მაქსიმალურად მოკლე ვადაში გახდეს ხელმისაწვდომი.¹

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, აქ შესაძლებელია გამოვყოთ სამართლის ამერიკული ინსტიტუტის კერძო ასოციაციის მიერ პერიოდულად გამოცემული სამართლის კრებული, რაც მიზნად ისახავს ამერიკული საერთო სამართლის სისტემატიზებულ ფიქსირებას.

შტატების უმრავლესობა დამოუკიდებლად გამოსცემს საკუთარი სასამართლო გადაწყვეტილებების ტომებს. ყველა შტატის სასამართლო გადაწყვეტილებანი კი რეგიონულ დონეზე გამოცემულ კრებულებშია გაერთიანებული და ამ სამუშაოს, ძირითადად, კერძო გამომცემლობები ასრულებენ, კლიენტების საქმიანობისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით. ცალ-ცალკე ტომებად ქვეყნდება, ერთი მხრივ, ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებანი და, მეორე მხრივ, საკანონმდებლო აქტები. თითოეულ შტატში არსებობს საკანონმდებლო აქტებისა და სტატუტების მრავალტომიანი კრებულები, რომლებსაც კოდექსები ეწოდება. ფედერალური საკანონმდებლო აქტები კი ამერიკის შეერთებული შტატების კოდექსშია გაერთიანებული. გარდა ამისა, გამოიცემა ადმინისტრაციული დადგენილებების მრავალტომეულები, როგორც შტატების, ასევე ფედერალურ დონეზე.

სტამბური წესით გამოცემულ კრებულებთან ერთად, სასამართლო გადაწყვეტილებანი, საკანონმდებლო აქტები და ინსტრუქციები ხელმის-

1. მარში და სოულსბი, მითითებული ნაშრომი, გვ. 22.

ანვდომია ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორცაა WESTLAW და LEXIS. საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები სასამართლო გადანყვეტილებათა კრებულებთან ერთად შეადგენს დიდძალ მასალას, რომლის შესწავლა, გამოკვლევა და ანალიზი ეკისრებათ მოსამართლეებსა თუ სხვა იურისტებს. გარდა ამისა, აშშ-ის თითოეულ სასამართლო სისტემაში მოქმედებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის განსხვავებული საპროცესო დებულებანი.

ერთი მხრივ, რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემაში და, მეორე მხრივ, საერთო სამართლის პირობებში სამართლის ფორმირებაში მოსამართლეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმასა და ხასიათთან დაკავშირებით, დასკვნის სახით გამოვეყოფთ რამდენიმე პრინციპულ საკითხს:

– სამართლის ფორმირების ინგლისური სისტემის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ იგი შედარებით მოქნილი სისტემაა. აქ სამართალი მუდმივად ფართოვდება სასამართლოების მიერ ახალი საქმეების განხილვისას, ახალი წესები კი სრულ შესაბამისობაში მოდის ახალ რეალობასთან. განსხვავებული ვითარებაა კონტინენტური სამართლის ქვეყნებში მოქმედ კოდიფიკაციებთან დაკავშირებით. მათი შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ რთული საკანონმდებლო პროცესის მეშვეობით. ეს ზოგჯერ უსამართლობის მიზეზიც ხდება, ვინაიდან არ არის გამორიცხული, კანონი წინააღმდეგობაში მოვიდეს შეცვლილ გარემოებებსა და ვითარებასთან. მაგალითად, ბევრ ევროპულ ქვეყანაში კოდიფიკაცია მეცხრამეტე საუკუნეში და უფრო ადრეც მიიღეს, მას შემდეგ კი მრავალი ცვლილება მოხდა ამ ქვეყნების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ყოფაში. მეორე მხრივ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კონტინენტური სამართლის ქვეყნებში მოსამართლეებს აქვთ ფართო უფლებამოსილება ნორმების, კანონის ცალკეული სიტყვების ინტერპრეტაციისას. ამგვარად ხორციელდება მოძველებული ნორმების მომხდარ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან, ისიც ცხადია, რომ სიმყარის ნაკლებობას არც საერთო სამართალი განიცდის, პრეცედენტის წესი ამის ნათელი დასტურია;

– პრეცედენტზე დამყარებულ სისტემებს უფრო მეტი რეალურობა და პრაქტიკულობა ახასიათებს, რაც იმ აქტუალურ პრობლემებს ემყარება, რომელთა განხილვაც სასამართლოს უწევს. აქ წინა პლანზე გამოდის არა უბრალოდ თეორიული, არამედ, წმინდა პრაქტიკული საკითხები. შეიძლება გამოვეყოთ ამ სისტემის ერთი სისუსტეც, რაც იმით გამოიხატება, რომ ზოგიერთი საკითხისა და დავის სამართლებრივი გადანყვეტა შეიძლება არ იყოს ცნობილი, სანამ კონკრეტული საქმე არ განიხილება და სასამართლო გადანყვეტილება არ გამოითანება. კონტინენტური სამართლის ქვეყ-

ნებში ყველა ურთიერთობის გადაწყვეტა შედარებით გარკვეულია. ამას კოდექსის არსებობა განაპირობებს და მოსამართლის შემოქმედებითი როლი და მნიშვნელობა უკანა პლანზე გადადის;

– პრეცედენტული სამართალი გულისხმობს მრავალი დეტალური ნორმის არსებობას. თანამედროვე ინგლისის სამართალი სასამართლო გადაწყვეტილებათა სულ ცოტა 1000 ტომისგან შედგება.¹ პრეცედენტის მოძიება ჩვენს ეპოქაში სირთულეს არ წარმოადგენს, საქმეთა სისტემატიზაციის კომპიუტერული მეთოდების გამოყენების შედეგად. თუმცა, მოსამართლეები მაინც გამოთქვამენ შეშფოთებას იმ პრეცედენტთა სიმრავლის გამო, რომელთა მოხმობაც უხდებათ გადაწყვეტილებების გამოტანისას.²

– სასამართლო ორგანოებისა და მოსამართლის განსაკუთრებული მდგომარეობა, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებლისა და სამართალშემოქმედისა, მჟღავნდება სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულების სიზუსტესა და ეფექტურობაში.³ სასამართლო ხელისუფლების უსაზღვრო პატივისცემა და ავტორიტეტი – ეს კიდევ ერთი ნიშანია, რომელიც ხაზს უსვამს ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის თვითმყოფადობას;

– თუ საერთო სამართლის ქვეყნებში სამართლის წყაროდ გვევლინება როგორც სტატუტური, ასევე პრეცედენტური სამართალი, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში სამოსამართლო სამართალი არ შეიძლება განვიხილოთ სამართლის წყაროდ. აქ „მოსამართლეს აქვს უფლება, ინტერპრეტაციის გზით განავითაროს სამართალი, ე.ი. შეავსოს კანონი.“⁴ და მაინც, კანონის ინტერპრეტაცია და სამართალშემოქმედება ორ განსხვავებულ ფუნქციას წარმოადგენს. ინგლისსა და ამერიკაში მოსამართლეებს თითოეული მათგანის განხორციელება შეუძლიათ, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში კი მხოლოდ ინტერპრეტაციისა.

რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სივრცეში სულ უფრო ხშირად გამოითქმის იდეა მოსამართლეთა ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის აუცილებლობის შესახებ. ამან ხელი უნდა შეუწყოს საკანონმდებლო ხარვეზების შევსებას, ბოლო მოუღოს მრავალრიცხოვანი კანონქვემდებარე აქტების გამოცემას, შეზღუდოს წინააღმდეგობები მოქმედ სამართალში. გასათვალისწინებელია კონტინენტური ევროპის ერთ-ერთ ნაწილში, კერძოდ, შვედეთში არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვით ამ ქვეყანაში სამართლის ერთ-

1. მარში და სოულსბი, მითითებული ნაშრომი, გვ 22.

2. იქვე გვ24.

3. რენე დავიდი, მითითებული ნაშრომი, გვ 256.

4. ლადო ჭანტურია, მითითებული ნაშრომი, გვ 109.

ერთ წყაროს წარმოადგენს სასამართლო პრეცედენტი, რომელიც, ძირითადად, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სახით, სამართლის წყაროდ გამოიყენება, თუმცა, შეედურ კანონმდებლობაში არ არსებობს ნორმა, რომელიც პრეცედენტს იურიდიულ ძალას მიანიჭებდა. ისიც აღსანიშნავია, რომ მიმდინარე კანონმდებლობის განმარტებაში დიდ როლს თამაშობს საკანონმდებლო საბჭოს დასკვნები. ეს ორგანო კი შედგება უმაღლესი სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს წარმომადგენლებისგან.

ნორვეგიელი სოციოლოგის ეკჰოფის აზრით, „სასამართლო და ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა, პრინციპში მოსამართლის გადაწყვეტილება დამოკიდებულია იმ ნორმატიულ აქტზე, რომელიც მას საფუძვლად უდევს... კანონის ინტერპრეტაცია უნდა მოახდინოს მოსამართლემ. ეს ინტერპრეტაცია თავისთავად წარმოადგენს ნორმაშემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც სოციალურ კონტექსტში გაცილებით უფრო დიდი ფასი აქვს, ვიდრე საკანონმდებლო ხელისუფლების აბსტრაქტულ ენას.“¹

სასამართლოს სამართალშემოქმედებით ფუნქციაზე მსჯელობა სრული არ იქნება, თუ არ წარმოვადგენთ საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენციას ამ მიმართებით. აქ, პირველ რიგში, ხაზი უნდა გავუსვათ ახალი საკონსტიტუციო სასამართლოების კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გაფართოების ტენდენციას, რომელიც, იქნება ეს მათდამი მინიჭებული კონსტიტუციური ნორმების განმარტების უფლება თუ მათი საქმიანობის არსენალში ჩართული და უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუციური აღიარებით გააქტიურებული წინასწარი კონტროლის მექანიზმი, სწორედ იმ დატვირთვის მატარებელია, რასაც სამართალშემოქმედებით პროცესზე საკონსტიტუციო ზედამხედველობა ჰქვია. რეალურად კი ეს საკონსტიტუციო იუსტიციის სამართალშემოქმედებით ფუნქციას წარმოაჩენს.

1. *Eckhoff T. Justice, It's determination in social interaction Rotterdam, 1974, p.114-115.*

თავი მესამე

სასამართლო ხელისუფლების განხორციელების თანამედროვე ფორმაში

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის ობიექტური სიცოცხლისუნარიანობა, უპირველესად, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისეთ ორგანიზაციაში ვლინდება, რომლის დროსაც დემოკრატიზმის პრინციპებისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ფორმალურ დეკლარირებასთან ერთად, მათი პრაქტიკული რეალიზაციის მყარი გარანტიები არსებობს. ხელისუფლებათა განაწილების დოქტრინის შესაბამისად, სახელმწიფო მექანიზმის ფუნქციური და სტრუქტურული მოწყობა, მოცემულ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ადამიანის ღირსების დაცვის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. ერთი მხრივ, მოქალაქის უფლებრივი სტატუსის ფაქტობრივი რეალიზაციისა და, მეორე მხრივ, იმ მოვალეობათა შესრულების უზრუნველყოფის ხარისხი, რომლებიც თითოეულ ადამიანს აკისრია ნებისმიერ სახელმწიფოში, სხვათა შორის, სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციისა და სასამართლო სისტემების მოწყობის ოპტიმალური ფორმების შერჩევაზე დამოკიდებული.

როდესაც ოპტიმალურ ფორმებზე ვსაუბრობთ, პირველ ყოვლისა, ის ფუძემდებლური პრინციპები და ნორმები უნდა გავითვალისწინოთ, რომლებსაც სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლების სტატუსი უნდა ეფუძნებოდეს, მაგალითად, როგორიცაა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების მხოლოდ სასამართლოების მიერ განხორციელების, მხარეთა თანასწორობის, შეჯიბრებითობისა და სხვა პრინციპები, რომლებიც, იმანუელ კანტის ტერმინოლოგიას რომ მივმართოთ, ერთგვარ „კატეგორიულ იმპერატივად“ უნდა გვევლინებოდეს სასამართლო სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების საკითხში. ამ აუცილებელი მინიმუმის სახელმწიფო სისტემაში იმპლემენტაციის შემდეგ, სასამართლო ხელისუფლების სტატუსის დამდგენი სამართლებრივი „სივრცე“ შესაძლებელია უკვე შესაბამისი სახელმწიფოსა და მისი ხალხის ისტორიული გამოცდილების, ტრადიციების, ფსიქიკისა და სხვა თავისებურებების, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობისა თუ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმის გათვალისწინებით შეივსოს. წინამდებარე თავში, სასამართლო ორგანოების სახეებისა და სასამართლო ინსტანციების მსოფლიოში არსებული ფორმების განხილვისას, ჩვენს ერთ-ერთ უპირველეს მიზანს სწორედ ამ თავისებურებათა წარმოჩენა წარმოადგენს.

ამასთან, თანამედროვე ეტაპზე, ფრიად საინტერესო და აქტუალურ საკითხად გვესახება საზღვარგარეთის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურირების ვერტიკალური და ჰორიზონტალური მახასიათებლებისა და კონსტრუქციების გარკვევა, რაზეც ქვემოთ დეტალური მსჯელობა გვექნება.

ზემოაღნიშნული თემების ანალიზთან დაკავშირებით, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი იქნება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რუსეთის ფედერაცია და სხვა პოსტსოციალისტური, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები, ვინაიდან, თავისთავად ცხადია, უდიდეს ინტერესს იწვევს ამ ქვეყნებში პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის რადიკალურად შეცვლის შემდეგ, იურიდიული დანესებულებების რეფორმირების პროცესი, მსოფლიოში არსებული სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა მოდელზე მათი ორიენტაციის საკითხის გარკვევა.

3-1. სასამართლო ორგანოთა სახეები

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ვისაუბროთ სასამართლო სისტემების ორ ძირითად მოდელზე: ანგლოსაქსურსა და რომანულ-გერმანულზე. თითოეული მათგანის ძირითადი ნიშნების უბრალო ჩამონათვალიც თვალნათლივ წარმოაჩენს მათ თავისებურებებს.

ანგლოსაქსური ანუ საერთო სამართლის სასამართლო სისტემის ძირითადი მახასიათებლებია: ისტორიულად ჩამოყალიბებული საერთო სამართლის არსებობა, სასამართლოს სამართალშემოქმედებითი როლისა და სასამართლო პრეცედენტის სამართლის წყაროდ აღიარება; სასამართლო პროცესუალური ფორმების შემუშავება, უპირველესად და უპირატესად, სასამართლო პრაქტიკის გზით და არა კანონმდებლის მიერ; სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ძირითად ფორმად მხოლოდ სააპელაციო სარჩელის არსებობა; პროცესის უკიდურესად შეჯიბრებითი ხასიათი, რომლის დროსაც თავად სასამართლო პასიურია და თვალყურს ადევნებს მხარეთა მიერ პროცესუალური ნორმების დაცვას; სისხლის სამართლის პროცესში ბრალის აღიარებასთან დაკავშირებით, დაიშვება გარიგებების დადება; ნაფიცი მსაჯულებისა და მომრიგებელი მოსამართლეების შედარებით ფართოდ გამოყენება; სასამართლოების არჩევნების გზით დაკომპლექტების შედარებით დიდი ხვედრითი წილი. ანგლოსაქსური მოდელი წარმოიშვა კონტინენტურ მოდელზე გაცილებით

ადრე და მის ფარგლებში ჩამოყალიბებული ტრადიციები შედარებით მყარი ხასიათისაა. მაგალითად, ინგლისის სასამართლოებში გვხვდება საქმეები, რომელთა განხილვისას მოითხოვება მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი ჩვეულებების არსებობის მტკიცება, თუნდაც, რიჩარდ ლომგულის დროს, ე.ი. 800 წლის წინ რომ იყო ჩამოყალიბებული.

რომანულ-გერმანულ ანუ კონტინენტური სამართლის სასამართლო სისტემის მოდელს შემდეგი ნიშნები ახასიათებს: საკმაოდ სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს; სამართლის წყაროდ არ არის აღიარებული და არც დაიშვება სასამართლო პრეცედენტი; სააპელაციო ფორმასთან ერთად გასაჩივრების საკასაციო და სარევიზიო ფორმების არსებობა; მოსამართლის აქტიური როლი სასამართლო პროცესში; ნაკლებად გავრცელებული ნაფიცი მსაჯულებისა და მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტები; შეფენების სასამართლოებისა და ასიზების სასამართლოების გამოყენება; ქვედა რგოლში პროფესიონალი მოსამართლეების დანიშვნადობა; სასამართლოების მთლიანი ან ნაწილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნა, საკადრო ფუნქციების მინიჭებით.

მიუხედავად ძირითადი ნიშნების ასეთი განსხვავებულობისა, უდავოდ შესამჩნევია, რომ ამჟამად ამ ორი მოდელის დაახლოების ტენდენცია გამოიკვეთა. ერთი მხრივ, ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების საკანონმდებლო რეგულირება, ხოლო, მეორე მხრივ, კონტინენტურ სისტემაში, სადაც ტრადიციულად არ დაიშვება სასამართლო პრეცედენტი, მოსამართლეები აღიჭურვებიან ახალი უფლებამოსილებით, ერთგვარად შეავსონ საკანონმდებლო ხარვეზები, რათა მართლმსაჯულება უწყვეტად იქნეს აღსრულებული.

საზღვარგარეთის ქვეყნების მართლმსაჯულების დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ არსებობს რამდენიმე სახის სასამართლო ორგანო, ასევე კვაზისასამართლო, არასახელმწიფო, საზოგადოებრივი სტრუქტურები, რომლებიც მართლმსაჯულების ზოგიერთი ამოცანის მიღწევას ისახავენ მიზნად და თავისებურად წყვეტენ მას. პირველ რიგში უნდა გამოვყოთ: საერთო იურისდიქციის ორგანოები, ე.წ. საერთო სასამართლოები; ადმინისტრაციული სასამართლოები; საკონსტიტუციო სასამართლოები; სპეციალური, სპეციალიზებული სასამართლოები; არასახელმწიფო (საზოგადოებრივი), კვაზისასამართლო ორგანოები.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სასამართლო ორგანოთა პორიზონტალური სტრუქტურა არაერთგვაროვანია. სასამართლო ხელისუფლების პოლისისტემურობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა გერმანიაში. აქ მო-

ქმედებს განმტკობელი, ე.წ. სპეციალიზებული სასამართლოების სისტემა არა ერთი, არამედ ხუთი უმაღლესი სასამართლო ორგანოთი სათავეში. ორგანოთა მთელი ეს კომპლექსი ადამიანის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. ამიტომაც, რომ გერმანიის ძირითადი კანონის რიგითობითა და მნიშვნელობით უპირველესი თავი „ძირითადი უფლებები“ ბოლოს შეჯამებულია ზოგადი მნიშვნელობის ნორმით, რომელიც ხიდად არის გადებული მოქალაქეთა უფლებებსა და მასთან კავშირში – მართლმსაჯულების განხორციელებას შორის, როცა აკანონებს, რომ თუ ვინმეს უფლება დარღვეული იქნა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, მას შეუძლია სასამართლოს მიმართოს. რამდენადაც დანესებული არ არის სხვაგვარი განსჯადობა, მოქმედებს მეცხრამეტე მუხლის მეოთხე აბზაცით გათვალისწინებული ჩვეულებრივი სასამართლო წესი. აღნიშნულის სარეალიზაციოდ, და საერთოდ, გერმანიის სასამართლო სისტემის მოწესრიგების მიზნით, ძირითადი კანონის მეცხრე თავში – „მართლმსაჯულების განხორციელება“ – თავმოყრილია ზოგადი მარეგულირებელი კონსტიტუციური ნორმების კრებული, რომელიც სრულად წარმოადგენს ქვეყნის სასამართლო სისტემას. ეს არის და ეს. გერმანიას არ აქვს ერთიანი აქტი, რომელიც სტრუქტურულად და უფლებამოსილებათა გამიჯვნის თვალსაზრისით, კომპლექსურად განიხილავდა სასამართლო სისტემის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. დღემდე მოქმედი 1877 წლის კანონი სასამართლო მოწყობის შესახებ, მასში 1975 წლის რედაქციით შეტანილი ცვლილება-დამატებებით, მხოლოდ საერთო იურისდიქციის სასამართლოების ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებს აწესრიგებს. ცალკე კანონი განსაზღვრავს მოსამართლის სტატუსს და იცავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

გერმანიის კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, განსხვავებული სპეციალიზაციის მთელი რიგი ფედერალური სასამართლოებისა და მინების სასამართლოების მეშვეობით. სწორედ კონსტიტუცია განიხილავს იუსტიციის ხუთ შტოს – უმაღლესი ფედერალური სასამართლოების სახით და მათთვის დამახასიათებელი სტრუქტურით. ეს სისტემა, მთელი მისი ქსელით, შემდეგნაირად გამოიყურება:

– ფედერალური სასამართლო პალატა, რომელიც საერთო სასამართლოების სისტემას ხელმძღვანელობს და ინსტანციების სახით აერთიანებს უბნის სასამართლოს, მიწის სასამართლოს და მიწის უმაღლეს სასამართლოს;

– ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო ქვემდგომი ადმინისტრაციული სასამართლოებისა და მინების უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოებითურთ;

– ფედერალური საფინანსო სასამართლო, რომლის ქვემდგომ ინსტანციას ადგილობრივი სასამართლოები წარმოადგენს;

– ფედერალური შრომის საქმეთა სასამართლო – ინსტანციებით შრომის საქმეთა სასამართლოს, მინის შრომის საქმეთა სასამართლოსა და უმაღლესი შრომის საქმეთა სასამართლოს სახით;

– ფედერალური სოციალურ საქმეთა სასამართლო – ინსტანციებით სოციალურ საქმეთა სასამართლო, მინის სოციალურ საქმეთა სასამართლო და უმაღლესი სოციალურ საქმეთა სასამართლოს სახით.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ ჯერ კიდევ მიმდინარეობს სასამართლო სისტემის სრულყოფის პროცესი, მისი ამ მრავალფეროვანი სასამართლოების ქსელით ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის გადაფარვა და ამდენად, საბოლოო მონაცემები არ გვაქვს, მაგრამ ყოფილი ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1993 წლის მონაცემებიც ნათლად წარმოაჩენს არა მხოლოდ სასამართლოების დატვირთვას, არამედ მოქალაქეთა პრობლემების სამართლებრივი დაცვისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას. ის ფაქტი, რომ ამ დროისათვის ფედერალურ გერმანიაში 35 ადმინისტრაციული სასამართლოს გვერდით 95 შრომის საქმეთა სასამართლო, 50 სოციალურ საქმეთა სასამართლო და 14 საფინანსო სასამართლო ფუნქციონირებდა, ზემოაღნიშნულის უტყუარი სტატისტიკაა.

ინდოეთის ფედერაციაშიც ერთიანი ცენტრალიზებული სასამართლო სისტემა მოქმედებს, თუმცა, გერმანიის მსგავსად, სასამართლო ხელისუფლების პოლისისტემურობა ასე მკვეთრად გამოხატული არ არის. იგივე შეიძლება ითქვას კანადის, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის მიმართაც, სადაც სასამართლო ხელისუფლება კონსტიტუციური, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით ხორციელდება. სასამართლო სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ მას უაღრესად დიდი პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, კონსტიტუციის ტექსტში კი არ პოულობს ასახვას, არამედ ფედერალურ კონსტიტუციურ კანონში „სასამართლო სისტემის შესახებ“, რომელიც 1997 წლის პირველ იანვარს შევიდა ძალაში. კანონის მესამე მუხლის ძალით, რუსეთის სასამართლო სისტემა ერთიანია და ამდენად, არ არის „ფედერირებული“.

ყველა ხსენებული სახელმწიფოსგან განსხვავებით, ფედერალური სისტემისა და ფედერაციის სუბიექტების სასამართლო სისტემების მკაცრი გამიჯვნის მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებს ასახელებენ.¹ აქ იმ გარემოებას ვგულისხმობთ, რომ გერმანიაში უმაღლესი ფედერ-

1. Werner Mein, *Professor of University of Gottingen. I. The evolution of Federalism/ Studies in German constitutionalism*, Ed. Christian Stark, Baden-Baden, 1995, p. 179.

ალური სასამართლოები, საბოლოო ინსტანციებად გვევლინებიან მინების სასამართლოებში აღძრულ საქმეებზე, ხოლო პირველი ინსტანციის ფედერალური სასამართლოები არ არსებობენ, ე.ი. ამ სახელმწიფოში ფუნქციონირებს ცენტრალიზებული პოლისისტემური სასამართლო ხელისუფლება. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ფედერალურ სასამართლო სისტემაში შემავალი პირველი ინსტანციის სასამართლოები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებენ და, შესაბამისად, გაცილებით ფართო გეოგრაფიულ არეალს მოიცავენ, ვიდრე სხვადასხვა შტატის სასამართლო სისტემები. სხვა პარამეტრებით კი ზოგიერთი მსხვილი შტატის სასამართლო სისტემა არაფრით არ ჩამოუვარდება ფედერალურ სასამართლო სისტემას და საკუთარ იურისდიქციასაც ფლობს საქმეთა განსაზღვრულ კატეგორიაზე. გამოდის, რომ აშშ-ში, განსხვავებით გერმანიისგან, შესაძლებელია ვისაუბროთ არა ერთ ცენტრალიზებულ სასამართლო სისტემაზე, არამედ მრავალრიცხოვან სასამართლო სისტემებზე.

სასამართლო ხელისუფლების მონოსისტემური ხასიათი გამოკვეთილია იაპონიასა და ესპანეთში. იაპონიის კონსტიტუციის 76-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება მთელი სისრულით ეკუთვნის უზენაეს სასამართლოს და დაბალი ინსტანციის სასამართლოებს, რომლებიც იქმნება კანონით, რაც იმითაც არის გარანტირებული, რომ არ შეიძლება შეიქმნას არავითარი განსაკუთრებული სასამართლო, არც ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუძლია განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება საბოლოო გადაწყვეტილების უფლებით. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის თანახმად, სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ესპანეთში უზენაესი სასამართლო წარმოადგენს. სასამართლო ხელისუფლების შესახებ 1985 წლის 1 ივლისს მიღებულმა ორგანულმა კანონმა დაადგინა სასამართლო ოლქები, განსაზღვრა სასამართლო ორგანოთა სისტემა და კომპეტენცია, მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატთა სტატუსი.

§ 1. საერთო სასამართლოები

საერთო იურისდიქციის სასამართლოები, ძირითადად, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს განიხილავენ. ზოგიერთ სახელმწიფოში, განსაკუთრებით, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ერთიანი ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემა, ადმინისტრაციული იუსტიციის ფუნქციებსაც საერთო სასამართლოები ახორციელებენ და, ჩვეულებრივ, რამდენიმე რგოლისგან შედგებიან, დან-

ყებულები უმაღლესი სასამართლოებით და დამთავრებული ქვემდგომი სასამართლოებით. საერთო სასამართლო სისტემები შეიძლება დაეყოს ოთხ მოდელად: რომანულ-გერმანული ანუ კონტინენტური, ანგლოსაქსური ანუ საერთო სამართლის, სოციალისტური და მუსულმანური.

რომანულ-გერმანული მოდელის დროს, ჩვეულებრივ, სასამართლოთა ერთიანი სისტემის ნაცვლად, სახეზეა მათი პოლისისტემურობა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ყოველ სახეს და მათ შორის, საერთო სასამართლოებს, ერთნაირი ან თითქმის ერთნაირი ვერტიკალური სტრუქტურა აქვთ. მაგალითად, გერმანიაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფუნქციონირებს სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი ხუთი შტო: საერთო, ადმინისტრაციული, შრომითი, საფინანსო და სოციალური იუსტიცია. თითოეულ მათგანს აქვს თავისი უმაღლესი სასამართლო ორგანო: ფედერალური სასამართლო პალატა, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო, ფედერალური საფინანსო სასამართლო, ფედერალური სასამართლო შრომით საქმეებზე და სოციალურ საქმეთა ფედერალური სასამართლო. განსხვავება მხოლოდ იმ ნაწილს შეეხება, რომ მათი შიგაისტემური სტრუქტურა, სხვადასხვა შტოს შემთხვევაში, ორიდან ოთხ დონემდე მერყეობს. სხვა მხრივ, ისინი დამოუკიდებლად ახორციელებენ საკუთარ უფლებამოსილებას. საერთო სასამართლოების როლი და მნიშვნელობა სრულად წარმოჩინდება, თუ მათი იურისდიქციის საკითხს და სასამართლო ხელისუფლების სხვა შტოებთან მიმართებას უფრო დეტალურად სწორედ გერმანიის მაგალითზე განვიხილავთ.

მეცხრამეტე საუკუნემდე, ცალკეული გამონაკლისების გარდა, გერმანიაში არსებობდა ე.წ. „ბუნებრივი“, კერძოდ, სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია. ეს ცნება დღესაც შენარჩუნებულია, თუმცა ამჟამად სასამართლო სისტემის სხვა შტოები ასევე ახორციელებენ დამოუკიდებელ იურისდიქციას ანუ საერთო სასამართლოების კომპეტენციაში სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია მოიაზრება. საერთო სასამართლოები განიხილავენ ყველა სამოქალაქო საქმეს, კერძოდ, სამოქალაქო სამართლებრივ დავებს, რომლებიც კერძო სამართლის სფეროში წამოიჭრება. ამას გარდა, არსებობს აგრეთვე ნებაყოფლობითი, არასასარჩელო იურისდიქციაც, მაგალითად, საადგილმამულო წიგნის, მიწის რეესტრის წარმოება, მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებული საქმეები, სამემკვიდრეო საქმეები და სხვ. აღნიშნულ საქმეებზე სამართალწარმოების წესი განისაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და კანონით ნებაყოფლობითი იურისდიქციის საქმეების შესახებ.

საერთო სასამართლოები განიხილავენ მოქალაქეთა მიერ სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებს.

მინებში საერთო იურისდიქცია ხორციელდება პირველი ინსტანციის კოლეგიური სასამართლოების, ლანდგერხტების და მინის უმაღლესი სასამართლოების მიერ, ან რაიონული და საოლქო სასამართლოების მიერ. ისინი მოიცავენ სხვადასხვა დანაყოფს, განყოფილებებს, პალატებს, სენატებს, რომლებიც სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ საქმეებს იხილავენ. გარდა ამისა, ბავარიის მდებარეობს ამ ფედერალური მინის უმაღლესი სასამართლო. მიუნხენში ფუნქციონირებადი ეს ორგანო, კერძოდ, განიხილავს ისეთი სისხლისსამართლებრივი და ნებაყოფლობითი იურისდიქციის საქმეებს, რომლებიც წესით მინების უმაღლესი სასამართლოების კომპეტენციაში უნდა შედიოდეს. საერთო იურისდიქციის უმაღლეს ინსტანციას გერმანიაში წარმოადგენს უმაღლესი ფედერალური სასამართლო, რომლის ადგილსამყოფელია ქალაქი კარლსრუე.

საერთო იურისდიქციის სასამართლოთა სტრუქტურა გერმანიაში სასამართლო წყობილების შესახებ კანონით არის დარეგულირებული. აღნიშნული კანონი, ისევე როგორც საპროცესო კანონმდებლობა, არაერთხელ იქნა განახლებული და შევსებული სხვადასხვა ნოვაციით, რაც უშუალოდ იყო განპირობებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით. ამ აქტების ზოგიერთი დებულების მოქმედება სასამართლო ხელისუფლების სხვა შტოების მიერ განხორციელებულ სამართალწარმოებაზეც ვრცელდება.

გერმანიაში არსებული შრომითი იურისდიქციის სასამართლოები განიხილავენ საწარმოების, დანესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეებს შორის შრომითი ურთიერთობის პროცესში აღმოცენებულ დავებს, რომლებიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა და შეიძლება შეეხებოდეს მხარეთა შორის დადებულ სატარიფო ხელშეკრულებებს, დანესებულებების საქმიანობაში მუშაკთა მონაწილეობის საკითხებს და სხვ. ყველა აღნიშნული კატეგორიის დავას განიხილავენ სასამართლოები შრომით საქმეებზე და მინის სასამართლოები ან მინის პალატები და სენატები შრომით საქმეებზე და ფედერალური სასამართლო შრომით საქმეებზე, რომელიც ქალაქ კასელში მდებარეობს. შესაბამისი სამართალწარმოება რეგლამენტირებულია კანონით შრომითი საქმეების განმხილველი სასამართლოების შესახებ.

გერმანიაში მოქმედი ხუთივე იურისდიქციის საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, კანონი სასამართლო წყობილების შესახებ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კანონი ნებაყოფლობითი იურისდიქციის საქმეების შესახებ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კანონი პატენტების შესახებ, კანონი შრომითი საქმეების განმხილველი სასამართლოების შესახებ, კანონი ადმინისტრაციული სასამართლოების

შესახებ, კანონი სოციალურ საქმეთა სასამართლოების შესახებ და კანონი საფინანსო სასამართლოების შესახებ, ფედერალურ საკანონმდებლო აქტებს განეკუთვნება.

ვფიქრობთ, მართლმსაჯულების რამდენიმე მიმართულების თანაარსებობის თავისებურებანი თვალნათლივ წარმოჩინდება, თუნდაც ერთი ასეთი კონკრეტული მაგალითის განხილვისას. წარმოვიდგინოთ, რომ პირობითად, პირველი მძლოლი გზაჯვარედინზე გზას არ უთმობს უპირატესი გავლის უფლების მქონე მეორე მძლოლს. ამას შედეგად მოჰყვება ავტოსაგზაო შემთხვევა, რაც ავტომობილების დამსხვრევეთა და მძლოლთა ფიზიკური დაზიანებით მთავრდება. საუბნო სასამართლო, სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში, ჯარიმას აკისრებს პირველ მძლოლს მეორის სასარგებლოდ, გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანებისთვის. დაჯარიმებული, თავის მხრივ, აცხადებს, რომ მან გვიან შენიშნა გზაჯვარედინთან მოახლოებული ავტომანქანა.

სამედიცინო შემონმების შედეგად დგინდება ამ მძლოლის სუსტი მხედველობა. კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანო, კერძოდ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკონტროლო უწყება, მძლოლს ავალდებულებს ავტომანქანის მართვისას სათვალეების ტარებას, რაზეც ეს უკანასკნელი უარს აცხადებს. ამის გამო მას ჩამოერთმევა მართვის უფლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ამასთან, მძლოლი ვეღარ აგრძელებს მუშაობას თავისი სპეციალობით, ავარიის დროს მიღებული ტრავმის გამო. მას სამსახურიდან ათავისუფლებენ და უნიშნავენ დახმარებას უმუშევრობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები რამდენიმე სპეციალური იურისდიქციის კომპეტენციას წარმოშობს. სასჯელს შეუფარდებს საერთო იურისდიქციის სასამართლო, კერძოდ, საუბნო სასამართლოს მოსამართლე ერთპიროვნულად. ავარიიდან გამომდინარე, სამოქალაქო-სამართლებრივი, ანუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასარჩელო თანხის ოდენობის გათვალისწინებით საუბნო სასამართლოში ან ლანდგერხტში, ე.ი. ისევ და ისევ საერთო იურისდიქციის სასამართლოში, ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო კომპანია არ აანაზღაურებს ზარალს. თუ მძლოლს სურს, გაასაჩივროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მაკონტროლებელი უწყების მიერ მის მიმართ გამოტანილი გადანყვეტილება, უნდა მიმართოს ადმინისტრაციულ სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოდ იქნა გათავისუფლებული სამსახურიდან, საქმეს აღძრავს შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოში, ხოლო თუ არ ეთანხმება უმუშევრობისათვის მისთვის დანიშნული დახმარების მოცულობას, შეუძლია საკუთარი პოზიცია დაიცვას სოციალ-

ურ საქმეთა სასამართლოს მეშვეობით. თუ მას სადავო საკითხი ექნება საფინანსო უწყებასთან, მისი გადასახადებიდან განსაკუთრებული ხარჯების ჩამონერასთან დაკავშირებით, აღნიშნული საქმე საფინანსო სასამართლოს განსჯადი იქნება.

სასამართლო იურისდიქციათა მსგავსი სპექტრის პირობებში, წინა პლანზე წამოიწევს ქვემდებარეობისა და განსჯადობის საკითხის ეფექტური დარეგულირების ფაქტორი, ვინაიდან ერთი და იგივე სამართლებრივი საკითხი შესაძლებელია სხვადასხვა სამართალწარმოების მახასიათებელ ნიშნებს ატარებდეს და სხვადასხვანაირადაც იქნეს გადანყვეტილი. ეს პრობლემა არა მხოლოდ გერმანიის სასამართლო პრაქტიკისთვის არის აქტუალური. აქედან გამომდინარე, მართლმსაჯულების მიზანმიმართულად განხორციელებისა და განსჯადობასთან დაკავშირებული უთანხმოებების აღკვეთისა და გამორიცხვის მიზნით, მოქმედებს შემდეგი პროცედურა: კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი სასამართლოს დადგენილება საქმის განსახილველად მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ სავალდებულოა სხვა იურისდიქციის სასამართლოებისთვისაც. თუ საქმე არ არის მოცემული სასამართლოს განსჯადი, იგი მას მოსარჩლის შუამდგომლობით სათანადო იურისდიქციის მქონე პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაგზავნის. ამ სასამართლოსათვის კი აღნიშნულ გადანყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოქალაქეები, თავიანთი უფლებების დასაცავად, სხვადასხვა მოცულობით გამოიყენებენ სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს. ეს უშუალოდ ვლინდება მართლმსაჯულების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მოსამართლეთა რიცხოვნობაში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 20.672 პროფესიონალი მოსამართლე საქმიანობს, რომელთაგან 15.623 საერთო იურისდიქციას ასრულებს. პრაქტიკულად, გამოდის, რომ გერმანიის მოსამართლეთა ძირითადი ნაწილი სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი საქმეების განხილვითა დაკავებული. სასამართლო ხელისუფლების ყოველ შტოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თავისუფალი, სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასა და განმტკიცებაში, მაგრამ მართლმსაჯულების საფუძველთა საფუძველს საერთო სასამართლოები წარმოადგენენ.

ამასთან, თუ აღნიშნული ხუთეულის სხვადასხვა სასამართლოს შორის წარმოიქმნება წინააღმდეგობა, მაგალითად, კანონის გამოყენების თაობაზე, მაშინ საკითხს წყვეტს ამავე სასამართლოების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სპეციალური საკოორდინაციო ფუნქციის მატარებელი ორგანო – სასამართლოების სენატი, რომელიც თავისი გადა-

ნყვეტილებით უზრუნველყოფს სასამართლოების ნორმალურ საქმიანობას და პრაქტიკის ერთიანობას.

როგორც ვხედავთ, გერმანიაში საერთო სასამართლოების სისტემა სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ სტრუქტურულ დანაყოფს წარმოადგენს, თავად ეს სტრუქტურა კი სიმეტრიულ ხასიათს ატარებს. ეს არის რომანულ-გერმანული სასამართლო სისტემის ყველაზე მკაფიოდ გამოხატული ფორმა, ხოლო მთლიანად იმ სახელმწიფოთა ჯგუფში, სადაც საერთო სასამართლოების რომანულ-გერმანული მოდელი მოქმედებს, არაერთგვაროვანია სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურული მოწყობა, კერძოდ, საერთო სასამართლოების იურისდიქციის მოცულობა. მაგალითად, ეგვიპტეშიც აღნიშნული მოდელი მოქმედებს. საერთო სასამართლოების პარალელურად, აქ უმაღლესი სასამართლოს სტატუსით ფუნქციონირებს, ე.წ. სახელმწიფო უშიშროების სასამართლო, რომელსაც ქვემდგომი ორგანოებიც აქვს. ისინი იხილავენ დავებს, რომლებიც უკავშირდება ეროვნული მთლიანობის დარღვევას, ფიქსირებული ფასების უგულვებელყოფას, პოლიტიკური პარტიების საქმიანობას.

ბრაზილიაში, გარდა საერთო სასამართლოებისა, არსებობს რამდენიმე უმაღლესი ფედერალური სასამართლო, კერძოდ, შრომითი დავების განმხილველი უმაღლესი სასამართლო, ასევე საარჩევნო იუსტიციის უმაღლესი სასამართლო, უმაღლესი სამხედრო სასამართლო. უკრაინის კონსტიტუციით სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოს, საერთო იურისდიქციის სასამართლოებისა და სპეციალიზებული სასამართლოების მიერ, რომლებსაც თავიანთი უმაღლესი სასამართლოები აქვთ. საერთო სასამართლოების გვერდით მოქმედი, ადმინისტრაციული იუსტიციის განმახორციელებელი, მრავალფეროვანი სპეციალიზებული სასამართლო ორგანოებია დამახასიათებელი იტალიის სასამართლო სისტემისთვის. რუსეთის ფედერაციაში სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე მართლმსაჯულებას საერთო იურისდიქციის სასამართლოები ახორციელებენ. პარალელურად მოქმედებენ სამხედრო სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე წარმოებულ საქმეებს. ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოები, მართლმსაჯულების გარდა, ისეთ ფუნქციებსაც ასრულებენ, როგორიცაა პროცესუალური იძულებითი ზომების გამოყენების კანონიერებაზე სასამართლო ზედამხედველობა, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადასტურება, კონსტიტუციური და სხვა დარგობრივი სამართალსუბიექტურობის შეზღუდვა.

საერთო სასამართლოების ანგლოსაქსური მოდელი გულისხმობს სასამართლოების ერთიანი სისტემის არსებობას, უმაღლესი სასამართლო სტრუქტურის სათავეში. ამ მოდელს შეიძლება მონოსისტემური ვუნოდოთ. ქვეყანაში, სადაც იგი მოქმედებს, ფართოდ გამოიყენება პრეცედენტული პრაქტიკა, რაც გარკვეულწილად ამცირებს კანონმდებლობის მნიშვნელობას. მოსამართლე პასიურია სასამართლო პროცესის დროს. მართალია მას მიჰყავს სხდომა, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეებზე, მოსამართლისა და მსაჯულების კომპეტენციის გამიჯვნიდან გამომდინარე, არ წყვეტს ბრალეულობის საკითხს, არამედ სამართალშეფასებას ახორციელებს, ე.ი. მსაჯულთა მიერ დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებების იურიდიულ შეფასებას ახდენს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული საერთო სასამართლოების ანგლოსაქსური მოდელი იმით რთულდება, რომ ცენტრალიზებული პრინციპით არის მოწყობილი ცალკე ფედერალური სასამართლოების სისტემა და ცალკე შტატების სასამართლო სისტემა, ხოლო თითოეულის სათავეში უმაღლესი სასამართლო იმყოფება. გერმანიისგან განსხვავებით, სადაც მართლმსაჯულების პოლისისტემურობის პირობებში, უპირველეს პრობლემას სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის იურისდიქციათა გამიჯვნა წარმოადგენს, პოტენციურად კი ყოველი საქმე უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლო ორგანოებმა შეიძლება საბოლოო ინსტანციის სახით განიხილონ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქვეყნის ფედერაციული მოწყობის თავისებურებებიდან გამომდინარე, აქტუალურია ფედერალური და შტატების სასამართლოების იურისდიქციათა გამიჯვნის პრობლემა.

აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის სასამართლო ხელისუფლება გადაეცემა უზენაეს სასამართლოს და მისდამი დაქვემდებარებული სასამართლოების სისტემას, რომლებიც კონგრესს შეუძლია დროდადრო დაანესოს და დააფუძნოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველმა კონგრესმა ქვეყანა ოლქებად დაჰყო და თითოეულში ფედერალური სასამართლო შექმნა. ამ ჩანასახიდან განვითარდა სასამართლო სისტემა ამჟამინდელი იერარქიით: უზენაესი სასამართლო, 13 სააპელაციო, 94 საოლქო და 3 სპეციალური იურისდიქციის სასამართლო. კონგრესი კვლავაც ინარჩუნებს უფლებას, შექმნას და გააუქმოს ფედერალური სასამართლოები და განსაზღვროს მოსამართლეთა რაოდენობა ფედერალურ სასამართლო სისტემაში, მაგრამ მას უზენაესი სასამართლოს გაუქმების უფლება არა აქვს.

კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ვრცელდება ყველა საქმეზე: რომელიც კანონისა და სამართლიანობის შესაბამისად,

გამომდინარეობს კონსტიტუციიდან, აშშ-ის კანონებიდან, ხელშეკრულებებიდან, რომლებიც დადებულია ან მომავალში დაიდება შეერთებული შტატების მიერ; რომელიც შეეხება ელჩების, სხვა სრულუფლებიანი წარმომადგენლებისა და კონსულების მოღვაწეობას; რომელიც შეეხება საადმირალოსა და საზღვაო კანონმდებლობას. ამასთან, სასამართლო ხელისუფლება ვრცელდება სადავო საკითხებზე: რომლის დროსაც ერთ-ერთი მხარე იქნება აშშ; რომლებიც წარმოიშვა ორ ან მეტ შტატს შორის; სხვადასხვა შტატის მოქალაქეებს შორის; ერთი და იმავე შტატის მოქალაქეებს შორის, რომლებიც სხვა შტატის მიერ ნაბოძებ მინაზე აცხადებენ პრეტენზიას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აშშ-ის სასამართლო ხელისუფლება ვრცელდება იმ საქმეებზე, რომლებიც კანონისა და სამართლიანობის შესაბამისად, აღძრულ იქნება ერთ-ერთი შტატის მიმართ მეორე შტატის მოქალაქის მიერ ან რომელიმე უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ქვეშევრდომის მიერ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალური სასამართლო სისტემის მოქმედების გეოგრაფიული არეალი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ნებისმიერი შტატის სასამართლო სისტემა, რადგან ფედერალური პირველი ინსტანციის სასამართლოები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებენ. მიუხედავად ამ გარემოებისა, ზოგიერთი მახასიათებლით ფედერალური სასამართლო სისტემა არათუ აღემატება, არამედ, ცალკეული დიდი შტატის შემთხვევაში, თავისი მასშტაბით ჩამორჩება კიდევ მას. მაგალითად, კალიფორნიის შტატის პირველი ინსტანციის სასამართლოები ნელინადში განიხილავენ 944 ათას საქმეს, სააპელაციო სასამართლოები – 12 ათასს, უმაღლესი სასამართლო – 3200-ს, მაშინ, როცა ამავე პერიოდში ფედერალური პირველი ინსტანციის სასამართლოები განიხილავენ საშუალოდ 279 ათას საქმეს, სააპელაციო სასამართლოები – 40 ათასს, უმაღლესი სასამართლო – 4917-ს.¹ აღნიშნული მონაცემები ვრცელდება, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე. თუმცა, მოცემული სტატისტიკის ობიექტური შეფასების მიზნით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღძრულ სარჩელთა ოდენობა ყოველთვის ზუსტად არ ასახავს მოსამართლეთა დატვირთვის ხარისხს, ვინაიდან მრავალ სარჩელზე მხარეებს შორის შეთანხმება სამართალწარმოების ადრეულ სტადიაზე მიიღწევა და, პრაქტიკულად, მოსამართლეთა მონაწილეობის გარეშე წყდება. გარდა ამისა, ზოგიერთი საქმე მიმდინარე ხასიათს ატარებს და სიმარტივეთ გამოირჩევა, მაგალითად, ორმხრივი თანხმობით განქორწინება. თუმცა, ამ ფაქტორების მიუხედავად, ჩვენ მიერ მოყვანილი ციფრები შედარებით სრულ წარმოდგენას ქმნის ამა თუ იმ სასამართლო ორგანოს დატვირთვის

1. დენიელ ჯონ მიდლრი, მითითებული ნაშრომი, გვ. 29.

მოცულობის შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუმცა კალიფორნიის შტატში პირველი ინსტანციით აღძრულ სარჩელთა ოდენობა გაცილებით აღემატება ქვეყნის ყველა ფედერალურ საოლქო სასამართლოში აღძრულ სარჩელთა ოდენობას, განსხვავებული სურათი გვხვდება სააპელაციო ინსტანციებში. აქ ამკარად იკვეთება ფედერალური სააპელაციო სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეთა მრავალრიცხოვნობა. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ფედერალური საოლქო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა მხარეები, გაცილებით მეტ მონდომებასა და მზადყოფნას ავლენენ პროცესის სააპელაციო ინსტანციაში გაგრძელების თვალსაზრისით, ვიდრე ამას შტატის სასამართლოებში აქვს ადგილი.

აშშ-ის უზენაეს სასამართლოში აღძრული სარჩელები წარიმართება როგორც შტატის უმაღლესი სასამართლოებიდან, ასევე ქვემდგომი ფედერალური სასამართლოებიდან, მაშინ როდესაც კალიფორნიის შტატის უმაღლეს სასამართლოში აღძრული საქმეები მხოლოდ შტატის ქვემდგომი სასამართლოებიდან წარიმართება. ყოველნაირად, ამ ორ უმაღლეს სასამართლოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ოდენობა გაცილებით ჩამორჩება აღძრულ საქმეთა ოდენობას, ვინაიდან აღნიშნული სასამართლოები წარმოებაში მიიღებენ და გადაწყვეტილებებს გამოიტანენ აღძრულ სარჩელთა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაზე. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ, ერთი მხრივ, ფედერალურ სასამართლო სისტემასა და მეორე მხრივ, კალიფორნიის შტატის სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა თანაბარი რაოდენობის ფონზე, შტატის საკადრო შემადგენლობის უმრავლესობა უპირატესად პირველი ინსტანციის სასამართლოებშია კონცენტრირებული.

ფედერალური სასამართლო სისტემის სააპელაციო ინსტანციებში მოსამართლეთა შედარებით მეტი რაოდენობის კონცენტრაცია ისევ და ისევ იმ გარემოებას ნათელყოფს, რომ ამ სისტემაში განსაკუთრებით მრავალფეროვანია საჩივართა რაოდენობა. აშშ-ის კიდევ ერთ შტატში, კერძოდ, ილინოისში პირველი ინსტანციის მოსამართლეთა რაოდენობა 760-ს შეადგენს და მნიშვნელოვნად აღემატება ფედერალურ საოლქო მოსამართლეთა შემადგენლობას. შტატებში, სადაც არ მოქმედებს პირველი ინსტანციის სასამართლოთა ერთიანი სისტემა, საქმეთა ძირითად მასას შეზღუდული იურისდიქციის მქონე სასამართლოები განიხილავენ. თუ ამ სასამართლოების ნევრებსაც მივიღებთ მხედველობაში, ზოგიერთ შტატში პირველი ინსტანციის მოსამართლეთა რაოდენობა გადააჭარბებს ფედერალურ მოსამართლეთა კორპუსს, მომრიგებელი მოსამართლეების, გაკოტრების საქმეთა და სხვა სპეციალიზებული მოსამართლეების ჩათვლით.

უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალური საოლქო სასამართლოები არსებითად პირველი ინსტანციის სასამართლოებს წარმოადგენენ, ისევე, როგორც

შტატის საერთო იურიდიქციის სასამართლოები. ამასთან, სამართალწარმოების წესი შტატების უმეტესი ნაწილის პირველი ინსტანციის სასამართლოებსა და საოლქო ფედერალურ სასამართლოებში იდენტურ ხასიათს ატარებს. მსგავსება ამ ორ სისტემას შორის არ ამოიწურება მხოლოდ სამართალწარმოების წესისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ერთმნიშვნელოვანი მოქმედებით. ფედერალური საოლქო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა დაახლოებით მეოთხედი შტატების კანონმდებლობასთან დაკავშირებით არის წარმოშობილი. ამ საქმეების გადანყვევტიასა, ფედერალური საოლქო სასამართლოები ზუსტად იმავე სახის სამუშაოს ასრულებენ, რასაც შტატების საერთო იურიდიქციის სასამართლოები. სხვა მხრივ, მათ იურიდიქციაში შემავალი ფედერალური საოლქო სასამართლოები, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლისსამართლებრივი საქმეების განხილვისას, ძირითად ყურადღებას, უპირატესად, ფედერალური კანონმდებლობისა და საკონსტიტუციო საკითხებს, აგრეთვე საზღვაო საქმეებს უთმობენ. ზოგიერთი აღნიშნული საკითხი, არცთუ იშვიათად, შტატების დონეზე განხილავი ელემენტები მართალწარმოების დროსაც იქნის აქტუალობას. მთლიანობაში კი შტატების სასამართლოებს გაცილებით მეტი შეხება აქვთ ტრადიციული საერთო სამართლის საკითხებთან, ვიდრე ფედერალურ სასამართლოებს, რომელთა საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე საკითხთა განხილვა წარმოადგენს.

ანგლოსაქსური სასამართლო სისტემის ერთ-ერთი განტოტებაა სასამართლო ხელისუფლება კანადაში და იგი ძირითადად საერთო სასამართლოების საქმიანობასთან ასოცირდება. პრაქტიკულად, საერთო სასამართლოების კანადური მოდელი ანგლოსაქსური სისტემის ისტორიული განვითარების ერთი კონსერვატიული ასლია, რომელმაც გარკვეული ცვლილება-დამატებები მხოლოდ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან განიცადა. ეს „სიახლეები“ მან ზოგი არსებითი და ზოგიც პოლიტიკური მოტივაციიდან გამომდინარე მიიღო, და თანაც ისე, რომ ძირითადი კონსტრუქცია მაინც შენარჩუნებულ იქნა, ისევე როგორც ის თავისებურება, რომ სასამართლო პრეცედენტები ქვეყნის კონსტიტუციური სამართლის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენს. ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა კანადის უზენაესი სასამართლო, რომელიც შედგება გენერალ-გუბერნატორის მიერ წარდგენილი და სიცოცხლის ბოლომდე საიდუმლო საბჭოს მიერ დამტკიცებული 9 მოსამართლისგან, რომელთა შორის სამი აუცილებლად უნდა იყოს კვებეკის პროვინციიდან. გადანყვევტილების მისაღებად, როგორც წესი, საკმარისია სხდომაში მონაწილეობა მიიღოს ხუთმა წევრმა. უმაღლესი სასამართლო განიხილავს საჩივრებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების დადგენილებებზე, რომელიც გამოხატულ იქნა

პროვინციების უმაღლესი სასამართლო ინსტანციების, ფედერალური სასამართლოს მიერ და გამოაქვს მათზე საბოლოო გადაწყვეტილება. საჩივრები სამოქალაქო საქმეებზე შეიტანება იმ სასამართლოს ნებართვით, რომელმაც გამოიტანა დადგენილება ამ საქმეზე ან თვით უზენაესი სასამართლოს მიერ, თუ ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ საქმის განხილვის დროს საკითხი სცდება მოსარჩლის უშუალო ინტერესების ფარგლებს. უზენაესი სასამართლო განხილავს საჩივრებს მხოლოდ მძიმე სისხლის სამართლის საქმეებზე, თუ პირველადი გამამართლებელი განაჩენი გაუქმებულ იქნა ზემდგომი სასამართლოს მიერ ან საქმის განხილვისას წარმოიშვა დავა სამართლის საკითხში.

საერთო სასამართლოების ანგლოსაქსური მოდელის სრულყოფილად წარმოჩენა და მისი თავისებურებების გარკვევა, წარმოუდგენელია ინგლისის სასამართლო სისტემის განხილვის გარეშე, რომლის დღევანდელი ფორმით ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პარლამენტის მიერ 1873-1875 წლებში მიღებულ აქტებს სასამართლო წყობილების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული აქტების ამოქმედებამდე ერთგვარი ქაოსი სუფევდა, ერთი მხრივ, კონკრეტული სასამართლოების მიერ განხორციელებულ საქმიანობაში და, მეორე მხრივ, სხვადასხვა სასამართლო ორგანოს შორის კომპეტენციისა და განსჯადობის გამიჯვნის სფეროში. 1873-1875 წლების კანონმდებლობით, დაფუძნდა უზენაესი სასამართლო, რომელიც არ წარმოადგენს ერთიან მონოლითურ ერთეულს, არამედ მასში ცალკე ერთეულებად მოიაზრება სააპელაციო სასამართლო, მაღალი სასამართლო და გვირგვინის სასამართლო. ნიშანდობლივია, რომ ლორდთა პალატა არ ირიცხება უზენაესი სასამართლოს ნაწილად, მიუხედავად მის მიერ საბოლოო ინსტანციით აპელაციების უმრავლესობის განხილვისა. ეს კიდევ ერთი ორიგინალური მაგალითია პოლიტიკური პროცესების გავლენისა სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურულ მოწყობასა და ორგანიზაციაზე. კერძოდ, 1873 წლის კანონი ლორდ სელბორნის ხელმძღვანელობით იქნა მომზადებული. ამ აქტმა სასამართლო წყობილების სხვადასხვა საკითხის დარეგულირებასთან ერთად, ლორდთა პალატას ჩამოართვა სააპელაციო საჩივრების საბოლოო ინსტანციით განხილვის უფლებამოსილება, მაგრამ ამ ნოვაციას არ ეწერა ამოქმედება. 1874 წელს პოლიტიკურ ძალთა ბალანსი შეიცვალა და ხელისუფლებაში კონსერვატორები მოვიდნენ დიზრაელის ხელმძღვანელობით. მათი მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად, ლორდთა პალატას სასამართლო ხელისუფლებრივი უფლებამოსილება დაუბრუნდა, მაგრამ უზენაესი სასამართლოს სტრუქტურის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. არსებითად, ეს გარემოება შეიძლება საკვებით ბუნებრივად მივიჩნიოთ, ვინაიდან ინგლისში ხელისუ-

ფლებათა განაწილების პრინციპი ისედაც ფრიად ორიგინალური ფორმით არის რეალიზებული, კერძოდ, მეტად ფაქიზია მიჯნები საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის. ის ფაქტი, რომ საქმეთა გარკვეული ნაწილი საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი დელეგირებული სასამართლო ფუნქციის განხორციელების შედეგად საბოლოო ინსტანციის წესით იქნა გადაწყვეტილი, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს მრავალფეროვნებასა და არაორდინარულ მიდგომებს ანგლოსაქსური სასამართლო სისტემის წიაღში.

ინგლისის საერთო სასამართლოების კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმის გამოყენებით არის შესაძლებელი. უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ ქვემდგომი და ზემდგომი სასამართლოები. ეს მიახმნებს მათი კომპეტენციის მოცულობას, კერძოდ, ერთი მხრივ, მათ მიერ განხილულ საქმეთა კატეგორიებს და მეორე მხრივ, იმ გეოგრაფიულ არეალს, რომელზეც ვრცელდება მათი იურისდიქცია.

მართლმსაჯულების ორგანოები იყოფიან ასევე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებად. პირველი ინსტანციის სასამართლოები საქმეების პირველად განხილვას აწარმოებენ, მაგალითად, საგრაფოს სასამართლოები სამოქალაქო დავებზე, ხოლო მაგისტრატების სასამართლოები სისხლის სამართლის საქმეებზე. არ არის გამორიცხული სასამართლომ შეცდომა დაუშვას. სწორედ ამ შეცდომის გამოსასწორებლად და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს სააპელაციო პროცედურა, რომლის ძალით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, უკმაყოფილო პირი უფლებამოსილია, საჩივარი შეიტანოს სააპელაციო სასამართლოში. ეს უკანასკნელი სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გააუქმებს ან შეცვლის სასამართლოს პირველად გადაწყვეტილებას.

განხილული საქმეების არსის მიხედვით, განასხვავებენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოებს. თუმცა, ამ ორი კატეგორიის სასამართლოების მკაცრად გამიჯვნა შეუძლებელია, იმდენად, რამდენადაც საერთო სასამართლოთა უმრავლესობა ორივე კატეგორიის საქმეებს განიხილავს.

როგორც რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსური მოდელების შედარებითი ანალიზიდან ჩანს, პოლისისტემურობის დროს საერთო სასამართლოები მნიშვნელოვნად განიტვირთება სხვადასხვა კატეგორიის საქმეების განხილვისგან და ისინი, ძირითადად, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებს წყვეტენ. ამასთან, სამოქალაქო საქმეების გარკვეულ კატეგორიას ისინი პარალელურად მოქმედ სასამართლო სისტემას უნაწილებენ. სასამართლო ხელისუფლების მსგავსი პოლისისტე-

მურობა, ჩვენი აზრით, წარმოუდგენელია ანგლოსაქსურ სამართლებრივ სისტემაში, რადგან მრავალი სახის სასამართლო ორგანოს ფუნქციონირება საკუთარი უმაღლესი სასამართლოებითა და რთული იერარქიული სისტემით მხოლოდ ფართოდ განვითარებული კანონმდებლობის პირობებში არის შესაძლებელი. განსხვავებით საერთო სამართლის ქვეყნებში მოქმედი ნესისგან, კონტინენტური მოდელის პირობებში მოსამართლე პროცესის დროს არა მარტო აფასებს მტკიცებულებებს, არამედ თვითონაც აქტიურად მონაწილეობს მტკიცებათა შეგროვებაში. არაპროფესიონალი, არაიურისტი მოსამართლეები, ნაფიც მსაჯულები, ასიზები, შეფენები მოსამართლეებთან ერთად მონაწილეობენ სასჯელის განსაზღვრაში.

საერთო სასამართლოების სოციალისტური მოდელისათვის შემდეგი ნიშნებია დამახასიათებელი: მოსამართლეებისა და მსაჯულების არჩევითობა, მათი უფლებების თანასწორობა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოლქების თანხვედრა სასამართლო ოლქებთან, ე.ი. სპეციალური სასამართლო ოლქების შექმნის დაუშვებლობა. ამ შემთხვევაში ადგილობრივი საბჭოს მიერ არჩეული სასამართლო მოქმედებს საბჭოს ქვემდებარე ტერიტორიაზე. ხელისუფლებათა განაწილების არარსებობა ამ მოდელის პირობებში იწვევს საერთო სასამართლოების პასუხისმგებლობას არა კანონის, არამედ სახალხო დიქტატურის განმახორციელებელი ცენტრალური თუ ადგილობრივი საბჭოების კრებების წინაშე. მაგალითად, ჩინეთის უმაღლესი სახალხო სასამართლო პასუხისმგებელია სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა საბჭოსა და მისი მუდმივი კომიტეტის წინაშე, ხოლო ადგილობრივი სახალხო სასამართლოები – სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წინაშე. საერთო სასამართლოების ქვედა რგოლს მოქალაქეები ან წარმომადგენლობითი ორგანოები ირჩევენ, ზედა რგოლის მოსამართლეებს კი – მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოები, რომლებსაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ სასამართლოს შემადგენლობის შეცვლა. მაგალითად, ჩინეთში სახალხო სასამართლოების ყველაზე დაბალ რგოლს მოსახლეობა ირჩევს, დანარჩენ რგოლებს კი – სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ნიშანდობლივია, რომ სოციალისტური სახელმწიფოების: ყოფილი სსრკ-ის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კუბის, ჩრდილო კორეის სასამართლო სისტემები არ იცნობდა და არც ამჟამად ითვალისწინებს სააპელაციო ინსტანციას.

სასამართლო სისტემების მუსულმანური მოდელის თავისებურებებს განაპირობებს თავად რელიგიური სამართლის არსი, მისი წყაროები და მუსულმანური ქვეყნების განვითარების ტენდენციები. „ყადის სასამართ-

ლოებთან ერთად, რომლებიც ომიანობის დროს აღმოცენდა და მუსულმანური სამართლის მიხედვით, ერთ-ერთი კანონიერი სასამართლო ორგანო იყო, მუდამ არსებობდა სხვა ტიპის სასამართლოებიც, ხელისუფალთაგან დადგენილ პრიმიტიულ ჩვევებსა და რეგლამენტებს რომ იყენებდნენ.¹

თანამედროვე მსოფლიოში შესაძლებელია გამოვყოთ სახელმწიფოები, სადაც ტრადიციულმა მუსულმანურმა სასამართლოებმა არსებობა შეწყვიტეს, მაგალითად, თურქეთში – 1924 წელს, ევიპტეში – 1935 წელს, ტუნისში – 1956 წელს. მუსულმანური სასამართლოები აღარ ფუნქციონირებენ ინდონეზიაშიც, სადაც 1945 წლის კონსტიტუციით მწყობრი სასამართლო სისტემა ჩამოყალიბდა. მხოლოდ მის ზოგიერთ რაიონში კვლავაც მოქმედებენ რელიგიური სასამართლოები, რომლებიც საქმეებს იხილავენ ყურანისა და შარიათის კანონების მიხედვით. თუმცა, აქაც შეინიშნება მათი შემცირების ტენდენცია.² რელიგიური მართლმსაჯულება განსაკუთრებით მყარ პოზიციებს ინარჩუნებს ირანში, სადაც მუსულმანობა სახელმწიფო რელიგიად არის გამოცხადებული, ყველა სახელმწიფო ორგანო სასამართლოების ჩათვლით, უპირველესად, მისი დოგმებით ხელმძღვანელობს. ამ ქვეყანაში მოქმედი საკონსტიტუციო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო – სამეთვალყურეო საბჭოც, უპირველესად სახელმწიფო რელიგიასთან, ხოლო შემდეგ კონსტიტუციურ ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით იხილავს სამართლებრივ აქტებს.

მუსულმანური სასამართლო განიხილავს მხოლოდ ერთმორწმუნე ან იმ პირთა საქმეებს, რომლებიც თანხმობას განაცხადებენ, მათზე გავრცელდეს ამ სასამართლოს იურისდიქცია. აქ, არ არსებობს სახალხო მსაჯულების, ასიზებისა თუ ნაფიცი მსაჯულების მსგავსი ინსტიტუტები. პროცესი მიმდინარეობს შარიათის კანონებითა და პასუხისმგებლობის სპეციფიკური ფორმებით, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართალში. ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყანაში არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების ინსტიტუტი,³ პირს აქვს მხოლოდ უფლება, მიმართოს იმამს – უმაღლეს თანამდებობის პირს, რომელსაც, როგორც წესი, მონარქი ნარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ნიგერიაში, არსებობს ზემდგომი მუსულმანური სასამართლოებიც.

1. *რენე დავიდი, მითითებული ნაშრომი, გვ.351.*

2. *Law and Judicial systems of Nations, Ed. by Rhyne Lh. S. 3rfd ed. 1978, p. 342.*

3. *ჯიბრიინი, მითითებული ნაშრომი, გვ. 303.*

§ 2. ადმინისტრაციული სასამართლოები

ადმინისტრაციული სასამართლო წარმოადგენს განსაკუთრებული სახის სპეციალურ სასამართლოს. იგი იხილავს მოქალაქეთა დავებს სახელმწიფო მოხელეებსა და სახელმწიფო ორგანოებთან – მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისას, მათ მიერ მოქალაქეთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადმინისტრაციული ორგანოები განიხილავენ მხოლოდ ადმინისტრაციულ დავებს, საჩივრებს, ადმინისტრაციულ სარჩელებს და ადმინისტრაციულ დისციპლინურ, მატერიალურ სამართალდარღვევებს. საფრანგეთში, სადაც სასამართლო ადმინისტრაციულმა კონტროლმა უაღრესად სრულყოფილ ფორმას მიიღწია, გუი ბრებანის თვალსაზრისით, ეს კონტროლი მოიცავს საქმეებს უბრალო მუნიციპალური გადაწყვეტილებებიდან საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ორდონანსებამდე და შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ეშელონს. ადმინისტრაციულ სასამართლო პროცესს აქვს მთელი რიგი თავისებურებები ჩვეულებრივ სასამართლო პროცესთან შედარებით: მაღალია დახურული სხდომების ჩატარების ალბათობა, ადმინისტრაციული მოსამართლე შედარებით აქტიურად ერთვება პროცესში, რომელიც ძირითადად ატარებს არა შეჯიბრებით, არამედ ინკვიზიციურ ხასიათს. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციულ მოსამართლეზე ვრცელდება, ე.წ. „ბუნებრივი მართლმსაჯულების მოთხოვნები“ – მატერიალური სამართლისა და პროცესის ფუნდამენტური საფუძვლები, კერძოდ, როგორცაა: „არავინ არ შეიძლება იყოს მოსამართლე საკუთარ საქმეზე“, „არავინ არ შეიძლება იყოს მსჯავრდადებული, ვიდრე სასამართლო მას არ მოუსმენს“, „უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, საერთო იურისდიქციის ზემდგომ სასამართლოში“ და ა.შ.¹

ადმინისტრაციული იუსტიციის მიზანია მმართველობის სფეროში კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა. ადმინისტრაციული სასამართლოები ზოგჯერ ფორმირდება სამინისტროებთან, დეპარტამენტებთან, მმართველობის სხვა ორგანოებთან. მაგრამ, ჩვეულებრივ, ისინი შეადგენენ ერთიან სისტემას. საფრანგეთში, შეედეთსა და სხვა ქვეყნებში არსებობს: უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოები; მსხვილი ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციული სასამართლოები, როდესაც, განსხვავებით საერთო სასამართლო ოლქებისგან, უმეტეს შემთხვევაში, ეს ტერიტორიული ერთეულები ემთხვევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული

1. Бребан Г. . Французское административное право, Москва, 1998, стр. 367.

ერთეულების საზღვრებს; უმდაბლესი რგოლის ადმინისტრაციული სასამართლოები. თუ სახელმწიფო მოხელეს კანონი არ დაურღვევია, ამ ორგანოებში პირი ვერ აღძრავს საჩივარს, ვინაიდან კონკრეტულ საქმეთა გადაწყვეტილებისას, თანამდებობის პირს, სახელმწიფო მოხელეს აქვს თავისუფალი გათვალისწინების უფლება, ე.ი. დისკრეციული უფლება იმოქმედოს დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ – კანონის ფარგლებში.

ადმინისტრაციული იუსტიციის ინსტიტუტი XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში წარმოიშვა, ხოლო შემდეგ მთელ ევროპაში გავრცელდა. არსებობს ადმინისტრაციული იუსტიციის სამი სისტემა: ინგლისურ-ამერიკული, ავსტრიულ-გერმანული და ფრანგული.¹

ინგლისურ-ამერიკული, ანუ ანგლოსაქსური ადმინისტრაციული იუსტიცია გულისხმობს ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვას საერთო სასამართლოებში, ხოლო სპეციალური საქმეებისა – საუნყებო ადმინისტრაციულ ტრიბუნალებში, კონკრეტულად ამერიკის შეერთებულ შტატებში კი – კვაზისასამართლოებში. ეს ორგანოები განიხილავენ დავებსა და საჩივრებს პენსიების დანიშვნის, სამედიცინო მომსახურებისა და სხვა საკითხებზე. როგორც ინგლისში, ასევე აშშ-ში შეიძლება გამოეყოთ, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული იუსტიციის კვაზისასამართლო ორგანოები და, მეორე მხრივ, ადმინისტრაციაზე საერთო სასამართლოების კონტროლი. ამ სისტემის პრაქტიკული მოქმედების ერთ-ერთ ნათელ მაგალითს აშშ-ში ვხვდებით.

ავსტრიულ-გერმანული ადმინისტრაციული იუსტიცია სამსაფეხურიან სისტემას წარმოადგენს და მოიცავს ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოებს, მინების უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოებს და პირველი ინსტანციის ადმინისტრაციულ სასამართლოებს. მათ მეთაურებს პრეზიდენტები და ვიცე-პრეზიდენტები ეწოდებათ. სასამართლოთა წევრებს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, მიღებულია ასევე საპატიო წევრების არჩევა. აღნიშნული სასამართლოები მოქმედებენ ადმინისტრაციული სამართალწარმოების კოდექსის შესაბამისად, ხოლო იხილავენ არა მარტო მოქალაქეების, არამედ სხვადასხვა სახის კომერციული კომპანიების, სამრეწველო ფირმების, კორპორაციებისა და სხვა სახის გაერთიანებების მოქალაქეთა კოლექტიურ საჩივრებს. მმართველობის ორგანოებისა და სახელმწიფო მოხელეების მიმართ.

ადმინისტრაციული იუსტიციის ყველაზე ჩამოყალიბებულ, სრულყოფილ, ცენტრალიზებულ ფორმად საფრანგეთის ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემა გვევლინება. ისინი სავსებით დამოუკიდებელნი არი-

¹ *Арчер П., Английская судебная система, Москва, 1958, стр. 34.*

ან, არანაირად არ ემორჩილებიან საერთო სასამართლოებს და ზოგჯერ ადმინისტრაციის მრჩეველებადაც გვევლინებიან. ყოველწლიურად მათთან ათიათასობით საჩივარი შედის. ადმინისტრაციული სასამართლოები იხილავენ როგორც მცირე მნიშვნელობის საქმეებს, მაგალითად, პენსიების გაცემასთან, ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულს და სხვ., ასევე სერიოზულ, პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საქმეებსაც. ადმინისტრაციული სასამართლოს გადანყვეტილება შეიძლება შეეხოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს: პოლიტიკურს, მაგალითად, არჩევნებს; ეკონომიკურს, მაგალითად, სამეურნეო მმართველობასა და დაგეგმვას, მშენებლობას, სამხედრო ტექნიკას; სოციალურს, მაგალითად, ქალაქების კეთილმოწყობას, გარემოს დაცვას; კულტურულს, მაგალითად, განათლების რეფორმას, სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას; ზნეობრივს, მაგალითად, პრესისა და კინოს ცენზურას.

ადმინისტრაციული იუსტიციის არსებობას საფუძველი დაუდო ნაპოლეონმა 1799 წელს სახელმწიფო საბჭოს შექმნით. მომდევნო წელს მოხდა საბჭოების ფორმირება პრეფექტურებში. თავიდან მათი გადანყვეტილება ადმინისტრაციისთვის არ იყო სავალდებულო, ხოლო 1872 წლის კანონით საბჭოებს გადაეცათ მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება, კერძოდ, სასამართლო გადანყვეტილების გამოტანის უფლება. ამ გზით სასამართლოებმა დაადგინეს ადმინისტრაციული სამართლის მრავალი ნორმა, რომელიც შემდეგ კანონებსა და სხვა სამართლებრივ აქტებში იქნა გამოყენებული.

საფრანგეთის ადმინისტრაციული სასამართლოების დღეს მოქმედი სისტემა შედგება ქვემდგომი – რეგიონული და სპეციალიზებული სასამართლოების, სააპელაციო სასამართლოებისა და სახელმწიფო საბჭოსაგან. რეგიონული სასამართლოები წარმოადგენენ საერთო ადმინისტრაციულ სასამართლოებს. ისინი განიხილავენ ყველა იმ დავას, რომელიც არ შედის სპეციალიზებული სასამართლოების კომპეტენციაში. სულ არის 31 რეგიონული სასამართლო 320 მოსამართლის – თავმჯდომარეებისა და მრჩეველების შემადგენლობით. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი კონტინგენტის მქონე სასამართლოები პარიზში მდებარეობს. პარიზის სასამართლო კი შედგება 50 მოსამართლისგან და დაყოფილია რამდენიმე განყოფილებად. ერთი სასამართლო მდებარეობს ვერსალში, მისი იურისდიქცია ვრცელდება პარიზის გარეუბნების უმრავლესობაზე. სპეციალიზებულ ადმინისტრაციულ სასამართლოებს განეკუთვნება: საანგარიშო პალატა, ამ სახის ორგანოებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ორიგინალური ინსტიტუტი. 1982 წელს შეიქმნა რეგიონული საანგარიშო პალატები, რომლებიც დაექვემდებარა დედაქალაქის პალატას; დის-

ციპლინური სასამართლოები, როგორც ადმინისტრაციულ სისტემაში მომხდარი ცვლილებების, მაგალითად, საჯარო სასწავლებლების პედაგოგების საქმეების განსახილველად, ასევე, მის ფარგლებს გარეთ არსებულ დარღვევებზე გადანყვეტილებების გამოსატანად, მაგალითად, როგორცაა არქიტექტორების, ექიმებისა და სხვა თავისუფალი პროფესიის მქონე პირთა საქმეები; სასამართლოები, რომლებიც მოქმედებენ სოცუზრუნველყოფის სფეროში დავების განსახილველად.

რეგიონული სასამართლოების გადანყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს 1987 წელს შექმნილ სააპელაციო სასამართლოებში, რომელთა რიცხვი ხუთს არ აღემატება და თითოეული იყოფა 2 ან 3 პალატად. სასამართლოებს თავმჯდომარეობენ სახელმწიფო საბჭოს წევრები, ხოლო მოსამართლეები შეუცვლელნი არიან. სხვა თანამდებობაზე მათი გადაყვანა თუ დანიშნულება შესაძლებელია მხოლოდ პირადი თანხმობის შემთხვევაში. საჩივრებზე გადანყვეტილება, ჩვეულებრივ, პალატას გამოაქვს, გამონაკლის შემთხვევაში – სასამართლოს პლენუმს.

საფრანგეთის უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოს, ასევე, მთავრობის მთავარ კონსულტანტს მმართველობის სფეროში წარმოადგენს სახელმწიფო საბჭო. იგი შედგება 5 განყოფილებისგან, რომელთაგან ერთი არის სასამართლო, ხოლო დანარჩენი 4 საზოგადოებრივი სამუშაოების, შინაგან საქმეთა, საფინანსო და სოციალურ საკითხებზე ორიენტირებულ საკონსულტაციო განყოფილებებს წარმოადგენს. ისინი კურირებენ და კოორდინაციას უწევენ მათ სფეროში მოქმედ სამინისტროებს. განყოფილებების თავმჯდომარეებს ნიშნავს მინისტრთა საბჭო სახელმწიფო საბჭოს წევრთაგან. სახელმწიფო საბჭოს ფორმალურად ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეა იუსტიციის მინისტრი, რეალურად კი საბჭოს საქმიანობას წარმართავს ვიცეთავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს მინისტრთა საბჭო განყოფილებათა თავმჯდომარეების ან სახელმწიფო მრჩეველთა რიგებიდან. სახელმწიფო საბჭოს ძირითად შემადგენლობაში ასევე შედიან განყოფილებების თავმჯდომარეთა მოადგილეები, ქვეგანყოფილებების თავმჯდომარეები, სახელმწიფო მრჩეველები, პირველი და მეორე კლასის მომხსენებლები და აუდიტორები.

სახელმწიფო საბჭოს წევრები ფორმალურად არიან არა მოსამართლეები, არამედ სახელმწიფო მოხელეები. ერთი მხრივ, ისინი სარგებლობენ დამოუკიდებლობით, მეორე მხრივ კი, შესაძლებელია მათი შეცვლა, ვინაიდან ამ თანამდებობაზე ყოფნის მაქსიმალური ასაკი 65 წელს შეადგენს.

სახელმწიფო საბჭო საკონსულტაციო ფუნქციას ახორციელებს ორი ფორმით: იძლევა დასკვნას სამართლებრივი აქტების შესახებ და იკვლევს

სახელმწიფო მმართველობის სფეროში არსებულ საკითხებს და ადგენს მოხსენებებს.

სახელმწიფო საბჭოს, როგორც უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოს, გამოაქვს გადაწყვეტილება პირველი და უკანასკნელი ინსტანციის სახით განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებზე, იხილავს მთავრობისა და მინისტრების აქტებზე არსებულ საჩივრებს, სამხედრო სტატუსის შესახებ დავებსა და სხვ. საბოლოო ინსტანციის სახით საბჭო განიხილავს საჩივრებს, რომელიც მომდინარეობს სააპელაციო და სპეციალიზებული ადმინისტრაციული სასამართლოების, ასევე რეგიონული სასამართლოების გადაწყვეტილებებიდან. საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ მთავრობის მიერ დანიშნული კომისრები, რომლებიც საბჭოში წარმოადგენენ საპროკურორო ზედამხედველობის განყოფილებას. საბჭოში მოქმედებს აპელაციის წესი, ე.ი. წყდება როგორც სამართლის, ასევე ფაქტის საკითხი.

საფრანგეთის ადმინისტრაციულ იუსტიციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა. მართლაც, ხშირია უთანხმოება საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ სასამართლოებს შორის დავების უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხთან დაკავშირებით. ამ პრობლემის დასარეგულირებლად, ჯერ კიდევ 1984 წელს შეიქმნა სპეციალური სასამართლო. მის შემადგენლობაშია 4 წევრი სახელმწიფო საბჭოდან და 4 წევრი საფრანგეთის საერთო სასამართლოების უმაღლესი ინსტანციიდან – საკასაციო სასამართლოდან. განსჯადობის შესახებ დავის განხილვისას სასამართლოს თავმჯდომარეობს იუსტიციის მინისტრი ან სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარე, რომელსაც 3 წლით აირჩევენ სახელმწიფო საბჭოსა და საკასაციო სასამართლოს შემადგენლობიდან, მონაცვლეობის წესით.

გერმანიაში საერთო-ადმინისტრაციული იურისდიქცია მართლმსაჯულების იმ ნაწილად აღიქმება, რომლის უპირველეს მიზანს ადმინისტრაციის არამართლზომიერი მოქმედებებისგან ინდივიდის დაცვა წარმოადგენს. ადმინისტრაციული იუსტიციის სტრუქტურული მოწყობის, განსჯადობისა და სამართალწარმოების საკითხები რეგულირდება კანონით ადმინისტრაციული სასამართლოების შესახებ.

გერმანიის ადმინისტრაციული იურისდიქციის კომპეტენციას შეადგენს საჯარო-სამართლებრივი დავები, თუ ისინი სხვა იურისდიქციის განსჯადი არ არის. იურისდიქციის ეს სახე უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში მოქალაქის სამართლებრივ დაცვას. ადმინისტრაციის ისეთი სახეების მიმართ, როგორიცაა სოციალური დაზღვევისა და საგადასახადო სამართლის სფეროები, მოქმედებენ გან-

საკუთრებული სასამართლოები. ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოებს წარმოადგენენ ადმინისტრაციული სასამართლოები და მეორე ინსტანციის ადმინისტრაციული სასამართლოები, ან მინების პალატები და სენატები ადმინისტრაციულ საქმეებზე და ბერლინში მდებარე ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო. ადმინისტრაციული სამართალწარმოება რეგულირდება ცალკე კანონით ადმინისტრაციული სასამართლოების შესახებ.

ადმინისტრაციული იუსტიცია წყვეტს ყველა სახის დავას საჯარო სამართლის სფეროში, რამდენადაც აღნიშნული დავები ფედერალური კანონმდებლობის მიხედვით არ არის სხვა სასამართლოების განსჯადი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავებს განეკუთვნება, ერთი მხრივ, დავები საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა, დავები მოქალაქეებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. როგორც წესი, ინდივიდი ასაჩივრებს ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილებას – ადმინისტრაციულ აქტს, მაგალითად, მუნიციპალიტეტის გადანყვეტილებას მოსაკრებლის ამოღების შესახებ. მოქალაქე საცილოდ გახდის მას და მოითხოვს მის შეცვლას ან გაუქმებას. ხშირად მოქალაქე დაინტერესებულია მის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემით, მაგალითად, როგორცაა ნებართვა მშენებლობაზე ან გარკვეული საქმიანობის, ხელობის განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში აღიძვრება სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოვალეობის ადმინისტრაციულ ორგანოზე დაკისრების მოთხოვნით. ადმინისტრაციული სასამართლოები განიხილავენ ასევე ყველა საქმეს, რომელიც მოხელეთა სამსახურებრივი სამართალურთიერთობიდან გამომდინარეობს.

მთლიანად, გერმანიაში გამოიყოფა ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილული სარჩელების სამი სახე: სარჩელები, რომლებიც სადავოს ხდის მმართველობის აქტებს; სარჩელები აქტის გამოცემის მოთხოვნით; სარჩელები აქტის გამოცემის ფაქტის დადგენის შესახებ. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხორციელებული საქმიანობის ფორმებიც. ყველა საჯარო-სამართლებრივ დავაზე ადმინისტრაციული იურისდიქციის განსჯადობის პრინციპი, გარკვეულწილად, ცალკეულ შემთხვევებში, მნიშვნელოვნად იზღუდება. მაგალითად, საკონსტიტუციო-სამართლებრივ დავებს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს; დავებს საჯარო-სამართლებრივი კომპენსაციების შესახებ – საერთო სასამართლოები, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით; საჯარო ადმინისტრაციის ცალკეუ-

ლი სფეროებისთვის არსებობს სასამართლო სისტემის სხვა განმტკიცებები, კერძოდ, სოციალური იურისდიქცია სოციალური დაზღვევის სფეროში და საფინანსო იურისდიქცია საგადასახადო საკითხებზე.

ადმინისტრაციული იურისდიქციის სისტემას გერმანიაში სამრგოლიანი ვერტიკალური სტრუქტურა აქვს: პირველი ინსტანციის მართლმსაჯულების ორგანოებს წარმოადგენენ მიწების სასამართლო ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედი ადმინისტრაციული სასამართლოები; მეორე ინსტანციის სახით მოქმედებენ მიწების უმაღლესი სასამართლოები; მესამე ინსტანციას ბერლინში ფუნქციონირებადი ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო წარმოადგენს. ადმინისტრაციულ სასამართლოებთან მოქმედებენ პალატები სამი პროფესიონალი და ორი არაპროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოების დანაყოფებს სენატები ეწოდება. ფედერალური მიწების უმრავლესობაში ისინი დაკომპლექტებულნი არიან პალატების მსგავსად სამი პროფესიონალი და ორი არაპროფესიონალი მოსამართლით, ზოგან კი მხოლოდ სამ პროფესიონალ მოსამართლეს აერთიანებენ. არაპროფესიონალი მოსამართლეები ოთხი წლის ვადით ინიშნებიან, ისინი არ არიან განსაზღვრული პროფესიული ჯგუფისა თუ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის წარმომადგენლები. ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს სენატები ხუთ ფედერალურ მოსამართლეს აერთიანებენ.

უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოები სააპელაციო საჩივრებს განიხილავენ ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. დიდი ტექნიკური პროექტების განხორციელებაზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოები პირველი ინსტანციით გადაწყვეტენ ხუთი პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო საკანონმდებლო გარანტიების შემთხვევაში, ასევე, ორი პროფესიონალი მოსამართლის დამატებით. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილება შეიძლება სარევიზიო წესით გასაჩივრდეს, თუ ამის თაობაზე არსებობს უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს ნებართვა, ან საჩივრის საგანს სამართალწარმოებისას დაშვებული სერიოზული შეცდომა წარმოადგენს. გარკვეული წინა პირობების არსებობისას, საქმის მონაწილენი უფლებამოსილნი არიან, სააპელაციო ინსტანციის გვერდის ავლით, უშუალოდ ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოში შეიტანონ სარევიზიო საჩივარი. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აღნიშნული საჩივრის ძირითად მოტივაციას, სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას, ფედერალური კანონმდებლობის დარღვევა წარ-

მოადგენდეს. თუ წარმოების საგანს მინის სამართალი წარმოადგენს, მაგალითად, საპოლიციო სამართალი, საბოლოო ინსტანციად ამ კატეგორიის საქმეებზე მინის უმაღლესი ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლო ითვლება.

ზოგიერთ შემთხვევაში, თავად ფედერალური სასამართლო წარმოადგენს როგორც საბოლოო, ასევე პირველ ინსტანციას, კერძოდ, ფედერაციასა და მინებს ან მხოლოდ მინებს შორის არასაკონსტიტუციო ხასიათის საჯარო-სამართლებრივი დავების არსებობისას, აგრეთვე, იმ სარჩელების შემთხვევაში, რომლებიც შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრის მიერ გარკვეული ორგანიზაციების აკრძალვიდან გამომდინარეობს, განათლებისა და გაერთიანების უფლების შესახებ კანონის საფუძველზე. ასევე, ძირითადი კანონის IX მუხლის II აბზაცის თანახმად, აკრძალულია გაერთიანება, რომლის მიზნები და საქმიანობა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კანონებს ან მიმართულია კონსტიტუციური წყობის ან ხალხებს შორის ურთიერთგაგების იდეის წინააღმდეგ.

ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოსთან მოქმედებს განსაკუთრებული ორგანო მთავარი პროკურორის სახით. იგი უშუალოდ ფედერალურ მთავრობას ექვემდებარება და მისი, როგორც საჯარო ინტერესების წარმომადგენლის ამოცანას შეადგენს ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს მხარდაჭერა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. იგი წარმოაჩენს, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებისთვის ცალკეული სამართლებრივი დავის გადანყვეტას. მსგავსი ორგანო ზოგიერთ ფედერალურ მინაშიც მოქმედებს პირველი ინსტანციისა და უმაღლეს სასამართლოებთან.

ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოები მონოდეულნი არიან სამართლიანად დააბალანსონ, ერთი მხრივ, ეფექტური სამართლებრივი დაცვის მოთხოვნები და, მეორე მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აუცილებელი დისკრეციული უფლებამოსილების დაუბრკოლებელი განხორციელება. აღსანიშნავია, რომ საჩივარი ადმინისტრაციული აქტის გაუქმების მოთხოვნით შეიძლება აღიძრას და განხილულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის მართლზომიერებისა და მიზანშეწონილობის წინასწარი წარმოების წესით შემოწმების შემდეგ. ამ მიზნით, დაინტერესებულმა პირმა პროტესტი უნდა წარადგინოს სადაო აქტის გამომცემ ორგანოში. ზემდგომი უწყება განიხილავს აღნიშნულ ადმინისტრაციულ აქტს და თუ საქმე არ გადანყდა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, ერთი თვის ვადაში შეიტანოს სარჩელი. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, სასამართლო განიხილავს მხოლოდ გამოცემული აქტის

კანონიერებას, მისი შენევეტის ან გაუქმების და არა მისი მიზანშეწონილობის საკითხს.

ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოში თითოეული მონაწილე წარმოდგენილი უნდა იყოს ადვოკატის ან გერმანიის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის მიერ, პირველი ინსტანციისა და მინების უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში კი – იმ პირთა მიერ, რომელთაც ძალუძთ გამოთქვან აზრი საქმის არსთან დაკავშირებით.

გერმანიაში ადმინისტრაციული იურისდიქციის სახესხვაობას წარმოადგენს სოციალური იურისდიქცია, რომელიც საჯარო ადმინისტრაციის განსაზღვრული კატეგორიის მიმართ მოქმედებს. მიუხედავად ამისა, იგი სასამართლო სისტემის დამოუკიდებელ განშტოებას წარმოადგენს. სოციალური იუსტიცია უპირატესად განიხილავს საქმეებს სოციალური დაზღვევის ხაზით, თანხების, მაგალითად, პენსიების მიღებასთან დაკავშირებულ საქმეებს, რომლებსაც ბევრი მოქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

სოციალური იურისდიქციის სასამართლოები გადანეყვეტენ იმ საჯარო სამართლებრივ დავებს, რომლებიც შეეხება:

– სოციალურ დაზღვევას, კერძოდ, კანონით დადგენილ ჯანმრთელობის დაზღვევის, უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევის, მუშა-მოსამსახურეთა საპენსიო დაზღვევისა და სამთო მუშაკთა დაზღვევის უფლებას;

– უმუშევართა დაზღვევას და ფედერალური შრომითი უწყების სხვა ამოცანებს, მაგალითად, პროფესიული სწავლების სტიმულირებას, დავებს, რომლებიც მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების შესახებ ფედერალური კანონიდან გამომდინარეობს;

– იმ პირთა სოციალურ უზრუნველყოფას, რომლებიც სამხედრო მოქმედებების შედეგად დაზარალდნენ;

– ექიმთა სადაზღვევო უფლებებს, კერძოდ, ურთიერთობებს, ერთი მხრივ, ექიმებსა და, მეორე მხრივ, საავადმყოფოების სადაზღვევო საღაროებს შორის;

– კანონით განსაზღვრულ სპეციალურ ამოცანებს, მაგალითად, ბუნდესვერის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ დავებს და იმ ოჯახების ინტერესების დაცვას, რომლებმაც მარჩენალი დაკარგეს.

გადაწყვეტილება პირველი ინსტანციით გამოაქვთ სოციალურ საკითხთა სასამართლოებს, რომელთა პალატების შემადგენლობაში ერთი პროფესიონალი და ორი არაპროფესიონალი მოსამართლე შედის. ამ სასამართლოებთან მოქმედებენ პალატები სოციალური დაზღვევის, უმუშევრობისაგან დაზღვევის საკითხებზე, იმ პირთა საქმეებზე, რომ-

ლებიც დაზარალდნენ საომარი მოქმედების შედეგად, ასევე პალატა სამთო მრეწველობაში დასაქმებული მუშაკების სოციალური დაზღვევის საკითხებზე.

სოციალურ საქმეთა სასამართლოების გადანყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია სააპელაციო წესით მინის სოციალურ საკითხთა უმაღლეს სასამართლოში. თუმცა, კანონი ზოგიერთ შემთხვევაში გამორიცხავს სააპელაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას. სააპელაციო ინსტანციის სენატებს გადანყვეტილება გამოაქვთ სამი პროფესიონალი მოსამართლისა და ორი არაპროფესიონალის შემადგენლობით. გარკვეული წინა პირობების არსებობისას, მინის სასამართლოთა გადანყვეტილებები გასაჩივრდება სარევიზიო წესით ქალაქ ესელში მოქმედ სოციალურ საკითხთა ფედერალურ სასამართლოში. სააპელაციო და სარევიზიო ინსტანციებში ფუნქციონირებენ სპეციალური სენატები, რომლებიც შეესაბამებიან პირველი ინსტანციის სასამართლოებში მოქმედ პალატებს.

არაპროფესიონალი მოსამართლეები, ადმინისტრაციული იურისდიქციის შესაბამისი წევრებისგან განსხვავებით, პირთა განსაზღვრულ ჯგუფებს წარმოადგენენ და მათი ძირითადი ფუნქცია სწორედ შესაბამისი ჯგუფის ინტერესთა დაცვაა. საერთოდ, სოციალური იურისდიქციის მუშაობაში მონაწილეობენ:

- სოციალური დაზღვევისა და უმუშევრობისაგან დაზღვევის პალატებსა და სენატებში – თითო-თითო არაპროფესიონალი მოსამართლე – დაზღვეულთა და სამუშაოს მიმცემთა, დამსაქმებელთა რიგებიდან;

- საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულ პირთა სოცუზრუნველყოფის საქმეებზე მოქმედ პალატებსა და სენატებში თითო-თითო არაპროფესიონალი მოსამართლე წარმოადგენს, ერთი მხრივ, აღნიშნული უფლების მქონე პირებს და, მეორე მხრივ, პირებს, რომლებიც სოცუზრუნველყოფის საქმეებს კურირებენ;

- ექიმთა დაზღვევის საქმეებზე მოქმედ პალატებსა და სენატებში – თითო-თითო არაპროფესიონალი მოსამართლე ექიმებსა და საავადმყოფოების სადაზღვევო სალაროებს წარმოადგენენ.

სოციალურ საკითხთა სასამართლოებში სამართალწარმოება ძალიან ნააგავს საქმეთა წარმოებას საერთო-ადმინისტრაციულ იურისდიქციაში. აქაც მოქმედებს წინასწარი ადმინისტრაციული წარმოება, პრევალირებს სამძებრო პროცესი და სასამართლო, თავისი შეხედულებისამებრ, იკვლევს საქმის გარემოებებს. სოციალური საკითხების ფედერალურ სასამართლოში მხარეები უნდა წარმოადგინონ პროფკავშირების, სანარმო-დანესებულებათა ადმინისტრაციის, გაერთიანებების, საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულ პირთა კავშირების წევრებმა ან ად-

ვოკატებმა. სხვა დონის სასამართლოებში პირები შეიძლება თავად მონაწილეობდნენ პროცესში ან წარმოდგენილი იყვნენ რწმუნებულების მიერ.

სოციალური იურისდიქციის მსგავსად, ადმინისტრაციული იურისდიქციის ერთ-ერთ დარგს საფინანსო იურისდიქცია წარმოადგენს. იგი მონობდებულია გადაჭრას ყველა საჯარო-სამართლებრივი დავა წარმოქმნილი საფინანსო ორგანოების, კერძოდ, საფინანსო და საბაჟო უწყებების საქმიანობაში. საფინანსო იურისდიქციის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 1965 წლის ნოქტომბრის კანონი საფინანსო სასამართლოების შესახებ.

საფინანსო იურისდიქციის სასამართლოების განსჯადობას, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება საქმეები მოსაკრებლებისა და გადასახადების შესახებ, უფრო ზუსტად, საფინანსო და საბაჟო ორგანოების საგადასახადო და სხვა სახის უწყებების კანონიერების საკითხები. აქვე გათვალისწინებულია საბაჟო ორგანოების მიერ ექსპორტ-იმპორტის კონტროლთან დაკავშირებით მიღებული ყველა ზომა. მოსაკრებლების, გადასახადებისა და ბაჟის ცალკეული სამართლებრივი საკითხები, კერძოდ, ადგილობრივ ტერიტორიულ ერთეულში ამოღებულ გადასახადებსა და მოსაკრებლებთან დაკავშირებული საკითხები საერთო-ადმინისტრაციული სასამართლოების განსჯადობას განეკუთვნება.

გერმანიის სასამართლო ხელისუფლების სხვა შტოებისგან განსხვავებით, საფინანსო იურისდიქციას ორსაფეხუროვანი ვერტიკალური სტრუქტურა აქვს. პირველი ინსტანციის წესით, რომელთა შემადგენლობაში სამი პროფესიონალი და ორი არაპროფესიონალი მოსამართლე ირიცხება, მიუხედავად იმისა, რომ საფინანსო სასამართლოები პირველ ინსტანციას წარმოადგენენ, ისინი მოქმედებენ როგორც მინის უმაღლესი სასამართლოები, ე.ი. თავისი დონით ისინი უტოლდებიან უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოებს და მინის სასამართლოებს სოციალურ საკითხებზე. მეორე ინსტანციას წარმოადგენს ფედერალური საფინანსო სასამართლო მიუნხენში. სენატების შემადგენლობაში, ისევე, როგორც ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოებში ხუთი პროფესიონალი მოსამართლე საქმიანობს.

საფინანსო სასამართლოების გადანაცვტილებებზე შეიტანება არა სააპელაციო, არამედ სარევიზიო საჩივარი. ფედერალური საფინანსო სასამართლო, როგორც სარევიზიო ინსტანცია, საკუთარი გადანაცვტილების საფუძველად გამოიყენებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფინანსო სასამართლოს მიერ არის დადგენილი, ე.ი. უმაღლესი სასამართლო ინსტანცია ამ შემთხვევაში მხოლოდ სამართლის საკითხს განიხილავს ამასთან, სარევიზიო საჩივარი აღიძვრება, თუ ამის შესაძლებლო-

ბას, საქმის აქტუალობიდან გამომდინარე, საფინანსო სასამართლო დაუძევებს, ან თუ ამას ფედერალური საფინანსო სასამართლო მოითხოვს, სამართალწარმოებისას დაშვებული სერიოზული შეცდომების გამოსწორების მოტივაციით. ზოგიერთ შემთხვევაში, ფედერალური საფინანსო სასამართლო გვევლინება პირველ და საბოლოო ინსტანციად. გასათვალისწინებელია, რომ ფედერალური საფინანსო სასამართლოს მიერ განხორციელებული სამართალწარმოება ხშირად სამაგალითო პროცესის სახეს ატარებს. მიღებულ გადაწყვეტილებებს შემდგომში მრავალრიცხოვანი ანალოგიური საქმეების გადაჭრისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება და საფინანსო ადმინისტრაციისათვის შესასრულებლად საყალბედ ულო დირექტივების სახეს ატარებს.

საფინანსო სასამართლოების მიერ განხორციელებული სამართალწარმოება ადმინისტრაციული წარმოების იდენტურია. ჩვეულებრივ, მოსარჩლეები მოითხოვენ საგადასახადო ან საბაჟო უწყებების გაუქმებას. თუმცა, შესაძლებელია სასარჩელო განცხადება მიმართული იყოს განსაზღვრული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად, მაგალითად, ნორმაზე გადამეტებით გადახდილი გადასახადის დასაბრუნებლად. პირველი სახის სარჩელის აღძვრა მხოლოდ საფინანსო ორგანოს მიერ წინასწარი წარმოების დასრულების შემდეგაა შესაძლებელი. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ საფინანსო და საბაჟო უწყების მიერ თანხის გაანგარიშება და მოთხოვნა ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საფინანსო სასამართლო უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს გადასახადებისა და ბაჟის განსხვავებული მოცულობა. ამასთან, სასამართლო ვერ შეცვლის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას მოცემული პირის საზიანოდ. პროცესის დროს შესაძლებელია მხარეები პირადად იცავდნენ საკუთარ ინტერესებს ან მაგალითად, საგადასახადო სამართლის საქცილისთვის, ადეოკატის ან აუდიტორის მიერ იყენებულ წარმოდგენილნი. ხოლო, რაც შეეხება ფედერალურ საფინანსო სასამართლოს, აქ პირი აუცილებლად პროფესიონალის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი.

ადმინისტრაციული იურისდიქციის რომანულ-გერმანული მოდელი მოქმედებს შვედეთშიც. აქ არსებობს ადმინისტრაციული იუსტიციის განვითარებული სისტემა, რომელიც განიხილავს საჩივრებს სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ქმედებებზე. ამავე დროს, მთავრობის მიერ კერძო პირებსა და კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებიდან და ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, დავებს განიხილავს საერთო სასამართლო. ადმინისტრაციული იუსტიციის საქმიანობას არეგულირებს 1971 წლის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. ამ სისტემას სათავეში უდგას უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო,

რომელიც 21 ნევრისაგან შედგება და თავისი სტრუქტურით, ფორმირების წესითა და პროცედურით ახლოს დგას უმაღლეს სასამართლოსთან. ეს ორგანო, ძირითადად, განიხილავს საჩივრებს სააპელაციო ადმინისტრაციული სასამართლოების გადანყვეტილებებზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს შესაბამისი კოლეგია. საჩივრების ზოგიერთ კატეგორიას უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს პირველი ინსტანციით.

შვედეთში 4 სააპელაციო ადმინისტრაციული სასამართლოა, რომლებიც თავიანთი სტატუსით, აგრეთვე, ახლოს დგანან საერთო სააპელაციო სასამართლოებთან. ისინი მეორე ინსტანციით განიხილავენ საჩივრებს ადმინისტრაციული იუსტიციის ძირეული რგოლის გადანყვეტილებებზე და პირველი ინსტანციით – საჩივრებს ადმინისტრაციული ორგანოების აქტებზე ხელფასისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე. პროცესში მონაწილეობს 3 ან 4 მოსამართლე, ზოგიერთ შემთხვევაში – 3 მოსამართლე და 2 მსაჯული.

ამ სისტემის ძირეულ რგოლებს წარმოადგენენ ადგილობრივი ტერიტორიების – ლენების ადმინისტრაციული სასამართლოები, სადაც საქმეებს განიხილავენ კოლეგიები მოსამართლისა და სამი მსაჯულის შემადგენლობით. ამ სასამართლოების კომპეტენციაში შედის მართვის უფლებების ჩამორთმევასთან, ყადაღის დადებასთან, ბავშვის ერთი მშობლიდან მეორე მშობლისათვის იძულებით გადაცემასა და სხვა ამგვარ საკითხებთან დაკავშირებული საქმეების განხილვა. ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს, ასევე, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებს და იძულებითი ღონისძიებების მიღების საკითხს ნარკომანებისა და ალკოჰოლიკების მიმართ.

ადმინისტრაციული ხასიათის საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის ორიგინალური, რომანულ-გერმანული სისტემიდან განსხვავებული წესი მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც აღნიშნულ სფეროში სასამართლო უფლებამოსილებით ადმინისტრაციული დანესებულებები არიან აღჭურვილნი. ეს გარემოება სხვადასხვა მიზეზმა განაპირობა: სასამართლოები, გადატვირთულობის გამო, ვერ ასწრებდნენ მრავალრიცხოვანი საქმეების განხილვას; კვაზისასამართლო ადმინისტრაციული დანესებულების მუშაკები შედარებით უფრო გარკვეული იყვნენ საქმეთა სპეციფიკაში; გაცილებით დიდი იყო სასამართლო ხარჯები; ადგილი ჰქონდა სასამართლოების ყურადღების კონცენტრაციას კერძო პირების უფლებების დაცვაზე, ხშირად თვით სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ და სხვ.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი კვაზისასამართლო უფლებამოსილებით აღჭურვილი ადმინისტრაციული

ტრანციული დანესებულებების ორი სახე. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნათ დანესებულებები, რომელთა მიერ კერძო პირების გასცხადებებისა და პრეტენზიების განხორციელება ნარმოადგენს მათ ერთ-ერთ ფუნქციას. თუ საერთო სასამართლო, საქმის განხილვისას, გვევლინება არაპეტრად ორ მხარეს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება იყოს სახელმწიფო ორგანო, აღნიშნული დანესებულება ნარმოადგენს მხარეს, რომლის მიმართაც პირმა კერძო ნარმოადგენს, ე.ი. ეს დანესებულება აღჭურვილია დავების გადაწყვეტის უფლებამოსილებით და ნარმოადგენს მოსამართლეს საკუთარ საქმეში. ეს ფაქტი განაპირობებს დანესებულებაში ადმინისტრაციული იუსტიციის განსაკუთრებული სისტემის არსებობას. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ადმინისტრაციულ მოსამართლეებს. ზოგიერთ დანესებულებაში არის განსაკუთრებული სააპელაციო სასამართლოები, ამასთან, შეიმჩნევა დანესებულებების სისტემაში ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების თვითმმართველობის დონის ზრდა.

ეუროპ სახის დანესებულების ერთადერთ ფუნქციას დავების განხილვა ნარმოადგენს. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული კომისიები მუშა-მოსამსახურეთა პრეტენზიების დაკმაყოფილების შესახებევაში, მათზე კომპენსაციებს გასცემენ. ზოგიერთი ასეთი დანესებულება თანდათან გარდაიქმნა წმინდა სასამართლო ორგანოდ. მაგალითად, დღეს არსებული ფედერალური საპრეტენზიო სასამართლო სრულუფლებიან მართლმსაჯულების ორგანოდ აღიარა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე „გლიდენი ზდანოკის წინააღმდეგ.“¹

ყველა აღნიშნული ორგანო კერძო პირთა უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას ხელს უწყობს სხვადასხვა გზით, მაგალითად, რეგულაციური უფლებამოსილებით, როგორცაა ლიცენზირება, ზედამხედველობა კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესრულებაზე ან საგანმკარგულებლო უფლებამოსილებითა, როგორცაა პენსიებისა და სხვა სახის დახმარების გაცემა.

რადგან ადმინისტრაციულ იურისდიქციას, პრაქტიკულად, ადმინისტრაციული ორგანოები ასორციელებენ, ხოლო აშშ-ის კონსტიტუციის III მუხლის მეორე კარის თანახმად, ყველა დავა, რომელშიც ერთ-ერთი მხარე ფედერალური ხელისუფლებაა, სასამართლოებმა უნდა განიხილონ, ეს თავისთავად მიანიშნებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერია სასამართლოების კონტროლი ადმინისტრაციასა და ადმინისტრაციულ იუსტიციაზე. ამის უპირველესი მიზანი კი კერძო პირთა უფლებების

1. *Административное право зарубежных стран, ред. Колырин А.Н., Москва, 1996, стр. 25.*

დაცვაა. ადმინისტრაციული იუსტიციის ყველა გადანყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საერთო სასამართლოში, რომელიც ვერ განიხილავს ადმინისტრაციის მხოლოდ იმ გადანყვეტილებებს, რომელიც შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. თუ ოდნავი ეჭვი მაინც არსებობს კანონთან შეუსაბამობის თაობაზე, მაშინ სასამართლოები აღასრულებენ მართლმსაჯულებას ამ საქმეზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ადმინისტრაციაზე სასამართლო კონტროლი ატარებს სტატუტურ ან არასტატუტურ ხასიათს. სტატუტური ფორმა გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, კანონმა შეიძლება დაადგინოს, რომ ადმინისტრაციის ბრძანება სამართალდარღვევის მიმართ მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როდესაც მისი ვიზირებას სასამართლო მოახდენს. ამ მიზნით ადმინისტრაცია პეტიციას ან ბრძანებას უგზავნის სასამართლოს, რომელიც ამონიშნავს მის კანონიერებას. სასამართლო კონტროლის არასტატუტურ ფორმას კი განეკუთვნება, ე.წ. პერიოგატიული ბრძანებები, რომელიც მართლმსაჯულების ამერიკულმა სისტემამ მექვიდროობით მიიღო ინგლისის სამართლიანობის სასამართლოებისგან. მთელი ფედერაციის მასშტაბით მოქმედ პერიოგატიულ ბრძანებებს შორის გამოყოფენ ჰაბეას კორპუსს, მანდამუსს, ინჯანქმინს და დეკლარატიულ დასკვნას. პირველი მათგანი უკვე განვიხილეთ, აქ მხოლოდ აღვნიშნეთ, რომ ინგლისური წარმომავლობის ეს ბრძანება ფართოდ გამოიყენება ამერიკელი მოსამართლეების მიერ და მას „თავისუფლების უდიდეს სასამართლო დოკუმენტს“ უწოდებენ.¹ ახლა, რაც შეეხება ბრძანებების სხვა ნაირსახეობებს:

– მანდამუსი, ანუ მავალებელი ინჯანქმინი წარმოადგენს სასამართლო ბრძანებას, რომელიც ავალდებულებს დანესებულებას შეწყვიტოს უმოქმედობა და შეასრულოს კანონის მოთხოვნა. ამ ბრძანების გამოცემის უფლება ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ფედერალურ სასამართლოს მიენიჭა 1962 წლის კანონით;

– ჩვეულებრივი, ანუ ამკრძალავი ინჯანქმინი არის სასამართლო ბრძანება, რომელიც უკრძალავს თანამდებობის პირს ან დანესებულებას, კანონით დაუშვებელი მოქმედების განხორციელებას;

-- დეკლარატიული დასკვნა არის სასამართლოს, უფრო სწორად, მოსამართლის აზრი ამა თუ იმ იურიდიული საკითხის შესახებ, რომელიც ჯზუსტებს კონკრეტულ დავაში მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ე.ი. მხარეებმა შეიძლება მიმართონ სასამართლოს საქმის წარმოების დანყვამ-

1. Административное право зарубежных стран, ред. Козырин А.Н., Москва, 1996, стр. 40.

დე და გაიგონ მოსამართლის მოსაზრება, დავის არსისა და შესაძლებელი გადაწყვეტილების შესახებ. მათ წინასწარ ეცოდინებათ სასამართლოს პოზიცია და არ არის გამორიცხული, უარიც თქვან ხანგრძლივი და ძვირადღირებული სასამართლო პროცესის დანახებაზე. დეკლარატიული დასკვნის შესახებ პირველი კანონი კონგრესმა 1934 წელს მიიღო;

– ზოგიერთ შტატში დღესაც მოქმედებს ბრძანების კიდევ ერთი სახე – „კვო ვარანტო“. ეს ეხება იმ შტატებს, სადაც თანამდებობის პირთა მნიშვნელოვან ნაწილს მოსახლეობა ირჩევს. ამ ბრძანების დანიშნულებაა, გაარკვიოს, აქვს თუ არა პირს თანამდებობის დაკავების უფლება, ანუ კანონის სრული დაცვით აირჩიეს თუ არა იგი.

ეს ბრძანებები სასამართლო ხელისუფლების განხორციელების სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს, რადგან არ არის დაკავშირებული სასამართლო პროცესთან, მაგრამ მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და ადმინისტრაციის გაკონტროლების საქმეში მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნით ამერიკის შეერთებულ შტატებში ადმინისტრაციულ იუსტიციაზე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად, მოცემულ საკითხთან ამ თემის ერთ კონტექსტში განხილვა.

ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, იაპონიაშიც არ არსებობს განსაკუთრებული ადმინისტრაციული სასამართლოების მწყობრი, ცენტრალიზებული სისტემა და სახელმწიფო მმართველობაზე კონტროლს აქაც საერთო სასამართლოები ახორციელებენ, სპეციალური პროცედურისა და სარჩელის საფუძველზე. მათ შორისაა, ე.წ. სახალხო სარჩელი, რომლის დროსაც პირი, თუ შეიძლება ითქვას, თვითონ არ არის დაზარალებული და ამის გამო დაინტერესებული ადმინისტრაციული არაკანონიერი აქტის შესწორებით, სასამართლოს მიმართავს სხვის ნაცვლად. ასეთი სარჩელი მნიშვნელოვნად წააგავს ლათინური ამერიკის „ამპაროს“ პროცესს.

განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისგან, ინგლისში საერთო სასამართლოების გვერდით მოქმედებს მთელი ქსელი ადმინისტრაციული ტრიბუნალებისა, რომლებიც სამართლის სხვადასხვა დარგიდან, მაგალითად, შრომითი სამართლიდან მომდინარე საქმეებს და მათთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის დავებს განიხილავენ. ტრიბუნალები ჩვეულებრივი სასამართლოებისგან, პირველ ყოვლისა, იმით განსხვავდებიან, რომ განსაზღვრული სფეროს სპეციალისტებით, მეტწილად, არაიურისტებით არიან დაკომპლექტებულნი. მაგალითად, სამრეწველო ტრიბუნალი, რომელიც სამუშაოდან დათხოვნის საქმეებს განიხილავს, პრიორიტეტულად იმ პირთა მიერ დაკომპლექტდება, რომელთაც საკმარისი გამოცდილება აქვთ მრეწველობის სფეროში. ამასთან, ტრიბუ-

ნალის შემადგენლობის ფორმირება პარიტეტულ საწყისებზე ხორციელდება: ერთი ნეკრი სანარმოს, დანესებულებას, ორგანიზაციას წარმოადგენს, ერთი ნეკრი – პროფკავშირებს. თუ პირი სანარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვს, უნდა დადასტურდეს, რომ ფიზიკური ზიანი ან ავადმყოფობა სწორედ შრომითი უფლებამოსილების განხორციელების დროს წარმოიშვა. ამ საკითხს სამედიცინო სააპელაციო ტრიბუნალი გადაწყვეტს ორი ექიმის და ერთი იურისტის შემადგენლობით.

მსგავსი ტრიბუნალების ერთ-ერთი უპირველესი ღირსება იაფი და სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფაა. თავად პროცედურა კი ნაკლებად ფორმალურ ხასიათს ატარებს და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას ტრიბუნალის მიერ მოსარჩლისა და მოპასუხისგან ჩვენების ჩამორთმევა წარმოადგენს. ასე რომ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის საქმეების ტრიბუნალების მიერ განხილვას თავისი უპირატესობები აქვს, კერძოდ: სადაო საკითხებს შესაბამისი დარგის სპეციალისტები განიხილავენ; პროცედურა ნაკლები ფორმალურობით გამოირჩევა; არ არის დადგენილი სასამართლო ბაჟი; გადაწყვეტილებები ოპერატიულად გამოიტანება; მნიშვნელოვნად მცირდება საერთო სასამართლოების დატვირთვა; ტრიბუნალები არ არიან შეზღუდულნი პრეცედენტული სამართლის მოთხოვნებით, ე.ი. საკუთარი გადაწყვეტილებები მათ არ ბოჭავს ანალოგიური საქმეების განხილვისას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობენ.

მეორე მხრივ, ტრიბუნალებში არსებული საქმისწარმოების პრაქტიკა მთელი რიგი უარყოფითი ფაქტორებით ხასიათდება, მათ შორის: სასამართლო გადაწყვეტილებასთან შედარებით ტრიბუნალის გადაწყვეტილების საქვეყნობის დაბალი დონე; როგორც ნესი, გადაწყვეტილებაში სამოტივაციო ნაწილის არარსებობა; ჩვენების ჩამორთმევის ზუსტად დადგენილი ნესის არარსებობა; უმრავლეს შემთხვევაში სპეციალისტების, კერძოდ, იურისტების მიერ მხარეთა წარმომადგენლობის დაუმუშებლობა; ტრიბუნალის ნევრების ამა თუ იმ ტექნიკურ დარგში განსწავლულობა ყოველთვის არ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების მიუკერძოებელ განხორციელებას; გასაჩივრების უფლების შეზღუდულობა; ტრიბუნალების ფართო დისკრეციული უფლებამოსილება აბრკოლებს მათ საქმიანობაში პრაქტიკის ერთიანობას და წარსულში მსგავს საქმეებზე გადაწყვეტილების არსებობის მიუხედავად, მაინც ბოლომდე გაურკვეველია განხილული საქმის ბედი.

ტრიბუნალებს, რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანნი არიან, აქვთ სტატუტით დადგენილი სპეციფიკური იურისდიქცია, რაც იმით გამოიხ-

ატება, რომ მათი გადაწყვეტილებები ხშირად მიმდინარე პოლიტიკური პროცესის მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდის. თუმცა, 1958 წლის აქტით მათთვის ერთიანი საპროცესო სტანდარტები იქნა დადგენილი, რიგგორიცაა, გადაწყვეტილებაში მოტივაციის ფორმულირება; ტრიბუნალის თავმჯდომარის ლორდუანცლერის მიერ დანიშვნა; სააპელაციო საჩივრების მაღალ სასამართლოში შეტანის ნებართვა; პროცესში წარმომადგენლის მონაწილეობის შესაძლებლობა.

ინგლისის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში მოქმედებს, ე.წ. ტრიბუნალის საბჭო. იგი 1958 წელს შეიქმნა და 15 წევრისაგან შედგება, რომელთაგან 14 ლორდუანცლერის მიერ ინიშნება, ხოლო ერთი – საბჭოს თავმჯდომარის მიერ. ტრიბუნალის საბჭოს ადგილობრივი ტრიბუნალების საქმიანობაზე საზედამხედველო ფუნქციები აქვს. იგი თვეში ერთხელ იკრიბება, განიხილავს და აანალიზებს ტრიბუნალების მუშაობას, ხოლო წელიწადში ერთხელ მოხსენებას შეადგენს ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, 1985/86 საანგარიშო წლის მოხსენებაში საბჭო აღნიშნავდა ტრიბუნალების განსაკუთრებული გადატვირთვის შესახებ, ვინაიდან მათ წელიწადში მილიონამდე საქმის განხილვა უზღებოდათ. ეს კი, თავის მხრივ, არცთუ იშვიათად, საქმეთა გაჭიანურებას იწვევდა. საბჭო ასევე განიხილავს საჩივრებს ტრიბუნალის საქმიანობაზე, თუმცა ამ საჩივართა ოდენობა უმნიშვნელო ხასიათს ატარებს.

ტრიბუნალების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდნენ სამრეწველო ტრიბუნალები. ისინი მონოდებულნი არიან, ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეებს შორის შრომითი დავების მოსაგვარებლად, უზრუნველყონ იოლად ხელმისაწვდომი, სწრაფი და არაფორმალური პროცედურა. ტრიბუნალების ინსტიტუტი ორგანულად ენერება ინგლისის საერთო სასამართლოს სისტემაში და შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული სასამართლის ერთ-ერთ ორიგინალურ და წარმატებულ ნოვაციას წარმოადგენს. სამრეწველო ტრიბუნალები, თავდაპირველად, 1964 წელს იქნა დაფუძნებული სპეციალური აქტით. მას შემდეგ ისინი, ძირითადად, შრომით კონტრაქტებთან, სამსახურიდან დათხოვნასთან, ჯანსაღ და უსაფრთხო შრომის პირობებთან, სამსახურებრივი განაკვეთების ერთიანობის უზრუნველყოფასთან, სქესობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებს განიხილავენ.

თითოეული ტრიბუნალის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს ბარისტერად ან სოლისიტორად მუშაობის სულ ცოტა 7 წლის გამოცდილება და იგი საქმეს განიხილავს ორ არაპროფესიონალ წევრთან ერთად, რომელთაგან ერთი წარმოადგენს საწარმოს, დანესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, ხოლო მეორე – პროფესიულ კავშირს. ტრიბუნალების

იურისდიქციათა სფეროები 95 ტერიტორიულ ერთეულს მოიცავს, გადაწყვეტილება უმრავლესობით მიიღება და, ჩვეულებრივ, მას სხდომაზე გამოაცხადებენ. თუმცა, განსაკუთრებით რთულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები მხარეებს ფოსტით დაეგზავნებათ. საქმისწარმოების უზრუნველყოფის მოტივაციით, შესაძლებელია სხდომის დახურულად გამოცხადება. ტრიბუნალების გადაწყვეტილებებზე აპელაციებს შრომის სააპელაციო ტრიბუნალი განიხილავს. უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საქმეებზე აპელაციებს მაღალი სასამართლოს ცალკე განყოფილება განიხილავს.

აღნიშნული ტრიბუნალები საერთო სასამართლოების სტრუქტურის გარეთ იმყოფებიან, შედარებით მაღალია მათი დეცენტრალიზაციის ხარისხი, უმნიშვნელოა დამოკიდებულება სახელმწიფო სტრუქტურებზე. მაგრამ არსებობენ ადმინისტრაციული ხასიათის მქონე ტრიბუნალები, რომლებიც უშუალოდ სხვადასხვა ორგანიზაციასთან მოქმედებენ და მათი სტრუქტურის ფარგლებში წყვეტენ ადმინისტრაციული ხასიათის დავებს, შესაბამისად, ნაკლებად ემსახურებიან სამთავრობო პოლიტიკის იმპლემენტაციის საქმეს. არსებობს ორი სახის შიდა ტრიბუნალები. პირველი ტიპის ტრიბუნალები კონტრაქტის პრინციპზე არიან დაფუძნებულნი: თუ პირი შეუერთდება ორგანიზაციას, იგი ავტომატურად მოექცევა მათ იურისდიქციაში. მაგალითად, მსგავსი ინსტიტუტი მოქმედებს პროფკავშირების, საზოგადოებრივი კლუბების სისტემაში. მეორე ტიპის შიდა ტრიბუნალები სტატუტის საფუძველზე იქმნებიან. მაგალითად, 1983 წლის აქტით მედიცინის შესახებ შეიქმნა მთავარი სამედიცინო საბჭოს პროფესიული ქცევის კომიტეტი, ხოლო 1974 წლის აქტით სოლისიტორების შესახებ შეიქმნა სოლისიტორების სადისციპლინო ტრიბუნალი. ამ ტრიბუნალების გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაძლებელია საერთო სასამართლოში. კონტრაქტის საფუძველზე მოქმედ ტრიბუნალებში ეს გამორიცხულია, თუმცა, მათ მიერ განხორციელებული სამართალწარმოება მაღალი სასამართლოს უწყვეტი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული „არაფორმალური“ სასამართლო-ტრიბუნალები ადმინისტრაციულ საქმეებს იხილავენ, ისინი არსებითად განსხვავდებიან ადმინისტრაციული იუსტიციის იმ ორგანოებისგან, რომლებიც საფრანგეთში გვხვდება. ტრიბუნალების საერთო რაოდენობა 2 ათასს აღწევს. ისინი იხილავენ გადასახადებთან, ჯანმრთელობის დაცვასთან, შრომით ურთიერობებთან დაკავშირებით აღმოცენებულ საქმეებს. შესაძლებელია მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრება. ტრიბუნალების შემადგენლობა

კომპლექტდება არა მოსამართლეების, არამედ სხვა პრაქტიკოსი იურისტების და სახელმწიფო მოღვაწეების მიერ. აქ, საქმის განხილვის დროს, აუცილებელ პირობად არ გვევლინება ადვოკატების და ზოგიერთი სხვა ისეთი ინსტიტუტის მონაწილეობა, რომელთა გარეშეც არ ხდება სასამართლო ორგანოებში საქმისწარმოება. ტრიბუნალების კომპეტენცია ძირითადად იმით გამოიხატება, რომ დადგენილ იქნეს პიროვნების ამა თუ იმ უფლების არსებობის ან არარსებობის ფაქტი. ტრიბუნალებს ხელმძღვანელობენ თავმჯდომარეები, რომლებიც ინიშნებიან შესაბამისი მინისტრის მიერ – ლორდ-კანცლერის წარდგინებით. მისი წევრები, ისევე როგორც თავმჯდომარე, ინიშნებიან 1-დან 10 წლამდე ვადით.

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს პოსტსოციალისტური, პოსტსაბჭოთა სივრცის ცალკეულ სახელმწიფოებში მიმდინარე ადმინისტრაციული იურისდიქციის რეფორმირებისა და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის დემოკრატიული სასამართლო ფორმების დამკვიდრების პროცესი.

უნგრეთში, საკმაოდ განვითარებული საერთო სასამართლოების სისტემის ფონზე, სასამართლოში ადმინისტრაციული საქმისწარმოების საკითხები, უახლოეს წარსულამდე, ფრიად ნიველირებული იყო. ადმინისტრაციული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება მხოლოდ 1990 წლის კონსტიტუციის რევიზიისა და ადმინისტრაციული იურისდიქციის შესახებ კანონის შემოღებით დამკვიდრდა. მას შემდეგ, უნგრეთის კონსტიტუციის თანახმად, მართლმსაჯულების სისტემა ანუ საერთო სასამართლოები მონოდებულნი არიან, ზედამხედველობა განახორციელონ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების კანონიერებაზე. 1991 წელს მიღებული კანონი ადმინისტრაციული იურისდიქციის შესახებ სწორედ აღნიშნული პროცედურის დეტალურ პირობებს არეგულირებს. მართალია, უნგრეთში არ მოქმედებენ გაცალკევებული ადმინისტრაციული ტრიბუნალები და შესაბამისი კატეგორიის საქმეების განხილვა საერთო სასამართლოების სისტემის კომპეტენციას განეკუთვნება, ამის მიუხედავად, არსებობს აღნიშნული სისტემის ფარგლებში მოსამართლეობა სპეციალიზაცია ადმინისტრაციულ საქმეებზე.

უნგრულ სამართალში ცალკეული დებულებები ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და ამ საქმეთა განხილველი სასამართლოების შესახებ მოცემულია კანონში მართლმსაჯულების სასამართლოს შესახებ და კანონში სამოქალაქო სამართლის პროცესის შესახებ. ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებაზე საჩივარს, უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციული ოფისის დირექტორი განიხილავს, რომელიც ადასტურებს, შეცვლის ან გააუქმებს გასაჩივრე-

ბულ გადაწყვეტილებას. საქმეზე სასამართლო წარმოების აღდგენა მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი საჩივარი შეიტანება პირველი ინსტანციით გადაწყვეტილების გამოშვან ორგანოში ან სათანადო იურისდიქციის საერთო სასამართლოში, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში.

როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულ საჩივრებს სამოქალაქო საქმეთა სასამართლოები განიხილავენ, მაგრამ თუ ისინი დაადგენენ, რომ ადგილი აქვს მმართველობის ორგანოს მიერ კანონის არასწორად გამოყენებას, მაშინ გააუქმებენ გადაწყვეტილებას და საქმეს დაუბრუნებენ პირველი ინსტანციით განმხილველ ორგანოს. ეს უკანასკნელი კი შებოჭილია სასამართლო გადაწყვეტილებაში ფორმულირებული ბრძანებებითა და მოტივებით. ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება სამოქალაქო პროცედურის ნესით ხორციელდება და საქმეს, უკვე საბოლოო ინსტანციით, სააპელაციო სამოქალაქო სასამართლოები წყვეტენ. ასე რომ, უნგრეთში ადმინისტრაციული საქმეები სასამართლო სისტემის ორ რგოლს გაივლის.

პოლონეთის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ საქმეთა პრეიუდიციული, ე.ი. სასამართლო წარმოებაშივე განიხილვა ორ ინსტანციად ხორციელდება. ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პირს საჩივარი შეაქვს ზემდგომ ორგანოში 14 დღის ვადაში. პოლონეთში ადმინისტრაციული იურისდიქციის თავისებურებას ადმინისტრაციულ საქმეზე საჩივრების პრეიუდიციული პროცედურების გავლის შემდეგ საქმის უშუალოდ უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში განიხილვა წარმოადგენს. საერთო სასამართლოები მხოლოდ გამოწაკლის შემთხვევებში გადასინჯავენ გადაწყვეტილებებს. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო წარმოადგენს სპეციალურ სასამართლოს, რომელიც სტრუქტურულად საერთო იურისდიქციის გარეთ მდებარეობს და 1995 წლის კანონის საფუძველზე ქალაქ ვარშავაში ფუნქციონირებს. იგი საქმეებს პირველი და საბოლოო ინსტანციით განიხილავს და პოლონეთში ერთადერთ ადმინისტრაციულ სასამართლოს წარმოადგენს.

აღნიშნულმა კანონმა მოქმედების საკმაოდ ფართო სფეროში განუსაზღვრა მართლმსაჯულების ამ ორგანოს. კანონის მე-16 მუხლის თანახმად, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს საქმეებს,

1. Administrative Justice in the new European democracies < open Society Institute/ Constitutional and Legislative Policy Institute and Centre for Socio-legal Studies, university of Oxford. 1998, p.62.

რომლებიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებთან, ადმინისტრაციული პროცესის დროს გამოცემულ სხვადასხვა აქტთან, სააღსრულებლო წარმოებისას გამოტანილ გადაწყვეტილებებთან, ადგილობრივ ორგანოთა გადაწყვეტილებებთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საქმიანობის საზედამხედველო აქტებთან. დამატებით, სასამართლო განიხილავს მმართველობის ორგანოების უმოქმედობასთან დაკავშირებულ საჩივრებს.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ნებისმიერი ცალმხრივი აქტი უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადობას განეკუთვნება. სასამართლო სამართალწარმოებას შეუდგება საქმეზე სამართლებრივი ინტერესის მქონე ნებისმიერი პირის საჩივრის შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ამოინურება უშუალოდ ადმინისტრაციულ ორგანოთა სისტემაში საქმეთა ზემდგომი ნესით განხილვის ყველა შესაძლებლობა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ამ შემთხვევაში 30 დღეს შეადგენს. მხარეს არ მოეთხოვება, რომ იგი პროფესიონალი პირის, იურისტისა თუ სპეციალისტის მიერ იყოს წარმოდგენილი. სასამართლო ხარჯები კი ადმინისტრაციული სასამართლო წარმოებისას ნომინალურია და გაცილებით ნაკლებია სამოქალაქო წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე. უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში საკითხის აღძვრა შეუძლიათ, ასევე, ომბუდსმენს, საჯარო პროკურორს, ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც სანესდებო უფლებამოსილებათა ფარგლებში მოქმედებს, იმ საქმეებზე, რომლებზეც სხვა პირთა ინტერესები პრევალირებს.

უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ ორგანოთა მოქმედებებს კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით. აქ იგულისხმება კანონთან შესაბამისობა ფართო გაგებით, სამართლის ცალკეულ დებულებათა განმარტების მართლზომიერებისა და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების მართებულობის ჩათვლით.

უმაღლესი სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს არამართლზომიერად თუ უკანონოდ მიჩნეულ აქტებს. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოაქვს საკუთარი გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულოა და მბოჭავ ხასიათს ატარებს. ასევე გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია თავად უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრება, ეს მაშინ, როცა გადაწყვეტილებით უზემადაა ხელყოფილი კანონმდებლობა ან სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესი. მსგავსი ექსტრაორდინარული წარმოების აღძვრის უფლებამოსილებით იუსტიციის მინისტრი

მთავარი პროკურორი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ომბუდსმენი, სარგებლობენ. საკმაო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, უზენაესი სასამართლო გააუქმებს უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახალი განხილვისათვის დააბრუნებს.

ესტონეთში, ნებისმიერ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი უფლებები შეილახა ან მისი თავისუფლებები შეიზღუდა სამართლებრივი აქტით, ან სახელმწიფო ორგანოს თუ ოფიციალური თანამდებობის პირის მოქმედებით, უფლება აქვს, მიმართოს ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ სასამართლოს. ადგილობრივი ადმინისტრაციული სასამართლო შესაძლებელია მოქმედებდეს განცალკევებული მართლმსაჯულების ფორმით, ან აღნიშნულ ფუნქციას პირველი ინსტანციის სასამართლოებთან მოქმედი ადმინისტრაციული მოსამართლეები ასრულებდნენ. ეს პროცედურა ადმინისტრაციულ სასამართლო-საპროცესო კოდექსშია მოცემული. მისი დებულების მიხედვით, სარჩელი წერილობითი ფორმით ერთი თვის ვადაში უნდა იყოს წარდგენილი მოსარჩლის მიერ, მას შემდეგ, რაც შეიტყო ან უნდა შეეტყო საკუთარი უფლებების დარღვევის შესახებ. სარჩელის განხილვისას სასამართლო გარკვეული სამძებრო ფუნქციებით აღიჭურვება, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისას მისი ნაკლებად აქტიური როლისაგან. კერძოდ, სასამართლო უფლებამოსილია მხარეებისაგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, დააკითხოს მონმეები ან ექსპერტები, საკუთარი შეხედულებისამებრ. სასამართლო სხდომები საჯარო ხასიათს ატარებს და მისი გადაწყვეტილება შეიძლება სამი სახის იყოს: უარყოს სარჩელი, მთლიანად დააკმაყოფილოს, ან ნაწილობრივ ცნოს მისი საფუძვლიანობა. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო წინადადებით მიმართავს მმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირს დაშვებული ხარვეზის გამოსასწორებლად აუცილებელი ზომების მითითებით. თუ სასამართლო ან მოსამართლე მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დარღვეულ იქნა კონსტიტუციური დებულება, ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, უკანონობის გამო, აღარ გამოიყენება. ადმინისტრაციული აქტის შემდგომ ბედს კი საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს.

ესტონეთში ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება. სააპელაციო საჩივარს, რომელიც შეიტანება გადაწყვეტილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში, განიხილავს რეგიონულ: სასამართლოს ადმინისტრაციული განყოფილება ან ქვეყნის ცალკეულ ნაწილებში, სამოქალაქო სამართლის განყოფილება, მხოლოდ ადმინისტრაციული სასამართლო საპროცესო დებულებების თანახმად.

ესტონეთში განასხვავებენ აპელაციის ფორმალურ და მატერიალურ საფუძვლებს. მატერიალური საფუძვლის შემთხვევაში, სასამართლო განიხილავს მოსარჩლის მიერ სასარჩელო განცხადებაში ფორმულირებულ საკითხებს. რაც შეეხება პირველ ინსტანციაში საპროცესო წესების მნიშვნელოვან დარღვევას, სასამართლო თავისი შეხედულებისამებრ განიხილავს საქმესთან დაკავშირებულ ყველა საკითხს თუ მოსარჩლე მიუთითებს, რომ მონმეთა, ექსპერტებისა და დინტერესებული მხარეების შეხედულებები და მოსაზრებები უსაფუძვლოდ არ იქნა მხედველობაში მიღებული, სასამართლო ხელახლა განიხილავს და საქმის ყველა დეტალს ამოწმებს.

აპელაციის შეტანა შესაძლებელია მესამე ინსტანციითაც, კერძოდ, ეროვნული სასამართლოს ადმინისტრაციულ განყოფილებაში. აპელაციის საფუძველს აქაც შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული სასამართლო საპროცესო კოდექსის ან შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევა. განსხვავებით მეორე ინსტანციის სააპელაციო სასამართლოსაგან, ეროვნული სასამართლო მხოლოდ სამართლის საკითხს განიხილავს. მხარეების დასწრება ზოგ შემთხვევაში შეიძლება სავალდებულო შეიქნეს. ეროვნულმა სასამართლოებმა შეიძლება შეცვალონ სააპელაციო სასამართლიების ის გადაწყვეტილება, რომელიც აპელაციის შეტანას კრძალავს.

ესტონეთში ადმინისტრაციული მოსამართლეების დამოუკიდებლობის პრინციპი უზრუნველყოფილია მათი უვადოდ დანიშნვით და სხვა საქმიანობის განხორციელების აკრძალვით.

ადმინისტრაციული პროცედურის შესახებ ახალი კანონების მიღება ან ძველი კანონმდებლობის ნოვაციებით გამდიდრება ყოფილი, ე.წ. „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებში განხორციელებული თუ ჯერ კიდევ მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთ ფუნდამენტს შეადგენს, თუმცა ეს მაინც ერთ-ერთი ნაწილია აუცილებელი ზომების მთელი ბლოკისა, რომლებიც შეეხება სასამართლო თუ არასასამართლო ორგანოების მიერ ადმინისტრაციაზე ზედამხედველობას. ადმინისტრაციული საჩივრის სასამართლო წესით განხილვა ერთ-ერთ ძირეულ გარანტიას წარმოადგენს და კონსტიტუციური დებულებებითაა გამყარებული. ზოგჯერ სპეციალური სტატუსები მიიღება სასამართლო განხილვისათვის საფუძვლებისა და პროცედურების ფორმულირებით, თუმცა, მეტწილად ეს საკითხები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებით არის დარეგულირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმეთა სასამართლო წარმოებასთან ერთად, დამატებით გარანტიებად გვევლინება ადმინისტრაციული ზედამხედველობის სხვა ფორმებიც. მათ შორის ყველაზე ტიპურია ომბუდსმენის ინსტიტუტი, აუდიტორული და სხვა მრავალფეროვანი საე-

ციალური კომისიები და ინსპექციები. ტოტალიტარული სისტემების დამბობის შემდეგ თითოეულ ქვეყანაში დაფუძნდა ჭეშმარიტად თავისუფალი პარლამენტარიზმი და უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების კომიტეტებსა თუ კომისიებს ადმინისტრაციაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად მნიშვნელოვანი ბერკეტები გადაეცათ.

როგორც ვხედავთ, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების სურვილმა მთელი სახელმწიფო აპარატის გარდაქმნა და ხელისუფლებათა განაწილების პრინციპის რეალიზაცია მოითხოვა. ამ ნყობილების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად მოქმედ ინსტიტუტებს და სტრუქტურებს შორის უდავოდ ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს ადმინისტრაციული იურისდიქცია წარმოადგენს. უპირველესად, მისი ოპტიმალური ფორმების იმპლემენტაციაზე არის დამოკიდებული დემოკრატიული სისტემების სრულყოფა აღნიშნულ სახელმწიფოებში.

§ 3. საარბიტრაჟო სასამართლოები

საარბიტრაჟო სასამართლოების ფუნქციური დატვირთვა და სტრუქტურული მოწყობა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რაც ცხოვრების პრაქტიკული მოთხოვნილებებით არის განპირობებული. საზღვარგარეთის ქვეყნებში თავად ტერმინ „საარბიტრაჟო სასამართლოების“ შინაარსობრივი დატვირთვა არაერთგვაროვანია, იგივე შეიძლება ითქვას, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილების მქონე ამ ორგანოების ადგილზე სასამართლო ხელისუფლების სისტემაში ან მათ მიმართებაზე სასამართლო ხელისუფლებასთან. მიუხედავად საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა მრავალფეროვნებისა სხვადასხვა ქვეყანაში, ტიპური საარბიტრაჟო მართლმსაჯულების ორგანოდ სამეურნეო, ეკონომიკური, კომერციული ხასიათის საქმეების განმხილველი სასამართლო აღიქმება. თავიდანვე უნდა გავმიჯნოთ, ერთი მხრივ, ნაციონალური სასამართლო ორგანოების პარალელურად მოქმედი არბიტრაჟები და, მეორე მხრივ, საერთაშორისო არბიტრაჟები. თავის მხრივ, ნაციონალური საარბიტრაჟო სასამართლო შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ შტოს, შესაბამისი იერარქიული მოწყობითა და ინსტანციებით, რომელიც საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული სასამართლოებისა და სხვა სახის სასამართლოების გვერდით ფუნქციონირებს და მის განსჯადობას ეკონომიკური დავები განეკუთვნება. მისი დაკომპლექტების წესი მცირედით თუ განსხვავდება სასამართლო ხელისუფლების დაკომპლექტების წესისაგან, უნიფიცირე-

ზედგება ასევე პროცესუალური ნესები. საარბიტრაჟო სასამართლოების კლასიკურ მოდელთან ყველაზე მეტი საერთო მაინც ყოფილ სამომრიგებლო, სამედიატორო სასამართლოებს აქვთ.

საარბიტრაჟო სასამართლოების პროგრესულ ფორმას კერძო არბიტრაჟი წარმოადგენს. მისი თავისებურებანი რამდენიმე მახასიათებლით წარმოჩინდება: მისთვის საქმეთა განსახილველად გადაიქცევა მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ხდება; უშუალოდ მხარეები იღებენ მონაწილეობას მათ დაკომპლექტებაში; არსებობს მრავალი დისპონციური ხასიათის ნორმა, რომელიც საშუალებას აძლევს მხარეებს, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა კერძო არბიტრაჟში საქმიანობის მრავალი ასპექტის დადგენასა და განსაზღვრაში.

სახელმწიფო აპარატისგან დამოუკიდებელი სამართალწარმოების ჩამოყალიბება და არსებობა წარმოადგენს, ე.წ. „ახალი დემოკრატიის“ გარდამავალ პერიოდში მყოფ სახელმწიფოებში მიმდინარე სამართლებრივი და სხვა სახის რეფორმების წარმატების საფუძველს. არბიტრაჟის ინსტიტუტის დამკვიდრების აუცილებლობა ეკონომიკური რეფორმების მიზანმიმართული წარმართვის საჭიროებიდან გამომდინარეობს. საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ამოქმედების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო წარმოადგენს. ინვესტორი კი იქაბანდებს კაპიტალს, სადაც იმის გარანტია ექნება, რომ მის კანონიერ უფლებებს დაიცავს ყოველგვარი პოლიტიკური კონიუნქტურისაგან თავისუფალი, სახელმწიფო აპარატისგან განცალკევებული ორგანო, რომელიც სამართლიანად გადაწყვეტს არსებულ დავას. რა თქმა უნდა, სასამართლო ხელისუფლება, თავისთავად, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ზენოლისაგან, მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკა, საინვესტიციო დაბანდებებისა და კომერციული კავშირების პრაქტიკა ნათლად მეტყველებს, რომ კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი წილი, დავის აღმოცენების შემთხვევაში, მის განხილვას სწორედ კერძო არბიტრაჟს ანდობს. თუმცა იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ მსგავსი დავების განმხილველი ალტერნატიული ინსტიტუტები და არბიტრაჟები შეიძლება წარმოადგენდნენ სახელმწიფო სამართალწარმოების დამატებით, მაგრამ არა შემცვლელ საშუალებას.

დავების გადაწყვეტის ალტერნატიული ინსტიტუტებისა და კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოების ძირითად საერთო მახასიათებლებს წარმოადგენს საერთო შეთანხმების საფუძველზე მოსარჩლე მხარეების მიერ მათი ნევრების დანიშვნა. ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი კი ის არის, რომ ალტერნატიული ინსტიტუტის მიერ სამომრიგებლო პროცედურის გამოყენების საფუძველზე, მხარეებს წინადადება ეძლევათ მსკვი-

დობიანად მოაგვარონ უთანხმოება, მაგრამ ამ წინადადების განხორციელება მათთვის სავალდებულო არ არის, მაშინ როცა საარბიტრაჟო განხილვის შედეგად სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება შეიქნეს აუცილებელი შესრულების მოთხოვნის საფუძველი.

ვინაიდან სამართალალრულება და სამართალუზრუნველყოფა გამომდინარეობს ხელისუფლების სახელმწიფო მონოპოლიიდან, არა უგვიანეს აღნიშნული ეტაპისა, აუცილებელია რომელიმე სამთავრობო სტრუქტურის ჩართვა. იმის გათვალისწინებით, რომ კერძო საარბიტრაჟო სასამართლოები ვერ აღასრულებენ სამართალს სახელმწიფო სასამართლოების ჩარევის გარეშე, არაპრაქტიკული და გაუმართლებელია არბიტრაჟის სრული გამიჯვნა სახელმწიფო სასამართლო სისტემისაგან.

საჭიროა სახელმწიფო დონეზე განხორციელდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარება და მათი აღსრულების მექანიზმების სამართლებრივი რეგლამენტირება. სახელმწიფო სასამართლოები, კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებულნი უნდა იყვნენ, აღიარონ ზემოხსენებული გადაწყვეტილებები და განაცხადონ მათი შესრულების აუცილებლობის თაობაზე. მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში უნდა მიეცეთ მათ გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობა.

სასამართლოებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ ამგვარი გადაწყვეტილება, საკმაოდ მაღალი კვალიფიკაცია მოეთხოვებათ, რათა თავიდან იქნეს აცილებული გასაჩივრებისა და გაპროტესტების მეშვეობით საქმის ზედმეტი გაჭიანურება. აღნიშნული შეზღუდვის მიუხედავად, ეჭვს არ იწვევს, რომ კერძო არბიტრაჟის სიცოცხლისუნარიანობა მეტწილად სახელმწიფოს სასამართლო ორგანოების დახმარებით არის შესაძლებელი. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ გაეროს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“, ყველაზე წარმატებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ხელშეკრულებად არის მიჩნეული. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს კერძო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსა და მათ აღიარებასა და შესრულებას შორის სახელმწიფო დონეზე. ბუნებრივია, რომ სამომრიგებლო მოლაპარაკების შემთხვევაში, ამგვარი მექანიზმის აუცილებლობა გაქრება, ვინაიდან ამ დროს მიღებული გადაწყვეტილებები აქ ექვემდებარება სავალდებულო აღსრულებას.

არასახელმწიფო, ალტერნატიულ, სამომრიგებლო პროცედურას დიდი ხნის ტრადიციები აქვს. სწორედ ამ პროცედურით ხდებოდა საუკუნეთა მანძილზე მეზობლებს, გლეხებს შორის იმ დავების გადაწყვეტა, რომლებიც უმნიშვნელო სასარჩელო თანხებთან იყო დაკავშირებული. ამგვარი ტრადიცი-

ბი სასურველია კვლავაც გაგრძელდეს და განვითარდეს. ამას ითხოვს ყოველდღიური ცხოვრებისეული პირობები, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის დროს, ქონებრივი დავების გადანყვეტის ალტერნატიულ ფორმებს არა მხოლოდ დადებითი დატვირთვა ახასიათებს. როგორც ითქვა, აქ ვგულისხმობთ ამ ორგანოების მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესზე სახელმწიფოებრივი ზედამხედველობის არარსებობას. გასათვალისწინებელია ძლიერი მხარის შესაძლებლობაც შედარებით სუსტ მხარეს თავს მოახვიოს საკუთარი შეხედულება. ამ ფაქტორების გამორიცხვა საჭიროებს საარბიტრაჟო პროცესის ოპტიმიზაციას, დანყვეტილი დავის საარბიტრაჟო განხილვის შესახებ მხარეთა შორის ნერილობითი შეთანხმების დადებით, დამთავრებული ცალკეული შეზღუდვებით, მაგალითად, მომხმარებელთან თუ დამქირაველთან დადებული ხელშეკრულების შესახებ.

დავების მარეგულირებელი საარბიტრაჟო გადანყვეტილებების უპირატესობა სახელმწიფო სასამართლოებთან შედარებით, განსაკუთრებით, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ვლინდება, როდესაც ერთი მხარე ვერ ენდობა მეორე მხარის სამართალწარმოებას. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ენობრივ ბარიერთან, უცხო სამართლებრივ ტრადიციებსა და სასამართლოს მიუკერძოებლობისადმი უნდობლობასთან.

საარბიტრაჟო სასამართლოები შეიძლება შეიქმნას ad hoc საფუძველზე, ანუ სპეციალურად, საჭიროების მიხედვით, ამა თუ იმ კონკრეტული დავის განსახილველად, ან მუდმივმოქმედი ინსტიტუციური სტრუქტურის სახით. ad hoc არბიტრაჟი საჭიროებს საქმის განმხილველ კოლეგიაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების არსებობას. ნებისმიერ შემთხვევაში, რეკომენდებულია გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის ნუსების განუხრელი დაცვა. ინსტიტუციური (მუდმივმოქმედი) არბიტრაჟი არსებობს ეროვნული და საერთაშორისო არბიტრაჟის სახით. ჭეშმარიტად საერთაშორისო ინსტიტუტებს წარმოადგენენ პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატა და ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო.

სხვა საარბიტრაჟო ინსტიტუტები, მათი სტრუქტურიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, შეიძლება მივაკუთვნოთ ეროვნულს, თუნდაც ისინი უფლებამოსილნი იყვნენ, განიხილონ საერთაშორისო დავები. ინსტიტუციური საარბიტრაჟო სასამართლოების ძირითად დამახასიათებელ ნიშანს ის წარმოადგენს, რომ ისინი თავად არ ასრულებენ საარბიტრაჟო ფუნქციებს, არამედ ხელს უწყობენ საქმისწარმოებას, რომელსაც ახორციელებენ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე თითოეულ ჯერზე ახლად მონეული მოსამართლეები.

აუცილებელია სახელმწიფოში არსებობდეს კანონი საარბიტრაჟო სასამართლოების შესახებ, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ნიუ-იორკის კონვენციის წევრობას. საარბიტრაჟო პროცესის ძირითად ნიშანს წარმოადგენს მისი საერთაშორისო ხასიათი. ასე რომ, რეკომენდებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიის მოდელური კანონის მოთხოვნათა დაცვა, ისე, როგორც ეს გააკეთეს იდეოლოგიური თვალსაზრისით ისეთმა განსხვავებულმა ქვეყნებმა, როგორცაა გერმანია, კანადა, რუსეთი, ავსტრალია და სხვ.¹

საარბიტრაჟო სასამართლოების ორივე მოდელი პარალელურად ფუნქციონირებს რუსეთის ფედერაციაში. ეს ფრიად იშვიათი შემთხვევაა და შევეცდებით სწორედ ამ ქვეყნის მაგალითზე გავარკვიოთ საარბიტრაჟო იურისდიქციის მქონე ორგანოთა არსი და შევეხოთ მათ ამოცანებს, საქმიანობის პრინციპებს, სამართლებრივ სტატუსს, მათი გადაწყვეტილებების აღსრულების თავისებურებებს და ადგილს სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურაში.

უდავოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეკონომიკური სისტემის საბაზრო პრინციპების შემოღებასთან ერთად, საგრძნობლად ამაღლდა ეკონომიკური ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავების სამედიაციო სასამართლოებში განხილვის მნიშვნელობა და ხარისხი. ეს ინსტიტუტი საარბიტრაჟო სასამართლოების ალტერნატიულ ფორმად გვევლინება.

რუსეთის ფედერაციაში უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო და მისი ქვემდგომი სტრუქტურები განიხილავენ მმართველობის სფეროში არსებულ სამართალდარღვევებს, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, სამენარმეო საქმიანობის პროცესში ეკონომიკურ დავებთან დაკავშირებულ საქმეებს. საარბიტრაჟო სასამართლო ახორციელებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლო ხელისუფლებას. მაგრამ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების წარმოება – საერთო იურისდიქციის სასამართლოთა ფუნქციასაც წარმოადგენს და ამდენად, რუსეთის სასამართლო სისტემაში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების წარმოების სფეროში დუალიზმი შეიმჩნევა.

საარბიტრაჟო სასამართლოთა სისტემას რუსეთში უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო თაოსნობს, რომელიც წყვეტს მის გამგებლობას

1. როლფ კნიპერი, საარბიტრაჟო სასამართლოსა და სახელმწიფო სამართალწარმოების შედარება // ქართული სამართლის მიმოხილვა - 1998 წლის პირველი კვარტალი, გვ 77-80.

მიკუთვნებულ ეკონომიკურ დავებს და სხვა საქმეებს, როგორც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლო, ახორციელებს სასამართლო ზედამხედველობას, ანუ ამონმებს საარბიტრაჟო სასამართლოთა ძალაში შესულ გადწყვეტილებათა და განჩინებათა კანონიერებასა და დასაბუთებულობას, იძლევა განმარტებებს სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე. ამასთან, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს და წყვეტს მხოლოდ ეკონომიკურ დავებს და მმართველობის სფეროში წარმოშობილ სხვა დავებს, რომლებიც პირდაპირ არის განსაზღვრული 1995 წლის 28 აპრილის ფედერალური კონსტიტუციური კანონით „რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლოების შესახებ“, საარბიტრაჟო პროცესუალური კოდექსით, რუსეთის ფედერაციის სხვა საკანონმდებლო აქტებით, სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

რუსეთის ფედერაციაში საარბიტრაჟო სასამართლოების ძირითადი ამოცანები მკაფიოდაა განსაზღვრული კონსტიტუციური კანონის მე-5 მუხლში. ესენია: სანარმოთა, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების დარღვეული ან სადავო უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სამენარმეო ან სხვა სახის საქმიანობის პროცესში; აღნიშნულ სფეროში კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის ხელშეწყობა. ამ ამოცანებს საარბიტრაჟო სასამართლოები ახორციელებენ მრავალრიცხოვანი სამეურნეო დავების გადაჭრის გზით. საარბიტრაჟო სასამართლოები ყოველნაირად სხვადასხვა სახის მრავალ საქმეს განიხილავენ. მნიშვნელოვანია იმ დავების მოცულობა, რომლებიც უკავშირდება მოვალეობათა არასათანადო შესრულებას, მიწოდებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების დაგვიანებას, საკუთრებას და მის დაცვას, გარემოდაცვით საქმიანობას. სულ უფრო იზრდება დავების რაოდენობა, რომლებიც საკრედიტო და სადაზღვევო ხელშეკრულებებს, აგრეთვე საგარანტიო წარმოებას შეეხება.

სხვადასხვა სანარმოსა და ორგანიზაციას შორის არსებული მრავალფეროვანი და რთული ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, რომელიმე მათგანის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობამ ან არასათანადოდ შესრულებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ათობით და ასობით სხვა დაწესებულებას. მსგავსი დავების მართებულად და ოპერატიულად გადაწყვეტით, მათი გამომწვევი მიზეზებისა და პირობების დროული გამოვლენით და აღმოფხვრისათვის აუცილებელი ზომების მიღებით, საარბიტრაჟო სასამართლოები უზრუნველყოფენ ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეთა მიერ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების ზუსტ შესრულებას, იცავენ არა მხოლოდ დავის მონაწილე კონკრეტულ ორგა-

ნიზაციებისა და მენარმეების უფლებებს, არამედ, ასევე, მათთან დაკავშირებული სხვა პირებისა და ორგანიზაციების ქონებრივ ინტერესებს.

ამჟამად, მთელ პოსტსოციალისტურ სივრცეში სახალხო მეურნეობის მართვის ადმინისტრაციულ-საგანმკარგულებლო მეთოდები ადგილს უთმობს ხელშეკრულებას, როგორც ძირითად ეკონომიკურ რეგულატორს. მრეწველობის, სახალხო მეურნეობის, ტრანსპორტის სფეროში დასაქმებული მრავალრიცხოვანი სანარმოებისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ნედლეულით, მასალებით, მონყობილობებით აღჭურვის სწორმატერიალურ-ტექნიკურ ორგანიზაციას, ხელშეკრულებათა პირობების შესაბამისად სანარმო-ორგანიზაციების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას.

სხვადასხვა ხელშეკრულების შეცვლასა და დარღვევასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, საარბიტრაჟო სასამართლოები ხელს უწყობენ ისეთი ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებას, რომლის პირობებში სრულყოფილად გამოვლინდება პირადი ინიციატივა და მიიღწევა აუცილებელი ნონასწორობა, ერთი მხრივ, კონკრეტულ მენარმეებსა და, მეორე მხრივ, მთლიანად საზოგადოების ინტერესებს შორის. საარბიტრაჟო სასამართლო ერთ-ერთი ძირითადი გარანტის ადგილს იმკვიდრებს ეკონომიკური ურთიერთობების დროს კანონიერების განმტკიცების საქმეში.

სახელმწიფო სისტემის დემოკრატიზაციის კვალობაზე, საარბიტრაჟო სასამართლოებს მთლიანად ჩამოერთვათ სასამართლო ორგანოს ბუნებისათვის მიუღებელი და მანამდე არსებული, მმართველობითი ბუნების მატარებელი საკონტროლო უფლებამოსილება, ასევე, სამეურნეო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოცემის ფუნქცია. მაგრამ საარბიტრაჟო სასამართლოები კვლავაც ახორციელებენ მრავალფეროვან საქმიანობას ეკონომიკურ სფეროში კანონიერების დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ამ ამოცანის გადასაჭრელად ისინი სწრაფად და ოპერატიულად აღადგენენ დარღვეულ უფლებას, განუხრელად გამოიყენებენ კანონმდებლობითა თუ ხელშეკრულებით დადგენილი მატერიალური პასუხისმგებლობის ზომებს სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის. საარბიტრაჟო სასამართლოები ფართოდ გამოიყენებენ პრევენტიული საქმიანობის ისეთ ფორმებსაც, როგორცაა განაჩენების გამოტანა სანარმო-ორგანიზაციების მიერ კანონიერების დარღვევის თაობაზე, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე დავების განხილვა და სხვ.

გარანტირებული უფლებამოსილებისა და თავისუფლებების დაცვა მოითხოვს სასამართლოების უნაკლო, სრულყოფილ საქმიანობას, სამარ-

თაღნარმოების ყველა ეტაპზე შესაბამისი სფეროს სამართლის ნორმების სრულ და ერთგვაროვან შესრულებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებები სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე, პრეზიდენტის დადგენილებები კონკრეტულ საქმეებზე, აგრეთვე მიმოხილვითი წერილები, რომლებიც საარბიტრაჟო სასამართლოს პრაქტიკის განზოგადებისკენ არის მიმართული.

სამედიატორო სასამართლოებში დავების გადაწყვეტისას, საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას კანონიერების უზრუნველყოფა წარმოადგენს. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 24 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება ეკონომიკური დავების განმხილველი სამედიატორო სასამართლოების შესახებ ადგენს გარკვეულ მიმართებას სამედიატორო და საარბიტრაჟო სასამართლოებს შორის.

უკანასკნელ ხანებში საარბიტრაჟო სასამართლოები განიხილავენ მრავალრიცხოვან განცხადებებს სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებების იძულებით აღსასრულადად სააღსარულებო ფუნქციების გაცემის თაობაზე. თუ მსგავსი განცხადებების განხილვისას დადგინდება სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსაბამობა კანონმდებლობასა და საქმის გარემოებებთან, საარბიტრაჟო სასამართლო დააბრუნებს საქმეს თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტან ორგანოში ხელახლა განსახილველად, ხოლო თუ შეუძლებელია საქმის განხილვა იმავე სამედიატორო სასამართლოს მიერ, სასარჩელო მოთხოვნას გადაწყვეტს საარბიტრაჟო სასამართლო განსჯადობის წესის დაცვით.

საარბიტრაჟო სასამართლოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის წინადადებების შემუშავება. ეკონომიკური დავების გადაწყვეტის პროცესში, პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისას, ამკარად წარმოჩინდება აღნიშნულ სფეროში სამართლებრივი რეგულირების ხარვეზები და მათ გამოსასწორებლად საჭირო რეკომენდაციების წარმოდგენის აუცილებლობა. ამის თაობაზე, საარბიტრაჟო სასამართლოების საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილებით აღჭურვა ხელს უწყობს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ მატერიალური და საპროცესო ნორმატიული აქტების დროულ შემუშავებასა და მიღებას.

საარბიტრაჟო სასამართლოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის განმსაზღვრელი ფუძემდებლური ნორმები, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაშია მოცემული, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების,

ასევე საარბიტრაჟო პროცესისათვის. ძირითადი კანონი განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების სუბიექტებს, სასამართლო ორგანოების შექმნის წესს, მათ ადგილს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლებრივ სტრუქტურაში, მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს.

საარბიტრაჟო სასამართლოების შესახებ კანონში თანმიმდევრულად არის დარეგულირებული ისეთი საკითხები, როგორცაა სასამართლოს ძირითადი დანიშნულება და მისი ამოცანები, განისაზღვრება საარბიტრაჟო სასამართლოების სისტემა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები, საარბიტრაჟო მოსამართლეების დანიშვნის წესი, უფლებამოსილება, სხვადასხვა დონის საარბიტრაჟო სასამართლოების შექმნისა და საქმიანობის წესი, საარბიტრაჟო სასამართლოების ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხები და სხვა.

საარბიტრაჟო სასამართლოების მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსი, მათი თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლების წესი, ხელისუფლების სხვა შტოთაგან დამოუკიდებლობის გარანტიები უფრო დეტალურად განსაზღვრულია კანონით „რუსეთის ფედერაციაში მოსამართლის სტატუსის შესახებ.“

საარბიტრაჟო პროცესის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს საარბიტრაჟო პროცესუალური კოდექსი, რომელიც 1995 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა. იგი 215 მუხლში აერთიანებს მთლიანად საარბიტრაჟო პროცესის მარეგულირებელ ყველა ნორმას. 1-13 თავები ზოგადი ხასიათის ნორმებს შეიცავს და საარბიტრაჟო სამართალწარმოების ყველა სტადიაზე ხდება მათი გამოყენება. 14-28 თავების ნორმებს სპეციალური ხასიათი აქვს და საარბიტრაჟო პროცესის ცალკეულ სტადიაზე გამოიყენება. აღნიშნული აქტი არეგულირებს საქმისწარმოებას რუსეთის ფედერაციის ყველა საარბიტრაჟო სასამართლოში.

საარბიტრაჟო პროცესუალურ კოდექსში დადგენილი სამენარჩეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში დავების გადაწყვეტის წესი წარმოადგენს დავის მონაწილე მხარეთა თანასწორობის გარანტიას, ქმნის აუცილებელ წინა პირობებს თითოეულ დავაზე ჭეშმარიტების დასადგენად და ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეთა დარღვეული უფლებების ოპერატიულად აღსადგენად.

აღნიშნულ ნორმატიულ აქტებთან ერთად, საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობის ცალკეული საკითხები რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, მიწის კოდექსის ცალკეული დებულებებითა და სხვა კანონებით. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, თუ ერთი და იგივე საქმე სხვადასხვა საფუძვლით ერთდროულად უწყებრივად ექვემდებარება რიგორც

საარბიტრაჟო, ისე საერთო სასამართლოს განსჯადობას, ამ შემთხვევაში მოცემულ საქმესთან დაკავშირებულ ყველა საკითხს საერთო სასამართლოები განიხილავენ.

საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი გადანყვეტილების იძულებითი აღსრულების შესახებ ყველა შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებული არ არის თანხის გადაცემასთან, შესრულდება სასამართლო აღმასრულებლების მიერ, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით იხელმძღვანელებენ.

საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ საქმისწარმოების გარკვეულ თავისებურებებს ამკვიდრებს 1992 წლის 19 ნოემბრის კანონი „სანარმოთა გაკოტრების შესახებ.“ სხვა წყაროებს შორის შეიძლება გამოვყოთ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 24 ივნისის დროებითი დებულება სამედიაცტორო სასამართლოს შესახებ. ამ ნორმატიულ აქტში დეტალურადაა რეგლამენტირებული სამედიაცტორო სასამართლოების წარმოქმნის, მხარეთა და უშუალოდ სასამართლოს უფლება-მოვალეობები, საქმის განხილვისა და გადანყვეტილების მიღების წესი.

საარბიტრაჟო საპროცესო კანონმდებლობის წყაროებს განეკუთვნება უცხოური და საერთაშორისო სამართლის ნორმები, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ფარგლებში მიღებული სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებანი. მაგალითად, დსთ-ის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების მიერ დადგენილი შეთანხმება „სამეურნეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული დავების გადანყვეტის წესის შესახებ.“ მსგავსი შეთანხმებების სამართლებრივი საფუძველი საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, საქმის გადანყვეტისას, კანონისა და ხელშეკრულების შესაბამისად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხოური და საერთაშორისო სამართლის ნორმები.

საკითხთა გარკვეული წრე, რომელიც საარბიტრაჟო სასამართლოს შინაგარეუქტურას, მისი ცალკეული დანაყოფების მუშაობის ორგანიზაციას შეეხება, რეგულირდება რეგლამენტიტ, რომელსაც რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს პლენუმი ამტკიცებს. იგი არ წარმოადგენს საარბიტრაჟო საპროცესო კანონმდებლობის წყაროს, მასში განსაზღვრულია სასამართლოს საქმიანობის წესი, დაზუსტებულია კოლეგიებსა და პრეზიდიუმში საქმეთა მომზადებისა და განხილვის ზოგიერთი საკითხი.

საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობა გარკვეულ პრინციპებს ეფუძნება. ეს პრინციპები წარმოადგენს საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობით დადგენილ ზოგად სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც ასახავს მოცემული პროცესუალური სისტემის უმნიშ-

ვნელოვანეს თავისებურებებს, განსაზღვრავს მისი ყველა ძირითადი ინსტიტუტისა და დავების საარბიტრაჟო განხილვის წესების არსსა და დანიშნულებას. საარბიტრაჟო პროცესის პრინციპების რეალიზება ხდება პროცესის ყველა სტადიაზე და ისინი არეგულირებენ საარბიტრაჟო სასამართლოების სამართალგამოყენებითი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მხარეებს. ფრიად მალალია საარბიტრაჟო საპროცესო პრინციპების მნიშვნელობა ნორმაშემოქმედებით საქმიანობაში, ვინაიდან ისინი განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს, საარბიტრაჟო პროცესის განვითარების პერსპექტივებს. პრინციპების სისტემა, მათი რაოდენობა და შინაარსი განსაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორცაა საარბიტრაჟო სასამართლოს ამოცანებისა და ფუნქციების სპეციფიკა, მისი ორგანოების სამართლებრივი ბუნების თავისებურებანი და ორგანიზაცია.

მართლმსაჯულება, როგორც გარკვეულწილად ორგანიზებული, სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობა, აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური საშუალებების, ზომებისა და ხერხების სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოზე დაკისრებული ამოცანების წარმატებულ გადაწყვეტას. ბუნებრივია, ამ მხრივ საარბიტრაჟო სასამართლოების არსენალი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოებისა და საერთოდ, სასამართლო საქმისწარმოების ზოგადი პრინციპებისა და საპროცესო გარანტიებისაგან.

არეგულირების ობიექტის მიხედვით პრინციპები შესაძლებელია დავეყოთ ორ ჯგუფად: პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს საარბიტრაჟო სასამართლოს ორგანიზაციას და ფუნქციური პრინციპები, რომლებიც არეგულირებს საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობას. ორგანიზაციულ პრინციპებს განეკუთვნება: მოსამართლეთა დანიშვნა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ; საქმეთა ერთპიროვნული და კოლეგიური განხილვა; საარბიტრაჟო სასამართლოსა და მისი მოსამართლეების დამოუკიდებლობა და მორჩილება მხოლოდ კანონისადმი; სამართალწარმოების სახელმწიფო ენაზე განხორციელება; ორგანიზაციებისა და მოქალაქეების თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე; დავების გადაჭრის საქვეყნობა. ფუნქციურია კანონიერებისა და ობიექტური ქმედარტების, დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობის, მხარეთა პროცესუალური თანასწორობის, ზეპირობის, უშუალოებისა და უწყვეტობის, ოპერატიულობის პრინციპები.

ყველა აღნიშნული პრინციპი ურთიერთგანპირობებულია და მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ისინი ერთმანეთს ავსებენ და უზრუნველყოფენ საქმის სწრაფ და ობიექტურ გადაწყვეტას. თითოეული მათგანი განსაზღვრავს საარბიტრაჟო წარმოების ისეთ მხარეს, რომლის

გარეშეც შეუძლებელია მთლიანობაში საპროცესო სისტემის ფუნქციონირება და დასახული ამოცანების განხორციელება. ამიტომ ნებისმიერი პრინციპის რეალური მოქმედება განპირობებულია სხვა პრინციპების დაცვისა და რეალიზაციის ხარისხით. ერთი პრინციპის დარღვევა ავტომატურად იწვევს სხვა პრინციპების დარღვევასაც. მაგალითად, თუ დარღვეულია მხარეთა თანასწორობის პრინციპი, ბუნებრივია, ხელყოფილი იქნება შეჯიბრებითობის პრინციპიც. როგორც ვხედავთ, პრინციპები რაიმე იზოლირებულ, დამოუკიდებელსა და განკერძოებულ დებულებებს კი არ წარმოადგენს, არამედ განსაზღვრულ სისტემას აყალიბებენ, რამდენადაც თითოეული მათგანის არსი და დანიშნულება აისახება არა მხოლოდ უშუალო შინაარსში, არამედ სხვა პრინციპებთან კავშირში და მთლიანად სისტემის ფუნქციონირებაში.

საარბიტრაჟო სასამართლოების სტრუქტურა განისაზღვრება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციითა და კანონით საარბიტრაჟო სასამართლოების შესახებ და იერარქიულად ამგვარად ყალიბდება: რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო; ფედერალური საოლქო საარბიტრაჟო სასამართლოები; რუსეთის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების საარბიტრაჟო სასამართლოები; სამხარეო საარბიტრაჟო სასამართლოები; საოლქო საარბიტრაჟო სასამართლოები; ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების საარბიტრაჟო სასამართლოები; რუსეთის ფედერაციის სუბიექტების, კერძოდ, ავტონომიური მხარეებისა და ოლქების საარბიტრაჟო სასამართლოები.

აღნიშნული სასამართლოები ქმნიან ერთიან სისტემას, რომელსაც სათავეში რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო უდგას. კონსტიტუციის 127-ე მუხლის თანახმად, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო წარმოადგენს უმაღლეს სასამართლო ორგანოს ეკონომიკური დავებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ განსახილველ სხვა საქმეთა გადასაჭრელად, ფედერალური კანონით გათვალისწინებულ პროცესუალურ ფორმებში ახორციელებს სასამართლო ზედამხედველობას და იძლევა განმარტებებს სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე.

უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო შეისწავლის და განავრცობს საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოყენების პრაქტიკას, რომლებიც სამენარმეო და სხვა ეკონომიკურ საქმიანობას არეგულირებს; იძლევა განმარტებებს მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის გამოყენების შესახებ; ადგენს სასამართლო სტატისტიკას და ორგანიზაციას უწევს მის წარმოებას ქვემდგომ საარბიტრაჟო სასამართლოებში; შეისწავლის, განავრცობს და

ავრცელებს საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობის დადებით გამოცდილებას; პასუხისმგებელია საარბიტრაჟო სასამართლოების საკადრო, საორგანიზაციო, მატერიალურ-ტექნიკურ და სხვა სახის უზრუნველყოფაზე; მიიღებს საარბიტრაჟო სასამართლოებისათვის სავალდებულო რეგლამენტს; შეიმუშავებს წინადადებებს სამენარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემუშავების შესახებ; ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც მას კონსტიტუციით ან ფედერალური კონსტიტუციური კანონით გადაეცემა.

რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლოები მოქმედებენ შემდეგი შემადგენლობით: პლენუმი, პრეზიდიუმი, კოლეგიები, რომლებიც განიხილავენ სამოქალაქო და სხვა ეკონომიკური ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ამას გარდა, მოქმედებს რამდენიმე ფუნქციური განყოფილება, კერძოდ, კანონმდებლობის სრულყოფის, სასამართლო-საარბიტრაჟო პრაქტიკის განზოგადების, საერთაშორისო კავშირებისა და სხვ. ეს განყოფილებები მოქმედებენ სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე და ახორციელებენ საქმიანობას მჭიდრო ურთიერთკავშირში.

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს პლენუმს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და სხვა მოსამართლეების შემადგენლობით. მის სხდომებში მონაწილეობის უფლება აქვს ფედერაციის საბჭოს და სახელმწიფო დუმის დეპუტატებს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს, იუსტიციის მინისტრს, საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეებს.

პლენუმი შეისწავლის საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების განზოგადების საკითხებს და იძლევა განმარტებებს სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით; წყვეტს საკანონმდებლო ინიციატივის ამოქმედების საკითხს; უფლებამოსილია მმართველ საკონსტიტუციო სასამართლოს კანონების, სხვა ნორმატიული აქტებისა და ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის გადასწავლად; განიხილავს საკონსტიტუციო წარდგინებებს უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს განმარტებების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის თაობაზე და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. ყველა აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლისთვისაც საჭიროა პლენუმის ნევრთა ორი მესამედის თანხმობა, დადგენილების სახით ფორმდება.

სასამართლო ზედამხედველი ინსტანციის ფუნქციებს მხოლოდ უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო ასრულებს, რომლის პრეზიდიუმი ზედამხედველობის წესით განიხილავს საქმეებს საარბიტრაჟო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე და გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

უმაღლეს საარბიტრაჟო სასამართლოსთან მოქმედებს საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეთა საბჭო, რომელიც საჭიროებისამებრ მოიწვევა. იგი სათათბირო ორგანოს წარმოადგენს და განიხილავს საარბიტრაჟო იურისდიქციის საორგანიზაციო, საკადრო და საფინანსო საკითხებს. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზება კი რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებისა და განკარგულების გამოცემით ხდება.

საკასაციო ინსტანციის ფუნქციებს განახორციელებს ათამდე ფედერალური საოლქო საარბიტრაჟო სასამართლო. თითოეულ მათგანში მოქმედებს პრეზიდიუმი, სამოქალაქო და სხვა საქმეთა განმხილველი სასამართლო კოლეგიები და კოლეგიები, რომლებიც ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავენ. ფედერალური საოლქო საარბიტრაჟო სასამართლო საკასაციო წესით განიხილავს მოცემულ ოლქში პირველი და სააპელაციო წესით გამოტანილი სასამართლოების აქტების კანონიერების საკითხს; ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შემთხვევაში გადასინჯავს ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს; შეისწავლის და განავრცობს სასამართლო პრაქტიკას; აანალიზებს სასამართლოს სტატისტიკას; ამზადებს წინადადებებს კანონიერებისა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების სრულყოფის შესახებ.

საოლქო სასამართლოების ანალოგიურია ფედერაციის სუბიექტების საარბიტრაჟო სასამართლოების სტრუქტურა, იმ განსხვავებით, რომ იქ, სადაც განსახილველ საქმეთა რაოდენობა შედარებით მცირეა, შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ მოსამართლეთა გარკვეული შემადგენლობები და არა კოლეგიები.

შესაბამის კოლეგიას და სასამართლო შემადგენლობას შორის საქმეები ნაწილდება დარგობრივი ნიშნით, სპეციალიზაციისა და დატვირთვის გათვალისწინებით, ტერიტორიულ-ზონალური, საგნობრივ-ფუნქციური ან საგნობრივ-ზონალური პრინციპით. ეს მნიშვნელოვნად ამაღლებს საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობის ეფექტურობასა და მიზანმიმართულობას, საარბიტრაჟო საქმეთა განზოგადების ხარისხს, ხელს უწყობს მოსამართლეებს, დეტალურად შეისწავლონ მეურნეობის შესაბამისი დარგები და დამკვიდრებული სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა.

თითოეული საარბიტრაჟო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილის ან მოადგილეების, მოსამართლეებისა და აპარატის სხვა მუშაკებისაგან, რომელთა რაოდენობა სამტატო განრიგით განისაზღვრება და დამოკიდებულია მათი საქმიანობის მოცულობაზე.

კონსტიტუციის 128-ე მუხლის თანახმად, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს ყოველი მოსამართლე ინიშნება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ნარდგინებით ფედერალური საბჭოს მიერ, სხვა საარბიტრაჟო მოსამართლეები კი – ფედერალური კანონით დადგენილი წესით, თავად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ.

საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე ორგანიზაციას უწევს სასამართლოს საქმიანობას და მის აპარატს, ანანილებს მოვალეობებს მოადგილეებს შორის, ახორციელებს საარბიტრაჟო სასამართლოს სტრუქტურული დანაყოფების ფორმირებას, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს, კანონით დადგენილი წესით ნაახალისებს ან დისციპლინური წესით დასჯის აპარატის თანამშრომლებს, წარმოადგენს საარბიტრაჟო სასამართლოს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანოებთან, განახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს. სასამართლოს თავმჯდომარე სარგებლობს მოსამართლის სტატუსით, უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს სასამართლოს სხდომებს, მათ შორის, კოლეგიების სხდომებს.

საარბიტრაჟო სასამართლოს ცენტრალურ ფიგურას მოსამართლე წარმოადგენს. იგი ორგანიზაციას უწევს საქმეთა გადაწყვეტას, ხელს უწყობს მოდავე მხარეებს შორის შეთანხმებებს; შეისწავლის და განაზოგადებს კანონშეფარდების პრაქტიკას, შეიმუშავებს სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებებს, გამოავლენს კანონდარღვევებს და მიიღებს ზომებს მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად. განსახილველ დავასთან დაკავშირებული მოსამართლის მოთხოვნა სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისა და თანამდებობის პირისათვის.

საარბიტრაჟო სასამართლოს განსჯადობას განეკუთვნება ეკონომიკურ დავებთან დაკავშირებული ყველა საქმე, რომლებიც წარმოიქმნება სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სხვა სახის სამართალურთიერთობებიდან და საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსით მათ სწორედ ეკონომიკური დავები ეწოდებათ. თუმცა ეს ნიშანი არ გამოდგება საარბიტრაჟო სასამართლოებისა და სხვა იურიდიული ორგანოების კომპეტენციის გამმიჯნველ კრიტერიუმად. ასეთად კი გვესახება დავაში მონანილე სუბიექტთა შემადგენლობა და მათი საქმიანობის სამენარმეო ხასიათი. საარბიტრაჟო სასამართლოს უწყებრივ განსჯადობას განკუთვნილ დავებში სუბიექტად შეიძლება გამოდიოდნენ: იურიდიული პირები,

მათ შორის, არაკომერციული ორგანიზაციები; სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელი მოქალაქეები – ინდივიდუალური მენარმეები; რუსეთის ფედერაცია და ფედერაციის სუბიექტი; ფედერალური კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში – იურიდიული პირის სტატუსის არმქონე პირთა გაერთიანებანი და არამენარმე მოქალაქეები; საზღვარგარეთული ორგანიზაციები; ორგანიზაციები, რომლებშიც უცხოური კაპიტალია დაბანდებული; საერთაშორისო ორგანიზაციები; უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც სამენარმეო საქმიანობას ახორციელებენ.

საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით, განსაზღვრულია ის ეკონომიკური ხასიათის დავები, რომლებსაც საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს. ესენია:

– ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები, როდესაც კანონით ან სხვა სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დადების მოვალეობა ან უფლება, ხელშეკრულების დადებისას წარმოქმნილი დავა განსახილველად გადასცეს საარბიტრაჟო სასამართლოს. მხარეთა შეთანხმებით, საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს ხელშეკრულების დადებისას ცალკეულ პირობებთან დაკავშირებულ უთანხმოებებს;

– ხელშეკრულების პირობების შეცვლასთან ან დარღვევასთან დაკავშირებული დავები;

– ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან ან არასათანადო შესრულებასთან დაკავშირებული დავები;

– მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავები;

– სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა ორგანოების აქტების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ დავები, თუ ისინი არ შეესაბამება კანონებსა და ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს და არღვევს იურიდიული პირებისა და მოქალაქეების კანონიერ უფლებებს;

– სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან სხვა ორგანოების მიერ ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მენარმეების დაჯარიმებასთან დაკავშირებული დავები;

– კონტროლის ორგანოების მიერ კანონმდებლობის დარღვევით ჩამონერილი ფულადი თანხების ბიუჯეტიდან დაბრუნების თაობაზე დავები;

– კომერციული ორგანიზაციების გაკოტრებასთან დაკავშირებული დავები;

– საქმეები დაკავშირებული იმ ფაქტების დადგენასთან, რომელიც შეეხება იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მენარმეების უფლება-

მოსილებების წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას სამენარმო და სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის სფეროში.

ავტონომიური ერთეულების სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებული საქმეები გადაწყდება ავტონომიური მხარეებისა და ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, სამხარეო, საოლქო საარბიტრაჟო სასამართლოების, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ. მათ შორის, საქმეთა ქვემდებარეობის განსასაზღვრავად გამოიყენებენ საქმეთა გვარეობრივი და ტერიტორიული განსჯადობის ცნებებს.

გვარეობრივი განსჯადობით განისაზღვრება თუ საარბიტრაჟო სასამართლოების რომელმა რგოლმა უნდა განიხილოს საქმე. ტერიტორიული განსჯადობა კი განსაზღვრავს საარბიტრაჟო იურისდიქციის კონკრეტულ სასამართლოს, რომელიც გადაწყვეტს მოცემულ საქმეს.

რუსეთის ფედერაციაში საარბიტრაჟო სასამართლოებს ბევრი საერთო აქვთ საერთო იურისდიქციის სასამართლოებთან. კონსტიტუციის მიხედვით, ისინი შეადგენენ სასამართლო ხელისუფლების ორ დამოუკიდებელ შტოს, ორივეს აქვს ზოგადი – მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქცია, ისინი მონაწილეობენ არიან გადაწყვეტილებების მიღებაში მსგავსი ამოცანები, არაერთ საკითხში ერთგვაროვანია ამ ორი სახის სასამართლო ორგანოთა, ასევე პროცესის დანარჩენ მონაწილეთა პროცესულური მდგომარეობა. მაგრამ, მიუხედავად მთელი რიგი საერთო ინსტიტუტების არსებობისა და უშუალოდ საქმეთა განხილვის წესის მნიშვნელოვანი მსგავსებისა, არსებობს განსხვავებანიც საარბიტრაჟო სასამართლოებსა და საერთო სასამართლოებს შორის. ეს განსხვავება შეეხება მათ ორგანიზაციულ მოწყობასა და კომპეტენციას, საქმიანობის ფორმებსა და ზოგიერთ სხვა საკითხს.

საარბიტრაჟო სასამართლოებს, საერთო იურისდიქციის მსგავსად, აქვთ ნორმატიული აქტების თავიანთი ჩაკეტილი სისტემა, რომლებიც დეტალურად არეგულირებს მათ ორგანიზაციასა და სტრუქტურას, კომპეტენციასა და საქმიანობის წესს.

საარბიტრაჟო სასამართლოს, სასამართლო ხელისუფლების დანარჩენ ორ შტოსთან, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო იურისდიქციის სასამართლოსთან ერთად, უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში. იგი სრულიად დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებული არ არის ხელისუფლების არც ერთი შტოს წინაშე.

საერთო სასამართლოების მსგავსად და მათთან ერთად, საარბიტრაჟო სასამართლო განახორციელებს მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ფუნქციას. მაგრამ მათგან განსხვავებით, იგი მოქმედებს

ურთიერთობათა განსაზღვრულ სფეროში, კერძოდ, სამეურნეო და მათთან დაკავშირებულ მმართველობით სამართალურთიერთობებში, რომლებსაც ადგილი აქვს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს და, მეორე მხრივ, სხვა სახის ორგანიზაციებს, ინდივიდუალურ მენარმეებს შორის, მათ მიერ სამენარმეო ან სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის პროცესში.

საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ განხილულ დავათა თითოეული კატეგორია საკმაოდ რთულსა და მრავალმხრივ მოვლენას ნარმოადგენს. ამ დროს საქმისნარმოება, როგორც წესი, არ იფარგლება დავის ჩარჩოებით, არამედ ადგილი აქვს არა მხოლოდ დავაში მონაწილე, არამედ სხვა პირების ინტერესების კოლიზიის განხილვას, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულნი არიან დავასთან.

ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების გადანყვეტისას საარბიტრაჟო სასამართლო ამა თუ იმ ხარისხით ზემოქმედებს არა მხოლოდ მოდავე ორგანიზაციების, არამედ მათთან დაკავშირებული დანესებულებების სამრეწველო-ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებებისა და შინაარსის ფორმირებაზე. თითოეული მსგავსი საქმისნარმოებისას საჭირო ხდება არა მხოლოდ წმინდა სამართლებრივი საკითხების განხილვა, არამედ ბევრი ტექნიკური, საფინანსო-ეკონომიკური, სამრეწველო პრობლემის განხილვა და ვრცელი ნორმატიული მასალის ანალიზი.

საარბიტრაჟო პროცესი ეფუძნება პრინციპებს, რომელთა რაოდენობრივი შემადგენლობა, ისევე, როგორც ზოგიერთი მათგანის შინაარსობრივი მხარე, პრაქტიკულად, სამოქალაქო სამართალნარმოების მსგავსია. თუმცა ზოგიერთი მათგანი საარბიტრაჟო პროცესში რამდენადმე განსხვავებული ფორმით მოქმედებს საერთო იურისდიქციის სასამართლოებში. საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობა სამოქალაქო სამართალნარმოებასთან შედარებით ნაკლებად ფორმალურია. საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსში არ არის ნორმები, რომლებიც დეტალურად დაარეგულირებდა სხდომათა ჩატარებას, მტკიცებულებათა გამოკვლევასა და სხვა საკითხებს. ეს საკითხები სასამართლოს შეხედულებისამებრ გადაწყდება. საარბიტრაჟო პროცესში სასამართლოს უკავია გაცილებით პასიური მდგომარეობა მტკიცებულებითი მასალის მოპოვების საკითხში.

სამოქალაქო სამართალნარმოებისგან განსხვავებულია ასევე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი, დაბოლოს, რადიკალურად განსხვავებულია საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ გამოტანილი სასამართლო აქტების შემოწმების მთელი სისტემა. სააპელაციო ინსტანცია საჩივრის (პროტესტის) განხილვისას სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს აქვს.

ამგვარად, საარბიტრაჟო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზიდან ირკვევა საარბიტრაჟო სასამართლოების ორგანიზაციის და საქმიანობის წესის ისეთი თავისებურებანი, რომლებიც გამორიცხავს ამა თუ იმ კანონმდებლობის გაერთიანების შესაძლებლობას სამართლის ერთ რომელიმე დარგში, ასევე საარბიტრაჟო პროცესის სამოქალაქო სამართალწარმოების ორგანულ ნაწილად ქცევას.

კანონმდებლობა საერთო სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების გვერდით ითვალისწინებს სამომრიგებლო სასამართლოს, როგორც სამოქალაქო უფლებების დამცავ ორგანოს. ამგვარად, სამომრიგებლო საქმისწარმოება წარმოადგენს მოქალაქეების, სწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დარღვეული ან სადავო უფლებებისა და ინტერესების დაცვის ერთ-ერთ ფორმას. სამომრიგებლო სასამართლოების კომპეტენცია სამეურნეო მიმოქცევის სფეროში შემოიფარგლება ეკონომიკური დავებით, რომლებიც წარმოიქმნება სამოქალაქო სამართალურთიერთობისას და საარბიტრაჟო სასამართლოს უწყებრივ განსჯადობას განეკუთვნება. სწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და ინდივიდუალურ მენარმეებს შორის წარმოქმნილი ან შესაძლებელი დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს სამომრიგებლო სასამართლოს.

სამომრიგებლო სასამართლოს ფორმირებისა და საქმიანობის საფუძვლად გვევლინება ნებაყოფლობითობისა და მხარეთა მიერ იმ ორგანოსადმი ნდობის გამოცხადების პრინციპი, რომელიც მათ დავას განიხილავს. ეს გამოიხატება არა მხოლოდ მხარეთა უფლებაში, გადასცენ მოცემული დავა გადასაწყვეტად სამომრიგებლო სასამართლოს, არამედ ასევე მის უფლებაში, მონაწილეობა მიიღოს სამომრიგებლო სასამართლოს ფორმირებასა და მასში საქმისწარმოების წესების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული გარემოება ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, რომელიც მას განასხვავებს საარბიტრაჟო სასამართლოებისგან, რომელთა მოქმედების დროს საქმეთა ქვემდებარეობისა და განსჯადობის, აღძვრისა და განხილვის საკითხები იმპერატიული წესით არის გადანყვეტილი მოქმედ საარბიტრაჟო საპროცესო კანონმდებლობაში. ამას გარდა, სამომრიგებლო საქმისწარმოების მკაცრი პროცედურული წესებით შეუზოჭველობა კეთილსასურველ გარემოს ქმნის ყოველი საქმის განსახილველად ინდივიდუალური მიდგომის გამოსაძებნად და ურთიერთმისაღები შეთანხმების მისაღწევად.

სამომრიგებლო საქმისწარმოების დადებით მხარედ მიგვაჩნია მისი ოპერატიულობა, რაც უზრუნველყოფილია სამომრიგებლო სასამართლოს ფორმირების პროცედურით, საქმისწარმოების შედარებით მცირე ვადებით და ა.შ. თუმცა, სამომრიგებლო სასამართლო არ შედის სასამართლო

ხელისუფლების სისტემაში და წარმოადგენს არასახელმწიფოებრივ გაერთიანებას, მისი გადაწყვეტილებების აღსრულება გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

სამომრიგებლო სასამართლოს ფორმირების განსაკუთრებული პროცედურა, შესაძლებლობას იძლევა მის შემადგენლობაში, იურისტებთან ერთად, გაერთიანდნენ არაიურისტები – კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც სამეურნეო ურთიერთობების ამა თუ იმ სფეროში მოღვაწეობენ. სამართლებრივი და სპეციალური ცოდნის თანაარსებობა ხელს უწყობს რთული სამოქალაქო-სამართლებრივი დავების მართებულ და ობიექტურ განხილვას.

უკანასკნელ პერიოდამდე სამომრიგებლო საქმისწარმოების პრაქტიკა, ძირითადად, საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ურთიერთობებით შემოიფარგლებოდა და მოქმედებდა ორი მუდმივმოქმედი სამომრიგებლო სასამართლო: საარბიტრაჟო სასამართლო, რომელსაც ამჟამად საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლო ეწოდება და რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საზღვაო საარბიტრაჟო კომისია.

ეკონომიკის რეფორმირებისა და საბაზრო სტრუქტურების ფორმირების პარალელურად და შინასახელმწიფოებრივი სავაჭრო ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სამომრიგებლო საქმისწარმოების გამოსაყენებლად. მაგალითად, საბირჟო ვაჭრობის შემოღებამ განაპირობა სავაჭრო ბირჟების მთელი ქსელის დაფუძნება, რომლის სტრუქტურითაც გათვალისწინებულია მუდმივად მოქმედი სამომრიგებლო სასამართლოების უფლებებით აღჭურვილი საარბიტრაჟო კომისიები.

ზემოაღნიშნული ფუძემდებლური აქტების გარდა, სამომრიგებლო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი ზოგიერთი ნორმა მოცემულია მატერიალურ-სამართლებრივ აქტებში. მაგალითად, „სავაჭრო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“ 1992 წლის 20 თებერვლის კანონის მე-20 მუხლით, ჩამოყალიბდა სავაჭრო ბირჟებზე მოქმედი სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის საფუძვლები.

სამომრიგებლო სასამართლოს შესახებ რუსეთის ფედერაციის 1992 წლის 24 ივნისის დროებითი დებულების თანახმად, რუსეთში ზოგიერთი ეკონომიკური დავის გადასაჭრელად შეიძლება შეიქმნას დროებითი და მუდმივმოქმედი სამომრიგებლო სასამართლოები. ეკონომიკური ხასიათის დავის განსახილველად გადასაცემ ნინა პირობას წარმოადგენს ამის თაობაზე მხარეთა წერილობითი შეთანხმების არსებობა: ეს შეიძლება გამოიხატოს წერილების გაცვლაში, ტელეგრაფით ან სხვა ტექნიკური საშუ-

ალებით შეტყობინებაში, ხოლო ჩვეულებრივ ფორმას, რა თქმა უნდა, ხელშეკრულება წარმოადგენს.

მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, სამომრიგებლო სასამართლო შედგება სამი მოსამართლისაგან. თითოეული მხარე ნიშნავს ერთ მოსამართლეს, ხოლო ამგვარად დანიშნული ორი მოსამართლე ნიშნავს მესამეს. მესამე მოსამართლის კანდიდატურაზე შეუთანხმებლობა ხდება სამომრიგებლო შეთანხმების შეწყვეტისა და მისი საარბიტრაჟო სასამართლოს განსახილველად გადაცემის საფუძველი. იმავე შედეგს აქვს ადგილი დადგენილ ვადაში ერთ-ერთი მხარის მიერ მოსამართლის არდანიშვნის შემთხვევაში ან სხვა მიზეზების არსებობისას, რომლებიც აფერხებს სამომრიგებლო სასამართლოს ჩამოყალიბებას.

დავის გადაწყვეტაში, თუ მოსამართლე დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს, ეს შეიძლება შეიქნეს მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი. მოსამართლის თხოვნით ან მხარეთა შეთანხმებით, მისი უფლებამოსილება შეწყდება სხვა მოტივების არსებობის დროსაც. ამ შემთხვევაში ახალი მომრიგებელი მოსამართლე დაინიშნება შესაცვლელი მოსამართლის დანიშვნის წესის შესაბამისად.

სამომრიგებლო სასამართლოში საქმის აღძვრა და გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული მხარეთა პოზიციებით, რაც გადმოიცემა შეთანხმებაში სამომრიგებლო წარმოების შესახებ. მსგავსი ხელშეკრულების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს სამომრიგებლო სასამართლოსთვის წინასწარ დადგენილი საქმის განხილვისა და გადაწყვეტის წესი. ამის თაობაზე მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობისას, საქმის განხილვის წესს თავად სამომრიგებლო სასამართლო განსაზღვრავს. როგორც ჩვეულებრივი საქმისწარმოებისას, ამ შემთხვევაშიც სასარჩელო მოთხოვნა სასარჩელო განცხადებაშია მოცემული. ამას გარდა, სასარჩელო განცხადებაში მითითებულია მისი თარიღი და ნომერი, მხარეთა დასახელება და რეკვიზიტები, სარჩელის ღირებულება, გარემოებები და მტკიცებულებები, რომელზეც მოსარჩლე ამყარებს თავის მოთხოვნებს, გამოსაყენებელი მატერიალური ნორმები, სასარჩელო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების ნუსხა. სასარჩელო განცხადებას უნდა ერთვოდეს ხელშეკრულება დავის სამომრიგებლო სასამართლოს განსახილველად გადაცემის შესახებ. ამასთან, სასარჩელო განცხადების ასლი უნდა გადაეცეს მოპასუხეს.

სასარჩელო განცხადების განსახილველად მიღების საკითხის განხილვისას სამომრიგებლო სასამართლო ამონიშნავს სამომრიგებლო წარმოების შესახებ შეთანხმების არსებობას, ადგენს, რამდენად განეკუთვნება მოცემული საქმე საარბიტრაჟო სასამართლოს განსჯადობას და მისალე-

ბია თუ არა მოცემული დავის სამომრიგებლო სასამართლოსათვის გადაცემა. აღნიშნული საფუძველების არარსებობის შემთხვევაში საქმე განსახილველად საარბიტრაჟო სასამართლოს გადაეცემა. თავის მხრივ, მოპასუხე მოვალეა შეთანხმებულ ვადაში გადასცეს სასამართლოსა და მოსარჩლეს შესაგებელი.

საქმიანობის ადგილი თავად მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება, ხოლო სათანადო შეთანხმების არარსებობისას – სამომრიგებლო სასამართლოს მიერ, რომელიც ამ საკითხს წყვეტს დავის მართებულად და ოპერატიული განხილვის უზრუნველსაყოფად.

სამომრიგებლო სასამართლოში დავები გადაწყდება მხარეთა თანასწორობის საფუძველზე, თითოეული მათგანისათვის სამომრიგებლო სამართალწარმოებისას თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებით, საკუთარი პოზიციის გადმოცემისა და უფლებების დაცვის საკითხში. ამ უფლებებს შორის უნდა აღვნიშნოთ მხარეთა მონაწილეობა სასამართლოს სხდომაში. თუმცა, ამ საკითხზე საეციალური შეთანხმების არარსებობისას, სამომრიგებლო სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს საქმეთა განხილვა მხარეთა მონაწილეობის გარეშე, ნარდგენილი დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. მხარეთა ინტერესები უზრუნველყოფილია მთელი რიგი საპროცესო მოთხოვნებით, რომელიც სამომრიგებლო სასამართლოსადმი მიმართული. მაგალითად, მხარეთა წერილობითი შეტყობინება სამომრიგებლო სასამართლო სხდომის შესახებ, მეორე მხარისათვის ყველა დოკუმენტისა და მტკიცებულების გადაგზავნა, მხარეებისათვის ექსპერტის დასკვნის გადაცემა და სხვ. ამგვარად, მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ, საქმის მასალების გაცნობის შემდეგ დამატებითი მასალები წარადგინონ და გამოთქვან ახალი მოსაზრებები სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. საქმის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს დავა მოპასუხის მიერ შესაგებლის არშეტანის ან მხარეებისა თუ მათი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

სამომრიგებლო საქმისწარმოება ხელს უწყობს საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას და ამის საფუძველზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას, რომელიც, თავისი არსით, მხარეთა ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებას და მათ შორის დავის დარეგულირებას უნდა განაპირობებდეს.

თუ მხარეები შეთანხმდებიან სამომრიგებლო სამართალწარმოების შეწყვეტაზე ან დადგინდება, რომ მოცემული დავა არ განეკუთვნება სამომრიგებლო სასამართლოს განსჯადობას, საქმე წარმოებით შეიძლება შეწყდეს სასამართლოს განჩინებით. გამორიცხულია იმავე საქმეზე და

იმავე საფუძვლით სამომრიგებლო სასამართლოში ხელმეორედ მიმართვა. დავის არსებითად განხილვის შემდეგ, სამომრიგებლო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს სასამართლოს მთელი შემადგენლობა.

თუ საქმე განხილება სამომრიგებლო სასამართლოს მიერ სამი ან მეტი პირის შემადგენლობით, გადაწყვეტილება გამოიტანება ხმათა უმრავლესობით. მოსამართლე, რომელსაც განსაკუთრებული აზრი აქვს განსახილველ დავასთან დაკავშირებით, მას წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბებს და განსაკუთრებული აზრის სახით სასამართლოს გადაწყვეტილებას დაურთავს.

სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს იურიდიული მნიშვნელობის მქონე საქმის ყველა გარემოებას. აღნიშნული გარემოებანი გამყარებული უნდა იყოს სარწმუნო და სათანადოდ დადასტურებული, საქმისწარმოებისას წარმოდგენილი და განხილული მტკიცებულებებით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მატერიალურსა და საპროცესო სამართალს. ამასთან, სამომრიგებლო სასამართლო უნდა ხელმძღვანელობდეს რუსეთის ფედერაციისა და მასში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით, სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებებით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამომრიგებლო სასამართლო მოვალეა, იხელმძღვანელოს სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობით. გადაწყვეტილების გამოტანისას, სამომრიგებლო სასამართლო ითვალისწინებს ასევე ხელშეკრულების პირობებსა და სავაჭრო ჩვეულებებს.

სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მკაფიო პასუხი უნდა გაეცეს სასარჩელო მოთხოვნას, ხარჯების განაწილებისა და მისი აღსრულების წესის მითითებით. ხარჯებში იგულისხმება სამომრიგებლო მოსამართლეების ჰონორარი, სამომრიგებლო მოსაკრებლები, მთარგმნელებისათვის ასანაზღაურებელი თანხები, ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელი მონაცემები და სხვ.

სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილების ბუნდოვანებაში შეიძლება შექმნას სიძნელეები მისი აღსრულებისას, რაც მოითხოვს მხარის მიერ სამომრიგებლო სასამართლოსაგან განმარტების მიღებას. ამ მიზნით სასამართლოში მიმართვა დასაშვებია გადაწყვეტილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში, მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებით ამის შესახებ. ამავე ვადაში, მხარე, რომელიც აღმოაჩენს უზუსტობას, უფლებამოსილია მიმართოს სამომრიგებლო სასამართლოს შეცდომის გამოსწორების მიზნით. შესაბამისი თხოვნის მიღებიდან 10 დღის მანძილზე სამომრიგებლო სასა-

მართლო უფლებამოსილია, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ან განჩინების გამოტანით განმარტოს გაურკვეველი საკითხი. ასეთი განჩინება გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, საბოლოოა და არ ექვემდებარება გადასინჯვას.

სამომრიგებლო სამართალწარმოების ბუნება განაპირობებს მისი გადაწყვეტილებების ნებაყოფლობით აღსრულებას. ამასთან, მოვალის მიერ ნებაყოფლობით შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კრედიტორმა შეიძლება გამოიყენოს მისი აღსრულების იძულებითი წესი იმ საარბიტრაჟო სასამართლოში მიმართვით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება სამომრიგებლო სასამართლო. ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო სასამართლოს უპირველესი დანიშნულებაა, შეამონმოს, რამდენად არის დაცული სამომრიგებლო სამართალწარმოების პროცედურა. დარღვევის გამოვლენისას, საარბიტრაჟო სასამართლო არ გასცემს სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილების სააღსრულებლო ფურცელს და ამის თაობაზე გამოაქვს განჩინება, რომლის გასაჩივრებაც შეუძლია კრედიტორს.

სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილების საავალდებულო ძალით აღჭურვის ზემოხსენებული წესი სავსებით მისაღებად მიგვაჩნია, იმის გათვალისწინებით, რომ სამომრიგებლო სასამართლო წარმოადგენს არასახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ გაერთიანებას. ძირითადი მომენტია აქ იმაში მდგომარეობს, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს არ ჰქონდეს საქმის არსებითად გადასინჯვის უფლებამოსილება. თუ საარბიტრაჟო სასამართლოს შესაძლებლობა ექნება, საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს, მისი კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან გამოუკვლეველი მასალების მოტივაციით, პრაქტიკულად, მათივე ინიციატივით, ადგილი ექნება საარბიტრაჟო სასამართლოების კონტროლს სამომრიგებლო სასამართლოების გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობასა და კანონიერებაზე. ეს ეწინააღმდეგება სამომრიგებლო სასამართლოს იურიდიულ ბუნებას, მისი, როგორც დამოუკიდებელი იურისდიქციული ორგანოს სტატუსს, რომელიც ალტერნატივას წარმოადგენს საარბიტრაჟო სასამართლოების არსებული სისტემის მიმართ. იმავე სამომრიგებლო სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვის შეუძლებლობის შემთხვევაში, დადგენილი განსჯადობის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება წარედგინოს საარბიტრაჟო სასამართლოს. პრაქტიკაში, ასეთ სიტუაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც საქმე განიხილა დროებითმა სამომრიგებლო სასამართლომ სააღსრულებლო ფურცლის მიღების შემთხვევაში და მხარე, სამომრიგებლო გადაწყვეტილების საფუძველზე,

უფლებამოსილია აღძრას სააღსრულებლო წარმოება საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

როგორც აღვნიშნეთ, კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილ სამომრიგებლო სასამართლოებთან ერთად, რუსეთის ფედერაციაში ფუნქციონირებენ მუდმივმოქმედი სამომრიგებლო სასამართლოებიც. კანონით არ არის შემოსაზღვრული იმ სუბიექტთა წრე, რომელთანაც შეიძლება შეიქმნას მუდმივმოქმედი სამომრიგებლო სასამართლოები. ასეთი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მსგავსი სასამართლოებისა და მათი შემადგენლობების შესახებ აცნობონ რუსეთის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური მხარის საარბიტრაჟო სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც იგი მდებარეობს. მაგალითად, მუდმივმოქმედ სამომრიგებლო სასამართლოს წარმოადგენს მოსკოვის სავაჭრო ბირჟასთან არსებული საარბიტრაჟო კომისია, რომელიც საბირჟო გარიგებებიდან წარმოქმნილ დავებს გადაწყვეტს. საარბიტრაჟო კომისიის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს დებულება მოსკოვის სავაჭრო ბირჟასთან არსებული საარბიტრაჟო კომისიის შესახებ, ამ კომისიის რეგლამენტი და დებულება საარბიტრაჟო გასაჯლებისა და მხარეთა ხარჯების შესახებ, რომლებიც მოსკოვის სავაჭრო საბირჟო კომიტეტის მიერ იქნა დამტკიცებული 1991 წლის 16 ოქტომბერს. სანარმო და ორგანიზაცია, სავაჭრო ბირჟაში განეკუთვნებასთან ერთად, ექვემდებარება საარბიტრაჟო კომისიის იურისდიქციას. რაც შეეხება დავებს ბირჟის არანევერ სუბიექტთა მონაწილეობით, საარბიტრაჟო კომისიის განსახილველად მათი გადაცემისათვის აუცილებელია შესაბამისი შეთანხმების არსებობა. არბიტრაჟში საქმე აღიძვრება სარჩელის შეტანით. ამასთანავე, სასარჩელო განცხადება ფორმითა და შინაარსით უნდა პასუხობდეს საარბიტრაჟო სამართალწარმოების დადგენილ მოთხოვნებს. მასში, დამატებით, მითითებული უნდა იყოს დავის საარბიტრაჟო კომისიებისათვის გადაცემის საფუძველი, არბიტრაჟის შემადგენლობა და ფორმირების წესი. არბიტრაჟში სასარჩელო განცხადების შეტანისას მოსარჩელემ უნდა გადაიხადოს საარბიტრაჟო მოსაკრებელი, რომელიც სარჩელის ღირებულების 3%-ს შეადგენს.

არბიტრაჟის ფორმირებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხარეთა ნების გამოვლენას და სარჩელის ღირებულებას. საქმე განიხილება ერთპიროვნულად არბიტრაჟის ან არბიტრთა კოლეგიის მიერ, რომელიც სამი ან ხუთი არბიტრისაგან შედგება. თუ არც ერთი მხარე არ მოითხოვს, 300 ათას რუბლამდე სასარჩელო განცხადების განხილვას 3 არბიტრის შემადგენლობით, მას განიხილავს ერთი არბიტრი, დანიშნული საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ იმ პირთა რიცხ-

ვიდან, რომლებიც საარბიტრაჟო კომისიის არბიტრების სიაში არიან შეტანილნი. სხვა შემთხვევაში საქმე განიხილება კოლეგიურად, ხოლო არბიტრაჟის ფორმირების წესს მხარეები აირჩევენ. რეგლამენტი ითვალისწინებს არბიტრაჟის ფორმირების ორ წესს: თითოეული მხარე ირჩევს ერთ არბიტრს, ხოლო მესამე წევრი ინიშნება საარბიტრაჟო კომისიის მიერ, ან ყველა არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარე. არბიტრაჟის გადანყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. იგი დაუყოვნებლივ უნდა იყოს აღსრულებული, თუ მისი აღსრულების ვადა არ არის განსაზღვრული უშუალოდ არბიტრაჟის მიერ. უარი გადანყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებაზე შეიძლება შეიქნეს საარბიტრაჟო სასამართლოში მიმართვის საფუძველი იძულებითი აღსრულების უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ, საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარეს, დაინტერესებული მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, გადანყვეტილების არშესრულების ფაქტის გადამონმების შემდეგ, გამოაქვს განჩინება ამ ფაქტის საბირჟო ვაჭრობის მონაწილეთათვის შეტყობინების შესახებ და უგზავნის მას მხარეებს, საბირჟო კომიტეტს და სავაჭრო ბირჟის შესაბამის სამსახურებს. საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით დასაშვებია პერიოდულ ბეჭდვით ორგანოებსა და ცალკეულ კრებულებში არბიტრაჟის გადანყვეტილებების გამოქვეყნება.

რუსეთში მეორე მნიშვნელოვანი მუდმივმოქმედი სამომრიგებლო სასამართლო შექმნილია იურისტთა კავშირთან, „სამომრიგებლო სასამართლოს შესახებ“ დებულების და სამომრიგებლო სასამართლოს რეგლამენტის საფუძველზე, რომლებიც დამტკიცებულია იურისტთა კავშირის ცენტრალური საბჭოს აღმასკომის დადგენილებით. იგი გადანყვეტს დავებს, რომლებიც გამომდინარეობს სახელშეკრულებო და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან რუსეთისა და საზღვარგარეთის რეგისტრირებული სანარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, მათი საკუთრების ფორმის მიუხედავად.

იურისტთა კავშირის სამომრიგებლო სასამართლო შედგება იურისტთა კავშირის ცენტრალური საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული თავმჯდომარის, თავმჯდომარის მიერ დანიშნული მოადგილეების, პასუხისმგებელი მდივნისა და მისი მოადგილეების, ასევე სამომრიგებლო მოსამართლეებისაგან. სამომრიგებლო მოსამართლეებად შეიძლება დაინიშნონ პირები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება და სპეციალური ცოდნა სამართლებრივსა და ეკონომიკურ საკითხებში. მოსამართლეთა სარეკომენდაციო სიაში მითითებულია მათი გვარები, თანამდებობები, სამეცნიერო ხარისხები, ნოდებები, სპეციალობა და საცხოვრებელი ადგილი. დასაშვებია სამომრიგებლო მოსამართლის ფუნქციების შესრულება იმ

პირის მიერ, რომელიც არ არის შეტანილი სარეკომენდაციო სიაში, მაგრამ არჩეულია მხარეების ან ერთი მხარის მიერ.

სამომრიგებლო სასამართლო წარმოებას შეიძლება წინ უსწრებდეს სამომრიგებლო პროცედურა. ამ პროცედურის დაწყების შესახებ მხარე შუამდგომლობით მიმართავს პასუხისმგებელ მდივანს, რომელიც შეატყობინებს მეორე მხარეს 30 დღის მანძილზე. თუ მხარე უარს იტყვის სამომრიგებლო წარმოებაზე, ან არ წარმოადგენს თავის მოსაზრებებს აღნიშნული დროის მონაკვეთში, სამომრიგებლო წარმოება არ გამოიყენება.

სამომრიგებლო პროცედურის ჩატარების შესახებ მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, სასამართლო წინააღმდეგობის ფუნქციების განმახორციელებელ პირს. ეს შეიძლება იყოს თავად სამომრიგებლო სასამართლოს მოსამართლე, ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია. მომრიგებელი შეისწავლის საქმეს, გამოიძახებს მხარეებს და წარუდგენს წინადადებებს დავის დარეგულირებისა და მათი მორიგების მიზნით. ყოველივე აღნიშნული ფიქსირდება ოქმში და გამყარდება მხარეებისა და მომრიგებლის ხელმოწერებით. თუ სამომრიგებლო წარმოების შედეგად მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემდგომში სამომრიგებლო სასამართლოს მოსამართლედ აღარ დაიშვება იმ პირის დანიშვნა, რომელიც მოცემულ საქმეზე მომრიგებლად ფიგურირებდა.

სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებისათვის სავალდებულოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. მხარეები მოვალენი არიან, ნებაყოფლობით აღასრულონ გადაწყვეტილებები სამომრიგებლო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთ ვადის არარსებობისას – დაუყოვნებლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამომრიგებლო გადაწყვეტილება აღსრულდება საარბიტრაჟო პროცედურის კოდექსით დადგენილი წესით.

რუსეთის ფედერაციის მაგალითზე განხილული საარბიტრაჟო იურისდიქციისა და სამომრიგებლო საქმისწარმოების თანაარსებობის მოდელი, საკმარის საფუძველს გვაძლევს მოცემული საკითხის განზოგადებისა და გარკვეული დასკვნითი მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად, კერძოდ:

– საარბიტრაჟო იურისდიქცია შესაძლებელია წარმოადგენდეს სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ განშტოებას და მისი „საარბიტრაჟო“ ბუნება განსახილველი საქმეების კატეგორიით განისაზღვრებოდეს. იგი სახელმწიფო სამართალწარმოების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და მის პრაქტიკაში, ნიველირებულია მხარეთა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ არბიტრაჟის დაკომპლექტებასა და პროცესუალური ნიუანსების განსაზღვრაში. მსგავსი ინსტიტუტი არცთუ მყარ

გარანტიას ქმნის თავისუფალი მენარმეობის განყოფილებისა და ეკონომიკური ურთიერთობების დაცვის საქმეში, მით უფრო, რომ საარბიტრაჟო სასამართლო სისტემის განსჯად ერთ-ერთ მიმართულებას ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებიდან წარმოქმნილი დავებიც შეადგენს;

– სამომრიგებლო სამართალწარმოების არსებობა, გარკვეულწილად, კომპენსაციას ახდენს და ქმნის აუცილებელ წინა პირობებს ეკონომიკური პროცესის მონაწილეთა თვითდამკვიდრებისა და უსაფრთხოების შეგრძნების უზრუნველყოფისათვის, რაც გამოიხატება პირთა უფლებით, მონაწილეობა მიიღონ შესაძლებელი დავის განმხილველი პირებისა და საშუალებების არჩევაში, სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღწევად;

– ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში სახელმწიფო სასამართლოს ჩარევა პრაქტიკით განპირობებულ აუცილებლობას წარმოადგენს და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის ერთ-ერთ უპირველს გარანტიას ისევ და ისევ სახელმწიფო და მისი მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა წარმოადგენს.

§ 4. სპეციალური სასამართლოები

საერთო სასამართლოების სისტემის გარეთ, ცალკეული სახის საქმეთა განმხილველი სპეციალური სასამართლოების არსებობა ყველა ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. არსებობს სხვადასხვა სახის სპეციალური სასამართლო: სამხედრო სასამართლო, სამხედრო მოსამსახურეების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების განსახილველად, სასამართლოები მცირენაწილანთა საქმეებზე, შრომითი, მინისა და ნყლის საკითხებზე დავების განსახილველად, საპრეტენზიო, კომერციული და სხვ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალურ სასამართლო ოლქებში მოქმედებენ: საგადასახადო, საბაჟო, საპრეტენზიო და სხვა სახის სასამართლოები. საპრეტენზიო სასამართლო განიხილავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინააღმდეგ აღძრულ საჩივრებსა და სარჩელებს. ამას გარდა, თავად ცალკეულ შტატებში მოქმედებენ ისეთი სპეციალური სასამართლოები, როგორცაა არასრულწლოვანთა საქმეების, შრომითი საქმეების განმხილველი ორგანოები, ხოლო სანაპირო შტატებში მოქმედებენ, ე.წ. საზღვაო სასამართლოები. საფრანგეთში, მაგალითად, სასამართლო სისტემაში გამოიყოფა გარკვეული კატეგორიის საქმეთა განხილვაზე სპეციალიზებული სასამართლო დანესებულებები: სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალები, პროდიუმთა საბჭოები, სოციალური

დაზღვევის საკითხთა კომისიები, საადგილმამულო დავებთან დაკავშირებული ტრიბუნალები და სხვ. სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალების ფორმირებაში პარიტეტულ სანყისებზე მონაწილეობას იღებენ მოდავე კომერსანტები, შრომითი დაკების განსახილველად იმავე სასამართლოებს ქმნიან პროფკავშირები და მენარმენი, საარენდო საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ასევე მხარეები ირჩევენ. ასე რომ, არსებობენ გარკვეული ვადით არჩეული ან დანიშნული სასამართლო კოლეგიები, რომლებიც სპეციალურ საქმეებს განიხილავენ და ასევე, ხდება სპეციალური სასამართლო კოლეგიების მონვევა მხოლოდ კონკრეტული საქმის განსახილველად.

ძირითადი ნიშანი, რაც დამახასიათებელია სპეციალური სასამართლოებისთვის ის არის, რომ გარდა იურისტებისა, აქ მოსამართლეებად, სპეციალური სასამართლოს პროფილიდან გამომდინარე, შეირჩევიან სხვა სპეციალობის წარმომადგენლებიც, მაგალითად, პედაგოგიური განათლება სავალდებულო არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლეებისთვის, შრომითი დაკების განმხილველ მოსამართლეებს კი, არცთუ იშვიათად, პროფკავშირების მოღვაწენი წარმოადგენენ.

როგორც ვხედავთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალური სასამართლოების ფართო სექტორია წარმოდგენილი. ზოგიერთ მათგანზე ჩვენ ზემოთ მივუთითეთ. ახლა, კიდევ ერთ თავისებურებაზე მოვახსენებთ. 1988 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო კანონი, რომლის თანახმად, კონგრესის მიერ არჩეული 3 მოსამართლისგან შემდგარ სპეციალურ სასამართლოებს, იუსტიციის სამინისტროს გვერდის ავლით, უფლება მიეცათ, განეხილათ მთავრობის უმაღლესი ჩინოვნიკების, მათ შორის, პრეზიდენტის არამართლზომიერი ქმედებანი. ამავე გადაწყვეტილებით, კონგრესს დაუმტკიცდა უფლებამოსილება, ასეთ საქმეთა გამოსაძიებლად დაენიშნა დამოუკიდებელი პროკურორები.

სპეციალურ სასამართლოებში საქმეებს განიხილავს პროფესიონალ მოსამართლეთა კოლეგია, მსაჯულების გარეშე, ხოლო პროცესი არის დაჩქარებული. ზოგიერთი გამოწაკლისის გარდა, არ არსებობს ანალოგიური ზემდგომი სასამართლოები. მაგალითად, გერმანიაში, ინგლისში, უკრაინასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, სპეციალური სასამართლოები ჩანერილნი არიან საერთო სასამართლოების სისტემაში და მოქმედებენ განყოფილებების სახით.

სპეციალური სასამართლოების შექმნას განაპირობებს არაერთი ფაქტორი და მათ ინგლისის მაგალითზე განვიხილავთ. საერთო სასამართლოები ამ ქვეყანაში მიჩნეულია უპირველესად „სამართლის სასამართ-

ლოებად";¹ რომლებსაც სრულყოფილად არ შეუძლიათ ეკონომიკური, სოციალური, სამრეწველო ურთიერთობებიდან აღმოცენებული დავების გადაწყვეტა. მაგალითად, გასული საუკუნის ინგლისში კერძო სარკინიგზო კომპანიებს მთავრობისთვის უნდა მიემართათ მგზავრობის ღირებულების გაზრდაზე ნებართვის ასაღებად. უარის მიღების შემთხვევაში, ისინი უკვე სასამართლოს მიმართავდნენ. მოსამართლეთათვის ამგვარი პრაქტიკა მიუღებელი იყო, რადგან, მათი აზრით, დავის გადასაწყვეტად აუცილებელი იყო არა სამართლებრივი, არამედ ეკონომიკური კრიტერიუმებით ოპერირება. აღნიშნულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, ერთი მოსამართლე ლორდი იმასაც აღნიშნავდა, რომ მოსამართლეები „რკინიგზის სამსახურების დირექტორებად გადაიქცნენ“.² შემდგომ, სწორედ ამან განაპირობა სპეციალური ტრიბუნალის შექმნა მსგავსი დავების განსახილველად. შესაბამისად, შეიზღუდა საერთო სასამართლოების კომპეტენციაც.

საერთო სასამართლოებში გადაწყვეტილების მიღების პროცედურა ხასიათდება მათი მიმდინარეობის საკმაოდ ნელი ტემპით. ზემოთ მითითებული დავები კი სწრაფ გადაწყვეტას საჭიროებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკრეტული მიზანი მიღწეული ვერ იქნება, ვერ გადაწყდება კონკრეტული პრობლემა. მაგალითად, 1666 წელს ლონდონში მომხდარი დიდი ხანძრის შედეგად წარმოშობილი სანივთო დავების გადასაწყვეტად, შეიქმნა სპეციალური სასამართლო კოლეგია. მისი გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო მხარეებმა მიმართეს ლორდუანცლერს, რომელმაც უარი განაცხადა ამ საქმეების განხილვაზე იმ მოტივით, რომ პარლამენტის მიერ შექმნილი სასამართლოების გადაწყვეტილება იყო საბოლოო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადამწვარი ლონდონის აშენება შეუძლებელი შეიქნებოდა.³ საქმე ის არის, რომ ნებისმიერ სხვა სპეციალურ საქმეზე კონკრეტული გადაწყვეტილების დაყოვნებამ, პროცესის გაჭიანურებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები გამოიწვიოს.

როგორც აღვნიშნეთ, საერთო სასამართლოებში პროცესი მეტად ძვირადღირებულია, ხოლო სპეციალურ სასამართლოებში – შედარებით იაფი. ამდენად, ნაკლებად ფორმალური საქმისწარმოება შესაძლებელია გაცილებით იაფი დაჯდეს. ეს მომენტი კი ზოგჯერ იმ ფაქტსაც გადასწონის, რომ სპეციალურ სასამართლოებში საქმის გარემოებათა გამოკვლევა ნაკლებად საფუძვლიან ხასიათს ატარებს. ამასთან, ჩვეულებრივი სასამართლო საქმისწარმოების მკაცრად ფორმალურმა ბუნებამ შესაძლებელია მხ-

1. მარში და სოულსბი, მითითებული ნაშრომი, გვ.43.

2. იქვე, გვ. 44.

3. იქვე.

არეს თავი შეაკავებინოს სასამართლოში მიმართვისაგან, თუნდაც იმ მოტივაციით, რომ სპეციალური სასამართლოების უმრავლესობა იყენებს შედარებით არაფორმალურ პროცედურას და მკაცრი საპროცესო წესები, ფაქტობრივად, არ გამოიყენება. სპეციალური სასამართლოს ქვემდებარე საქმეების განხილვა-გადანყვეტისას შესაძლებელი ხდება იმ პირთა მონაწილეობა, რომლებიც გამოირჩევიან პროფესიული ცოდნით ეკონომიკის, ბიზნესის, მრეწველობის, პედაგოგიკის და სხვა სფეროებში. ეს ფაქტორი კი საქმის სამართლიანად გადანყვეტის უპირველესი წინა პირობაა.

სპეციალური სასამართლოების არაიერარქიული სისტემის პირობებში, ინგლისში სურდათ მაღალი სასამართლოს ერთ-ერთ განყოფილებად სპეციალური უმაღლესი სასამართლოს შექმნა. 1976 წელს პარლამენტმა მიიღო სპეციალური აქტი, რომელმაც აღკვეთა, ე.წ. შემზღუდველი სავაჭრო შეთანხმებები ისეთ საკითხებზე, როგორცაა ფასების დადგენა და წარმოების მოცულობის ლიმიტირება. კანონის თანახმად, ასეთი შეზღუდვის დანესება დაიშვებოდა მხოლოდ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, რასთან შესაბამისობის კრიტერიუმიც თავად კანონში იყო მოცემული. ამ საქმეებზე გადანყვეტილებების გამოტანა მოითხოვდა ბიზნესისა და ეკონომიკის იმ დონეზე ცოდნას, რომელსაც ჩვეულებრივ ვერ აკმაყოფილებდნენ საერთო სასამართლოების მოსამართლეები. ამიტომ დაფუძნდა სპეციალური სასამართლო, რომელიც განიხილავდა პროფესიული საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებულ საქმეებს. აქტის მიხედვით, სასამართლო შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან 5 უნდა იყოს იურისტი, დანარჩენი ათისთვის კი იურიდიული განათლება სავალდებულო არ არის. სასამართლო საქმეს განიხილავს ერთი მოსამართლე – იურისტისა და ორი არაიურისტი წევრის შემადგენლობით, „რომელთაც აქვთ გარკვეული გამოცდილება წარმოების, ვაჭრობისა და საჯარო საქმეთა სფეროში.“¹

„სამართლის საკითხს“ სასამართლო, ჩვეულებრივ, ნყვეტს ხმათა უმრავლესობით, ე.ი. ბიზნესის სფეროში გათვითცნობიერებული სასამართლო კოლეგიის წევრებმა, მოსამართლის აზრის მიუხედავად, შეიძლება განსაზღვრონ ამა თუ იმ შემზღუდავი შეთანხმების აღნიშნულ აქტთან შესაბამისობის საკითხი. სასამართლოს გადანყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოში. აქტების თანახმად, საქმე საკასაციო წესით, პრაქტიკულად, არ განიხილება, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ გადანყვეტილების სამართლებრივი მხარე უნდა გადასინჯოს.

1. მარში და სოულსბი, მითითებული ნაშრომი გვ 44.

ინგლისში ასევე მოქმედებს შრომითი დაეების განმხილველი სპეციალური სასამართლოების იერარქიული სისტემა, რომელსაც თაოსნობს სააპელაციო ტრიბუნალი შრომით საქმეებზე. ეს ორგანო შეიქმნა 1975 წლის აქტით შრომის დაცვის შესახებ, რომელშიც 1978 წელს გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი. ამ სასამართლოს ნევრებს პერიოდულად ნიშნავს ლორდ-კანცლერი მაღალი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს რიგებიდან, ხოლო გარკვეულ ნაწილს ლორდ-კანცლერის რეკომენდაციით ნიშნავს მონარქი. კანდიდატები განსწავლულნი უნდა იყვნენ სამრეწველო ურთიერთობებში და წარმოადგენდნენ ადმინისტრაციის მუშაკებს.

სასამართლო გადანყვეტს საჩივარს ნებისმიერ საქმეზე, რომელიც პირველი ინსტანციით განხილულ იქნა ქვემდგომი სამრეწველო და შრომითი ინსტანციის მიერ. ამასთან, იგი ძირითადად განიხილავს სამართლის საკითხს და საქმისწარმოებას ახორციელებს ლონდონში, მაგრამ დაშვებულია მის მიერ ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში გამსვლელი სესიების მოწყობა. ეს სასამართლო, ჩვეულებრივ, საქმეებს განიხილავს ერთი მოსამართლისა და ორიდან ოთხამდე არაპროფესიონალის შემადგენლობით, რომლებიც თანაბრად უნდა წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, ადმინისტრაციას და, მეორე მხრივ, მუშა-მოსამსახურეებს. სხდომები დახურულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ცხადდება, როდესაც საქმის საჯარო განხილვამ შესაძლებელია გამოიწვიოს სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების გამჟღავნება.

ინგლისში ზოგიერთი მაგისტრატი სპეციალიზებულია არასრულწლოვანთა საქმეების განხილვაში. მათი სტატუსის თავისებურებანი განსაზღვრულია ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ 1933 წლის კანონით. განსაკუთრებით საინტერესოა ამ კანონის 44 (ა) მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლომ, თუ მის მიერ განხილულ საქმეში დამრღვევად ან პროცესის სხვა სუბიექტად ბავშვი ან ახალგაზრდა პირი ფიგურირებს, უნდა იზრუნოს ბავშვის ან ახალგაზრდა პირის კეთილდღეობაზე, ყოველ კონკრეტულ საქმეზე აარიდოს იგი არასასურველ გარემოს და უზრუნველყოს მისთვის აუცილებელი განათლება და სწავლება. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა სასამართლოები განიხილავენ თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე პირთა საქმეებს.

1969 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ. ამ აქტის თანახმად, სისხლის სამართლის წარმოებას ათ წლამდე ასაკის პირების მიმართ ცვლის, ე.წ. „სამზრუნველო წარმოება,“ რომლის დროს სასამართლომ შეიძლება: მოსთხოვოს მშობლებს, გამოიჩინონ სათანადო მზრუნველობა და კონტროლი თავიანთი შვილების მიმართ; გა-

მოსცეს ბრძანებები ზედამხედველობის დანესების შესახებ; გამოსცეს ბრძანებები მზრუნველობის შესახებ და პირი მოათავსოს ადგილობრივ სახელმწიფო დანესებულებებში; გამოსცეს ბრძანებები სამკურნალო დანესებულებაში მოთავსების შესახებ. აღნიშნული სასამართლოები არასრულწლოვან დამრღვევებს განიხილავენ, როგორც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ პიროვნებებს, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, დახმარებას საჭიროებენ. სასამართლოს, არასრულწლოვანის მიერ დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, გამოაქვს ბრძანებები კომპენსაციის შესახებ, რომლითაც იგი ვალდებულია აკისრებს მშობლებსა თუ მეურვეებს, აუნაზღაურონ დარღვევის შედეგად დაზარალებულ პირებს მიყენებული ზიანი.

არასრულწლოვანთა საქმეებზე სასამართლო სხდომები უნდა გაიმართოს სრულწლოვანთა საქმეების განხილვისგან განსხვავებულ დროსა და ადგილას. ჩვეულებრივ, ტარდება დახურული სხდომები, მხოლოდ მას მედიის წარმომადგენელთა თანდასწრებით, თუმცა, შეზღუდვები დანესებულია პრესის მიმართაც. მაგალითად, ჟურნალისტებს ეკრძალებათ დამრღვევის ვინაობის გამჟღავნება და გამოქვეყნება სასამართლოს ნებართვის გარეშე. არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავს კოლეგია სამი წევრის შემადგენლობით, რომელთა ასაკი 65 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

სპეციალური სასამართლო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოთა რიცხვს განეკუთვნებიან ინგლისში მოქმედი კორონერების სასამართლოები. კორონერები ინიშნებიან საგრაფოს საბჭოების მიერ ბარისტერების, სოლისიტორებისა და მედიცინის მუშაკთა რიცხვიდან სულ ცოტა ხუთი წლის ვადით. ისინი შეიძლება გაათავისუფლოს ლორდ-კანცლერმა, ქმედუუნარობისას ან სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში. კორონერების ინსტიტუტი ინგლისში მე-12 საუკუნიდან მოქმედებს. მათი სამართლებრივი სტატუსი კორონერების შესახებ 1988 წლის კანონით რეგულირდება, რომელიც მანამდე არსებული შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის კონსოლიდაციასაც ახდენს.

თითოეულ კორონერის სასამართლოს გეოგრაფიული იურისდიქცია აქვს, მაგისტრატებისა და საგრაფოს სასამართლოს მსგავსად, ანუ ისინი განიხილავენ საქმეებს, რომლებიც დაკავშირებულია მათ იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მომხდარ: განზრახ ან არაბუნებრივ მკვლელობასთან; მოულოდნელ სიკვდილთან, რომელიც მიზეზიც დაუდგენელია; ასევე, თუ პირი საპატიმროში დაიღუპა.

კორონერების გადაწყვეტილებით, შეიძლება დაინიშნოს ნაფიც მსაჯულთა კოლეგია შვიდი, ცხრა ან თერთმეტი პირის შემადგენლობით,

რომელიც დაეხმარება კორონერს გარდაცვლილის ვინაობის, სიკვდილის მიზეზისა და ადგილის დადგენაში. ამ ორგანოში საქმისწარმოება ინკვიზიციური პროცესის ხასიათს ატარებს. მოწმეთა დაკითხვას თავად კორონერი ახორციელებს. დანარჩენ დაინტერესებულ პირებს მხოლოდ კორონერის ნებართვით შეუძლიათ კითხვები დაუსვან მოწმეებს. არანაირი საბრალდებო თუ დამცავი სიტყვები პროცესის დროს არ გამოიყენება. ამ გარემოებას განსაზღვრავს საკითხთა სპეციფიკურობა განაპირობებს.

კორონერების კომპეტენციას განეკუთვნება ასევე მინაში აღმოჩენილი განძის მესაკუთრის დადგენა. კერძოდ, ზოგადი წესის თანახმად, მინაში ან სხვა კერძო ადგილას დამალული ფული, მონეტები, ოქრო, ვერცხლი თუ სხვა ძვირფასი ლითონი, რომლის მესაკუთრეც უცნობია, წარმოადგენს მონარქის საკუთრებას. მაგრამ თუ დადგინდება მისი მესაკუთრე, რომელმაც აღნიშნული საგანძური მინაში ჩაფლა, მონარქის საკუთრება ამ საგანძურზე გამოირიცხება. კორონერმა ამ შემთხვევაში უნდა გაარკვიოს ძვირფასეულობა დამალულ იქნა თუ არა იმ პირის მიერ, რომელიც მასზე პრეტენზიას აცხადებს, ამ შემთხვევაში კომპენსაცია მიეცემა მინის მესაკუთრესა და განძის მპოვნელს.

ინგლისში, საზღვაო ვაჭრობის შესახებ 1894 წლის აქტით, დადგენილია მისი უდიდებულესობის გემების კაპიტანთა შესაძლებლობა, საზღვარგარეთ ყოფნის დროს შექმნან საზღვაო სასამართლოები ნებისმიერი საქმის განსახილველად, რომელიც გადაუდებელ საკითხებს უკავშირდება, მაგალითად, გემის ჩაძირვას, მიტოვებას ან დაკარგვას. საქმეს საზღვაო ოფიცრები განიხილავენ და პროცედურა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ეს სასამართლოები უფლებამოსილნი არიან დანაშაულში ბრალდებულად ცნობილ პირს ჯარიმა ან პატიმრობა შეუფარდონ. მათი გადანაცხვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ჯერ მალაღ სასამართლოში, შემდეგ კი სააპელაციო ინსტანციაში.

ინგლისში მოქმედებენ სამხედრო სასამართლოებიც და მათი საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს შეადგენს არმიისა და საჰაერო ძალების შესახებ 1955 წლის კანონები და 1957 წლის საზღვაო-სადისციპლინო კანონი. მცირე მნიშვნელობის დისციპლინურ დარღვევებს ზემდგომი თანამდებობის პირები განიხილავენ. ისეთ სერიოზულ და საშიშ სამართალდარღვევებს, როგორიცაა მკვლელობა და გაუპატიურება, სამოქალაქო სასამართლოები. სამხედრო სასამართლოების იურისდიქციაც სწორედ მსგავს დარღვევებზე ვრცელდება.

სამხედრო სასამართლოებში საქმისწარმოების პროცედურა საერთო სასამართლოში არსებული პროცედურის მსგავსია. ბრალდებულს აქვს წარმომადგენლის ყოლის უფლება. სასამართლო გამოიყენებს იურიდიუ-

ლი მრჩევლების დახმარებას სამართლის შესაბამის საკითხებზე. გადან-
ყვეტილებას მიიღებს 3 ან 5 ზემდგომი თანამდებობის პირისგან შემდგარი
კოლეგია. საქმის განხილვას სამსჯავრო სხდომაზე წინ უსწრებს წინასწარი
გამოკვლევა. ნაფიცი მსაჯულები ამ პროცესში არ მონაწილეობენ. სასა-
მართლოს გადანყვეტილება საბოლოოა, მაგრამ პირის ბრალდებულად
აღიარება საჭიროებს ზემდგომი თანამდებობის პირთა მიერ დადასტურე-
ბას, რაც თავისთავად განიხილება უსამართლობის გამომრიცხავ ერთ-
ერთ გარემოებად.

1951 წლიდან მოქმედებს სამხედრო სააპელაციო სასამართლო. მისი
საქმიანობა და სტატუსი განისაზღვრება სამხედრო სააპელაციო სასა-
მართლოების შესახებ 1968 წლის კანონით. ეს ორგანო ინგლისის სააპელ-
აციო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების მსგავსია, რაც
გამოიხატება, როგორც პროცედურით, ასევე იმ ფაქტებით, რომ
საქმისწარმოებას სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე-ლორდები
თავმჯდომარეობენ, ხოლო მასში მონაწილეობენ მაღალი სასამართლოს
მოსამართლეები და ლორდ-კანცლერის მიერ დანიშნული სხვა პირები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ინგლისში მოქმედი საიდუმლო
საბჭოს იურიდიული კომიტეტი. თეორიულად, კომიტეტი შედგება საბჭოს
ლორდ-პრეზიდენტისგან; ექს-ლორდ-პრეზიდენტებისგან; ლორდ-კან-
ცლერისგან; მოსამართლე ლორდებისგან; ზღვისიქითა იურისდიქციის
უფროსი მოსამართლეებისგან, რომლებიც დროდადრო განიხილავენ
საქმეებს თავისი ქვეყნიდან; საიდუმლო საბჭოს სხვა წევრებისგან,
რომელთაც უკავიათ ან ეკავათ იურიდიულ საქმიანობასთან დაკავშირე-
ბული თანამდებობა. როგორც წესი, საქმეებს განიხილავს კოლეგია,
ლორდ-კანცლერისა და 4 მოსამართლე – ლორდის შემადგენლობით,
ლორდთა პალატაში საქმეთა განხილვის პროცედურის შესაბამისად.

საიდუმლო საბჭოს იურისდიქცია ძირითადად ვრცელდება შემდეგი
კატეგორიის საქმეებზე:

– საბოლოო ინსტანციით განიხილავს საჩივრებს მენის კუნძულიდან,
ინგლისის სრუტის სხვა კუნძულებიდან, ბრიტანეთის კუნძულებიდან და
პროტექტორატებიდან, თანამეგობრობის იმ ქვეყნებიდან, რომლებსაც არ
აქვთ საბოლოო ინსტანციის საკუთარი სასამართლო;

– განიხილავს საჩივრებს საადმირალო სასამართლოს გადანყვეტილე-
ბებზე პრიზთან დაკავშირებით;'

*1. საერთაშორისო სამართლის მიხედვით „პრიზი“ წარმოადგენს უცხო ქვეყნის
გემსა და ტვირთს, რომელიც სხვა ქვეყნის სამხედრო გემის მიერ იქნა დაკავე-
ბული და მიყვანილი თავისი ქვეყნის ნავსადგურში.*

– განიხილავს საჩივრებს საეკლესიო სასამართლოების გადანყვეტილებებზე;

– განიხილავს საჩივრებს მთავარი სამედიცინო საბჭოს პროფესიული ქცევის კომიტეტის გადანყვეტილებებზე.

შვედეთში საერთო და ადმინისტრაციული სასამართლოების გარდა, არსებობს სპეციალური: სამხედრო, საგადასახადო, მინის, კომერციული, სოციალური დაზღვევისა და სხვა სასამართლოები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომითი დავების სასამართლოები. კანონის მიხედვით, იგი პირველი და საბოლოო ინსტანციით განიხილავს შრომით დავებს, რომლებიც დაკავშირებულია კოლექტიური ხელშეკრულებების განმარტებასთან და მენარმესა და მშრომელს შორის წარმოქმნილ სხვა ურთიერთობებთან. რუსეთის ფედერაციის კანონი „სასამართლო სისტემის შესახებ“ საერთო იურისდიქციის სასამართლოთა რიგში მოიხსენიებს სპეციალიზებულ ფედერალურ სასამართლოებს. ისინი მხოლოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისათვის შეიძლება შეიქმნას. რაც შეეხება მომრიგებელ მოსამართლეებს, ისინი თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავენ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებს, პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით.

იაპონიის სასამართლო სისტემის განსაკუთრებულ რგოლს წარმოადგენს საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოების სისტემა. ისინი მოქმედებენ საოლქო სასამართლოებთან და განიხილავენ დავებს მემკვიდრეობის შესახებ, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი უმნიშვნელო სისხლის სამართლის დანაშაულებს, ასევე საოჯახო უფლებებთან დაკავშირებულ დავებსა და საოჯახო საქმეებთან დაკავშირებით ასრულებენ შუამავლის ფუნქციას. იაპონიაში არსებობს აგრეთვე სპეციალური იმპიჩმენტის სასამართლო, რომელსაც ირჩევენ პარლამენტის პალატები, თითოეული – 7 წევრს. იმპიჩმენტის სასამართლო მოსამართლეთა თანამდებობიდან გადაყენების საკითხს განიხილავს, ამ უკანასკნელთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის ან ისეთი მოქმედების ჩადენის შემთხვევაში, რომელიც სერიოზულ ჩრდილს აყენებს მოსამართლის ღირსებას. მას შეუძლია გამოიტანოს გადანყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ან უარყო მისთვის ნაყენებული ბრალდება.

სპეციალური სასამართლოები მოქმედებენ კანადაშიც, კერძოდ, მის ზოგიერთ პროვინციაში არსებობს სასამართლოები არასრულწლოვანთა საქმეებზე და საოჯახო სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ დავებს ბავშვებსა და სასარჩელო აღიშენებებზე. ზოგიერთ პროვინციაში ისი-

ნი გაერთიანებულნი არიან და განიხილავენ ორივე კატეგორიის საქმეებს. არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების შესახებ 1982 წელს მიღებული კანონის თანახმად, საქმეები 12-18 წლის ასაკში ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულზე განიხილება აღნიშნული სასამართლოების მიერ საერთო სასამართლოების პროცედურული წესების დაცვით, ადვოკატის მონაწილეობით და განსასჯელის უფლებების დაცვის გარანტიით, მსგავსი სპეციალური სასამართლოების სისტემა და საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაზე განიხილება პროვინციებისა და ფედერაციების საერთო სასამართლოებში.

შრომის საქმეთა განსახილველად სპეციალური სასამართლოები მოქმედებენ უნგრეთში, როგორც დედაქალაქში, ასევე ოლქებში. მათ იურისდიქციას ექვემდებარება არამარტო კონკრეტული შრომითი დავები, არამედ კოორპორატივების ნევრობასთან დაკავშირებული დავებიც. თითოეული ამ სასამართლოს შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ სასამართლოებსა და ოლქის ტერიტორიაზე მოქმედ შრომის საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ზედამხედველობს საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე. უნგრეთის სახელმწიფო კრების მიერ დადგენილ ცალკეულ საოლქო სასამართლოში ასევე მოქმედებენ სამხედრო საქმეთა საბჭოები. კოლეგიის შემადგენლობაში შედიან მოცემული კატეგორიის საქმეებზე სპეციალიზებული საოლქო სასამართლოს მოსამართლეები, ასევე კოლეგიაში ხუთი წლის ვადით არჩეული ოლქის სხვა სასამართლოს მოსამართლეები. სამხედრო საქმეთა საბჭოს თავმჯდომარეობს პროფესიონალი სამხედრო მოსამართლე. პროცესის მონაწილეები არიან სამხედრო სახალხო მსაჯულები.

სპეციალური სასამართლოების მრავალფეროვნება გერმანიისთვისაც არის დამახასიათებელი და აქ სპეციალური სასამართლოების მთელი სისტემა მოქმედებს. თუმცა, დამოუკიდებლად მოქმედი ამ სასამართლოების ერთობლიობას სისტემას ვერ ვუნოდებთ, ერთობლიობაც არაზუსტი შეფასება იქნებოდა ალბათ, რომ არა ფედერალური სასამართლო პალატის განსაკუთრებული სენატი, რომელიც პირველი ინსტანციის სხვადასხვა პროფილის 17 სასამართლოს მკაცრად ცენტრალიზებული სქემის სახით კრავს. სპეციალური იურისდიქციის სასამართლოების სტატუსი რეგულირდება ცალკეული კანონებით ან ნორმატიული აქტებით. მაგრამ აქ ერთია ხაზგასასმელი, რადგან კონსტიტუცია და კანონიც ყველა ამ სპეციალიზირებულ სასამართლოს ფედერალურ სასამართლო პალატას მიაბამს, უნებლიეთ ფართოვდება საერთო სასამართლო სისტემა, მისი სასამართლო თვალსაწიერი, ძალა და მნიშვნელობა.

გერმანიის ძირითადი კანონი, ერთი მხრივ, დაუშვებლად მიიჩნევს საგანგებო სასამართლოების შექმნას (მუხლი 101, აბზაცი 1), თუმცა იქვე, მეორე აბზაცში აღნიშნავს, რომ ცალკეული დარგებისათვის სასამართლოები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ კანონის საფუძველზე. ამ დროს, თავად კონსტიტუცია 96-ე მუხლის ძალით ადგენს, რომ ფედერაციას შეუძლია: შექმნას ფედერალური სასამართლო სამრეწველო საკუთრების სამართლებრივი დაცვისათვის (აბზაცი 1), შეიარაღებული ძალებისათვის ფედერალური სასამართლოს სახით შექმნას სისხლის სამართლის სამხედრო სასამართლოები, რომელთაც შეუძლიათ სისხლის სამართლის იურიდიქცია განახორციელონ მხოლოდ თავდაცვის მდგომარეობის დროს, აგრეთვე, შეიარაღებული ძალების მოსამსახურის მიმართ, რომელიც გაგზავნილია საზღვარგარეთ ან იმყოფება სამხედრო გემზე (აბზაცი 2). აქვე კონსტიტუცია ადგენს, რომ ამ უკანასკნელზე ვრცელდება იუსტიციის ფედერალური მინისტრის კომპეტენცია, თუმცა, შემდეგ იმასაც ადგენს, რომ ორივე აღნიშნული სასამართლოსათვის უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს წარმოადგენს ფედერალური სასამართლო პალატა (აბზაცი 3). ანუ გამოდის, რომ კანონმდებელი მათ საერთო სასამართლო სისტემასთან აკავშირებს. ამას გარდა, კონსტიტუცია კიდევ ერთ უფლებას ანიჭებს ფედერაციას. მას შეუძლია იმ პირთათვის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საჯარო-სამართლებრივი სამსახურებრივი ურთიერთობებით, შექმნას ფედერალური სასამართლოები დისციპლინურ და საჩივართა განმხილველ წარმოებაში გადაწყვეტილების მისაღებად (აბზაცი 4). თუმცა, ამით როდი ამოიწურება სპეციალური სასამართლოების სისტემა. ეს მხოლოდ კონსტიტუციური დებულებებით გაფორმებული სამეულია, სხვა სახის სპეციალური სასამართლოები, კონსტიტუციის თანახმად, საკანონმდებლო გაფორმებას საჭიროებს და, მაშასადამე, მთელი ეს საქმე პარლამენტის კონტროლქვეშ ექცევა.

სპეციალურ სასამართლოებს წარმოადგენენ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციით გათვალისწინებული განსაკუთრებული ორგანოები, რომლებიც განიხილავენ უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებს. მაგალითად, ბრაზილიაში უმაღლესი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხს წყვეტს მართლმსაჯულების უმაღლესი ტრიბუნალი. ასევე, საფრანგეთის კონსტიტუციის IX კარით (მუხლები 67-68), დანესებულია მართლმსაჯულების უზენაესი პალატა. იგი შედგება ეროვნული კრებისა და სენატის მიერ, თავიანთი შემადგენლობის სრული ან ნაწილობრივი განახლების შემდეგ, თანაბარი რაოდენობით არჩეული წევრებისაგან.

მართლმსაჯულების უზენაესი პალატის შემადგენლობა, საქმიანობის წესი და საქმეთა განხილვის პროცედურა განსაზღვრულია ორგანული კანონით. თუ პარლამენტის პალატები, სათანადო პროცედურის დაცვით, პრეზიდენტს ნაუყენებენ სახელმწიფო ლალატის ბრალდებას, სახელმწიფო მეთაური შეიძლება გაასამართლოს მართლმსაჯულების უზენაესმა პალატამ. მანვე უნდა განიხილოს მთავრობის წევრების მიერ სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ან დელიქტის ჩადენის საკითხი. იგი ხელმძღვანელობს დანაშაულებისა და დელიქტების იმ შემადგენლობითა და სასჯელებით, რომელიც მოცემულ ქმედებათა ჩადენის დროს მოქმედ სისხლის სამართლის კანონში იყო გათვალისწინებული. როგორც ვხედავთ, მართლმსაჯულების უზენაეს პალატას სპეციალურ ხასიათს ანიჭებს იმ სუბიექტთა წრე, რომელთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საკითხსაც იგი განიხილავს. კონსტიტუციის მიხედვით, ამ ორგანოს კომპეტენციაში არავითარი სხვა ფუნქციის განხორციელება არ შედის.

§ 5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები პირველად IX საუკუნეში საფრანგეთში დამკვიდრდა. ეს ინსტიტუტი ინგლისში ნორმანებმა 1066 წელს შეიტანეს და მას შემდეგ იგი ინგლისის სამართლებრივი სისტემის განუყოფელ ნაწილად აღიქმება. XV საუკუნიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საბოლოოდ ფორმირდება დამოუკიდებელ ორგანოდ, რომელიც ნყვეტს საქმის ფაქტობრივ მხარეს. ამ ინსტიტუტის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ე.წ. „ბუშელის საქმეზე“ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად იკრძალებოდა ნაფიცი მსაჯულის დაჯარიმება ან ციხეში ჩასმა ბრალდებულის გამართლებისთვის.¹ ამ გადაწყვეტილების ძალით, 1670 წლისათვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გადაიქცა მეფისა და სამეფო სასამართლოებისგან დამოუკიდებელ ორგანოდ, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა, მხოლოდ პროცესის დროს წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. შემდეგ საუკუნეში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ინგლისელებმა ჩრდილო ამერიკის კოლონიებშიც დაამკვიდრეს. ჩვეულებრივი სამართალწარმოებისას პროფესიონალმა მოსამართლეებმა პროცესის დროს რამდენიმე საკითხი უნდა გადაწყვიტონ.

1. Уйман Гернем, Суд присяжных заседателей, Москва, 1987, стр.6.

უპირველეს ყოვლისა, დაადგინონ სამართალდარღვევის არსებობა – ფაქტის საკითხი; მეორე, სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალდებულის ბრალეულობა – ბრალის საკითხი; მესამე, ბრალეულობის ხარისხის მიხედვით სასჯელის ზომა – სამართლის ანუ კვალიფიკაციის საკითხი. მაშინ, როცა პროცესში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობისას, მოსამართლის როლი მნიშვნელოვნად იცვლება: იგი წვევტს სამართლის საკითხს, ხოლო ფაქტისა და ბრალის საკითხები ნაფიცი მსაჯულების კომპეტენციას განეკუთვნება. მათ არა აქვთ უფლება, ჩაერიონ სასამართლოს გამოძიების პროცესში, დაუსვან კითხვები პროცესის მონაწილეს, რადგან ყოველივე ეს პროფესიონალი მოსამართლის უფლებამოსილებას შეადგენს. მსაჯულებს გადაწყვეტილება, ანუ ვერდიქტი გამოაქვთ დახურულ სხდომაზე, მოსამართლის მონაწილეობის გარეშე. ამ სხდომას კი ორგანიზაციას უწევს მსაჯულების თავმჯდომარე, ე.წ. მამასახლისი.¹ თუმცა, განსაზღვრულ შემთხვევაში, არსებობს გამონაკლისიც, როცა კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეს, შეცვალოს ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება, თუ არის საკმაო საფუძველი, რომ იგი მიჩნეულ იქნეს არაადეკვატურად, მეტისმეტად მკაცრად ან მისი გამოტანისას დარღვეულია კანონით დადგენილი პროცედურა.²

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი განსაკუთრებით გავრცელებულია საერთო სამართლის ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის V შესწორებით, დადგინდა დიდი ჟიურის ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებს 16-დან 23-მდე მსაჯულს. ამ ორგანოს იურისდიქცია ვრცელდება იმ დანაშაულებზე, რომლისთვისაც სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული. აქედან გამონაკლისია საქმეები, რომლებიც აღიძვრება სახმელეთო ან სამხედრო საზღვაო ძალებში ან პოლიციაში. სხვა შემთხვევებში, სისხლის სამართლის წესით დევნისას, ბრალდებულს აქვს სწრაფი და საჯარო გასამართლების უფლება კანონით დადგენილი იმ შტატისა და ოლქის მიუკერძოებელ ნაფიც მსაჯულთა მიერ, სადაც ჩადენილია დანაშაული. აქ უკვე საუბარია არა დიდ ჟიურიზე, არამედ იგულისხმება კონსტიტუციის ამ დებულებით, არაპირდაპირი გზით დანესებული მცირე ჟიურის ინსტიტუტი. მცირე ჟიური საქმეებს განიხილავს იმ ბრალდებულთა მოთხოვნით, რომლებსაც ემუქრებათ თავისუფლების აღკვეთა 6 თვეზე მეტი ვადით.

ნაფიცი მსაჯულების კომპეტენცია საერთო სამართლის საფუძველზე წარმოშობილი სამოქალაქო სამართლებრივი დავების სფეროში, დადგე-

1. *Сравнительное конституционное право. «Манускрипт»*. Москва, 1996б стр.659.

2. *უგერნები, მითითებული ნაშრომი, გვ.14.*

ნილია კონსტიტუციის VII შესწორებით. 70-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციის შესაბამისად ცნო ფლორიდის შტატის 6 ნევრიანი ჟიურის არსებობა.

რამდენიმე წლით ადრე შეიცვალა ვერდიქტის ერთხმად გამოტანის პრინციპი. სულ უფრო იშვიათია, ერთი მხრივ, სამოქალაქო დავებში მონაწილე მხარეების და, მეორე მხრივ, წვრილმან დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართვის შემთხვევები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. ამ გარემოებების არსებობა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის პოპულარობისა და მისი ავტორიტეტის შემცირების ნიშნად აღიქმება. ნაფიცი მსაჯულების როლი კლებულობს დიდ ბრიტანეთშიც, სადაც მათი მონაწილეობით განიხილება სამოქალაქო საქმეების არა უმეტეს 1 პროცენტისა და სისხლის სამართლის საქმეების არა უმეტეს 4 პროცენტისა.¹ მიმდინარეობს ამ ინსტიტუტის ინგლისური მოდელის დაახლოება შოტლანდიურთან, რომელიც უფრო ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული. შოტლანდიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ჩვეულებრივ, 12 ნევრისაგან შედგება, თუმცა დასაშვებია მათი რაოდენობის შემცირება: სისხლის სამართლის საქმეებზე – ცხრა, ხოლო სამოქალაქო სამართლის საქმეებზე – რვა ნევრამდე. გაიოლებულია გადაწყვეტილების მიღების წესიც და ვერდიქტი ხმათა უბრალო უმრავლესობით გამოაქვთ, იმ შემთხვევაში, თუ უმცირესობაში აღმოჩნდება არა უმეტეს ორი მსაჯულისა ან თუ მსაჯულები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას 23 საათის მანძილზე. ასე რომ, ბრიტანული სასამართლო ამ მხრივ გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თუ დიდი ჟიური, თავდაპირველად, სწორედ ინგლისში ფუნქციონირებდა, ამჟამად იგი აქ, პრაქტიკულად, აღარ მოქმედებს.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის როლის შემცირებას ხსნიან პროცედურის სირთულითა და ხანგრძლივობით, ნაფიც მსაჯულების არცთუ იშვიათად, არაკეთილსინდისიერი ქცევითა და მიკერძოებულობით, ასევე ნაფიც მსაჯულთა მორიგი შემადგენლობის ფორმირებისთვის საჭირო თანხების სიდიდით.² ამ ფაქტორების მიუხედავად, ეს ინსტიტუტი საკმაოდ ბევრ ქვეყანაში მოქმედებს (ავსტრია, ბელგია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ლიტვა, ლატვია, ესპანეთი, კანადა, შვეიცარია, ესტონეთი, იტალია, შვედეთი, საფრანგეთი და სხვ).

შვედეთში მსაჯულებს 6 წლის ვადით ირჩევს კომუნის კრება. სისხლის სამართლის საქმეზე მათი გადაწყვეტილება საბოლოოა, თუ მას ხმას მის-

1. შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, მითითებული ნაშრომი, გვ 660.

2. Судебные системы западных государств, Москва, 1991, стр.90-91.

ცემს 5-დან 4 მსაჯული. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადანყვეტილებას ლეზულობს მოსამართლე, ხოლო იმ საქმეებზე, რომელიც ეხება ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ დანაშაულს, მსაჯულთა უფლება შეზღუდულია. ისინი ლეზულობენ მხოლოდ ვერდიქტს დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულად ცნობისა თუ არცნობის შესახებ. სამოქალაქო საქმეებზე შედარებით ნაკლები თანხის სარჩელებზე გამარტივებული პროცედურაა დაწესებული, საქმეს განიხილავს 1 მოსამართლე, ადვოკატების გარეშე. შეედური კანონმდებლობით, დაშვებულია სამოქალაქო დავების განხილვა არბიტრების მიერ. ამ დროს მხარეები ნიშნავენ თითო არბიტრს, რომლებიც თავად ირჩევენ მესამეს. არბიტრაჟის გადანყვეტილება საბოლოოა, თუმცა, ფორმალური საფუძვლით, შესაძლებელია მისი გასაჩივრება საერთო სასამართლოში.

იტალიის ყოველ სააპელაციო სასამართლოში ცალკე სექციის სახით იქმნება ნაფიც მსაჯულთა კოლეგია, რომელიც უფლებამოსილია აპელაციის წესით განიხილოს ქვედა რგოლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადანყვეტილებებზე შეტანილი საჩივრები. ქვედა რგოლში კი გადანყვეტილება გამოაქვს კოლეგიას ორი პროფესიონალი მოსამართლისა და ექვსი არაპროფესიონალი – „სახალხო“ მოსამართლის ხმათა უბრალო უმრავლესობით. „სახალხო“ მოსამართლეთა შერჩევას ახორციელებს სასამართლოს თავმჯდომარე კომუნებიდან წარდგენილი კანდიდატების სიიდან. სააპელაციო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოც იმავე წესითა და შემადგენლობით მოქმედებს. მასთან იქმნება სპეციალური ტრიბუნალები, რომელთა ქვემდებარეა არასრულწლოვანთა საქმეების პირველი ინსტანციით განხილვა.

ესპანეთში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ გარანტიას წარმოადგენს. კერძოდ, კონსტიტუციის 125-ე მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს მოქალაქეებს, ნაფიც მსაჯულთა სახით უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში. სასამართლო ხელისუფლების შესახებ ორგანული კანონის თანახმად კი, ნაფიც მსაჯულთა საქმიანობა სავალდებულოა და ექვემდებარება ანაზღაურებას. აღნიშნული ინსტიტუტი რეგულირდება 1995 წლის ორგანული კანონით ნაფიც მსაჯულთა ტრიბუნალის შესახებ, რომლის ძალითაც, აღნიშნული სასამართლოს იურიდიქციას ექვემდებარება პიროვნების, პატივისა და ღირსების, ადამიანის სხვა უფლებებისა და თავისუფლებების, უშიშროების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, ასევე თანამდებობრივი დანაშაულები და განზრახ ცეცხლის წაკიდებით ჩადენილი დანაშაულები.

ტრიბუნალის შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე, რომელიც პროფესიონალი მოსამართლეა, ცხრა ნაფიცი მსაჯული და ორი სათადარიგო

მსაჯული. ნაფიცო მსაჯული შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული ესპანეთის მოქალაქე, რომელმაც იცის წერა-კითხვა და არის ფიზიკურად და ფსიქიკურად უნაკლო.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი განსაკუთრებული ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს საფრანგეთში. ეს მისი სამართლებრივი სტატუსიდან ვლინდება. კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების კომპეტენციაში შედის მძიმე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა. თითოეული სასამართლოს შემადგენლობაში ირიცხება თავმჯდომარე, სამი მოსამართლე და ცხრა ნაფიცო მსაჯული. პირველი ინსტანციის სხვა სასამართლოებისგან განსხვავებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება სააპელაციო წესით გასაჩივრებას.

საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, რუსეთში, ბულგარეთში, სლოვაკეთში, გერმანიაში, უნგრეთში, იტალიაში, ჩეხეთში, არსებობს მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კიდევ ერთი ფორმა: საქმეს განიხილავს კოლეგია, რომელიც შედგება მოსამართლეებისა (მოსამართლის) და არჩევითი არაიურისტი ნევრებისაგან. ამ უკანასკნელთ განეკუთვნებიან, მაგალითად, იტალიაში მოქმედი და ჩვენ მიერ აღნიშნული სახალხო მოსამართლეები, რუსეთში არსებული სახალხო მსაჯულები, საფრანგეთში – ასიზები და სხვ. მოსამართლე და მსაჯულები პროცესის დროს სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და ერთობლივად გამოაქვთ გადაწყვეტილება, როგორც ფაქტისა და ბრალის, ასევე სამართლის საკითხზე. კონსტიტუციები ამ არაპროფესიონალ მოსამართლეებს ნაფიც მსაჯულებად მოიხსენიებენ. მაგალითად, გერმანიაში საერთო იურისდიქციის მიწის სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა განიხილავს მძიმე დანაშაულში ბრალდების საქმეებს და ეწოდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თუმცა, 1875 წლიდან მის შემადგენლობაში შედიან სამი პროფესიონალი მოსამართლე და ექვსი მსაჯული, რომლებიც სარგებლობენ მოსამართლის თანაბარი უფლებებით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ წარმოადგენს არც საფრანგეთის ასიზების სასამართლო, რომლის კომპეტენციაში შედის საერთო სისხლის სამართლებრივი ხასიათის საქმეების განხილვა. აქ, სამი პროფესიონალი მოსამართლე და ექვსი ასიზი შეადგენენ ასევე ერთიან კოლეგიას.¹

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩვეულებრივ, ნაფიცო მსაჯულების ასარჩევი სიები ემთხვევა ამომრჩეველთა სიებს. რადგან არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი არცთუ ისე მაღალია და შესაძლებელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ წარმოადგენდეს მთელი საზოგადოების ინტერესებს, ამიტ-

¹ *1. Кодекс судоустройства Французской республики, стр.821.*

ომ მართლმსაჯულების ზოგიერთი ორგანო იყენებს მართვის მონაშობების სიებს. მაგრამ რა სახის სიებიც არ უნდა გამოიყენონ, ნაფიც მსაჯულების შერჩევა ატარებს შემთხვევით ხასიათს. შერჩეული პირი ვალდებულია, შეასრულოს მსაჯულის მოვალეობა. ამ „ტივრთისაგან“ თავისუფლდებიან ის პირები, რომელთა პროფესიული საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, მაგალითად, ექიმები, აეროპორტის ოპერატორები, მფრინავები და სხვ. ასეთივე „შელაგაით“ ვრცელდება იურისტებზე, იმ მოტივით, რომ მათმა განსწავლულობამ სამართლებრივ საკითხებში შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა გადანყვეტილებაზე.¹

როგორც აღვნიშნეთ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს აქვს არამარტო დადებითი, არამედ უარყოფითი მხარეებიც. ხშირად შენიშნავენ, რომ მსაჯულების მონაწილეობით გამართული პროცესები არაეფექტური და ძვირადღირებულია. საქმის განხილვა ამ დროს გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე პროფესიონალი მოსამართლეების მიერ საქმის გადანყვეტა. ეს განსაკუთრებით მტკიცების პროცესს შეეხება. ადვოკატებს უნევთ თავიანთი სიტყვის უფრო მეტი დეტალიზება, რათა დაარწმუნონ მსაჯულები საკუთარი პოზიციის სისწორეში. გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულებს მოსამართლეებთან შედარებით, მოსმენის დაბალი კულტურა აქვთ, ამიტომაც ხშირია შესვენებები პროცესის დროს.²

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებული კიდევ ერთი კრიტიკული შენიშვნის მიხედვით, მათ არ შესწევთ უნარი გამოიტანონ საქმეზე სათანადო გადანყვეტილება.³ არსებობს მოსაზრებაც, რომ ნაფიცი მსაჯულები შეიძლება შეცდომამში შეიყვანოს ადვოკატის მჭევრმეტყველურმა სიტყვამ, რომელიც საკუთარი მოსაზრების დასამტკიცებლად ადამიანის ემოციურ მხარეზე ზემოქმედებს. ფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულთა შორის აზრთა სხვადასხვაობისას გაცილებით მეტი ალბათობაა იმისა, რომ უფრო ზუსტი იქნება მსაჯულთა გადანყვეტილება, რადგან მისი მიღება ხდება კოლექტიურად, სხვადასხვა მოსაზრების შეჯერებით. თუმცა, ადვოკატებსა და სადაზღვევო კომპანიებს მოჰყავთ საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რომ ნაფიცი მსაჯულები დაუსაბუთებლად აკმაყოფილებენ პირადი ზიანის მიყენებიდან გამომდინარე სარჩელებს სამოქალაქო საქმეებზე. სწორედ ამ მოტივით უარყვეს ინგლისში სამოქალაქო საქმეთა განხილვა ნაფიც მსაჯულთა მიერ.

1. უგერნემი, მითითებული ნაშრომი, გვ.9.

2. იქვე, გვ.16.

3. Jerom Frank, *Courts on Trial*, Princeton University Press, 1949, p.30.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სასარგებლოდ ხშირად მიუთითებენ, რომ ისინი იყენებენ „სამოყვარულო“ მეთოდებს, რომლებიც ხშირად უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტურია ჭეშმარიტების დასადგენად, ვიდრე მკაცრი ლოგიკა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ნაფიცი მსაჯულები ახდენენ კანონის იგნორირებას და მოქმედებენ რა სამართლიანობის სულისკვეთებით, ამართლებენ დანაშაულში ბრალდებულ პირს.

ნაფიცი მსაჯულების არსებობა ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებებისა და თვითმმართველობის პრინციპის რეალიზაციას, მმართველობის პროცესში ჩვეულებრივი მოქალაქეების ჩაბმის გზით. თუ რიგითი მოქალაქეები ფართოდ მიიღებენ მონაწილეობას სასამართლო სისტემის ფუნქციონირებაში, შედარებით ეფექტური და მაღალი იქნება სასამართლო გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი აღსრულების ხარისხი.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ხელს უწყობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვას. როდესაც მოსამართლეს უხდება არაპოპულარული გადაწყვეტილებების გამოტანა, იგი ექცევა საზოგადოების ან თანამდებობის პირების მხრიდან კრიტიკის ქარცეცხლში. ნაფიცი მსაჯულები კი საქმის დამთავრების შემდეგ ინარჩუნებენ ანონიმურობას და ნაკლებად ემუქრებათ აღნიშნული საფრთხე. ისინი არანაირად არ არიან დაკავშირებულნი სახელმწიფოსთან და არა აქვთ პოლიტიკური ამბიციები, რაც ხაზს უსვამს მათ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ხასიათს.

§ 6. სხვა სახის სასამართლოები

საზღვარგარეთის ქვეყნებში ფუნქციონირებს არა მხოლოდ სახელმწიფო სასამართლოთა სისტემა, არამედ ისეთი ორგანოებიც, რომლებიც სასამართლო ფუნქციას ახორციელებენ საზოგადოებრივ სანყისებზე. სასამართლო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოები თუ პირები, როგორცაა მომრიგებელი მოსამართლეები (სასამართლოები) ყირგიზეთსა და რუსეთის ფედერაციაში, მედიატორები – საფრანგეთში, კონსილიატორები – იტალიაში, სახალხო სასამართლოები (მოსამართლეები) – ინდოეთში, სხვადასხვა ვარიაციით გვხვდება თითქმის ყველა ქვეყანაში. საზოგადოებრივი სასამართლოებისა და მომრიგებელი სასამართლოების მოსამართლეებს – არბიტრებს – როგორც წესი, ირჩევს მოსახლეობა, ან შესაბამისი შრომითი კოლექტივი თუ სხვა კავშირი, იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც სარგებლობენ ავტორიტეტითა და ნდობით საზოგადოებაში, ან მათ ნიშნავენ ადგილობრივი თვითმ-

მართელობის ორგანოები – მუნიციპალიტეტები – გადამდგარ სახელმწიფო მოხელეთაგან, რომლებიც გარკვეულნი არიან სამართლის საფუძვლებში. ეს ორგანოები იხილავენ მცირე მნიშვნელობის სისხლის სამართლის საქმეებს და სამოქალაქო დავებს, საოჯახო, საგზაო-სატრანსპორტო, ალიმენტისა და სხვა საკითხებს. მაგალითად, ინდოეთის სახალხო სასამართლოები წყვეტენ სატრანსპორტო დარღვევათა საქმეებს.

აღნიშნული ორგანოები არ შედიან სახელმწიფოს სასამართლო სისტემაში და მათი გადაწყვეტილება აღსრულდება იმდენად, რამდენადაც საქმეში მონაწილე მხარეები მზად იქნებიან, დაემორჩილონ ამ სასამართლოს გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ აქვთ სახელმწიფო სასამართლოში მიმართვის უფლება.

ინგლისის სასამართლო სისტემა იცნობს არაპროფესიონალი ანუ არაიურისტების მიერ მცირემნიშვნელოვან საქმეთა განხილვას, თუმცა მათზე ნაკლებად შეიძლება ითქვას, რომ ისინი კვაზისასამართლო ორგანოს წარმოადგენენ. აქ საუბარია, ე.წ. მაგისტრატების ანუ მომრიგებელ მოსამართლეებზე, რომლებიც განიხილავენ სატრანსპორტო დარღვევების უმრავლესობას, წერილმანი დანაშაულებისა და გადაცდომების 95 პროცენტს, რითაც ხელს უწყობენ სასამართლო სისტემის განტიერთვას მრავალრიცხოვანი საქმეებისაგან.¹

ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი სასამართლოების ნაირსახეობას წარმოადგენენ ჩვენ მიერ უკვე განხილული, დაწესებულებებთან არსებული ადმინისტრაციული სასამართლოები, ხოლო დიდ ბრიტანეთში – ადმინისტრაციული ტრიბუნალები, რომლებიც მმართველობის დარგობრივი ორგანოების სტრუქტურაში ფუნქციონირებენ. ისინი განეკუთვნებიან ადმინისტრაციულ სასამართლოებს, მაგრამ არ შეადგენენ ადმინისტრაციული იუსტიციის ერთიან სისტემას, როგორც საფრანგეთსა და იტალიაში, და წყვეტენ შრომით, საგადასახადო დავებს, დავებს ჯანდაცვის სფეროში და სხვ. ტრიბუნალის წევრები არიან არა სახელმწიფო მოსამართლენი, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეები, ძირითადად, იურისტები. ხშირად ამ კატეგორიის პირთაგან ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ირჩევენ ადმინისტრაციულ მოსამართლეებს, თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მოცემული დაწესებულებების მუშაკია. ამ მოსამართლეების გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სახელმწიფო სასამართლოში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს მოსამართლეები შეიძლება შეცვალოს დაწესებულების ხელმძღვანელმა. თუმცა, მისი ფორმირების წესშიც ნათლად ჩანს მსგავსი ორგანოების კვაზისასამართლო ბუნება.

1. მარში და სოულსბი, მითითებული ნაშრომი, გვ. 27.

არასახელმწიფო სასამართლო ორგანოების რიცხვს განეკუთვნება რელიგიური სასამართლოები. ცნობილია საეკლესიო სასამართლოების ორი სახე: სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ შინაკონფესიურ დავებს კანონიკურ სამართალზე დაყრდნობით. ამგვარი სასამართლოები მოქმედებენ თითქმის ყველა ქვეყანაში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, რუსეთში და სხვ. არსებობენ ასევე საეკლესიო სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ საკითხთა ფართო წრეს, ისევე და ისევე კანონიკურ სამართალზე დაყრდნობით. მათი იურისდიქცია, ძირითადად, საოჯახო და სამემკვიდრეო დავებზე ვრცელდება. ამასთან, ისინი განიხილავენ არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო პირთა საქმეებსაც. ასეთი სასამართლოები მოქმედებენ ისრაელსა და პოლონეთში. საეკლესიო სასამართლოები უფლებამოსილნი არიან, მრევლის ნებისმიერ ნევრს შეუფარდონ საეკლესიო სასჯელი, მაგალითად, ეკლესიისგან მოკვეთა.

ინგლისში XIX საუკუნის ბოლომდე სწორედ საეკლესიო სასამართლოებს ექვემდებარებოდა განქორწინებისა და მემკვიდრეობის საქმეები. დღეს ისინი განიხილავენ დოქტრინალურ დავებს, სასულიერო პირების სადისციპლინო სასჯელის საკითხებს, ასევე ნებისმიერ დავას, რომელიც ეხება ეკლესიებსა და ნაკურთხ ანუ საეკლესიო მიწებს. თითოეულ საეპისკოპოსოში მოქმედებს საეკლესიო სასამართლო, რომელსაც თავმჯდომარეობს ეპისკოპოსის მიერ დანიშნული ბარისტერი. ამ ორგანოს გადაწყვეტილებებზე აპელაციებს განიხილავენ არქიეპისკოპოსის სასამართლოები, რომლებიც მდებარეობენ კენტერბერისა და იორკში. მათი გადაწყვეტილებების გადასინჯვა კი შესაძლებელია საიდუმლო საბჭოს იურიდიულ კომიტეტში.

რაც შეეხება რელიგიური სასამართლოების კიდევ ერთ ნაირსახეობას – მუსულმანურ ანუ შარიათის სასამართლოებს – ისინი არსებობენ იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო თუ გაბატონებულ რელიგიას ისლამი წარმოადგენს. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად, ალჟირი, ეგვიპტე, ლიბია, იორდანია, ერაყი, სირია და სხვ. ეს სასამართლოები წყვეტენ, პირველ ყოვლისა, ე.წ. პირადი სტატუსის საქმეებს, რომელშიც მხარეებად გამოდიან მაჰმადიანები ან სხვა რელიგიის აღმსრულებელი პირები, რომლებიც მოისურვებენ საქმის განხილვას მუსულმანურ სამართალზე დაყრდნობით. მონარქიულ სახელმწიფოებში, მაგალითად, არაბეთის ნახევარკუნძულისა და სპარსეთის ყურის მონარქიებში, ეს სასამართლოები ფლობენ უნივერსალურ იურისდიქციას, ბაჰრეინში მოქმედებს არა ერთი, არამედ რელიგიური სასამართლოების ორი დამოუკიდებელი ქვესისტემა, რადგან აქ დომინირებულ მდგომარეობას თანაბრად იყოფს მაჰმადიანური რელიგიის ორივე მიმდინარეობა – შიიზმი და სუნიზმი.

ცალკე უნდა გამოვყოთ სასამართლოები, რომლებიც მოქმედებენ ჩვეულებითი სამართლის (ადათის) საფუძველზე. არც ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო სასამართლო სისტემის ნაწილს და მხოლოდ ავსებენ მას იმ დავების განხილვასთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიქმნება ერთსა და იმავე გვაროვან-ტომობრივი ჯგუფის წევრებს შორის. ამ კატეგორიას განეკუთვნება სხვადასხვა ტომის სასამართლო, სადაც სადავო საკითხებს ბელადები და უზუცხეები წყვეტენ. ისინი იხილავენ კონფლიქტებს მეზობლებს შორის მიწების, ტყეების, საძოვრების გამოყენების შესახებ, ასევე, საოჯახო სამართლის ზოგიერთ საკითხს ტომის ჩვეულებების შესაბამისად. პრაქტიკულად, აქ საუბარია დავების გადაწყვეტის წინარესახელმწიფოებრივ ფორმაზე აზიისა და აფრიკის, ასევე, ოკეანის იმ ხალხებში, სადაც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები სუსტად არის განვითარებული. თუმცა, 1993 წლიდან მსგავსი ინსტიტუტები ამოქმედდა, უფრო სწორად, აღდგა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ზოგიერთ წევრ-სახელმწიფოშიც, კერძოდ, ყაზახეთსა და ყირგიზეთში, მათი ეს ნაბიჯი ტრადიციების აღორძინებისკენ სწრაფვად უნდა მივიჩნიოთ.

სახელმწიფო, გარკვეულწილად, ეგუება დავების გადაჭრის არქაული ფორმების არსებობას, სახელმწიფო სასამართლოების მრავალრიცხოვანი, მცირე მნიშვნელობის საქმეებისგან განტვირთვის მიზნით. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ხელისუფლების ამ პრიმიტიულ ფორმას არა აქვს ძალა, თუ გადაწყვეტილება სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება. მსგავსი სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საერთო იურისდიქციის სასამართლოში.

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებით, აკრძალულია საგანგებო, ანუ ისეთი სასამართლოების შექმნა, რომელთა ფორმირება ხდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესისგან გვერდის ავლით, რომლებიც არ ემორჩილებიან დადგენილ სასამართლო პროცედურის წესებს, უფარდებენ ისეთ სასჯელს, რომელიც არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით. მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუციის 117-ე მუხლის მე-6 პუნქტით, „იკრძალება საგანგებო ტრიბუნალების მოქმედება.“ გერმანიის კონსტიტუციის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ასევე დაუშვებელია საგანგებო სასამართლოების შექმნა. იტალიის კონსტიტუციის 102-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, არ შეიძლება შემოღებულ იქნეს საგანგებო ან სპეციალური მოსამართლეების თანამდებობები. ასეთი სასამართლოების შექმნა, ძირითადად, ტოტალიტარულ, ავტორიტარულ და სამხედრო რეჟიმებს ახასიათებს.

3-2. სასამართლო ინსტანციები

სასამართლო სისტემებს, როგორც წესი, აქვთ მკაცრი იერარქიული ანუ „ვერტიკალური“ ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის ბუნებას განსაზღვრავს ერთი მხრივ, სასამართლო პროცესის მოთხოვნები, კერძოდ, ქვემდგომი სასამართლოების გადანაცვლებების გასაჩივრების აუცილებლობა, მეორე მხრივ – კონკრეტული ქვეყნის სახელმწიფო ნებობების ფორმა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასამართლო რგოლებისა და ინსტანციების რიცხვი 2-დან 4-მდე მერყეობს. ორრგოლიანი სასამართლო სისტემები იშვიათად გვხვდება და, ძირითადად, მარტივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სახელმწიფოებშია გავრცელებული. ამ ქვეყნებში საქმეთა ძირითად მასას პირველი ინსტანციის ანუ ქვემდგომი სასამართლო განიხილავს, ხოლო უმაღლესი სასამართლო წარმოადგენს მეორე ინსტანციას, რომელიც წყვეტს საკასაციო ან სააპელაციო საჩივრებს თუ პროტესტებს და ამავდროულად, პირველი ინსტანციით განიხილავს გარკვეული კატეგორიის საქმეებს. ასეთი სისტემები არსებობდა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის ლიტვაში, ლატვიაში, მოლდავეთსა და ესტონეთში. დღეს არსებული სახელმწიფოებიდან, მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ნაურუ და ტუვალუ, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 10 ათასზე ნაკლებია.

საზღვარგარეთის ქვეყნებში პირველი ინსტანციით საქმეებს განიხილვენ მომრიგებელი მოსამართლეები, სააპელაციო სასამართლოები, რაიონული სასამართლოები, საოლქო სასამართლოები და სხვ. ამასთან, პირველი ინსტანციის წესით საქმეთა განხილვა, როგორც წესი, ხდება ორ დონეზე. მაგალითად, ინგლისში მოსამართლეთა თანამემწეები იხილვენ პირველი ინსტანციით მცირე მნიშვნელობის (ღირებულების) სამოქალაქო საქმეებს, მცირე მნიშვნელობის სისხლის სამართლის საქმეებს (წერილმან დანაშაულებს) კი წყვეტენ მაგისტრატები – არაპროფესიონალი მოსამართლეები. წერილმანად ის დანაშაულები მიიჩნევა, რომელთა ჩადენისთვის პირს შეიძლება შეეფარდოს ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე ვადით. უფრო დიდი მნიშვნელობის სამოქალაქო საქმეებს კი ასევე პირველი ინსტანციით განსჯიან საგრაფოს სასამართლოები, ხოლო 1971 წლიდან, სისხლის სამართლის საქმეებს – გვირგვინის სასამართლოები სხვადასხვა ფორმით: საქმე შეიძლება განიხილოს საოლქო მოსამართლემ ან დედაქალაქში მყოფმა მაღალი სასამართლოს მოსამართლემ, რომელიც ანკობს გამსვლელ სესიებს, ან ადვოკატმა, რომელსაც აქვს სპეციალური განათლება და უფლებამოსილებანი (ბარისტერი და სოლისტერი). ასე რომ, სახეზეა შრომის დანაწილება პირველი ინსტანცი-

ის სხვადასხვა სასამართლო ორგანოს შორის, საქმეთა განაწილების კრიტერიუმი კი მათი შინაარსია. თუ ინგლისის საგრაფოში თანაშემწეები განიხილავენ 1000 გირვანქა სტერლინგის ღირებულების სარჩელებს, საგრაფოს მოსამართლეების ქვემდებარე, განსჯადი სარჩელების ღირებულება 10000 გირვანქა სტერლინგს და მეტს შეადგენს. ანალოგიური სიტუაციაა საფრანგეთში. აქ პირველი ინსტანციის სასამართლოები იყოფა ორ ჯგუფად: სამოქალაქო საქმეთა განხილვა ხდება დიდი პროცესის ტრიბუნალებისა და მცირე პროცესის ტრიბუნალების მიერ, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებს იხილავენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, გამასწორებელი ტრიბუნალები და საპოლიციო ტრიბუნალები. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, ტერმინი „ტრიბუნალი“ გულისხმობს არა მათ საგანგებო ხასიათს, არამედ სხვა სასამართლოებთან მიმართებაში მათი კომპეტენციის მოცულობას.

დიდი პროცესის ტრიბუნალები არსებობენ თითოეულ დეპარტამენტში. მათ შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე და მოსამართლეები. საქმეთა განხილვა ნარმოებს სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიების მიერ. გარკვეული კატეგორიის საქმეებზე დაშვებულია მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად განხილვა, რაზეც მხარეთა თანხმობაა საჭირო. დიდი პროცესის ტრიბუნალის კომპეტენციაში შედის ქონებრივ დავებთან დაკავშირებული სამოქალაქო საქმეების განხილვა, რომელთა სასარჩელო თანხა აღემატება 30 ათას ფრანკს, აგრეთვე, დავები მოქალაქეობის, შვილად აყვანის, ქორწინებისა და განქორწინების საკითხებზე. თუ რომელიმე დეპარტამენტში არ არის სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალი, მის ფუნქციებს დიდი პროცესის ტრიბუნალი ასრულებს. ტრიბუნალები მოქმედებენ დეპარტამენტების მთავარ ქალაქებში, აგრეთვე მსხვილ კანტონებში და ისინი თითო მოსამართლისგან შედგებიან.

გამასწორებელი ტრიბუნალები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ. მათი ფუნქცია შეიძლება იკისროს დიდი პროცესის ტრიბუნალმა, რომლის შემადგენლობაშიც შედის სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. საპოლიციო ტრიბუნალებიც პირველი ინსტანციის სასამართლოთა ნაირსახეობას წარმოადგენენ, მაგრამ ისინი იხილავენ ნაკლებად მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულთა საქმეებს, რომელთა ჩადენისთვის ჯარიმა არ აღემატება 10 ათას ფრანკს.

გაცილებით უფრო რთული და საინტერესოა იტალიის სასამართლო სისტემა, რომლის პირობებში სასამართლოების განსჯადი საქმეები სამ დონეზეა დანაწილებული. კერძოდ, იტალიის სასამართლო სისტემის ძირეული რგოლია კონსილიატორები, ანუ მომრიგებელი სასამართლო-

ბი, რომლებიც მოქმედებენ ყველა კომუნაში. მათი ძირითადი დანიშნულებაა სამოქალაქო დავებისას დაპირისპირებულ მხარეთა მორიგება. მომრიგებელი სასამართლოების კომპეტენცია მეტად შეზღუდულია. ისინი განიხილავენ მოძრავი და უძრავი ქონების შესახებ დავებს, რომელთა სასარჩელო ღირებულება არ აღემატება კანონით დადგენილი თანხის ოდენობას. მათ, აგრეთვე, ევალებათ წვრილმანი დანაშაულების საქმეთა განხილვა. მომრიგებელი მოსამართლეების უფლებამოსილების ვადა სამი წელია. მომრიგებელ მოსამართლეს ჰყავს ერთი ან, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე მოადგილე. მოსამართლისა და მისი მოადგილეების თანამდებობა საპატიოა და მატერიალურ ანაზღაურებას არ ექვემდებარება. მომრიგებელ მოსამართლედ ან მის მოადგილედ შეიძლება დაინიშნოს იტალიის მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც მუდმივად ცხოვრობს შესაბამისი კომუნის ტერიტორიაზე. მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად აუცილებელი არ არის იურიდიული განათლება, საკმარისია კანდიდატს ჰქონდეს მაღალი ავტორიტეტი კომუნის მოსახლეობაში. მომრიგებელ მოსამართლესა და მის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო.

პრეტორებიც პირველი ინსტანციით იხილავენ სამოქალაქო საქმეებს, რომელთა სასარჩელო ღირებულება არ აღემატება 750 ათას ლირას, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებზეც განაჩენის სახით შეიძლება გამოტანილ იქნეს გადაწყვეტილება თავისუფლების აღკვეთის შესახებ ვადით სამ წლამდე. ამასთან, პრეტორთა სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს აპელაცია მომრიგებელი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. პრეტორთა სასამართლოს ხელმძღვანელობს ტიტულოვანი პრეტორი. პრეტორთა სასამართლოში მაგისტრების გარდა, შედიან საპატიო ვიცე-პრეტორები. ამ სასამართლოში სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა განსახილველად იქმნება შესაბამისი განყოფილებები. ცალკე განყოფილება შეიძლება შეიქმნას შრომითი დავის განსახილველადაც. ამჟამად იტალიაში ათასამდე პრეტორთა სასამართლო მოქმედებს.

იტალიის სასამართლო სისტემის ზემდგომი სტრუქტურაა – ტრიბუნალები. მათი ქვემდებარეა არა მარტო პრეტორთა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე აპელაციის განხილვა, არამედ სასამართლო სისტემის ეს რგოლი უფლებამოსილია, პირველი ინსტანციით განიხილოს სისხლისა და სამოქალაქო საქმეების ფართო წრე. თითოეულ ტრიბუნალში ერთ-ერთი მოსამართლე ასრულებს მოსამართლე-გამომძიებლის ფუნქციას. თითოეული ტრიბუნალი შედგება სამი მოსამართლისგან. ტრიბუნალების სისტემაში შედიან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებიც, რომლებიც იხილავენ მძიმე დანაშაულთა საქმეებს.

ესპანეთში პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვას სხვადასხვა დონეზე ახორციელებენ პირველი ინსტანციის სასამართლოები, მუნიციპალური სასამართლოები და მომრიგებელი მოსამართლე. გარდა ამისა, თითოეულ პროვინციაში მოქმედებს ადმინისტრაციული სასამართლო, თავისუფლების აღკვეთის ადგილების სასამართლო და არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სასამართლო სისტემის გამარტივებისკენ 1989 წლის 15 დეკემბრის სამეფო დეკრეტის მიღებით, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეებს, რომელზეც სასჯელი სავარაუდოდ არ აღემატება 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნულად.

შედარებით მარტივია პირველი ინსტანციის სასამართლოთა სისტემა შვედეთში, სადაც მოქმედებს ასამდე საოლქო (სასესიო) სასამართლო, რომელთაც ლაგმანი ხელმძღვანელობს. სასამართლოების შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა რაოდენობით მოსამართლეები, რომლებსაც როდმანები ეწოდებათ. ქვეყანაში ყველაზე დიდ – სტოკჰოლმის სასამართლოში მათი რაოდენობა 1000-ს აღემატება. თუ სასესიო სასამართლო იყოფა განყოფილებებად, მათ ხელმძღვანელობს შეფ-როდმანი. სასესიო სასამართლოები პირველი ინსტანციით განიხილავენ სისხლისა და სამოქალაქო საქმეების აბსოლუტურ უმრავლესობას. სისხლისა და საქორწინო-საოჯახო სამართლის საქმეებს განიხილავს 1 მოსამართლე და 5 მსაჯული, სამოქალაქო საქმეებს კი – 3 მოსამართლე. მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს მცირე მნიშვნელობის დანაშაულებს, რომელიც ისჯება მხოლოდ ჯარიმით და მართავს სამოქალაქო საქმეების მოსამზადებელ განხილვას, რაც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად ხდება.

სასესიო სასამართლოების კომპეტენციაში სხვა ფუნქციებთან ერთად შედის მიწის ნაკვეთების ნასყიდობისა და დაგირავების შესახებ გარიგებათა და ანდერძის რეგისტრაცია. აგრეთვე ზედამხედველობა არასრულწლოვანთა მეურვეობისა და მათი ქონების მართვაზე.

მთლიანად სასამართლო სისტემის ვერტიკალური სტრუქტურა და, კერძოდ, ამ სტრუქტურის პირველი რგოლი, განსაკუთრებული სირთულეთა და მრავალფეროვნებით ხასიათდება ფედერაციულ სახელმწიფოებში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში პარალელურად მოქმედებენ ფედერალური და შტატების პირველი ინსტანციის სასამართლოები. პირველი ინსტანციის ფედერალურ სასამართლოებს განეკუთვნებიან საოლქო სასამართლოები, რომელთა რაოდენობა 94-ს შეადგენს, მათ შორის ერთი კოლუმბიის ოლქში და ერთიც – პუერტორიკოში. თითოეულ სასამართლოს ერთიდან 27-მდე მოსამართლე ჰყავს. საქმეების დატვირთვის კვალობაზე, ერთი ოლქის მოსამართლეს შეუძლია

დროებით მეორე ოლქში იმუშაოს. მოსამართლეები იმ ოლქში მცხოვრებნი უნდა იყვნენ, სადაც მუდმივად მსახურობენ.

სასამართლოების უფრო დაბალ დონეს რაიონული სასამართლოები წარმოადგენენ. ისინი საქმეებს განიხილავენ წერიტი წარმოების საფუძველზე, მაგრამ აშშ-ში გვხვდებიან მოსამართლეები, რომლებიც საქმეებს იხილავენ ზეპირი ფორმით. სხვადასხვა შტატში დადგენილია ამგვარ მოსამართლეთა სხვადასხვა რაოდენობა. რაიონული სასამართლოები პირველი ინსტანციით იხილავენ ნებისმიერ სამოქალაქო საქმეს, რომელიც არ მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობას; სადაც დავის საგნის ღირებულება აღემატება 10 ათას დოლარს; დავებს სხვადასხვა შტატის მოქალაქეებს შორის და სხვ.

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო სისტემაში ყველა შტატი თავისთავად უნიკალურია. მაგალითად, ვირჯინიის შტატში ვხვდებით პოლიციის სასამართლოებს, საოლქო და უზენაეს სასამართლოს. ყველა მოსამართლე აირჩევა ხალხის მიერ პარტიული სიის საფუძველზე. მაშინ, როცა სხვა შტატებში ისინი აირჩევიან ლეგისლატურების მიერ, ინიშნებიან გუბერნატორების მიერ ერთპიროვნულად, ან სენატის, ან სპეციალური კომისიის მიერ, მუნიციპალური ხელისუფლების, მერიის, ზემდგომი სასამართლოების თავმჯდომარეთა მიერ. საერთო კი ყველა მათგანს ისა აქვს, რომ სასამართლო სისტემის სათავეში დგას უზენაესი სასამართლო.

კანადის ზოგიერთ პროვინციაში საოლქო, ხოლო კვებეკში კი პროვინციულ სასამართლოდ წოდებული სასამართლოები პირველი ინსტანციით განიხილავენ სამოქალაქო საქმეებს, როდესაც სარჩელი, როგორც წესი, დაკავშირებულია 300-დან 3000-მდე კანადურ დოლართან, ასევე, სისხლის სამართლის საქმეებს საშუალო სიმძიმის დანაშაულებზე (ქურდობა, ავტოსატრანსპორტო დანაშაული). სარჩელზე 300 დოლარამდე თანხით, სამოქალაქო საქმეები განიხილება მცირე სასარჩელო სასამართლოში. სისხლის სამართლის საქმეები ყველაზე ნაკლებად საშიშ დანაშაულზე, რომელიც იდევნება საერთო წესით და ასევე ზოგიერთი დანაშაული, რომელიც იდევნება ფედერალური კანონმდებლობით, განიხილება მაგისტრატის მოსამართლეების მიერ. კანონმდებლობა ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ითვალისწინებს. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს თორმეტს და გადაწყვეტილების გამოტანისას საჭიროა მათი სრული თანხმობა.

რუსეთის ფედერაციაში მოქმედებს ფედერალური სასამართლოები, ფედერაციის სუბიექტების საკონსტიტუციო (სანესდებო) სასამართლოები, საერთო იურისდიქციის მომრიგებელი მოსამართლეები. ისინი ერ-

თობლიობაში რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემას შეადგენენ. ფედერალური სასამართლოების სისტემა – უზენაესი სასამართლო, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების უმაღლესი სასამართლოები, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების სასამართლოები, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგების სასამართლოები, რაიონული სასამართლოები, სამხედრო და სპეციალიზებული სასამართლოები ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას შეადგენენ, ასევე, საარბიტრაჟო სასამართლოები. როგორც ვხედავთ, რუსეთში არსებული ასიმეტრიული ფედერალიზმი, ერთი მხრივ, და სასამართლო ხელისუფლების პოლისისტემური ხასიათი, მეორე მხრივ, განაპირობებს ამ სახელმწიფოში პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვას მრავალი სასამართლო ორგანოს მიერ.

ეს მომენტი განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც მართლმსაჯულების პოლისისტემურობის პირობებში საფინანსო იუსტიცია ორდონიანი სისტემაა; ადმინისტრაციული, შრომის საქმეთა და სოციალურ საქმეთა იუსტიციის ქვესისტემა სასამართლოების ოთხ იერარქიულ დონეს მოიცავს. ცალკე უნდა ითქვას თავისთავად მნიშვნელოვანი და სტრუქტურულად ყველაზე უფრო რთული – საერთო სასამართლოების სისტემის შიგნით „შრომის დანაწილების“ თაობაზე. საქმე ის არის, რომ საერთო სასამართლოების სისტემაში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების დიდ ნაწილს განიხილავენ უბნის სასამართლოები, რომელშიც სამართალწარმოებას ერთი მოსამართლე ასრულებს. მინის სასამართლო განიხილავს უფრო რთულ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს და უბნის სასამართლოების მიმართ სააპელაციო ინსტანციას წარმოადგენს. ერთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეები მოსამართლეთა კოლეგიის მიერ განიხილება, მეორე შემთხვევაში – რამდენიმე ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობით.

სასამართლოები შეცდომებისგან არ არიან დაზღვეულნი, არ არის გამორიცხული ცალკეული მოსამართლეების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მათ მიერ კანონის დარღვევა. მსგავსი სიტუაცია შეიძლება უკავშირდებოდეს, როგორც დარღვევებს მატერიალური სამართლის გამოყენების სფეროში, ასევე საპროცესო დარღვევებს, რომლებიც თანაბრად ხელყოფენ ფიზიკური თუ იურიდიული პირების უფლებებს. სწორედ ამ უფლებების მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად მოქმედებს გასაჩივრების ინსტიტუტი და სასამართლო სისტემის ვერტიკალური სტრუქტურა, რამდენიმერგოლიანი ზემდგომი სასამართლო ინსტანციები.

გასაჩივრება შეიძლება მოიცავდეს სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვას იმ სასამართლოში, რომელმაც საქმე განიხილა პირველი ინსტანციით, ან მის განხილვას და გადასინჯვას ზემდგომ სასამართლოში.

გასაჩივრების ინსტანციური ნესი მნიშვნელოვან გარანტიას იძლევა, რათა საქმის განხილვის თავდაპირველ ეტაპზე დაშვებული სასამართლო შეცდომა, რასაც სხვადასხვა გარემოება განაპირობებს, გამოსწორებულ იქნეს. პირველ ყოვლისა, ზემდგომ სასამართლოში, როგორც ნესი, საქმეს მოსამართლეთა კოლეგია განიხილავს, რომელთა ერთობლივი გადაწყვეტილება უფრო საიმედოა, ვიდრე ქვემდგომ სასამართლოში ერთი მოსამართლისა თუ მოსამართლეთა შედარებით მცირერიცხოვანი კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მეორე მხრივ, სასამართლოების დაკომპლექტების სისტემა და ორგანიზაცია უზრუნველყოფს მაღალი ინსტანციების შევსებას შედარებით მაღალი კვალიფიკაციის მქონე და გამოცდილი სპეციალისტებით. მესამე ფაქტორი, რასაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, მდგომარეობს ზემდგომ სასამართლოში მომუშავე მოსამართლეების ერთგვარ სპეციალიზაციაში იმ ურთულესი საქმეების გადაწყვეტაში, რომლებიც პირველ ინსტანციაში ვერ ჰპოვებენ სრულყოფილ დარეგულირებას. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის ცენტრალიზებული პრაქტიკა ქმნის პირობებს საკანონმდებლო ხარვეზების გამოსავლენად და მათი აღმოფხვრის გარკვეულ კატალიზატორს წარმოადგენს.

ზოგიერთ სისტემაში სასამართლო გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანება მათ მიმღებ სასამართლოში, ხოლო შემდეგ გადაიგზავნება ზედა ინსტანციაში. სხვა სისტემებში საქმე შეიძლება განხილულ იქნეს პირდაპირ მეორე ინსტანციაში საჩივრის შეტანის შემდეგ. გადასინჯვის რგოლების ცვალებადობა დამოკიდებულია, აგრეთვე არსებული დავის შინაარსობრივ მხარეზე. საჩივრები, რომლებიც მოიცავს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, საკონსტიტუციო პრობლემები, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან დაკავშირებული საქმეები, ზოგჯერ შუალედური რგოლის გვერდის ავლით, შეიძლება პირდაპირ უმაღლესმა სასამართლო ინსტანციამ განიხილოს.

ზოგიერთ ქვეყანაში კონსტიტუცია საგანგებო გარანტიებს ადგენს განსაზღვრული ტიპის საჩივრებზე. მაგალითად, იტალიაში საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში კონსტიტუციურადაა დაცული. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების კონსტიტუციური გარანტიების არარსებობის შემთხვევაში, ეს საკითხი ჩვეულებრივი საპროცესო კანონმდებლობითაა დარეგულირებული და გასაჩივრების ნესსა და ფორმებს, ასევე სასამართლო ინსტანციათა სახეებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები ადგენს. თუმცა, ფართოდ არის გავრცელებული სასამართლო სისტემისა და მისი სტრუქტურის მოსაწესრიგებლად სპეციალური საკანონმდებლო აქტების მიღება. იმ ქვეყნებში, სადაც არც კონ-

სტიტუციით და არც სხვა საკანონმდებლო აქტით არ არის დაცული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ეს საკითხი შეიძლება სასამართლო პრეცედენტის ფორმას იძენდეს და მართლმსაჯულების ორგანოები მოვალენი იყვნენ განიხილონ საჩივრები.

საჩივარი ჩვეულებრივ შეაქვს მხარეს, რომელიც არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ან მმართველობის ოფიციალურ პირს. თუმცა, არცთუ იშვიათად, სასამართლო გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო მხარე არ იყენებს საჩივრის უფლებას და გადაწყვეტილების ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში განხილვის შესაძლებლობას, ვინაიდან სხვადასხვა ობიექტური გარემოება, მაგალითად, მტკიცებულებების სიმცირე, საქმის მოგების ნაკლებ იმედს აძლევს. უარი საჩივარზე შესაძლებელია აშკარა იყოს და გამოიხატებოდეს გადაწყვეტილებასთან შეგუებაში ან გასაჩივრებისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლაში.

უარი შეიძლება ითქვას არა მხოლოდ მეორე, არამედ ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრებაზეც, მათ შორის სასამართლო სისტემის უმაღლეს რგოლში. მაგალითად, იტალიისა და საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობა ადგენს სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უარის თქმის უფლებას, როდესაც დავა უკვე ნარმოქმნილია და მიმდინარეობს იმ მხარეებს შორის, რომელთაც შეუძლიათ მიმართონ არბიტრაჟს ან, დავა ისეთია, რომელზეც შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა. გერმანიაში კი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე შესაძლებელია ცალმხრივად უარის თქმა მხოლოდ ამ გადაწყვეტილების შესრულების შემდეგ, მაგრამ უარის თქმა, მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია მანამდეც.

ისტორიულად, საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩამოყალიბდა მეორე ინსტანციაში სასამართლო პროცესის ნარმართვის ორი ძირითადი ფორმა, რომელიც შეიძლება დაიწყოს მცირე დროში, 10-დან 30-დღემდე, ვიდრე ძალაში შევიდოდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო და საკასაციო ნარმოების ინიციატორად გვევლინებიან მხოლოდ მხარეები სამოქალაქო პროცესში, ბრალდებული და დაზარალებული – სისხლის სამართლის პროცესში, ასევე პროკურორი. სააპელაციო ფორმა, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში, გულისხმობს ზემდგომი მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვას პირველი ინსტანციის წესით, სააპელაციო საჩივრის ან პროტესტის არსებობას, პრაქტიკულად, ექსპერტების მონვევით, მტკიცებულებათა გამოკვლევით, ახალი ექსპერტიზებისა და სასამართლო ექსპერიმენტების ჩატარებით და სხვ. სააპელაციო სასამართლოე-

ბი ფლობენ, ასევე, სხვადასხვა საკონტროლო და ორგანიზაციულ უფლებამოსილებას.

საკასაციო წარმოება გულისხმობს, საჩივართან ან პროტესტთან დაკავშირებით, საქმის გადასინჯვას არსებული მასალების მიხედვით ანუ საკასაციო სასამართლო ამონებებს პირველ ინსტანციაში გამოტანილ გადაწყვეტილებას სამართალთან შესაბამისობის თვალსაზრისით. იტალიაში, გერმანიაში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში საკასაციო წარმოებას, ძირითადად, ქვეყნის უმაღლესი სასამართლოები განახორციელებენ. ასეა საფრანგეთშიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას, ოფიციალურად, საკასაციო სასამართლოს უწოდებენ. საკასაციო წესით საქმეს განსჯიან მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეები, სახალხო და ნაფიც მსაჯულთა გარეშე. ზოგჯერ კი აქ მოწმდება, იყო თუ არა დაცული კანონი, საქმის სასამართლოში განხილვამდე, წინასწარი გამოძიების დროს.

თუ უმაღლესი ინსტანციის სახით საკასაციო სასამართლოს არსებობა დამახასიათებელია ძირითადად კონტინენტური სამართლის ქვეყნების – საფრანგეთის, გერმანიისა თუ იტალიისთვის, მათგან განსხვავებით, საერთო სამართლის პირობებში, კერძოდ, ინგლისში უმაღლესი სასამართლო ინსტანცია არის ლორდთა პალატის სააპელაციო კომიტეტი, რომელიც შედგება ფორმალურად მონარქის, ფაქტობრივად კი, მთავრობის მიერ დანიშნული ლორდებისაგან. ეს მოსამართლეები ქმნიან ასევე საიდუმლო საბჭოს იურიდიულ კომიტეტს, რომელიც წყვეტს ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრთაგან მომდინარე საჩივრებს, თუ ეს სახელმწიფოები, მაგალითად, ავსტრალია და კანადა, აღიარებენ საბჭოს ამ უფლებამოსილებას. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი ფედერალური სასამართლოც საქმეებს სააპელაციო წესით და კასაციის ელემენტებით განსჯის და გამოდის, რომ მოცემული ქვეყნების სასამართლოს სისტემებისათვის უცხოა განცალკევებული საკასაციო ინსტანციის არსებობა.

რაც შეეხება საზედამხედველო წარმოებას, იგი იწყება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ და შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით. საზედამხედველო წესით საქმე განიხილება, თუ პროკურორი ან სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე შეიტანს საზედამხედველო პროტესტს, მაგრამ სასამართლო პროცესის მონაწილის შესაბამის ორგანოში მიმართვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საზედამხედველო წარმოების დაწყებას. ასეთი წესი დღესაც მოქმედებს რუსეთის ფედერაციაში, სადაც რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საზედამხედველო ინსტანციას წარმოადგენს საოლქო და მასთან გათანაბრებული სასამართლოები, ასევე რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს კოლეგია, ამავე სასამართლოს პრეზიდიუმი და პლენუმი.

მეორე ან მესამე ან სხვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლო შეიძლება დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მოტივირებული ფორმულირებით გადააგზავნოს საქმე ხელახალი განხილვისათვის.

ამჟამად, სამრგოლიანი სასამართლოების სისტემა მოქმედებს ბულგარეთში, უნგრეთში, ყაზახეთში, სომხეთში, პოლონეთში; ორრგოლიანი სისტემა – საფრანგეთში, იტალიაში, ლატვიასა და რიგ სხვა ქვეყნებში. დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ზოგიერთ შტატში გვხვდება ინსტანციების უფრო რთული, არქაული ფორმებიც. დიდი ბრიტანეთის სასამართლო სისტემაში, მისი მრავალსაუკუნოვანი ფუნქციონირების მანძილზე, მრავალი რეფორმის მიუხედავად, სასამართლო ხელისუფლების ბევრი ძველი ინსტიტუტი, მათი არქაული ბუნებით მაინც, შენარჩუნებულ იქნა და ამას დაემატა ახალი სტრუქტურები, რამაც მნიშვნელოვნად გაართულა ბრიტანული სასამართლო სისტემის ვერტიკალური, ინსტანციური სტრუქტურა. ძალთა რეალური დატვირთვა კი იმის მაჩვენებელია, რომ ამ მრავალსაუკუნოვანი სისტემის პირობებში საქმეების დაახლოებით 90 პროცენტი ქვემდგომი სასამართლოების მიერ განიხილებოდა.

„აქტი სასამართლოების შესახებ“, რომელიც დღესაც მოქმედებს, 1971 წელს იქნა მიღებული და მის მიხედვით სასამართლო ორგანოების იერარქიული სისტემის სათავეში იმყოფებოდნენ სააპელაციო სასამართლო, სამეფო სასამართლო და უმაღლესი სასამართლო.

უმაღლეს სასამართლოში შექმნილია სულ 3 განყოფილება: სამეფო სკამის, კანცლერის და საოჯახო საქმეთა. სასამართლოს სრული შემადგენლობა 78 პირს შეადგენს. განყოფილებებს შორის განსახილველ საქმეთა სფეროები მკაცრად არის გამიჯნული და არ შეიძლება ერთი განყოფილების განსჯადი სარჩელის შეტანა მეორე განყოფილებაში. სამეფო სკამის განყოფილების კომპეტენცია განისაზღვრება მხოლოდ მნიშვნელოვანი სამოქალაქო საქმეებით. კანცლერის განყოფილებაში შესატანი სარჩელი დაკავშირებული უნდა იყოს სამართლიანობის სამართალთან. იგი განიხილავს საქმეებს საავტორო და საგამომგონებლო უფლებებთან, გაკოტრებასთან დაკავშირებით. საოჯახო განყოფილება კი იხილავს განქორწინებასთან, აღიშენების დანიშვნასთან, მზრუნველისა და მეურვის ინსტიტუტის დანესებასთან დაკავშირებულ საქმეებს.

უმაღლესი სასამართლოსთვის დამახასიათებელი თავისებურება ის გახლავთ, რომ განყოფილების მიერ საქმეები განიხილება, როგორც პირველი ინსტანციით, როდესაც ერთი მოსამართლე ინდივიდუალურად წყვეტს საქმეს, ასევე სააპელაციო წესით, რომელიც იხილება 23 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის მიერ.

სამეფო სასამართლოს ინსტიტუტი სასამართლოების შესახებ მოქმედი კანონის შედეგად დამკვიდრდა. იგი იხილავს მძიმე სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც არ შედის მაგისტრატების სასამართლოების კომპეტენციაში, ხოლო სააპელაციო წესით – მაგისტრატების სასამართლოების მიერ მათ ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ განაჩენებს. მას შენარჩუნებული აქვს სააპელაციო წესით სამოქალაქო საქმეების განხილვის უფლება, მაგრამ ეს სფერო საკმაოდ შეზღუდულია და მოიცავს მხოლოდ ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს. საინტერესოა სამეფო სასამართლოს შემადგენლობაც. საქმის ხასიათიდან გამომდინარე, იგი განიხილება უმაღლესი სასამართლოს სამეფო სკამის მოსამართლეების, საგრაფო მოსამართლეების, ან იმ ადვოკატების მიერ, რომელთაც აქვთ მუშაობის სულ ცოტა 10 წლის გამოცდილება.

ზემოთ აღნიშნული უმაღლესი და სამეფო სასამართლოების, ისევე, როგორც შოტლანდიისა და ჩრდილო ირლანდიის უმაღლესი სასამართლოების მიერ განხილული საქმეების გადანყვეტილებების სააპელაციო წესით გასაჩივრება ხდება ლორდთა პალატის სასამართლოში. მას ხელმძღვანელობს ლორდ-კანცლერი და შედგება 18 მოსამართლე – ლორდ-ისაგან, რომლებიც სამ-სამად განანილებული არიან ლორდთა პალატის სასამართლოს კომიტეტებში. ისინი საქმეებს სააპელაციო წესით იხილავენ, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში უფლებამოსილი არიან საქმე პირველი ინსტანციითაც განიხილონ, როდესაც საქმე ეხება პარლამენტის პრივილეგიებს, პერებს ბრალად ედებათ სამშობლოს ღალატი. ლორდთა პალატის სასამართლო წელიწადში დაახლოებით 30-40 საქმეს იხილავს.

ზემოაღნიშნული მცირერიცხოვანი კომიტეტების გარდა, არსებობს ლორდთა პალატის სააპელაციო კომიტეტი, რომელიც სამოქალაქო სამართლის სფეროში ქვეყნის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს წარმოადგენს. ამ კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება მონარქის მიერ დანიშნული 20 მოსამართლე-ლორდისგან. ეს მოსამართლეები შეადგენენ ასევე საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტს. ეს უკანასკნელი, როგორც აღვნიშნეთ, სააპელაციო წესით იხილავს როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებს, რომლებიც გადანყვეტილია დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში მყოფი სხვადასხვა კუნძულის უმაღლესი სასამართლოების მიერ და ამასთან დაკავშირებით მონარქს აძლევს რჩევებს. ფორმალურად მას არა აქვს სასამართლო აქტების გამოცემის უფლება და მისი გადანყვეტილება მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

საფრანგეთში პირველი ინსტანციის ზემდგომ რგოლს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციები წარმოადგენენ. სააპელაციო სასამართლოების

სისტემა საფრანგეთში ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი შედგება 30 სააპელაციო სასამართლოსაგან, რომელთა იურისდიქციაც დეპარტამენტებზე ვრცელდება. მეორე ჯგუფს შეადგენს 5 სააპელაციო სასამართლო, რომლებიც საფრანგეთის ზღვისიქითა ტერიტორიებზე მოქმედებენ. სასამართლოს საქმიანობას ხელმძღვანელობს პირველი თავმჯდომარე. სააპელაციო სასამართლო შედგება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებისაგან, რომლებიც თავის მხრივ იყოფა სავაჭრო და სპეციალურ საკითხთა ქვეპალატებად.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატები, პალატის თავმჯდომარისა და ორი მოსამართლის შემადგენლობით, განიხილავენ ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებზე სააპელაციო საჩივრებს, რის შემდეგაც პალატა ძალაში ტოვებს განაჩენს ან თავად გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება. მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ხდება პალატის მიერ საქმის გადაგზავნა ქვემდგომ სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის. თითოეული სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობაში არსებობს საბრალდებო კამერა, რომლის თავმჯდომარე აკონტროლებს ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის დროს პროცესუალური ნორმების დაცვას. სამოქალაქო საქმეთა პალატები იხილავენ ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე სააპელაციო საჩივრებს.

საფრანგეთში საბოლოო ინსტანციას წარმოადგენს საკასაციო სასამართლო, რომელიც ექვსი პალატისგან შედგება. მათგან ხუთი სამოქალაქო, ხოლო ერთი – სისხლის სამართლის საქმეებს იხილავს. თავის მხრივ, სამოქალაქო საქმეთა პალატები დაჯგუფებულია სამოქალაქო დავების, სავაჭრო და საფინანსო დავების და სოციალურ საკითხთა განმხილველ პალატებად. საკასაციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის ქვემდგომი ორგანოების დადგენილებებზე საკასაციო საჩივრების განხილვა. ამასთან, სასამართლო განიხილავს საჩივრებს არა კონკრეტული ფაქტების მიმართ, არამედ პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევებზე. სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო უფლებამოსილია, გადასინჯოს ძალაში შესული განაჩენი ახალადმოჩენილ გარემოებათა გამო. განაჩენის გაუქმების შემთხვევაში საქმე ხელახლა განხილვისათვის უბრუნდება ქვემდგომ სასამართლოს, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები ეჭვს არ იწვევს, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საფრანგეთის მსგავსად, იტალიაშიც უმაღლეს სასამართლო ინსტანციას საკასაციო სასამართლო წარმოადგენს, რომლის ძირითადი ამოცანაა ყოველმხრივ უზრუნველყოს სასამართლო პრაქტიკის ერთიანობა, განიხ-

ილოს ქვედა რგოლის სასამართლოთა დავები კომპენსაციის შესახებ. ეს ორგანო წარმოადგენს საკასაციო ინსტანციას იმ საქმეებზე, რომლებსაც იხილავენ სასამართლო სისტემის შუალედური რგოლის შემადგენელი სააპელაციო სასამართლოები. უმაღლეს საკასაციო სასამართლოში შედიან საკასაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე, მისი მოადგილე, პალატების თავმჯდომარეები და მრჩეველები. საკასაციო სასამართლოში შექმნილია 6 პალატა, რომელთაგან სამი იხილავს სისხლის სამართლის, ხოლო სამი სამოქალაქო სამართლის საქმეებს. თითოეულ საქმეზე გადაწყვეტილება გამოაქვს პროფესიონალ მოსამართლეთა კოლეგიას, ხოლო რთული საქმეები იხილება პალატების გაერთიანებულ სხდომაზე 15 მოსამართლის შემადგენლობით.

იტალიის სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვანი რგოლია ოლქის სააპელაციო სასამართლო, რომელიც იხილავს ტრიბუნალიდან შემოსულ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო პირველი ინსტანციით მათ მიერ განხილულ საქმეთა ნრე მეტად შეზღუდულია. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია თვალყური ადევნოს საგამოძიებო განყოფილების საქმიანობას და განახორციელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მისთვის მინიჭებული სხვა ფუნქციები. სააპელაციო სასამართლო მის ქვემდებარე საქმეს იხილავს ხუთი მოსამართლის შემადგენლობით. ყოველ სააპელაციო სასამართლოში იქმნება საგამოძიებო განყოფილება ხუთი მაგისტრატის შემადგენლობით.

ესპანეთის სასამართლო იერარქიის სათავეში დგას ესპანეთის უმაღლესი სასამართლო, რომელიც მთელი სისრულით ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელიც კონსტიტუციითა და კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას განეკუთვნება. უმაღლესი სასამართლო აერთიანებს 6 პალატას, რომლებიც, შესაბამისად, განიხილავენ სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, სოციალური და შრომითი კანონმდებლობის საქმეებს, აგრეთვე საქმეებს სამხედრო დანაშაულთა შესახებ. თითოეულ პალატაში 7-დან 12-მდე მოსამართლე შედის.

სასამართლო სისტემის ვერტიკალური სტრუქტურის შუალედურ რგოლს წარმოადგენს ეროვნული სასამართლო, რომელიც, აგრეთვე, 6 პალატისგან შედგება და განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებზე შეტანილ საჩივრებს. ამას გარდა, ავტონომიებშიც მოქმედებენ უმაღლესი სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართლებრივ საქმეებს, ხოლო ყველა პროვინციაში მოქმედებს პროვინციის სასამართლო.

სასამართლო ინსტანციების ორიგინალური ფორმები არსებობს შვედეთში, სადაც 1789 წლიდან საერთო სასამართლოების სისტემის სათავეში დგას უმაღლესი სასამართლო. იგი 22 მოსამართლისგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთს მთავრობა ნიშნავს თავმჯდომარედ. ამჟამად, უმაღლესი სასამართლო ხუთიდან შვიდამდე მოსამართლის შემადგენლობით მოქმედს სამ განყოფილებას აერთიანებს.

უმაღლესი სასამართლოს მთავარი ფუნქციაა სააპელაციო სასამართლოების განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე საჩივრების განხილვა, მას შეუძლია საქმე განსახილველად მიიღოს, როგორც იურიდიული კვალიფიკაციის, ისე მტკიცებულების შეფასებასთან დაკავშირებით. ამასთან, საკითხს ამა თუ იმ საქმის განსახილველად მიღების შესახებ, წინასწარ განიხილავს სამი მოსამართლის კოლეგია, ცალკეულ შემთხვევაში – ერთი მოსამართლე. ისინი უპირატესობას ანიჭებენ იმ საქმეებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მთლიანად ეროვნული სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით. პირველი ინსტანციით უმაღლესი სასამართლო განიხილავს მინისტრების და სხვა მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხს თანამდებობრივ დარღვევებთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება სამართლის პრინციპებს, ან კანონის განმარტებას, ცალკეული განყოფილების წარდგინებით საკითხს განიხილავს უმაღლესი სასამართლოს პლენარული სხდომა. მისი გადაწყვეტილებები გარკვეულ ზეგავლენას ახდენს სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების ნორმაშეფარდებით საქმიანობაზე.

სასამართლო სისტემის შუალედურ რგოლს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლო. ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით, შვედეთში, ქვეყნის 6 ტერიტორიაზე მოქმედებს სულ 6 ასეთი ორგანო. ამ სასამართლოების თავმჯდომარეებს პრეზიდენტები ეწოდებათ. სააპელაციო სასამართლოები იყოფა განყოფილებებად, რომელთაც ლაგმანები ხელმძღვანელობენ. განყოფილებებში ინიშნებიან რიგითი მოსამართლეები – როდმანები, რომელთაგან ერთ-ერთი ლაგმანის მოადგილედ ინიშნება.

სააპელაციო სასამართლო, 4 ან 5 მოსამართლის შემადგენლობით, განიხილავს საჩივრებს ქვემდგომი, პირველი ინსტანციის სასამართლოების განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე. ამ დროს ხდება საქმის ხელახალი განხილვა არსებითად, ახალი მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლოები პირველი ინსტანციით განიხილავენ ზოგიერთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებს.

სასამართლო ხელისუფლების ვერტიკალური სტრუქტურა საგანგებო განხილვას საჭიროებს ფედერალურ სახელმწიფოებთან მიმართებაში. კერძოდ, უნდა გამოვყოთ ცენტრალიზებული ანუ გერმანული და დეცენ-

ტრალიზებული, დუალისტური, ანუ ამერიკული მოდელი. გვხვდება შერეული ანუ ჰიბრიდული მოდელებიც, მაგალითად, ავსტრალიის, კანადის და ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემის სახით.

დუალისტური მოდელის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ფედერალური სასამართლოები ხელმძღვანელობენ მხოლოდ ფედერალური კანონებით, ხოლო შტატების სასამართლოები, როგორც საკუთარი შტატის, ასევე, ფედერალური კანონებით. თუ რომელიმე შტატის კონსტიტუცია ან კანონი ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას, კანონს, ფედერალური ხელისუფლების მიერ დადებულ ხელშეკრულებებს, ისინი პრაქტიკაში ვერ დამკვიდრდებიან. აშშ-ის კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარე, არსებობს კანონთა იერარქიული სისტემა: ფედერალური კონსტიტუცია; ფედერალური კანონები და ხელშეკრულებები; შტატების კონსტიტუციები; ადგილობრივი (საქალაქო, სასოფლო) აქტები.

აშშ-ის ფედერალურ სასამართლო სისტემას აქვს სამი რგოლი, რომლებიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებენ და მოიცავენ 90 საოლქო სასამართლოს შტატებში, 4 საოლქო სასამართლოს ფედერალურ ტერიტორიაზე, 13 სააპელაციო სასამართლოს და უზენაეს სასამართლოს. საოლქო სასამართლოების სამოქალაქო იურისდიქცია ვრცელდება ფედერალური სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, რომელთა შორის კონსტიტუციის მემუხლის თანახმად, იგულისხმება ვაკოტრების, საავტორო და საპატენტო დავების, ჯარიმების და ქონებაზე ყადაღის დადების, საზღვაო და საადმირალო სამართალი, კონსულების, ვიცეკონსულებისა და საზღვარგარეთის სახელმწიფოების სხვა ოფიციალური წარმომადგენლების სარჩელები. სისხლის სამართლებრივი იურისდიქცია შედარებით ვიწროა. რაიონული (საოლქო) სასამართლო განიხილავს მხოლოდ ფედერალური კანონით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებს. უზენაესი სასამართლო ფართო უფლებამოსილებებს ფლობს მართლმსაჯულების აღსრულებისა და საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში. იგი პირველი ინსტანციით განიხილავს დავებს, რომელშიც ერთ-ერთ მხარეს შტატი წარმოადგენს ან სარჩელებს, რომლებიც წარედგინებათ უცხო ქვეყნების ელჩებს თუ სხვა დიპლომატებს. როგორც აღვნიშნეთ, უზენაესი სასამართლო საქმიანობს, როგორც უმაღლესი სააპელაციო ინსტანცია. გარდა ამისა, იგი წყვეტს სერტიფიკატისა და სერტიფიკაციის საკითხებს. სერტიფიკატის პროცედურის თანახმად, ზემდგომმა სასამართლომ, ქვემდგომი რგოლიდან ბრ-

დანებით შეიძლება გამოითხოვოს ნებისმიერი საქმე, ხოლო სერტიფიკაციის პროცედურის ძალით, კონკრეტული საქმის განხილვისას, ამა თუ იმ სამართლებრივ საკითხზე მისი შეხედულებისა და პოზიციის მოსასმენად, შეუძლია მიმართოს ქვედა რგოლის სასამართლოს.

უზენაესი სასამართლო საქმეს წარმოებაში იღებს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ცხრიდან ოთხი ან მეტი მოსამართლე დაეთანხმება გენერალური სოლისიტორის რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ საქმე იმსახურებს სრულფასოვან განხილვას. გენერალური სოლისიტორი ინიშნება პრეზიდენტის მიერ და აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტში, გენერალური პროკურორისა და მისი მოადგილის შემდეგ, რანგით მესამე ოფიციალური პირია. ზემოაღნიშნული რეკომენდაციის წარდგენის გარდა, გენერალური სოლისიტორის ფუნქციაა ფედერალურ სასამართლოში შექმნას აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დაკავშირებული რგოლი. ამდენად სასამართლო სისტემაში ის გავლენიანი ფიგურაა. უზენაეს სასამართლოში საქმეების წარმართვასა და განხილვაში მისი როლის გამო, გენერალურ სოლისიტორს ხანდახან არაფორმალურად მეათე მოსამართლესაც უწოდებენ.

უზენაესი სასამართლო თვითონ ადგენს დღის ნესრიგს, ე.წ. სასამართლო საქმეთა რეესტრს, რაშიც მას დახმარებას უწევს გენერალური სოლისიტორი. უზენაესი სასამართლოს რეესტრში საქმის შეტანის შემდეგ, მხარეები წარმოადგენენ წერილობით არგუმენტებს და მოსამართლეები იმდენენ ზეპირ არგუმენტაციას, რისთვისაც თითოეულ მხარეს 30-30 წუთი ეძლევა. ზეპირი არგუმენტაციის შემდეგ მათ არ გამოაქვთ რაიმე კოლექტიური გადაწყვეტილება. წინასწარი კენჭისყრა ხდება დახურულ სხდომაზე და მიიღება გადაწყვეტილება, სადაც მითითებულია, თუ რომელი მხარის სასარგებლოდ გადაწყდა საქმე. ამის შემდეგ ხდება დასკვნის ჩამოყალიბება, რომელიც მოსამართლეთა უმეტესობას დააკმაყოფილებს და, ამავე დროს, შეინარჩუნებს დადგენილების სიცხადესა და ძალას. თუ ყველა მოსამართლე ეთანხმება მსჯავრს და მის მოტივაციას, მაშინ გადაწყვეტილება ერთსულოვანია. მოსამართლე შეიძლება დაეთანხმოს მსჯავრს, მაგრამ სხვადასხვა საფუძვლით. ასეთ შემთხვევას თანხვედრა ეწოდება. მოსამართლეებს შეიძლება განსხვავებული აზრი, ე.წ. განსაკუთრებული აზრი ჰქონდეთ, თუკი ისინი მსჯავრს არ ეთანხმებიან. ორივე დასკვნა როგორც თანხვედრისა, ისე განსაკუთრებული აზრისა, შეიძლება დაერთოს გადაწყვეტილებას. თათბირის შემდეგ მთავარი მოსამართლე წერს უმრავლესობის დასკვნას ან ამ მოვალეობას აკისრებს სხვა მოსამართლეს უმრავლესობიდან. თუ მთავარი მოსამართლე უმცირესობაშია, მაშინ ეს მოვალეობა დაეკისრება უმრავლესობიდან ყველაზე სტაჟიან მოსამარ-

თლეს. ის, ვინც ჩამოაყალიბა დასკვნის მონახაზი, ავრცელებს დოკუმენტს, დანარჩენი მოსამართლეები კითხულობენ მას და ურთავენ თავიანთ კრიტიკულ შენიშვნებს ან წინადადებებს. მოსამართლეებს შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი აზრი, ვიდრე გადაწყვეტილება ოფიციალურად გამოქვეყნდება.

აშშ-ის ფედერალური მართლმსაჯულების შუალედურ რგოლს ქმნიან სააპელაციო სასამართლოები, რომლებიც საქმეთა განაწილების გაიოლებისა და უზენაესი სასამართლოს დატვირთვის შემცირების მიზნით 1891 წელს შეიქმნა. შეერთებული შტატები იყოფა 13 დამოუკიდებელ სააპელაციო რეგიონად, კერძოდ, კოლუმბიის სააპელაციო სასამართლო მოიცავს მხოლოდ კოლუმბიის ოლქს, ცალკე არის ფედერალური ოლქი და 11 სხვა სააპელაციო სასამართლო, რომელთაგან თითოეული ერთდროულად რამდენიმე შტატს მოიცავს. ამ სასამართლოებში საჩივრის განხილვის უფლება არა აქვთ იმ მოსამართლეებს, რომლებმაც თავად განიხილეს იგი პირველი ინსტანციით. სააპელაციო სასამართლოები განიხილავენ საჩივრებს რაიონის სასამართლოების ყველა საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში. ამ სისტემის გარდა, გვხვდება სპეციალიზებული სასამართლოების მრავალრგოლიანი სისტემები, მაგალითად, ილინოისის შტატში და კოლუმბიის ფედერალურ ოლქში. ზოგიერთ შტატში შენარჩუნებულია შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოები: მუნიციპალური და ადგილობრივი სასამართლოები, მაგალითად, კალიფორნიაში; მაგისტრატების სასამართლოები, მაგალითად, ალიასკაზე. ისინი წარმოადგენენ სასამართლოების სისტემის მეოთხე, ქვედა რგოლს. ზოგიერთ შტატში შენარჩუნებული არქაული სასამართლო სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება უკვე განხილული სქემებისგან და 7 რგოლს მოიცავს, მაგალითად, კოლორადოსა და მასაჩუსეტსის შტატებში.¹

ცალკეული შტატის სასამართლოების კომპეტენციას განეკუთვნება ყველა საქმე, რომელიც კანონმდებელმა არ მიაკუთვნა ფედერალური სასამართლოების განსჯადობას. კონსტიტუციის X შესწორების თანახმად, აშშ-ში მოქმედებს პრეზუმცია, რომლის თანახმად, საკანონმდებლო კომპეტენციის მხრივ შტატებს უკავიათ დომინირებული პოზიცია. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის სისტემაში ნამყვანი მდგომარეობის მქონე საერთო სამართალს არა აქვს

¹ *И. Филипов С.И., Судебная Система США, Москва, 1980, стр. 39.*

ფედერალური ხასიათი. შტატების სასამართლო კომპეტენცია კი ვრცელდება თავად შტატების კანონების გამოყენებიდან წარმოშობილ დავებზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, გერმანიაში მოქმედებს მრავალი რგოლისგან შემდგარი განსაკუთრებული, სპეციალური სასამართლოები, კერძოდ, პირველი ინსტანციის 17 სასამართლო და ფედერალური სასამართლო პალატის სენატი, რომელთაც ასევე მკაცრად ცენტრალიზებული სტრუქტურა აქვთ. გერმანიის სასამართლო სისტემა იმითაცაა საინტერესო, რომ მინების უმაღლესი სასამართლოები საქმეებს განიხილავენ რევიზიის ნესით. ეს არის საქმეთა გადაწყვეტის განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროს ერთმანეთს ერწყმის როგორც კასაციის, ასევე აპელაციის ელემენტები: ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება მოწმდება, როგორც ფაქტობრივი, ისე კანონის დაცვის თვალსაზრისით.

საგანგებო განხილვას საჭიროებს სასამართლო ხელისუფლების ინსტანციური მონყობა ასიმეტრიული ფედერალიზმის პირობებში, რომელიც რუსეთის ფედერაციაში მოქმედებს. აქ სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოების მიერ, მოსამართლეებისა და კანონით დადგენილი ნესით მართლმსაჯულების აღსრულების მიზნით მოწვეული ნაფიცი, სახალხო და საარბიტრაჟო მსაჯულების მიერ. სასამართლო ხელისუფლების განხორციელება ხდება საკონსტიტუციო, სამოქალაქო, საარბიტრაჟო და სისხლის სამართლის სასამართლოების მეშვეობით. რუსეთის ფედერაციაში მოქმედებენ ფედერალური სასამართლოები, საკონსტიტუციო (სანესდებო) სასამართლოები და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სასამართლოები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემას შეადგენენ.

ფედერალურ სასამართლოებს განეკუთვნება: რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო, რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოები, სამხარეო და საოლქო სასამართლოები, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების სასამართლოები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური მხარეების სასამართლოები, რაიონული სასამართლოები, სამხედრო და საგანგებო სასამართლოები, რომლებიც საერთო იურისდიქციის ფედერალური სასამართლოების სისტემას შეადგენენ.

რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო საბოლოო ინსტანციით განიხილავს და გადაწყვეტს სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და საერთო იურისდიქციას დაქვემდებარებულ სხვა საქმეებს. იგი ფედერალური კანონით განსაზღვრული პროცესუალური ფორმით ახორციელებს საერთო იურისდიქციის სასამართლოების საქმი-

ანობის სასამართლო ზედამხედველობას, სამხედრო და საგანგებო ფედერალური სასამართლოების ჩათვლით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს საქმეებს, როგორც მეორე ინსტანციის სასამართლო, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო.

სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურისა და ფუნქციონირების ევროპული მოდელები მკვიდრდება და მოქმედებს პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში. მაგალითად, ესტონეთში არსებული ერთიანი სასამართლო სისტემა სამი რგოლისგან შედგება. პირველი რგოლი მოიცავს რაიონის, ქალაქის და ადმინისტრაციულ სასამართლოებს, მეორე რგოლი მოიცავს სააპელაციო ინსტანციის სახით მოქმედ საოლქო სასამართლოებს, ხოლო მესამე ინსტანციას ეროვნული სასამართლო წარმოადგენს. მოქმედებს სულ 3 საოლქო სასამართლო 33 მოსამართლის შემადგენლობით. აქ შექმნილია სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი განყოფილებები. მხოლოდ ტალინის სასამართლოში მოქმედებს ადმინისტრაციული განყოფილება. საქმეები განიხილება სამწევრიანი კოლეგიის შემადგენლობით. უმაღლეს ინსტანციაში, კერძოდ, ეროვნულ სასამართლოში შექმნილია სამი კოლეგია სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

ესტონეთის მსგავსად ლატვიაშიც სამრგოლიანი სასამართლო სისტემა მოქმედებს, რომელიც რეგიონულ, საოლქო და უზენაეს სასამართლოებს მოიცავს. რეგიონული სასამართლოები ფუნქციონირებენ ადმინისტრაციულ რეგიონებში და პირველი ინსტანციით განიხილავენ სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციულ საქმეებს.

აღნიშნული სასამართლოები საქმეებს განიხილავენ: კოლეგიურად, ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით; ადმინისტრაციულ საქმეებს, ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილ შემთხვევაში, ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ; მოსამართლე ერთპიროვნულად იღებს ასევე გადაწყვეტილებებს აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენებისა და სხვა იძულებითი ღონისძიებების შეფარდების შესახებ.

ლატვიაში მოქმედებს 5 საოლქო სასამართლო, რომელთა ფუნქციებიცაა ერთი მოსამართლისა და 2 მსაჯულის შემადგენლობით, პირველი ინსტანციით საქმეების განხილვა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. ეს სასამართლოები მეორე ინსტანციით განიხილავენ საჩივრებს რეგიონული სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. ამასთან, ლატვიის უზენაესი სასამართლო რთული სტრუქტურით გამოირჩევა. აქ მოქმედებს სენატი, რომელიც წარმოადგენს სააპელაციო ინსტანციას პირველი ინსტანციით რეგიონულსა და სა-

ოლქო სასამართლოებში განხილულ საქმეებზე. სენატი მოიცავს სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებს. აქვე მოქმედებს ორი სასამართლო პალატა, რომლებიც წარმოადგენენ სააპელაციო ინსტანციებს საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. მოქმედებს პლენუმიც, რომელიც სენატებისა და პალატების მოსამართლეებს მოიცავს და იღებს სასამართლოებისათვის სავალდებულო სახელმძღვანელო განმარტებებს კანონთა გამოყენების თაობაზე.

ბალტიისპირეთის მესამე სახელმწიფოში, კერძოდ, ლიტვაში, მოქმედებს ოთხრგოლიანი სასამართლო სისტემა, რომელიც მოიცავს 54 ადგილობრივ სასამართლოს, 5 რეგიონულ სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოსა და უზენაეს სასამართლოს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საკასაციო ინსტანციას. უზენაეს სასამართლოში მოქმედებს ცალკე სენატი სახელმწიფოში ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. სენატი ამტკიცებს სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომელთა განმარტება სავალდებულოა სასამართლოებისათვის, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, რომლებიც იყენებენ ამ კანონებს; ანალიზებს და განაზოგადებს კანონმდებარების სასამართლო პრაქტიკას, ასრულებს სხვა ფუნქციებს.

როგორც ვხედავთ, ყოველ ქვეყანას აქვს საკუთარი სასამართლო სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისი ისტორიული და ზოგჯერ პოლიტიკური ტრადიციებით. თუმცა, მათ, როგორც ნესი, ერთი რამ აქვთ საერთო და ეს არის სასამართლო სისტემის უმაღლესი ორგანო, რომელიც იერარქიის სათავეში დგას და, ჩვეულებრივ, უზენაესი სასამართლო ეწოდება. სასამართლო ხელისუფლების პოლისისტემურობის პირობებში, მაგალითად, გერმანიაში, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს არა ერთი, არამედ რამდენიმე სახის უმაღლესი სასამართლო ორგანო.

ამ სასამართლოს ძირითადი მიზანია კანონის ერთგვაროვანი გამოყენებისა და განმარტების უზრუნველყოფა, ვინაიდან კანონიერების დასაცავად საკმარისი არ არის მხოლოდ კანონთა შორის შესაბამისობის დადგენა, არამედ, ასევე, გარანტირებული უნდა იყოს მათი ერთგვაროვანი განმარტება. პირველი და სააპელაციო ინსტანციების მრავალრიცხოვანი სასამართლოების არსებობა გარკვეულ საფრთხეს ქმნის, რომ კანონები ერთგვაროვნად არ იქნება განმარტებული სასამართლოების მიერ. რიგ სხვა ფუნქციებთან ერთად, სწორედ ამან განაპირობა უზენაესი სასამართლოს შექმნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში კანონები განსხვავებულად არ იყოს განმარტებული.

უზენაეს სასამართლოებს, როგორც ნესი, ორი ნიშანი ახასიათებს, რითაც იგი განსხვავდება სხვა სასამართლო ორგანოებისაგან: განიხილავს

სამართლის საკითხს და არა ფაქტებს და წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს. თუმცა, ყველა უზენაესი სასამართლო არ აკმაყოფილებს ამ ორი კლასიკური ნიშნიდან იმას, რომელიც შეეხება „სამართლის საკითხის“ გამოიწვევას „ფაქტის საკითხისგან.“

მრავალ სამართლებრივ სისტემაში უზენაესი სასამართლო განიხილავს როგორც სამართლის, ასევე ფაქტების საკითხს და დავებს პირველი ინსტანციის წესით. ასეთ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოები გადაიტვირთება საქმეებით, მაგრამ ეს პრობლემა შეეხება მთლიანად სასამართლო სისტემას.

უზენაესი სასამართლოს ჭეშმარიტი როლის შესაცნობად ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოები. ჩვეულებრივ, საკონსტიტუციო სასამართლო არ წარმოადგენს საერთო სასამართლოების ნაწილს და არ განახორციელებს მართლმსაჯულებას ამ ტერმინის ტრადიციული გაგებით. მისი განსაკუთრებული ამოცანაა კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში, კანონიერებისა და სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის უზრუნველყოფა. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლო არ შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო იერარქიის უმაღლეს რგოლად. თუმცა, არსებობს სისტემები, სადაც უზენაესი სასამართლო ახორციელებს საკონსტიტუციო ზედამხედველობასა თუ კონტროლს, მაგალითად აშშ და შვეიცარიის კონფედერაციაც გამოდგება.

უზენაესი სასამართლოს ორიგინალური მოდელი მოქმედებს იაპონიაში. აქ, უზენაეს სასამართლოს აქვს ხუთ-ხუთი წევრისგან შემდგარი სამი განყოფილება. სასამართლოს პლენარული სხდომისთვის საჭირო კვორუმს შეადგენს 9 წევრი, ხოლო განყოფილებისთვის – 3 წევრი. უზენაესი სასამართლო საერთო იურისდიქციის სასამართლოა, თუმცა მასვე ეკისრება საკონსტიტუციო ზედამხედველობის განხორციელება და აქაც საბოლოო ინსტანციის უფლებით. იგი წარმოადგენს სხვადასხვა საქმის განხილვის უკანასკნელ ინსტანციას, მეორე ინსტანციით საბოლოოდ განიხილავს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, ხოლო მესამე ინსტანციით სისხლის სამართლის დანარჩენ, აგრეთვე სამოქალაქო საქმეებს. უზენაესი სასამართლო აღჭურვილია საგანგებო უფლებამოსილებებით: გარკვეულ ფარგლებში ახორციელებს სასამართლო სისტემის მმართველობას; განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას; ქვემდგომი სასამართლოებისათვის ადგენს სამართალწარმოების პროცედურის წესებს; გამოსცემს სახელმძღვანელო მითითებებს სასამართლოებში შინაგანანგისა და სასამართლო საქმეების მართვის წესების შესახებ, აგრეთვე დებულებებს სასამართლოსთან არსებული პროკურატურის

საქმიანობის, ადვოკატთა მუშაობის ნების შესახებ. სახელმწიფო პრინციპებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ გადანაცვტილება მიიღება უზენაესი სასამართლოს წევრებისაგან შემდგარი განსაკუთრებული კოლეგიის მიერ.

არანაკლებ საინტერესოა კანადის უზენაესი სასამართლოს სტატუსი, რომელიც 1867 წლის კონსტიტუციის მოთხოვნათა საფუძველზე პარლამენტმა 1875 წელს განსაზღვრა. მოგვიანებით, 1949 წელს ინგლისის საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტში აპელაციის გაუქმების შემდეგ, უზენაესი სასამართლო გადაიქცა კანადაში საბოლოო სააპელაციო ინსტანციად. მის მიერ განხილულ აპელაციათა უმრავლესობა მოდის პროვინციებიდან და ფედერალური სააპელაციო სასამართლოებიდან. როგორც წესი, სასამართლომ უნდა გასცეს თანხმობა საქმის წარმოებაში მიღების შესახებ. მაგრამ არის რამდენიმე გამონაკლისი ამ წესიდან, უმთავრესად, ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეზე, თუმცა, კანადის მთავრობამ შესაძლებელია პირდაპირ, ჩვეულებრივი სააპელაციო ნებართვის მისაღები პროცედურის გვერდის ავლით, გადასცეს საკითხი უზენაეს სასამართლოს გადასანაცვტად. საქმეთა გადაცემის ამგვარ უფლებამოსილებას მთავრობა ზოგჯერ იყენებს კონსტიტუციის განმარტებასთან ან ფედერალური კანონის კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებით. ყველა პროვინციის ადგილობრივი სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანაცვტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანადის უზენაეს სასამართლოში.

კანადის უზენაესი სასამართლო ყოველწლიურად ატარებს 3 სესიას. შემოდგომის სესია იწყება ოქტომბრის პირველ კვირაში და მთავრდება დეკემბერში, ზამთრის სესია იწყება იანვრის ბოლოს და მთავრდება მარტში, საგაზაფხულო სესია იწყება აპრილის ბოლოს და გრძელდება ივნისის დასასრულამდე. ორი კვირის მანძილზე სხდომებზე სასამართლო, განსახილველ სააპელაციო საქმეებზე, ისმენს ზეპირ არგუმენტებს, რასაც მოჰყვება ორკვირიანი შესვენება. სააპელაციო სხდომები საზოგადოებისათვის ღიაა. აპელაციის განხილვა, არცთუ იშვიათად, რადიომაუწყებლობით, საპარლამენტო არხით გადაიცემა არასასესიო პერიოდში. როდესაც სასამართლოს არა აქვს სხდომები, მოსამართლეები დაკავებულნი არიან სასამართლოს გადანაცვტილებების ანალიზითა და დამდეგი მოსმენისთვის საქმის მომზადებით.

საინტერესოა საზღვარგარეთის ქვეყნებში სპეციალური სასამართლოების გადანაცვტილებებზე საჩივრის განმხილველი სასამართლო ორგანოების განსაზღვრის საკითხი. მაგალითად, აშშ-ში საგადასახადო და საპრეტენზიო სპეციალური სასამართლოების გადანაცვტილებებზე აპელ-

აციას განიხილავენ საერთო სასამართლოების სააპელაციო ინსტანციები, საბაჟო სასამართლოს გადანყვევტილებებზე კი – სპეციალური სააპელაციო სასამართლო.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მრავალფეროვანია სასამართლოების როდენობრივი მხარე. მაგალითად, საფრანგეთში მოქმედებს დაბალი ინსტანციის 491 ტრიბუნალი, 185 მაღალი ინსტანციის ტრიბუნალი, 35 სააპელაციო სასამართლო, საკასაციო სასამართლო და განსაკუთრებული საკასაციო ორგანო – მართლმსაჯულების უმაღლესი პალატა. რუსეთის ფედერაციაში საერთო სასამართლოების სისტემაში კი ფუნქციონირებს 2454 რაიონული სახალხო სასამართლო, 86 საოლქო და მათთან გათანაბრებული სასამართლო, უზენაესი სასამართლო, ამას გარდა მოქმედებს 160 სამხედრო სასამართლო, 82 სამხარეო საარბიტრაჟო სასამართლო, 10 საოლქო საარბიტრაჟო სასამართლო, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლო. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების კანონმდებლობით გათვალისწინებული 5 საკონსტიტუციო სასამართლოდან, პრაქტიკულად, მხოლოდ სამი მოქმედებს. როგორც ვხედავთ, სასამართლო ორგანოების სისტემის სტრუქტურულ-იერარქიული ელემენტების სიმრავლეზე პირდაპირ გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, სასამართლო ხელისუფლების პოლისისტემურობა, და, მეორე მხრივ, ქვეყნის ტერიტორიის სიდიდე და სახელმწიფო ნიუბილების ფორმა.

თავი მეოთხე

სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაცია და სტრუქტურები

ხელისუფლების დანაწილების პრინციპების რეალიზაცია, სახელისუფლო ტრიადაში სასამართლო ხელისუფლებისთვის განსაზღვრული უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლო სისტემის ჰორიზონტალური და ვერტიკალური სტრუქტურების ფუნქციონირების სრულყოფილი საკანონმდებლო რეგულირებით როდი მიიღწევა. აღნიშნული მიზნების სარეალიზაციოდ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციულ მხარეს, მათ მატერიალურ – ტექნიკურ უზრუნველყოფასა და უშუალოდ მოსამართლეთა სამართლებრივ სტატუსს. ეს კი ის საკვანძო პრობლემებია, რომელთა სამართლებრივი გარანტიები განსაკუთრებულ პროფესიონალიზმსა და შესაბამის ეფექტურ მექანიზმებს საჭიროებს, ვინაიდან სწორედ ამ ტანდემზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ხელისუფლების სხვა შტოებისგან სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხარისხი. წინამდებარე თავში, საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე, სწორედ აღნიშნული საკითხების რეგულირების თავისებურებებს განვიხილავთ.

4-1. სასამართლო თვითმმართველობა და მმართველობა

ყველა სახელმწიფოში არსებობს უფლებამოსილებათა გარკვეული წრე, რომელსაც სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. იგულისხმება ისეთი საკითხების რეგულირება, როგორცაა მოსამართლეთა დანიშვნა, გადაადგილება, დანიშნაურება; მაგისტრატების (მოსამართლე, პროკურორი, სასამართლო გამომძიებელი) დისციპლინური პასუხისმგებლობა; მოსამართლეთა სტატუსის ზოგიერთი ასპექტი; სასამართლოს ორგანიზაცია და სასამართლოს მუშაკების მომზადება.

საზღვარგარეთის ქვეყნებში გვხვდება ამ უფლებამოსილების განხორციელების რამდენიმე მოდელი: პირველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იუსტიციის სამინისტროს როლი სასამართლო ორგანოთა სისტემის ფუნქციონირებაში, მოსამართლეთა კორპუსის ფორმირებასა და მათ სტაბილურ საქმიანობაში, როგორც ეს ხდება გერმანიაში; მეორე შემთხვევაში, შესაძლებელია

მართლმსაჯულების სფეროში მმართველობით ფუნქციებს ახორციელებდეს ქვეყნის უმაღლესი სასამართლო, როგორც ეს იაპონიაში ხდება; მესამე შემთხვევაში, ხელისუფლების სამივე შტოს მონაწილეობით, იქმნება სპეციალური შერეული ორგანოები სასამართლო თვითმმართველობის განსახორციელებლად, როგორც არის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო იტალიაში, საფრანგეთში, რუმინეთში; მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო ალბანეთში; უმაღლესი სასამართლო საბჭო ბულგარეთში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უკრაინაში. ამ ორგანოს შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი, გენერალური პროკურორი. ნევრების ნაწილი შეიძლება დანიშნოს სახელმწიფოს მეთაურმა, ან აირჩიოს მოსამართლეთა საერთო სახელმწიფოებრივმა ყრილობამ.

რენე დავიდი ინგლისის სასამართლო სისტემაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ, „სასამართლო ხელისუფლების ავტონომია იურისტების სწავლებასა და შერჩევაშიც მუდამ აქცევს, რაც მხოლოდ სასამართლო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ორგანოების მიერ ხორციელდება და მინდობილი არა აქვს უნივერსიტეტებს ან სასამართლოებისგან დამოუკიდებელ სხვა დაწესებულებებს.“¹

სასამართლო თვითმმართველობის ორგანოები სხვადასხვა ქვეყანაში ავტონომიის არაერთგვაროვანი ხარისხით ხასიათდებიან. აქ ვგულისხმობთ ავტონომიას ხელისუფლების სხვა შტოებთან მიმართებაში. მაგალითად, საფრანგეთის კონსტიტუციის 64-ე მუხლით პრეზიდენტი არის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტი, ხოლო ამ ფუნქციის შესრულებაში მას ეხმარება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო. ფრანგი მოსამართლეებისა და პროკურორების საქმეთა ამ უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის უმთავრესი ამოცანა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაა, სწორედ პრეზიდენტი თავმჯდომარეობს. იგი შეიძლება შეცვალოს იუსტიციის მინისტრმა, რომელიც მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ვიცეთავმჯდომარედ გვევლინება. აქ შედის პრეზიდენტის მიერ ოთხი წლის ვადით დანიშნული ცხრა წევრი, რომლებმაც მხოლოდ ერთხელ გადარჩევის უფლებით შეიძლება ისარგებლონ. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო შედგება ორი პალატისგან: ერთი კომპეტენტურია მოსამართლის მიმართ, ხოლო მეორე – პროკურორის მიმართ. რესპუბლიკის პრეზიდენტი და იუსტიციის მინისტრი, ისევე როგორც საბჭოს სხვა წევრები, გაერთიანებულნი არიან ორივე პალატის შემადგენლობაში. პალატები განიხილავენ მაგისტრატების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებსაც.

¹ რენე დავიდი, მითითებული ნაშრომი, გვ. 268.

საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს კანდიდატურებს საკასაციო სასამართლოების მოსამართლეებისა და სააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარის თანამდებობაზე დასანიშნად. იუსტიციის მინისტრის თხოვნით, საბჭოს გამოაქვს დასკვნა სხვა მოსამართლეების დანიშვნის თაობაზე. კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტისთვის, შეწყალების საკითხის გადაწყვეტის დროს, აუცილებელია მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს აზრის გაგება.

მოსამართლეების მიერ ჩადენილ დელიქტებს მაგისტრატურა განიხილავს, როგორც დისციპლინური საბჭო, საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. ფილიპ არდანი აზრით, საფრანგეთში დღეს არსებული მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო არ წარმოადგენს ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ისეთ დამოუკიდებლობას, როგორც მისაღებია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. მისი აზრით, ამ სფეროში საფრანგეთი ჩამორჩება იტალიას, ესპანეთსა და პორტუგალიას,¹ თუმცა, ის ფაქტი, რომ მაგისტრატურას პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, განაპირობებს მისი პრესტიჟის ამაღლებას და ხაზს უსვამს ამ ორგანოს საქმიანობის მნიშვნელობას. სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. საბჭო სხდომებს მართავს ყოველკვირეულად, მაგრამ პრეზიდენტი მასში წელიწადში 2-3-ჯერ მონაწილეობს. სასამართლოს ჩინოვნიკების კარიერაში საბჭოს მონაწილეობა მეტად შეზღუდულია. უშუალოდ საბჭო ნიშნავს მხოლოდ ერთ მოხელეს ოცდაათიდან, დანარჩენებს კი – იუსტიციის მინისტრი, ხოლო მოსამართლეებს – პრეზიდენტი. სახელმწიფოს მეთაური განიხილავს და წყვეტს საბჭოს კონსულტაციური ხასიათის დასკვნას ყველა სხვა საკითხზე, რომლებიც შეეხება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას. სწორედ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს საბჭოს საკონსულტაციო ხასიათი. ეს კი საფუძველს უქმნის შეხედულებას, რომლის თანახმად, საფრანგეთში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა არასათანადოდ არის უზრუნველყოფილი.²

იტალიის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მიხედვით, „მაგისტრატურა წარმოადგენს ავტონომიურ დანესებულებას, რომელიც დამოუკიდებელია სხვა ხელისუფლებისაგან.“ 33 წევრიანი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ფორმირებაში მონაწილეობას იღებს მოსამართლეთა კორპუსი და პარლამენტი. კერძოდ, 20 წევრს ირჩევენ ორდინარული მოსამართლეები, 10 წევრს, პალატების გაერთიანებულ სხდომაზე, ირჩევს პარლამენტი

1. Ардан Филип, Франция, Государственная система, М., 1994, стр. 160.

2. იქვე, გვ. 162.

იურიდიულ მეცნიერებათა პროფესორებისა და 15 წლის სტაჟის მქონე ადვოკატებისგან. საბჭოს თავმჯდომარეობს რესპუბლიკის პრეზიდენტი. მის შემადგენლობაში ex officio, ანუ თანამდებობის მიხედვით, გაერთიანებული არიან საკასაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე და რესპუბლიკის გენერალური პროკურორი. საბჭო პარლამენტის მიერ არჩეულ წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება: მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნა, გადაყვანა, დანიშნურება და მოსამართლის სტატუსთან დაკავშირებული სხვა საკითხები; საპატიო ვიცე-პრეტორების დანიშვნა და გამოწვევა, მომრიგებელი მოსამართლეებისა და მათი მოადგილეების დანიშვნა; მოსამართლეებისთვის დისციპლინური სანქციების შეფარდება; პროფესორებისა და ადვოკატების დანიშვნა საკასაციო სასამართლოების მოსამართლეებად; სასამართლო სისტემისათვის ბიუჯეტიდან გამოსაყოფი სახსრების ოდენობის დადგენა.¹

იტალიისა და საფრანგეთისგან განსხვავებით, ესპანეთში სასამართლო ხელისუფლების თვითმმართველობის ორგანოს წარმოადგენს გენერალური საბჭო, რომელსაც ესპანეთში კონსტიტუციის 122-ე მუხლის თანახმად, სათავეში უდგას უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.² გენერალურ საბჭოს წარმოადგენს ასევე მონარქის მიერ 5 წლის ვადით დანიშნული 20 წევრი, რომლებიც შეადგენენ პლენუმს, მუდმივმოქმედ კომისიასა და საკვალიფიკაციო კომისიას. აღსანიშნავია, რომ კორტესების თითოეული პალატა საბჭოში დასანიშნად წარმოადგენს ათ-ათ წევრს, რომელთაგან ექვსი აირჩევა მოსამართლეთა რიცხვიდან, ოთხი კი პროკურორებისა და სხვა იურისტებისაგან, რომლებსაც აუცილებელია ჰქონდეთ სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 15 წლის სტაჟი. გენერალური საბჭო: შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, მონარქს დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას, ნიშნავს მოსამართლეებს, არეგულირებს მათ შორის არსებულ ადმინისტრაციულსა და დისციპლინურ ურთიერთობებს.

საბერძნეთში, კონსტიტუციის 90-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეების თანამდებობებზე გადაადგილება ხდება პრეზიდენტის დეკრეტით, თუ არსებობს ამის შესახებ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წინასწარი გადანყვეტილება. საბჭოს ხელმძღვანელობს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე, მასში წევრებად ირიცხებიან უმაღლესი სასამართ-

1. *ო. ბეტიტაშვილი, ო. მელქაძე, იტალიის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, გვ. 132.*

2. *Конституции зарубежных стран, Москва, 1997, стр. 329.*

ლოს შემადგენლობიდან წილისყრით დანიშნული პირები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სასამართლოში მუშაობის 2 წლის სტაჟი მაინც. თუ იუსტიციის მინისტრი არ ეთანხმება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს მიმართოს შესაბამისი უმაღლესი სასამართლოს საერთო კრებას, რომლის გადანყვეტილებაც სავალდებულოა იუსტიციის მინისტრისთვის.

საბერძნეთის სასამართლო სისტემის ყველა რგოლის მოსამართლეთა დისციპლინურ დევნას, კონსტიტუციის 91-ე მუხლის შესაბამისად, ახორციელებს უმაღლესი დისციპლინური საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არიან: სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, სახელმწიფო საბჭოს ორი ვიცე-თავმჯდომარე, საკასაციო სასამართლოს ორი ვიცე-თავმჯდომარე, საანგარიშო პალატის ორი ვიცე-თავმჯდომარე, ორი პროფესორი, რომლებსაც აქვთ იურიდიულ ფაკულტეტზე მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი. დისციპლინურ წარმოებას ყველა შემთხვევაში აღძრავს იუსტიციის მინისტრი.¹

მოსამართლეთა, ე.წ. წარმომადგენლობითი ორგანოები მოქმედებენ გერმანიაში, სადაც კანონმა მოსამართლეების შესახებ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული საბჭო დააფუძნა. პირველს წარმოადგენს პრეზიდენალური საბჭო, რომელიც იქმნება მოსამართლეთა დანიშვნა-არჩევის და საერთო თუ სოციალური ხასიათის საკითხების გადანყვეტაში მონაწილეობის მიზნით, სულ სხვაა სასამართლოს საქმეთა მართვის მიზნით მოსამართლეთა მიერ შექმნილი პრეზიდენიუმი, რომელიც საზღვრავს სასამართლოს კოლეგიის შემადგენლობას, არეგულირებს მოსამართლეთა ვაკანსიების შევსების წესს და ანაწილებს მოვალეობებს.²

გერმანული მართლმსაჯულების სისტემის კიდევ ერთი თავისებურება სასამართლო სამსახურის საქმეთა ფედერალური სასამართლოა. ეს არის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სპეციალური პალატა, რომელსაც გადანყვეტილებები გამოაქვს დისციპლინური ხასიათის საკითხებზე და განსაზღვრული სამსახურის თავისებურებებთან კავშირში სამსახურებრივ სამართალს ეხება. ფედერალური ინსტანციების მოსამართლეთათვის აღნიშნული სასამართლო ერთადერთი სასამართლო ინსტანციაა, ხოლო მინის ინსტანციების მოსამართლეთათვის იგი სარევიზიო ინსტანციას წარმოადგენს.³

1. *Конституции зарубежных стран, Москва, 1997. стр. 411.*

2. *ო. მელქაძე, ნ. რამიშვილი, გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1999, გვ.149.*

3. *იქვე*

უკრაინაში მოქმედებს სასამართლო თვითმმართველობის ორგანო – იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის 20 წევრის დანიშვნას თუ არჩევას ახორციელებს სხვადასხვა ორგანო: უმაღლესი რადა; პრეზიდენტი; მოსამართლეთა, ადვოკატთა, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენელთა, პროკურატურის მუშაკთა კონფერენციები. საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან: უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, გენერალური პროკურორი, იუსტიციის მინისტრი. საბჭოში პრეზიდენტს შეაქვს წინადადება მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ, იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლეებისა და პროკურორების მიერ თანამდებობრივი შეუთავსებლობის პრინციპების დარღვევის შემთხვევაში, ახორციელებს დისციპლინურ წარმოებას უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ.

ბრაზილიაში, ერთი მხრივ, სასამართლო კორპუსის ადმინისტრაციული და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს წყვეტს სპეციალური ორგანო – მაგისტრატურა, მეორე მხრივ კი, ფედერალური უმაღლესი სასამართლოს და სხვა მალა სასამართლოებს, მათ შორის სპეციალურ სასამართლოებს, ქვემდგომი სასამართლოების მიმართ, ორგანიზაციული სახის უფლებამოსილებანი აქვთ, კერძოდ, შეუძლიათ შეცვალონ ქვემდგომი სასამართლოების რაოდენობა და მათი შემადგენლობა.

იაპონიაში სასამართლო თვითმმართველობის გარკვეულ უფლებამოსილებებს ფლობს 15 წევრისაგან შემდგარი უმაღლესი სასამართლო. ის განაწევრებს სასამართლო პრაქტიკას, გამოსცემს მითითებებს ქვემდგომი სასამართლოების მიმართ, დებულებებს სასამართლოსთან მოქმედი პროკურატურის შესახებ, გამოსცემს აქტებს სასამართლო დისციპლინის თაობაზე.

ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის კენ მიმართული პოლიტიკური ნების გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებში სასამართლო თვითმმართველობის ფორმების დაფუძნება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების საკონსტიტუციო პოლიტიკისათვის დამახასიათებელია, როგორც ევროპული სამართლებრივი ტრადიციების დამკვიდრებისა კენ სწრაფვა, ასევე შეიმჩნევა ტოტალიტარული წარსულის გადმონაშთებიც. პრობლემები უკავშირდება არამარტო სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პროცესს, არამედ ასევე ისეთი გარდამავალი ამოცანების შესრულებას, როგორცაა კომუნისტური რეჟიმიდან მმართველობის დემოკრატიულ პრინციპებზე გადასვლა. სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ტოტალიტარული სისტემის პირმშო ძველი მმართველი ფენის

შეცვლა ახალი ძალებით, რომლებიც ახალი ღირებულების დამკვიდრები-
საკენ ისწრაფვიან.

როგორც აღმოჩნდა, ძველი ნესრიგისა და პრინციპების შეცვლა უაღ-
რესად რთულ ამოცანას წარმოადგენს, თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ
სასამართლოში ახალი კადრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა
იყოს არა მხოლოდ სათანადო პროფესიული კვალიფიკაცია, არამედ,
ასევე, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისად-
მი მორჩილების პრინციპის ერთგულება. სამართლებრივი სახელმწიფოს
ფორმირების პროცესში მყოფი ყველა ქვეყნისთვის საერთო პრობლემებს
ართულებს საზოგადოების ცალკეული ჯგუფების რეაქციული განწყობა,
მიმართული ტრანსფორმაციის პროცესის გაჭიანურებისკენ, განსაკუთრე-
ბით, მოსამართლეთა ძველი კონტინგენტის შეცვლის საკითხში. რეფორმ-
ისტული და მონინაალმდევე ძალთა თანაფარდობა მნიშვნელოვანწილად
განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი სასამართლო ხელისუფლების
ორგანიზაციულ მოდელსა და თვითმმართველობის ხარისხს. აქედან გა-
მომდინარე, კონსტიტუციური ორიენტირებისა და პოლიტიკური ორიენ-
ტაციის შედარებითი ანალიზის მიზნით, განსახილველი თემის კონტექსტ-
ში, მიზანშეწონილია, საგანგებოდ მოვახდინოთ სასამართლოს ორგა-
ნიზაციისა და თვითმმართველობის სხვადასხვა მოდელს შორის დიფერ-
ენციაცია, სწორედ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების
მაგალითზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ხელისუფლების მმართველო-
ბა გადაეცემა სახელმწიფოს უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოებს, სასა-
მართლოს პერსონალის ორგანიზაციის პრინციპები სპეციალურად გან-
ისაზღვრება კონსტიტუციით, მაგალითად, როგორც ეს მოხდა ლიტვასა
და აზერბაიჯანში. მაგრამ, როდესაც სასამართლო ხელისუფლების
მმართველობა ხორციელდება ამა თუ იმ სასამართლო საბჭოს მიერ,
რომელიც შედგება უშუალოდ მოსამართლეების მიერ არჩეული ან დანიშ-
ნული პირებისგან, უპირატესობა ენიჭება თვითმმართველობის პრინციპს
და ამ შემთხვევაში მოსამართლეთა პროფესიულ კვალიფიკაციას ნაკ-
ლებმნიშვნელოვანი როლი ენიჭება, როგორც ეს მოხდა რუმინეთსა და
ბულგარეთში. ამ ქვეყნებში ძირითადი გარანტიები უზრუნველყოფილია
სასამართლო კორპუსის წარმომადგენლობითი ორგანოებისთვის უფლე-
ბამოსილებათა ფართო სპექტრის გადაცემითა და პოლიტიკური ორგა-
ნოების უფლებამოსილების შეზღუდვით.

ტერმინ „თვითმმართველობას“ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული
დატვირთვა ენიჭება. სრულყოფილი თვითმმართველობა მხოლოდ იმ
შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც შესაბამისი ორგანოს ყველა წევრი

აირჩევა უშუალოდ სასამართლო ორგანოების მიერ. სავარაუდოა, რომ ამ საკითხში სასამართლოების შეზღუდვა გარკვეულ დადებით მომენტსაც შეიცავს, იმის გათვალისწინებით, რომ თავიდან იქნება აცილებული ამბიციების მქონე „მოსამართლეთა ფენის“ ჩამოყალიბება. საფრთხე კიდევ უფრო რეალური ხდება, როცა იგი პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებს უკავშირდება, სადაც მოსამართლეთა უმრავლესობა კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში დაინიშნა თანამდებობაზე. თუმცა, არ არის გამორიცხული, ამ თვალსაზრისით რეაქციული როლი სხვა ორგანოებმა შეასრულონ, თუნდაც, საკონსტიტუციო სასამართლომ. მაგალითად, ბულგარეთის კონსტიტუციის „გარდამავალი და დასკვნითი დებულებების“ მე-5 პარაგრაფის მიხედვით, მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები უვადოდ დანიშნულად ჩაითვლებიან, თუ უმაღლესი სასამართლო საბჭო შექმნიდან სამი თვის ვადაში არ მიიღებს დადგენილებას მათ მიმართ სათანადო პროფესიული თვისებების არქონის შესახებ. კონსტიტუციის ამ დებულების, ასევე 130-ე და 131-ე მუხლების საფუძველზე მიღებულ კანონმდებლობას უმაღლესი სასამართლო საბჭოს საქმიანობის შესახებ, მოჰყვა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებისა და შერჩევის ახალი პროცედურის დანერგვა. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსამართლეთა არსებულ, ძველ კონტინგენტში, რაც საკონსტიტუციო დავებში გადაიზარდა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს რეაქციულმა გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა იმ სიძნელეების არსებობა, ტოტალიტარული სისტემიდან ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფო ფორმაზე გადასვლას რომ ახლავს თან. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ აუკრძალა საპარლამენტო უმრავლესობას შემოვლითი გზით სასამართლო კორპუსის შეუფერებელი წევრების გზიდან ჩამოცილება იმ კრიტერიუმების მანიპულირებით, მოსამართლეობის კანდიდატს რომ წარედგინება.

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიის – უმაღლესი სასამართლო საბჭოს პროგრესული პოზიციის რეალიზება მნიშვნელოვნად შეაფერხა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანომ, რომელიც თავად უნდა გამოდიოდეს კანონიერებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველეს ფლაგმანად.

არსებითად, ნებისმიერი სახის ზედამხედველობა თუ სასამართლო ორგანოებზე ზეგავლენის შესაძლებლობა, ხელისუფლების სხვა შტოთა მხრიდან, დასაშვებია განხორციელდეს არაპირდაპირი გზით, სასამართლო ორგანოების მმართველობაზე პასუხისმგებელი ორგანოების ფორმირებაზე კონტროლის მეშვეობით. ჩვენი აზრით, ეს მოდელი კიდევ უფრო გაამყარებს „შეკავება-განონანსორების“ კონცეფციის რეალურ მოქმედებას.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მოქმედი სასამართლო თვითმმართველობის მოდელები შემუშავებულ იქნა ზოგიერთ დასავლეთევროპული სახელმწიფოს, მაგალითად, იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის გამოცდილების საფუძველზე.

ბულგარეთის კონსტიტუციის 129-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეებს, პროკურორებსა და გამომძიებლებს ნიშნავს, აწინაურებს, ჩამოაქვეითებს, თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი სასამართლო საბჭო, რომელიც 25 წევრისგან შედგება. მასში თანამდებობის მიხედვით გაერთიანებულნი არიან უმაღლესი საკასაციო სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეები და გენერალური პროკურორი. წევრებად აირჩევიან მაღალი პროფესიული და მორალური თვისებების მქონე იურისტები, რომელთაც აქვთ იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 15 წლიანი სტაჟი. თერთმეტ წევრს ირჩევს სახალხო კრება, თერთმეტს – სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, ამასთან, მათგან სულ მცირე, 5 წევრი უნდა წარმოადგენდეს მოსამართლეს, პროკურორს ან გამომძიებელს. მათი უფლებამოსილების ვადა 5 წელს შეადგენს. საბჭოს თავმჯდომარეობს იუსტიციის მინისტრი, მაგრამ კენჭისყრაში არ მონაწილეობს. აღსანიშნავია, რომ ბულგარეთში მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენება შედის იმ საბჭოების კომპეტენციაში, რომლის შემადგენლობაშიც შეირჩევიან უმაღლეს საკასაციო სასამართლოსთან მოქმედი დისციპლინური კომიტეტის წევრები.

ტერმინი „თვითმმართველობა“ სრულიად შეეფერება და ადეკვატურად ასახავს ხორვატიის რესპუბლიკის სასამართლო ვერეს არსს, რომლის წევრებს, ავტორიტეტულ იურისტთა რიგებიდან, მაღალი პალატის წარდგინებით, ირჩევს წარმომადგენლობითი პალატა. ვერეს უფლება აქვს, დანიშნოს მოსამართლეები, ასევე მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლეთა სტატუსთან დაკავშირებულ ძირეულ საკითხებზე. მიუხედავად ამგვარი სტატუსისა, პრაქტიკულად, ვერემ გამოავლინა მზადყოფნა, გაეთვალისწინებინა იუსტიციის სამინისტროს წინადადებათი, რომლებიც შეეხებოდა იმ მოსამართლეთა თანამდებობიდან გადაყენებას, რომლებსაც აღმასრულებელი ხელისუფლება თანამდებობისთვის შეუფერებლად მიიჩნევდა. პრაქტიკაში გამოხატული ეს თავისებურება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სასამართლო ხელისუფლება არ არის დაზღვეული აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისაგან.

წმინდა საკონსტიტუციო უფლებამოსილება აქვს მაგისტრატურის თვითმმართველობის ორგანოს ლიტვაში, რომლის კონსტიტუციის 112-ე მუხლის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტს მოსამართლეთა დანიშ-

ნის, დანინაურების, გადაყენების, ან დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ რჩევას აძლევს კანონით გათვალისწინებული სპეციალური ინსტიტუტი, რომელიც 1995 წლის თებერვალში, მოსამართლეთა ყრილობაზე პირდაპირი არჩევნების გზით იქნა შემოღებული.

უნგრეთში, „სასამართლოების შესახებ“ კანონის საფუძველზე, ფუნქციონირებს ნაციონალური სასამართლო საბჭო. იგი შედგება 21 წევრისა და 20 მოსამართლისაგან, რომლებსაც აირჩევენ ქვეყნის ცალკეული რეგიონის მოსამართლეთა პლენარულ სხდომაზე. ეს ორგანო არ მონაწილეობს მოსამართლეთა სტატუსთან დაკავშირებულ პროცესში, არამედ ახორციელებს მთელ რიგ უფლებამოსილებებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკურ ორგანოებს ენიჭებათ თვით იმ დასავლეთევროპულ სახელმწიფოებში, სადაც სასამართლო თვითმმართველობის ინსტიტუტი მოქმედებს. კერძოდ, ნაციონალური სასამართლო საბჭო ამტკიცებს სასამართლო ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ წლიურ ბიუჯეტს, გამოყოფს ასიგნებებს სხვადასხვა რეგიონული სასამართლო ორგანოსთვის და შრომის ანაზღაურების ფონდს მოსამართლეებისა და დამხმარე პერსონალისათვის. ეროვნული სასამართლო საბჭოს დასტურს საჭიროებს ასევე იუსტიციის მინისტრის განკარგულება, რომელიც სასამართლოთა მმართველობას შეეხება. გარდა ამისა, ეს ორგანო საკუთარ შეხედულებებს წარუდგენს საკანონმდებლო ხელისუფლებას იმ კანონპროექტების შესახებ, რომლებიც სასამართლო ორგანოებისა და მოსამართლეების სტატუსს შეეხება.

სასამართლო თვითმმართველობის ორგანოს მსგავსი უფლებამოსილებით აღჭურვა მიმართულია სასამართლო ხელისუფლების მაქსიმალურად დასაცავად სხვა ხელისუფლებათა მხრიდან ჩარევისა და ზეწოლისგან, რაც შეიძლება გამოიხატოს საკანონმდებლო და საფინანსო უფლებამოსილებით მანიპულირებაში. ამ კონტექსტში განსხვავებული ვითარებაა მოლდოვაში, სადაც სასამართლო ორგანოების ბიუჯეტის შესახებ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პარლამენტს ეგზავნება დასამტკიცებლად. ჩვენი აზრით, შედარებით ლოგიკური წესი მოქმედებს სლოვენიაში, სადაც სასამართლო აღჭურვილია საკონსტიტუციო უფლებამოსილებით სასამართლო ორგანოების ბიუჯეტებსა და შესაბამის კანონმდებლობასთან მიმართებაში.

სლოვენის სასამართლო საბჭოს დაკომპლექტებაში ხელისუფლების სამივე შტო იღებს მონაწილეობას. როგორც ამ ქვეყნის კონსტიტუციის 131-ე მუხლიდან ირკვევა, აქ არსებული 11 წევრიანი საბჭოს 5 წევრს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს სახელმწიფო კრება, ძირითადად, უნივერსიტეტის სამართლის პროფესორების, ადვოკატებისა და სხვა იურისტთა რიგ-

ბიდან. ექვს ნევრს კი თავიანთი რიგებიდან ირჩევენ ის მოსამართლეები, რომლებიც სასამართლო ფუნქციას უვადოდ ახორციელებენ. თავმჯდომარეს უშუალოდ სასამართლო საბჭო ირჩევს საკუთარი წევრებიდან. სლოვენიაში ამ ორგანოს ფორმირების სქემიდან ნათლად ჩანს, რომ მისი არცერთი წევრი არ ინიშნება უშუალოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ.

პოლონეთში არსებული სასამართლო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება გამოვყოთ პირთა სამი კატეგორია: პირველი – ეს არის უმაღლესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირები; მეორე – ეს არის უმაღლესი სასამართლოს, საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული სასამართლოებისა და სამხედრო სასამართლოების მოსამართლეთა რიცხვიდან არჩეული 15 წევრი; მესამე – ეს არის სეიმის მიერ არჩეული 4 დეპუტატი და სენატის მიერ არჩეული 2 წევრი. საბჭოს კომპეტენციაში ყურადღებას იმსახურებს მისი უფლება, მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს კონსტიტუციასთან ნორმატიული აქტების იმ ნაწილში შესაბამისობის განსასაზღვრავად, რომელიც ეხება სასამართლოსა და მოსამართლეების დამოუკიდებლობას.

რუმინეთის მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში შედიან ოთხი წლის ვადით დეპუტატთა პალატისა და სენატის ერთობლივ სხდომაზე არჩეული პირები. ეს ორგანო საფრანგეთის ანალოგიური სტრუქტურის მსგავსად ფუნქციონირებს, ვინაიდან იგი პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებას მოსამართლეებისა და პროკურორების თანამდებობაზე დანიშნის შესახებ. ამ დროს სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით იუსტიციის მინისტრი თავმჯდომარეობს. საბჭო განიხილავს ასევე მოსამართლეთა დისციპლინურ დარღვევებს და ამ სხდომებს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე უძღვება.

როგორც ვხედავთ, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს სამართლებრივი სახელმწიფოსათვის ესოდენ აუცილებელი, სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციული სტრუქტურის დასავლური მოდელის ათვისების გზაზე.

4-2. მოსამართლის სტატუსი

მოსამართლის სტატუსს განაპირობებს, ერთი მხრივ, თანამდებობაზე მისი დანიშნისა თუ არჩევის და თანამდებობიდან წასვლის წესი, მეორე მხრივ, იმ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა, რომელიც მას აქვს მნიშვნელოვანი, ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მის საქმიანობას.

სასამართლოებში მოსამართლეების გარდა, მსახურობს სხვადასხვა სახელმწიფო მოსამსახურე: სასამართლო გამომძიებლები, კანცელარიის მუშაკები, სხდომათა მდივნები, პროკურორები. საფრანგეთსა და იტალიაში მოსამართლეებს, პროკურორებს, სასამართლო გამომძიებლებს განზოგადებით მაგისტრატებს უწოდებენ. დანარჩენი პირები კი სასამართლო დანესებულებების სხვა კატეგორიის მოსამსახურეებს წარმოადგენენ, ტექნიკურ და ზოგიერთ ორგანიზაციულ ფუნქციას ასრულებენ. ბუნებრივია, მაგისტრატებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკუთვნით მოსამართლეებს, რომელთა რაოდენობა საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო დანესებულებებში განსხვავებულია. რაიონულ და საოლქო სასამართლოებში, რომლებიც საქმეებს პირველი ინსტანციით იხილავენ, შეიძლება იყოს 10-მდე და მეტი მოსამართლე. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში მსახურობს 9 მოსამართლე, იაპონიაში – 16, ინდოეთში – 17, გერმანიის ხუთი ფედერალური სასამართლოდან თითოეულში საშუალოდ – 21 მოსამართლე. დოქტორ თეოდორ შვარსფურტის მითითებით, მოსამართლეთა რაოდენობა გერმანიაში შედარებით დიდია, დაახლოებით სამჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთში. ამასთან დაკავშირებით კი გამოითქმის სინანული, რომ სამართლებრივი სახელმწიფო მოსამართლეთა სახელმწიფოდ გადაიქცა, რადგან სასამართლოები პოლიტიკურსა და მმართველობით სფეროში გამოტანილი გადაწყვეტილებების კომენტირებას ახდენენ. მისწრაფება, განსაკუთრებით სახელმწიფოს ან მმართველობითი ორგანოების წინააღმდეგ წამოიხსონ პროცესი, ამჟამად ისეა გავრცელებული, ხოლო ამის შესაძლებლობანი იმდენად ფართოა, რომ სასამართლო ინსტანციებში სიარული ჩვეულებრივ მოვლენად იქცა არა მხოლოდ მოქალაქეთათვის, არამედ, ასევე, თანამდებობის პირებისთვის.¹

მოსამართლის სამართლებრივი სტატუსის საფუძველს შეადგენს კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც განამტკიცებს ზოგიერთ პრინციპულ დებულებას ამ საკითხზე. შემდგომ, ისინი გარკვეულ განვითარებას კპოვებს ორგანულ კანონებსა და მიმდინარე კანონმდებლობაში. რა თქმა უნდა, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური აქტები, სხვადასხვა მოცულობით, შეიცავს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფელ პრინციპებს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი, უკლებლივ ყველა მოქმედ კონსტიტუციამია ჩამოყალიბებული, კერძოდ ისეთი, როგორცაა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მათი შეუცვლელობა და მოსამართლის თანამდებობის შეუთავსებლობა სხვა საქმიანობასთან.

1. Вальтер Рудольф. Проблемы федерализма в ФРГ/Современный немецкий конституционализм/ Институт Государства и права, Москва, 1994, с. 14.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი ყველაზე თვალსაჩინო გარანტიაა იმისა, რომ არსებობს დამოუკიდებელი ხელისუფლება, რომელიც გამოყოფილია ხელისუფლების სხვა შტოთაგან და ემორჩილება მხოლოდ კანონს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრაქტიკულად ყველა კონსტიტუციაშია მოცემული ეს დებულება. მაგალითად, მას ეძღვნება საფრანგეთის კონსტიტუციით 64-ე მუხლი, იტალიის კონსტიტუციის 101-ე მუხლი, ესპანეთის კონსტიტუციის 117-ე მუხლი, გერმანიის ძირითადი კანონის 92-ე მუხლი, ლიტვის კონსტიტუციის 144-ე მუხლი, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 120-ე მუხლი, იაპონიის კონსტიტუციის 76-ე მუხლი და ა.შ.

მონღოლეთის 1992 წლის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, უმაღლესი სახელმწიფო ხურალის წევრს ან მთავრობის წევრს, ასევე არც ერთ სხვა პირს, რომელსაც უკავია თანამდებობა სახელმწიფო, პარტიულ, საზოგადოებრივ ან ნებისმიერ სხვა ორგანიზაციაში, არა აქვს უფლება ჩაერიოს მოსამართლის საქმიანობაში (მუხლი 49). ამასთან, იგულისხმება, რომ მოსამართლეებმა დაიკავეს თავიანთი პოსტები სათანადო პროცედურის დაცვით და მართლმსაჯულება ხორციელდება შესაბამისი მოსამართლეების მიერ. ბევრ ქვეყანაში კონსტიტუცია არ იფარგლება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპის უბრალო დეკლარირებით და მართლმსაჯულების მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს დამატებითი იურიდიული გარანტიებით. სწორედ ამ ნიშნის მატარებელია იტალიის კონსტიტუციის 102-ე მუხლი, იაპონიის კონსტიტუციის 76-ე მუხლი. არანაკლები მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ორგანიზაციულსა და მატერიალურ-ფინანსურ გარანტიას, რომლებიც განსაზღვრულია, მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუციის 118-ე მუხლით, პორტუგალიის კონსტიტუციის 209-ე მუხლით, მონღოლეთის კონსტიტუციის 48-ე მუხლით, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 124-ე მუხლით და ა.შ.

დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს მოსამართლეთა კორპუსის ფორმირების დემოკრატიული პროცედურა, რომელიც გამორიცხავს მოსამართლეებზე ზენოლას ხელისუფლების სხვა შტოთა მხრიდან. მოსამართლეთა კორპუსის ფორმირების პროცედურა მოიცავს ორ ძირითად, წინასწარსა და უშუალოდ დაკომპლექტების ეტაპს. პირველი ეტაპი გულისხმობს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევას. მათი პროფესიული მომზადების დონე და კვალიფიკაცია, განათლება, ასაკი, შესაბამისად, მათი გამოცდილება და პროფესიული ავტორიტეტი, ასევე მორალური თვისებები და შესაძლებლობები მეტად მაღალ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. პოლონეთში მოსამართლის თანამდებობაზე ინიშნება პირი, რომელსაც შეუსრულდა 26 წელი, არის პოლონეთის მოქალაქე და სრულად სარგებლობს მოქალაქის უფლებებით, აქვს უმნიშვნელო ხასიათი და უმაღლესი

სი იურიდიული სასწავლო დაწესებულების დიპლომი, ჩააბარა მოსამართლის ან პროკურორის საკვალიფიკაციო გამოცდები და იმუშავა არანაკლებ 1 წელი, როგორც სტაჟიორმა, პროკურატურაში ან სასამართლოში.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 119-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეობის კანდიდატი შეიძლება იყოს 24 წელს მიღწეული რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, უმაღლესი იურიდიული განათლებითა და იურიდიული პროფესიით, მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი სტაჟით.

იტალიაში სასამართლო ფუნქციის განსახორციელებლად დაიშვება ამ ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც აქვს სამოქალაქო ქმედუნარიანობა, უმნიშვნელო რეპუტაცია, აკმაყოფილებს ყველა იმ პროფესიულ მოთხოვნას, რომელიც კანონითაა დადგენილი.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში სასამართლო ორგანოების ფორმირებასთან დაკავშირებით, თუ ერთი მხრივ, განმტკიცებულია მსგავსი მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ მოსამართლეობის კანდიდატები, მეორე მხრივ, დაუშვებლად მიიჩნევა დისკრიმინაცია არასამართლებრივი მოტივების გამო, როგორცაა – რასა, კანის ფერი, სქესი, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებანი, ეროვნება, სოციალური წარმოშობა, ქონებრივი მდგომარეობა და სხვ.

პირებს, რომლებსაც პრეტენზია აქვთ უმაღლეს სასამართლო ორგანოში თანამდებობის დაკავებაზე, წაეყენებათ უფრო მაღალი მოთხოვნები. კანდიდატის სამეცნიერო, ან სხვა აკადემიური ხარისხი, როგორც წესი, აიძლევა მის მიერ მოსამართლის თანამდებობის დაკავებას. სახელმწიფოთა უმრავლესობის კანონმდებლობა ერთი ასპექტით განიხილავს კანდიდატის პროფესიულ ღირებულებას და მის მორალურ სახეს. მოსამართლის ქცევა ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა იყოს სანიმუშო (აშშ-ის სასამართლო ეთიკის კანონების მე-4 პუნქტი), ხოლო რეპუტაცია – უმნიშვნელო (სასამართლო წყობილების შესახებ რუმინეთის კანონის მე-6 მუხლი). ეს მოთხოვნები ხაზს უსვამს მოსამართლის საზოგადოებრივი ავტორიტეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მის მიერ სოციალური კონტროლის ფუნქციის განხორციელების საქმეში.¹ გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლეობის კანდიდატი ლოიალობას უნდა იჩინდეს არსებული რეჟიმის ან მმართველობის პრინციპებისა და ფორმის მიმართ. ამას ითვალისწინებს მოსამართლეობის შესახებ გერმანიის კანონის მე-9 პარაგრაფი, სასამართლოს შესახებ უნგრეთის კანონის 52-ე მუხლი, მაგისტრატურის სტატუსის შესახებ საფრანგეთის კანონის მე-10 მუხლი.

1. Glick V. Emmert C., Characteristics of State Supreme Court Judges/ American Court Reading in Judicial/ Process and Behavior. N.Y. 1990. p. 316-317.

მოსამართლის თანამდებობაზე კანდიდატების პირველადი შერჩევის ფუნქციას, კანონით დადგენილი წესით, ასრულებენ სხვადასხვა ორგანო და თანამდებობის პირები, რაც სრულად ასახავს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაციის თანმიმდევრულობას და ლოგიკას ამა თუ იმ ქვეყანაში. ასეთი ორგანო შეიძლება იყოს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო, როგორც ეს არის საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, მონღოლეთში, პოლონეთში, რუმინეთში, ან იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური – საკვალიფიკაციო, საკადრო კომისიები, როგორც ეს არის ავსტრიაში, უნგრეთში, გერმანიაში, აშშ-ში, რუსეთში, ან თავად სასამართლოები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მოსამართლეობის კანდიდატებს რეკომენდაციას აძლევს ლორდ-კანცლერის უწყება, იაპონიაში კი ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეებს შეარჩევს უმაღლესი სასამართლო.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა კორპუსის ფორმირება და სასამართლო ინსტიტუტების მმართველობის განხორციელება ყველაზე ოპტიმალურ ფორმად წარმოდგება. ეს მნიშვნელოვანწილად ამცირებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსა თუ ჩინოვნიკების მხრიდან მოსამართლეებზე ზენოლას და ზეგავლენას. მეორე მხრივ, სასამართლოების დაკომპლექტების პროცესში თავიდანვე მონაწილეობენ ის პირები ან მათი წარმომადგენლები, რომლებიც იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას. მათ ექმნებათ ნათელი წარმოდგენა კონკრეტულ კანდიდატებსა და მთლიანად მომავალი მოსამართლეების კვალიფიკაციის საშუალო დონეზე, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მოსამართლეთა კორპუსის ფორმირების მეორე, დასკვნით სტადიაზე. მაგალითად, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოები საფრანგეთსა და იტალიაში განიხილავენ ყველა საკითხს, რომელიც შეეხება მოსამართლეთა საქმიანობას: შერჩევა, დანიშვნა, დანიშნაურება, გადაყვანა სხვა თანამდებობაზე, დისციპლინური პასუხისმგებლობა და სხვ.

ანალოგიური ფუნქციები აქვს ესპანეთში სასამართლო ხელისუფლების მთავარ საბჭოს, მონღოლეთში არსებულ გენერალურ სასამართლო საბჭოს, სრულიად პოლონეთის მოსამართლეთა საბჭოს. ეს უკანასკნელი განიხილავს მოსამართლეობის კანდიდატებს და წარუდგენს პრეზიდენტს დასანიშნად, განიხილავს მოსამართლეთა განცხადებებს სხვა რეგიონში სამუშაოდ გადაყვანის თაობაზე, ადგენს უმაღლესი დისციპლინური სასამართლოსა და სხვა დისციპლინური სასამართლოების წევრთა საერთო რაოდენობას, წყვეტს მოსამართლეთა პროფესიული ეთიკის საკითხებს, იძლევა განზოგადებულ ანგარიშს მოსამართლეთა კორპუსის საქმიანობის შესახებ და დასკვნებს მთლიანად ქვეყანაში კადრების მდგომარეობის

მესახებზე, აქტიურად მონაწილეობს სასამართლოში სტაჟირების, სწავლების ორგანიზებასა და თარიღების დადგენაში.

იმისთვის, რომ პირი შეიტანონ მოსამართლეობის პრეტენდენტთა სიაში, სახეზე უნდა იყოს მისი განცხადება და კანონით დადგენილ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობა. არსებობენ სახელმწიფოები, სადაც მოსამართლედ დანიშნამდე პირი გადის რამდენიმე საფეხურს იურიდიულ სამსახურში, რასაც ხანგრძლივი დრო სჭირდება და შეუძლებელია მოსამართლე ახალგაზრდა პირი იყოს. მაგალითად, გერმანიაში უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის დამთავრებისა და სახელმწიფო-თეორიული გამოცდების ჩატარების შემდგომ, მოსამართლეობის კანდიდატი გადის ხანგრძლივ სტაჟირებას სასამართლოში, ჩვეულებრივ, საკანცელარიო თანამდებობაზე, გამომძიებლის თანამდებობაზე და სხვ. ამის შემდეგ კი პირმა უნდა ჩააბაროს პრაქტიკული გამოცდა მოსამართლეობისა და სასამართლოს სხვა მუშაკების შემადგენლობით შექმნილი კომისიის წინაშე. ვინც ამ გამოცდას ჩააბარებს, ენიჭება მოსამართლის წოდება, მაგრამ არა თანამდებობა, მას, უბრალოდ, შეიყვანენ მოსამართლეობის კანდიდატთა სიაში. მსგავს სიებს ადგენს როგორც იუსტიციის ფედერალური სამინისტრო, ასევე მინების იუსტიციის სამინისტროები. კანდიდატებმა გარკვეული დროის მანძილზე იუსტიციის ორგანოებში სხვა თანამდებობაზე უნდა იმუშაონ.

გერმანიისგან განსხვავებით, შვედეთში, უკრაინაში, იტალიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მოსამართლის თანამდებობის დაკავება შედარებით მცირე დროს მოითხოვს. იტალიის კონსტიტუციის 106-ე და 107-ე მუხლების მიხედვით, მაგისტრატები ინიშნებიან კონკურსში გამარჯვების შემდეგ. ამასთან, დასაშვებია საპატიო მოსამართლეობის დანიშვნა ან არჩევა, რომლებიც საქმიანობენ საზოგადოებრივ სანყისებზე და მათ განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს ერთპიროვნულად წყვეტენ. განსაკუთრებული დამსახურების შემთხვევაში, მაგისტრატურის უმაღლესმა საბჭომ საკასაციო მრჩევლების თანამდებობაზე შეიძლება მოინვიოს უნივერსიტეტის სამართლის პროფესორები და 15 წლიანი მუშაობის სტაჟის მქონე ადვოკატები. სხვა შემთხვევაში, სანამ პირი გახდებოდეს მოსამართლე ან პროკურორი, მან უნდა გაიაროს სტაჟირება სასამართლო აუდიტორის თანამდებობაზე, რისთვისაც ტარდება კონკურსი სამი წერილობითი გამოცდის: სამოქალაქო და რომის სამართალში, სისხლის სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალში და 8 ზეპირი გამოცდის სახით: რომის სამართალში, სამოქალაქო სამართალში, სამოქალაქო პროცესში, სისხლის სამართალსა და პროცესში, ადმინისტრაციულსა და კონსტიტუციურ სამართალში, შრომისა და სოციალურ კანონმდებლობაში, საეკლესიო სამართალში, საერთაშორისო სამართალსა და სტატისტიკის საფუძვლებ-

ში. თითოეულ წერილობით გამოცდაზე საჭიროა პრეტენდენტმა მიიღოს არანაკლებ 12 ქულა 20 შესაძლებელიდან, ზეპირში კი არანაკლებ 6, 10 შესაძლებელიდან, მთლიანად კი აუცილებელია არანაკლებ 91 ქულის დაგროვება. კონკურსში დაიშვებიან 21 წლიდან 30 წლამდე პირები, რომელთაც აქვთ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დიპლომი. თუ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო მიიჩნევს, რომ პირი არ აკმაყოფილებს ზნეობრივ მოთხოვნებს, ის არ დაიშვება კონკურსზე, ხოლო ამ საკითხის გარშემო დავა არ განიხილება. აღნიშნული კონკურსი ტარდება რომში, ნელინადში ერთხელ.

მოსამართლეები ბრაზილიაშიც კონკურსის გზით შეირჩევიან. კონკურსის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობს ბრაზილიის ადვოკატთა ორგანიზაცია. შვედეთში მოსამართლედ ცენტრალური მთავრობის მიერ ინიშნება მხოლოდ შვედეთის მოქალაქე, რომელსაც უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება და ჩააბაროს კანონით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო გამოცდა. ამასთან, თანამდებობაზე დანიშვნის წინ მოსამართლე დებს ფიცს. მოსამართლეებს ესტონეთშიც ღია კონკურსის გზით ინიშნავენ, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია იურისტის კვალიფიკაციის მქონე ესტონეთის ყველა მოქალაქეს. უნგრეთში უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს მის მიერ სპეციალური გამოცდის ჩაბარება, რამდენადაც უმაღლეს სასამართლო პოსტებზე დანიშვნა ხორციელდება საკონკურსო გამოცდის შედეგების გათვალისწინებით.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მოსამართლეთა კორპუსის ფორმირების პირველი ეტაპი მთავრდება პრეტენდენტთა სიის შედგენით და იმ პირისთვის თუ ორგანოსთვის წარდგენით, რომელიც იღებს საბოლოო გადანყევტილებას. მეორე ეტაპი გულისხმობს მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნის ან არჩევის პროცედურებს. ქვეყნების უმრავლესობაში მოსამართლეებს თანამდებობაზე ინიშნავენ პრეზიდენტი (ავსტრია, საფრანგეთი, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, უნგრეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი), მონარქი ან მის მიერ უფლებამოსილი პირები (ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი).

რუსეთის ფედერაციაში სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დაბალანსებული და გათანასწორებული მექანიზმის ჩამოყალიბების მიზნით, უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების ფორმირების ერთიანი ნესია შემოღებული. კერძოდ, უზენაესი, საკონსტიტუციო, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოების ნევრებს, პრეზიდენტის წარდგინებით ინიშნავენ ფედერაციის საბჭო. ამ უკანასკნელს შეუძლია მრავალჯერ უარყოს პრეზიდენტის მიერ წამოყენებული კანდიდატურა, მაგრამ უშუალოდ დანიშვნის უფლებამოსილება არ აქვს. სხვა ფედერალურ მო-

სამართლებს კი უშუალოდ პრეზიდენტი ნიშნავს. ამრიგად, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში უპირატესობა ერთმნიშვნელოვნად დანიშვნის მექანიზმს მიენიჭა. კანდიდატების გამწესება მოსამართლის თანამდებობაზე ხდება მხოლოდ მოსამართლეთა შესაბამისი საკვალიფიკაციო კოლეგიის დადებითი დასკვნით. სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტული და დამოუკიდებელი განხორციელების, ობიექტური და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების და უფლებების დაცვის მიზნით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, ამ უკანასკნელთა უფლებამოსილება არ არის ვადით შეზღუდული, გამონაკლისია მომრიგებელი მოსამართლეები, რომლებსაც უშუალოდ ოკრუგის მოსახლეობა ირჩევს 5 წლის ვადით და რაიონის (ქალაქის) სასამართლოების გარნიზონების სამხედრო მოსამართლეები, რომლებიც პირველად სამი წლით ინიშნებიან, შემდეგ კი, ჩვეულებრივ, უვადოდ.

იტალიაში მოსამართლებს ნიშნავს სასამართლო თვითმმართველობის ორგანო. ამასთან, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით და საჭიროებს იუსტიციის მინისტრის კონტრასიგნებას. საბჭო ასევე უფლებამოსილია დელეგირების გზით მოსამართლეთა დანიშვნის ფუნქცია გადასცეს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს.¹ გერმანიაში ფედერალური მოსამართლეებისა და მიწების მოსამართლეების ძირითად ნაწილს ნიშნავს იუსტიციის მინისტრი. იაპონიაში კი მოსამართლეების უმრავლესობას – მთავრობა. ჩეხეთის რესპუბლიკაში მოსამართლეებს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრის წინადადებით, კანდიდატურების მთავრობაში განხილვის შემდეგ. როგორც კონსტიტუციის 63-ე მუხლიდან ირკვევა, მთავრობის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამ საკითხზე პრეზიდენტის გადაწყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის ან მის მიერ უფლებამოსილი მთავრობის წევრის ხელმოწერის შემდეგ. თუმცა, პირველადი დანიშვნის შემთხვევაში, მოსამართლის თანხმობა და მის მიერ ფიცის დადება პრეზიდენტის გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის ერთ-ერთი აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

დიდ ბრიტანეთში მოსამართლებს ნიშნავს ლორდ-კანცლერი, კონკურსის გარეშე, მაგრამ მასთან მოქმედი კომისიის რჩევით, რომლის შემადგენლობაც ჩვეულებრივ, არ ქვეყნდება. საერთოდ კი, უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს მეთაურის მიერ დანიშვნა ამაღლებს მოსამართლის ავტორიტეტს.

¹ ი. ო. ბევიტაშვილი, ო. მელქაძე, მითითებული ნაშრომი, გვ. 125.

საზღვარგარეთის ქვეყნებში გავრცელებულია მოსამართლეების არჩევის წესიც (ჩეხეთი, ბულგარეთი და სხვა). მაგალითად, სლოვაკეთის კონსტიტუციის 145-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეებს, მთავრობის წინადადებით, ირჩევს ეროვნული კრება – 4 წლის ვადით, რომლის ამონაწერის შემდეგ ეროვნული კრება კვლავაც მთავრობის წინადადებით მოსამართლეებს უვადოდ ირჩევს. აქ ნათლად ჩანს თანამშრომლობა ხელისუფლების ორ შტოს შორის, რომელიც ხელისუფლების მესამე შტოს და კომპლექტების კენ არის მიმართული.

ბულგარეთის კონსტიტუციის 129-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეების, პროკურორების და გამომძიებლების თანამდებობაზე დანიშნავს, დაანიშნაურებს და ჩამოაქვეითებს, ასევე გადაადგილებს და გაათავისუფლებს უმაღლესი სასამართლო საბჭო. თუმცა, უმაღლესი სასამართლო პოსტზე მყოფ სამ მოსამართლეს, კერძოდ, უმაღლესი საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეს და მთავარ პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრეზიდენტი უმაღლესი სასამართლო საბჭოს წინადადებით, იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტი ვერ უარყოფს კანდიდატურებს ხელმეორედ წარმოდგენიას.

რუმინეთის კონსტიტუციის 124-ე და 133-ე მუხლებიდანაც ირკვევა, რომ მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს აქვს განსაკუთრებული კომპეტენცია ყველა იმ საკითხზე, რაც დაკავშირებულია მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნასთან, წინსვლასთან, გადაყვანასა და დისციპლინურ დევნასთან.

სხვადასხვა გზით ხდება საზღვარგარეთის ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წევრების, შეფენების, სასამართლო და სახალხო მსაჯულების, ასიზებისა და სხვა ისეთი პირების არჩევა, რომლებიც მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობენ. პროკურორებისა და სასამართლო გამომძიებლების დანიშვნა ზოგ ქვეყანაში იმავე წესით ხდება, როგორც მოსამართლეებისა, იმ განსხვავებით, რომ მათი უფლებამოსილების ვადა ზუსტადაა განსაზღვრული. ზოგიერთ ქვეყანაში კი, მაგალითად, უკრაინაში, რუსეთში, რესპუბლიკა ბელორუსში მათი დანიშვნა ხდება ცენტრალიზმისა და ქვემდებარეობის წესით.

ჩვენი აზრით, არსებულ დავებს მოსამართლეთა დანიშვნისა თუ მათი არჩევითობის უპირატესობის შესახებ არ უნდა პქონდეს პრინციპული მნიშვნელობა, რადგან ორივე პროცედურა შეიძლება მეტყველებდეს ამა თუ იმ საზოგადოების დემოკრატიულობაზე. თუმცა, ბევრ მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ მოქალაქეების, ან წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ მოსამართლეთა არჩევისას წინა პლანზე გამოდის პოლიტიკური ფაქტორი.

ამომრჩევლები ხელმძღვანელობენ არა იმდენად ასარჩევი პიროვნების თვისებებითა და პროფესიული მომზადების დონით, რამდენადაც პოლიტიკური შეხედულებებით. ეს კი ენიშნავს იმდენად რადიკალურ მოთხოვნებს სასამართლო ხელისუფლების დეპოლიტიზაციის შესახებ.

ზოგჯერ ორივე პროცედურა იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ არჩევნები შეიძლება დანიშნის ელემენტს შეიცავდეს. მაგალითად, ჩვეულებრივთან შედარებით, ამომრჩეველთა წრის მკვეთრი შემცირება ხდება გერმანიაში, ბუნდესტაგის კომისიის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების არჩევისას. შეიძლება ნარმატივით ფუნქციონირებდეს მოსამართლეთა კორპუსის ფორმირების შერეული პროცედურა: გერმანიაში მოსამართლეების ძირითად ნაწილს ნიშნავენ, ხოლო ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევენ; ამერიკის 50 შტატიდან 40-ში ირჩევენ, მათ შორის – 30 შტატში მხოლოდ ქვედა რგოლის მოსამართლეებს, 12 შტატში კი ყველა დონეზე, ხოლო დანარჩენ შტატებში მოსამართლეებს გუბერნატორები ნიშნავენ, ფედერალურ მოსამართლეებს კი – პრეზიდენტი, „სენატის რჩევითა და თანხმობით“. იაპონიაშიც მოქმედებს უმაღლესი სასამართლოს ფორმირების შერეული და მეტად რთული პროცედურა. აქ უმაღლესი სასამართლოს მთავარ მოსამართლეს ნიშნავს იმპერატორი, მინისტრთა კაბინეტის წარდგინებით, ხოლო დანარჩენ 14 წევრს – თავად კაბინეტი. ამასთან, ხდება მათი დანიშვნის გადასინჯვა პარლამენტის ქვედა პალატის უახლოესი საარჩევნო კომპანიის პროცესში, შემდეგ კი – ყოველ ათ წელიწადში ერთხელ.¹

საბერძნეთის კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შესაძლებელია მოსამართლეებმა თანამდებობა დაიკავონ გამოსაცდელი ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს. ამ დროის მანძილზე ისინი ახორციელებენ მუდმივი მოსამართლეების ფუნქციებს.

საერთოდ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრობლემის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მათი მიუკერძოებლობა, მიუმხრობლობა და მხოლოდ კანონისა და კონსტიტუციისადმი მორჩილება, რომელიც საზოგადოებაში მოსამართლეთა ავტორიტეტის ძირითად წყაროს წარმოადგენს. როგორც წესი, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა იცნობს მოსამართლეებზე ზეგავლენის რამდენიმე შესაძლო სახეს: საზოგადოებრივს, პოლიტიკურს ან პარტიულს, სოციალურს და სხვ. აქედან გამომდინარე, დადგენილია საერთო წესი, რომლის თანახმად, მოსამართლეს ეკრძალება პოლიტიკურ პარტიაში ან პროფესიულ კავშირებში გაერთიანება. გამონაკლისია მხოლოდ მოსამართლეებისა და სხვა მაგისტრატების პროფესიული გაერ-

¹ *Современное право Японии, Москва, 1981, стр. 191.*

თიანებები. ეს დებულება განსაკუთრებით მკვეთრი ფორმით მოცემულია ესპანეთის კონსტიტუციის 127-ე მუხლში, რომლის თანახმად, მაგისტრატებს, მოსამართლეებსა და პროკურორებს უფლება არა აქვთ ეკავით სხვა თანამდებობა, იყვნენ პოლიტიკური პარტიისა თუ პროფკავშირული ორგანიზაციის წევრები. აღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს უზრუნველყოს მოსამართლეების, პროკურორების, მაგისტრატების სრული დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი მორჩილება. მაგისტრატებს არც იტალიაში აქვთ უფლება, დაიკავონ რაიმე თანამდებობა, ან პოსტი, გარდა სენატორისა და დეპუტატის თანამდებობისა, ან საჯარო საქველმოქმედო დაწესებულების მფარველობის აუნაზღაურებადი თანამდებობისა. ისინი არ შეიძლება მისდევენ სამრეწველო, სავაჭრო ან სხვა თავისუფალ პროფესიულ საქმიანობას. მაგისტრატი ვერ დაიკავებს თანამდებობას იმ სასამართლო ორგანოებში, სადაც მისი ნათესავები ირიცხებიან ადვოკატთა კოლეგიის წევრებად.

მოსამართლეების შესახებ გერმანიის კანონის თანახმად, როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას, ასევე მის გარეთ, მოსამართლეთა ქცევა არ უნდა ლახავდეს, არ უნდა ამცირებდეს ნდობას მათი დამოუკიდებლობის თაობაზე. როგორც ჩანს, ეს არ გამორიცხავს პოლიტიკურ საკითხებზე მოსამართლის საჯარო გამოსვლების შესაძლებლობას. სხვათა შორის, შემთავსებლობის საერთო შეზღუდულობის ფონზე, საკმაოდ თავისებურად წყდება პოლიტიკური კარიერისადმი მოსამართლის შესაძლო დამოკიდებულების საკითხი. მოსამართლეს შეუძლია იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი და შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატურა სადეპუტატო არჩევნებში. არჩევის შემთხვევაში, კანდიდატი სადეპუტატო უფლებამოსილების ვადით წყვეტს სასამართლო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებამოსილების შესრულებას.¹

გერმანიის კონსტიტუციამ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის არა მხოლოდ დეკლარირება მოახდინა, როცა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ „მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება“ (მუხლი 97, აბზაცი 1), არამედ აქვე ზოგიერთი პრინციპული ნორმა-გარანტია დაამკვიდრა. პირველ რიგში, ის არის საგულისხმო, რომ პროფესიონალი მოსამართლე, რომელიც დანიშნულ იქნა დადგენილი წესით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ თავისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე შეიძლება დათხოვნილ იქნეს, სულ ან დროებით, ან დროებით გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან, გადაყვანილი იქნეს სხვა ადგილზე ან გადაყვანი-

¹ ო. მელქაძე, ნ. რამიშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ 148.

ლი იქნეს თადარიგში მხოლოდ სასამართლო გადანყვეტილების ძალით და მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლებითა და ფორმებით. ამასთან, კონსტიტუცია ადგენს, რომ კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს ასაკობრივი ზღვარი, რომლის მიღწევისას სიცოცხლის ბოლომდე დანიშნული მოსამართლე გადის თადარიგში. მართალია, კონსტიტუცია სასამართლო სტრუქტურის ან ოლქის შეცვლასთან დაკავშირებით მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანის გარდა, უშვებს მის დათხოვნას თანამდებობიდან, მაგრამ ეს ხდება სრული ხელფასის შენარჩუნების კონსტიტუციური გარანტიით.¹

თურქმენეთის კონსტიტუციის 103-ე მუხლით, მოსამართლეებს ეკრძალებათ გაერთიანება პოლიტიკურ პარტიებში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებიც პოლიტიკური მიზნების მიღწევისკენ ისწრაფვიან. მაგისტრატურის სტატუსის შესახებ საფრანგეთის ორგანული კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკავონ პოლიტიკური ხასიათის ნებისმიერი მოქმედებისა და საკითხის განხილვისგან. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსამართლე არ უნდა იმყოფებოდეს საზოგადოებრივი უკმაყოფილების გავლენის ქვეშ, არც პირადი პოპულარობის მოპოვების მიზნით და არც კრიტიკული მოსაზრებით. ასეთია საგანგებოდ მიღებული სასამართლო ეთიკის შესახებ კანონის მე-14 პუნქტის მოთხოვნა. რა თქმა უნდა, მსგავსი აკრძალვები, უმეტესად, ფორმალურ ხასიათს ატარებს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ბერკეტია სასამართლოების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში მოცემული დებულებები მიზნად ისახავს გამორიცხოს მოსამართლეზე სოციალურ-ოჯახური გარემოების გავლენა. მაგალითად, პოლონეთში, მოსამართლეს დაითხოვენ თანამდებობიდან, თუ ის დაქორწინდება ადვოკატზე და მეუღლე არ შეწყვეტს ამ საქმიანობას შეუღლებიდან 3 თვის მანძილზე. ფრანგული კანონმდებლობით, კერძოდ, მაგისტრატურის სტატუსის შესახებ ორგანული კანონის მე-9 მუხლის თანახმად, არასასურველადაა მიჩნეული, სასამართლო ოლქის მთლიანად, ან ნაწილობრივი დამთხოვევა იმ დეპარტამენტებთან, საიდანაც მაგისტრატის მეუღლე აირჩიეს დეპუტატად ან სენატორად.

დამოუკიდებლობის დამატებით გარანტიას წარმოადგენს მოსამართლის პირადი ხელშეუხებლობის პრინციპი, რომლის თანახმად, სახელმწიფოს მიერ მაგისტრატურის დაცვის რეჟიმი შედარებით მაღალია და მოსამართლის სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და

1. ო. მელქაძე, ნ. რამიშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ 146.

სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა განსაკუთრებული პროცედურით ხორციელდება, კერძოდ, ამ საკითხს არეგულირებს ესპანეთის კონსტიტუციის 121-ე მუხლი, ყაზახეთის კონსტიტუციის 79-ე მუხლი, ლიტვის კონსტიტუციის 114-ე მუხლი, პორტუგალიის კონსტიტუციის 221-ე მუხლი, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 122-ე მუხლი, იუგოსლავიის კონსტიტუციის 231-ე მუხლი.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კიდევ ერთ გარანტიას, რომელიც კონსტიტუციურ დონეზეა განმტკიცებული, წარმოადგენს მოსამართლის სათანადო მატერიალური უზრუნველყოფის პრინციპი. ამ მხრივ ერთ-ერთ სრულყოფილ ნორმად გვევლინება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-8 მუხლი: „როგორც უმაღლესი, ასევე ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეები... დადგენილ ვადაში მიიღებენ განეულები სამსახურისთვის ანაზღაურებას, რომელიც არ შეიძლება შემცირდეს მათი თანამდებობაზე ყოფნის მანძილზე.“ მსგავსი დებულება განაპირობებს მოსამართლის საკმაოდ მაღალ ხელფასს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობას, ასევე მისი საქმიანობის პოპულარობას.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით, გარანტირებულია სასამართლოების დაფინანსება ფედერალური ბიუჯეტიდან და იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სრულად და დამოუკიდებლად განხორციელებას (124-ე მუხლი). მსგავს ნორმას ანესებს მონღოლეთის კონსტიტუციის 49-ე მუხლი. სხვა კონსტიტუციური აქტები ამ საკითხს უფრო ლაკონიურად არეგულირებს. საბერძნეთის კონსტიტუციის 88-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლის ანაზღაურება დამოკიდებულია მის თანამდებობაზე, ხოლო ბელგიის კონსტიტუციის 102-ე მუხლში მინიშნებულია, რომ მოსამართლის ხელფასს კანონი განსაზღვრავს.

თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობაში მოსამართლეებს თანამდებობაზე უვადოდ ნიშნავენ, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, ჩეხეთში, ხორვატიაში და სხვ. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ნევრ-სახელმწიფოებში (აზერბაიჯანი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი) მოსამართლეებს თანამდებობაზე ნიშნავენ ხანგრძლივი ვადით (5-დან 15 წლამდე), სასამართლოს სხვადასხვა რგოლის მიმართ განსხვავებული საზღვრების გათვალისწინებით. კანონმდებლის აზრით, თანამდებობის დაკავების ხანგრძლივი ვადა უზრუნველყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობას, მაშინ, როცა მისი უვადოდ დანიშვნა პოსტკოტალიტარიზმის პირობებში მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს.

საერთო წესის მიხედვით, მოსამართლე თანამდებობას იკავებს ან სამ-
უდამოდ, ან განსაზღვრულ (საპენსიო) ასაკს მიღწევამდე, საპენსიო ასაკი
კი, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 72 წელს შეადგენს, იაპონიაში – 68 წელს;
ან ვიდრე მისი ქცევა უმნიშვნელოა (ლიტვის კონსტიტუციის 115-ე მუხლი,
ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-3 მუხლი), როგორც
მოსამართლის უფლებამოსილების შესრულებისას, ასევე ყოველდღიურ
ცხოვრებაში (ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო ეთიკის
შესახებ კანონის მე-4 და მე-10 მუხლები), ან სანამ არ არღვევს ძირითადი
კანონის დებულებებსა და კონსტიტუციურ წესებს (გერმანიის ძირითადი
კანონის 8-ე მუხლის I პუნქტი). საკმაოდ ორიგინალურად წყდება ეს საკ-
ითხი ზოგიერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, როგორც ჩანს, ძველი კა-
დრებისადმი გარკვეული უნდობლობის გამო. მაგალითად, უკრაინაში
მოსამართლეების უფლებამოსილების პირველი ვადა არის 5-10 წელი, მე-
ორედ კი უკვე უვადოდ ნიშნავენ. ანალოგიური წესი მოქმედებს ბულგა-
რეთშიც, იმ განსხვავებით, რომ პირველი ვადა 3 წელს არ აღემატება.

მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი შეი-
ძლება იყოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი სასამართლოს
განჩენი (ლიტვის კონსტიტუციის 115-ე მუხლი, ესტონეთის კონსტიტუცი-
ის 147-ე მუხლი, სლოვაკეთის კონსტიტუციის 147-ე მუხლი); უფლებამ-
ოსილების ვადის გასვლა (ყირგიზეთის კონსტიტუციის 81-ე მუხლი,
თურქმენეთის კონსტიტუციის 192-ე მუხლი); გადაწყვეტილება გათავისუ-
ფლების შესახებ შეიძლება მიიღოს უმაღლესმა სასამართლომ ან საკონ-
სტიტუციო სასამართლომ, როგორც წესი, ხმათა კვალიფიციური უმრავ-
ლესობით, ან მაგისტრატურის უმაღლესმა საბჭომ (იტალიის კონსტი-
ტუციის 107-ე მუხლი, ლიტვის კონსტიტუციის 115-ე მუხლი, სომხეთის კონ-
სტიტუციის 95-ე მუხლი, ყაზახეთის კონსტიტუციის 79-ე მუხლი) ან უმაღ-
ლესი სასამართლოს თავმჯდომარემ. ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლე
თანამდებობიდან შეიძლება გადააყენონ მხოლოდ იმპირმენტის წესით
(აშშ-ის კონსტიტუციის I და II მუხლები, იაპონიის კონსტიტუციის 78-ე
მუხლი). მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ორასი წლის მან-
ძილზე 27 ფედერალური მოსამართლე გადააყენეს, აქედან მხოლოდ 5
მოსამართლე იქნა მსჯავრდადებული მძიმე დანაშაულისათვის, 22 მოსა-
მართლე კი წინასწარ გადადგა, რადგან მათ წინააღმდეგ იმპირმენტი მზა-
დდებოდა. ამ დროს, იაპონიის კონსტიტუციის 78-ე მუხლის თანახმად, მო-
სამართლეების იმპირმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება, საჯა-
რო განხილვის გარეშე დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მო-
სამართლე, დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად, სასამართლო
წესით გამოცხადდება გონებრივად ან ფიზიკურად ქმედუუნაროდ. აღმინ-

ისტრაციულ ორგანოებს არ შეუძლიათ მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სასჯელის გამოყენება.

მოსამართლეთა უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადების, ჯანმრთელობის ან სხვა საპატიო მიზეზით უფლებამოსილებათა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეუსრულებლობის, სხვა სამუშაოზე გადასვლის, უფლებამოსილების ვადის ამონურვის გამო, თუ ასეთი განსაზღვრული იყო, მოქალაქეობის შეწყვეტის, შეუთავსებლობის პრინციპის დარღვევის გამო, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ან სამედიცინო იძულებითი ზომების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას, ისეთი ქმედების ჩადენის გამო, რომელიც ლახავს მოსამართლეთა პატივსა და ღირსებას, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს, არაქმედუნარიანად ან შეზღუდული ქმედითუნარიანობის მქონე პირად მისი გამოცხადებისას, სასამართლოს რეორგანიზაციის გამო მოსამართლის მიერ სხვა სასამართლოში გადასვლაზე უარისას.

ცალკე უნდა შეეცხთ საკუთარი სურვილით მოსამართლის თანამდებობიდან წასვლის შემთხვევებს. მოტივი აქ შეიძლება სხვადასხვა იყოს: საპენსიო ასაკს მიღწევა, მოსამართლის უფლებამოსილების გაგრძელების სურვილის არქონა და სხვა საფუძვლები (საბერძნეთის კონსტიტუციის 88-ე მუხლი, გერმანიის ძირითადი კანონის 97-ე მუხლი, ყაზახეთის კონსტიტუციის მე-100 მუხლი). არსებობს მოსაზრება, რომ გადადგომის უფლება თავისთავად მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიას წარმოადგენს და მის საპატიო წასვლას ნიშნავს, რის შედეგადაც მას უნარჩუნდება მოსამართლის საპატიო სტატუსი. მაგალითად, რუსეთის 1995 წლის 21 ივნისის კანონით „მოსამართლის სტატუსის შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ,“ მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის არსებობისას განსახილველი საქმეების მნიშვნელოვანი ზრდის, მოსამართლის არყოფნის, ან მისი უფლებამოსილებების შეჩერების შემთხვევაში, გადამდგარი მოსამართლე, მისივე თანხმობით შეიძლება მოინვიონ მართლმსაჯულების განსახორციელებლად, არა უმეტეს 1 წლის ვადით. ამ წესის სანინაალმდეგოდ იტალიაში მაგისტრატი, რომელიც ნებაყოფლობით გადადგება, არც ერთ შემთხვევაში არ ექვემდებარება თანამდებობაზე აღდგენას.

არსებობს პრაქტიკა, რომლის თანახმად, მოსამართლეს, მისი თანხმობის გარეშე, გადაიყვანენ სხვა თანამდებობაზე, სისტემის როგორც „პორიზონტალურ“, ასევე „ვერტიკალურ“ სტრუქტურაში (გერმანიის ძირ-

1. ო. მელქაძე, გ. ყურაშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ 124.

ითადი კანონის 97-ე მუხლი, ესპანეთის კონსტიტუციის 117-ე მუხლი). ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევებში, მოსამართლის თანამდებობიდან წასვლის საფუძვლების უზრუნველყოფა არის მათი შეუცვლელობის პრინციპის დაცვის ერთ-ერთი გარანტი. ამ პრინციპის ძირითადი დებულების თანახმად კი, ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური პარტიის მოსვლა არანაირ გავლენას არ უნდა ახდენდეს მოსამართლის მდგომარეობაზე.

ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო აქტები მოსამართლეებს დამატებით მოთხოვნებს უყენებს, მაგალითად, იცხოვრონ შესაბამისი სასამართლო ოლქის ტერიტორიაზე, რაც ასევე წარმოადგენს მათი შეუცვლელობის არაპირდაპირ გარანტიას.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს მოსამართლეთა საკონსტიტუციო სამართლებრივი სტატუსის კიდევ ერთი ფუძემდებლური პრინციპი: მოსამართლის თანამდებობის შეუთავსებლობა სხვა საქმიანობასთან. ამ პრინციპის კონსტრუირებისას გამოიყენება ორი ძირითადი კრიტერიუმი: ეთიკური და პროფესიულ-თანამდებობრივი. პირველი მათგანის თანახმად, მოსამართლეები ვერ განახორციელებენ სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, მართლმსაჯულების გარდა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ამ საქმიანობის სახეს – იქნება ეს სამსახური სახელმწიფო თუ კერძო სანარმოში (პორტუგალიის კონსტიტუციის 222-ე მუხლი, ბელგიის კონსტიტუციის 203-ე მუხლი). პროფესიულ-თანამდებობრივი კრიტერიუმები მოცემულია იტალიის, ყაზახეთის, საბერძნეთისა და სხვა სახელმწიფოების კონსტიტუციებში. ესპანეთის კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელ პირთა თანამდებობრივ შეუთავსებლობას. გერმანიაში მოსამართლეების შესახებ კანონის თანახმად, აკრძალულია მოსამართლის თანამდებობის შეთავსება მთავრობის წევრობასთან ან პარლამენტის მანდატთან. მაგისტრატურის სტატუსის შესახებ საფრანგეთის კანონის თანახმად, მოსამართლეს არა აქვს უფლება საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს საპარლამენტო არჩევნებში. ამასთან, მოსამართლის მოვალეობების შესრულება შეუთავსებელია არა მხოლოდ პარლამენტის წევრის, არამედ ევროპის თანამეგობრობის ასამბლეის წევრის, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრის თანამდებობასთან. გარდა ამისა, პირს ვერ დანიშნავენ მოსამართლედ, თუ მას განსაზღვრული დროის მანძილზე ეკავა აღნიშნული თანამდებობები ან მონაწილეობდა მათ არჩევნებში.

ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენებენ ორივე კრიტერიუმს. მაგალითად, საბერძნეთის კონსტიტუციის 89-ე მუხლი ადგენს ორგვარ აკრძალვას: ერთი მხრივ, მოსამართლეები არ დაიშვებიან სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს

შესასრულებლად, მეორე მხრივ, ვერ განახორციელებენ სხვა პროფესიით საქმიანობას. მაგრამ ამ წესიდან არსებობს გამონაკლისიც, კერძოდ, მოსამართლეები შეიძლება არჩეულ იქნენ აკადემიის წევრად და უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პროფესორად. საფრანგეთში მოსამართლეებს უფლება აქვთ ეწეოდნენ სამეცნიერო, ლიტერატურულ და სამსახიობო მოღვაწეობას (მაგისტრატურის სტატუსის შესახებ კანონის მე-8 მუხლი).

მოსამართლეთა სტატუსის შესახებ საუბრის დასასრულს უნდა შევჩერდეთ ზოგიერთ თავისებურებაზე, რომელიც გერმანიისთვის არის დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ძირითადი კანონი არ ახდენს მინების სასამართლო სისტემის რეგულირებას, თუ არ გავითვალისწინებთ ნორმებს მოსამართლეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (მუხლი 98). რაც შეეხება მოსამართლეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მინებში იგი რეგულირდება სპეციალური კანონით. აღნიშნულთან დაკავშირებით ფედერაციას შეუძლია გამოსცეს მხოლოდ ზოგადი მითითებები, ხოლო მინებს შეუძლიათ განსაზღვრონ, რომ მინის მოსამართლის სამსახურში მიღების საკითხს წყვეტს მინის იუსტიციის მინისტრი მოსამართლეთა შემრჩევ კომიტეტთან ერთად, მინის მოსამართლის მიმართ გაავრცელონ კონსტიტუციის ამავე მუხლით გათვალისწინებული წესები. როგორც ვხედავთ, ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი ადგილობრივი გადაწყვეტილებების საგანი ხდება, ერთი გამონაკლისის გარდა და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საყოველთაო ნორმაა და ყველა მოსამართლეს შეეხება: მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხს წყვეტს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.

გერმანიაში მოსამართლეთა დამოუკიდებლობიდან გამომდინარე გარკვეული გავრდილი მოთხოვნებია მათი ვალდებულებების თაობაზე და მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხიც ამ მიზნით არის აქცენტირებული ძირითად კანონში. იგი ახდენს მოსამართლეთა გადაყენების უფლებამოსილების გადანაწილებას საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების შტოებს შორის და ამ აქტის მოტივაციასთან ერთად სანქციის შესაძლო სახეებსაც განსაზღვრავს. კონსტიტუცია ამ შემთხვევაშიც საკმაოდ კატეგორიულია, როცა ადგენს, რომ, თუ ფედერალური მოსამართლე თანამდებობაზე ყოფნისას ან თანამდებობრივი მოვალეობის ფარგლებს გარეთ დაარღვევს ძირითადი კანონის პრინციპებს ან რომელიმე მინის კონსტიტუციურ წყობას, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ბუნდესტაგის წინადადებით შეუძლია ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული განკარგულებით გადაიყვანოს ეს მოსამართლე სხვა თანამდებობაზე ან გაიყვანოს თადარიგში, ხოლო განზრახ დარღვევის შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქნეს დათხოვნის გადაწყვეტილება.

მთლიანობაში, სასამართლო ხელისუფლება გერმანიაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი კორპუსის სახით არის წარმოდგენილი – 500-ზე მეტ ფედერალურ მოსამართლეს 20 ათასზე მეტი მინის მოსამართლე ემატება. კონსტიტუცია მოსამართლეების დანიშვნის საკითხს სასამართლო, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა ურთიერთობების მიჯნაზე არეგულირებს. სასამართლო სისტემის ხუთივე შტოს მოსამართლეების დანიშვნის საკითხს წვევტს მოცემულ სფეროში კომპეტენტური მინისტრი – მოსამართლეების შემრჩევ კომისიასთან ერთად. კომიტეტი კი შედგება მოცემულ სფეროში კომპეტენტური მინისტრებისგან მინებიდან და თანაბარი რაოდენობის წევრებისგან, რომლებსაც ირჩევს ბუნდესტაგი.

4-3. სასამართლო ორგანოების დამხმარე სტრუქტურები

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებში, სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის მარეგულირებელ ნაწილში, ხშირად შეხვედებით ყოველი კონკრეტული ქვეყნისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა ორგანოსა და თანამდებობის პირებს, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლების განხორციელებას. მაგალითად, რუმინეთის კონსტიტუციის 129-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო პოლიციის არსებობას, რომელიც ემსახურება სასამართლოს ყველა ინსტანციას, უზრუნველყოფს წესრიგს სხდომათა დარბაზში, იცავს ბრალდებულებს, ასრულებს მოსამართლის განკარგულებებს. სლოვენის კონსტიტუციის 137-ე მუხლის მეორე ნაწილში საუბარია ნოტარიატზე, როგორც დამოუკიდებელ სამსახურზე, რომლის სტატუსს განსაზღვრავს კანონი. ნოტარიუსები ადასტურებენ სხვადასხვა სახის იურიდიულ ფაქტებს, მათ შორის გარიგებების დადებებს, ცდომილებებს, ასრულებენ ზოგიერთ სხვა ფუნქციას. მაგალითად, ლატვიაში სანოტარო საქმიანობა რეგულირდება კანონით სანოტარო დანესებულებების შესახებ, რომლის მიხედვით მოქმედი ლატვიის ნოტარიუსების ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს პრაქტიკის განმახორციელებელ ნოტარიუსებს ქვეყნის ფარგლებში. აღნიშნული ასოციაცია მოქმედებს საკუთარი წესდების საფუძველზე. ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებს წარმოადგენს ნოტარიუსების საერთო კრება, ნოტარიუსების საბჭო და აუდიტორული კომისია. ნოტარიუსებს დისციპლინურ სახდელებს შეუფარდებს ნოტარიუსთა საბჭო.

იტალიაში სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიებას ახორციელებენ სასამართლო პოლიცია, პრეტორები, რესპუბლიკის პროკურორები და მოსამართლე-გამომძიებლები, რომლებიც მოქმედებენ ტრიბუნალებთან და ინიშნებიან ტრიბუნალების შემადგენლობიდან. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებას მხარს უჭერს პროკურორი ან პრეტორის მიერ დანიშნული სახელმწიფო მოხელე, მათ შორის პოლიციის ოფიცერი.

საფრანგეთის სასამართლო სისტემის თავისებურებას წარმოადგენს სასჯელის აღმასრულებელი მოსამართლის ინსტიტუტი, რომელიც ინიშნება დიდი პროცესის ტრიბუნალის ნევრთაგან, სამი წლის ვადით და უფლებამოსილია აქტიურად ჩაერთოს მსჯავრდადებულთა მიერ სასჯელის მოხდის პროცესში. მოსამართლე მონაწილეობს სასჯელის აღსრულების რეჟიმის შეცვლაში, მსჯავრდადებულთა სოციალური პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებში, შუამდგომლობს მათ ვადადმე ადრე გასათავისუფლებლად. სასამართლო აღმასრულებლებს სისრულეში მოჰყავთ სასამართლოს გადანყვეტილებები, მაგალითად, ახდენენ ქონების აღწერას და სხვ.

ესპანეთის კონსტიტუცია განეკუთვნება კონსტიტუციათა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც სასამართლო პოლიციის ინსტიტუტს მოიხსენიებს (126-ე მუხლი). აღნიშნული ორგანო ექვემდებარება სასამართლოებს, ტრიბუნალებსა და პროკურატურას. სასამართლო პოლიცია, აღნიშნული ორგანოების ხელმძღვანელობით, მოქმედებს დანაშაულთა გამოძიების, დამნაშავეთა განიარაღებისა და უვნებლყოფის მიზნით.

უკლებლივ ყველა ქვეყნის სასამართლოებთან იქმნება კანცელარიები ან სამდივნოები, რომლებიც სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, აწარმოებენ სასამართლო სხდომის ოქმებს. ყველა ამ ორგანოს უფლებამოსილება დეტალურად რეგულირდება მიმდინარე კანონმდებლობით.

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება პროკურატურისა და ადვოკატურის ორგანოებს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ვრცლად განვიხილოთ საზღვარგარეთის სახელმწიფოებში არსებული ამ ორი ინსტიტუტის ორგანიზაციული მოდელები.

§ 1. პროკურატურის ორგანოები

პროკურატურის ინსტიტუტი არსებობის ხანგრძლივ პერიოდს ითვლის. ჯერ კიდევ ძველ რომში არსებობდა შესაბამისი კომპეტენციისა და

დატვირთვის მქონე სტრუქტურები, რომელთა არსებობა თვალსაჩინოა მე-14 საუკუნიდან, როდესაც მონარქი საკუთარი ინტერესების დასაცავად ოფიციალურ პირებს ნიშნავდა. მოგვიანებით კი მათი ძირითადი ფუნქცია მთლიანად სახელმწიფო ინტერესების დაცვაში ტრანსფორმირდა. მონარქი თუ რომელიმე მსხვილი ფეოდალი, რომელსაც არ ჰყავდა თანამდებობის პირი მისი ინტერესების დაცვის საგანგებო უფლებამოსილების განსახორციელებლად, იურისტთა რიცხვიდან შეარჩევდა პირებს საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად. სწორედ ეს წარმომადგენლები შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე პროკურორების წინამორბედებად. მონტესკიე პროკურატურის ინსტიტუტის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნავდა: „ჩვენ გვაქვს შესანიშნავი სამართალი. ის შესაძლებლობას აძლევს მონარქს, რომლის ფუნქციას კანონთა აღსრულება წარმოადგენს, თითოეულ სასამართლოში დანიშნოს თანამდებობის პირი მისი სახელით სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად... ეს პირი მოქმედებს და მოქალაქეებისთვის მშვიდობა უზრუნველყოფილია.“¹

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ მოხდა აღნიშნული ინსტიტუტის ტრანსფორმაცია ისეთ ორგანოდ, რომლის მეშვეობით აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებდა ზედამხედველობას სასამართლოებში საპროცესო წარმოებაზე. 1789 წლის 20 აგვისტოს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია განამტკიცებდა პრინციპს, რომლის მიხედვით „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დაცვა საჭიროებს საზოგადოებრივ ძალას: მსგავსი ძალა არსებობს ყველასთვის და არა მათი ხელმძღვანელი პირებისთვის.“ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ ეპოქაში დამკვიდრებული გაგებით, საზოგადოებრივი პროკურორის ინსტიტუტი, უპირველესად, წარმოადგენდა იურიდიულ ორგანოს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულებისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინსტიტუტის საქმიანობა ვრცელდებოდა ადმინისტრაციულ სფეროშიც. პროკურორები ამ დროს გვევლინებოდნენ იუსტიციის სამინისტროს ადგილობრივ წარმომადგენლებად და შესაბამისად, აღმასრულებელი საქმიანობის სფეროშიც ფართო უფლებამოსილებებს ფლობდნენ. ნაპოლეონს სურდა ჩამოეყალიბებინა ახალი სისტემა, რომელიც ოპტიმალურად შეუთავსებდა ერთმანეთს ძველი რეჟიმის ინსტიტუტებსა და რევოლუციის საუკეთესო მონაპოვარს. ამასთან, ნაპოლეონის მიერ შერჩეული ფორმის

1. Montesquieu, De l'esprit des lois, Book VI, Chaptles VIII, in: Oeuvres compl'etes, Montesquieu, Volume I, Paris, Editions Nagel, 1955, p.109.

პირობებში იმპერიის პროკურორების საშუალებით შესაძლებელი შეიქნა მონარქის მიერ სამოქალაქო სამსახურის თავის დაქვემდებარებაში მოქცევა.

მე-19 საუკუნეში განხორციელებული რეფორმების შედეგად პროკურატურა ცალკეულ სასამართლოებთან მოქმედ სპეციალურ სამართლებრივ დანაყოფად ჩამოყალიბდა და საზოგადოების სახელით უზრუნველყოფდა საჯარო წესრიგის დაცვას. კერძოდ, საზოგადოებრივი პროკურორები ახორციელებდნენ სისხლის სამართლებრივ დევნას, ზედამხედველობდნენ სისხლის სამართალწარმოებას, სარგებლობდნენ გასაჩივრების უფლებით და აღასრულებდნენ განაჩენებს სისხლის სამართლის საქმეებზე. სისხლის სამართლის სფეროში აღნიშნული საქმიანობით პროკურატურა მონაწილეობდა იყო დაეცვა საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესები და ყოფილიყო კანონიერების პრინციპის განუხრელი შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი.

ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებიდან დღემდე, ამა თუ იმ ქვეყანაში პროკურატურის სტატუსზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებლად მიგვაჩნია, შევხვით სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებსა და ფორმებს, რომელთა თვისობრივ მახასიათებლებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პროკურატურის ორგანოების უფლებამოსილებათა მოცულობა. გამოიყოფა პროცესის ორი ძირითადი ფორმა: საბრალდებო და ინკვიზიციური.

საბრალდებო პროცესის დროს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდის ინტერესებს. საზოგადოება არ აღძრავს სისხლის სამართლის წარმოებას, ბრალდებას მსვლელობა მიეცემა მხოლოდ დარღვევის მსხვერპლის, დაზარალებულის მიერ. ამასთან, ბრალდებული პირიც უფლებამოსილია თავი დაიცვას ბრალდებისგან. პროცესი ატარებს ზეპირ, საჯარო და შეჯიბრებით ხასიათს. ვინაიდან მოქმედებს მხარეთა თანასწორობის პრინციპი, მოსამართლე არ წარმართავს პროცესს ბრალდადებულის წინააღმდეგ, არ იღებს მონაწილეობას მტკიცებულებათა წარმოდგენაში, რაც მხარეთა პრეროგატივას წარმოადგენს. მსგავსი სამართალწარმოებისას მოსამართლე არბიტრის როლში გვევლინება და მხარეების თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების რეალიზაციის საფუძველზე ხელს უწყობს პროცესის მონაწილეთა უფლებების მაქსიმალურ განხორციელებასა და დაცვას.

ინკვიზიციური პროცესის დროს წინა პლანზე გამოდის მთლიანად საზოგადოების ინტერესები. სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება ამ დროს ეკისრება პროკურატურას, როგორც საჯარო ინტერესების უზრუნველყოფელ ორგანოს. ინკვიზიციური პროცესის დროს პროცედურა

საიდუმლო, წერილობითი და არაშეჯიბრებითი ხასიათისაა. ბრალდებული კი ამ შემთხვევაში ბრალმდებელთან შედარებით ნაკლები უფლებრივი სტატუსით სარგებლობს. სასამართლო პროცესის დაწყებამდე ის ჩვეულებრივ საპატიმროში იმყოფება. მოსამართლე წარმართავს პროცესს, ცდილობს თავად მოიპოვოს და წარმოადგინოს მტკიცებულებები.

საბრალდებო პროცესი დომინირებდა ფეოდალურ ეპოქაში. ცენტრალიზებული სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ იგი შეცვალა ინკვიზიციურმა პროცესმა. ამჟამად დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებული სისხლის სამართლის პროცესი ზემოაღნიშნული ორი საპროცესო ფორმის კონგლომერატს წარმოადგენს და სრულიად ახალ ორიგინალურ სისტემად ყალიბდება. სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და სამართლებრივი მოდელები განაპირობებს საბრალდებო ან ინკვიზიციური ფორმების პრიორიტეტს, ასე რომ, ამ მხრივ თავისებურებათა მრავალფეროვანი სპექტრის გამოყოფა შეიძლება.

აღსანიშნავია, რომ მთლიანად სასამართლო სისტემის და, კერძოდ, პროკურატურის სტატუსის ფუძემდებლურ პრინციპს ადამიანის უფლებათა პატივისცემა წარმოადგენს. ამ პრინციპმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პროკურატურის სტატუსისა და როლის განსაზღვრაზე მთლიანად მსოფლიოში და, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპაში. თუმცა, ყოველ ქვეყანაში მოქმედი სისტემა განპირობებულია ეროვნული კონსტიტუციითა და ტრადიციებით.

ბრიტანული სისტემის დამახასიათებელ ძირითად ნიშანს წარმოადგენს სახელმწიფოს ჩაურევლობა სისხლის სამართლის წარმოებაში. ამ ქვეყანაში პოლიტიკური ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პირობებში წინა პლანზე გამოვიდა პროცესის საბრალდებო ფორმა. სისხლის სამართალწარმოება ყველა შემთხვევაში აღიძვრება პოლიციის მიერ, შემდეგ კი მისი წარმართვა და მასზე ზედამხედველობა ხორციელდება პროკურატურის სამსახურის მიერ.

ბრიტანულისაგან საგრძნობლად განსხვავდება კონტინენტური სისტემა. სახელმწიფო, ინკვიზიციური მეთოდის საშუალებით, ჩართულია სისხლის სამართლის დადგენის პროცესში და სისხლის სამართლის ბრალდების მხარდაჭერა მინდობილი აქვს სპეციალურ, ცენტრალიზებული ნესით აგებულ ორგანოთა სისტემას.

საზღვარგარეთის ქვეყნების არაერთი კონსტიტუცია შეიცავს სპეციალურ დებულებას პროკურატურის შესახებ. მაგალითად, ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციის 153-ე მუხლი ადგენს, რომ მონარქი ნიშნავს და ათავისუფლებს სასამართლოებზე მიმაგრებულ პროკურორებს. იტალიის კონსტიტუციის 104-ე, 108-ე და 112-ე მუხლებიდან ირკვევა, რომ პროკურატუ-

რა დამოუკიდებლად აღძრავს სისხლის სამართალწარმოებას. საბერძნეთის კონსტიტუცია პროკურატურის შესახებ ფუძემდებლურ დებულებებს განსაზღვრავს ცალკე თავში სასამართლო ხელისუფლების შესახებ, კერძოდ, 87-ე და 90-ე მუხლებში. პორტუგალიის კონსტიტუციის 221-ე მუხლის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია წარმოადგინოს სახელმწიფო, წარმართოს სისხლის სამართლის პროცესი, დაიცვას კანონიერება და სამართლით უზრუნველყოფილი სხვა ინტერესები. პროკურატურის სტატუსის საფუძვლებს განსაზღვრავს ასევე ესპანეთის კონსტიტუციის 124-127 მუხლები.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მიღებული სპეციალური კანონები პროკურატურის შესახებ ან შესაბამისი დებულებები ფორმულირებულია სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში. მაგალითად, საფრანგეთში მოქმედებს 1986 წლის 15 ოქტომბრის №47/86 აქტი პროკურატურის შესახებ, საფრანგეთის სისხლის-საპროცესო კოდექსის 31-48 მუხლები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-429 მუხლები და სხვ.

პროკურატურის სტრუქტურისა და პოლიტიკურ ხელისუფლებასთან მისი კავშირის სტატუსი ემყარება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. თუმცა, ფორმალურად, პროკურატურა ერთ შემთხვევაში შეიძლება ფუნქციონირებდეს საკანონმდებლო ხელისუფლებასთან – პარლამენტთან, მეორე შემთხვევაში აღმასრულებელ ხელისუფლებასთან – უშუალოდ მთავრობასთან ან იუსტიციის სამინისტროსთან, ხოლო მესამე შემთხვევაში, სასამართლო ხელისუფლებასთან. ამ სამი მოდელიდან რომელიმე ერთის არჩევა კონკრეტული ქვეყნის ისტორიულ, სამართლებრივ და სოციალურ ტრადიციებზეა დამოკიდებული. საკანონმდებლო ხელისუფლებასთან არსებული პროკურატურა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ამ დროს პროკურატურა არ არის უფლებამოსილი, განსაჯოს კანონის მიზანშეწონილობის საკითხი, რაც თავად კანონმდებლის პრეროგატივაა. საკანონმდებლო ორგანო ზედამხედველობას პროკურატურის საქმიანობაზე ახორციელებს პროკურატურის თუ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე იუსტიციის სამინისტროს მოხსენების განხილვის გზით. შვეიცარიაში პარლამენტის მიერ პროკურორის არჩევა მიჩნეულია მისი აბსოლუტური დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ძირითად გარანტიად. უზრუნველყოფის გენერალური პროკურორი აირჩევა სახელმწიფო კრების მიერ პრეზიდენტის წარდგინებით. გენერალური პროკურორის მოადგილეებს, გენერალური პროკურორის წარდგინებით, ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. გენერალური პროკურორი პასუხისმგებელია სახელმწიფო კრების წინაშე და ვალდებულია თავისი მოღვაწეობის შესახებ ანგარიში ჩააბაროს მას. იგი ნიშნავს ყველა პროკურორს, ხელმძღვ-

ანელობს პროკურატურის ორგანოთა სისტემას და წარმართავს მის მეშვეობას. პროკურორებს არა აქვთ პოლიტიკური პარტიების ნევროზისა და პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება. პროკურატურა საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ასოცირდება ასევე უკრაინასა და ხორვატიაში.

ქვეყნებში, სადაც პროკურატურა სტრუქტურულად აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაშია ინტეგრირებული, დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით მაინც სარგებლობს. მსგავსი ურთიერთობა ინსტიტუციური დამოკიდებულებისა და ფუნქციური სუბორდინაციის პრინციპს ეფუძნება. იგი მოქმედებს, მაგალითად, საფრანგეთში, ბელგიაში, გერმანიაში, დანიაში, ნორვეგიაში, ფინეთში. საფრანგეთში სხვადასხვა რეფორმა იქნა ჩატარებული პროკურატურის პოლიტიკური ინტერვენციისგან დასაცავად. ამჟამად პროკურატურა აქ ცენტრალიზებულ ორგანოს წარმოადგენს, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს. თითოეულ სააპელაციო სასამართლოსთან მოქმედებს გენერალური პროკურორი და მისი თანამშემნეები. გენერალური პროკურორი იუსტიციის მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფება. თავის მხრივ, გენერალური პროკურორის მითითებები სვალდებულოა პროკურატურის თანამშრომლებისათვის. მას ემორჩილებიან სასამართლო პოლიციის თანამდებობის პირებიც. გენერალური პროკურორი უშუალოდ ან მისი მოადგილეების მეშვეობით გამოდის ბრალმდებლად სააპელაციო სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. რესპუბლიკური პროკურორები ზედამხედველობენ გამასწორებელ ტრიბუნალებს და ახორციელებენ სისხლისსამართლებრივ დევნას აღნიშნული ტრიბუნალების მოქმედების ფარგლებში. ისინი უშუალოდ ან მოადგილეების მეშვეობით გამოდიან ბრალმდებლად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში, გამასწორებელსა და საპოლიციო ტრიბუნალებში.

გერმანიაში პროკურატურა ორგანიზაციულად და, ფაქტობრივად, ორგანულად დაკავშირებულია საერთო სასამართლო სისტემის სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებთან: ფედერალური პროკურატურა – ფედერალური პროკურორით სათავეში მიბმულია ფედერალურ სასამართლო პალატაზე; გენერალური პროკურატურები – გენერალური პროკურორების მოთავეობით – მიწების უმაღლეს სასამართლოებთან; პროკურატურები პროკურორებით მიწების სასამართლოებთან; საუბნო სასამართლოებთანაც მოქმედებენ პროკურორები. ფედერალური პროკურორები გერმანიის იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან, ხოლო მიწების პროკურორების საერთო ხელმძღვანელობას შესაბამისი მიწის იუსტიციის მინისტრი ახორციელებს. პროკურორები ყველაზე რთულ საქმეებს პოლიციური სამსახურების დახმარებით განიხილავენ და წარმოადგენენ ბრალდებას. სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო

განხილვა ხდება პროკურორის მონაწილეობით. ამას გარდა, პროკურორი უფლებამოსილია, განსაზღვრულ შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო საქმეების განხილვაშიც.

ბელგიაში პროკურატურა წარმოადგენს სასამართლოს ნაწილს, მაგრამ იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარება. პროკურატურის მუშაკების კანდიდატურებს წარმოადგენს იუსტიციის მინისტრი და ნიშნავს მონარქი. მოსამართლეები და პროკურორები განეკუთვნებიან სასამართლო ხელისუფლებას და ერთიან კორპუსს შეადგენენ. იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია პროკურორს მისცეს ინსტრუქციები, მაგრამ ზოგადი ფორმით და არა კონკრეტულ საქმეებთან კავშირში. სხვაგვარი ურთიერთობა საზოგადოების თვალში პროკურატურის დისკრედიტაციას გამოიწვევდა, ვინაიდან მართლმსაჯულების განხორციელებაში აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევა მართლაც ყოველად მიუღებელ გარემოებას წარმოადგენს.

ნორვეგიაში პროკურატურის დირექტორი ინიშნება მონარქის მიერ და მთლიანად მონარქის საბჭოსა და მთავრობას ექვემდებარება, ხოლო იუსტიციის სამინისტროსგან იგი დამოუკიდებელი სტატუსით სარგებლობს.

ქვეყნების გარკვეულ ნაწილში პროკურატურის თანამდებობის პირები სტრუქტურულად სასამართლოს ნაწილს შეადგენენ და ამდენად დამოუკიდებელი არიან აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. ეს შეიძლება ითქვას, მაგალითად, ესპანეთზე, სომხეთზე, რუმინეთზე, რუსეთზე, ბულგარეთსა და ალბანეთზე.

ზოგიერთი დასავლეთეუროპული ქვეყნის კანონმდებლობა პროკურატურას დამოუკიდებლობის მაღალ სტატუსს ანიჭებს. იტალიის კონსტიტუციის 107-ე მუხლი მოსამართლეებისა და პროკურორების დამოუკიდებლობასა და მათი შეუცვლელობის პრინციპს აცხადებს. ისინი ინიშნებიან სასამართლო სამსახურის კომისიის მიერ, რომელიც ასევე განიხილავს მათი დისციპლინური დევნის საკითხებს იუსტიციის მინისტრის ან პროკურორის წინადადებით.

„სასამართლო წყობილების შესახებ“ იტალიის კანონის თანახმად, პროკურატურის ფუნქციებში შედის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, სახელმწიფოს, იურიდიულ და ქმედუნარო პირთა ინტერესების დაცვა, ზედამხედველობა სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების საქმიანობაზე. პროკურატურის ფუნქციებს უმაღლეს საკასაციო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში ასრულებენ რესპუბლიკის გენერალური პროკურორები, რესპუბლიკის პროკურორები მოქმედებენ ტრიბუნალებთან და ასრულებენ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ხელისუფლებაში პროკურატურის სრული ინტეგრაცია გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რამდენადაც ეს გარკვეულწილად აფერხებს მთავრობის საქმიანობას სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ეფექტურად გატარებასთან დაკავშირებით და ქმნის მოსამართლეთა მიერ მათი მართვის საფრთხეს.

არსებობს ისეთი სისტემის მაგალითებიც, როდესაც არანაირი სპეციალური კავშირი არ არსებობს ხელისუფლების შტოებთან. მაგალითად, პორტუგალიის კონსტიტუციის 221 (2) მუხლის თანახმად, პროკურატურას აქვს დამოუკიდებელი სტატუსი და კანონმდებლობის შესაბამისად სარგებლობს ავტონომიით. კანონის მიხედვით, პროკურატურა წარმოადგენს ცენტრალური, რეგიონული თუ ადგილობრივი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ ორგანოს. რაც შეეხება გენერალურ პროკურატურას – ეს არის კოლეგიური ორგანო, რომლის დაკომპლექტებასაც პარლამენტი ახორციელებს.

შვეიცარიაში პროკურორების ინსტიტუტი დაფუძნდა, როგორც ფედერალურ, ისე კანტონალურ დონეზე, ერთი კანტონის გარდა, სადაც პროკურორის უფლებამოსილებას კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელი ახორციელებს. კანტონებში არაერთგვაროვანია პროკურატურის საქმიანობის ორგანიზაცია, დანიშვნის წესი, შემადგენლობა და იურისდიქცია. ზოგიერთი კანტონი დანიშვნის უფლებამოსილებას აღმასრულებელ ხელისუფლებას გადასცემს, ზოგიერთი კი – საკანონმდებლოს.

დიდ ბრიტანეთში 1879 წელს დაფუძნდა საჯარო ბრალდების დირექტორის ინსტიტუტი. მაგრამ კრიმინალური პოლიტიკის არაეფექტურობა შეიქნა მიზეზი 1985 წელს განხორციელებული კიდევ ერთი რეფორმისა, რომლითაც შეიქმნა პოლიციისაგან დამოუკიდებელი ორგანო – სისხლისსამართლებრივი დევნის სამსახური.

ამჟამად გაერთიანებულ სამეფოში მოქმედებს სამი სახის პროკურატურა: შოტლანდიაში მოქმედებს ევროპული მოდელი; ინგლისსა და უელსში, სადაც პროკურატურის სამსახური 1986 წლიდან ამოქმედდა, სისხლისსამართალწარმოება აღიძვრება მოქალაქეებისა და პოლიციის მიერ; ჩრდილო ირლანდიის სისტემა ემყარება ინგლისურ მოდელს იმ გამოწვევების, რომ დასჯადი მოქმედებების სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება პროკურატურის სამსახურის მიერ. ინგლისში მოქმედი 1985 წლის აქტით, აღნიშნული სამსახური არ სარგებლობს სისხლისსამართლებრივი დევნის ექსკლუზიური უფლებამოსილებით.

განსხვავებულია პროკურორთა უფლებრივი სტატუსი და მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხები. ზოგიერთ ქვეყანაში ისინი სისხლისსამართლის სფეროში საქმიანობით შემოიფარგლებიან, სხვა ქვეყნებში კი

ისინი ასევე ფლობენ განსაზღვრულ უფლებებს სამოქალაქო, კომერციულ, სოციალურ, ფისკალურ და დისციპლინურ საქმეებზე. აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ ევროპაში პროკურატურის უფლებები საგრძნობლად სცილდება სასამართლოს სფეროს და განსხვავებები ამ თვალსაზრისით მეტად თვალსაჩინოა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ პროკურატურათა უმრავლესობის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს გამოძიების წარმოება, როგორც წესი, პოლიციის პარალელურად. პროკურატურა ასევე შეიძლება ზედამხედველობდეს სასამართლოს სამსახურების სათანადო ფუნქციონირებასა და სასამართლო რეესტრის წარმოებას.

რაც შეეხება პროკურორების დისკრეციულ უფლებამოსილებას, უნდა ითქვას, რომ დასავლეთ ევროპაში ამ პრინციპს დომინირებული მდგომარეობა უკავია, კერძოდ, ბელგიაში, დანიაში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ნორვეგიაში, ნიდერლანდებში, შვეიცარიის ცალკეულ კანტონებსა და გაერთიანებულ სამეფოში. გარკვეული პირობების არსებობისას, საზოგადოებრივი ბრალმდებელი – პროკურორი თავად წყვეტს განახორციელოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა. ბელგიაში ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი საკანონმდებლო კრიტერიუმი არ არსებობს და პროკურორს აბსოლუტური დისკრეციული უფლებამოსილება აქვს. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე უარის თქმა, ფაქტობრივად, გამონაკლისს წარმოადგენს ზოგადი წესიდან, რომელიც საკმაო საფუძვლის არსებობისას, ბრალდების წარდგენის ვალდებულებას ადგენს. პროკურორი მხოლოდ იმ შემთხვევაში ამბობს უარს დევნის განხორციელებაზე, როდესაც სხვა სოციალური ზემოქმედების ზომების მიღება უფრო ეფექტურად მიიჩნევა.

ბელგიისგან განსხვავებით, გერმანიაში პროკურორი ვალდებულია ყველა შემთხვევაში განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა. გამონაკლისი ამ ვალდებულებიდან შესაძლოა გამოიწვიოს ფაქტობრივი და ტექნიკური ხასიათის სამართლებრივმა ფაქტორებმა. ეს პრინციპი ფორმულირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის მიხედვით ბრალდება შეიძლება არ იქნეს წაყენებული მსუბუქი სამართალდარღვევების დროს. იტალიაში კონსტიტუციის მე-12 მუხლის თანახმად, პროკურორი ვალდებულია, წარადგინოს ბრალდება. შემდგომში ეს პრინციპი შეცვლილ იქნა ბრალდებაზე უარის თქმის განვრცობით, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მიხედვით, პროკურორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება თქვას უარი ბრალდებაზე, როდესაც ის იქნება ობიექტურად გადაჭარბებული.

ცივი ომის დასრულებისა და აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ევროპის საბჭოში გაწევრების შემდეგ, ამ რეგიონული საერთა-

შორის ორგანიზაციის ფარგლებში მეტი აქტუალობა შეიძინა კაცობრიობის ორი უმნიშვნელოვანესი მონაპოვრის – თავისუფლებისა და სამართლის დაცვის გაძლიერებამ. ამ სახელმწიფოებში თანდათან მკვიდრდებოდა პროკურატურის მოწყობის დემოკრატიული ფორმები, რომლებიც შესაბამისი კონსტიტუციური ნორმებით არის განმტკიცებული: მაგალითად, ხორვატიაში (1990 წლის 22 დეკემბრის კონსტიტუციის 121-ე მუხლი); ესტონეთში (1992 წლის 28 ივნისის კონსტიტუციის 151-ე მუხლი); ლიტვაში (1992 წლის 25 ოქტომბრის კონსტიტუციის 118-ე მუხლი); უნგრეთში (1990 წლის 31 დეკემბრის კონსტიტუციის 117-ე, 126-134-ე მუხლები); პოლონეთში (1992 წლის 23 ნოემბრის კონსტიტუციის 64-ე მუხლი); რუმინეთში (1991 წლის დეკემბრის კონსტიტუციის 130-131-ე მუხლები); სლოვენიაში (1991 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციის 135-136-ე მუხლები).

ბულგარეთის კონსტიტუციის 128-ე მუხლის თანახმად, პროკურატურის სტრუქტურა შეესაბამება სასამართლოთა სტრუქტურას, საგამოძიებო ორგანოები კი სასამართლო ხელისუფლების სისტემაში შედიან და წინასწარ გამოძიებას ახორციელებენ. უნგრეთის კონსტიტუციის IX ნაწილი ეთმობა პროკურატურას, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში წარმართავს გამოძიებას და ზედამხედველობს გამოძიების კანონიერებას, სასამართლო პროცესის დროს წარმოადგენს ბრალდებას, ასევე ახორციელებს ზედამხედველობას კანონის აღსრულებაზე. რუმინეთის კონსტიტუციის VII თავი, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას შეეხება, პროკურატურის შესახებ ორ მუხლს შეიცავს (მუხლები 130-131), რომელთა მიხედვით სასამართლო საქმიანობაში პროკურატურა წარმოადგენს მთელი საზოგადოების ინტერესებს და იცავს მართლწესრიგს, ასევე მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს. სლოვენიის ძირითადი კანონის 135-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო პროკურორი აღძრავს და წარადგენს ბრალდებას, ასევე განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სხვადასხვა უფლებამოსილებას. სახელმწიფო პროკურორის ფუნქცია შეუთავსებელია სხვა სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და პოლიტიკური პარტიების ორგანოების ფუნქციებთან. სლოვაკეთის კონსტიტუციის X თავში ჩამოყალიბებულია პროკურატურის მიზნები, გენერალური პროკურორის დანიშვნისა და განვევის წესი, ხოლო პროკურატურის ფუნქციონალური და სტრუქტურული მხარეების რეგლამენტირება კანონს ეკისრება.

გარდა კონსტიტუციური სიახლეებისა, აღნიშნული რეგიონის ქვეყნებში პროკურატურის სტატუსი განისაზღვრება სპეციალური საკანონმდებლო აქტებით: მაგალითად, ბულგარეთში (1994 წლის 8 ივლისის სასამართლოს შესახებ აქტი); ხორვატიაში (1995 წლის 20 სექტემბრის კანონი); ლატვიაში (1994 წლის 1 ივლისის აქტი); ლიტვაში (1994 წლის 13 ოქტომ-

ბრის აქტი); მოლდოვაში (1992 წლის 29 იანვრის აქტი); ჩეხეთის რესპუბლიკაში (1993 წლის 12 ნოემბრის აქტი).

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში პროკურატურა დაკავშირებულია საკანონმდებლო ხელისუფლებასთან – პარლამენტთან. უნგრეთში პროკურორის კანდიდატურას წარადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტი და ირჩევს ეროვნული ასამბლეა. რუმინეთის კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ფედერალური საკანონმდებლო ორგანოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე რუსეთის ფედერალური ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელი, წარმომადგენლობითი და ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობაში. პროკურატურა აქ სარგებლობს ასევე საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილებით, კერძოდ, მას შეუძლია შეიტანოს წინადადება კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შეცვლის, შექმნის, გაუქმების ან მიღების შესახებ. პროკურატურა პარლამენტს ექვემდებარება ასევე ბელარუსში, სლოვაკეთში, უკრაინასა და მაკედონიაში.

ქვეყნების მეორე ჯგუფში პროკურატურა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ფუნქციონირებს, რაც, ერთდროულად მთავარი პროკურორისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ, ზედამხედველობისა და მონიტორინგის განხორციელებას გულისხმობს. მსგავსი სისტემა მოქმედებს ესტონეთში, პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვენიასა და ალბანეთში.

რუმინეთში მთავარი სახელმწიფო პროკურატურა ფუნქციონირებს მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს ფარგლებში, ამავდროულად, იგი თავის უფლებამოსილებებს იუსტიციის მინისტრის ქვემდებარეობის ქვეშ განახორციელებს. მინისტრის მიერ გამოცემული დებულებები, რომლებიც კანონის გამოყენებას შეეხება, სავალდებულოდ არის მიჩნეული. იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს შექმნას დაწესებულებები და დეპარტამენტები მთავარი სახელმწიფო პროკურორის წინადადების საფუძველზე. იუსტიციის მინისტრი მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოებთან მოქმედი პროკურორების მეშვეობით ახორციელებს კონტროლს პროკურატურის პერსონალზე. სამინისტრო უფლებამოსილია, გამოითხოვოს მთავარი სამხედრო პროკურატურისაგან ინფორმაცია პროკურატურის საქმიანობის შესახებ და მისცეს მითითებები დანაშაულის აღმოფხვრის მიზნით.

სლოვენიაში პროკურატურა სახელმწიფოს დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს, მაგრამ 1994 წლის 29 სექტემბრის აქტის მიხედვით, გარკვეული ურთიერთკავშირი აქვს იუსტიციის მინისტრთან. მინისტრი განსაზღვრავს საპროცესო წესებს და პროკურორთან ერთად ზედამხედველობს ადმინისტრაციულ წარმოებას. ასევე, პროკურორის წინადადებ-

ით, იგი განსაზღვრავს თანამდებობათა ნუსხას. მთავარ სახელმწიფო პროკურორს ნიშნავს ეროვნული ასამბლეა, ქვემდებარე პროკურორებს კი – მთავრობა, იუსტიციის მინისტრის წინადადებით. მთავარი სახელმწიფო პროკურორი და მინისტრი აღძრევენ დისციპლინურ წარმოებას. მთავარი სახელმწიფო პროკურორი შეიძლება გადააყენოს მთავრობამ იუსტიციის მინისტრის წინადადებით. იუსტიციის მინისტრს შეუძლია მოითხოვოს პროკურატურისგან მათი საქმიანობის შესახებ საანგარიშო მოხსენების წარდგენა. მთავარი პროკურორი ჩეხეთის რესპუბლიკაშიც ექვემდებარება იუსტიციის მინისტრს, რომელიც ზედამხედველობს პროკურატურის საქმიანობას, განსაკუთრებით სამართლებრივი დებულებების შესრულების ნაწილში. სახელმწიფო პროკურატურა მინისტრს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს.

ორიგინალური სისტემა მოქმედებს პოლონეთში, სადაც პროკურატურა არასდროს ყოფილა პარლამენტის დაქვემდებარებაში. 1952 წლიდან 1989 წლამდე მას ზედამხედველობდა სახელმწიფო საბჭო. ამ უკანასკნელის გაუქმების შემდეგ, რამდენიმე თვის მანძილზე ზედამხედველობას ახორციელებდა რესპუბლიკის პრეზიდენტი. 1989 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარა. უკვე 1996 წლის 10 მაისს მიღებული კანონით ეროვნული პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში იქნა შეყვანილი, ხოლო ეროვნული პროკურორი იუსტიციის მინისტრის მოადგილის რანგში იქნა დამტკიცებული.

ბულგარეთში, ხორვატიაში, ლატვიასა და რუმინეთში პროკურატურა მოქმედებს სასამართლო ხელისუფლების სისტემაში. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ზოგიერთ სახელმწიფოში პროკურატურა სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს. პარლამენტის როლი შემოიფარგლება პროკურატურის სტატუსის, ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხების დარეგულირებით. ეს შეეხება ბელარუსს, ბულგარეთს, ხორვატიას, ლიტვას, მოლდავეთსა და სლოვაკეთს.

ბულგარეთში, 1991 წლის 12 ივლისის კონსტიტუციის მიხედვით, პროკურატურა წარმოადგენს სასამართლოს სისტემის ნაწილს და არანაირი კავშირი არა აქვს საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. მთავარ სახელმწიფო პროკურორს ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრეზიდენტი მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციით, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია აირჩიოს პროკურორები. მსგავსი მდგომარეობაა ხორვატიაშიც. ამ ქვეყნის 1990 წლის 22 დეკემბრის კონსტიტუციის მიხედვით, მოსამართლეებსა და პროკურორებს ნიშნავს და ათავისუფლებს მართლმსაჯულების მაღალი საბჭო.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებში დემოკრატიული სისტემის ფორმირება, უპირველესად, ადამიანის უფლებათა დაცვის საკანონმდებლო გარანტიების დანერგვას და მათ პრაქტიკულ განხორციელებას უკავშირდება. ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის რეფორმირება წარმოადგენს. აღნიშნული რეგიონის სახელმწიფოებში, სწორედ ამგვარ კონტექსტში, პროკურატურის დემოკრატიული მოდელების დამკვიდრება უმნიშვნელოვანეს გარემოებად უნდა ჩაითვალოს.

საგანგებო განხილვას საჭიროებს პროკურატურის უფლებამოსილების საკითხი. ამ ინსტიტუტის უმთავრეს ფუნქციას დანაშაულობასთან ბრძოლა წარმოადგენს, ამასთან, ყოველად მიუღებელია პროკურატურის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სხვა ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება და იმანენტურად ენიშნაღმდეგება ხელისუფლებათა განაწილების პრინციპს.

რუსეთში, როდესაც პროკურორი შეიტყობს კანონის ან მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შესახებ, აღძრავს საქმეს და წარმართავს გამოძიებას, ან დადგენილი საპროცესო წესის შესაბამისად საქმეს გადასცემს სასამართლოს. სისხლის სამართალწარმოებისას პროკურორი დამოუკიდებლად მოქმედებს კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე. პროკურატურა ახორციელებს სამართლადამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას, ზედამხედველობს მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას. კანონის მიხედვით, პროკურატურა განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ფლობს სამოქალაქო პროცესის დროსაც, უზრუნველყოფს კანონიერების, ინდივიდების უფლებების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვას. საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის თანახმად, პროკურატურა მონაწილეობს იმ ეკონომიკური დავების განხილვაში, რომლებიც წარმოიქმნება სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სხვა საკითხებიდან. საარბიტრაჟო წარმოებისას პროკურორს არა აქვს უფლება გადასინჯოს სასამართლო პროცედურა. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს განცხადებები და შეიტანოს საჩივრები. საჩივრებს განიხილავს უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც პროკურორის მონაწილეობით ატარებს პლენარულ სხდომას. ამ კონტექსტში გამოცემული ნებისმიერი გადანყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებადია და არ ექვემდებარება გადასინჯვას. კანონიერებაზე საერთო ზედამხედველობის პრინციპი მოქმედ კანონმდებლობაში არის შენარჩუნებული. მაგრამ აღნიშნული პრინციპის რეალიზაცია, სახელმწიფოს საქმიანობის ყველა სფეროში, საფრთხეს

უქმნის ხელისუფლებათა განაწილების პრინციპს, რომელიც რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-10 მუხლშია ფორმულირებული.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პროკურატურები თავიანთი საქმიანობისას გამოიყენებენ სავალდებულო ან დისკრეციული ბრალდებისა და სისხლის სამართლის დევნის ფორმებს. მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკაში, რუმინეთში, სლოვაკეთსა და სლოვენიაში მოქმედებს სავალდებულო ბრალდების პრინციპი, მაშინ, როდესაც ბულგარეთში, მოლდოვასა და რუსეთში მოქმედებს დისკრეციული ბრალდების პრინციპი. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში კი ორივე პრინციპი ჰარმონიულად თანაარსებობს. ზოგიერთ მათგანში დომინირებს სავალდებულო ბრალდება, ხოლო დისკრეციული პრინციპი კანონით განსაზღვრულ ცალკეულ გამონაკლისებს შეეხება. მსგავსი სისტემა მოქმედებს ალბანეთში, ხორვატიაში, ესტონეთში, უნგრეთსა და პოლონეთში.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის ყველა ქვეყანა აღიარებს პრინციპს, რომლის მიხედვით დაუშვებლად არის მიჩნეული, რომელიმე სხვა ორგანოს მიერ პროკურატურისათვის ზოგადი მითითებებისა თუ ინდივიდუალური ინსტრუქციების გაცემა. ბელარუსში, პროკურატურის შესახებ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, ნებისმიერი ფორმით, პროკურატურაზე გავლენის მცდელობა, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს თანამდებობის პირების, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო თუ რელიგიური ორგანიზაციების, საინფორმაციო საშუალებების თუ მათი წარმომადგენლების ან მოქალაქეთა მხრიდან კანონით იკრძალება და ისჯება. ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია საერთოდ კრძალავს პროკურატურის მუშაკის განვერებას რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში ან მის მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებას. მსგავსი აკრძალვა მიმართულია პროკურატურის გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. მაგალითად, უნგრეთის კონსტიტუციის 53(2) მუხლის თანახმად, პროკურორები არ შეიძლება წარმოადგენდნენ პოლიტიკური პარტიის წევრებს ან ეწეოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას, იმავე დებულებას შეიცავს სლოვენის კონსტიტუციის 136-ე მუხლი.

პროკურატურა პასუხისმგებელია საზოგადოების საერთო ინტერესების დაცვაზე, კანონიერების აღსრულებაზე და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს იურიდიულ პროცესში. პროკურორებმა უნდა უზრუნველყონ კანონისადმი პატივისცემა და დაიცვან საზოგადოების საერთო ინტერესები სისხლის სამართლწარმოებისას და ცალკეულ სამოქალაქო საქმეებზე. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელებისას იგი არ უნდა იქცეს პოლიტიკურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულ ყოვლისშემძლე ადმინისტრატორად.

ესპანეთის კონსტიტუციის თანახმად, პროკურატურა, სხვა ორგანოების ფუნქციების შეუღლებად, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელებას კანონიერების, მოქალაქეთა უფლებების და საჯარო წესრიგის დასაცავად, თანამდებობის ძალით ან დაინტერესებულ მხარეთა თხოვნით, ისევე როგორც სასამართლო დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

უნგრეთის კონსტიტუციის 51-ე მუხლის მიხედვით, უნგრეთის რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო პროკურორი და მისი უწყება უზრუნველყოფენ, რომ დაცული იყოს მოქალაქეთა უფლებები და ნებისმიერ მოქმედებაზე, რომელიც არღვევს ან საფრთხეს უქმნის კონსტიტუციურ წესრიგს, სახელმწიფოს უშიშროებასა და დამოუკიდებლობას, განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. პორტუგალიაში პროკურატურები განხორციელებენ სახელმწიფოს წარმომადგენლობას და სისხლისსამართლებრივ დევნას, კანონიერებისა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად.

პროკურატურა სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისა და მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია. მისი როლი და ადგილი ბევრი ქვეყნის კონსტიტუციაშია ფორმულირებული. საზღვარგარეთის ქვეყნებში დღეს არსებული პროკურატურის მოდელები ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა. როგორც აღვნიშნეთ, დიდ ბრიტანეთში მსგავსი ინსტიტუტი ხანგრძლივი დროის მანძილზე არ არსებობდა, მაგრამ აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე მისმა პრაქტიკულმა საჭიროებამ საბოლოოდ მაინც განაპირობა პროკურატურის შექმნის აუცილებლობა.

საჭიროდ მიგვაჩნია, შევხვით რამდენიმე უმთავრეს პრინციპს, რომლებიც განსაზღვრავს მართლმსაჯულების ორგანიზაციასა და განხორციელებას, კერძოდ, პროკურატურის ადგილს ამ პროცესში.

პირველი ამ პრინციპთაგანია ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფა, ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს და განსაზღვრავდეს პროკურატურის ორგანიზაციას, სტრუქტურასა და საქმიანობას. ეს არის საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებული პრინციპი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გავლენით განვითარდა. მსგავსი პრინციპი ფორმულირებულ იქნა გაეროს საერთაშორისო დოკუმენტებში, ევროპის, აფრიკისა თუ ამერიკის რეგიონულ საერთაშორისო აქტებში.

1989 წელს ჰავანაში გაეროს მერვე კონგრესმა დანამაულის და სამართალდარღვევების თავიდან აცილების თაობაზე მიიღო პროკურორების საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა მიხედვით, ისინი

ასრულებენ უმნიშვნელოვანეს როლს მართლმსაჯულების განხორციელებაში. მათ პატივი უნდა სცენ და იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა ძირითად დოკუმენტებში მოცემული პრინციპებით.

1993 წლის 25 ივნისს ვენაში ჩატარებულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა, რომელიც მიუთითებს, რომ ყველა სახელმწიფომ, ადამიანის უფლებათა დარღვევის თავიდან ასაცილებლად, უნდა შეიმუშავოს საშუალებათა ეფექტური სისტემა, რათა მართლმსაჯულება, მათ შორის სამართალდამცავი და პროკურატურის ორგანოები, განსაკუთრებით, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და ადვოკატურა სრულ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებთან, რომლებიც აუცილებელია ადამიანის უფლებათა სრული, დაუბრკოლებელი და არადისკრიმინაციული განხორციელებისათვის.

ერთ-ერთი პრიორიტეტული დატვირთვა აქვს პროკურატურის დამოუკიდებლობის პრინციპს, რომლის თანახმად, დასაშვები უნდა იყოს პროკურატურის მიერ მითითებების მიღება მხოლოდ სისტემაში იერარქიულად ზემდგომი ორგანოსგან. თუმცა, არსებობს პროკურატურის საქმიანობაზე ზედამხედველობის გარკვეული ფორმა საპარლამენტო კომიტეტების საქმიანობის სახით.

დამოუკიდებლობის პრინციპს უკავშირდება თანამდებობრივი შეუთავსებლობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპები. დამოუკიდებლობის გარანტიის მიზნით, საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში აკრძალულია პროკურატურის მუშაკთა მიერ სხვა სამსახურის შეთავსება, როგორც საქმიანობაში მათი მიუკერძოებლობის აუცილებელი წინა პირობა. სწორედ ასეთი დამოუკიდებლობის გარეშე ძნელად მიიღწევა ობიექტურობა, ვინაიდან მის გარეშე იზღუდება მოქმედების არეალი, იმ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, რომელიც პროკურატურის საქმიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. დამოუკიდებლობის პრინციპი გულისხმობს პროკურორის უფლებასა და მოვალეობას, იმოქმედოს დანიშნულების შესაბამისად, ემსახუროს საზოგადოებრივ ინტერესებს. დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრინციპების განუხრელი დაცვა განაპირობებს პროკურატურის აპოლიტიკურობას, გამორიცხავს ამ ინსტიტუტზე ხელისუფლების გავლენის შესაძლებლობას.

პროკურატურა უკლებლივ ყველა ქვეყანაში გამოირჩევა მკაცრი იერარქიული სტრუქტურით. როგორც ითქვა, ისინი მხოლოდ ზემდგომი ორგანოებისგან იღებენ ბრძანებებსა და სავალდებულო მითითებებს. მაგალითად, მსგავსი იერარქიული დამოკიდებულება მოცემულია ესპანეთის

კონსტიტუციის 142-ე და პორტუგალიის კონსტიტუციის 221-ე მუხლებში, ამ ქვეყნების მიმდინარე კანონმდებლობაში. იერარქიული სისტემა მოქმედებს ასევე ბელგიასა და საფრანგეთში, სადაც პროკურორები, ცენტრალიზებული წესით, ზემდგომი ორგანოების მიერ განსაზღვრული ვადით ინიშნებიან.

პროკურატურის ორგანოების კიდევ ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი ერთიანობა და განუყოფლობა. პროკურორებმა შეიძლება ერთსა და იმავე საქმეზე შეცვალონ ერთმანეთი, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ერთსა და იმავე უწყებას. მათი შეცვლა შესაძლებელია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ისინი ყოველთვის მოქმედებენ არა საკუთარი, არამედ პროკურატურის სახელით. ეს პრინციპი, რომელიც, მაგალითად, ბელგიაში გამოიყენება, არ ნიშნავს, რომ პროკურორმა შეიძლება თავისი ფუნქციები ქვეყნის ნებისმიერ სასამართლოში განახორციელოს.

შესაძლებელია, პროკურორები სარგებლობდნენ გარკვეული იმუნიტეტებით. მაგალითად, ბულგარეთის კონსტიტუციის 132-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებელი მაგისტრატები სარგებლობენ იმავე იმუნიტეტებით, როგორითაც ეროვნული ასამბლეის წევრები.

§ 2. ადვოკატურის ორგანოები

ადვოკატურა არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტების გაერთიანება, რომელიც პროფესიულ დონეზე უწევს იურიდიულ დახმარებას ფიზიკურსა და იურიდიულ პირებს, ზოგჯერ კი საჯარო ხელისუფლების ორგანოებსა და საჯარო დაწესებულებებს.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ადვოკატურის შესახებ დებულებები მოცემულია, როგორც კონსტიტუციურ, ასევე მიმდინარე კანონმდებლობაში. ადვოკატურის კონსტიტუციური რეგულირება განსაკუთრებით დამახასიათებელია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის. აქ, მათ საკონსტიტუციო აღიარებას სრულფასოვანი დემოკრატიის განმტკიცებისთვის ესოდენ აუცილებელი ინსტიტუტის დამკვიდრების სურვილი განაპირობებს. მაგალითად, ბულგარეთის კონსტიტუციის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადვოკატურა არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და თვითმმართველობის მქონე გაერთიანება. ის ეხმარება მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში. სლოვენის კონსტიტუციის 137-ე მუხლის მიხედ-

ვით, ადვოკატურა წარმოადგენს მართლმსაჯულების ნაწილს, დამოუკიდებელ სამსახურს, რომლის ორგანიზაციაც კანონით რეგულირდება. რუსეთის ფედერაციაში ადვოკატურა არის თვითმმართველობის მქონე ორგანიზაცია, შექმნილი დემოკრატიულ საწყისებზე, მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისთვის კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიზნით და მას აქვს იურიდიული პირის სტატუსი.

ადვოკატურის ინსტიტუტის უპირველესი ფუნქციის – სამართლის სუბიექტების უფლებების დაცვისა და მათი სათანადო იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფის ერთ-ერთ უპირველეს გარანტიას წარმოადგენს ადვოკატთა ორგანიზაციისა და საქმიანობის ოპტიმალური, ეფექტური მექანიზმების მოძიება, რათა, ერთი მხრივ, არ მოხდეს ამ უმნიშვნელოვანესი პროფესიის პირებზე სახელმწიფოს მხრიდან ზენოლა და ისინი არ იქცნენ სახელმწიფო მექანიზმის დანამატად, რომელიც უუნარო იქნება თანამდებობის პირთა თვითნებობისგან დაიცვას მოქალაქეები და, მეორე მხრივ, სრულ „თვითდინებაზე“ არ იქნეს მიშვებული ადვოკატურის ფუნქციონირება, რათა ამით არ ისარგებლონ ცალკეულმა პირებმა და საფრთხე არ შეუქმნან ისევ და ისევ მოქალაქეთა ინტერესებს. აღნიშნულის გათვალისწინებით გამოდის, რომ გარკვეული ზომით მაინც საჭიროა, მთლიანად ადვოკატთა კორპუსი და, კერძოდ, ადვოკატთა გაერთიანებები სახელმწიფო რეგულირებას დაექვემდებაროს.

ადვოკატთა გაერთიანებები, თავისი ბუნებით თუ საქმიანობის ინტერესთა სფეროთი, ორი ასპექტით უნდა განვიხილოთ. პირველ რიგში ეს შეიძლება იყოს ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზაციის ფორმის გამოხატულება, როგორცაა ადვოკატთა ფირმები და ბიუროები და მეორე შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს ადვოკატურის ინსტიტუტის არსებობის ფორმალური სტრუქტურები, როგორცაა კოლეგიები და ასოციაციები. თუ პირველი სახის გაერთიანებები სწარმოს სტრუქტურის ანალოგია, მეორე შემთხვევაში ისინი პროფესიულ-საზოგადოებრივი გაერთიანებებია.

ამერიკის შეერთებული შტატების ყველა შტატში ადვოკატები ერთიანდებიან თავიანთ პროფკავშირებში, რომელთა საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს შტატის სპეციალური კანონი ან შტატის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილება ან საკუთრივ ადვოკატთა ნებაყოფლობითი გაერთიანების, ასოციაციის მიერ მიღებული წესდება. იმ შტატებში, სადაც ასოციაციები თავიანთი წესდების საფუძველზე ფუნქციონირებენ, ადვოკატები თავად წყვეტენ ორგანიზაციულ, ტექნიკურ და სხვა საკითხებს. ამიტომ პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად არ არის აუცილებელი ამ ასოციაციის წევრობა. იმ შტატებში, სადაც ადვოკატთა გაერთიანებების სამართ-

ლებრივ ბაზად სახელმწიფო აქტები გვევლინება, მოქმედებს ასოციაციებში სავალდებულო წევრობის წესი და ადვოკატთა მოღვაწეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების დონე შედარებით მაღალია. ორივე სახის ასოციაციის ფუნქციონირების წესი, არსებითად, ერთგვაროვანია. მათი წევრები ყოველწლიურ კრებებზე, უშუალოდ ან დელეგატების მეშვეობით ირჩევენ ასოციაციის პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ორგანოს 5-10 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ეწოდება „აღმასრულებელი კომიტეტი“, „მმართველთა საბჭო“, ან „უფლებამოსილთა საბჭო“. ეს ორგანოები კომპლექტდება ორ წლამდე ვადით და მის წევრებს არა აქვთ მეორე ვადით გადარჩევის უფლება. აშშ-ის ადვოკატთა ყველაზე მძლავრსა და ავტორიტეტულ გაერთიანებას წარმოადგენს ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია. შტატების ადვოკატთა ასოციაციები სრულიად თავისუფალნი არიან ამ ასოციაციის ადმინისტრაციული დაქვემდებარებისგან.

ამერიკის ადვოკატთა ასოციაციაში გაერთიანებულია 400 ათასამდე ინდივიდუალური წევრი: ადვოკატები, მოსამართლეები, პროკურორები, მეცნიერი-იურისტები, სტუდენტები, აგრეთვე კოლექტიური წევრები – იურისტთა ვინრო, პროფესიული კავშირები: მოსამართლეთა საზოგადოება, სისხლის სამართლის საქმეთა ადვოკატების ნაციონალური ასოციაცია, ამერიკის იურიდიული სკოლების ასოციაცია, უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეთა საბჭო და სხვა. ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია ჯერ კიდევ 1878 წელს დააარსა 21 შტატის წარმომადგენელმა 75 იურისტმა. მისი შტაბბინა მდებარეობს ქ. ჩიკაგოში. მმართველობის უმაღლესი ორგანოა 250 წევრისაგან შემდგარი დელეგატთა პალატა. უმაღლესი აღმასრულებელ ორგანოს კი დელეგატთა პალატის სესიებს შორის წარმოადგენს 21 წევრიანი მმართველთა საბჭო. პრაქტიკულ საქმიანობას ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია განახორციელებს მრავალრიცხოვანი დეპარტამენტების სექციების, კომიტეტების, კომისიების მეშვეობით, რომელთა რაოდენობა 70-ს აჭარბებს. მათ შორისაა საერთაშორისო საჯარო სამართლის, გარემოს დაცვის, სისხლის სამართლის, ნავთობისა და გაზის მოპოვებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სექციები, საგადასახადო დეპარტამენტი და სხვ. საერთოდ კი, ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია უპირატესად ორიენტირებულია იურიდიული განათლების, პროფესიული ეთიკის, ფერადკანიანი მოსახლეობის უფლებების დაცვის, ფედერალური მნიშვნელობის კანონპროექტების მომზადებაში, დახვეწაში მონაწილეობის საკითხებზე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნისას იძლევა რეკომენდაციებს და სხვ. ეს პროფესიული გაერთიანება უდიდესი გავლენით სარგებლობს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებზე.

უმალესი იურიდიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იურიდიული პრაქტიკის სურვილის მქონე პირმა, საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მოსაპოვებლად, გამოცდა უნდა ჩააბაროს შესაბამის შტატში. გამოცდის ორგანიზაციის პრინციპებსა და პირობებს, როგორც წესი, განსაზღვრავს შტატის უმაღლესი სასამართლო, ხოლო გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს ადვოკატთა შესაბამისი ასოციაცია. ცალკეულ შტატებში განსხვავებულია საგამოცდო კომისიის ფორმირების წესი, საერთო კი ის ვახლავთ, რომ მის დაკომპლექტებაში მონაწილეობას იღებს ასოციაციის ხელმძღვანელობა და მათ ნიშნავს მოსამართლე ან გუბერნატორი. ლიცენზიას მიიღებენ ის პრეტენდენტები, რომლებიც ჩააბარებენ გამოცდას და შეესაბამებიან იმ მორალურ მოთხოვნებს, რომელიც ადვოკატებისთვისაა დადგენილი. ადვოკატთა ქცევის ეთიკური ნორმები მოცემულია 1983 წლის 2 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატთა ასოციაციის მიერ მიღებულ პროფესიული ქცევის მოდელურ წესებში, რომლის საფუძველზე თითოეულ შტატში მოქმედებს საკუთარი ეთიკური წესები. არაერთგვაროვანია ადვოკატთა დისციპლინური საქმეების განხილვის წესი. ზოგიერთ შტატში მოქმედი ნორმებით, ადვოკატთა დისციპლინურ დევნას ახორციელებს გენერალური ატორნეი ან ადგილობრივი პროკურორი. სხვაგან, მაგალითად, ჯორჯიაში, ჩრდილო კაროლინაში, ტეხასში ადვოკატებისათვის სანქციების შეფარდების საკითხს, მათ შორის ლიცენზიის ჩამორთმევის მიზანშეწონილობას, განიხილავს და წყვეტს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

ამერიკის ადვოკატთა 50 პროცენტი თავის პროფესიულ საქმიანობას ინდივიდუალურად განახორციელებს. გარდა ამისა, მოქმედებს პატარა საადვოკატო ფირმებიც, მაგრამ დომინირებული ადგილი აქ დიდ ფირმებს უკავიათ, რომლებშიც 50 და მეტი ადვოკატია გაერთიანებული. ადვოკატთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ძირითადად, დამწყები იურისტები, დაკავებულები არიან „სახალხო დამცველთა“ კანტორებში მუშაობით, რომლებიც თავიანთი სპეციფიკით ახლოს დგას ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მუნიციპალურ ადვოკატურებთან. ისინი საბიუჯეტო ორგანიზაციები არიან, ფინანსდებიან შტატის, ქალაქის ან საგრაფოს მიერ და უფასო იურიდიულ დახმარებას უწევენ სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებს. ამერიკაში მსგავს სტრუქტურებს ფედერალური ბიუჯეტიც აფინანსებს. სხვადასხვა ეთნიკური თუ პროფესიული ჯგუფისთვის სამართლებრივი დახმარების გასანევადად, დროდადრო იქმნება და წარმატებით ფუნქციონირებს, ე. წ. „იურიდიული დახმარების საზოგადოებები.“ მათი არსებობის მატერიალურ წყაროს წარმოადგენს კერძო შეწირულობები და ადგილობრივი ბიუ-

ჯეტები. საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით, დანყებული 70-იანი წლებიდან, ჩამოყალიბდა ასევე სპეციალური საადვოკატო კანტორები. ისინი წარმართავენ არა კონკრეტული კლიენტების საქმეებს, არამედ აღძრავენ ან მხარს უჭერენ სახელმწიფოსა და მსხვილი კორპორაციების წინააღმდეგ აღძრულ სარჩელებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან, ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოშვებასთან და სხვ. პრაქტიკულად, ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებენ აგრეთვე ის ადვოკატები, რომლებიც ისეთ სპეციალიზებულ ორგანიზაციებში ირიცხებიან, როგორიცაა: მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი, მოქალაქეთა თავისუფლების დაცვის კავშირი, რასობრივი და პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კავშირი, ბუნებრივი რესურსების დაცვის ეროვნული საბჭო და სხვ.

შეიძლება გამოვყოთ ადვოკატების საქმიანობის სამი ძირითადი სფერო: პირველ ყოვლისა, ისინი მონაწილეობენ სისხლის სამართლის საქმეებში, ძირითადად, დაცვის ფუნქციის განხორციელების მიზნით. მეორე მნიშვნელოვანი ფუნქცია მათ ეკისრებათ სამოქალაქო საქმეებზე კლიენტის ინტერესების დაცვის სახით. ამ შემთხვევაში ადვოკატების მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია მენარმეებისთვის დახმარების აღმოჩენით. მესამე, ყველაზე მრავალფეროვანი და ტევადი სფერო ის გახლავთ, რომ ადვოკატები ეწევიან კონტრაქტებისა თუ პროექტების კონსულტირებას, წარმოადგენენ კლიენტის ინტერესებს სასამართლოში. ადვოკატის მიერ კონსულტაციების განევა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება და საქმიანობის მრავალფეროვან სპექტრს აერთიანებს. ეს შეიძლება იყოს კლიენტისათვის საინტერესო პროექტისა თუ საკითხის შესახებ წერილობითი სახით „იურიდიული მოსაზრების“ წარმოდგენა; დოკუმენტების პროექტების შედგენა, მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის, გადაზიდვისა და სხვა ხელშეკრულებები; კორპორაციების ჩამოყალიბება და სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფასიანი ქაღალდების ემისიისათვის, საზღვარგარეთ თანხების ინვესტირებისათვის და სხვა ფინანსური ოპერაციებისათვის პროექტების მომზადება; საგაკოტრებო საქმეთა წარმოება და სხვ. ყოველივე აღნიშნული ატარებს საკონსულტაციო ხასიათს, ე. ი. დაკავშირებული არ არის სასამართლო პროცესთან. ამერიკული პრაქტიკა იცნობს ადვოკატთა საქმიანობის სხვა სფეროებსაც. მაგალითად, ადვოკატი შეიძლება ბიზნესმენტან ერთად მონაწილეობდეს ამა თუ იმ პროექტის განხორციელებაში, ამ მიზნით მოიძიოს კონტრაგენტები, ჩაატაროს მოლაპარაკება, დადოს კონტრაქტი და სხვ. თუმცა, ეს საქმიანობა, პრაქტიკულად, არაფრით არ განსხვავდება ბიზნესმენის საქმიანობისგან და ეს პირებიც ადვოკატისა

და იურისტის კლასიკური გაგებისაგან შორს დგანან. უბრალოდ, სასარგებლო შეთავსებაა, როცა ბიზნესმენი-იურისტი საქმის სასარგებლოდ იყენებს თავის პირველად კვალიფიკაციას.

გერმანიაში ადვოკატი იძლევა რჩევებსა და კონსულტაციებს იურიდიულ საკითხებზე; სამოქალაქო პროცესის მონაწილე მხარეებს წარმომადგენლობს სასამართლოში; სისხლის სამართლის პროცესში იცავს ბრალდებულისა და განსასჯელის უფლებებს ან წარმოადგენს დაზარალებულის ინტერესებს. ადვოკატი კანონით უფლებამოსილია, კლიენტთან, მისი ქონების მართვის შესახებ, დადოს ხელშეკრულება; ასევე, სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულოს იურისკონსულტის ფუნქცია. ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, გერმანიაში ადვოკატებს ეკრძალებათ მუშაობა საშტატო იურისტკონსულტებად, როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივსა და კომერციულ ორგანიზაციებში. ამ აკრძალვის საფუძველს წარმოადგენს ფედერალური კანონის დებულება, რომელიც ადვოკატურას „მართლმსაჯულების დამოუკიდებელ ორგანოს“ უწოდებს.

საზღვარგარეთის ადვოკატთა პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის მათ მიერ განეული დახმარების სახეები შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ადვოკატები იძლევიან კონსულტაციებს და განმარტებებს სამართლებრივ საკითხებზე, შეადგენენ განცხადებებს, საჩივრებსა და სამართლებრივი ხასიათის სხვა დოკუმენტებს; წარმომადგენლობენ სასამართლოში, არბიტრაჟსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში სამოქალაქო საქმეებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე; სისხლის სამართლის საქმეებზე მონაწილეობენ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო პროცესში, როგორც დამცველები, ან როგორც დაზარალებულის – სამოქალაქო მოსარჩლის ან სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლები.

თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ადვოკატის საქმიანობაზე ზედამხედველობას, ძირითადად, თავად ადვოკატთა ასოციაციები და, იშვიათად, სასამართლოები ახორციელებენ, გერმანიაში კონტროლის უფლება ენიჭებათ იუსტიციის ორგანოებს, რომელნიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, აშშ-ში ადვოკატურას სასამართლო ხელისუფლება კურირებს, ხოლო გერმანიაში – აღმასრულებელი ხელისუფლება.

გერმანიაში მოქმედებს სპეციალური, აშშ-თან შედარებით სრულყოფილი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ადვოკატურის ორგანიზაციულ და ფუნქციურ საკითხებს. 1957 წლიდან უკვე არსებობდა ფედერალური დებულება ადვოკატთა მომსახურების ანაზღაურების შესახებ,

ხოლო 1959 წლის 1 აგვისტოს მიიღეს ფედერალური კანონი ადვოკატურის შესახებ.

გერმანიაში ადვოკატთა კოლეგიების ფორმირება ხდება ტერიტორიული პრინციპის მიხედვით და მათში ერთიანდებიან ერთსა და იმავე მიწის ფარგლებში მოღვაწე ადვოკატები. მიწის იუსტიციის სამინისტროს შეუძლია მოცემულ ტერიტორიაზე დაუშვას მეორე კოლეგიის ფორმირება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატთა რაოდენობა 500-ს გადააჭარბებს. მთლიანად ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ადვოკატები კი ერთიანდებიან ადვოკატთა ფედერალურ პალატაში. კოლეგიის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ნევრთა საერთო კრება, რომელიც შეიძლება მოწვეულ იქნეს მისი თავმჯდომარის, ან ნევრ-ადვოკატთა არანაკლებ 10 პროცენტის მოთხოვნით. კვორუმისა და პროცედურის საკითხებს წყვეტს შესაბამისი კოლეგიის წესდება ან შინაგანანესი. საერთო კრება ყველა გადანყვეტილებას იღებს უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის პოზიცია, გამონაკლისია გამგეობის ნევრთა არჩევა, რომლის დროს ხმათა გაყოფისას ტარდება ნილისყრა. საერთო კრება ირჩევს კოლეგიის გამგეობას, ადგენს სანევრო შესატანის ოდენობას და მათი გადახდის წესს, წყვეტს კოლეგიის ნევრებისა და მათი ოჯახის ნევრების სოციალურ საკითხებს, სტაჟირების, კოლეგიის საჭიროებისათვის თანხების გამოყოფის, გამგეობის ნევრებისა და ადვოკატთა ღირსების, სასამართლო ნევრთა ხარჯების ანაზღაურების საკითხებს.

კოლეგიის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს 7 წევრისგან შემდგარი გამგეობა, რომლის რაოდენობაც შეიძლება მხოლოდ საერთო კრების გადანყვეტილებით გაიზარდოს. გამგეობის ნევრებს წაყენებათ ივივე მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ფედერალურ სასამართლოსთან მოღვაწე ადვოკატები: იყვნენ 35 წლის და 3ქონდეთ ადვოკატად მუშაობის უწყვეტი სტაჟი. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადა 4 წელია, ყოველ ორ წელიწადში ხდება გამგეობის სანახევრო განახლება, მაგრამ დაუშვებელია გამგეობის შემადგენლობაში ნევრის მეორედ არჩევა. გამგეობის შემადგენლობაში შექმნილია სხვადასხვა განყოფილება, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. საქმიანობის საკუთარ სფეროში განყოფილებები სარგებლობენ მთლიანად გამგეობის უფლებამოსილებით.

გერმანიის ადვოკატთა კოლეგიის გამგეობა ირჩევს პრეზიდიუმს, რომელიც შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და ხაზინადარისგან. კოლეგიის ძირითადი ფუნქციაა კოლეგიის ქონებისა და ფულადი სახსრების განკარგვა. პრეზიდიუმი კოლეგიას ანგარიშგებას წარუდგენს ყოველკვარტალურად.

პრეზიდენტის თავმჯდომარე იმავდროულად წარმოადგენს კოლეგიის თავმჯდომარეს. სხვა მოვალეობებთან ერთად, იგი კოლეგიის საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად ანგარიშს წარუდგენს შესაბამისი მინისტრის იუსტიციის სამინისტროს. უმაღლეს ფედერალურ სასამართლოსთან მოქმედი ადვოკატთა კოლეგია ანგარიშს წარუდგენს უშუალოდ გერმანიის იუსტიციის მინისტრს.

ადვოკატთა ფედერალურ პალატას, რომელიც ყველა ტერიტორიულ კოლეგიას აერთიანებს, განსხვავებული სტრუქტურა აქვს. მასთან არ ფუნქციონირებს გამგეობა, ხოლო პრეზიდენტის შემადგენლობა აერთიანებს 4 წლით არჩეულ თავმჯდომარეს, 3 მოადგილესა და ხაზინადარს. უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კონფერენცია, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ, ყოველი ტერიტორიული კოლეგია სარგებლობს ერთი ხმის უფლებით, მიუხედავად იმისა, თუ მისი რამდენი წევრი ესწრება კონფერენციას. ამ ორგანოს რიგგარეშე სხდომა ტარდება არანაკლებ სამი კოლეგიის ან ფედერალური პალატის თავმჯდომარის მოთხოვნით. ფედერალური პალატის ბიუჯეტს ავსებენ ტერიტორიული კოლეგიები თავიანთი შენატანებით, რომელთა ოდენობასაც ადგენს კონფერენცია. ყველა საკითხი წყდება ხმათა უმრავლესობით, გამონაკლისია მხოლოდ რომელიმე ტერიტორიულ კოლეგიაზე ფინანსური სანქციების დადება, რომელიც ერთხმად უნდა გადაწყდეს.

გერმანიის კანონმდებლობით, ადვოკატთა კოლეგიები წარმოადგენენ „საჯარო სამართლის კორპორაციებს“ და ფორმალურად მათში გაერთიანება ნებაყოფლობითია. მაგრამ, თუ ადვოკატი არ არის კოლეგიის წევრი, იგი პრაქტიკულად ვერასოდეს ვერ იმუშავებს უმაღლეს ფედერალურ სასამართლოსთან. სხვა პირობებთან ერთად, ამისთვის მას სჭირდება ტერიტორიული კოლეგიისა და ფედერალური კოლეგიის რეკომენდაციები. ნებისმიერმა პირმა, საადვოკატო პრაქტიკის დაწყებისას, უნდა გახსნას საკუთარი კანცელარია იმ სასამართლოებთან, რომელზეც იგი მიმაგრებულია. მაშასადამე, ადვოკატი შეიძლება გაერთიანდეს ან არ გაერთიანდეს კოლეგიაში. ამიტომ საადვოკატო საქმიანობაზე კონტროლის ფუნქცია აქვს სახელმწიფოს და არა კოლეგიას. ამის მოტივად კი გვევლინება კოლეგიების მიერ იმ პირთა გაკონტროლების შეუძლებლობა, რომლებიც არ წარმოადგენენ კოლეგიის წევრებს.

აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ადვოკატურის კონტროლი, სამართლის ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მისაღებ ფორმად მივიჩნიოთ. გაცილებით ეფექტიანი და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისია შემდეგი ორი ვარიანტი: პირველი, როდესაც თავად კოლეგიები კურირებენ მათ ტერიტორიაზე მოღვაწე ადვოკა-

ტებს, მიუხედავად იმისა არიან თუ არა ისინი ამ კოლეგიის წევრები და მეორე, როდესაც ადვოკატთა გაერთიანებებზე კონტროლს ახორციელებს სასამართლო ხელისუფლება.

რაც შეეხება გერმანიაში ადვოკატების პროფესიული ეთიკის დარღვევისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ამ საკითხს წყვეტენ ე. წ. ღირსების სასამართლოები, რომლებიც აერთიანებენ მინების იუსტიციის სამმართველოს მიერ 4 წლის ვადით დანიშნულ თავმჯდომარესა და რამდენიმე წევრს. პასუხისმგებლობის დანესებასთან დაკავშირებით წინასწარ მიმდინარეობს კონსულტაციები ადვოკატთა ტერიტორიულ კოლეგიებთან.

ღირსების სასამართლოს წევრი სარგებლობს ჩვეულებრივი მოსამართლის ყველა უფლებამოსილებით, მაგრამ ეს საქმიანობა ხორციელდება საზოგადოებრივ სანაყისებზე, იგი არ ლეზულობს ხელფასს, მას აუნაზღაურებენ მხოლოდ სამსახურებრივ და სატრანსპორტო ხარჯებს. საქმეებს სასამართლო განიხილავს კოლეგიურად, თავმჯდომარისა და ორი წევრის შემადგენლობით. ყოველი მინის უმაღლეს სასამართლოსთან მოქმედებს სპეციალური სასამართლო პალატა, რომელიც წარმოადგენს ქვემდგომი ღირსების სასამართლოების მეორე ინსტანციას. ამ პალატაში წარმოდგენილი არიან როგორც პროფესიონალი მოსამართლეები, ასევე ადვოკატები. პალატის თავმჯდომარე და კონკრეტული საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარე შეიძლება იყოს მხოლოდ ადვოკატი. პალატის წევრებს 4 წლის ვადით ნიშნავს მინის იუსტიციის სამინისტრო. საზედამხედველო ინსტანციას კი წარმოადგენს უმაღლეს ფედერალურ სასამართლოსთან მოქმედი ადვოკატთა საქმეების სენატი. ეს ორგანო უფლებამოსილია, საგანგებოდ გადასინჯოს ღირსების სასამართლოს ან მინების პალატების მიერ განხილული საქმეები. სენატის შემადგენლობაში შედიან: უმაღლესი ფედერალური სასამართლოს თავმჯდომარე, ამავე სასამართლოს სამი წევრი და სამი ადვოკატი. ამ ადვოკატებს ნიშნავს გერმანიის იუსტიციის მინისტრი ადვოკატთა ფედერალური პალატის მიერ წარდგენილ კანდიდატთა რიცხვიდან. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს თავმჯდომარე სენატში შედის თანამდებობის მიხედვით, სხვა წევრებს კი ნიშნავს იუსტიციის მინისტრი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგენილი სიიდან.

სხვა ქვეყნებში ადვოკატურის სტატუსი, როგორც წესი, კანონებით რეგულირდება. აქედან გამონაკლისია დიდი ბრიტანეთის ორი საადვოკატო კორპორაციიდან ერთ-ერთი – ბარისტერები, რომელთა საქმიანობაში, მათ შორის, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, სახელმწიფო ტრადიციულად არ ერევა. ეს პრივილეგირებული კორპორაცია აერთიანებს ყველაზე კვალიფიციურ ადვოკატებს, რომლებსაც საქმე აქვთ მხოლოდ

უმალეს სასამართლოებთან. ბარისტერები ფლობენ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, წარმოადგინონ კლიენტი და დაიცვან მისი ინტერესები ლორდათა პალატაში, საიდუმლო საბჭოს იურიდიულ კომიტეტში, სააპელაციო სასამართლოში, მაღალი სასამართლოს სამივე განყოფილებაში, გვირგვინის სასამართლოში და შრომითი საქმეების სააპელაციო ტრიბუნალებში.

ბარისტერები გაერთიანებული არიან ოთხი საადვოკატო კორპორაციიდან ერთ-ერთში. ამ კორპორაციებს ხელმძღვანელობენ მოსამართლეები ან უფროსი ბარისტერები. ვიდრე პირი ბარისტერი გახდებოდეს, პირველ ყოვლისა, პრაქტიკა უნდა გაიაროს რომელიმე ზემოაღნიშნულ კორპორაციაში. მან უნდა დაიცვას განსაზღვრული ტრადიციული პირობები, მაგალითად, ოცდაოთხჯერ ისადილოს შესაბამის კორპორაციაში და განეგრებამდე უნდა ჩააბაროს გამოცდა. ამის შემდეგ, ერთი წლის მანძილზე, მიამაგრებენ რომელიმე პალატაში მოღვაწე კვალიფიციურ ბარისტერს. ექვსი თვის შემდეგ მას შეუძლია მცირე მნიშვნელობის საქმეები თავად წარმართოს სასამართლოში, იმ პირობით, რომ სრულად გაივლის პრაქტიკული მომზადების კურსს. ბარისტერები ასევე რჩევენ აძლევენ სოლისიტორებს სამართლებრივ საკითხებზე და შეადგენენ პროცესის წარმოებისთვის საჭირო დოკუმენტებს.

ბარისტერების მთავარი მმართველობის ორგანოა გენერალური საბჭო. იგი განსაზღვრავს კორპორაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს ამ იურიდიული პროფესიისთვის დადგენილი სტანდარტებისა და დამოუკიდებლობის დაცვას. მას აქვს, აგრეთვე, დისციპლინური დეენის განხორციელების უფლებამოსილებაც. მეორე ტიპის მოღვაწე იურისტები, სოლისიტორები, გაერთიანებულნი არიან იურიდიულ საზოგადოებად, რომლის სტატუსი განსაზღვრულია სოლისიტორების შესახებ 1974 წლის აქტით. სოლისიტორები გვევლინებიან სავალდებულო შუამავლად ბარისტერებსა და კლიენტებს შორის. ისინი ამზადებენ საქმეებს ბარისტერებისთვის, ხოლო თავად უძღვებიან ნაკლებად რთულ საქმეებს. მათ საქმიანობას ზედამხედველობენ მაღალი და სააპელაციო სასამართლოები.

სოლისიტორების მოვალეობაა, კონსულტაცია გაუწიონ კლიენტებს სამართლებრივ და ფინანსურ საკითხებზე. ისინი, ძირითადად, დაკავებულნი არიან უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი უზრუნველყოფით, მინის სტატუსის შემოწმებით, ანდერძების შედგენით, კომპანიების დაფუძნებით, კონსულტაციების განეევით საოჯახო და სისხლის სამართალში. რაც შეეხება სასამართლო წარმოებას, სოლისიტორი ამზადებს საქმეს განსახილველად და აგროვებს ფაქტობრივ მონაცემებს, უზრუნველყოფს პროცესზე მონაწილის დასწრებასა და სათანადო დოკუმენტების წარდგენას.

ბარისტერისგან განსხვავებით, სოლისიტორი უფლებამოსილია წარმოადგინოს კლიენტი და დაიცვას მისი ინტერესები მხოლოდ გვირგვინის სასამართლოსა და მაგისტრატების სასამართლოში. ვაკოტრების საქმეებზე იგი უფლებამოსილია გამოვიდეს მაღალ სასამართლოშიც, გარდა ამისა, იგი უფლებამოსილია გამოვიდეს სამრეწველო სასამართლოში.

სოლისიტორების მმართველი ორგანოა იურიდიული საზოგადოება. მასში გაერთიანებულია იურისტების 85 პროცენტი, მაგრამ იგი დისციპლინურ დევნას ახორციელებს ყველა პრაქტიკოსი იურისტის მიმართ. აღნიშნული საზოგადოება ორგანიზაციას უწევს სოლისიტორების მიღებას, მათ სწავლასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. იგი მართავს საკომპენსაციო ფონდს, რომელსაც ყოველწლიური შესატანით ავსებენ სოლისიტორები და საიდანაც კლიენტებს აუნაზღაურდებათ სოლისიტორების მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი. სოლისიტორებთან დაკავშირებული სადისციპლინო საკითხებს არეგულირებს სოლისიტორების სადისციპლინო ტრიბუნალი.

აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში სასამართლო ხელისუფლების სისტემაში ნებისმიერი თანამდებობის დაკავება მხოლოდ ადვოკატურის გავლით არის შესაძლებელი. ადვოკატებს ასევე აქვთ უპირატესობა მრავალადმინისტრაციულ თანამდებობაზე და უნივერსიტეტის იურიდიული სპეციალობების კათედრებზე დანიშვნისას.

საფრანგეთში ადვოკატებს აკისრიათ სასამართლო პროცესში მხარეთა ინტერესების დაცვის ფუნქცია. 1971 წლამდე საფრანგეთში, პროფესიული მომზადების თვალსაზრისით, განსხვავებდნენ დიდი პროცესის ტრიბუნალის რწმუნებულ ადვოკატს და სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალის რწმუნებულ ადვოკატს. ამჟამად ეს ორი ინსტიტუტი შერწყმულია და ერთიანდება ადვოკატის პროფესიაში. დიდი პროცესის ტრიბუნალთან შექმნილია ადვოკატთა კოლეგია, რომელსაც ხელმძღვანელობს ადვოკატთა საბჭო. ადვოკატთა კოლეგიაში ჩარიცხვისათვის სავალდებულოა უმაღლესი იურიდიული განათლება, ადვოკატთა მომზადების ერთნაირი კურსების გავლა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღება. ადვოკატებს უფლება აქვთ, მისდიონ ინდივიდუალურ პრაქტიკას ან შექმნან საადვოკატო კანტორები. საკასაციო სასამართლოში ან სახელმწიფო საბჭოში გამოსვლის უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ იმ ადვოკატებს, რომლებიც საკასაციო სასამართლოს ადვოკატთა კოლეგიის შემადგენლობაში შედიან.

ადვოკატები საფრანგეთში, ერთი მხრივ, სასამართლო ოლქების მიხედვით, ერთიანდებიან ავტონომიურ კოლეგიებში. ადვოკატთა კოლეგიაში პირების მიღებასა და გარიცხვას აკონტროლებს ის სასამართლო, რომელთანაც მოქმედებს კოლეგია. მეორე მხრივ, მხოლოდ ადვოკატების

ნაციონალური ასოციაციის კომპეტენციაში შედის მათი პროფესიული ეთიკის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ადვოკატების სოციალური უზრუნველყოფის საკითხების მოგვარება.

შვედეთში სამოქალაქო პროცესში მხარეებს, ხოლო სისხლის სამართლის პროცესში და ზარალბუღსა და განსასჯელს წარმოადგენს ადვოკატი – შვედეთის ადვოკატთა ასოციაციის წევრი. წევრად მიღებისთვის კი აუცილებელია პრაქტიკული საქმიანობის ხუთი წლის გამოცდილება და სპეციალური გამოცდის ჩაბარება. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სარგებლობს უფასო ან შეღავათიანი იურიდიული დახმარების უფლებით. გარდა ამისა, მრავალი მათგანი დაზღვეულია იმ შემთხვევისთვის, თუ მათ დასჭირდებათ ადვოკატის მომსახურება.

ესპანეთში საქმის განხილვის დროს მხარეთა დაცვას პროფესიულ დონეზე ახორციელებენ ადვოკატები, რომლებიც შეიძლება იყვნენ მხოლოდ იურიდიული განათლების მქონე პირები. ადვოკატები თავიანთ საქმიანობაში დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ექვემდებარებიან.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ასეა მიჩნეული, რომ ადვოკატებისაგან განსხვავებით, აუცილებელი არ არის რწმუნებული იყოს პროფესიონალი იურისტი. მიუხედავად ამისა, ხშირად სწორედ ისინი წარმოადგენენ მხარეებს სასამართლოში. როგორც ადვოკატები, ასევე რწმუნებულები აუცილებლად უნდა იყვნენ გაერთიანებული პროფესიულ კოლეგიებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი საჯარო ადმინისტრაციის ან საჯარო კორპორაციის სამსახურში იმყოფებიან.

თავი მეხუთე

საკონსტიტუციო იუსტიცია

სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს სამართლის წყაროთა სისტემაში კონსტიტუციის უზენაესობა, მისი პირდაპირი, უშუალო მოქმედება. სწორედ კონსტიტუცია წარმოადგენს სახელმწიფოს ძირითად კანონს და მისი უზენაესობა ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული, პირველ ყოვლისა, თავად კონსტიტუციის სამართლებრივ ბუნებას განაპირობებს, რაც, რა თქმა უნდა, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპები, გარანტირებული – ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, რომელთა დაცვის აუცილებლობაც საერთაშორისო სამართლის ნორმებით არის დადგენილი. მეორე მხრივ, კონსტიტუციის უზენაესობა გულისხმობს მის უმაღლეს იურიდიულ ძალას ყველა სხვა სამართლებრივი აქტის მიმართ. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტები გამოიცემა კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად, ხოლო იმ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, არა აქვს იურიდიული ძალა. მესამე მნიშვნელოვანი პირობა კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველსაყოფად არის მისი მოქმედების უშუალო ხასიათი.

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის მიზანი ის გახლავთ, რომ ყველა სახელმწიფო ორგანოს სამართალგამოყენებითი პრაქტიკა კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს, ყველა თანამდებობის პირს, მიუხედავად მისი მდგომარეობისა, ეკისრება პასუხისმგებლობა კონსტიტუციით განმტკიცებული პრინციპებისა და ნორმების დარღვევისათვის და ბოლოს, კონსტიტუციის უზენაესობა გულისხმობს ძირითადი კანონის მოქმედებას სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. ფედერაციულ სახელმწიფოში ფედერალური კონსტიტუცია მოქმედებს ფედერაციის ყოველი სუბიექტის ტერიტორიაზე, ხოლო ფედერაციის სუბიექტების კონსტიტუციები – მხოლოდ მათ ტერიტორიაზე. კონსტიტუციის უზენაესობის აღნიშნული პრინციპების განხორციელება არ ხდება ავტომატურად. მისი მოქმედება შეიძლება დაირღვეს განზრახ, ან სამართალშემოქმედების დროს დაშვებული შეცდომების შედეგად. მსგავსი ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით, არსებობს კონსტიტუციის დაცვის სამართლებრივი საშუალებე-

ბის სისტემა, რომელთა შორის ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია საკონსტიტუციო იუსტიცია და მისი ერთ-ერთი სახეობა საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი.

მიუხედავად საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის ინსტიტუტის ორასწლოვანი ისტორიისა, დღესაც, თუნდაც ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, რომ არაფერი ვთქვათ, პრინციპებსა და საქმიანობის ნუსებზე, ბევრი რამ დაკონკრეტებას, დახვეწასა და განზოგადებას საჭიროებს. დაინწყით იმით, რომ ერთმანეთთან არ უნდა გავაიგივოთ ტერმინები „კონსტიტუციური კონტროლი“ და „საკონსტიტუციო კონტროლი“. პირველი გულისხმობს კონსტიტუციით დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის სახეებსა და შესაბამის ინსტიტუტებს. ამდენად, აღნიშნული ტერმინი ერთდროულად უნდა მოიცავდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ საპარლამენტო, სამთავრობო და სასამართლო კონტროლს. საკონსტიტუციო კონტროლი კი კონტროლის იმ სფეროს მოიცავს, რომელიც საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ხელისუფლების ორგანოების ქმედებათა კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასებას ისახავს მიზნად.

სახელმწიფო მმართველობაში კონტროლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის განსაზღვრავს, რომ მის გარეშე, ელემენტარულად, წარმოუდგენელია ისეთი რთული სამართლებრივი ორგანიზმის ფუნქციონირება, როგორც სახელმწიფოა. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო კონტროლის მოქმედ სისტემაში თავისებური როლი ეკუთვნის ხელისუფლების სამივე შტოში შექმნილ, მათთვის დამახასიათებელი ფუნქციური დატვირთვის მატარებელ საკონტროლო ინსტიტუტებს. ამდენად, სახელმწიფო მმართველობა საქმიანობის ის სფეროა, სადაც კონტროლის სახეები და ფორმები წარმოდგენილია მაქსიმალური მრავალფეროვნებით. რაც შეეხება კონტროლის არეალს, მისი სამი ძირითადი დანიშნულებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მართვის საქმეში იგი განუსაზღვრელია. პირველ ყოვლისა, კონტროლი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან, თავად, „შეკავება-განონანსწორების“ მექანიზმი საკონტროლო ბუნებისაა. ამ იდეის რეალიზაციას ემსახურება საკონსტიტუციო კონტროლი. მეორე მხრივ, კონტროლი სახელმწიფო მმართველობაში განამტკიცებს კანონიერების რეჟიმს და იძლევა ობიექტურ ინფორმაციას კანონმდებლობის სრულყოფის ახალი ორიენტირების შესახებ. ამ დანიშნულებისაა საპარლამენტო კონტროლი. და მესამე, კონტროლი ესაა მმართველობითი პროცესის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი საშუალება და პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი იარაღი, რომელიც ხელს უწყობს მმართველობით აპარატში საშემსრულებ-

ლო დისციპლინის ამაღლებას. ეს ფუნქცია აკისრია სამთავრობო კონტროლს. ობიექტურად, ყოველ მათგანს საკუთარი სამართლებრივი ბუნებიდან და სახელმწიფო კონტროლის სისტემაში განსაზღვრული ადგილიდან გამომდინარე, განსხვავებული დოზით, თავისი პრობლემები აქვს. მათი ორგანული ჯგამი კი სწორედ კონსტიტუციური კონტროლის ფარგლებში ისეთ საერთო სისტემურ პრობლემად ყალიბდება, როგორცაა სახელმწიფო კონტროლის ქმედითობის, კოორდინაციისა და პროფილაქტიკური დანიშნულების დაბალი დონე. ასე რომ, პრობლემები მრავლადაა. ჩვენ ზოგიერთ მათგანს განვიხილავთ. პირველ რიგში, ერთ თეორიულ საკითხს შევეხებით, კერძოდ, „კონტროლის“ ტერმინოლოგიური ტევაადობა გვაქვს მხედველობაში. თუ საპარლამენტო და აღმასრულებელ სფეროებში ამ თეალსაზრისით ყველაფერი ცხადია, ჩვენი აზრით, მისი მოცულობა საკონსტიტუციო ზედამხედველობის სფეროში გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ხელისუფლების შტოთა რეალურ დანაწილებას „შეკავება-განონასწორების“ მექანიზმის კონსტიტუციური გარანტიის ქვეშ. საკონსტიტუციო ზედამხედველობის პრაქტიკამ თანდათანობით გააფართოვა პორიზონტი, გაამდიდრა სამოქმედო არეალი და კუთვნილი ადგილი დაიკავა ხელისუფლების შტოთა ურთიერთქმედების სამართლებრივი მონესრიგების საქმეში. ყოველივე აღნიშნულის ლოგიკურ შედეგად, იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ახალი ტერმინი – „საკონსტიტუციო კონტროლი“. ეს არ არის უბრალო ტერმინოლოგიური სიახლე. კონსტიტუციური ზედამხედველობა და საკონსტიტუციო კონტროლი არატოლფასი გაგებებია. მათ შორის ზუსტად ის ზღვარი ძვეს და ის სხვაობა ამოიკითხება, რაც არსებობს ორ სამართლებრივ ქმედებას – ზედამხედველობასა და კონტროლს შორის. ზედამხედველობისაგან განსხვავებით, კონტროლი მართვის პროცესში, ქვესაკონტროლო ობიექტების ქმედებათა კანონშესაბამისობისა და მიზანშეწონილობის რეგულირების მიზნით, თვითნიციატივურ ჩარეეასაც გულისხმობს, რა თქმა უნდა, კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. საკონსტიტუციო ზედამხედველობისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო კონტროლი კანონშემოქმედებით პროცესში გარკვეულ ჩარეეასაც გულისხმობს, კანონპროექტების ნინასწარი ექსპერტიზის გზით, კანონთა კონსტიტუციურობის უზრუნველყოფის მიზნით და თავად კონსტიტუციითა და შესაბამისი ორგანული კანონით დადგენილ ფარგლებში.

სწორედ ასეთი საშუალებები, როგორცაა ნინასწარი შემონმებისა თუ შეთანხმების ინსტიტუტი, საკონსტიტუციო კონტროლის პროფილაქ-

ტიკურ ფუნქციას ასრულებს, ხოლო კონსტიტუციის ნორმატიული განმარტება კონსტიტუციის დაცვის ოფიციალურ ფორმადაა აღიარებული. უკანასკნელ ხანებში ფრანგული საკონსტიტუციო საბჭოს წინასწარი კონტროლის პრაქტიკა კონტროლის საგნისა თუ ობიექტების წრის რეგლამენტირებით, ფართოდ იკიდებს ფეხს დასავლეთ ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების საქმიანობაში. მათ არსენალში სულ უფრო ხშირად მონაცვლეობს წინასწარი – პრევენტიული და შემდგომი კონტროლის ფორმები. ასე რომ, კონსტიტუციური ზედამხედველობა ამ სასამართლოებში კონტროლის საშუალებით გამდიდრდა, ფაქტობრივად, კონსტიტუციური კონტროლით შეიცვალა და იგი ხორციელდება, როგორც საკანონმდებლო აქტების მიღების პროცედურული ნესების, ასევე ამ აქტების კონსტიტუციური ნორმებისადმი შესაბამისობის შემოწმების გზით.

საფრანგეთში, იტალიაში, ავსტრიაში, პორტუგალიასა და ირლანდიაში პრევენტიული კონტროლი კონსტიტუციურ დონეზეა აღიარებული და ორგანული კანონებითაა დამკვიდრებული. საკონსტიტუციო სასამართლოების წინასწარ კონტროლს ექვემდებარება რეფერენდუმის საგანი და საერთაშორისო ხელშეკრულებები. ბევრი სხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოები აქტიურად იყენებენ კონსტიტუციური ნორმების განმარტების უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოთა უფლებამოსილების ასეთი გაფართოება მნიშვნელოვანი ძალაა მათ ხელში. ამ ფუნქციის პრაქტიკა კი ისეთია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოთა განმარტებითი აქტები თავად კონსტიტუციურ ნორმებზე, ერთგვარად, თითქოსდა სარისკოცაა, მაგრამ ყველაფერი ადგილისა და დროის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. კონსტიტუციური ნორმების გაგებისა და ამოქმედების მიზნით, განმარტების ინსტიტუტი თვითონ კანონმდებლობისგან განსხვავებით, ნეიტრალურ ინტერპრეტაციას საჭიროებს, განსაკუთრებით, სამართლებრივად მოუნესრიგებელ ქვეყნებში.

არის კიდევ ერთი ჩრდილოვანი მხარე საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის თანამედროვე პრაქტიკაში. საქმე ის არის, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს კონსტიტუციის დაცვას მისი დამრღვევი მიმდინარე კანონმდებლობისგან. ზოგიერთ შემთხვევაში, კონსტიტუციის შეუსაბამო ნორმატიული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტები ნების მანძილზე შეიძლება მოქმედებდეს, ვიდრე სარჩელის სუბიექტი არ გამოიყენებს თავის უფლებას. ასეთი რამ განსაკუთრებით შესაძინებია იმ ქვეყნებში, სადაც შემდგომი რეაქციის მექანიზმი მოქმედებს.

5-1. ისტორიული ასპექტები

კონსტიტუციის უზენაესობის, მისი დებულებების განუხრელი შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, არსებობდეს უფლებადამცავი და უფლებააღმდგენი მექანიზმები, რომელთა შორის საზღვარგარეთის სახელმწიფოებში უპირველესი ადგილი უკავია საკონსტიტუციო და უმაღლეს სასამართლოებს, რომელთაც კონსტიტუციის შესრულებასა და განმარტებაზე კონტროლი ეკისრებათ. ესენია: ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო; საკონსტიტუციო სასამართლოები იტალიაში, გერმანიაში, თურქეთში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ეფექტური მოქმედება თანამედროვე პირობებში წარმოუდგენელია იურისდიქციულ-საკონტროლო საქმიანობის გარეშე, რადგან სწორედ უმაღლესი სასამართლო იურისდიქციის ორგანოებს შეუძლიათ განმუხტონ კონფლიქტები, რომელსაც ადგილი აქვს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, კერძოდ კი, აღმასრულებელსა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და იურისდიქციული საქმიანობის იმ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელიც სამართალ-განმარტების მეშვეობით ხორციელდება.

ვიდრე კონსტიტუციის დაცვის უზრუნველსაყოფად არსებულ ამ სისტემებს, მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად ტენდენციებსა და „გეოგრაფიას“ განვიხილავდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციური ნებსრიგისა და საერთოდ, მართლწესრიგის კონტროლის ისეთი ფორმები მოქმედებს, როგორცაა: პრეზიდენტის, როგორც კონსტიტუციის გარანტის საკონტროლო საქმიანობა; კანონიერებაზე საპროკურორო ზედამხედველობა; პარლამენტის სტრუქტურებისა და უფლებამოსილი პირების – ომბუდსმენების თუ მათი ანალოგიური ინსტიტუტების საქმიანობა და სხვ. არსებობს კონსტიტუციის დაცვის არაიურიდიული ხერხებიც. მაგალითად, გერმანიის, სლოვაკეთის, განის კონსტიტუციების თანახმად, ხალხს მთლიანად და თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს წინ აღუდგეს დემოკრატიული კონსტიტუციური წყობის ხელშეწყობ ნებისმიერ მოქმედებას.

საკონსტიტუციო კონტროლს, როგორც სახელმწიფო საქმიანობის დამოუკიდებელ მიმართულებას ჯერ კიდევ დიდ ბრიტანეთში ვხვდებით, სადაც XVII საუკუნეში საიდუმლო საბჭო უფლებამოსილი იყო, გაებათილებინა და იურიდიული ძალის არმქონედ გამოეცხადებინა გაერთიანებული სამეფოს კოლონიების საკანონმდებლო ორგანოების – ლეგისლატურე-

ბის მიერ გამოცემული კანონები, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდა ინგლისის პარლამენტის კანონებს ან საერთო სამართალს.

მოგვიანებით, უკვე ოფიციალურად, აშშ-ის კონსტიტუციამ მხოლოდ ზოგადად დაადგინა სასამართლოების უფლება საკონსტიტუციო ზედამხედველობაზე, როდესაც კანონებთან დაკავშირებით სასამართლოს სააპელაციო იურისდიქცია გაითვალისწინა (მუხლი 3, ნაწილი 2), ანუ კონსტიტუციამ პირდაპირ არ განსაზღვრა საკონსტიტუციო ზედამხედველობასთან დაკავშირებული უფლებამოსილება. თუმცა, შემდგომ იგი სასამართლო პრეცედენტებისა და კონსტიტუციური განმარტებების სახით ჩამოყალიბდა.

პირველად ასეთი პრეცედენტი გაფორმდა 1803 წელს საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ.“ ამ დროს კონგრესის მიერ მიღებული კანონი დაუპირისპირდა კონსტიტუციას და დღის წესრიგში დადგა საკითხი, თუ რომელ მათგანს უნდა მინიჭებოდა უპირატესობა. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუცია არის „ქვეყნის ძირითადი და უზენაესი კანონი“ და რომ „საკანონმდებლო ხელისუფლების ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მოკლებულია იურიდიულ ძალას.“ ამგვარად, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ, ჯორჯ მარშალის თავმჯდომარეობით, შემოიღო კანონების, მათ შორის, ფედერალური კანონების კონსტიტუციურობაზე კონტროლის პრინციპი. ეს საქმე იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ისეთი კანონი, რომელიც მას განსაზღვრულ უფლებამოსილებას ანიჭებდა. მომდევნო საქმეების განხილვამ სასამართლო კონტროლის უფლება პრეზიდენტის მიერ გამოცემულ აქტებზეც განავრცო. ყოველივე ამან დასაბამი მისცა ახალ მიმართულებას კონსტიტუციონალიზმში.

ასე რომ, 1803 წელი აღიარებულია საკონსტიტუციო ზედამხედველობის დოქტრინის დაბადების წლად, დაბადება კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთი კონკრეტული საქმის გადანყვეტასთან დაკავშირებით გაფორმდა. მას შემდეგ მისი განვითარების „გეოგრაფია“ გაფართოვდა. შეიქმნა სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოები, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ტრადიცია შენარჩუნებულ იქნა – ეს უფლება ისევ უზენაესი სასამართლოს ხელში დარჩა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საკონსტიტუციო ზედამხედველობას ახორციელებს ყველა სასამართლო და არა მხოლოდ უზენაესი სასამართლო, მაგრამ საბოლოო გადანყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ უზენაესი სასამართლო ინსტანციის მიერ, რომელიც საკონსტიტუციო კონტროლის უფლებით არის აღჭურვილი. ფედერალურ სასამართლოს ასევე უფლება აქვს, ბათილად ცნოს შტატი-

ბის კანონები, თუ ისინი ფედერალურ კანონებს ან ხელშეკრულებებს ენი-
ნააღმდეგება. ეს ნორმა სასამართლომ 1796 წელს დაადგინა საქმეზე „უერი
ჰილტონის წინააღმდეგ.“ სარჩელი ბრიტანელმა კრედიტორმა აღძრა,
რომელიც ცდილობდა ვირჯინიის შტატისგან კუთვნილი ვალის დაბ-
რუნებას. ვირჯინიის შტატმა გააუქმა ვალები, რომლებიც მას ემართა ბრი-
ტანეთის ქვეშევრდომების წინაშე. მაგრამ პარიზის 1783 წლის ზავი,
რომელშიც ბრიტანეთმა ფორმალურად ცნო კოლონიების დამოუკიდებ-
ლობა, გარანტიას აძლევდა ბრიტანელ კრედიტორებს. უზენაესმა სასა-
მართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის შესა-
ბამისად, ვირჯინიის შტატის კანონი გაუქმებულია და ამით ქვეშევრ-
დომებს ვალი აღუდგინა.

მეორე პრეცედენტის დროს უზენაესმა სასამართლომ უარყო შტატე-
ბის უზენაესი სასამართლოების უფლებამოსილება კონსტიტუციის საკ-
უთარი ინტერპრეტაციის უფლებაზე. საქმეზე „მარტინი ჰანტერს ლესის
წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ მხოლოდ უზენაეს სასამართლოს ჰქონდა
უფლებამოსილება, გადაესინჯა შტატების სასამართლოების გადან-
ყვეტილებები, სადაც ფედერალური კანონების ინტერპრეტაცია იქნებო-
და მოცემული.

დროთა განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა
სასამართლომ, დაახლოებით 1200 შემთხვევაში, გამოიყენა კონტროლის
უფლება შტატებისა და ადგილობრივი კანონების გასაბათილებლად ისეთ
საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა სიკვდილით დასჯას, აბორტებს, მსჯავ-
რდადებულთა უფლებებს, საარჩევნო ოლქების საზღვრებს.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის უფლება სასამართლო ხელისუ-
ფლებას შესაძლებლობას აძლევს, ჩაერიოს ქვეყნის პოლიტიკურ პროცეს-
ებში და სასამართლო განმარტებებს, რომლებიც გარკვეულად ნორმატი-
ული ხასიათით გამოირჩევა, პოლიტიკური მიმართულება მისცეს. ამას თუ
იმ გარემოებასაც დაეუმატებთ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსა-
მართლეები ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებენ და
იყენებენ კანონთა განმარტების უფლებას, გამოდის, რომ ფაქტობრივად
არა ხალხის მიერ არჩეული, არამედ დანიშნული პირები ქმნიან კანონმ-
დებლობას. თითქოს წარმოიქმნება სასამართლოს პოლიტიზების სა-
ფრთხე, საშიშროება იმისა, რომ ხალხის ინტერესები არ იქნება დაცული.
სხვათა შორის, ეს ის არგუმენტია, რომელსაც ხშირად იყენებენ სპეციალ-
ური საკონსტიტუციო სასამართლოების შექმნის მონინააღმდეგენი და
მანინც, მსოფლიოში მათი ქსელი ფართოვდება. როგორც ჩანს, ასეთი სა-
ფრთხე აქაც უნდა გამოვრიცხოთ, მით უფრო, რომ მიუხედავად ასეთი
შესაძლებლობისა, თითქმის ორსაუკუნოვანი პრაქტიკის განმავლობაში

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ რეალურად სულ 140-მდე ფედერალური კანონი გააუქმა და მათგან სულ რამდენიმეს ჰქონდა მნიშვნელობა პოლიტიკური სისტემისათვის.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის იდეა აქტიურად განვითარდა ევროპაში სპეციალიზებული საკონსტიტუციო სასამართლოების სახით, რომელთა კომპეტენციასაც, უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობაზე კონტროლი შეადგენდა. სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ამ მოდელს ეწოდება „ევროპული“ განსხვავებით „ამერიკული“ ანუ ანგლოსაქსური მოდელისგან, რომლის დროსაც საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებენ საერთო იურისდიქციის სასამართლოები. ევროპული მოდელის ფორმირება რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. პირველი მიზეზი იყო ევროპაში სამართლის უპირველეს წყაროდ კანონის აღიარება. ჯერ კიდევ აბატი სიესი მოითხოვდა, კონსტიტუციის დაცვის კონტროლი მიენდოთ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის და საკუთარი მოთხოვნის არგუმენტაციაც მოჰყავდა: „კონსტიტუცია არის საყოველთაოდ სავალდებულო საკანონმდებლო წესების ერთობლიობა. თუ ეს ასე არ არის, მაშინ იგი არაფერს არ წარმოადგენს, ხოლო თუ ეს საყოველთაოდ სავალდებულო წესების ერთობლიობაა, მაშინ ისმის კითხვა, სად არის მისი დამცავი ინსტანცია, სად არის სასამართლო ხელისუფლება, რომელიც იცავს ამ კოდექსს. კანონის არსებობა თავისთავად იძლევა მათი გვერდის ავლის შესაძლებლობას, ამიტომ საჭიროა მოხდეს მათი შესრულების უზრუნველყოფა.“¹

მეორე მიზეზი, რომელმაც გავლენა მოახდინა საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის ჩამოყალიბებაზე, იყო კონტინენტური ევროპის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა არაკომპეტენტურობა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაში. იტალიელმა პროფესორმა კაპელეტიმ სწორედ ამაზე მიუთითა, როცა აღნიშნა, რომ „კონტინენტური ევროპის მოსამართლეები, ჩვეულებრივ, წარმოადგენენ სასამართლო უწყების ჩინოვნიკებს, რომელთაც არ შესწევთ კანონმდებლობაზე კონტროლის განხორციელების უნარი, რაც თავისი არსით ყოველთვის შემოქმედებით ხასიათს ატარებს და მათი ტრადიციული ფუნქციებიდან ყოველთვის გაცილებით შორს დგას.“²

კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ განსხვავებული მიდგომა მოსამართლეთა სპეციალიზაციის საკითხთან დაკავშირებით. თუ საერთო სამართლის ქვეყნებში საკონსტიტუციო მართლმსაჯულება განუყ-

1 Боботов С. В., Конституционная Юстиция. Москва, 1997, стр. 32.

2 Cappelletti M. The Judicial Process in comparative Perspective, L., 1982, p. 43.

ოფელია საერთო მართლმსაჯულებისაგან, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში არსებობს მოსამართლეთა სპეციალიზაციის ფართო სპექტრი.

პროფესორ პელმუტ შტიონბერგერის აზრით, ძირითადი უპირატესობა, რომელიც აქვს სპეციალურ საკონსტიტუციო იურისდიქციას, იმაში მდგომარეობს, რომ ამ მოდელის დროს საქმის გარემოებათა გამოკვლევა და გადანყვეტილების მიღება შედარებით რაციონალიზებული პროცედურით ხორციელდება: საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ საკონსტიტუციო სამართლებრივი საკითხების განხილვით, რაც მას თავიდან ააცილებს იმის აუცილებლობას, რომ ერთდროულად გადანყვიტოს მეტად რთული, სპეციალური საკითხები სამოქალაქო სამართლის და სხვა სფეროებიდან. ამასთან, კონტინენტური მოდელის დროს გაცილებით მარტივია სასამართლო გადანყვეტილებას მიენიჭოს საყოველთაოდ სავალდებულო ხასიათი.

საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელი აღმოცენდა ვენის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორის ჰანს კელზენის იდეების საფუძველზე. ამ მეცნიერის მოსაზრებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოება არ განეკუთვნება ხელისუფლების არც ერთ შტოს, არამედ მათზე მალა დგას, გამომდინარე თავისი ფუნქციების სპეციფიკურობიდან. ეს ფუნქციები კი უზრუნველყოფს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის ნონასწორობას და მათ მიერ კონსტიტუციის ნორმებისა და სამართლის საერთო პრინციპების განუხრელ შესრულებას.

1919 წლის სექტემბერში, ვენის უნივერსიტეტის პროფესორების ჰ. კელზენისა და კ. ეიზენმანის კონცეფციის საფუძველზე, შეიქმნა ავსტრიის უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ინსტიტუტი კი განმტკიცდა ავსტრიის 1920 წლის კონსტიტუციით. მეორე მსოფლიო ომამდე ავსტრიული მოდელის შესაბამისი სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტები დაწესდა ჩეხოსლოვაკიაში (1920წ.) და ესპანეთში (1931წ.). საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტი, მისი სხვადასხვა მოდიფიკაციით, საერთო სასამართლო სისტემაში, სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოს თუ კვაზისასამართლო სტრუქტურების სახით, განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ევროპული მოდელი დამკვიდრდა იტალიაში, გერმანიაში, თურქეთსა და იუგოსლავიაში, ხოლო ამერიკულმა თუ შერეულმა მოდელმა ფეხი მოიკიდა ბირმაში (1947წ.), ტაილანდსა და ინდოეთში (1949წ.), სირიაში (1950წ.), ურუგვაიაში (1952წ.), ალჟირში (1963წ.). ზოგიერთ ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმების დამხობის შემდეგ მოხდა მისი რეფორმირება და საკონსტიტუციო კონტროლი განახლებული ფორმით ჩამოყალიბდა, კერძოდ, საბერძნეთში (1968წ.),

პორტუგალიაში (1976წ.), ესპანეთში (1978წ.), ჩეხეთსა და სლოვაკეთში (1992წ.). ეს ინსტიტუტი ამჟამად სხვადასხვა ფორმით მოქმედებს აზიის, აფრიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.

საკონსტიტუციო იუსტიციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული ასპექტების შესახებ მსჯელობისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას ხდება არა მხოლოდ ძირითადი კანონის ნორმების დაცვა, არამედ ამ ნორმათა სრულყოფაც და ისინი, ვითარების შესაბამისად, ახლებურ ინტერპრეტაციას იძენენ. ამის ნათელი მაგალითია აშშ, რომლის კონსტიტუცია 1787 წელს, დღევანდელისგან სრულიად განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში იქნა მიღებული, ხოლო მოგვიანებით, დანყებული 1803 წლიდან, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ თავისი განმარტებებით შექმნა პრაქტიკულად ახალი, „ცოცხალი კონსტიტუცია.“ მსგავსი პრაქტიკა სხვა ქვეყნებისთვისაცაა დამახასიათებელი, მაგალითად, ინდოეთის, იტალიისა და საფრანგეთისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ საკონსტიტუციო იუსტიცია არ არის ძირითადი კანონის დაცვის აბსოლუტური გარანტი. ეს განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებს შეეხება, სადაც მხოლოდ შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება, ანუ ხდება უკვე მიღებული და ძალაში შესული კანონების კონსტიტუციურობის შემოწმება, ხოლო წინასწარი კონტროლი, ანუ კონტროლი კანონის ძალაში შესვლამდე, არ არსებობს. ამ შემთხვევაში არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტები წლების განმავლობაში მოქმედებს, სანამ დადგება მათი კონსტიტუციურობის საკითხი. არ არის გამორიცხული, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანომაც დაუშვას შეცდომა და არასწორად განმარტოს ესა თუ ის ნორმა. ამაზე არაპირდაპირ მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს ნევრის უფლება, იქონიოს განსხვავებული აზრი. შეცდომისგან სასამართლო ხელისუფლების არც ერთი ორგანო არ არის დაზღვეული, მაგრამ საკონსტიტუციო პროცესში არ არსებობს საკაცაციო, სააპელაციო თუ სხვა შემდგომი ინსტანციები, სადაც შესაძლებელი იქნება დაშვებული ხარვეზების გამოსწორება. იქაც კი, სადაც არსებობს ფედერალური და ფედერაციის სუბიექტების საკონსტიტუციო სასამართლოები ცალ-ცალკე, არ შეიძლება საკონსტიტუციო იუსტიცია ერთიან, ორდონიან სისტემად მივიჩნიოთ, ვინაიდან მათ შორის პირდაპირი დაქვემდებარება არ არსებობს, ხოლო ურთიერთობა განსაზღვრულია დამოკიდებულებით ქვეყნის ძირითად კანონსა და მინების კონსტიტუციებს შორის, რომლის დროს არ ილახება მინის საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა და გამორიცხულია მისი გადაწყვეტილებების გადასინჯვა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში.

5-2. საკონსტიტუციო იუსტიციის საკანონმდებლო საფუძვლები

საკონსტიტუციო იუსტიცია მისი განვითარების ისტორიული პროცესის კვლადკვალ „იპყრობს“ სამართლის წყაროთა სისტემას. საერთო სამართლის პრეცედენტულმა წყარომ „კანონისმიერი“ აღიარება ჰპოვა კონტინენტური სამართლის ქვეყნებშიც – დაწყებული მიმდინარე საკანონმდებლო აღიარებით, ვიდრე საყოველთაო კონსტიტუციურ დამკვიდრებამდე. ამჟამად საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის ინსტიტუტს სამართლის წყაროთა მთელი იერარქიული პაკეტი „ემსახურება“: კონსტიტუცია აფუძნებს მის ადგილს სახელისუფლო ორგანიზაციათა სისტემაში და აყალიბებს ამოცანათა კონტურებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპთა გარანტიის სახით; შესაბამისი კანონი, იქნება იგი კონსტიტუციური, ორგანული თუ ჩვეულებრივი, განსაზღვრავს სასამართლოს სტრუქტურას, უფლებამოსილებებსა და სამართალწარმოების თავისებურებებს, მოსამართლეთა სტატუსსა და გარანტიებს; რეგლამენტი არეგულირებს სასამართლოს ფუნქციონირების შინაორგანიზაციულ საკითხებს.

საკონსტიტუციო იუსტიციის მარეგულირებელი სამართლის წყაროთა სისტემური ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მთელი კანონშემოქმედებითი პროცესი საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის რეგულირების ხარისხის ზრდაზეა მიმართული. ამ მხრივ, კონტინენტური სამართლის ქვეყნების პრაქტიკიდან, მრავალი „სასწავლო ნიმუში“ წარმოდგენა შეიძლება, მაგრამ საკონსტიტუციო იუსტიციის საკანონმდებლო საფუძვლების განხილვასთან დაკავშირებით, ჩვენ ერთგვარ უპირატესობას პოსტსოციალისტურ სამართლებრივ სივრცეს ვანიჭებთ. საქმე ის არის, რომ ასეთი მიდგომის შედეგად, რომელიმე ერთ ნიმუშზე კი არა გვაქვს საუბარი, არამედ ინვარიანტულ პროცესზე, რომელიც მდიდარ კონკრეტულ ფაქტურას გვაძლევს შედარებითი სამართლებრივი ანალიზისათვის. ასეთი არჩევანი იმანაც განაპირობა, რომ აღნიშნული ქვეყნების შესაბამის იურიდიულ აქტებში, საკონსტიტუციო იუსტიციის ჩამოყალიბების საქმეში დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილება, დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე შესაბამისი ქვეყნის საკუთარ ნაბიჯებთან შეჯერებულობის თვალსაზრისით, ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

დღეს ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო იუსტიციის „სიცოცხლისუნარიანობა“ და მის მიერ დემოკრატიული სახელმწიფო მექანიზმის სისტემაში ძალთა დამბალანსებლის ფუნქციის ეფექტური განხორციელება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ოპტიმალური სა-

კანონმდებლო რეგულირებით. წინამდებარე ქვეთავში ასეთი აქცენტი განსახილველად შერჩეული ქვეყნების წრეს პირდაპირ უკავშირდება, ვინაიდან აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ყოფილი, ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისთვის, სადაც ტოტალიტარული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სისტემების რღვევის შემდეგ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ცვლილებებს. ეს, უპირველესად, შეეხება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების სამართლებრივ-პოლიტიკური წყობის ახალი ფორმების დამკვიდრების პროცესს და საკონსტიტუციო იუსტიციის საკანონმდებლო რეგულირების თავისებურებებს. მაგალითად, უნგრეთის რესპუბლიკაში საკონსტიტუციო სასამართლო დანესდა 1989 წლის კონსტიტუციით. მისი საქმიანობა დეტალურად რეგულირდება 1989 წლის ოქტომბერში მიღებული აქტით საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, ხოლო თავად სასამართლო საქმიანობას 1990 წლის პირველ იანვარს შეუდგა. ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის დაშლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოები შეიქმნა, როგორც ჩეხეთის რესპუბლიკაში 1992 წლის 16 დეკემბრის კონსტიტუციის საფუძველზე, ასევე სლოვაკეთის რესპუბლიკაში 1992 წლის 3 სექტემბრის კონსტიტუციის მიხედვით.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ ახლად წარმოშობილ სახელმწიფოებში – იუგოსლავიაში, სლოვენიაში, ხორვატიაში, მაკედონიაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ფუნქციონირებენ საკონსტიტუციო სასამართლოები, განსაზღვრულია მათი კომპეტენცია, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი. ახლად შექმნილ იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედებს, როგორც ფედერალური, ასევე ფედერაციის სუბიექტების საკონსტიტუციო სასამართლოები, კერძოდ, სერბეთსა და ჩერნოგორიაში.

ბულგარეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია 1991 წლის კონსტიტუციასა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ 1991 წლის 16 აგვისტოს კანონში. 1991 წლის 8 დეკემბერს რეფერენდუმზე მიღებულმა რუმინეთის კონსტიტუციამ (მუხლები 140-145) დაანესა საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო 1992 წლის N 47 კანონმა კი დაარეგულირა მისი ორგანიზაციისა და საქმიანობის პროცედურული საკითხები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებშიც შემოიღეს საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი, ძირითადად, საკონსტიტუციო სასამართლოების სახით. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებში ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში, საკონსტიტუციო სასამართლოების შემოღების მიზნით, კონსტიტუ-

ციაში ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი. ლატვიაში 1989 წლის 11 ნოემბრის კანონით განხორციელდა საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუტის დანერგვა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია ამკვიდრებს საკონსტიტუციო იუსტიციის ევროპულ მოდელს, რომლის შესაბამისად სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ხორციელდება დამოუკიდებლად და გამიჯნულია მართლმსაჯულების განსაკუთრებული ფორმის გამოხატველი საკონსტიტუციო სასამართლოების ან ტრიბუნალებისგან. მხოლოდ ესტონეთის კონსტიტუცია საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქციას ქვეყნის უზენაეს – სახელმწიფო სასამართლოს აკისრებს, ხოლო თურქმენეთის კონსტიტუციური სისტემა საერთოდ არ ითვალისწინებს ამ ინსტიტუტის არსებობას.

საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირებისა და სრულყოფის პროცესი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში უკვე 6-7 წლის მანძილზე მიმდინარეობს. როგორც ამ პერიოდმა გვიჩვენა, აღნიშნული ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირებიდან მათ რეალურ ამოქმედებამდე გარკვეული დრო გავიდა, რაც, ძირითადად, პოლიტიკური ხასიათის ფაქტორებით აიხსნება. იგულისხმება კონკრეტულ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ლანდშაფტი, პარლამენტში არსებულ პოლიტიკურ ძალთა ბალანსი, ურთიერთმიმართება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის. ამასთან ერთად, მთლიანად ამ პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის ორგანიზაციული და სტრუქტურული მოდელის არაერთგვაროვანი ხედვა. მაგალითად, ბელარუსსა და ყირგიზეთში სპეციალური საკონსტიტუციო კონტროლის ალტერნატიულ გზად თავიდანვე აღიქმებოდა ერთიანი სასამართლო სისტემის იდეა და საკონსტიტუციო იუსტიციის ფუნქციებით უმაღლესი სასამართლოს აღჭურვა.

რუსეთის ფედერაციაში საკონსტიტუციო სასამართლო 1991 წელს შეიქმნა და ფუნქციონირებას დაუყოვნებლივ შეუდგა. უკრაინაში კი შესაბამისი კანონი 1992 წლის 3 ივნისს მიიღეს, მაგრამ ეს ინსტიტუტი მხოლოდ 1996 წლის ბოლოს ამოქმედდა, როდესაც ქვეყანას უკვე ახალი კონსტიტუცია და 1992 წლის გამოუყენებელი კანონის შემცვლელი, 1996 წლის კანონი ჰქონდა მიღებული. ლატვიაში, რომელიც პიონერი იყო შესაბამისი კანონის შემუშავების საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლო 1997 წელს ამოქმედდა, ყაზახეთში, ესტონეთსა და ლიტვაში – 1993 წელს, ბელარუსსა და ყირგიზეთში – 1994 წელს, მოლდოვაში – 1995 წელს, ხოლო სომხეთსა და ტაჯიკეთში – 1996 წელს.

დსთ-ისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში საკონსტიტუციო იუსტიციის სამართლებრივი საფუძვლები ამ ქვეყნების კონსტიტუციებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონებშია ჩამოყალიბებული. ზოგიერთ ქვეყანაში, ამას გარდა, მიღებულ იქნა პროცესუალური აქტი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკეული უფლებამოსილებები დადგენილი ან დაკონკრეტებულია ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებში. თითოეულ სახელმწიფოში კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გარკვეულწილად დაკავშირებულია საერთო და საარბიტრაჟო სასამართლოების სტრუქტურისა და სამართალწარმოების დამდგენ, მოსამართლეთა სტატუსის განმსაზღვრელ კანონმდებლობასთან. ამ საკითხზე გარკვეული დებულებები შეიძლება მოცემული იყოს პარლამენტის ან მისი რომელიმე პალატის რეგლამენტში, თუ, რა თქმა უნდა, ქვეყანაში ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო ფუნქციონირებს. ცალკეულ შემთხვევაში, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება თავად სასამართლოს მიერ მიღებულ რეგლამენტს.

საკონსტიტუციო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო კონტროლის სხვა სპეციალიზებული ორგანოების სტატუსის საფუძვლები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში კონსტიტუციურ დონეზეა განმტკიცებული. თუმცა, საკონსტიტუციო იუსტიციის კონტურები სხვადასხვა ფარგლებშია განსაზღვრული. ამ ინსტიტუტის მარეგლამენტირებელი დებულებები ყველაზე მწირად ლატვიისა და ესტონეთის კონსტიტუციებშია მოცემული. ლატვიის ძირითადი კანონის 85-ე მუხლიდან მხოლოდ ის ირკვევა, რომ აქ არსებული საკონსტიტუციო სასამართლო კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს კონსტიტუციასთან კანონის შესაბამისობის საკითხს, ასევე კანონით მის კომპეტენციას მიუთუნებულ სხვა საკითხებს. ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში სასამართლოების საქმიანობის მარეგლამენტირებელ სხვა მუხლებს შორის მოცემულია დებულება, რომლის თანახმად, საერთო იურისდიქციის უმაღლესი ორგანო – სახელმწიფო სასამართლო იმავდროულად საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოს წარმოადგენს.

საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის შედარებით ვრცელი რეგლამენტაციაა მოცემული ყაზახეთის, ლიტვის, მოლდოვასა და უკრაინის კონსტიტუციებში. აქ ვხვდებით ცალკე თავებს – „საკონსტიტუციო სასამართლო“, ხოლო ყაზახეთში, შესაბამისად – „საკონსტიტუციო საბჭო“, რომლებიც 4-7 მუხლისგან შედგება. საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსის საფუძვლები შედარებით შეკვეცილია პოსტ-საბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში: აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთ-

სა და უზბეკეთში – „სასამართლო ხელისუფლების“ თავში; ბელარუსსა და ტაჯიკეთში – „სასამართლოს“ თავში; ყირგიზეთში – კონსტიტუციის თავში „სასამართლო და მართლმსაჯულება.“ ამ თავებში მოცემული ნორმები ეძღვნება როგორც სპეციალურად საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე კომპლექსურად არეგულირებს სხვადასხვა სახის იურისდიქციის სასამართლოების საქმიანობას. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციული ნორმები, როგორც წესი, მოცემულია კონსტიტუციების იმ ნაწილებსა თუ თავებში, რომლებიც ისეთ ინსტიტუტებს არეგულირებენ, როგორიცაა „პრეზიდენტი,“ „პარლამენტი,“ „კონსტიტუციის გადასინჯვისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი,“ „დასკვნითი და გარდამავალი დებულებები“ და სხვ.

კონსტიტუციების უმრავლესობით რეგულირდება საკითხები, რომლებიც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოების შემადგენლობას, მის ფორმირებასა და უფლებამოსილებებს, ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად აღიარების სამართლებრივ შედეგებს, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ სპეციალური კანონის მიღების აუცილებლობას.

მხოლოდ ზოგიერთ ძირითად კანონშია განსაზღვრული ცალკეული დებულებები, როგორიცაა საკონსტიტუციო სასამართლოს ცნება – ყირგიზეთში; მოთხოვნები, რომლებიც წარედგინებათ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს – სომხეთში, ბელარუსში, ყირგიზეთში; საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრინციპები – სომხეთში, ყირგიზეთში და სხვ.

ყირგიზეთში, რუსეთსა და ტაჯიკეთში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მიიღეს კონსტიტუციური კანონი, მოლდოვაში – ორგანული, დანარჩენ ქვეყნებში საკონსტიტუციო სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციულ მხარეს მიმდინარე კანონმდებლობა არეგულირებს. საერთოდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოქმედი კანონები საკონსტიტუციო სასამართლოების შესახებ წარმოადგენს როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური ნორმების კოდიფიკაციას. თუმცა, ყირგიზეთში, ლატვიასა და მოლდოვაში საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პროცედურა ცალკე კანონებითაა რეგლამენტირებული, კერძოდ, ლატვიაში – კანონით „საკონსტიტუციო სასამართლოს პროცესის შესახებ,“ მოლდოვაში – „საკონსტიტუციო იურისდიქციის კოდექსით,“ ყირგიზეთში – კანონით „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ.“

საკმაოდ ორიგინალურად წყდება აღნიშნული საკითხი ესტონეთში, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია ქვეყნის უზენაეს – სახელმწიფო სასამართლოს აკისრია, კერძოდ, მის შე-

მაღვეწლობაში შექმნილ საკონსტიტუციო ზედამხედველობის სასამართლო კოლეგიას. მთლიანობაში, უზენაესი სასამართლოს საქმიანობა მონესრიგებულია 1991 წლის 23 ოქტომბრის კანონით „სასამართლოების შესახებ.“ რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 1996 წლის 20 ივნისის შესწორება-დამატებების სახით და იგი აღნიშნულ კოლეგიასაც შეეხო. მაგრამ მანამდე, 1993 წლის 5 მაისს მიღებულ იქნა კანონი „საკონსტიტუციო ზედამხედველობის სამართალწარმოების შესახებ.“ ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობა ესტონეთის უზენაესმა სასამართლომ დამატებითი ფუნქციის სახით კი არ მიიღო, არამედ საკონსტიტუციო იუსტიცია დღეს მისი საქმიანობის ერთი უმთავრესი მიმართულებაა, რასაც ცალსახად ადასტურებს ცალკე კოლეგიის შექმნა და მისთვის საკონსტიტუციო სამართალწარმოების გამორჩეულად, ცალკე კანონით დარეგულირება.

ერთ ცალკე მოთხრობად ღირს ყაზახეთის საკონსტიტუციო იუსტიციის მოკლე ისტორია. რუსეთის შემდეგ, ფაქტობრივად, ყაზახეთი იყო მეორე რესპუბლიკა, სადაც 1993 წელს საკონსტიტუციო სასამართლო ამოქმედდა. თუმცა, მისი იურიდიული გაფორმება მოხდა 1991 წლის 16 დეკემბერს კანონით „ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ,“ რომლის მე-10 მუხლმა საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის დაცვის უმაღლეს ორგანოდ აღიარა. როგორც ამბობენ, ყაზახეთის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა პირველი ორი წლის მანძილზე შესამჩნევი აქტიურობით გამოირჩეოდა. მაგრამ აღნიშნული კანონი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ აღიარებული იყო, როგორც „საფუძველი ყაზახეთის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის დამუშავებისათვის“ (მუხლი 18).

კონსტიტუციური რეფორმა, სწორედ ამ ახალი ინსტიტუტისადმი განსხვავებული დამოკიდებულების გამო, სერიოზული პოლიტიკური წინააღმდეგობების ვითარებაში მიმდინარეობდა. განსხვავებული პოზიციის სათავე, როგორც ჩანს, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტივობიდან იღებს სათავეს. „სერიოზული პოლიტიკური წინააღმდეგობის ვითარება“ კი იმით გამოინახა, რომ ყაზახეთის პრეზიდენტის წურსულთან ნაზარბაევის ინიციატივით, კონსტიტუციის პროექტში გაჩნდა ცალკე განყოფილება – „საკონსტიტუციო საბჭოს“ შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს თერთმეტი წევრიდან ექვსმა სასამართლოს „გასაბჭოება“ არადემოკრატიულად ცნო. პრეზიდენტისადმი „კეთილგანწყობილი“ მოსამართლეების ხუთეულმა უარი განაცხადა „დესტრუქციულად განწყობილ“ კოლეგებთან მუშაობაზე და საკონსტიტუციო სასამართლომ ვადაზე ადრე „დაასრულა“ უფლებამოსილება. ამის შემდეგ ყველაფერი იურიდიული ტე-

ქნიკის საქმე იყო. სახალხო რეფერენდუმის მიერ, 1995 წლის 30 აგვისტოს, ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციამ საკონსტიტუციო საბჭო დაამკვიდრა. იურიდიულმა ტექნიკამ ამის შემდეგაც, ამჯერად უკვე პირდაპირი მნიშვნელობით, პრეზიდენტის პოზიცია დაიჭირა და 1995 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი აქტი „ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს შესახებ,“ რომელიც ყაზახეთის სამართლის წყაროებში ზუსტად ასე მოიხსენიება: ყაზახეთის პრეზიდენტის კონსტიტუციური ძალის მქონე ბრძანებულება და რამდენად უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ამგვარი ბრძანებულების მიღების საფუძველი შეიქნა კონსტიტუციამდელი, 1993 წლის 10 დეკემბრის კანონი „ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურთათვის დამატებითი უფლებამოსილებების დროებითი დელეგირების შესახებ,“ რომლის პირველმა მუხლმა, თურმე ძალმოსილება კონსტიტუციის მიღების შემდეგაც „შეინარჩუნა“ და კონსტიტუციური დებულებების რეალიზაციის საქმეში ზურგი გაუმაგრა პრეზიდენტს. განხორციელებულმა რეორგანიზაციამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა, საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის „ჯიბის“ საბჭოდ გადაიქცა, რომელშიც ადგილები ყველა ერთგულმა მოსამართლემ შეინარჩუნა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მოქმედ კანონებს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ბევრი რამ აქვს საერთო, ეს უპირველესად განპირობებულია ამ სასამართლო ორგანოთა ბუნებით, ამოცანებითა და დანიშნულებით. მათში დაკონკრეტებულია კონსტიტუციური ნორმები სასამართლოების შემადგენლობისა და სტრუქტურის, მათი ფორმირების წესის, მოსამართლეების სტატუსისა და საქმიანობის გარანტიების, მათი უფლებამოსილებების, საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ.

გარდა მსგავსებისა, გვხვდება საკონსტიტუციო იუსტიციის ცალკეული საკითხების განსხვავებული რეგლამენტაციაც. ეს შეიძლება შეეხებოდეს როგორც სტრუქტურასა და შემადგენლობას, ასევე მათ კომპეტენციას. მრავალფეროვნება ამ თვალსაზრისით განპირობებულია შესაბამისი კონსტიტუციებით, მატერიალური თუ პროცესუალური ნორმების რეგულირების მეთოდებითა და ფორმებით, სასამართლო ხელისუფლების სისტემაში საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსით და სხვ.

ქვეყნის ერთ ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლოების შესახებ კანონები საკმაოდ დიდი მოცულობით გამოირჩევა, მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში იგი შედგება 5 განყოფილების, 15 თავისა და 115 მუხლისგან; უკრაინაში – 4 განყოფილების, 16 თავისა და 95 მუხლისგან; ლიტვაში 5 განყოფილებისა და 90 მუხლისგან, სომხეთში – 11 თავისა და 75 მუხლისგან, ყირგიზეთში – 5 თავისა და 21 მუხლისგან, უზბეკეთში – 4

თავისა და 33 მუხლისგან, ლატვიაში 6 თავისა და 40 მუხლისგან, მოლდოვაში – 6 თავისა და 42 მუხლისგან.

თუ, მაგალითად, უკრაინაში კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ დეტალურად განსაზღვრავს ამ სასამართლო ორგანოს სტრუქტურას, უფლებამოსილებებს, მოსამართლეთა სტატუსს და გარანტიებს, სასამართლოს ორგანიზაციასა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიის საქმეს წარმოების პროცესში ახლავს, მისგან განსხვავებით, ლატვიის, მოლდოვასა და ყირგიზეთის კანონები ზოგადად გადმოსცემს საკონსტიტუციო სამართალწარმოების კონტურებს, ან საერთოდ არ ეხება ამ საკითხს, ვინაიდან ისინი სპეციალური საპროცესო კანონების რეგულირების საგანს წარმოადგენს. მაგალითად, მოლდოვას საკონსტიტუციო იუსტიციის კოდექსი, რომელიც სამი განყოფილების, 15 თავისა და 89 მუხლისგან შედგება, დეტალურად არეგულირებს საკონსტიტუციო იუსტიციის საკითხებს, კერძოდ, აკანონებს საკონსტიტუციო იურისდიქციის პრინციპებს, განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის ჩატარების წესს, შემადგენლობას, პროცესის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს, საპროცესო ვადებს, მიმართულებისა და სარჩელების განხილვის წესს, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს, მათი შესრულების საკითხებს და სხვ.

ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში საკონსტიტუციო წარმოების ნორმების დადგენის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, რომელიც გარდა იმისა, რომ რუსეთის, ბელარუსის, ლატვიისა და ლიტვის რეგლამენტების მსგავსად პარლამენტის მიერ სასამართლოსთვის დელეგირებული უფლებამოსილების აქტს წარმოადგენს, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში საკონსტიტუციო სასამართლოები უფლებამოსილი არიან, რეგლამენტის მეშვეობით დამატებით მოახდინონ კანონმდებლობით დაურეგულირებელი, საქმიანობის შინასაკითხების, ხოლო უზბეკეთში – საკუთარი საქმიანობის წესის რეგლამენტაცია. სწორედ ამ მიზნით უზბეკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხოლოდ ძირითადი საკითხები რეგულირდება, დანარჩენი კი სასამართლოს რეგლამენტით წყდება.

ტაჯიკეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დარეგულირებულია ის პროცესუალური საკითხები, რომლებიც სპეციალური კანონის ყურადღების მიღმა დარჩა, კერძოდ, როგორცაა ექსპერტიზის დანიშვნა, სასამართლო სხდომის მიმდინარეობა, დახურული და ღია სხდომების ჩატარების თავისებურებანი, სხდომების გადადე-

ბა, მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები, აცილება და თვითაცილება და სხვ.

განსხვავებული დატივრთვა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტებს სხვა სახელმწიფოებში, რაც მათი გამოქვეყნების ნესშიც ვლინდება და რომელიც პრაქტიკულად საკონონმდებლო აქტების გამოქვეყნების იდენტურია. რეგლამენტში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის დაკონკრეტებისა და სრულყოფის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლო განსაზღვრავს სხვადასხვა საკითხს, მაგალითად, ლატვიაში – საქმიანობის სტრუქტურასა და ორგანიზაციას, ლიტვაში – მოსამართლეთა პროფესიული ქცევის ნესებს, აპარატის სტრუქტურას, საქმისწარმოების საკითხებს, ბელარუსში – საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნესს, პროცედურასა და ეტიკეტს, სასამართლოს სამდივნოს სტატუსს, საქმისწარმოების თავისებურებებს. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით, ზემოთ განხილულ საკითხთა გარდა, რეგულირდება: სასამართლოს პალატების პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის ნესი; პალატებს შორის საქმეთა განაწილება; პლენარულ და პალატების სხდომებზე საქმეთა განხილვის რიგითობა. აღნიშნული ქვეყნის ნორმატიული აქტების ღრმა შესწავლა იმის მაჩვენებელია, რომ რეგლამენტის მიღების აუცილებლობა, უპირველესად, სპეციალურ კონონმდებლობაში პროცესუალური ნორმების, საკონსტიტუციო სამართალწარმოების განმსაზღვრელი ნესების სიმცირიდან ან არასრულყოფილებიდან გამომდინარეობს. მაგალითად, უკრაინაში, იმის გამო, რომ რეგლამენტმაც ვერ ამონურა დასარეგულირებელ საკითხთა ნრე, მოქმედებს დებულებები სამდივნოს, მუდმივი კომისიების, არქივის, ბიბლიოთეკის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი რეგულირდება პარლამენტის რეგლამენტით, ხოლო ორპალატიანი საკონონმდებლო ორგანოს პირობებში შესაძლებელია ამ უფლებამოსილებით ერთ-ერთი პალატა სარგებლობდეს. კერძოდ, ასე „ცალმხრივად“ განისაზღვრება ყირგიზეთში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მანტიის ნიმუში, ფიცის დადების პროცესი და სხვ.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შესახებ სპეციალური კონონმდებლობის არსებობის მიუხედავად, მის ცალკეულ ასპექტებს სახელმწიფოს სხვა ინსტიტუტების მარეგლამენტირებელ აქტებში მოცემული ცალკეული ნორმები არეგულირებს. რუსეთის ფედერაციაში ეს გარემოება განპირობებულია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა გაზრდით, რაც სხვადასხვა კონსტიტუციური კანონის მიღებით ხდება. ამ კანონებით უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ურთიერთობანი

რეგულირდება, რომლებიც იმანენტურად საჭიროებს საკონსტიტუციო კონტროლის არეალში მოქცევას. კერძოდ, 1995 წლის 10 ნოემბერს ფედერალური კანონით „რუსეთის ფედერაციის რეფერენდუმის შესახებ“ საკონსტიტუციო სასამართლო აღიჭურვა უფლებამოსილებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ნარდგენით, განეხილა რეფერენდუმის დანიშვნის კონსტიტუციურობის საკითხი.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბელარუსში, სპეციალური კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოებისა და მოსამართლეების საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხები, ხოლო მოლდოვასა და ლიტვაში – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების საპენსიო უზრუნველყოფა. შესაძლებელია ეს საკითხები, განსაკუთრებით მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოები, რეგლამენტირებული იყოს მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ სომხეთის 1996 წლის 23 მარტის კანონი „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების თანამდებობრივი სარგოების შესახებ.“

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მიმართება, რომელიც ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, სასამართლო ხელისუფლებას და, მეორე მხრივ, აღმასრულებელსა თუ საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. ამ ურთიერთობის თავისებურებანი ხელისუფლების შესაბამისი შტოს საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებშიც პოულობს ასახვას. პარლამენტის ან მისი ერთ-ერთი პალატის რეგლამენტში, ჩვეულებრივ, მოცემულია საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის ნარდგენის პროცედურა, ამ საკითხზე მსჯელობისა და კენჭისყრის წესები, საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის, მისი პალატის ან დეპუტატთა ნაწილის მიმართვის თავისებურებანი, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი და სხვ. ბუნებრივია, აღნიშნული ნორმები ფორმულირებულია პარლამენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური კომპეტენციის გათვალისწინებით. მაგალითად, მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტის რეგლამენტით, საქმოდ დეტალურადაა განსაზღვრული საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შესახებ მოხსენებით გამოსვლის, ასევე დეპუტატების ან პრეზიდენტის მანდატის ცნობის თუ არცნობის პროცედურა. აღსანიშნავია, რომ მოლდოვას კანონით „პრეზიდენტის ინაუგურაციის შესახებ“ განსაზღვრულია, რომ საკონსტი-

ტუციო სასამართლოს თავმჯდომარე აქტიურად მონაწილეობს პრეზიდენტის ინაუგურაციის პროცესში, აქვეყნებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მისი უფლებამოსილების ცნობის შესახებ და ჩართულია სხვა საოქმო ღონისძიებებში.

ლიტვის რესპუბლიკის 1994 წლის 17 თებერვლის „სეიმის შესახებ“ სტატუტის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ხდება სეიმის წევრის მიერ ფიცის დადების ცერემონიალის მიღება; განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა დასანიშნად წარდგენის წესები; იმპიჩმენტის პროცესში ამ სასამართლო ორგანოს მონაწილეობის პროცედურა; საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსიდან გამომდინარე, იგი თავისუფლდება ვალდებულებებისგან, პასუხი გასცეს სეიმის წევრების შეკითხვებს და სხვ. 1996 წლის 26 ნოემბერს ამ სტატუტში შეტანილ იქნა საგანგებო ნორმა, რომელიც სამართლისა და მართლწესრიგის კომიტეტს ავალებდა, შეემუშაებინა ცვლილებანი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების შესაბამისად.

ესტონეთის 1994 წლის 15 ნოემბრის კანონი სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ განავითარებს სახელმწიფო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოს საქმიანობის ცალკეულ ასპექტებს. კერძოდ, რეგლამენტის XII თავში მოცემულია პარლამენტის მიერ სახელმწიფო სასამართლოს მოთხოვნით განმარტების ან დასკვნის წარდგენის პროცედურა სამართლებრივ აქტზე, რომლის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხსაც განიხილავს საკონსტიტუციო ზედამხედველობის აღნიშნული ორგანო.

საკონსტიტუციო იუსტიციის მიმართება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, კერძოდ, სახელმწიფოს მეთაურთან, ზოგიერთ ქვეყანაში დაკონკრეტებულია საარჩევნო ან პრეზიდენტის სტატუსის განმსაზღვრელი კანონებით. ესტონეთის 1996 წლის 10 აპრილის „რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლით, სახელმწიფოს მეთაურის რიგგარეშე არჩევნების ჩატარების ერთ-ერთ საფუძვლად მიჩნეულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პრეზიდენტის მყარად ქმედუნაროდ აღიარება. მოლდოვას რესპუბლიკის 1996 წლის 16 მაისის კანონი „პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ აზუსტებს საკონსტიტუციო ნორმებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებულად ცნობის შესახებ. ამავე აქტში დადგენილია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვალდებულება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის არჩევნების ჩატარების შესახებ ანგარიშის წარდგენისა და ამ ანგარიშის განხილვის წესის თაობაზე, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

ანგარიშის გაცნობის შემდეგ გამოცემული დადგენილებების სახეები და ვადები. სხვათა შორის, ასეთი რამეც ხდება, კერძოდ, ლიტვის რესპუბლიკის „პრეზიდენტის შესახებ“ 1993 წლის 26 იანვრის კანონის მე-4 მუხლი მოითხოვს, რომ პრეზიდენტმა ფიცი დადოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე.

ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული, კონსტიტუციური კანონის ძალის მქონე ბრძანებულებით, „ყაზახეთის რესპუბლიკაში არჩევნების შესახებ“ განისაზღვრა, რომ პრეზიდენტის კანდიდატის მიერ სახელმწიფო ენის თავისუფალი ფლობის დამდგენ პროცედურას აწესებს ცენტრალური საარჩევნო კომისია თავისი დადგენილებით. ამავე აქტშია რეგლამენტირებული საკონსტიტუციო საბჭოს მიერ პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების სისწორის შემოწმების პროცედურა. ყაზახეთის 1995 წლის 26 დეკემბრის კანონით „ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის შესახებ“ განსაზღვრულია პრეზიდენტის უფლებამოსილებანი საკონსტიტუციო საბჭოსთან დამოკიდებულებაში, კერძოდ, ის, რომ ექსპრეზიდენტები უვადოდ ითვლებიან სახელმწიფო საბჭოს წევრებად.

მოსტაბაჭოთა ქვეყნებში კანონმდებლობა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შესახებ მჭიდროდაა დაკავშირებული კანონმდებლობასთან სასამართლო წყობილებისა და საერთო სამართალწარმოების შესახებ. რუსეთში ეს კავშირი ხორციელდება 1996 წლის 31 დეკემბრის კონსტიტუციური კანონით „რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემის შესახებ.“ ამ აქტის თანახმად, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო შედის სახელმწიფოს ერთიან სისტემაში და წარმოადგენს ფედერალურ სასამართლოს. მის საქმიანობას შეეხება ასევე ფედერალური კონსტიტუციური კანონის ნორმები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, სასამართლოს დადგენილების სავალდებულობის, კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის, სამართალწარმოების ენის, სასამართლოების შექმნისა და გაუქმების შესახებ და სხვ.

უკრაინაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებზე ვრცელდება მოსამართლეების შესახებ კანონმდებლობის მატერიალური ნორმები. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ლატვიის რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულია, რომ საერთო კანონი „სასამართლო ხელისუფლების შესახებ“ საკონსტიტუციო სასამართლოზე იმ ნაწილში ვრცელდება, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლეობის კანდიდატებისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, მოსამართლეთა ფიცის ტექსტს, კომპენსაციებსა და სოციალურ გარანტიებს.

„სახელმწიფო კრების წევრის, სახელმწიფო კონტროლიორის, იუსტიციის კანცლერის, სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარისა და

წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ" ესტონეთის 1995 წლის 7 ნოემბრის კანონის მიხედვით, რეგულირდება ასევე სახელმწიფო სასამართლოს საკონსტიტუციო ზედამხედველობის პალატის წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის პროცედურა.

ამ დროს ყაზახეთში, სადაც საკონსტიტუციო საბჭო არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ნაწილს და არ შედის ქვეყნის სასამართლო სისტემაში, მაინც გარკვეულ კავშირშია სასამართლოებთან, რაც იმით გამოიხატება, რომ საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარე მონაწილეობს ყაზახეთის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მუშაობაში და შედის უმაღლესი სასამართლო საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც მოსამართლეთა საკადრო საკითხებს, მათ დისციპლინურ პასუხისმგებლობას, დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასა და ხელშეუხებლობას უზრუნველყოფს.

ჩვენი აზრით, დსთ-ისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში საკონსტიტუციო იუსტიციის ცალკეული ინსტიტუტების მრავალსახეობა და მრავალფეროვნება განპირობებულია ამ ქვეყნების სახელმწიფო ფორმების თავისებურებებით, ეროვნული ტრადიციებით და ახალი სამართლებრივი სისტემის დამკვიდრების განსხვავებული ტემპებით, თუმცა, ამ განსხვავებებს გადაწონის ის ძირეული და არსებითი პრინციპები, რომლებიც საერთოდ აქვს კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოებს. აღნიშნულის განმარტობებელ ერთ-ერთ ფაქტორად, უნდა ვივარაუდოთ, საერთო-სამართლებრივი ტრადიციები, თანაცხოვრების უახლოესი წარსული და რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემასთან იდენტიფიცირებისკენ სწრაფვა.

5-3. საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის სახეები და სისტემები

ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა თანამედროვე სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს და იგი ხორციელდება სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილი პრინციპების, ინსტიტუტების, მექანიზმებისა და სამართლებრივი პროცედურების მეშვეობით. დემოკრატიულ სახელმწიფოში სწორედ საკონსტიტუციო მართლმსაჯულება გვევლინება იმ ინსტიტუტად, რომელიც სხვა ამოცანათა შორის პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებების დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლოს თუ კონტროლის კვაზისამართლო ორ-

განოებს აქვთ საკუთარი კომპეტენციის სფერო, ქვესაკონტროლო ობიექტები და კონტროლის სახეები, რომლებიც არაერთგვაროვანია და მოიცავს ურთიერთობათა ფართო წრეს. მაგრამ, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ერთი რამ უცვლელი რჩება და სწორედ ეს არის მთავარი, რომ აღნიშნული კომპეტენციის აღსრულების მიზნით ზედამხედველობისა თუ კონტროლის სხვადასხვა სახეობის გამოყენების დროს, საბოლოო მიზნად რჩება კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პრიორიტეტული დაცვა.

თანამედროვე პირობებში საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი საზღვარგარეთის ქვეყნებში წარმოდგენილია ორი ფორმით – სასამართლო და არასასამართლო წესით მოქმედი ორგანოებით და ხორციელდება 5 სახით: ყველა სასამართლოს მიერ, მაგრამ საბოლოო გადწყვეტილებას იღებს უმაღლესი სასამართლო ინსტანცია (აშშ, მექსიკა, არგენტინა, ბრაზილია, დანია, იაპონია, ნორვეგია); მხოლოდ უმაღლესი სასამართლოების მიერ (ავსტრალია, კანადა, შვეიცარია, ირლანდია, ინდოეთი); სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ (გერმანია, იტალია, რუსეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, თურქეთი); ერთდროულად საერთო სასამართლოებისა და სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ – თითოეულისგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში (პორტუგალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, საბერძნეთი); კვაზისასამართლო ორგანოების მიერ – არასასამართლო წესით, იქნება ეს სპეციალური საკონსტიტუციო საბჭო (საფრანგეთი, ყაზახეთი, მაროკო, ტუნისი), თუ სპეციალური რელიგიური საბჭო (ირანი).

საკონსტიტუციო ზედამხედველობა, როგორც ინსტიტუტი და როგორც ფუნქცია, კონსტიტუციური ნორმების შესრულებაზე ზედამხედველობას და საკონსტიტუციო რეჟიმზე, როგორც პროცესზე, მეთვალყურეობას გულისხმობს. რაც შეეხება საკონსტიტუციო კონტროლს, მისი სახეები სხვადასხვა კრიტერიუმით კლასიფიცირდება. საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლი, განხორციელების დროის მიხედვით, არსებობს წინასწარი – პრევენტიული და შემდგომი, ე.წ. რეპრესიული კონტროლი. წინასწარი კონტროლის დროს აქტის შემოწმება ხდება მის ძალაში შესულამდე. კონტროლის ეს სახე ხშირად გამოიყენება საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს მიერ, ასევე დანერგილია მთელი რიგი ევროპული ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკაში, ცალკეულ სფეროებთან მიმართებაში (ავსტრია, იტალია, პორტუგალია). რაც შეეხება შემდგომ კონტროლს, რომლის დროსაც მოწმდება უკვე ძალაში შესული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობა, იგი გამოიყენება გერმანიაში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. წინასწარ კონტროლს შემდგომ კონტროლთან

შედარებით რამდენიმე დადებითი მხარე ახასიათებს. პირველ ყოვლისა, შესაძლებელია კონსტიტუციური კანონიერების დარღვევის თავიდან აცილება. მეორე ფაქტორი, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, იმაში მდგომარეობს, რომ წინასწარი კონტროლი გარკვეულ გარანტიას იძლევა შენარჩუნებულ იქნეს კანონმდებლის ავტორიტეტი და პრესტიჟი, რაც მნიშვნელოვნად ილახება შემდგომი კონტროლის დროს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია არაკონსტიტუციურად ცნოს და გააუქმოს უკვე ძალაში შესული საკანონმდებლო აქტი და ამით დააფიქსიროს კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტი. დაბოლოს, წინასწარი კონტროლის დროს შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული ნეგატიური შედეგები, წარმოშობილი იმ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობისას, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მოქმედებდა და შეიძლება ვივარაუდოთ, თუ როგორი შედეგიანობით.

ეს რაც შეეხება პრევენტიული კონტროლის უპირატესობებს რეპრესიული კონტროლის მიმართ, მაგრამ სრული წარმოდგენის მიზნით აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობაზე წინასწარ კონტროლს თავისთავად ახასიათებს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებები. კონტროლის ამ ფორმის სასარგებლოდ, პირველ ყოვლისა, ის ფაქტი მეტყველებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად, მოკლე ვადის დანესება დააჩქარებს განსახილველი საკითხის ანალიზს და ხელს შეუწყობს კონსტიტუციური წესრიგის გამყარებას, ხოლო შემდგომი კონტროლის დროს საკონსტიტუციო საკითხები ხშირად გადაუწყვეტელი რჩება წლების მანძილზე. თუმცა, ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობით წინასწარი კონტროლი ძალზე შეზღუდულია დროით და ამის გამო არ შეიძლება გამოირიცხოს სიჩქარით გამონეწეული გარკვეული ხარვეზები. გარდა ამისა, პრევენტიული კონტროლის უარყოფით მხარედ ის გვესახება, რომ ხშირად ცალკეული ნორმის მოქმედებით გამონეწეული პირდაპირი თუ არაპირდაპირი შედეგები მთლიანად არ მჟღავნდება მისი რეალიზაციის პროცესთან დაკავშირებული გაუთვითცნობიერებელი, არაპროგნოზირებული ფაქტორებიდან გამომდინარე. ამასთან, სოციალ-ეკონომიკური ვითარების დინამიკამ შეიძლება ნათლად დაგვანახოს არაკონსტიტუციური ბუნება იმ აქტისა, რომელიც მიღების მომენტში სავსებით შეესაბამებოდა ძირითადი კანონის მოთხოვნებს.

წინასწარი კონტროლის ეფექტურობას ამცირებს ის გარემოებაც, რომ ხშირად აუცილებელი ხდება საკანონმდებლო ვაკუუმის ოპერატიული შევსება და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონების კონსტიტუციურობის განხილვამ მათ ძალაში შესვლამდე შეიძლება შეაფერხოს

იმ საკითხებისა და ვითარებათა დროული მონესრიგება, რომლებიც ნორმატიულ რეგულირებას საჭიროებენ. თუმცა, ამ უარყოფითი მომენტის ნიველირება შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემჭიდროვებული ვადების დანესებით. ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავად ხდება ხარვეზების საფუძველი. ამდენად, იმ საკითხების აქტუალობა და მრავალფეროვნება, რომლებიც შედის საკონსტიტუციო იუსტიციის კომპეტენციაში, მათ შორის, კანონების კონსტიტუციურობის კონტროლი, ჩვენი აზრით, საჭიროებს პრევენტიული და რეპრესიული კონტროლის პარალელურ მოქმედებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და აბსტრაქტული კონტროლის პარამონიული რეგლამენტირებით. მაგალითად, პორტუგალიის კონსტიტუციის 280-ე მუხლის თანახმად, საერთო სასამართლოები, რომლებიც მოქმედ კანონს არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ, ამ საკითხის გასარკვევად უფლებამოსილი არიან მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. ანალოგიურად, ნებისმიერ სუბიექტს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ მიიჩნევს, რომ საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურ ნორმას ემყარება. პორტუგალიის კონსტიტუციის 281-ე მუხლით კი, განმტკიცებულია აბსტრაქტული რეპრესიული კონტროლის შესაძლებლობა.

მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების მიხედვით, არსებობს საკონსულტაციო და დამნესებელი, დამდგენი კონტროლი. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს საკონსულტაციო დასკვნას არანაირი იურიდიული ძალა არა აქვს და იგი მხოლოდ ნმინდა მორალურ ხასიათს ატარებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ საკონსულტაციო კონტროლის წესით მიღებული გადაწყვეტილება სარგებლობს არა მხოლოდ მორალური ავტორიტეტით, არამედ მას აქვს იურიდიული მნიშვნელობაც და ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის განხილვა სავალდებულოა იმ ორგანოსთვის, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული კანონპროექტის ან პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შემდგომი ბედი მისი კონსტიტუციურობიდან გამომდინარე. რაც შეეხება დამდგენ კონტროლს, ამ პროცესის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება იურიდიულად სავალდებულო ხასიათს ატარებს.

შემომების შედეგების აღსრულების ხასიათის მიხედვით არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის ვალდებულებითი და ფაკულტატური ფორმა. პრაქტიკის გაანალიზებისას იოლი შესამჩნევია ის კანონზომიერება, რომ წინასწარი კონტროლი მეტწილად სავალდებულო ხასიათისაა, ვიდრე ფაკულტატური. ეს უკანასკნელი ხორციელდება უფლებამოსილი პირის

ან ორგანოს მიერ, თუ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სადავო აქტი ენინააღმდეგება კონსტიტუციას.

შემომების მასშტაბების მიხედვით, განასხვავებენ აბსტრაქტულსა და კონკრეტულ კონტროლს. აბსტრაქტული კონტროლის დროს შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოში საკითხის დასმა ამა თუ იმ კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ, კონკრეტულ სამართალურთიერთობაში მათი გამოყენებისგან დამოუკიდებლად. ამ უფლებამოსილებით, ჩვეულებრივ, აღჭურვილია აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, წარმომადგენლობითი ორგანოები, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, დეპუტატთა ჯგუფი, ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და ავტონომიური ფორმირებები. აქტის კონსტიტუციურობის საკითხი შეიძლება დააყენოს თავად საკონსტიტუციო კონტროლის ორგანომ, როგორც ეს დაკანონებულია ავსტრიაში და საფრანგეთში. კონტროლის ეს სახე მოქმედებს იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის ცენტრალიზებული სისტემა და როდესაც მხოლოდ სპეციალიზებული საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს მას, აბსტრაქტულად მოცემული ნორმის გამოყენების საკითხისგან დამოუკიდებლად, კონსტიტუციური დებულების შესაბამისად. ამ სახის კონტროლი, ძირითადად, გავრცელებულია კონტინენტური სამართლის ქვეყნებში: ავსტრიაში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში.

კონკრეტული, ინციდენტური კონტროლის დროს, აქტის კონსტიტუციურობის საკითხი განიხილება და წყდება მხოლოდ კონკრეტულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით. ეს სახე, უპირატესად, გამოიყენება საკონსტიტუციო კონტროლის დეცენტრალიზებული სისტემის მქონე ქვეყნებში, სადაც ყოველი სასამართლო თავად არის უფლებამოსილი, გადაწყვიტოს მის მიერ გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი. კონკრეტული კონტროლი მოქმედებს კონტინენტური სამართლის ქვეყნებშიც, საერთო სასამართლოებისა და სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოების თანამშრომლობითა და ურთიერთკავშირით. კერძოდ, თუ კონკრეტული საქმის განხილვისას საერთო სასამართლოს მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ ესა თუ ის ფაქტი არ შეესაბამება კონსტიტუციას, იგი მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. ასეთი წესი მოქმედებს, მაგალითად, საბერძნეთში, იტალიაში, პორტუგალიაში. ამ შემთხვევაში, პრაქტიკულად, საერთო სასამართლოები განახორციელებენ საკონსტიტუციო ზედამხედველობას, რითიც საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებულ ორგანოებს მნიშვნელოვნად უადვილებენ დასახული ამოცანების გადაწყვეტას.

აქტების კონსტიტუციურობის შემონმების საფუძვლის მიხედვით, არსებობს მატერიალური კონტროლი და ფორმალური კონტროლი. მატერიალური კონტროლის დროს მონმდება სადავო აქტის შესაბამისობა კონსტიტუციასთან, ფორმალური კონტროლის დროს კი ყურადღება ექცევა აქტის მიღების კონსტიტუციით დადგენილი ნუსების დაცვას: შედიოდა თუ არა აქტის გამოცემა კონკრეტული ორგანოს კომპეტენციაში, დაცული იყო თუ არა მიღების პროცედურა, აქვს თუ არა აქტს სათანადო ფორმა და სხვ.

საკონსტიტუციო კონტროლის ჩვენ მიერ განხილულ ყველა სახეს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი. მაგალითად, წინასწარი კონტროლი, როგორც წესი, ატარებს საკონსულტაციო, სავალდებულო, აბსტრაქტულ, ერთდროულად მატერიალურსა და ფორმალურ ხასიათს. შემდგომი კონტროლი კი, ჩვეულებრივ არის დამდგენი, ფაქულტატური, აბსტრაქტული ან კონკრეტული, მატერიალური ან ფორმალური.

საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის განხილული სახეების აღნიშნულ მჭიდრო ურთიერთკავშირში ამოქმედება ამ ფუნქციის განმახორციელებელ სუბიექტზე – სასამართლო ორგანოსა თუ სისტემაზეა დამოკიდებული, კერძოდ იმაზე, თუ რომელი მათგანი როგორ იყენებს მათ ერთობლიობას. საკითხის სრული წარმოდგენის მიზნით, პირველ რიგში, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ საერთო სასამართლო კონტროლი, დამახასიათებელი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საერთო სამართლის სხვა ქვეყნებისთვის და საკონსტიტუციო იუსტიცია, როგორც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო, დამახასიათებელი უპირატესად დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის.

უნდა ითქვას, რომ ორივე სამართლებრივი სისტემა თავის პრაქტიკულ საშუალებათა არსენალში ფართოდ იყენებს აღნიშნული სახეების მრავალფეროვნებას, მაგრამ, ჩვენი აზრით, თვალსაჩინო მაგალითის სახით საერთო სამართლის ქვეყნებში არსებული საქმიანობა უფრო გამოდგება. საქმე ის არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საკონსტიტუციო იუსტიციის ფუნქციას მთელი სასამართლო სისტემა ალასრულებს და საკონსტიტუციო მართლმსაჯულება არ არის გამოყოფილი საერთო მართლმსაჯულებისგან. ეს არის „ამერიკული გამოცდილების“ უმთავრესი თავისებურება და, აქედან გამომდინარე, ყველა საქმეს, როგორც არ უნდა იყოს მისი ბუნება, განიხილავენ და ნყვეტენ ერთი და იგივე სასამართლოები. ეს კი ისე უნდა გავიგოთ, რომ არ არსებობს საკონსტიტუციო საქმეების განსაკუთრებული კატეგორია, ისევე, როგორც არ არსებობს ადმინისტრაციული და საერთო მართლმსაჯულების საქმეების განსაკუთრებული კატეგორია, რადგან აზრი არა აქვს ერთმანეთისგან განვასხვაოთ საქმეები, რომლებიც გადასაწყვეტად გადაეცემა ერთსა და იმავე მოსა-

მართლეს. მართალია, საკონსტიტუციო კონტროლს განსაზღვრულ დონემდე ყველა სასამართლო ახდენს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ფედერალურ აქტებზე იღებს აშშ-ის უზენაესი სასამართლო, შტატების აქტებზე კი – შტატების უმაღლესი სასამართლოები. მხედველობაშია მისაღები, რომ 50-ვე შტატს აქვს ძირითადი კანონი, რომლებსაც ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი: ისინი ხშირად იცვლება; გამარტივებულია მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ნესი; მათთვის დამახასიათებელია რთული სტრუქტურა; საკონსტიტუციო ნორმები გამოირჩევა ზედმეტად დეტალიზებული ფორმით.

როგორც აღვნიშნეთ, აშშ-ის საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის მნიშვნელოვანი თავისებურება ის გახლავთ, რომ ეს ფუნქცია მეტ-ნაკლები სისავსით ყველა საერთო სასამართლოს მიერ ხორციელდება და თანაც ისე, რომ მისი რეალიზაციის ფარგლებსა და მნიშვნელობაზე საუბარი პირდაპირ უკავშირდება სასამართლო ორგანოების სტრუქტურას და ბევრი რამ სწორედ მასზეა დამოკიდებული.

აღნიშნულ სფეროში სასამართლო ორგანოების საქმიანობის განმსაზღვრელი საერთო ნიშანი ის არის, რომ ნებისმიერ სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ კანონის ან მისი ნაწილის გამოყენებაზე, რომელიც არაკონსტიტუციურად მიიჩნია. გადამწყვეტი სიტყვა უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის, ვინაიდან მისი გადაწყვეტილება საყოველთაო ხასიათისაა და მის მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონი ძალას კარგავს. თუ შტატის სასამართლოს გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ან ძალადაკარგულად ცხადდება შტატის კანონი, ქვეყნის კონსტიტუციასთან ან ფედერალურ კანონთან მისი შეუსაბამობის გამო, თავად შტატის სასამართლომ, საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ, პირველ რიგში, გენერალურ ატორნეის უნდა აცნობოს. ამ უკანასკნელს შეუძლია ჩაერთოს დავაში როგორც მხარე და საჭიროების შემთხვევაში დავა ფედერალურ სასამართლოში გადაიტანოს. ასე რომ, საბოლოო გადაწყვეტილების ყველა გზა უზენაეს სასამართლოზე გადის. ამ მექანიზმიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სამართალში ერთდროულად შემოდის საკონსტიტუციო კონტროლისა და საკონსტიტუციო ზედამხედველობის გაგება.

საქმე ის არის, რომ ზედამხედველობისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო კონტროლი გულისხმობს არაკონსტიტუციური აქტების არა მხოლოდ შეჩერებას, არამედ ბათილად ცნობის უფლებასაც. ამის გათვალისწინებით, აშშ-ში იმთავითვე მეტად ორიგინალური სისტემა ჩამოყალიბდა, როცა ერთი ფუნქციის ეს ორი განსხვავებული უფლებრივი დონე სასამართლო ორგანოების იერარქიული ნყოფის მიხედვით განდანაწილება სუბიექტებზე.

ფედერალურ უზენაეს სასამართლოს აქვს საკონსტიტუციო კონტროლის უფლება ნებისმიერი ნორმატიული აქტის მიმართ, მათ შორის ყველა ქვემდგომი სასამართლოს მიერ ზედამხედველობის წესით გამოვლენილ შეუსაბამობებზე საბოლოო გადანყვეტილების მისაღებად. რაც შეეხება საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობის დადგენის საქმეში შტატების უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებას, ისინი ორუფლებიანობით ხასიათდება. მათ კონტროლის უფლება აქვთ შტატების ნორმატიული აქტების მიმართ – აშშ-ისა და შტატის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენისას და ზედამხედველობის უფლება, როცა დგება ფედერალური აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი, ვინაიდან საბოლოო სიტყვა ამ ნაწილში ფედერალურ უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის.

აშშ-ში კონსტიტუციის სასამართლო დაცვის პროცესს სხვა თავისებურებებიც ახასიათებს. პირველ ყოვლისა, კონსტიტუციურობაზე კონტროლს აქვს უნივერსალური ხასიათი და მოიცავს, როგორც კანონებს, ასევე ყველა სხვა ნორმატიულ აქტებსა და სამთავრობო განკარგულებებს. კონსტიტუციის შესრულებაზე კონტროლს აქვს დეკონცენტრირებული ხასიათი, ე.ი. ხორციელდება დროდადრო ყველა სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვისას, რომელიც ეხება მოქალაქის ინტერესების ხელყოფას. საკონსტიტუციო კონტროლს აქვს კაუზალური სახე, მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვისას. ამ თავისებურებიდან კი გამომდინარეობს ის გარემოება, რომ სასამართლოს გადანყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ მოდავე მხარეებისთვის და არ ვრცელდება სხვა შემთხვევებზე. იურიდიული ნორმების არაკონსტიტუციურად აღიარებით მოსამართლე მათ განიხილავს არარსებულად და არ ითვალისწინებს გადანყვეტილების გამოტანისას. სასამართლოს გადანყვეტილება ამა თუ იმ ნორმის არაკონსტიტუციურობის შესახებ გამორიცხავს მის შემდგომ გამოყენებას შტატების დონეზეც. აშშ-ში ფედერალური და შტატების სასამართლოები ახორციელებენ ზედამხედველობასა და კონტროლს არა მარტო ფედერაციისა და შტატების კანონების კონსტიტუციურობაზე, არამედ საერთო სამართლის პრინციპების გამოყენებაზეც; ნებისმიერი სასამართლო გადანყვეტილება შეიძლება გაუქმდეს, თუ მას მიიჩნევენ კონსტიტუციის შეუსაბამოდ.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის საკითხს დიდ ბრიტანეთში. გასათვალისწინებელია, რომ ამ ქვეყნის კონსტიტუციას შეადგენს: სტატუტები; რაც მთავარია, სასამართლო პრეცედენტები; საკონსტიტუციო ჩვეულებები; დოქტრინალური ნყარობი.

დიდ ბრიტანეთში პარლამენტის, მთავრობის, სასამართლოს მოქმედება განპირობებულია სამი პრინციპის განუხრელი დაცვით: ხელისუფლების დანაწილება, პარლამენტის უმაღლესი როლი და კანონის უზენაესობა. ამ უკანასკნელში იგულისხმება, რომ სახელმწიფო ადმინისტრაცია შებოჭილია სამართლით, ყოველი ადამიანი ემორჩილება სახელმწიფოში არსებულ კანონებს და ექვემდებარება სასამართლოების საერთო სამოქალაქო იურისდიქციას, საკონსტიტუციო რანგის ნორმები არ ფიქსირდება ცალკე დოკუმენტში, არამედ მთლიანად მოქმედ სამართალშია გაბნეული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინგლისში საკონსტიტუციო სამართალი არ არის მხოლოდ კერძო პირთა უფლებების წყარო, არამედ წარმოადგენს ამ უფლებების სასამართლოების მიერ განსაზღვრისა და დაცვის შედეგს. მაგალითად, პირადი თავისუფლება, რომელიც გამყარებულია Habeas Corpus Act-ის საფუძველზე გამოცემული პრეცედენტებით, წარმოადგენს კონსტიტუციის ნაწილს. კონკრეტული საქმეების განხილვისას, სასამართლო წყვეტს იყო თუ არა სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირის ესა თუ ის მოქმედება განხორციელებული კანონის ფარგლებში.

მოქმედება, რომლითაც თანამდებობის პირი უფლებამოსილებას ამეტებს, შეიძლება სასამართლომ ბათილად ცნოს. პარლამენტი ინგლისში მიჩნეულია სუვერენულ და „ყოვლისშემძლე“ ორგანოდ, ის ცვლის ან აუქმებს სამართლის ნებისმიერ ნორმას. ეს, სამართლის წყაროთა მოცემული სიმრავლის პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მით უფრო, რომ არ არსებობს ფორმალური განსხვავება კონსტიტუციურ, ფუნდამენტურ და იმ ნორმებს შორის, რომელიც სამართლის სხვა წყაროებს, მათ შორის პრინციპულ საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებებს ემყარება. აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სასამართლო ხელისუფლების არც ერთ ორგანოს არა აქვს უფლება, გააუქმოს პარლამენტის აქტი იმ მოტივით, რომ იგი, ამ სიტყვის მატერიალური გაგებით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. თუმცა, ჯერ კიდევ 1619 წელს მოსამართლე სერ ედუარდ კოუქმა, საერთო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით, ძალის არმქონედ ცნო პარლამენტის აქტი ექიმ თომას ბენჰემის საქმეზე, რომელსაც ექიმთა პალატამ ჯარიმა დააკისრა. კანონის მიხედვით, ჯარიმის ნახევარი უნდა გადასულიყო პალატის განკარგულებაში. თავის გადაწყვეტილებაში კოუქმა დაადგინა, რომ ეს კანონი ეწინააღმდეგებოდა საერთო სამართლის პრინციპს – „არავინ არ შეიძლება იყოს მოსამართლე საკუთარ საქმეში.“ მან ჩამოაყალიბა სამართლის ნორმა, რომლის თანახმად, ზოგჯერ აუცილებელი ხდება კანონების გამოსწორება, ზოგჯერ კი – მათი აღიარება ძალის არმქონედ, რადგან თუ კანონი ეწინააღმდეგება სამართალსა და გონებას, მოქმედებს უპირატესად საერთო სამართალი. ეს მა-

გალითიც საკმარისია იმის დასტურად, რომ ინგლისში საერთო სასამართლოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამართალშემოქმედებით საქმიანობაში, საკონსტიტუციო სამართლის ფორმირებასა და დაცვაში.

საკონსტიტუციო კონტროლს შეიძლება ახორციელებდეს საკონსტიტუციო გარანტიების ან მართლმსაჯულების ცალკე პალატა უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში, როგორც ეს განსაზღვრულია კოსტარკაში, ესტონეთში, ნიგერსა და გვინეაში. უკვე აღვნიშნეთ, რომ ყაზახეთში, მაროკოში, სენეგალში, ტუნისში, საფრანგეთში მოქმედებენ საკონსტიტუციო საბჭოები, რომლებიც არასასამართლო ორგანოებს წარმოადგენენ და მათ შექმნაში არ მონაწილეობენ ჩვეულებრივი სასამართლოები. საფრანგეთში საკონსტიტუციო კონტროლი მინდობილი აქვს ორ ორგანოს – საკონსტიტუციო საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოს. პირველი განიხილავს პარლამენტის აქტების კონსტიტუციურობას, ხოლო მეორე – აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის კონსტიტუციურობას. საფრანგეთში საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანოდ, ჩვეულებრივ, საკონსტიტუციო საბჭოს მოიხსენიებენ, თუმცა, იგი არასასამართლო ბუნების ორგანოა.

თანამედროვე საკონსტიტუციო სასამართლოები ან საკონსტიტუციო კონტროლის სხვა სპეციალური ორგანოები მოქმედებენ სახელმწიფოებში საპარლამენტო (გფრ, იტალია); პარლამენტური მონარქიის (ესპანეთი, ბელგია); ნახევრად საპრეზიდენტო (საფრანგეთი, ავსტრია, რუსეთი, პორტუგალია), საპრეზიდენტო (უზბეკეთი, ტაჯიკეთი) მმართველობის ფორმებით. ამ ქვეყნებში მოქმედებს ორი ან მეტი ტიპის სასამართლო ორგანო. საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას კი ახორციელებს სასამართლო ან ტრიბუნალი, რომელიც დამოუკიდებელია ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ორგანოსგან. რაც შეეხება საკონსტიტუციო კონტროლის ანგლოსაქსურ მოდელს, ის მოქმედებს ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში (კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია), ასევე მექსიკაში, დანიამში, იაპონიაში, ნორვეგიაში, პორტუგალიაში, ინდოეთში, კოლუმბიაში, მეიციარიაში, ირლანდიაში.

საკონსტიტუციო კონტროლის ანგლოსაქსური მოდელი შეიძლება ორი სახით იყოს წარმოდგენილი. პირველ შემთხვევაში, ამ ფუნქციას ახორციელებს ყველა საერთო სასამართლო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვს უმაღლეს სასამართლო ინსტანციას, როგორც ეს გათვალისწინებულია აშშ-ში, ფილიპინებზე, იაპონიაში, სკანდინავიის ქვეყნებში. მეორე შემთხვევაში, საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ უმაღლესი სასამართლო. სწორედ ასეთი მოდელი მოქმედებს ესტონეთში, ვენესუელაში, კოლუმბიაში, შრი-ლანკაში, განაში, ნამიბიაში და ა.შ.

თავისი სპეციფიკა ახლავს საკონსტიტუციო იურისდიქციის დუალისტურ ხასიათს საბერძნეთში. ამ ქვეყნის 1975 წლის ძირითადი კანონის თანახმად, საკონსტიტუციო ზედამხედველობას ახორციელებენ ჩვეულებრივი, საერთო სასამართლოები, რადგანაც 93-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილია, რომ „სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენონ კანონი, რომლის შინაარსიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.“ ამავდროულად, ძირითადი კანონის მე-100 მუხლით დაფუძნებული უმაღლესი სასამართლოს კომპეტენციაში ერთგვარად გაერთიანებულია ის უფლებამოსილებანი, რომლებიც საფრანგეთში აქვს, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო საბჭოს და, მეორე მხრივ, ტრიბუნალს – კონფლიქტურ საკითხებზე. უმაღლესი სპეციალური სასამართლოს წევრებს წარმოადგენენ ქვეყნის სამი უმაღლესი სასამართლო ინსტანციის – სახელმწიფო საბჭოს, საკაცაციო სასამართლოსა და საანგარიშო პალატის თავმჯდომარეები და წევრები. ეს სასამართლო განიხილავს დავებს დეპუტატთა პალატაში არჩევისა და რეფერენდუმის ჩატარების კანონიერების შესახებ, აქვეყნებს არჩევნებისა და რეფერენდუმის შედეგებს, განიხილავს საკითხებს დეპუტატის თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ, კონფლიქტებს სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებს ან თავად სასამართლო ორგანოებს შორის და, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, გადაწყვეტს კანონების კონსტიტუციურობის საკითხს, როდესაც სასამართლო ხელისუფლების ზემოაღნიშნული სამივე შტოს წარმომადგენლები ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს მიიღებენ. ამგვარად, საბერძნეთში საკონსტიტუციო ზედამხედველობა ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ, ვინაიდან ისინი უფლებამოსილნი არ არიან გამოიყენონ არაკონსტიტუციური კანონი და ისინი უბრალოდ არ გამოიყენებენ მათ. რაც შეეხება სპეციალურ უმაღლეს სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების მქონე ორგანოს, მის კომპეტენციას შეადგენს კანონის კონსტიტუციის შეუსაბამოდ ცნობა და მისი მოქმედების შეწყვეტა.

5-4. საკონსტიტუციო სასამართლოების სტრუქტურა

საკონსტიტუციო სასამართლოების სტრუქტურაზე საუბარი იმით უნდა დავიწყოთ, რომ ამ შემთხვევაში სტრუქტურული ელემენტების ერთობლიობა ყოველთვის არ გულისხმობს ერთიანი სისტემის არსებობას. უნიტარული სახელმწიფოს პირობებში ყველაფერი ცხადია, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლო ერთელემენტური ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს. სულ სხვა ვითარებაა ფედერალური მონეების სახელმწიფოში, სადაც ფედერ-

აღურ საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად მოქმედებს ფედერაციის სუბიექტების საკონსტიტუციო სასამართლოებიც. მართალია, საკონსტიტუციო იუსტიცია ფედერალურ სახელმწიფოებში მრავალელებენტიანი სტრუქტურაა, მაგრამ სისტემური კრიტერიუმების და შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობის არარსებობის გამო, იგი ერთიან სისტემად არ მოიაზრება. უბრალოდ, ეს ფუნქციურად ერთგვაროვანი სტრუქტურული ელემენტების სიმრავლეა, უფრო სწორად, ცალკე მოქმედი სასამართლოები – ტერიტორიული ინტერესებიდან ამოსული კომპეტენციით. თითოეული მათგანის საზედამხედველო-საკონტროლო თვალსაწიერს შესაბამისი კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომელიც ხშირად გადაიკვეთება კიდევ. თავისთავად ცხადია, ფედერაციის სუბიექტების საკონსტიტუციო სასამართლო აკონტროლებს აქტების შესაბამისობას არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ ფედერალურ კონსტიტუციასთან, მაგრამ ისინი ორდონიან ერთიან სისტემად მაინც არ აღიქმება.

ახლა რაც შეეხება თავად საკონსტიტუციო სასამართლოების სტრუქტურირების პრინციპებს. საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოების სტრუქტურული მონოკობისა და მათი საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსხვავებული მოდელები. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ საკონსტიტუციო სასამართლოების ორ ძირითად ნაირსახეობას: პირველი – ის შემთხვევაა, როცა საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება ერთიან სასამართლო კოლეგიად, რომელიც საქმეს იხილავს ყველა მოსამართლის მონაწილეობით; მეორე შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო შედგება სპეციალური სტრუქტურული დანაყოფებისგან, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში კოლეგიებად, პალატებად, სენატებად ან სექციებად იწოდებიან, თუმცა, ამ მოდელშიც სასამართლოს პლენარულ სხდომებს თავისი განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს.

საკონსტიტუციო სასამართლოების სტრუქტურირების ასეთი პრაქტიკა მნიშვნელოვნად ამაღლებს სასამართლოს მუშაობის ოპერატიულობას და ხელს უწყობს საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოს ნარმოებაში შემოსული მრავალრიცხოვანი საქმეების დროულ განხილვას. საკონსტიტუციო სასამართლოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი საქმიანობის ძირითადი ფორმა პლენარული სხდომებია. ამას განაპირობებს სასამართლოს სრული შემადგენლობის მიერ უმნიშვნელოვანესი და ურთულესი საქმეების განხილვის აუცილებლობა. მთელ რიგ შემთხვევებში კოლეგიები მოვალენი არიან, გადასცენ საქმე განსახილველად პლენუმს და ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობა პლენუმს გარკვეული ფილტრის ფუნქციას აკისრებს. ამასთან, ისიც გასათვალ-

ისწინებელია, რომ თუ სასამართლო სტრუქტურა ითვალისწინებს კოლეგიების არსებობას, მიიჩნევა, რომ სწორედ კოლეგიის სხდომა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს და ამის გათვალისწინებით წარმართავს თავის საქმიანობას. აღნიშნულის დასტურია ის ფაქტი, რომ კოლეგიების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს იურიდიულად საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილების თანაბარი ძალა აქვს, ისინი გამოიტანება სახელმწიფოს სახელით და ფაქტობრივად წარმოადგენენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. კოლეგიების არსებობა არათუ აკნინებს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ერთიანი ორგანოს სტატუსს, არამედ მათი თვალსაჩინო საქმიანობით ხაზს უსვამს ამგვარი მოდელის მნიშვნელოვან თავისებურებას, როცა წარმოაჩენს, რომ კოლეგიის სხდომები, ისევე, როგორც პლენარული სხდომა, წარმოადგენს ამ ინსტიტუტის ერთიანი კომპეტენციის განხორციელების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. კოლეგიების ფორმირების წესი, რომელიც ითვალისწინებს მათი შემადგენლობის პერიოდულ შეცვლას, შესაძლებლობას იძლევა გამოირიცხოს სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებისა და მისწრაფებების გავლენა კოლეგიებში მოსამართლეთა განაწილებაზე. ცალკეულ შემთხვევებში, თავად კოლეგიებშიც დასაშვებია მცირე დანაყოფების, მაგალითად, ჯგუფებისა თუ სექციების შექმნა, საქმეების განსახილველად წინასწარი მომზადების მიზნით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიის კომპეტენციის განსაზღვრის დროს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ორ ვარიანტს: პირველი ის გახლავთ, როცა პლენუმი განიხილავს საქმეთა ძირითად ნაწილს, ხოლო კოლეგიები – საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯად იმ საქმეებს, რომელთა გადაწყვეტაც არ შედის პლენუმის კომპეტენციაში. შესაძლებელია კომპეტენციების სხვადასხვაგვარი გადანაწილებაც. კერძოდ, საქმეთა ძირითად მასას განიხილავს კოლეგია, ხოლო პლენუმი წყვეტს იმ საკითხებს, რომლებიც არ შედის კოლეგიის კომპეტენციაში. მიუხედავად იმისა, თუ უფლებამოსილებათა როგორ განაწილებას აქვს ადგილი, საქმის განხილვისას დაცული უნდა იყოს ერთიანი სამართლებრივი პოზიციის წესი. მაგალითად, ესპანეთში საკონსტიტუციო სასამართლოს პალატები, უფლებამოსილების განხორციელებისას, ვერ გადაუხვევენ სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ საკონსტიტუციო დოქტრინას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამის საჭიროება წარმოიქმნება, საქმე განსახილველად გადაეცემა პლენუმს.

კოლეგიებს შორის საქმეთა განაწილება ხდება რიგითობის ან სპეციალიზაციის წესით. ამის თაობაზე გადაწყვეტილებას პლენუმი იღებს.

როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინადადებით მისი კოლეგები (პალატები, სენატები) ფუნქციონირებენ მუდმივად ან სესიური წესით.

ერთიანი კოლეგიის სახით საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოები მოქმედებენ ავსტრიაში, ბელგიაში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში. ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო მუშაობს სესიური წესით: წელიწადში მოიწვევა ოთხი სესია – მარტში, ივნისში, სექტემბერსა და დეკემბერში, 3-4 კვირის ხანგრძლივობით, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში იმართება საგანგებო სესია. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოც საქმეებს განიხილავს და წყვეტს პლენარულ სხდომებზე, რომელთა გამართვისას სახეზე უნდა იყოს კვორუმი 10-15 მოსამართლის შემადგენლობით.

უნგრეთში, გერმანიაში, ესპანეთში, პოლონეთში, რუსეთში, რუმინეთში, უკრაინაში საკონსტიტუციო სასამართლოები საქმეებს განიხილავენ პლენუმის სხდომებზე ან კოლეგიის შემადგენლობით. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს როგორც პლენუმის, ასევე პალატების სხდომებზე. პლენუმის შემადგენლობაში გაერთიანებულია საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი, ხოლო თითოეულ პალატაში – პლენუმის მიერ დანიშნული 6 წევრი. პლენუმსა და პალატებში შექმნილია სექციები თავმჯდომარისა და ორი წევრის შემადგენლობით. თუ პალატა მიიჩნევს, რომ კანონი ცნობილი უნდა იყოს არაკონსტიტუციურად, ის გადაეცემა განსახილველად პლენუმს, რომელიც გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას. სექციები წყვეტენ განცხადებების განსახილველად მიღების საკითხსა და მცირე მნიშვნელობის საქმეებს.

თავისებურებებით ხასიათდება საკონსტიტუციო სასამართლოების სისტემა და სტრუქტურა ფედერაციული მოწყობის ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ორი სენატისგან, თითოეული 8 მოსამართლის შემადგენლობით. თითოეული სენატი საქმეს განიხილავს არანაკლებ 6 მოსამართლის კვორუმით. თუ სენატებს განსხვავებული პოზიცია აქვთ კონკრეტული საკითხისადმი, მოიწვევა პლენარული სხდომა, ძირითადად, წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე, თავმჯდომარის ინიციატივით ან მისი მოადგილის, ერთ-ერთი სენატის ან სამი მოსამართლის თხოვნით, რომლებმაც უნდა მიუთითონ განხილვის საგანი. პლენუმი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, როდესაც თითოეული სენატიდან სხდომაზე წარმოდგენილია შემადგენლობის ორი მესამედი მანძ. სენატში შექმნილია პალატები, რომლებიც უნდა განახლდეს ყოვე-

ელ სამ ნელინადში ერთხელ. პალატები წყვეტენ განცხადებების განსახილველად მიღების საკითხს. განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილება პალატამ ერთხმად უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საკითხს წყვეტს სენატი. კანონით საკმაოდ დეტალურად არის განსაზღვრული თითოეული სენატის კომპეტენცია – ერთი იხილავს აქტების კონსტიტუციურობას, ხოლო მეორე – სამართლის სუბიექტების მოქმედებათა კონსტიტუციურობის საკითხს.

ბრაზილიის ფედერაციაში მოქმედებს საერთო სასამართლოების კონტროლი კონსტიტუციურობაზე. უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს, რომელიც 11 ნევრისგან შედგება, ნიშნავს პრეზიდენტი, სენატის აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობით. ის იხილავს, როგორც ფედერალური, ასევე შტატების სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის საკითხს. ფედერალური აქტების კონტროლში უნდა მონაწილეობდეს გენერალური პროკურორი, რომელსაც ავალია აქტების ტექსტის დაცვა. სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილ აქტს აუქმებს სენატი. თუ აქტი კონსტიტუციურად შეუსაბამოდ მიიჩნევა ხარვეზების გამო, სასამართლო შეაჩერებს მის მოქმედებას, ხოლო მისი მიმღები ორგანო ან სხვა ორგანო, რომელსაც სასამართლო მიმართავს, გააუქმებს აქტს 30 დღეში. გამოდის, რომ ბრაზილიაში არაკონსტიტუციური აქტის გაუქმება საბოლოოდ მაინც პარლამენტის პრეროგატივაა. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ს. ბობოტოვის მოსაზრება. მისი აზრით, „თუ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ დააბრუნოს კანონი პარლამენტში და არა აქვს უფლება მოახდინოს მისი ანულირება, საეჭვოა ის ქეშმარიტად იმ სასამართლო ორგანოდ მივიჩნიოთ, რომელსაც შესწევს ძალა ეფექტური დახმარება გასწიოს კანონმდებლობის მონესრიგებისა და საკანონმდებლო ხარვეზების გასწორების საქმეში.“¹ ჩვენი აზრით, ს. ბობოტოვისეული ეს მოსაზრება, პირდაპირ არ უსვამს ხაზს, მაგრამ ზუსტად იმ პოზიციას აფიქსირებს, რომელიც ჩვენ საკონსტიტუციო ზედამხედველობასა და საკონსტიტუციო კონტროლს შორის არსებითი განმასხვავებელი ნიშან-თვისებების სახით გამოვყავით.

საკონსტიტუციო სასამართლოები მოინვევენ სამუშაო სხდომებს, მოსამართლეთა თათბირებს, სტრუქტურული საკითხების და იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომელიც განსაზღვრულია კანონით საკონსტიტუციო სასამართლოების შესახებ. ამ კომისიების შემადგენლობაში შესაძლებელია ირიცხებოდნენ სპეციალისტები და საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის მუშაკები.

1. ს. ბობოტოვი, მითითებული ნაშრომი, გვ. 64.

5-5. საკონსტიტუციო სასამართლოების შემადგენლობა და ფორმირების წესი

საზღვარგარეთის ქვეყნებში საკონსტიტუციო სასამართლოების რიცხობრივი შემადგენლობა, ძირითადად, კონსტიტუციებითაა განსაზღვრული. მათი ოდენობა მერყეობს 4-დან, როგორც ეს ანდორაშია, 19-მდე, როგორც ეს რუსეთშია. მაგალითად, მოლდოვას საკონსტიტუციო სასამართლოში 6 მოსამართლეა, იუგოსლავიაში – 7; სომხეთში, მონღოლეთში, რუმინეთში, ლიტვასა და სლოვენიაში – 9; სლოვაკიაში – 10; ბელგიაში, ბულგარეთში, ესპანეთში, ხორვატიაში – 12; უნგრეთში, იტალიაში, პოლონეთსა და ჩეხეთში – 15; გერმანიაში – 16; უკრაინაში – 18 და ა.შ. ძირითად შემადგენლობასთან ერთად, ზოგიერთ ქვეყანაში არსებობენ არაორდინარული წევრებიც, რომლებიც წყვეტენ განსაზღვრული კატეგორიის საქმეებს, ასევე მოქმედებენ საკონსტიტუციო სასამართლოს სათადარიგო წევრები, მოსამართლეთა მოადგილეები. მაგალითად, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, 12 მოსამართლე და სასამართლოს 6 სათადარიგო წევრი. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოში გაერთიანებულია 15 ორდინარული მოსამართლე და 16 წევრი, რომლებსაც პარლამენტი ირჩევს 9 წლის ვადით და რომლებიც სასამართლოს ორდინარულ წევრებთან ერთად განიხილავენ რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას სახელმწიფოს ღალატში ან კონსტიტუციის დარღვევაში, თუმცა, დღემდე იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი საქმეები არ განუხილავს.

ქვეყნების გარკვეულ ნაწილში, საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების პროცესში, დანიშვნით და არჩევით პრინციპებთან ერთად, წარმომადგენლობითი პრინციპიც დამკვიდრდა. პირველად ყოფილ პრეზიდენტებს საფრანგეთის კონსტიტუციამ დაუჯავშნა ადგილი საკონსტიტუციო საბჭოში. ბოლო ჟამს კონსტიტუციურად დამტკიცდა, რომ უზბეკეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკებში ყოფილი პრეზიდენტები უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, ავტომატურად უვადოდ, პირადი ნებით იკავებენ, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საკონსტიტუციო საბჭოს წევრის თანამდებობას.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება განსხვავდება საერთო მართლმსაჯულებისგან მოსამართლეთა დანიშვნისა და მათი სამართლებრივი სტატუსის საკითხშიც. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის საბჭო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი სიიდან, ჩეხეთში კი, პირიქით, მათ პრეზიდენტი ნიშნავს იმ სი-

იდან, რომელსაც პარლამენტი წარუდგენს. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავენ ან ირჩევენ ერთი, არა უმეტეს 12 წლიანი ვადით, როგორც ეს არის უნგრეთში, სირიაში. ძირითადად, მოქმედებს ამ თანამდებობის ხელმეორედ დაკავების დაუშვებლობის პრინციპი.

არ არის სავალდებულო საკონსტიტუციო სასამართლო დაკომპლექტდეს პროფესიონალი მოსამართლეებით. ეს თანამდებობა შეიძლება დაიკავონ სამართლის პროფესორებმა, ცნობილმა ადვოკატებმა ან ჩინოვნიკებმა, რომლებსაც უღვანიათ მმართველობით აპარატში პრესტიჟულ თანამდებობაზე. შესაძლებელია, ისინი არც იყვნენ იურისტები და ჰქონდეთ უმაღლესი განათლება პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის ან ფილოსოფიის სფეროში. საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო საბჭო მოქმედებს 9 წევრის შემადგენლობით, რომლებიც 9 წლის ვადით აირჩევიან ცნობილ მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა რიგებიდან. საბჭო, როგარცის წესით, 3 წელში ერთხელ ექვემდებარება ნაწილობრივ განახლებას. საბჭოში, გარდა დანიშნული 9 წევრისა, როგორც აღვნიშნეთ, პირადი ნებით, შედიან ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტები. საბჭოს წევრთაგან მის თავმჯდომარეს ირჩევს პრეზიდენტი. საბჭოს წევრთა განვევა დაუშვებელია. თავად საბჭომ, სათანადო პირობების არსებობისას, შეიძლება გამოაცხადოს წევრების გადადგომის შესახებ. აქ, პირველ რიგში, მოქმედებს თანამდებობრივი შეუთავსებლობის პრინციპის ის კრიტერიუმები, რომელიც ვრცელდება სახელმწიფო სამსახურის თანამდებობების პირებზე. ეკრძო სექტორში საქმიანობა მათ არ ეკრძალებათ, თუმცა, უნდა გამოირიცხოს ისეთი მოქმედება, რომელმაც შეიძლება „მათი დამოუკიდებლობისა და მაღალი ღირსების კომპრომეტირება მოახდინოს.“¹

ირანში მოქმედი საკონსტიტუციო რელიგიური საბჭო, ე.წ. მეთვალყურეთა საბჭო 12 წევრს აერთიანებს: ექვს ლეთისმეტყველს ნიშნავენ სახელმწიფოს მეთაური – უმაღლესი სასულიერო პირი, ხოლო დანარჩენ 6 წევრ-იურისტს – პარლამენტი. სამეთვალყურეო საბჭო აკონტროლებს კანონების შესაბამისობას არა იმდენად კონსტიტუციასთან, რამდენადაც ყურანთან. პარლამენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის ნებისმიერი უთანხმოების ნიველირებისა და განეიტრალების მიზნით, იქმნება სპეციალური შემთანხმებელი ორგანო. პაკისტანში კი უმაღლეს სასამართლოსთან ერთად, რომელიც საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს, ფუნქციონირებს კიდევ ერთი ორგანო – ისლამური საბჭო, რომელიც იხილავს სამართლებრივი აქტების ყურანთან შესაბამისობას და შარიათის

¹ ს. ბობოტოვი, მითითებული ნაშრომი, გვ. 62.

სასამართლო, რომელიც იხილავს მოქალაქეთა სარჩელებს შარიათის კანონებთან იმ აქტების შესაბამისობის შესახებ, რომლებიც მათ შეეხება.

დღეს მსოფლიოში, ძირითადად, მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების 3 წესი. პირველი მათგანის თანახმად, სასამართლოს შემადგენლობის შერჩევა-ფორმირებაში მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო. მეორე წესით, მოსამართლეებს ირჩევს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოების შემადგენლობის ფორმირების განსხვავებული ვარიაციებიც.

საკონსტიტუციო სასამართლოების დაკომპლექტებაში ან მოსამართლეთა კანდიდატურების შერჩევაში მაინც, ხელისუფლების სამივე შტო მონაწილეობს ბულგარეთში, ესპანეთში, იტალიაში, მოლდოვაში, მონღოლეთში, ლიტვაში და სხვ. იტალიაში სასამართლოს შემადგენლობის მესამედს, ანუ 5 მოსამართლეს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, მეორე მესამედს – პარლამენტი, პალატების ერთობლივ სხდომაზე, ხოლო მესამე ნაწილს კი უმაღლესი მაგისტრატურები ასეთი თანაფარდობით: სამ წევრს ნიშნავს საკასაციო სასამართლო, თითო-თითო წევრს – სახელმწიფო საბჭო და საანგარიშო პალატა. პარლამენტის მიერ დანიშნულ მოსამართლეებს ამტკიცებს იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო აბსოლუტური უმრავლესობით. პრეზიდენტი მოსამართლეებს ნიშნავს მთავრობის თანხმობის გარეშე, თუმცა დანიშვნის შესახებ დეკრეტი საჭიროებს მთავრობის თავმჯდომარის კონტრასიგნებას, მაგრამ ეს ერთობ ფორმალური აქტია. პარლამენტი მოსამართლეებს ირჩევს დეპუტატთა პალატისა და სენატის საერთო რაოდენობის ორი მესამედის უმრავლესობით პირველ ორ ტურში და თუ არჩევნები ამით არ დასრულდა, მაშინ – ხმების სამი მეხუთედით შემდეგ ტურებში. კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპი იტალიაში შემოღებულია მოსამართლეთა არჩევაზე პარტიული ზეგავლენის გამორიცხვის მიზნით. სასამართლო ხელისუფლების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს აირჩევს სამი კოლეგია, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან საკასაციო სასამართლოს, სახელმწიფო საბჭოსა და საანგარიშო პალატის უმაღლესი თანამდებობის პირები.

ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის მესამედს – 4 მოსამართლეს აირჩევს სახალხო კრება, მესამედს ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო მესამედი აირჩევა უმაღლესი საკასაციო სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეთა საერთო კრებაზე. მათი მეორე ვადით გადარჩევა დაუშვებელია. ყოველ სამ წელიწადში ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის როტა-

ცია. მოლდოვას რესპუბლიკაში ექვსი მოსამართლიდან ორს ნიშნავს პარლამენტი, ორს – პრეზიდენტი და ორს – მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო. უკრაინაში სასამართლოს 18 წევრიდან ექვსს ნიშნავს პრეზიდენტი, ექვსს – პარლამენტი და ექვსს – მოსამართლეთა თანამეგობრობა საერთო ყრილობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოების წევრებს ნიშნავს ან ირჩევს სახელმწიფო ხელისუფლების მხოლოდ ორი – საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტო – ანდორაში, ალბანეთში, კანადაში, რუმინეთში, ჩეხეთში და სხვა ქვეყნებში. მაგალითად, რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 9 წევრიდან სამს ნიშნავს დეპუტატთა პალატა, სამს – სენატი და სამს – რუმინეთის პრეზიდენტი. სომხეთის რესპუბლიკაში კი 9 წევრიდან 5-ს ნიშნავს ქვეყნის პარლამენტი – ეროვნული კრება მისი თავმჯდომარის წარდგინებით, ხოლო 4 წევრს – რესპუბლიკის პრეზიდენტი.

სახელმწიფო ხელისუფლების მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოები ნიშნავენ (ირჩევენ) საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეებს უნგრეთში, გერმანიაში, ყირგიზეთში, ლიტვაში, ესტონეთში, პოლონეთში, სლოვაკეთში, შვეიცარიაში, უზბეკეთში, ხორვატიაში, იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკაში და სხვ. მაგალითად, უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თხუთმეტივე წევრს ხმების ორი მესამედით ირჩევს სახელმწიფო კრება იმ კანდიდატთაგან, რომლებსაც წარუდგენს კრებაში წარმოდგენილი პარტიების ფრაქციების წევრებისგან შემდგარი კომისია. იუგოსლავიაში საკავშირო საკონსტიტუციო სასამართლოს ირჩევს საკავშირო სათათბირო იმ კანდიდატთა რიცხვიდან, რომლებსაც წარადგენს ამ რესპუბლიკის პრეზიდენტი, მას შემდეგ, რაც იგი გამოარკვევს კანდიდატების შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების – სერბეთისა და ჩერნოგორიის პრეზიდენტების აზრს.

როგორიც არ უნდა იყოს შერჩევის მექანიზმი, მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება, კერძოდ კი, სახელმწიფოს მეთაური ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს – ავსტრიაში, ბელგიაში, დანიაში, ესპანეთში, კვიპროსზე, სენეგალში, თურქეთში, სამხრეთ აფრიკასა და რიგ სხვა ქვეყნებში. ესპანეთში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური – მონარქი იმ კანდიდატთა რიცხვიდან, რომლებსაც წარადგენენ პალატები, მთავრობა და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი საბჭო. ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს 14 მოსამართლესა და მათ 6 მოადგილეს ნიშნავს ასევე სახელმწიფოს მეთაური – რესპუბლიკის პრეზიდენტი – მთავრობისა და პარლამენტის წარდგინებით.

თურქეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 11 წევრის, მათ შორის 4 მოადგილისგან. რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს

ოთხ წევრს საკასაციო სასამართლოს შემადგენლობიდან, ასევე თითო-თითო წევრს სამხედრო საკასაციო სასამართლოდან, უმაღლესი სამხედრო ადმინისტრაციული ტრიბუნალიდან და საანგარიშო პალატიდან. ერთ წევრს პრეზიდენტი ნიშნავს 3 კანდიდატიდან, რომლებსაც წარადგენს უმაღლესი განათლების საბჭო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პედაგოგთა რიცხვიდან.

სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ათი მოსამართლისგან, რომლებსაც ნიშნავს სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ეროვნული კრების მიერ წარდგენილი ოცი კანდიდატიდან.

გერმანიაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს თანაბრად ირჩევენ ბუნდესტაგი და ბუნდესრატი. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო იყოფა ორ სენატად, თითოეული 8 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან თითოეულ სენატში სამი მოსამართლე აირჩევა უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მოსამართლეთაგან, აღნიშნულ ორგანოში არანაკლებ სამი წლის მუშაობის გამოცდილებით. თითოეული სენატის მოსამართლეთა ნახევარს ირჩევს ბუნდესტაგი, მეორე ნახევარს – ბუნდესრატი. აქ მთავარი ის არის, რომ ორივე სენატი ბუნდესტაგის არჩეული ოთხი მოსამართლისგან ერთი ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს ორგანოდან უნდა იყოს, ხოლო ბუნდესრატის მიერ არჩეული ოთხი მოსამართლისგან ორი უნდა იყოს უმაღლესი სასამართლო ორგანოდან. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში მოსამართლეები წინასწარ გამიზნულად ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განსაზღვრულ სენატში აირჩევიან და არ შეიცვლებიან. ეს იმიტომაც არის განპირობებული, რომ თითოეული სენატი, მისთვის კანონით მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს სახით გამოდის და უფლებამოსილების კვორუმიც დადგენილია: სენატს იმ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ კენჭისყრაში მონაწილეობს ექვსი მოსამართლე მაინც.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ბუნდესრატი ირჩევს პირდაპირი წესით, ხოლო ბუნდესტაგი – ირიბი წესით, სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც თავად აირჩევა ბუნდესტაგში ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე და შედგება ბუნდესტაგის 12 წევრისგან. ორივე ორგანოში საჭიროა ხმების 2/3-ის, ბუნდესტაგის შემთხვევაში ეს კომისიის წევრების 2/3 ანუ 8 ხმაა, ბუნდესრატის შემთხვევაში – ეს მიწების საერთო რაოდენობის 2/3-ია. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტი და მისი მოადგილე აირჩევა მონაცვლეობით ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის მიერ.

პოსტკოტალიტარულ, პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში მიმდინარე სასამართლო რეფორმის დამახასიათებელ დადებით ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირება ხელისუფლების სამივე შტოს მონაწილეობით, პარიტეტულ ხანყისებზე. ეს უზრუნველყოფს მათი შემადგენლობის ბალანსირებულ ხასიათს და განაპირობებს იმგვარი ინსტიტუტის არსებობას, რომელიც არ მოექცევა სხვადასხვა ჯგუფური, პარტიული ინტერესებისა და ამბიციების გავლენის ქვეშ და დადგება ქვეყნის კონსტიტუციის სადარაჯოზე. მაგრამ ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა ტაჯიკეთმა და უზბეკეთმა საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების მექანიზმში, ერთი თავისებურება შემოიღეს, როდესაც მოსამართლეთა კანდიდატების დასახელების ინიციატორთა შორის ავტონომიური წარმონაქმნებიც აღიარეს, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოების შემადგენლობაში შესაბამისად მთიანი ბადახმანის ავტონომიური ოლქის და ყარაყალპაყეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები ინიშნებიან.

საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების მექანიზმის სიმრავლეში არსებობს ერთი, სხვებისგან განსხვავებული ვარიანტი. კერძოდ, პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლო 13 მოსამართლისაგან შედგება, რომელთაგან ათს ნიშნავს რესპუბლიკის ასამბლეა, ხოლო სამი ვაკანსიის კოოპტაციის წესით შევსების თაობაზე გადაწყვეტილებას ლეზულობს სწორედ ეს ათეული.

საკონსტიტუციო სასამართლოებს ჰყავთ თავმჯდომარეები და სხვადასხვა კომპეტენციის თანამდებობის პირები: თავმჯდომარის მოადგილე ან მოადგილეები, მდივანი, მოსამართლე-მომხსენებლები. საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელობის არჩევის ორი წესი არსებობს: ერთ შემთხვევაში თავმჯდომარე აირჩევა უშუალოდ სასამართლოს შემადგენლობის მიერ, ხოლო მეორე შემთხვევაში არჩევის განსაკუთრებული წესი მოქმედებს, რაც სხვა ორგანოების მიერ მათ დანიშნას თუ დამტკიცებას გულისხმობს. საქმე ის არის, რომ, როცა თავმჯდომარე განიხილება როგორც კოლექტიური ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენელი, რომელსაც ამ ინსტიტუტის შინაორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში წამყვანი როლი ეკისრება, ხოლო სხვა მხრივ იგი დანარჩენი მოსამართლეების თანაბარი უფლებებით სარგებლობს, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია, თავმჯდომარე თავად სასამართლომ აირჩიოს. თავმჯდომარის დანიშვნა სხვა თანამდებობის პირთა მიერ განაპირობებს სასამართლოს სხვა წევრების მიმართ მის განსხვავებულ სტატუსს, შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს მისი გავლენა მოსამართლეებზე, ორიენტირებული იყოს იმ პოლიტიკურ ორგანოზე, რომელმაც იგი აირჩია. სა-

კონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევენ ამ სასამართლოს მოსამართლეები მათივე შემადგენლობიდან ბელგიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, იტალიაში, მოლდოვაში, რუსეთში, ხოლო საკანონმდებლო ორგანოს ან სახელმწიფოს მეთაურის მიერ ისინი ინიშნებიან სლოვაკეთში, სომხეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთში.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს ან აირჩეს მხოლოდ ის პირი, რომელიც აკმაყოფილებს განსაზღვრულ, კანონით დადგენილ მოთხოვნებს. მათ შორის, პირველ ყოვლისა, უნდა გამოვყოთ მოქალაქეობის ცენზი. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ფიცს დებს სწორედ კონკრეტული სახელმწიფოს კონსტიტუციის ერთგულებაზე. ეს ცენზი დადგენილია უნგრეთის, ესპანეთის, ლიტვის, რუსეთის, უკრაინის და სხვა ქვეყნების კონსტიტუციებითა და აქტებით საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. კიდევ ერთი აუცილებელი პირობაა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა კომპეტენტურობა, მათი პროფესიონალიზმი და მაღალი კვალიფიკაცია. კომპეტენტურობა განისაზღვრება უმაღლესი იურიდიული განათლებით და იურიდიული საქმიანობის ხანგრძლივი პროფესიული სტაჟით. ავსტრიის კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, მათ შორის სათადარიგო წევრებს, უნდა ჰქონდეთ სრული განათლება სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მეცნიერებათა სფეროში. მათ ნიშნავენ მოსამართლეების, ადმინისტრაციული მოხელეების, უნივერსიტეტის პროფესორების რიცხვიდან. ესპანეთის კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატები უნდა წარმოადგენდნენ კომპეტენტურ იურისტებს, ისინი აირჩევიან მოსამართლეებისა და პროკურორების, უნივერსიტეტის პროფესორების, თანამდებობის პირების, ადვოკატების რიცხვიდან. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის პოსტი შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელმაც მიიღო საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება, ჩააბარა პირველი სახელმწიფო გამოცდა და გაიარა მოსამზადებელი სამსახურებრივი სტაჟირება, ხოლო ამის შემდეგ ჩააბარა მეორე სახელმწიფო გამოცდა.

ზოგიერთ ქვეყანაში კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი პროფესიული სტაჟი, რომლის მინიმუმიც კანონითაა განსაზღვრული. მაგალითად, ავსტრიასა და უკრაინაში ეს ვადა შეადგენს 10 წელს, ესპანეთსა და მოლდოვაში – 15 წელს, იტალიაში კი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატ ადვოკატს უნდა ჰქონდეს 20 წლიანი პროფესიული სტაჟი.

კანონმდებლობით დადგენილია ასაკობრივი ცენზიც, რომლის ქვედა ზღვარის საკანონმდებლო რეგულირება უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებად ცხოვრებისეული გამოცდილების

გქონე პირებით დაკომპლექტებას. როგორც წესი, ასაკობრივი ცენზი საკმაოდ მაღალია. მაგალითად, უკრაინაში იგი შეადგენს 40 წელს, უნგრეთში – 45 წელს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომელიც ნაეყენებათ კანდიდატებს არის უმნიშვნელო რეპუტაცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ზნეობრივი თვისებებით, შეულახავი რეპუტაციით, იყოს ღირსეული და სამართლიანი პიროვნება და მოქალაქე, ზოგიერთ სახელმწიფოში კანდიდატებს ნაეყენებათ სხვა მოთხოვნებიც: სახელმწიფო ენის ცოდნა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობაზე წერილობითი თანხმობა და სხვ. მაგალითად, უკრაინაში მოქმედებს ბინადრობის ცენზი, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი უნდა ცხოვრობდეს ამ ქვეყანაში უკანასკნელი 20 წლის მანძილზე.

ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი უფლებამოსილებათა განხორციელებას შეუდგებოდეს, მან უნდა დადოს ფიცი. ამ რიტუალში ვლინდება მოსამართლის განსაკუთრებული სტატუსი, მისი გაზრდილი მოქალაქეობრივი და პროფესიული პასუხისმგებლობა. თითქმის ყველა სახელმწიფოს კონსტიტუცია ან შესაბამისი კანონი სპეციალურად მიუთითებს მოსამართლის მიერ ფიცის დადების აუცილებლობაზე. მოსამართლე დებს ფიცს იყოს კონსტიტუციური კანონიერების სიმბოლოს – ქვეყნის კონსტიტუციის ერთგული. ფიცში შეიძლება გათვალისწინებული იყოს კონსტიტუციური და სხვა სახის კანონების, ასევე მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვის მოთხოვნა.

ესპანეთში მოსამართლე ფიცს დებს გვირგვინის ერთგულებაზე. გერმანიაში, რუმინეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ფიცის ტექსტში ჩართულია რელიგიური ფორმულაც. ესპანეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ფიცს დებს ქვეყნის პრეზიდენტის წინაშე, ავსტრიაში თავმჯდომარე და მისი მოადგილე – ასევე პრეზიდენტის წინაშე, ხოლო სასამართლოს ძირითადი და სათადარიგო წევრები – საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე. ფიცი დაიდება ზეპირად, თუმცა, შესაძლებელია მისი წერილობითი გაფორმებაც, რომლის დროს მოსამართლე ხელს აწერს ფიცის ტექსტს. როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის არჩევა ფორმდება სპეციალური დოკუმენტით, რომელსაც აქვეყნებენ ოფიციალურ გამოცემებში.

როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეთა სტატუსის ანალიზიდან ირკვევა, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს: მოსამართლის მიერ მოქალაქეობის დაკარგვა; უფლებამოსილების ვადის ამოწურვა; ამ

თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევა; თანამდებობიდან გადადგომა; მოსამართლის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; მოსამართლის მიერ იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც შეუთავსებელია მის თანამდებობასთან, მოსამართლის მიერ ისეთი მოქმედების ჩადენა, რომელიც ლახავს მის პატივსა და ღირსებას; ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო ხანგრძლივი დროის მანძილზე მოსამართლეთა მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა; მოსამართლის გარდაცვალება; სხვა საფუძვლის არსებობა, რომელიც კანონითაა გათვალისწინებული, მაგალითად, ავსტრიაში ამ კატეგორიის მოტივაციას განეკუთვნება მოსამართლის მიერ ფიცის დარღვევა, სამსახურებრივი საიდუმლოების გახმაურება, ხოლო გერმანიაში – უხეში დისციპლინური დარღვევა.

5-6. საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენცია

ისტორიულად საკონსტიტუციო სასამართლოების იურისდიქცია თავიდან პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე ვრცელდებოდა. შემდეგ მათ დაევალათ სახელმწიფო ღალატისა თუ კონსტიტუციის დარღვევისათვის სახელმწიფოს მეთაურის პასუხისმგებლობის საკითხის გადანყვეტა ანუ იმპიჩმენტის განხორციელება. საკონსტიტუციო სასამართლოების იურისდიქცია თანდათან ფართოვდებოდა. თანამედროვე სახელმწიფოებში მოქმედი კონსტიტუციური აქტების ანალიზიდან ირკვევა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენცია საკითხთა მრავალფეროვან სპექტრზე ვრცელდება, ძირითადად, ესენია: საკანონმდებლო აქტების საკონსტიტუციო კონტროლი, დავები უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციის თაობაზე, დავები ფედერაციასა და მის სუბიექტებს ან ცენტრალურ ხელისუფლებასა და ავტონომიურ წარმონაქმნების ხელისუფალთა შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე, რეფერენდუმის ჩატარების კონსტიტუციურობის დადგენა, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი, სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ფორმირებისას კონსტიტუციის დაცვა არჩევნების კონტროლის გზით, უმაღლესი თანამდებობის პირების მიმართ იმპიჩმენტის პროცედურაში მონაწილეობა, პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობაზე ზედამხედველობა, ადამიანის უფლებათა დამრღვევი ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობა.

საკონსტიტუციო სასამართლოების უფლებამოსილებათა ჩამონათვალი კონსტიტუციებსა თუ სპეციალურ კანონმდებლობაში შესაძლებელია

იყოს აბსოლუტურად განსაზღვრული ან შეფარდებით განსაზღვრული. უფლებამოსილებათა შეფარდებითი განსაზღვრულობა შესაძლებელს ხდის მომავალში გაფართოვდეს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, თუ ეს არ ენიშნა მდებარე საკონსტიტუციო კონტროლის ამ სასამართლო ორგანოს ბუნებას. საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ განსახილველი სხვადასხვა კატეგორიის საქმე საჭიროებს არაერთგვაროვან მიდგომას და განსხვავებული პროცედურების გამოყენებას, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ გვევლინება საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანოში მოცემული საკითხის განხილვის ინიციატორად, კანონით რა ვადებია დადგენილი მოცემული საკითხის განსახილველად, დასაშვებია თუ არა სარჩელი, საჭიროა თუ არა მტკიცებულებათა საფუძვლიანობიდან გამომდინარე სხვა იურიდიული მექანიზმების გამოყენება და სხვ. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, წარმოადგენს თუ არა ინიცირებული საკონსტიტუციო საკითხი მოცემული სასამართლოსთვის ძირითადი განხილვის საგანს, თუ ის მომდინარეობს სხვა სახის სასამართლო ორგანოს მიერ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობიდან, ვინაიდან სწორედ ამაზეა მნიშვნელოვანნილად დამოკიდებული მოსარჩლის მდგომარეობა, გამოსაყენებელი საპროცედურო ნორმების შერჩევა, მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედების თავისებურებანი.

ზოგჯერ საკონსტიტუციო სასამართლოები თავად ახდენენ საკუთარ უფლებამოსილებათა კონკრეტიზებას, ვინაიდან კონსტიტუციასა და შესაბამის კანონში მათი კომპეტენცია არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. ბევრ სახელმწიფოში კონსტიტუცია და შესაბამისი კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს აკისრებს ხელმონერილი, მაგრამ არარატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შემოწმებას. კონსტიტუციებში ძირითადად ნათქვამია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს. ასეთ შემთხვევაში თავად საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს, თუ რომელი ხელშეკრულება და შეთანხმება უნდა განიხილოს – რატიფიცირებული, ხელმონერილი და არარატიფიცირებული, თუ ორივე ერთად. აქ არჩევანი დამოკიდებულია სასამართლოს პოზიციაზე: მას სურს შეზღუდული იყოს მისი უფლებამოსილებანი, თუ იგი ემზრობა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების, კონსტიტუციური კანონიერების დაცვის საქმეში აქტიურობის პრინციპს. მსგავს შემთხვევებში განსაზღვრავენ რა საკუთარ კომპეტენციას, საკონსტიტუციო სასამართლოები იმავდროულად განამტკიცებენ თავიანთ როლს მოქალაქეთა, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს ცხოვრებაში მათი განვითარების ამა თუ იმ სტადიაზე. ჩვენ შეუქცევადად გვესახება საზღ-

ვარგარეთის ქვეყნებში წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის გაფართოების ტენდენცია არა მარტო საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, არამედ რეფერენდუმის საგანთან მიმართებაშიც.

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს მხოლოდ აბსტრაქტული კონტროლი, საკუთარ იურისდიქციას განავრცობს სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციების კონტროლზეც, სამართლის მოქმედებაში განხილვის ფხით, ასევე განმარტავს კონსტიტუციურ ნორმებს. ანალოგიურად მოქმედებს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო, როცა განსაზღვრავს საკუთარ კომპეტენციას იმ კანონების კონსტიტუციურობის განხილვისას, რომლებიც შეეხება მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების კონსტიტუციურ უფლებებს. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო თანდათან აფართოებს მსგავსი გაერთიანებების წრეს, რომელშიც შედიან არა მხოლოდ ის გაერთიანებები, რომელთა სანესდებო მიზნებად მოქალაქეთა უფლებების დაცვაა გამოცხადებული, მაგალითად, პროფკავშირები, არამედ, ასევე, კომერციული კავშირები, სააქციო საზოგადოებები, ამხანაგობები თუ სხვ.

საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს კომპეტენციაში გამოიყოფა ორი ძირითადი სფერო: ზედამხედველობა არჩევნებზე და კონტროლი კანონების კონსტიტუციურობაზე. გარდა ამისა, საბჭოს აქვს სპეციალური უფლებამოსილება, კერძოდ, კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მთავრობის შეკითხვის საპასუხოდ, საბჭო ახდენს პრეზიდენტის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ფაქტის კონსტატაციას. ამავე მუხლის მე-7 ნაწილით საბჭომ, სათანადო პირობების არსებობისას, შეიძლება გამოაცხადოს საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის გადატანის შესახებ, თუ არჩევნების ჩატარება შეუძლებელია ან ერთ-ერთი კანდიდატი გარდაიცვალა. კონსტიტუციის მე-16 მუხლით, პრეზიდენტის საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვის შემთხვევაში, საკონსტიტუციო საბჭო განიხილავს, პირველ ყოვლისა, მე-16 მუხლის ძალაში შესვლის საკითხს და მეორე, პრეზიდენტის მიერ გატარებული განსაკუთრებული ზომების კონსტიტუციურობის საკითხს!

1. საფრანგეთის კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, „როდესაც რესპუბლიკის დადგენილებანი, ერის დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა ან საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება აღმოჩნდება სერიოზული და უშუალო საშიშროების წინაშე, დაირღვევა კონსტიტუციური სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება, რესპუბლიკის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის პალატის თავმჯდომარეებსა და საკონსტიტუციო საბჭოსთან ოფიციალური კონსულტაციების შემდეგ ახორციელებს შექმნილი მდგომარეობით ნაკარნახევ ღონისძიებებს. ამის შესახებ წერილობით აუწყებს ერს.“

საკონსტიტუციო საბჭოს წინასწარ სავალდებულო კონტროლს ექვემდებარება ორგანული კანონები, პარლამენტის პალატების რეგლამენტები და კანონები, რომლებიც პირადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას შეეხება. საკონსტიტუციო საბჭო, ასევე, წინასწარ იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც ექვემდებარება რატიფიკაციას საფრანგეთის თანამეგობრობის ფარგლებში, კონტროლს ახორციელებს რეფერენდუმისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებაზე. საბჭოს უფლება აქვს, გამოიტანოს გადაწყვეტილება არჩევნების შედეგების ანულირების შესახებ, გამოაცხადოს ნორმატიული აქტები კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ და ბათილად. საკონსტიტუციო საბჭო აკონტროლებს ნაციონალურ დონეზე ჩატარებულ ყველა სახის პოლიტიკურ არჩევნებს, ხოლო ადმინისტრაციული, მუნიციპალური, კანტონალური, რეგიონული, ასევე, ევროკავშირში არჩევნები ექვემდებარება ადმინისტრაციული ოუსტიციის, კერძოდ, სახელმწიფო საბჭოს კონტროლს.

საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანო ძირითადი უფლებამოსილების _ კანონების კონსტიტუციურობის შემოწმების გარდა, როგორც აღვნიშნეთ, სხვა ფუნქციებსაც შეიძლება ახორციელებდეს, მაგალითად, მეთვალყურეობდეს რეფერენდუმის ჩატარებასა და მისი შედეგების გამოქვეყნებას (საფრანგეთი), განიხილავდეს ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნის საკითხებს (ესპანეთი), არსებითად განიხილავდეს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს (იტალია), ნყვეტდეს პარტიების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხს (გერმანია), განმარტავდეს კონსტიტუციის დებულებებს და სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებს წარუდგენდეს დასკვნებს. მათ შეიძლება განმარტონ ჩვეულებრივი კანონებიც, მაგალითად, ალბანეთში, ეგვიპტეში, პოლონეთში. ამასთან, ეგვიპტეში საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს როგორც კანონებს, ასევე პრეზიდენტის დეკრეტებს. იტალიაში კი ერთიანი კოლეგიის სახით მოქმედი 15 წევრიანი საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად გამოდის, როგორც „თანაკანონმდებელი“ და ზოგჯერ კანონმდებელიც კი. ეს მაშინ ხდება, როდესაც კანონებს გარკვეული ხარვეზები აქვს. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს შემოაქვს, ე.წ. „დამატებითი“ და „შეცვლითი“ დებულებანი.

საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ საკუთარი კომპეტენციის განვრცობითმა განმარტებამ დადებითი გარდა, შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგებიც, რაც თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური კანონიერების დარღვევაში გამოიხატება. ეს განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებს შეეხება, რომლებიც გარდამავალ პერი-

ოდში, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში იმყოფებიან.¹

როგორც აღვნიშნეთ, კანონებისა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმება შეიძლება მოხდეს როგორც რეპრესიული, ასევე პრევენტიული ფორმით. წინასწარი სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლი მოქმედებს ავსტრიაში, უნგრეთში, ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიასა და რიგ სხვა ქვეყნებში. წინასწარ კონტროლს ექვემდებარება ნებისმიერი სახის კანონპროექტი ავსტრიაში, გერმანიაში, ესპანეთში, თურქეთში, პოლონეთში, პორტუგალიაში, რუმინეთში, უნგრეთში; კონსტიტუციური და ორგანული კანონები ესპანეთში, თურქეთში, იტალიაში, მოლდოვასა და რუმინეთში; პარლამენტის პალატების რეგლამენტები პორტუგალიაში, რუმინეთში, სომხეთში, უნგრეთში; სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კანონქვემდებარე აქტები პოლონეთში.

ნორმატიული აქტების შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლი მოქმედებს სლოვაკეთში, რუსეთში, თურქეთში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში. წარმოების აღძვრის უფლება კი აქვს სუბიექტთა მრავალრიცხოვან წრეს, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები – პარლამენტი და მისი პალატები, სახელმწიფოს მეთაური, მთავრობა, უმაღლესი სასამართლო ინსტანციები, პარლამენტის ფრაქციები და დეპუტატთა ჯგუფები. მაგალითად, პორტუგალიაში, ესპანეთში, თურქეთში სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვთ პარლამენტის წევრთა მეთედს, გერმანიაში, ავსტრიაში და სომხეთში – მესამედს. ამ უფლებით შეიძლება სარგებლობდნ ასევე ფედერაციისა თუ კონფედერაციული კავშირის წევრები, ტერიტორიული ერთეულები, ავტონომიური რაიონები, პროვინციები და ა.შ. საკონსტიტუციო სასამართლოში კანონის კონსტიტუციურობის საკითხის დასადგენად საერთო სასამართლოების მიმართვის უფლებას განამტკიცებს ავსტრიის კონსტიტუციის 140-ე მუხლი, ესპანეთის კონსტიტუციის 163-ე მუხლი, თურქეთის კონსტიტუციის 152-ე მუხლი, იტალიის 1/1948 კანონის 1 მუხლი, ბელგიის საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ კანონის 26-ე მუხლი, გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლი და სხვ. თუ კონსტიტუციით დადგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის გარკვეული გარანტიები, მაშინ დარღვეული უფლების აღსადგენად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიმართონ ტერიტორიულმა ერთეულებმა, კომუნებმა და მუნიციპალიტეტებმა, როგორც ეს დადგენილია, ავსტრიაში და გერმანიაში. ზო-

¹ ნ. გ. ვიტრუკი, მითითებული ნაშრომი, გვ. 156.

გიერთი კონსტიტუციით გათვალისწინებულია, რომ გენერალურ ატორნების ან ომბუდსმენს, როგორც კონსტიტუციის გარანტებს, შეუძლიათ აღძრან საკონსტიტუციო კონტროლის პროცედურა სასამართლოში. ასეთ ნებს ითვალისწინებენ ესპანეთისა და პოლონეთის კონსტიტუციები. აღნიშნული უფლებით შესაძლებელია ისარგებლონ კერძო პირებმა და ორგანიზაციებმა, თუ კანონებით ან სხვა ნორმატიული აქტებით დარღვეულია მათი უფლებები. ამაზე პირდაპირ მიუთითებს გერმანიის, ავსტრიის, ესპანეთის ძირითადი კანონები. საკონსტიტუციო სასამართლო პოლონეთსა და იუგოსლავიაში უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ნამოინდოს საკონსტიტუციო პროცესი. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს ერთობ იშვიათი და უჩვეულო კომპეტენცია მკაფიოდ წარმოაჩენს იუსტიციის ამ ორგანოს, როგორც კონსტიტუციის უმნიშვნელოვანესი გარანტის სტატუსს. საკონსტიტუციო სარჩელის შემტან სუბიექტთა ორიგინალური ფორმულირებაა მოცემული უნგრეთის კონსტიტუციის 32-ე პარაგრაფის მეშ პუნქტში: „საკონსტიტუციო წარმოების აღძვრა შეუძლია ნებისმიერ პირს კანონით დადგენილ შემთხვევაში.“

მნიშვნელოვანია საკითხი იმის თაობაზე, თუ როდის წყვეტს მოქმედებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი და ანულირებული აქტი. საზღვარგარეთის ქვეყნებში არც ეს საკითხია ცალსახად და ერთგვაროვნად გადაწყვეტილი. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი აქტი მოქმედებას იწყებს გამოცხადების მომენტიდან ან მომდევნო დღეს, ან ოფიციალურ ბექდვით ორგანოში გამოქვეყნების შემდეგ, ან გამოქვეყნებიდან განსაზღვრულ ვადაში, ან ამ გადაწყვეტილებით დადგენილი დაინტერესებული ორგანოებისა თუ პირებისათვის ოფიციალურად გადაცემის დღიდან. შესაძლებელია კანონი გამოცხადდეს არაკონსტიტუციურად და სასამართლომ დაადგინოს ვადა, რომლის ამონურვისთანავე ეს აქტი შეწყვეტს მოქმედებას, როგორც ეს დადგენილია ავსტრიაში, პოლონეთში, სლოვაკეთში, თურქეთში. სლოვენის კონსტიტუციის 161-ე მუხლის თანახმად, კანონის მოქმედება შეწყდება დაუყოვნებლივ ან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც 1 წელს არ უნდა აღემატებოდეს საფრანგეთის კონსტიტუციის 62-ე მუხლის თანახმად, წინასწარი, პრევენტიული კონტროლის პირობებში, გათვალისწინებულია არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების მოქმედების შეზღუდვა, პირველ ყოვლისა, მხარეების მიმართ, ასევე ყველა საჯარო სუბიექტის მიმართ, იქნება ეს ადმინისტრაციული თუ სასამართლო ორგანო.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი იმის თაობაზე, თუ რა ბედი ელის არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის საფუძველზე გამოცემულ ქვემ-

დებარე აქტებს. ერთი მხრივ, აუცილებელია ყოველი სამართალგამოყენებითი გადაწყვეტილების სტაბილურობის შენარჩუნება და, მეორე მხრივ, ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს მართლზომიერი, რომელიც დაეფუძნება კონსტიტუციასა და კანონს. აქვე უნდა აღვნიშნოთ კანონის უკუქცევითი ძალის ის პრინციპი, რომელიც ყველა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციაში ან სხვა საკანონმდებლო აქტებშია მოცემული. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ნებისმიერმა გადაწყვეტილებამ, რომელიც ამსუბუქებს მოქალაქის სამართლებრივ მდგომარეობას, შეიძლება გამოიწვიოს იმ კონკრეტული სამართალშეფარდებითი აქტის გაუქმება ან შეცვლა, რომელიც გამოტანილი იყო არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონის საფუძველზე. ეს ძირითადად შეეხება სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს განაჩენები, სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც ემყარება არაკონსტიტუციურ აქტებს, ყოველ მიზეზგარეშე უნდა გადაისინჯოს, რადგან ისინი მსჯავრდადებულის პირად თავისუფლებას ზღუდავს. რაც შეეხება ანულირებული კანონის საფუძველზე გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუ ისინი არ ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ნაკლებსავალდებულოდ მიგვაჩნია მათი ხელახლა განხილვა. ტექნიკურად და ორგანიზაციულად ეს ერთობ რთულ პროცესად გვესახება, თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ინდივიდუალური აქტების ძალაში დატოვება, ფაქტობრივად, ერთგვარად შებლაღავს საკონსტიტუციო სამართლის უზენაესობის პრინციპს.

ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ერთი თავისებურება, რომელიც გათვალისწინებულია ზოგიერთი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგლამენტირებელი აქტებით. მაგალითად, პორტუგალიის კონსტიტუციის 283-ე მუხლის თანახმად, ასევე ამ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით, გათვალისწინებულია სპეციალური პროცედურა კონსტიტუციის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმდებლის წვლილის დასადგენად. რესპუბლიკის პრეზიდენტის, ადამიანის უფლებათა დამცველის ან, ავტონომიური ერთეულის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით, რეგიონული ასამბლეების თავმჯდომარეთა მიმართვით, საკონსტიტუციო სასამართლო ამონმებს და აფასებს კონსტიტუციის შეუსრულებლობას იმ მიზეზით, რომ არ არსებობს კონსტიტუციური ნორმების ქმედითობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ნორმათა სისტემა. როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ ეს ვაკუუმი აფერხებს კონსტიტუცი-

ური ნორმების განხორციელებას, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს საკანონმდებლო ორგანოს. საკონსტიტუციო იუსტიციის მქონე ქვეყნების უმრავლესობაში მსგავსი ინსტიტუტი არ არსებობს. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ კონსტიტუციის მოქმედების ნინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ვაკუუმის არსებობის ფაქტი შეიძლება გასაჩივრდეს სხვა წესით და გადაწყდეს სხვა პროცედურის პირობებში. მაგალითად, გერმანიაში მას განიხილავენ როგორც ფედერაციასა და მინებს შორის დავის სახესხვაობას, ან როგორც დავას კომპეტენციის თაობაზე (ძირითადი კანონის 93-ე მუხლის I და II ნაწილები). ამასთან, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შებოჭილია მოთხოვნით, დაადგინოს, რომ ხელისუფლების იმ ინსტანციის უმოქმედობამ, რომელიც გამოდის მოპასუხედ, დაარღვია განმცხადებლის უფლება. კანონმდებლის უმოქმედობის საფუძველზე კერძო პირების საჩივრები გერმანიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, როცა ძირითადი კანონიდან გამომდინარეობს კანონმდებლის ვალდებულება, გამოსცეს შესაბამისი აქტი განმცხადებლის სასარგებლოდ, მაგრამ ეს წესი მოქმედებს გამონაკლის შემთხვევაში.¹

საკანონმდებლო უმოქმედობასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო პროცესის მსგავსია ის შემთხვევა, როდესაც კანონი განსაზღვრულ უფლებამოსილებას ანიჭებს პირთა ერთ წრეს და სამართლის სხვა სუბიექტებისთვის ამ უფლებამოსილებით სარგებლობა შეუძლებელი ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ეწინააღმდეგება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, შესაბამისად, არაკონსტიტუციურ დებულებას წარმოადგენს და საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანოში მისი გასაჩივრება შეუძლიათ პირებს, რომელთა უფლებებიც შეილახა. საკონსტიტუციო სასამართლო, ამ შემთხვევაში, უფლებამოსილია ცნოს არაკონსტიტუციურად და ბათილად მოცემული კანონი ან მისი ნაწილი ან მსგავსი გამონაკლისების დაწესება გამოაცხადოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ და მიმართოს კანონმდებელს სათანადო ზომების, ანუ საკანონმდებლო ცვლილებების მიღების წინადადებით. მაგალითად, ავსტრიაში საკანონმდებლო უმოქმედობა, როგორც წესი, არ წამოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანს, მაგრამ განსხვავებული მიდგომაა არასრული ნორმების მიმართ. კერძოდ, ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის საკანონმდებლო კომპეტენციის გამიჯვნასთან დაკავშირებით, როდესაც სუბიექტი მხოლოდ ნაწილობრივ სარგებლობს ფედერალური სამართლის დებულებებით, და ეს მაშინ, როცა აუცილებელია მათი სრული მოცულობით გამოყენება. ამ პრობ-

1. Современный немецкий конституционализм. Институт государства и права. РАН, Москва, 1994, стр. 29.

ლემას ავსტრიის კონსტიტუციის მე-12 მუხლი არეგულირებს. მსგავსი შეუსაბამობები განსაკუთრებით დამახასიათებელია ფედერაციებისთვის და საკითხის განხილვისას მიუთითებენ არა იმდენად კონსტიტუციაზე, რამდენადაც საერთოდ ფედერალურ სამართალზე, რომელსაც გარკვეული პრიორიტეტი აქვს ფედერაციის ცალკეული სუბიექტების სამართლის მიმართ.

მეტად აქტუალურად გვესახება საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების ან იმ კანონების კონსტიტუციურობის შემონმებასთან დაკავშირებით, რომლებიც არათვითშემსრულებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების განხორციელებას ემსახურებიან. ვინაიდან ეს კანონები ხელს უწყობს სახელმწიფო ორგანოების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებას, ისინი ნაციონალური სამართლის ნაწილს წარმოადგენს და ამ შემთხვევაში სრულიად სამართლიანია მათი მოქცევა საკონსტიტუციო კონტროლისა თუ ზედამხედველობის არეალში. მდგომარეობა გაცილებით რთულდება, როდესაც მსგავს კანონებს საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანო არაკონსტიტუციურად ცნობს მას შემდეგ, რაც შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულება ძალაში შევა და საერთაშორისო დონეზე გახდება სავალდებულო. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო უარს ვერ იტყვის საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებაზე იმ საფუძვლით, რომ ის ეწინააღმდეგება ნაციონალურ სამართალს. საპარლამენტო აქტები უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ კონსტიტუციას, არამედ საერთაშორისო საჯარო სამართალს, მის ძირითად პრინციპებს – ასეთია საერთაშორისო სამართლის მოთხოვნა, თანამედროვე სახელმწიფოებში კი ამ გარემოების შესახებ კონსტიტუციებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებშია მითითებული. მაგალითად, უნგრეთში მოქმედი საკონსტიტუციო სასამართლოს კანონი მოითხოვს, რომ კანონმდებლობა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ასევე გერმანიის ძირითადი კანონის 25-ე მუხლით, აღიარებულია საერთაშორისო სამართლის პრიორიტეტი საკანონმდებლო აქტების მიმართ. გერმანიის სასამართლოები არა მხოლოდ უფლებამოსილნი, არამედ ვალდებული არიან, მოახდინონ ამ პრინციპის რეალიზება. თუ სასამართლო განხილვისას გაჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა საერთაშორისო სამართლის ესა თუ ის წესი ფედერალური სამართლის ნაწილს, სასამართლო ამ საკითხის გასარკვევად ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს.

უდავოდ აღსანიშნავია საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული კანონების პრევენტიული კონტროლის ეფექტურობა, რაც იმით

ვლინდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი კონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის, ხელშეკრულება ჯერ არ არის რატიფიცირებული, შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობებში არ არის სავალდებულო და ყველა ვითარებაში გამოირიცხება ის უხერხულობა, როცა სახელმწიფოსთვის ნაციონალური კონსტიტუციის შეუსაბამო აქტი საერთაშორისო დონეზე შესასრულებლად სავალდებულო ხდება. აქედან გამომდინარე, წინასწარი კონტროლის გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საერთაშორისო ხელშეკრულებების და მათ განსახორციელებლად მისაღები კანონების მიმართ გვესახება გამართლებულად. საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის წინასწარი კონტროლის მექანიზმი მოქმედებს ალბანეთში, ანდორაში, ბულგარეთში, გერმანიაში, ესპანეთში, ლიტვაში, მოლდოვაში, უნგრეთში, უკრაინაში, ესტონეთში, სლოვენიაში, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, არაბეთისა და აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოში (გვატემალა, კოსტა-რიკა, ჩილე, ალჟირი, გაბონი, კონგო, მადაგასკარი, მალი, სენეგალი, ტუნისი, ჩადი).

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომპეტენციის შესახებ დავების განხილვას სახელმწიფო ორგანოებს, ფედერალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის სუბიექტებს, ცენტრსა და რეგიონს შორის. ეს ინსტიტუტი ეფექტურად მოქმედებს ავსტრიაში, ბელგიაში, ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში. საკონსტიტუციო მართლმსაჯულებამ კომპეტენციის შესახებ დავები უნდა გადაწყვიტოს კონსტიტუციის შესაბამისად და არა მხარეთა პოლიტიკური თუ სხვა კერძო ინტერესის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული სადავო საკითხების საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფარგლებში გადაწყვეტა, ხელს უწყობს ფედერაციის სუბიექტების, ავტონომიების სეპარატიზმის შემცირებას და ამავდროულად იცავს მათ უფლებებს ცენტრალური ხელისუფლების არაკონსტიტუციური ქმედებებისგან. ავსტრიაში საკონსტიტუციო სასამართლო წვეტს ასევე დავებს სასამართლოებსა და ფედერაციისა თუ მინების ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. მსგავსი დავები შესაძლებელია შეიქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა პროცედურების საგანი, მაგალითად, კანონის კონსტიტუციურობის გარკვევისას საკანონმდებლო კომპეტენციის დაცვის თვალსაზრისით. მოცემულ შემთხვევაში, ნორმების კონტროლი ხორციელდება ერთ-ერთი პროცედურის ფარგლებში ან მოსარჩლეს ენიჭება თავისუფლება პროცედურის არჩევისას. ამ დროს განიხილება დავები უფლებამოსილებათა განაწილების შესახებ ცენტრსა და რეგიონს, ფედერაციასა და მის სუბიექტებს, სასამართლოებ-

სა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ უწყებებს შორის. მიზანშეწონილია არსებობდეს როგორც ცენტრის, ასევე რეგიონული ყველა ნორმატიული აქტის რეპრესიული ფორმით კონტროლის შესაძლებლობა. მაგალითად, იტალიაში ყველა ცენტრალური, რეგიონული და პროვინციის დონეზე მიღებული კანონი ან კანონის ძალის მქონე აქტი შეიძლება მოგვევლინოს მსგავსი იურისდიქციის საგნად. ანალოგიური ვითარებაა გერმანიაში, სადაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის მინების კანონების ჩვეულებრივ ფედერალურ კანონებთან შესაბამისობის დადგენაც. პორტუგალიაში, ესპანეთში, ბელგიასა და ავსტრიაში მსგავსი დავები რეგულირდება ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის ფორმით, ე.ი. არ არსებობს ცენტრსა და რეგიონს შორის კანონებისა თუ სხვა ნორმატიული აქტების თაობაზე დავების განსაკუთრებული პროცედურა.

ავსტრიაში, გერმანიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ცენტრსა და რეგიონს შორის წარმოქმნილი დავები, არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ ადმინისტრაციული კომპეტენციის სფეროშიც. იტალიაში, გერმანიაში, ავსტრია და ესპანეთში საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანოები წყვეტენ ასევე სახელმწიფოში სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულს შორის წარმოქმნილ უთანხმოებებს.

აღნიშნული პროცედურის ინიციატორად შეიძლება მოგვევლინოს ის სუბიექტი, რომელიც მიიჩნევს, რომ დარღვეულია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებანი. მოსარჩლეებად აქ, როგორც წესი, გვევლინებიან ცენტრალური ან რეგიონული ორგანოები. თუმცა, ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისებიც: მაგალითად, გერმანიაში კერძო პირს შეუძლია მოითხოვოს იმ კანონის და მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტისა თუ იურიდიული გადანყვეტილების არაკონსტიტუციურად და ბათილად გამოცხადება, რომლითაც უშუალოდ შეილახა მოსარჩლის უფლებები; ავსტრიაში უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოების გარდა, ფედერაციის სხვადასხვა დონის ორგანოებს შორის დავის სასამართლო განხილვის ინიციატორად გვევლინებიან კერძო პირები, თუ მათ ზიანი ადმინისტრაციული კონფლიქტის შედეგად მიაღდა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოების ან სასამართლოების აქტების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, იმავდროულად ხდება ამ აქტების ანუღიერება.

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება დავები არა მხოლოდ ცენტრსა და რეგიონს შორის, არამედ ინტერესთა კოლიზია თავად ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოებს შორის. მაგალ-

ითად, გერმანიაში საკონსტიტუციო კონტროლს ექვემდებარება საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც ეხება სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის დადგენას. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გამოაცხადებს კანონს არაკონსტიტუციურად, უბრალოდ, იგი დაადგენს, რომ მოცემული კანონი არღვევს მოსარჩლის კონსტიტუციურ უფლებას ან კომპეტენციას ან მოპასუხის კონსტიტუციურ ვალდებულებებს მოსარჩლის წინაშე. საფრანგეთში უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის დაცვა ხორციელდება წინასწარი კონტროლის ფორმით. ავსტრიის კონსტიტუციით, ამ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს დაევი კომპეტენციის შესახებ არა მხოლოდ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს, არამედ სპეციალურ ორგანოსა და კონსტიტუციური სტატუსის მქონე ორგანოს შორის, კერძოდ, საანგარიშო პალატასა და ფედერალურ მთავრობას, ფედერალურ მინისტრებს, მინის მთავრობებს შორის, საანგარიშო პალატის კომპეტენციის განმსაზღვრელი იურიდიული დებულებების განმარტებასთან დაკავშირებით.

კომპეტენციის შესახებ დაევიების ინიციატორთა წრე დამოკიდებულია საკონსტიტუციო კონტროლს დაქვემდებარებულ საკითხთა მოცულობაზე. ჩვეულებრივ, ეს შეიძლება იყოს მხარეთა კონსტიტუციური უფლებების, ვალდებულებების, კომპეტენციის უფლებათა განხილვა. გერმანიის ძირითადი კანონის მიხედვით, ამ პროცედურის დაწყების უფლებამოსილებით სარგებლობს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ფედერალური პარლამენტი, ფედერალური მთავრობა, ამ ორგანოების ქვედანაყოფები, კერძოდ, კანცლერი, ფინანსთა ფედერალური მინისტრი, პარლამენტის საგამოძიებო კომიტეტი, საპარლამენტო ფრაქციები, ფედერალური პარლამენტის პალატების პრეზიდენტები. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით შემოსაზღვრულია არა მხოლოდ მოსარჩლეთა წრე, არამედ ვადებიც, რომელთა ამონურვისას მათ უწყდებათ ეს უფლებამოსილება. გერმანიაში აღნიშნული ვადა შეადგენს 6 თვეს დარღვეული უფლების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან, ხოლო ავსტრიაში ეს ვადა 4 კვირას არ აღემატება. ვადების დაწესების სასარგებლოდ ორი გარემოება მეტყველებს. პირველ ყოვლისა, მოხდება დაევიების დროული განხილვა, ხოლო საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანოს მოეხსნება არააქტუალურ საქმეთა განხილვის ტვირთი. ამასთან, სხვადასხვა ორგანოთა შორის დაევიების ხანგრძლივი მიმდინარეობა, არცთუ ისე იშვიათად, კერძო პირების, რიგითი მოქალაქეების ინტერესებს ლახავს და შემჭიდროებული ვადების დაწესება მათი ინტერესების დროულ დაცვა-აღდგენასაც ემსახურება. მეორე მხრივ, ვადის ამონურვა, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართ-

ლოში მიმართვის შეუძლებლობა, მხარეებს აიძულებს დამოუკიდებლად და უმტკივნეულოდ გადაწყვიტონ დავა.

საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლებელია ახორციელებდეს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების არჩევნების გზით ფორმირებაზე კონტროლს. ამ დროს მონაწილეობა არჩევნების ორგანიზაციისა და ჩატარების პროცესში კონსტიტუციის მოთხოვნათა დაცვა. მსგავსი პროცედურები მოქმედებს, მაგალითად, იტალიაში, პორტუგალიაში, მოლდოვაში, მონღოლეთში და სხვა სახელმწიფოებში. საკონსტიტუციო სასამართლო ნყევტს პასიური საარჩევნო უფლების ან პარლამენტის წევრის მანდატის ჩამორთმევის საკითხს ავსტრიაში, მონღოლეთში, სლოვაკეთში, თურქეთში, გერმანიაში. პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნებზე კონტროლს ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო სომხეთში, ავსტრიაში, პორტუგალიაში, მოლდოვაში. რუმინეთის კონსტიტუციით, სასამართლო ამონაშენს მოქალაქეთა ჯგუფის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის პირობათა შესრულებას. გერმანიაში არჩევნების შემონაშენზე პასუხისმგებელია ფედერალური პარლამენტის ქვედა პალატა, რომლის გადაწყვეტილებებზეც საჩივრის შეტანა შესაძლებელია ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში. სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხი განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს სწორედ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე. ამ შემთხვევაში ზუსტი და ხანმოკლე ვადების დანესება თავიდან აგვაცილებს კონტროლის პროცედურის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. პარლამენტის ან არჩევნების გზით ფორმირებული სხვა ორგანოს უფლებამოსილების ამოქმედების შემდეგ, სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეეძლოს არჩევნების შედეგების გაბათილება, თუ არჩევნების პროცედურის დარღვევის ფაქტი გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე. ამ დროს, პორტუგალიასა და საფრანგეთში საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება არა მხოლოდ იურიდიული კუთხით, არამედ ადმინისტრაციულადაც.

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ითვალისწინებენ სახელმწიფოს მეთაურისა და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენების სხვადასხვა საფუძველსა და პროცედურას. ეს შეიძლება მოხდეს საპარლამენტო პროცედურის ფარგლებში, პოლიტიკური მოტივებით, რომელთა კატეგორიას განეკუთვნება პარლამენტის მიერ პრემიერ-მინისტრისთვის უნდობლობის გამოცხადება, საერთო სასამართლოების მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველზე, ამგვარი საქმეების უმაღლესი სასამართლო ინსტანციებისთვის, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოებისთვის გადაცემა, როგორც ეს გათვალისწინებულია ავსტრიაში, საბერძნეთში, რუმინეთში,

პორტუგალიაში. საფრანგეთში პრეზიდენტი სახელმწიფო ლალატისთვის იმპიჩმენტის წესით პასუხს აგებს მართლმსაჯულების უმაღლესი პალატის წინაშე. არსებობს აგრეთვე იმპიჩმენტის წესი, რომლის გამოყენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საკონსტიტუციო სასამართლოები, რა თქმა უნდა, საგანგებო საფუძვლების არსებობისას – სახელმწიფო ლალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის, ასევე კონსტიტუციის დარღვევისთვის.

თანამდებობის პირთა მიმართ კონსტიტუციური დევნის პროცედურის აღძვრის უფლებით, ჩვეულებრივ, პარლამენტი სარგებლობს. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში აფიქსირებს კონსტიტუციის დარღვევის არსებობას და მისი სიმძიმის ხარისხს. ზოგიერთ სახელმწიფოში კი საკონსტიტუციო სასამართლოები ამით არ შემოიფარგლებიან და გადაწყვეტილებას იღებენ, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. მაგალითად, გერმანიის ძირითადი კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ ფედერალური პრეზიდენტი ბრალეულია ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის განზრახ დარღვევაში, იგი შეუწყვეტს მას თანამდებობრივ უფლებამოსილებას. საქმე ის არის, რომ ბრალდების წარდგენის შემდეგ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, დროებითი ბრძანებით დაადგინოს, რომ ფედერალურ პრეზიდენტს არ შეუძლია შეასრულოს საკუთარი თანამდებობრივი ფუნქციები. სახელმწიფოს მეთაურის მიმართ ბრალდების საქმეებს განიხილავენ საკონსტიტუციო სასამართლოები ავსტრიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, იტალიაში, სლოვაკეთში, კერძოდ, ავსტრიაში – კონსტიტუციის დარღვევისთვის, ხოლო იტალიაში – სახელმწიფო ლალატის ან „კონსტიტუციის ხელყოფისთვის.“

საკონსტიტუციო სასამართლოები სომხეთში, პოლონეთში, პორტუგალიაში, თურქეთში, გერმანიაში უფლებამოსილი არიან, შეამოწმონ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ორგანიზაციისა და საქმიანობის კონსტიტუციურობა. მსგავსი პრაქტიკა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების კანონიერი საქმიანობის გარანტიაა. იგი მნიშვნელოვნად ზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობას, რადგან პარტიებისა და გაერთიანებების რეგისტრაცია, ძირითადად, სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლების, კერძოდ, კი, იუსტიციის სამინისტროს ფუნქციებში შედის. გერმანიაში მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოა უფლებამოსილი, გამოაცხადოს პოლიტიკური პარტია არაკონსტიტუციურად, თუ მან მიზნად დაისახა ან ისწრაფვის ზიანი მიაყენოს ან საფრთხე შეუქმნას მთლიანად გერმანიის

არსებობას. სასამართლოს ასევე შეუძლია დაშლოს პარტია და აკრძალოს სხვადასხვა სახის პოლიტიკური მოძრაობები და ფრონტები, დააყადლოს პარტიის საკუთრება ან მიიღოს გადანყვეტილება მისი კონფისკაციის შესახებ. ამ შემთხვევაში განხილვა იწყება ფედერალური პარლამენტის ერთ-ერთი პალატის ან ფედერალური მთავრობის ინიციატივით, ხოლო თუ პარტია მოქმედებს რომელიმე მინის ფარგლებში, ამ მინის მთავრობის ინიციატივით. თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობა, გადანყვიტოს მათი გაუქმების საკითხი.

თუ კონსტიტუცია მუნიციპალიტეტებს, რაიონებს ან მათ ასოციაციებს ანიჭებს თვითმმართველობას, სავესებით ლოგიკურად გვეჩვენება, რომ მათ მიეცეთ საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება მათი კომპეტენციის დარღვევის შემთხვევაში. ეს შექანიზმი კიდევ ერთ დამატებით გარანტიად გვევლინება დემოკრატიის განმტკიცების პროცესში და ნარმოადგენს ცენტრალიზმისა და დეცენტრალიზმის პრინციპების რაციონალური თანაარსებობის ერთ-ერთ გამოხატულებას. მაგალითად, შვეიცარიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ, მიუხედავად საკანონმდებლო გარანტიების არარსებობისა, საერთო საკონსტიტუციო საჩივრის პროცედურის გამოყენებით, ცნო ადგილობრივი თემის უფლება, სადავო გაეხადა აქტი. გერმანიაში კი ძირითადი კანონი, ასევე კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ თემებს და მათ გაერთიანებებს აღჭურავს საკონსტიტუციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილებით, იმ მოტივაციით, რომ დაირღვა ძირითადი კანონის 28-ე მუხლით მათთვის მინიჭებული თვითმმართველობის უფლება. გამოდის, რომ მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ, აღძრან საკანონმდებლო აქტების სპეციალური ინდივიდუალური კონტროლის პროცედურა, ამიტომ ისინი ვერ შეიტანენ საკონსტიტუციო საჩივარს ინდივიდუალური უფლებების დარღვევის საფუძველზე. ეს კი გამორიცხავს კონსტიტუციური დაცვის იმ ხარისხს, რომლითაც სარგებლობენ კერძო პირები.

სახელმწიფოში არსებული დემოკრატიის ხარისხიდან გამომდინარე, რელიგიური თემებისა თუ კონფესიური საზოგადოებებისთვის რელიგიური თვითგამორკვევის, გარკვეული ავტონომიის მინიჭების შემთხვევაში მათ შეიძლება მიეცეთ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის უფლება სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი შტოს მიერ მათი კონსტიტუციური უფლებების დარღვევის შემთხვევაში. მაგალითად, გერმანიაში რელიგიური გაერთიანებები უფლებამოსილი არიან, შეიტანონ საკონსტიტუციო სარჩელი, თუ შეილახა ძირითადი კანონის 140-ე მუხლით მათთვის გარანტირებული ავტონომიის სფერო. აღნიშნული მუხლი მი-

თითებით ნორმას წარმოადგენს და ძირითადი კანონის ნაწილად აქცევს ვაიმარის 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუციის ხუთ მუხლს, რომლებიც რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების პრინციპს და შესაბამის გარანტიებს განამტკიცებს.

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით, რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები კონსტიტუციაშია მოცემული, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანო კი მათ დასაცავად არის მონოდებული. ამ პროცესის ეფექტურობა საგრძნობლად მაღლდება, თუ საერთო სასამართლოების გვერდით უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფას სპეციალიზებული საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს მოქალაქეთა ინდივიდუალური საჩივრების განხილვა-გადანყვეტის გზით. ამ მექანიზმის ეფექტური მოქმედებისთვის ინდივიდუალური საჩივრების მიღებისა და გადანყვეტის რაციონალური საპროცესო ფორმების დამკვიდრებაა აუცილებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტიქიურ ხასიათს მიიღებს საკუთარი უფლებების დაცვის მსურველ პირთა მოქმედება და საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანოს მუშაობა, პრაქტიკულად, შეუძლებელი შეიქნება. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ კატეგორიის საქმეთა გადანყვეტის თავისებურებებს. ინდივიდუალური საჩივრისა თუ სარჩელის შეტანის უფლებამოსილებით შეიძლება სარგებლობდნენ კერძო პირები, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში სხვა ფაქტორს ენიჭება: სადავო აქტით პირადად მოსარჩლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უნდა იყოს შელახული. არაერთგვაროვანი მიდგომაა იმ აქტების რაოდენობასა და გვარეობასთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება სადავო გახადოს ფიზიკურმა პირმა. მაგალითად, შვეიცარიაში ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი დასაშვებია მხოლოდ კანტონების ადმინისტრაციულ, სასამართლო ან საკანონმდებლო აქტებზე. ავსტრიაში კი სარჩელი მიიღება ისეთ კანონებზე, რომლებმაც პირდაპირ, სასამართლო თუ ადმინისტრაციული გადანყვეტილების გარეშე, დაარღვია ადამიანის უფლებები. ესპანეთში საკონსტიტუციო სარჩელის შეტანა შესაძლებელია ხელისუფლების ნებისმიერ აქტზე. ამ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 44-ე მუხლის თანახმად კი, საკონსტიტუციო სარჩელი შეიძლება შეიტანონ სასამართლო აქტზეც.

ჩვენი აზრით, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ნიშნებით ხასიათდება ე.წ. „სახალხო სარჩელი.“ მისი მოქმედება გადატვირთავს საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობას, ამიტომაც საზღვარგარეთის ქვეყ-

ნების უმრავლესობაში საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის უფლებით მხოლოდ ის მოქალაქეა აღჭურვილი, რომლის უშუალო უფლება-თავისუფლება შეილახა სადავო აქტით. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვა დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა საერთო სასამართლოების სისტემაში. მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სარჩელის ან მისი ნაირსახეობის არსებობა კიდევ ერთ დამატებით გარანტიას წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცების პროცესში.

არაერთგვაროვანია ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის ხანდაზმულობის ვადებიც. მაგალითად, გერმანიაში ეს ვადა შეადგენს ერთ თვეს, ესპანეთში – 20 დღეს, სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევაში, ხოლო სამ თვეს, ნორმატიული აქტების გასაჩივრების დროს.

საკონსტიტუციო სასამართლო ინდივიდუალურ სარჩელს დააკმაყოფილებს იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს მოსარჩლის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტს. სასამართლო, ძირითადად, კონცენტრირებული უნდა იყოს სწორედ აღნიშნული გარემოების გარკვევაზე. საქმის ამ ჩარჩოში განხილვა საგრძნობლად ამცირებს საკონსტიტუციო იუსტიციის საქმიანობაში შეცდომების არსებობას. მეორე მხრივ, კონსტიტუციური უფლებების დაცვის ეფექტურობა და ქმედითი ხასიათი ამაღლდება, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში მიიღებს განსახილველი აქტის ყოველ ასპექტს და მას განიხილავს მთლიანად საკონსტიტუციო სამართალთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის საფუძვლიანად ცნობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მოახდენს სადავო აქტის ანუ უღირებას, ეს გადაწყვეტილება კი ყველასთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს. სწორედ ამგვარად წყდება საკითხი გერმანიასა და ესპანეთში.

თუ საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება ადამიანის კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტად, სასურველია, რომ, გარკვეული პირობების არსებობისას, მასვე ჰქონდეს ამ უფლება-თავისუფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილება. არცთუ იშვიათად, ადგილი აქვს ცალკეული პირების მიერ კონსტიტუციური გარანტიების ბოროტად გამოყენების ფაქტებს, ამ შემთხვევაში გარემოებათა არასასურველი კუთხით განვითარების თავიდან აცილების მიზნით, ორიგინალურად გვეჩვენება გერმანიის ძირითადი კანონის მე-18 მუხლში ფორმულირებული ნორმა, რომლის თანახმად, პირს, თუ იგი სიტყვის, ბეჭდვის, სწავლების, შეკრებების, გაერთიანებების, მიმონერისა და ელექტრონული კავშირის, საკუთრების

თავისუფლებების ან თავმესაფრის უფლებას გამოიყენებს თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების წინააღმდეგ, ჩამოერთმევა აღნიშნული უფლებები. საკითხის გადანყევტა კი მხოლოდ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმა, პრაქტიკულად, დღემდე არ ამოქმედებულა, იგი გერმანიაში დემოკრატიული რეჟიმის დაცვის ერთ-ერთ გამორჩეულ ფორმას განეკუთვნება.

როგორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს არა მხოლოდ კონსტიტუციის დაცვის უმაღლეს ინსტანციას, არამედ იმ ორგანოს, რომელიც განმარტავს ქვეყნის ძირითად კანონს. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში განსაზღვრულია, რომ ეს არის კონსტიტუციის განმარტების უფლებამოსილებით აღჭურვილი უზენაესი ორგანო. იგივე შეიძლება ითქვას საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანოებზე ალბანეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიაში, მოლდოვაში, სლოვაკეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთში, ტაივანზე, მადაგასკარზე, ეთიოპიაში, სუდანში და ა.შ.

სასურველია, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაქვეყნოს ყოველწლიური მოხსენება კონსტიტუციური იურისდიქციის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ. ეს გარემოება განამტკიცებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრესტიჟსა და ავტორიტეტს მოქალაქეებში, რომელთა ფუძემდებლური უფლებების დასაცავადც არის, უპირველესად, შექმნილი საკონსტიტუციო იუსტიციის ინსტიტუტი.

5-7. საპროცესო თავისებურებები

საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის ინსტიტუტზე მსჯელობისას, საჭიროდ მიგვაჩნია ცალკე შევხებით ზოგიერთ იმ საკითხს, რომელიც გარკვეულ საპროცესო თავისებურებებს განაპირობებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ორგანო ახორციელებს აღნიშნულ ფუნქციას – საკონსტიტუციო თუ საერთო სასამართლოები.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმ თავისებურებების გარკვევა, რომლებიც უკავშირდება საკონსტიტუციო იუსტიციის როლს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პროცესში. საზღვარგარეთის ქვეყნებში ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დაცვის განსხვავებული პროცედურები არსებობს. მაგალითად, აშშ-სა და კანადაში მოქმედებს Habeas corpus. ხოლო ესპანურენოვან ქვეყნებში პროცედურა Amparo. ძირითადი უფლებების დასაცავად ავსტრიაში, ალბანეთში, ანდორა-

მი, უნგრეთში, გერმანიაში, ჩეხეთში, ხორვატიაში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში გავრცელებულია ინდივიდის საკონსტიტუციო სარჩელის უფლება. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ფართო უფლებამოსილება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხში განპირობებულია მთელი რიგი პრინციპებით, რომლებიც უკანასკნელ ათწლეულებში ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო სამართლის აქტებში დამკვიდრდა. მათ რიცხვს განეკუთვნება: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განუყოფელი, ბუნებითი ხასიათის, მათი უშუალო მოქმედების, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ინდივიდის აღიარება. აქტების კონსტიტუციურობის საკითხი წყდება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით. ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის ინსტიტუტი ადამიანს შესაძლებლობას აძლევს უშუალოდ მიმართოს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს. საჩივრის ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი შტოს მიერ გამოცემული აქტი, კერძოდ, კანონი ან მისი ცალკეული დებულება, სხვა ნორმატიული აქტები, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები, თუ, რა თქმა უნდა, ისინი, ინდივიდის აზრით, არღვევენ კონსტიტუციით მისთვის გარანტირებულ უფლებას.

ევროპელ იურისტთა ნაწილის აზრით, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა წარმოადგენს ყველა სასამართლოს ვალდებულებას და არ არსებობს ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის შემოღების საჭიროება, რადგან ამ უფლების აღიარებამ შეიძლება მეტისმეტად გადატვირთოს და გაართულოს საკონსტიტუციო სასამართლოების საქმიანობა.¹

სავარაუდოდ, სწორედ ამ არგუმენტმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ინდივიდუალური სარჩელის უფლება ბევრ ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნისა და ფუნქციონირების დანყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ შემოიღეს. მაშინ, როცა საკონსტიტუციო სასამართლო ავსტრიაში 1920 წლის კონსტიტუციით შეიქმნა, კანონი ამ სასამართლოს შესახებ 1925 წელს მიიღეს. ჰანს კელზენი და ავსტრიული საკონსტიტუციო იუსტიციის სხვა თანაავტორები მიიჩნევდნენ, რომ ერთი მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება უნდა ჰქონოდა საკუთარი ინიციატივით განეხილა კანონის კონსტიტუციურობის საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ, თითოეულ ინდივიდს უნდა ჰქონოდა უფლება, ასეთი ინიციატივით მი-

¹ *Общая теория прав человека, Ответ ред. Лукашова, Москва, 1996, «Норма», 3. А., стр. 336.*

ემართა სასამართლოსთვის. აღნიშნული კი ითვლებოდა სამართლებრივ სახელმწიფოს ერთ-ერთ აუცილებელ ნიშნად, მაგრამ პიროვნების მიერ კანონის გასაჩივრების უფლება დანესდა მხოლოდ 1975 წელს. თითქმის ანალოგიურად განვითარდა მოვლენები გერმანიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, თურქეთში.

დღეს ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის უფლება არა მხოლოდ იცავს პიროვნებას და მის ინდივიდუალურ უფლებებს, არამედ ხელს უწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციას, რომლის თანახმად, ხელისუფლების ყოველი შტო შებოჭილია კონსტიტუციით, ხოლო კანონით გარანტირებულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ამ თვალსაზრისით, ინდივიდუალური სარჩელი კონსტიტუციური უფლებების სპეციფიკურ გარანტიად გვევლინება. ეს ნათლად ჩანს გერმანიის მაგალითზე, სადაც სარჩელის უფლება ვრცელდება ხელისუფლების სამივე შტოს საქმიანობაზე. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლის ქვეშ იმყოფება აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის ისეთი, რომელიც შეეხება ფედერალური კანცლერის კომპეტენციას და მის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ამასთან, მოქალაქეს უფლება აქვს შეიტანოს საკონსტიტუციო სარჩელი კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, მაგრამ ამგვარი სარჩელის მიღების აუცილებელი პირობაა, სუბიექტის მიერ დასაბუთება იმისა, რომ აღნიშნული კანონით მას პირდაპირი და აშკარა ზიანი მიადგა.

ავსტრიაში ინდივიდს უფლება აქვს, დასვას კონსტიტუციურობის საკითხი იმ ადმინისტრაციული აქტისა, რომელიც არღვევს მისთვის ძირითადი კანონით გარანტირებულ უფლებებს. მაგრამ მანამდე აქტი უნდა გასაჩივრდეს ინსტანციური, ანუ ადმინისტრაციული წესით, ხოლო საკონსტიტუციო სარჩელი შეიტანება უმაღლესი ადმინისტრაციული ინსტანციის გადანყვეტილებაზე. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება ერთგვარ საკასაციო ინსტანციად, რომელიც უფლებამოსილია გააუქმოს იგი, თუ დაადგენს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილება არღვევს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას. ამგვარად, ავსტრიული სისტემა ინდივიდს უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ძალადობისგან ორმაგი სამართლებრივი დაცვით. ამავდროულად, ინდივიდს უფლება აქვს სარჩელში გააკეთოს განცხადება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული გადანყვეტილება მიღებულია არაკონსტიტუციური კანონის საფუძველზე, რომელიც არღვევს მის უფლებებს. სასამართლომ შეიძლება შეაჩეროს საჩივრის განხილვა და შეამონმოს იმ კანონის კონსტიტუციურობა, რომელიც საფუძვე-

ლად დაედო ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას. ამგვარ პროცედურას ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება საკუთარი ინიციატივითაც მიმართოს.

ინდივიდუალური საკონსტიტუციო საჩივრის მნიშვნელობის შესაფასებლად უნდა განვსაზღვროთ იმ სუბიექტთა წრე, რომელსაც კანონი ამ უფლებას ანიჭებს. მაგალითად, გერმანიაში ინდივიდუალური სარჩელი შეაქვს ნებისმიერ სუბიექტს, რომლის უფლებაც დაირღვა. სარჩელის შეტანის უფლება აქვთ ასევე, მოქალაქეთა იმ გაერთიანებებს, რომელთა მიზანია ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დაცვა. ეს წესი მოქმედებს ავსტრიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში, იუგოსლავიაში. საკონსტიტუციო სარჩელი ადამიანის უფლებების დასაცავად სლოვენიაში და იუგოსლავიაში შეაქვს ომბუდსმენს, პორტუგალიაში – პროკურორებს, ხოლო ესპანეთში – ერთსაც და მეორესაც. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „პროკურორი მონაწილეობას იღებს კონსტიტუციური უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში კანონმდებლობის, მოქალაქის უფლებებისა და კანონით დაცული საჯარო ინტერესების უზრუნველსაყოფად.“ საკონსტიტუციო კონტროლის პროცედურაში მონაწილეთა წრის გაფართოება დამახასიათებელია იტალიისთვისაც. აქ საერთო სახელმწიფოებრივი კანონის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტისას, ამ პროცესში ერთვება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო თუ საქმე ეხება ოლქის ნორმატიულ აქტს, ასევე – ოლქის ჯუნტის თავმჯდომარე.

როგორც აღვნიშნეთ, გავრცელებულია, ე.წ. სახალხო სარჩელის ინსტიტუტი. ამ დროს ინდივიდს ან პირთა ჯგუფს საჩივარი შეაქვს არა კონკრეტული პირის, არამედ მთლიანად საზოგადოების ინტერესების დასაცავად. ეს პროცედურა მოქმედებს ევროპაში: უნგრეთი, მაკედონია, სლოვენია, ხორვატია, იუგოსლავია; აზიაში: ისრაელი, ირანი, იაპონია; აფრიკაში: ბენინი, ბურკინა-ფასო, გაბონი, განა, კონგო, სიერა-ლეონე; ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში: ბრაზილია, ვენესუელა, კოლუმბია, კოსტა-რიკა, პანამა, პერუ, პარაგვაი, სალვადორი.

ინდივიდუალური სარჩელის უფლებას თან ახლავს მთელი რიგი შემზღუდავი მოთხოვნები და პირობები. პირველ ყოვლისა, ინდივიდმა უნდა ამონიშროს სამართლებრივი დაცვის ყველა ხელმისაწვდომი საშუალება, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს არ განიხილავს, თუ წინააღმდეგობის აღმოფხვრა შეიძლება სხვა სახის სამართალწარმოების ფარგლებში. მეორე პირობის თანახმად, სარჩელის საფუძველს უნდა ჰქონდეს პრინციპული საკონსტიტუციო-სამართლებრივი მნიშვნელობა. მაგალითად, ავსტრიის კონსტიტუციის მიხედვით, სარჩელი არ მიიღება

განსახილველად, თუ მას არ ახლავს არსებითი კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხის სათანადო განმარტება. მესამე მოთხოვნა მდგომარეობს სარჩელის დასაბუთებულ ხასიათში, კერძოდ, იგი დამაჯერებლად უნდა იყოს ფორმულირებული. ამასთან, აუცილებელია, რომ სარჩელი არ იყოს თავიდანვე უპერსპექტივო, ე.ი. განხილვის შედეგად უნდა არსებობდეს მისი დაკმაყოფილების გარკვეული შანსი.

საერთოდ, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადასანყვეტად, მიმართვის უფლება აქვთ სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, ფედერაციის სუბიექტებს, ავტონომიურ ერთეულებს, დეპუტატთა და სენატორთა ჯგუფებს, სასამართლოებს, ომბუდსმენებს, მოქალაქეებს. თუ ამონურულია საკუთარ ქვეყანაში კონსტიტუციური უფლებების დაცვის ყველა საშუალება, მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ საერთაშორისო ორგანოებსა და საერთაშორისო სასამართლოებს. იქ, სადაც საკონსტიტუციო კონტროლს საერთო სასამართლოები ახორციელებენ, სამართლებრივი აქტების არაკონსტიტუციურობის საკითხის აღძვრა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, სასამართლოში კონკრეტული სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საქმის განხილვასთან დაკავშირებით, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია გათვალისწინებული. ამისგან განსხვავებით, იაპონიაში მოქალაქეს შეუძლია საკონსტიტუციო სარჩელი შეიტანოს პირველ ინსტანციაში, რის შემდეგაც საქმე ინსტანციების იერარქიის გავლით ბოლოს მივა უზენაეს სასამართლომდე. საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოების პირობებში, საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის უფლება აქვთ კანონით განსაზღვრულ პირებსა და სახელმწიფო ორგანოებს.

იმის მიხედვით, თუ ვინ ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს, სასამართლო თუ არასასამართლო ორგანო, განსხვავებულია საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის წესი. საერთო სასამართლოებში საკითხს იხილავს და წყვეტს მოსამართლე. აშშ-ის უმაღლეს სასამართლოში მომხსენებელად ინიშნება სასამართლოს ერთ-ერთი წევრი, საქმეს კი განიხილავს სასამართლოს სრული შემადგენლობა. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, კოლუმბიაში, იაპონიასა და პერუში გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს შემადგენლობის ნაწილი, მისი საკონსტიტუციო პალატა ან კოლეგია.

საკონსტიტუციო სასამართლოებში საკითხის განხილვა ხდება, როგორც წესი, სამოქალაქო პროცესის მსგავსად, თუმცა საუბრობენ საკონსტიტუციო პროცესის განსაკუთრებულ ხასიათზე. მათი წარმომადგენლები გამოიძახებენ მონაშენებს, გამოიყენებენ ექსპერტთა დასკვნებს და

სხვ. საკონსტიტუციო კონტროლის კვაზისასამართლო ორგანოებში, თუნდაც საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოში, პროცესი მხარეთა მონაწილეობის გარეშე, წერილობითი მასალების გამოკვლევით, ე.წ. დოსიეს სისტემით მიმდინარეობს. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმის მომხსენებელი – საბჭოს წევრი, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე ავალებს გადანყვეტილებისა თუ დასკვნის პროექტების მომზადებას. იშვიათი გამონაკლისის გარდა, საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო საკითხის განხილვისას არ იყენებს მონმეებსა თუ ექსპერტებს.

თუ საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს კოლეგიური ორგანო, გადანყვეტილება გამოიტანება ხმათა უმრავლესობით, მისი სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება მიღებისთანავე, ხოლო სამოტივაციო ნაწილი შეიძლება გამოქვეყნდეს განსაზღვრული ვადის შემდეგ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება ფორმდება დასკვნის, დადგენილების ან განჩინების სახით. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, კერძოდ, 71-ე მუხლში, საუბარია სწორედ ამ სასამართლო ორგანოს გადანყვეტილებების ფორმებზე. კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის პირველი ოთხი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე სასამართლოს აქვს დადგენილების მიღების უფლება. პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო ლაღატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების ჩადენის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასკვნა, ხოლო ყველა სხვა გადანყვეტილებას, რომელსაც სასამართლო გამოიტანს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შედეგად, მიეცემა განჩინების ფორმა.

განსხვავებით სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი სხვა ორგანოსგან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, როგორც წესი, საბოლოოა და გასაჩივრებას ან გაპროტესტებას არ ექვემდებარება. არსებობს გამონაკლისიც, მაგალითად, პოლონეთში, რუმინეთში, ეკვადორში, ნამიბიაში, ეთიოპიაში აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ, სასამართლოს გადანყვეტილება უნდა დაამტკიცოს უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ. და ისევე ყაზახეთის განსაკუთრებული გამოგონებაა ის მექანიზმი, რომ საკონსტიტუციო საბჭოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებას განსახილველი აქტის თუ მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ შეიძლება წინ აღუდგეს პრეზიდენტი, რაც გამოიწვევს საქმის ხელახლა განხილვას.

საკონსტიტუციო კონტროლის პროცესის დამაგვირგვინებელი და, მაშასადამე, უმთავრესი ეტაპი მიღებული გადანყვეტილების აღსრულების მექანიზმია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისი იურიდიული შედეგები. საკონსტიტუციო კონტროლის სხვადასხვა მოდელის პირობებში,

გადანყვეტილების აღსრულების განსხვავებული პრინციპები და მექანიზმები გამოიყენება. მაგალითად, იტალიაში ადგილი აქვს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტების ანულირებას და ამ მომენტიდან ისინი აღარ გამოიყენება. ამის შედეგად, პრაქტიკულად, ბათილდება გაუქმებული ნორმის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობები, ე.ი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას ენიჭება უკუქცევითი ძალა. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტით, კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ, სასამართლოს გადანყვეტილება არ ექვემდებარება გადასინჯვას, სავალდებულოა საჯარო ხელისუფლებისთვის და წარმოშობს საერთო-სამართლებრივ შედეგებს.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 31-ე პარაგრაფის პირველი პუნქტის თანახმად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება სავალდებულოა ფედერაციისა და მიწების ყველა კონსტიტუციური ორგანოსთვის, ყველა სასამართლოსა და უწყებისათვის. ამავე პარაგრაფის მეორე პუნქტის თანახმად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ასეთმა გადანყვეტილებამ შეიძლება შეიძინოს კანონის ძალა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას უკუქცევითი ძალა არა აქვს და არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონის საფუძველზე წარსულში სასამართლოებსა და სხვა დაწესებულებების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება აგრძელებს მოქმედებას. აღნიშნულიდან გარკვეული გამოჩენისა სისხლის სამართლის კანონი, რომლის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, მის საფუძველზე მსჯავრდადებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს მისი საქმის ხელახლა განხილვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

განსხვავებით კონტინენტური სისტემისგან, აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს, უფლება აქვს არ დაუშვას მოცემული კანონის გამოყენება მისი ქვემდებარე საქმის გადანყვეტისას, მაგრამ იგი ვერ გამოაცხადებს კანონს ძალადაკარგულად. ამის შემდეგ, ჩვეულებრივ, ამოქმედდება ამერიკის სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელი პრეცედენტის წესი. კონგრესს უფლება აქვს შეცვალოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება, თუ შესწორებას შეიტანს კონსტიტუციაში, რაც ამ პროცედურით აშშ-ის ისტორიაში სამჯერ მოხდა, ან თუ შეიტანს შესწორებას თავად კანონში და მოიყვანს მას კონსტიტუციასთან შესაბამისობაში.

საკონსტიტუციო იუსტიციის გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ სხვადასხვა

ქვეყნის კანონით, როგორც წესი, დადგენილია სანქციები იმ ორგანოებისა და პირების მიმართ, რომლებიც არ შეასრულებენ ამ სასამართლოთა გადაწყვეტილებას. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ესპანეთის კანონის 95-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ნებისმიერ პირს, რომელიც არ შეასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებას დადგენილ ვადაში, დაეკისრება ჯარიმა ან პასუხისმგებლობის სხვა ფორმა, რომლის გამოყენებასაც საჭიროდ მიიჩნევს სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 35-ე პარაგრაფი სასამართლოს აძლევს უფრო ფართო უფლებამოსილებას, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს, თუ ვინ და რა ფორმით უნდა შეასრულოს მისი გადაწყვეტილება. კანონით დადგენილია პირზე პასუხისმგებლობის დაკისრება ჯარიმის სახით, თუ იგი ბოროტად გამოიყენებს საჩივრის უფლებას ან უარს იტყვის გადაწყვეტილების შესრულებაზე. ჯარიმის დაკისრებისას ან მისი ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ყველა გარემოება, მათ შორის, მოსარჩლის ქონებრივი მდგომარეობა.

დასასრულ, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი ცივილიზებული საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის ერთ-ერთ პირველხარისხოვან მნიშვნელობას. სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას და ამისთვის აუცილებელ მთელი რიგი გარანტიების არსებობას პრიორიტეტული როლი განეკუთვნება. კანონის უზენაესობისა და ხელისუფლებათა განაწილების პრინციპებთან ერთად, ფუძემდებლურია საკონსტიტუციო იუსტიციის არსებობა. ხელისუფლების სხვადასხვა შტომ, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას, შესაძლოა ხელყოს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ამ გარემოების თავიდან აცილებისა თუ მომხდარი დარღვევის აღკვეთასა და შელახული უფლების აღდგენაში, საკონსტიტუციო იუსტიცია უცილობლად მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს საზოგადოების სამსახურში. ამ ინსტიტუტის არსებობა იძლევა იმის გარანტიას, რომ ნიველირებული იქნება ყველა უარყოფითი მხარეები, ხელისუფლებათა განაწილების პრინციპს რომ ახლავს თან.

თავი მეექვსე

ნაციონალური და საერთაშორისო სასამართლოები - ურთიერთმიმართების საკითხები

XX საუკუნე ათელის ახალი ნერტილია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. მრავალ სახელმწიფოში დაფუძნდა დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმა და პოლიტიკური რეჟიმი, მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოების ფორმირების პროცესი, მკვიდრდება სამოქალაქო საზოგადოებები. მაგრამ ყოველივე ეს ორი ფონის თანხლებით ვითარდება. ერთი მხრივ, მისასალმებელია ეკონომიკური ინტეგრაცია, რასაც თან ახლავს მოსახლეობის მნიშვნელოვანი მიგრაცია, არნახული ტექნიკური პროგრესი. მეორე მხრივ, სხვა მიზეზთა შორის, საგანგაშოა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის არასწორი ინტერპრეტაციით პროვოცირებული ეთნოკონფლიქტების სიმრავლე და მათ საფუძველზე გლობალური პრობლემების წარმოქმნა, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელი პლანეტის არსებობას. თავისთავად ცხადია, ამ პროცესს მოჰყვა მშვიდობისმოყვარე ძალთა ინტერესების თანხედრა, რამაც თავისთავად გამოიწვია სახელმწიფოების დაახლოება, რეგიონული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის საერთაშორისო სასამართლო ორგანოების ჩამოყალიბება.

წინამდებარე თავში განვიხილავთ, ერთი მხრივ, ნაციონალური მართლმსაჯულების სისტემების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო სამართლით დადგენილ პრინციპებს, მეორე მხრივ, სხვადასხვა სახისა და დანიშნულების საერთაშორისო სასამართლოებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს და მათი ურთიერთმიმართების საკითხებს ნაციონალურ სასამართლოებთან.

6-1. ნაციონალური სასამართლოების საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები

1948 წლის 10 დეკემბერს უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ, სხვა პრინციპებს შორის, განამტკიცა ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე (მე-7 მუხლი), უდანაშაულობის პრეზუმფცია (მე-11 მუხლი), ყოველი ადამიანის უფლება საკუთარი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის და მისთვის ნაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების

საფუძვლიანობის დასადგენად, მისი საქმე სრული თანასწორობის საფუძველზე, საჯაროდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით, გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ (მე-10 მუხლი). ეს უფლებები გარანტირებულ იქნა 1966 წლის დეკემბერში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ორი კონვენციით: „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“; „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.“ კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ კონვენციაში საუბარია ასევე ბრალდებულის უფლებაზე, იყოს გასამართლებული დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე. აღნიშნული საერთაშორისო აქტებით ადამიანის უფლებების დაცვის უპირველეს გარანტიად სასამართლო ორგანოები და მოსამართლეები წარმოგვიდგებიან. მაგრამ სხვადასხვა სახელმწიფოს ნაციონალური კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ისეთი ფორმების დასამკვიდრებლად, რომელიც სამართლებრივი, სახელმწიფოს შესახებ მოთხოვნებს შეესაბამება, ნაციონალური სასამართლოების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების, მათი ფორმირებისა და დაკომპლექტების განმსაზღვრელი პრინციპებისა და დებულებების დასამკვიდრებლად საჭირო შეიქნა სპეციალური სახელმძღვანელო საერთაშორისო აქტის შემუშავება.

სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით, 1985 წლის 26 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე მილანში გაიმართა გაეროს მეშვიდე კონგრესი, დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ზომების თაობაზე. კონგრესმა მიიღო „სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“¹; რომელიც გენერალურმა ასამბლეამ 1985 წლის 29 ნოემბრის N 40-32 და 1985 წლის 13 დეკემბრის N 40-146 რეზოლუციებით მოინონა. აღნიშნული პრინციპების თანახმად, სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობა გარანტირებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციითა და კანონებით, ყველა პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს მას; სასამართლო ორგანოები მათ ქვემდებარე საკითხებს უნდა წყვეტდნენ მიუკერძოებლად, ფაქტების საფუძველზე და კანონის შესაბამისად; უნდა გამოირიცხოს მათი საქმიანობის ყოველგვარი შეზღუდვა, მათზე არამართლზომიერი ზეგავლენა, ზენოლა და მუქარა, სასამართლოს საქმიანობაში პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევა; სასა-

1. იხ. Седьмой конгресс ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями, Милан, 26 августа-6 сентября 1985 года, Доклад подготовленный секретариатом, / Издание ООН N 86, 11 глава, 17 раздел 102./

მართლოს გადანყვეტილებები არ ექვემდებარება გადასინჯვას არასასამართლო ორგანოების მიერ; ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მისი საქმე განიხილოს ჩვეულებრივმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა, ანუ ორგანოებმა, რომლებიც საქმის განხილვისას და გადანყვეტისას გამოიყენებენ კანონით გათვალისწინებულ იურიდიულ პროცედურებს; დამოუკიდებლობის პრინციპი სასამართლოებს ავალდებულებს, აწარმოონ საქმეების სასამართლიანი განხილვა და არ დაარღვიონ მხარეთა უფლებები; გაეროს ყოველმა წევრმა სახელმწიფომ მატერიალურად იმდენად უნდა უზრუნველყოს სასამართლო ორგანოები, რამდენადაც ეს აუცილებელია მათი ფუნქციონირების სათანადოდ განსახორციელებლად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ყველა ადამიანს, მათ შორის მოსამართლეებს, ანიჭებს სიტყვის, აღმსარებლობის, ასოციაციებისა და გაერთიანებების შექმნის თავისუფლებას. ასეთი უფლებებით სარგებლობისას მოსამართლემ არ უნდა დაივიწყოს მისი თანამდებობისთვის ნაყენებული მაღალი მოთხოვნები, შეინარჩუნოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა. მოსამართლეებს უფლება აქვთ, შექმნან საკუთარი ასოციაციები ან სხვა გაერთიანებები, განეწინაურდნენ მათში საკუთარი ინტერესების დასაცავად, პროფესიული მომზადების სრულყოფისთვის და დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის.

მოსამართლის თანამდებობაზე შერჩეული პირი უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მორალური თვისებებით, ჰქონდეს შესაბამისი მომზადება და კვალიფიკაცია სამართლის დარგში. მოსამართლეთა შერჩევის სხვადასხვა მეთოდის მიუხედავად, გამორიცხული უნდა იყოს დანიშვნა არამართლზომიერი მოტივებით, შერჩევისას არ უნდა მოხდეს დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა ფაქტორების გამო. ამასთან, მოთხოვნა იმის შესახებ, რომ იურიდიულ თანამდებობაზე კანდიდატი უნდა იყოს მოცემული სახელმწიფოს მოქალაქე, არ უნდა განიხილებოდეს როგორც დისკრიმინაცია.

მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა, მათი დამოუკიდებლობა, უსაფრთხოება, სათანადო ანაზღაურება, სამსახურებრივი პირობები, პენსიის ოდენობა და პენსიაზე გასვლის ასაკი გარანტირებული უნდა იყოს კანონით. მოსამართლეთა დანიშნაობა უნდა მოხდეს ობიექტური ფაქტორების საფუძველზე, როდესაც პრიორიტეტულად იქნება მიჩნეული კონკრეტული მოსამართლის შესაძლებლობები, მორალური თვისებები და გამოცდილება.

სასამართლოებში საქმეთა განაწილება მოსამართლეებს შორის წარმოადგენს სასამართლოს ადმინისტრაციის საშინაო საქმეს. მოსამართლეები მოვალენი არიან, არ გაახმაურონ მათ სამუშაოსთან დაკავ-

შირებული პროფესიული საიდუმლოება და კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი შეიქნა უფლებამოსილების განხორციელებისას, დაუშვებელია მათი იძულება ჩვენების მიცემაზე ამ საკითხთან დაკავშირებით.

მოსამართლეები უნდა სარგებლობდნენ პირადი იმუნიტეტით სასამართლო დევნიდან, თუ მათ არასწორ მოქმედებას ან დაუდევრობას მოჰყვება ფინანსური ზიანი. მაგრამ ეს იმუნიტეტი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ხელყოფილი არ არის კანონით დადგენილი დისციპლინური დევნის პროცედურა, ნებისმიერი სახის აპელაციის უფლება ან სახელმწიფოს უფლება კომპენსაციაზე.

მოსამართლის მიერ მოვალეობის შესრულებისას განხორციელებულ მოქმედებაზე საჩივარი ან ბრალდება დაუყოვნებლივ და მიუკერძოებლად უნდა განიხილებოდეს შესაბამისი პროცედურის მიხედვით. მოსამართლეს უფლება აქვს, თავი დაიცვას ასეთი ბრალდებისგან. საწყის ეტაპზე საჩივარი კონფიდენციალურად უნდა განიხილებოდეს, თუ მოსამართლე საქმის განხილვის სხვა ფორმაზე არ გამოთქვამს სურვილს.

მოსამართლეები შეიძლება დროებით გადააყენონ თანამდებობიდან ან დაითხოვონ, თუ მათ არ შეუძლიათ განახორციელონ დაკისრებული მოვალეობანი ან ჩაიდინეს ისეთი მოქმედება, რომელიც შეუფერებელია მათი თანამდებობისთვის.

სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებასთან ერთად, გაეროს კონგრესმა 1986 წლის 21 მაისს 1986-10 რეზოლუციის მე-5 ნაწილით ნევრ-სახელმწიფოებს შესთავაზა, რომ ყოველ 5 წელიწადში ერთხელ, დაწყებული 1988 წლიდან, გენერალურ სამდივნოს მიაწოდონ ინფორმაცია ამ პრინციპების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ, კერძოდ, მათი ნაციონალურ კანონმდებლობაში ჩართვის თაობაზე, შესრულებისას ნაციონალურ დონეზე წარმოქმნილი პრობლემებისა და იმ დახმარების შესახებ, რომელიც ამ საქმეში საერთაშორისო თანამეგობრობისგან ესაჭიროებათ.

1989 წლის 24 მაისს გაეროს ერთ-ერთმა მთავარმა ორგანომ – ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ – სპეციალური რეზოლუციით დაადგინა „სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების ეფექტური განხორციელების პროცედურები“ და შესთავაზა გაეროს კონგრესს დამნაშავეობის თავიდან აცილების საკითხებზე ყურადღება მიეპყრო პროცედურების დაცვის გზებისა და საშუალებების მოძიება-დამუშავებისთვის. აღნიშნული რეზოლუციის თანახმად, ყოველი სახელმწიფო მოვალეა თავის სასამართლო სისტემაში, საკონსტიტუციო პროცესისა და შინასახელმწიფოებრივი პრაქტიკის შესაბამისად,

დანერგოს მოცემული „ძირითადი პრინციპები.“ არც ერთი მოსამართლე არ შეიძლება დაინიშნოს ან აირჩეს იმ მიზნების განსახორციელებლად, რომლებიც ეწინააღმდეგება რეზოლუციით დადგენილ პრინციპებს. სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის შესახებ ეს დებულებანი სავალდებულოა არაპროფესიონალი ანუ არაიურისტი მოსამართლეების მიმართაც, თუ მოცემულ ქვეყანაში მათ მინდობილი აქვთ განსაზღვრული კატეგორიის საქმეთა განხილვა.

საკითხისადმი განსაკუთრებული მიდგომის ნიმუშია ის, რომ გაერო და მისი ორგანოები დაბეჯითებით მოითხოვენ ნევრ-სახელმწიფოსგან სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის დაცვას და ამიტომ სხვადასხვა აქტში განმეორებით განამტკიცებენ და განავრცობენ მის ძირითად პრინციპებს. ზემოაღნიშნული რეზოლუციით გათვალისწინებული მე-5 პროცედურის შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გამოყოს სათანადო რესურსები სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისთვის, უზრუნველყოს მოსამართლეთა იმ რაოდენობის არსებობა, რამდენიც აუცილებელია ყველა საქმის განსახილველად, უნდა გამოყოს სასამართლოებისთვის აუცილებელი ტექნიკური პერსონალი და მონყობილობა, უზრუნველყოს მოსამართლეთა პირადი უსაფრთხოება და ანაზღაურება. როგორც ნაციონალურ, ასევე რეგიონულ დონეზე, სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს და წაახალისოს სასამართლო ორგანოთა მნიშვნელობისა და მათი დამოუკიდებლობის საკითხების შესახებ, საზოგადოებისთვის სხვადასხვა სახის სემინარებისა და კურსების ჩატარება.

აქვე კვლავაც მეორდება მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ გაეროს ნევრმა სახელმწიფოებმა ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ გენერალურ მდივანს მიაწოდონ ინფორმაცია „ძირითადი პრინციპების“ განხორციელების მიმდინარეობის შესახებ ამ ქვეყნებში. ასევე ხუთ წელიწადში ერთხელ სახელმწიფოებში ამ კუთხით გატარებულ რეფორმებსა და ცვლილებებზე მოხსენება წარედგინება დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტს. მოხსენების მომზადებისას გენერალური მდივანი იყენებს, აგრეთვე, რეგიონულ თუ საერთაშორისო საკითხებზე კონსულტანტების, ექსპერტების დახმარებას, ტექნიკური თანამშრომლობის შედეგად მიღებულ მონაცემებს, სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანადგომასა და სხვ.

გაერო და მისი სტრუქტურები მრავალმხრივ დახმარებას აღუთქვამენ ნევრ-სახელმწიფოებს სამართლიანი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების საქმეში. სწორედ აღნიშნული რეზოლუციის მე-11 პროცედურის თანახმად, გაეროს ტექნიკური თანამშრომლობის დეპარტამენტი და გაეროს განვითარების პროგრამა ეხმარება მთავრობებს, მათი თხოვნით, დამოუკიდებელი და ეფექტური

სასამართლო სისტემის შექმნასა და განმტკიცებაში; სთავაზობს მას ექსპერტების, რეგიონულ თუ საერთაშორისო საკითხებზე კონსულტანტების დახმარებას სამართალწარმოების სფეროში; აქტიურად ატარებს გამოკვლევებს „ძირითადი პრინციპების“ განხორციელების ეფექტური ფორმების ფორმულირებისთვის, ამ სფეროში ახალ ტენდენციებზე ყურადღების გამახვილებით; ხელს უწყობს ნაციონალური თუ რეგიონული მასშტაბით სემინარების, სხვადასხვა სახის თათბირების ჩატარებას საზოგადოებაში სასამართლო სისტემის როლის შესახებ; ეხმარება გაეროს იმ რეგიონულ და საერთაშორისო სამეცნიეროვლევით და სასწავლო ინსტიტუტებს საქმიანობაში, რომლებიც შეინაწილიან და იკვლევენ დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებს და შეიმუშავენ სასწავლო პროგრამებსა და მასალებს, ყველა დონეზე იურიდიული სწავლებისთვის, ასევე ადამიანის უფლებების შესახებ სპეციალური კურსებისთვის.

გაეროს რეგიონული კომისიები, სპეციალიზებული დანესებულებანი და მის სისტემაში შემავალი სხვა ორგანიზაციები პერიოდულად აწვდიან ინფორმაციას გენერალურ მდივანს ძირითადი პრინციპების დასაწერად გატარებული ღონისძიებების, ასევე იმ ზომების შესახებ, რომელიც მიიღეს მათი პრაქტიკული რეალიზაციისთვის. მათ მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ამ სფეროში არსებული სიძნელებისა და ნაკლოვანებების ანალიზს. ასეთი ურთიერთობა ხელს უწყობს მიზანმიმართული თანამშრომლობის ატმოსფეროს დამკვიდრებას. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე თავად გაეროს გენერალური მდივანი ზრუნავს, რათა სახელმწიფოში „ძირითადი პრინციპების“ დანერგვისა და განვითარებისთვის განუღებულ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან მოქმედმა საკონსულტაციო სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

რეზოლუციის მე-15 პროცედურის შესაბამისად, დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას უწევს გენერალურ ასამბლეას, ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს და გაეროს სისტემაში შემავალ სხვა ორგანოებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა საკითხებს კურირებენ. ეს დახმარება გამოიხატება კომიტეტის მიერ რეკომენდაციების შემუშავებით იმ სპეციალური კომისიების ან ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც უნდა მოამზადონ მოხსენებები „ძირითადი პრინციპების“ გამოყენებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.

6-2. საერთაშორისო სასამართლოები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი საქმიანობა, მის მიერ შემუშავებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, საერ-

თაშორისო ორგანიზაციების, ექსპერტების, კონსულტანტების დასკვნები თუ მოხსენებები ხელს უწყობს ნაციონალური სასამართლო სისტემის იმ სტანდარტებთან მიახლოებას, რომლებიც აუცილებელია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად, სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლების ოპტიმალური ფორმების დასამკვიდრებლად, რათა ყოველი დავა, ყოველი სამართალდარღვევა განიხილოს და გადაწყვიტოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე ნაციონალურმა სასამართლომ. მაგრამ საერთაშორისო სამართლით ნაციონალური სასამართლოების საქმიანობის პრინციპების განსაზღვრა არ არის პანაცეა. ის მიზნები, რომელსაც სახელმწიფოთა თანამეგობრობა ისახავს, მხოლოდ ამ გზით ვერ მიიღწევა. ჩვენ პლანეტაზე მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრება და განმტკიცება საჭიროებს სპეციალური საერთაშორისო ორგანოების ფორმირებას, რომლებიც სასამართლო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით იქნებიან აღჭურვილნი. პირველ ასეთ სასამართლოს წარმოადგენდა 1899 და 1907 წლების ჰააგის კონვენციებით დაფუძნებული მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მონესრიგების მიზნით. აღსანიშნავია, ასევე, საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი პალატა, რომლის შესახებ სტატუტი ერთა ლიგამ 1920 წელს მიიღო და იგი 1946 წლამდე მოქმედებდა.

არსებობს დავები, რომელთა განხილვა არ შედის არც ერთი ნაციონალური სასამართლოს იურისდიქციაში. აქ საუბარია დავებზე სახელმწიფოთა შორის. საერთაშორისო სამართლით მათი მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთ ფორმად გათვალისწინებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს არსებობა, რომელიც გაეროს ერთ-ერთ მთავარ ორგანოს წარმოადგენს.

მუდმივმოქმედ საერთაშორისო სასამართლოებს შორის შეიძლება გამოვყოთ რეგიონულ დონეზე მოქმედი ისეთი ორგანოები, როგორიცაა: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, რომელიც ევროკავშირის სისტემაში ფუნქციონირებს; ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო; ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სისტემაში არსებული ადამიანის უფლებების სასამართლო; აღმოსავლეთ აფრიკის თანამეგობრობის სასამართლო და სხვ.

საერთაშორისო დავების გადაწყვეტის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სამედიატორო სასამართლო, ანუ არბიტრაჟი. საერთაშორისო სასამართლოს მსგავსად, საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილება არის საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო. სასამართლოებისგან განსხვავებულია მისი ფორმირების, რიცხოვნობის, პერსონალური შემადგენ-

ლობის, ფუნქციონირების წესი. არბიტრაჟის შემთხვევაში, მხარეები ნებაყოფლობით გადასცემენ განსახილველად მათ შორის არსებულ დავას მესამე პირს (მედიატორს). არსებობს საარბიტრაჟო ორგანოების ორი სახე: მუდმივი არბიტაჟი და ყოველ კონკრეტულ საქმეზე მონვეული, დროებითი, ე.წ. ad hoc არბიტრაჟი.

ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციების საფუძველზე ფუნქციონირებს 1901 წელს შექმნილი სამედიატორო სასამართლოს მუდმივმოქმედი პალატა. თუ მხარეები დიპლომატიური ხერხებით ვერ მოაგვარებენ დავას, მათ დაუყოვნებლივ შეუძლიათ მიმართონ ჰააგის სამედიატორო სასამართლოს, რომლის მუდმივმოქმედი ორგანოებია ადმინისტრაციული საბჭო და ბიურო, ანუ კანცელარია, რომელსაც გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ მუდმივმოქმედი სამედიატორო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს დავები არა მხოლოდ სახელმწიფოებს შორის, არამედ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, სახელმწიფოებსა და კერძო პირებს, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო პირებს შორის. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეებიდან პალატის შემადგენლობაში ნიშნავს 4 კომპეტენტურ პირს. მხარეები, რომლებიც არბიტრაჟს მიმართავენ, თავად ამოირჩევენ არბიტრებს.

ad hoc არბიტრაჟი იქმნება სახელმწიფოებს შორის კონკრეტული დავის განსახილველად. საარბიტრაჟო სასამართლოს საქმე შეიძლება გადაეცეს: სპეციალური შეთანხმებით, ე.წ. კომპრომისით; ხელშეკრულებაში სპეციალური პუნქტის შეტანით, რომ მისი განმარტების ან გამოყენებისას წარმოდგენილი დავის განსახილველად შესაძლებელია არბიტრაჟში მიმართვა, რასაც კომპრომისულ დათქმას უწოდებენ; საერთო საარბიტრაჟო ხელშეკრულებით, რომლის მიხედვით მხარეთა შორის ნებისმიერი დავა არბიტრაჟის განსჯადობას ექვემდებარება. მედიატორად შეიძლება გამოდიოდეს ერთპიროვნული არბიტრი, რამდენიმე არბიტრი ერთი სახელმწიფოდან, რამდენიმე არბიტრი სხვადასხვა სახელმწიფოდან. საქმის განხილვას უძღვება ნეიტრალური თავმჯდომარე – სუპერ-არბიტრი. მოდავე მხარეები, როგორც წესი, თავად განსაზღვრავენ არბიტრაჟის კომპეტენციას და, ჩვეულებრივ, შემოფარგლავენ მას დავის საგნით.

ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური საერთაშორისო სასამართლოები სხვადასხვა სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების ძალით, კონკრეტული საქმის განსახილველად. მაგალითად, საერთაშორისო სამართლით დადგენილია, რომ პირები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული მშვიდობის, ადამიანობის წინააღმდეგ ან სამხედრო დანაშაული, პასუხს აგებენ ინდივიდუალურად და

დაისჯებიან სისხლის სამართლის წესით. ინდივიდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ორი ფორმით: შეკურობილი დამნაშავე შეიძლება გასამართლდეს მშობლიურ სახელმწიფოში, თუ მოხდა ძველი, რეაქციული რეჟიმის მთავრობის ჩამოგდება და დაპატიმრება, ან იმ სახელმწიფოში, რომლის ტერიტორიაზეც აგრესორმა დანაშაული ჩაიდინა, ან იმ სახელმწიფოში, რომელსაც ხელშეკრულებით აქვს უფლება, დასაჯოს საერთაშორისო სისხლის სამართლის დამნაშავე. მაგალითად, კონვენცია აპარტიდის აკრძალვის შესახებ ითვალისწინებს ყველა მონაწილის უფლებას, შეიკუროს და გაასამართლოს აპარტიდის მომწყობი პირი, მიუხედავად იმისა, არის იგი მისი მოქალაქე თუ მოქალაქეობის არმქონე პირი (კონვენციის IV მუხლი). მეორე მხრივ, სახელმწიფოთა შეთანხმებით შეიძლება შეიქმნას სისხლის სამართლის სპეციალური საერთაშორისო სასამართლო, მაგალითად, როგორც იყო ნიურნბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალები. საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას ითვალისწინებს ასევე აპარტიდის აკრძალვის შესახებ კონვენციის V მუხლი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დანაშაულობასთან ბრძოლის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც 1998 წლის ივლისში ხელი მოეწერა სტატუტს სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შესახებ.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული სასამართლო თუ ტრიბუნალი განეკუთვნება საჯარო სამართლის მართლმსაჯულების ორგანოებს და ემსახურება სახელმწიფოთაშორისი დავების მშვიდობიან მოგვარებას, სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენას, საერთაშორისო დანაშაულთა აღმოფხვრას, მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

მაგრამ, ხომ ცხადია, რომ გარდა საჯარო სამართლებრივისა, არსებობს კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიც, რომელთაც, ბუნებრივია, თან სდევს სხვადასხვა დავის არსებობა და, მაშასადამე, მათი მოგვარების საჭიროებაც ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების, მთლიანად ბიზნესის სფეროში. მსოფლიოში სულ უფრო მზარდი ინტეგრაციული პროცესები და ეკონომიკური კავშირების გაფართოება განაპირობებს არბიტრაჟების, ტრიბუნალებისა თუ სასამართლო უფლებამოსილების მქონე სხვაგვარი საერთაშორისო ორგანოების ფორმირების აუცილებლობას, აღნიშნულ სფეროში არსებული კონფლიქტებისა თუ დავების დასარეგულირებლად და დარღვეული ქონებრივი თუ პირადი არაქონებრივი ურთიერთობების აღსადგენად.

თანამედროვე ეტაპზე კერძო სამართლის სფეროში მოქმედ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოებს განეკუთვნებიან, ერთი მხრივ, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც თავის საქმიანობას საერთაშორისო სავაჭრო სამართლის საკითხებზე გაეროს კომისიის (UNCITRAL) ეგიდით ახორციელებს და, მეორე მხრივ, პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან მოქმედი საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო.

ზემოთ აღნიშნული სასამართლო ორგანოების საქმიანობის სპეციფიკის პრაქტიკული მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, თითოეული მათგანის სტატუსს, მათი თავისებურებების სრული წარმოდგენის მიზნით, შედარებით ვრცლად განვიხილავთ.

§ 1. მართლმსაჯულების სამართლის სასამართლო

გაეროს წესდებით რეგულირდება რამდენიმე სახის საერთაშორისო დავის გადაწყვეტა: წესდების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული „საერთაშორისო დავები“, 33-ე მუხლში მოცემული „დავა, რომლის გაგრძელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას“, 52-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში ფორმულირებული „ადგილობრივი დავები“, 36-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული „იურიდიული ხასიათის დავები“ და სხვ. წესდებაში ერთმანეთისგან ზუსტად არ არის გამიჯნული პოლიტიკური და იურიდიული ანუ სამართლებრივი დავები. იურიდიული დავის განსაზღვრული კრიტერიუმები მოცემულია გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ქვემდებარე ყველა დავა, რომელიც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებების განმარტებას, საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ საკითხს, საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას და აქედან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო მოქმედებს სპეციალური სტატუტის საფუძველზე, რომელიც გაეროს წესდების ნაწილს წარმოადგენს, ასევე, სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად. სასამართლო შედგება 15 მოსამართლისგან. მათი შერჩევის კრიტერიუმებია: მაღალი მორალური თვისებები და საერთაშორისო სამართლის კვალიფიციური ცოდნა. ისინი ამ სფეროში აღიარებული სპეციალისტები უნდა იყვნენ და მნიშვნელობა არა აქვს მათ მოქალაქეობას, თუმცა, სასამართ-

ლოში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა ძირითადი სამართლებრივი სისტემა, შესაბამისად, აქ უნდა შედიოდნენ იურისტები, ერთი მხრივ, რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებიდან, ხოლო მეორე მხრივ, ინგლისურ-ამერიკული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებიდან და სხვ. ერთსა და იმავე სახელმწიფოს სასამართლოში არ შეიძლება წარმოადგენდეს ორი მოსამართლე. მათ ირჩევს გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო, 9 წლის ვადით, გადარჩევის უფლებით. ყოველ სამ წელიწადში ხდება სასამართლოს 5 წევრის როტაცია. ამასთან, კანდიდატების ასარჩევად საკმარისია უშიშროების საბჭოს 8 ხმა. კანდიდატებს წარმოადგენენ სამედიატორო სასამართლოს მუდმივი პალატის ნაციონალური ჯგუფები, თითოეული ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედის 4 წევრი.

დაკავებული თანამდებობებიდან მოსამართლე შეიძლება გადააყენონ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ერთხმად გადაწყვეტს, რომ იგი არ აკმაყოფილებს მისი სტატუსისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

სასამართლო ირჩევს თავმჯდომარეს და ვიცე-თავმჯდომარეს სამი წლის ვადით, ასევე მდივანს და სხვა თანამდებობის პირებს, რომლებიც აუცილებელია სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო მდებარეობს ქალაქ ჰააგაში, თუმცა ეს არ უშლის ხელს სასამართლოს საქმის განხილვა და სამართალწარმოება განახორციელოს ნებისმიერ სხვა ადგილას, თუ იგი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

გაეროს ყველა წევრი-სახელმწიფო ამავე დროს წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოს შესახებ სტატუტის მონაწილეს. სახელმწიფოს, რომელიც არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, შეუძლია გახდეს სტატუტის მონაწილე მხოლოდ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციითა და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით. შეიქცარია და ნაურუ არიან სტატუტის მონაწილეები, მაგრამ არ ირიცხებიან გაეროს წევრებად. ამ სახელმწიფოებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წევრების არჩევნებში, იმ პირობების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია გენერალური ასამბლეის 254-ე (III) რეზოლუციით.

გაეროს წესდების 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უშიშროების საბჭომ უნდა გაითვალისწინოს, რომ „იურიდიული ხასიათის ყველა დაეა, როგორც წესი, მხარეებმა უნდა გადასცენ განსახილველად საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის პირობების შესაბამისად.“ სასამართლო განიხილავს მხოლოდ იმ საქმეებს, რომლებშიც მხარეებმა გამოდიან სახელმწიფოები და ყველა საკითხს, რომლებიც სპეციალურად გათვალ-

ისწინებულია გაეროს წესდებით ან მოქმედი ხელშეკრულებებითა და კონვენციებით. სასამართლო საქმეებს განიხილავს პლენარულ სხდომებზე, თუმცა, მხარეთა თხოვნით, საქმე შეიძლება განიხილოს მოსამართლეთა ნაწილმა, რომელთა გადაწყვეტილება სავალდებულოა დავაში მონაწილე მხარე-სახელმწიფოებისთვის. ამასთან, საერთაშორისო სასამართლო დავას განიხილავს და გადაწყვეტს ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში. თუ რომელიმე მხარე არ შეასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, მაშინ გაეროს წესდების 94-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უშიშროების საბჭო, მეორე მხარის მიმართებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ან მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლით, განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ის წყაროები, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს დავები. ესენია: საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც მოდავე სახელმწიფოების მიერ აღიარებულ წესებს ადგენს; საერთაშორისო ჩვეულებები, როგორც საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურება; სამართლის ზოგადი პრინციპები, რომლებიც აღიარებულია ცივილიზებული ერების მიერ; სასამართლოს გადაწყვეტილებანი და საერთაშორისო სამართლის ყველაზე კვალიფიციურ სპეციალისტთა დოქტრინები, როგორც სამართლებრივი ნორმების დადგენისთვის დამხმარე საშუალება. საერთაშორისო სამართლის დამხმარე წყაროს წარმოადგენს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს, სხვა საერთაშორისო სასამართლოსა და საარბიტრაჟო ორგანოების გადაწყვეტილებანი.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ოფიციალურ ენებს ფრანგული და ინგლისური წარმოადგენს. სასამართლოში საქმე აღიძვრება არსებული გარემოებების შესაბამისად ან შეტყობინებით სპეციალური შეთანხმების შესახებ, ან ნერილობითი განცხადებით მდივნის სახელზე. ორივე შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს დავის საგანი და მხარეები. მდივანი დაუყოვნებლივ აცნობებს განცხადების შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს, გაეროს წევრებს და ყველა იმ სახელმწიფოს, რომელიც უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

სასამართლომ შეიძლება განსაზღვროს ნებისმიერი დროებითი ზომა, რომელიც აუცილებელია თითოეული მხარის უფლებების უზრუნველსაყოფად. მხარეების ინტერესებს პროცესში იცავენ წარმომადგენლები, რწმუნებულები და ადვოკატები. ისინი სარგებლობენ ყველა იმ პრივილეგიითა და იმუნიტეტით, რომელიც აუცილებელია მათი უფლებებისა და მოვალეობების დამოუკიდებლად განსახორციელებლად.

გამოიყოფა ორი სახის – ნერილობითი და ზეპირი სამართალწარმოება. პირველი მოიცავს სასამართლოსა და მხარეებისთვის შემორანდუმების, კონტრემორანდუმების, მათზე პასუხის, ასევე მათი დამადასტურებელი დოკუმენტების მდივნის მეშვეობით წარდგენას, სასამართლოს მიერ დადგენილი წესითა და ვადებში. მხარეებმა ერთმანეთს უნდა მიანოდონ ყოველი დოკუმენტის დამონმებული ეგზემპლარი.

ზეპირი სამართალწარმოება მოიცავს სასამართლოში მონმეების, ექსპერტების, წარმომადგენლების, რწმუნებულებისა და ადვოკატების მოსმენის ეტაპს. სასამართლოში საქმის განხილვა თავმჯდომარის ან ვიცეთავმჯდომარის ან უხუცესი წევრის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს საჯაროდ, თუ სასამართლო საწინააღმდეგოს არ დაადგენს ან თუ მხარეები არ მოითხოვენ სხდომის დახურვას.

სასამართლო იღებს განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ გადანყვეტილებებს, განსაზღვრავს ფორმებსა და ვადებს, რომლის გათვალისწინებით თითოეულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და გაატაროს ყველა აუცილებელი ზომა მტკიცებულებათა შესაკრებად. ყოველი საქმის განხილვისას დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს მდივანი და თავმჯდომარე და მხოლოდ ეს ოქმია აუთენტური.

სასამართლო უფლებამოსილია საქმის მოსმენის დაწყებამდე მოსთხოვოს წარმომადგენლებს ნებისმიერი დოკუმენტის ან ახსნა-განმარტების წარდგენა. უარის შემთხვევაში შედგება შესაბამისი აქტი. საჭიროების შემთხვევაში, თავისი შეხედულებისამებრ, სასამართლო გამოძიების ან ექსპერტიზის ჩატარებას მიანდობს ნებისმიერ პირს, კოლეგიას, ბუროს, კომისიას ან სხვა ორგანიზაციას.

რომელიმე მხარის სასამართლოში არგამოცხადების ან მის მიერ მოსაზრებების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს სასამართლოს საქმის თავის სასარგებლოდ გადანყვეტა. მსგავსი შუამდგომლობის დაკმაყოფილებამდე სასამართლო უნდა დარწმუნდეს არა მხოლოდ მოცემული საქმის ქვემდებარეობის საკითხში, არამედ შუამდგომლობის საფუძვლიანობაში, როგორც ფაქტის, ასევე სამართლის ნაწილში.

წარმომადგენლების, რწმუნებულებისა და ადვოკატების მიერ საქმეზე თავიანთი მოსაზრებების წარმოდგენის შემდეგ, სასამართლო მოსმენას დამთავრებულად აცხადებს და დგება საქმეზე გადანყვეტილების გამოტანის ეტაპი. თათბირი მიმდინარეობს დახურულ სხდომაზე. ყველა საკითხი გადაწყდება დამსწრე მოსამართლეების მიერ ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ან მისი უფლებამონაცვლის ხმა.

სასამართლოს გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს და მითითებული იყოს ყველა იმ მოსამართლის სახელი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის გამოტანაში. თითოეულ მოსამართლეს შეუძლია მთლიანად გადაწყვეტილებასთან ან მის რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით წარმოადგინოს თავისი განსაკუთრებული აზრი. გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი, გამოცხადდება ღია სხდომაზე, მხარეთა წარმომადგენლებისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის შემდგომ. სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ მოდავე მხარეებისთვის და მოცემულ საქმესთან დაკავშირებით. ამასთან, იგი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. გადაწყვეტილების შინაარსსა და მოცულობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის შემთხვევაში, სასამართლო მის განმარტებას ახორციელებს ნებისმიერი მხარის თხოვნით. შესაძლებელია საქმის ხელახლა განხილვა. თხოვნა ამის შესახებ უნდა ემყარებოდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებებს, რომლებმაც თავიანთი ხასიათით შესაძლებელია გავლენა მოახდინოს საქმის სხვაგვარად გადაწყვეტაზე და რომლებიც გადაწყვეტილების გამოტანისას არ იყო ცნობილი არც სასამართლოსთვის, არც იმ მხარისთვის, რომელიც ითხოვს საქმის გადასინჯვას.

საქმის გადასინჯვის წარმოება იწყება სასამართლოს განჩინებით, რომელშიც მკაფიოდ არის მითითებული შესაბამისი საფუძვლისა და თხოვნის არსებობა. მსგავსი წარმოების გახსნამდე სასამართლო უფლებამოსილია, მოითხოვოს გადაწყვეტილების პირობების შესრულება. ამასთან, თხოვნა გადასინჯვის შესახებ შეტანილ უნდა იყოს ახალი გარემოების აღმოჩენიდან ექვსი თვის მანძილზე და მისი შეტანის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურება ათი წლის შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

თუ რომელიმე სახელმწიფო მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლებელია შელახოს მისი სამართლებრივი ინტერესები, იგი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საქმის განხილვაში მონაწილეობა. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხზე სასამართლო მიიღებს.

შესაძლებელია სასამართლოს წინაშე დადგეს საკითხი იმ კონვენციის განმარტების შესახებ, რომელშიც დავის მონაწილე მხარეთა გარდა, სხვა სახელმწიფოებიც მონაწილეობენ. ამ შემთხვევაში სასამართლოს მდივანი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ აღნიშნულ სახელმწიფოებს. თითოეულ სახელმწიფოს, რომელიც მსგავს შეტყობინებას მიიღებს, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საქმისწარმოებაში, ხოლო დადგენილებაში ფორმულირებულ გადაწყვეტილებას მისთვის სავალდებულო ხასიათი ექნება.

სასამართლოს სხვაგვარი გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში, თითოეული მხარე გაიღებს სასამართლო ხარჯებს.

მართლმსაჯულების აღსრულების ფუნქციის გარდა, საერთაშორისო სასამართლო აღჭურვილია, ასევე, საკონსულტაციო უფლებამოსილებით. გაეროს წესდების 96-ე მუხლის თანახმად, გენერალური ასამბლეის ან უშიშროების საბჭოს თხოვნით, იგი იძლევა საკონსულტაციო დასკვნას ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე. სასამართლოს დასკვნის მიღება შეუძლიათ, ასევე, გაეროს სხვა ორგანოებსა და სპეციალიზებულ დანესებულებებს, იმ იურიდიულ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მათი საქმიანობის სფეროსთან. გაეროს 4 მთავარ ორგანოს, 2 დამხმარე ორგანოს, 15 სპეციალიზებულ დანესებულებას და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს უფლება აქვთ, მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს დასკვნის მისაღებად. თხოვნა საკონსულტაციო დასკვნის თაობაზე სასამართლოს წარედგინება წერილობითი განცხადების სახით, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს ფორმულირებული საკითხები, რომლებზეც მოითხოვება დასკვნა. განცხადებას თან უნდა ერთვის დოკუმენტები, რომლებიც დასმულ საკითხებს შეეხება.

სასამართლოს მდივანი დაუყოვნებლივ აცნობებს განცხადების შესახებ ყველა სახელმწიფოს, რომელთათვისაც ღიაა სასამართლო. გარდა ამისა, ნებისმიერ სახელმწიფოს და ორგანიზაციას, რომლებმაც შეიძლება წარმოადგინონ ცნობები მოცემულ საკითხზე, სასამართლო შეატყობინებს, რომ იგი მზადაა თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადაში მიიღოს განსახილველ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მოხსენებები ან მოისმინოს ზეპირი მოხსენება ამ მიზნით დანიშნულ საჯარო სხდომაზე. ყველა აღნიშნულ სახელმწიფოს და ორგანიზაციას უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს მოხსენებების განხილვის პროცესში სასამართლოს მიერ განსაზღვრული ფორმით, წესით და შესაბამის ვადაში.

საკონსულტაციო დასკვნა სასამართლოს გამოაქვს ღია სხდომაზე, რასაც წინასწარ შეატყობინებს გაეროს გენერალურ მდივანს, ამ ორგანიზაციის დაინტერესებულ წევრებს, სხვა სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებს.

§ 2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ევროპის კონტინენტზე ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს ევროპის საბჭოს სისტემაში მოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. მისი თეორიული საფუძვლები

პირველად 1959 წელს გამოქვეყნდა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპის კონვენციაზე დაყრდნობით, რომელიც თავის მხრივ 1950 წლის 4 ნოემბერს იქნა მიღებული.

მართლმსაჯულების აღნიშნული ორგანოს მუდმივმოქმედ სასამართლოდ ტრანსფორმირების მნიშვნელოვან სამართლებრივ საფუძვლად გვევლინება ქ. სტრასბურგში 1994 წლის 11 მაისს ევროპის საბჭოს წევრი-სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილი ოქმი N11 – „კონტროლის არსებული მექანიზმის რესტრუქტურისა“, რომლითაც ცვლილება იქნა შეტანილი ზემოაღნიშნულ კონვენციაში და ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ნოემბრიდან. ამ დოკუმენტის თანახმად, კონვენციისა და მისი ოქმების ხელმოწერ მხარეთა მიერ აღიარებული ვალდებულებების პატივისცემის უზრუნველსაყოფად, დაარსებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც პერმანენტულად იმ-ოქმედება.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1997 წლის 10-11 ოქტომბერს ქ. სტრასბურგში გამართულ ევროპის საბჭოს II სამიტმა მიიღო შემაჯამებელი დეკლარაცია და შეიმუშავა მოქმედების გეგმა, რომელშიც სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები მიესალმნენ იმ ფაქტს, რომ ყველა ხელშეკრულმა მხარემ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა კონვენციის N11 ოქმს, რაც ადამიანის უფლებათა ერთიანი სასამართლოს შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა და დაავალეს მინისტრთა კომიტეტს სასამართლოს დაფუძნებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვრება ევროპის ზემოაღნიშნული კონვენციის ხელშეკრული მხარეების რაოდენობის შესაბამისად. მოსამართლეები უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი მორალური თვისებებით და ჰქონდეთ ამ საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავებისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია ან უნდა იყვნენ აღიარებული კომპეტენციის მქონე იურისკონსულტები. მათი უფლებამოსილების მანძილზე მოსამართლეები არ შეიძლება დაკავებულნი იყვნენ ისეთი საქმიანობით, რაც შეუთავსებელია მათ დამოუკიდებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან.

მოსამართლეებს აირჩევს საპარლამენტო ასამბლეა ხმების უბრალო უმრავლესობით, ევროპის საბჭოს წევრი-სახელმწიფოების სურვილის გათვალისწინებით, მათ მიერ წარმოდგენილი 3 კანდიდატისგან შემდგარი სიიდან. მოსამართლეები აირჩევიან 6 წლის ვადით, ხელახლა არჩევის შესაძლებლობით. ამასთან, ყოველ 3 წელიწადში ხდება სასამართლოს შემადგენლობის შეცვლა როტაციის წესით. მოსამართლეთა უფლებამოსილება იწურება, როდესაც ისინი მიაღწევენ 70

ნლის ასაკს. ისინი მსახურობენ შეცვლამდე, ამასთან, მუშაობას გააგრძელებენ მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე. მოსამართლე შეიძლება ვადამდე დაითხოვონ, თუ მოსამართლეთა ორი მესამედი გადაწყვეტს, რომ იგი ველარ პასუხობს მისთვის წაყენებულ აუცილებელ პირობებს.

სასამართლოს საქმიანობისთვის აუცილებელი ტექნიკური და ორგანიზაციული მხარის ცალკეული საკითხების უზრუნველსაყოფად იქმნება რეგისტრატურა და იურიდიული სამდივნოები, რომლებიც სასამართლოს რეგლამენტის საფუძველზე ფუნქციონირებენ. სტრუქტურული მონაცემების თვალსაზრისით, გამოსაყოფია სასამართლოს პლენუმი, კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა. პლენუმის კომპეტენციას განეკუთვნება სასამართლოს თავმჯდომარისა და ერთი ან ორი ვიცე-თავმჯდომარის სამი წლის ვადით არჩევა, განსაზღვრული ვადით პალატების შეცვლა, პალატების თავმჯდომარეების არჩევა, სასამართლოს რეგლამენტის მიღება, რეგისტრატორისა და მისი მოადგილეების არჩევა.

სასამართლო საქმეებს განიხილავს სამი მოსამართლისგან შემდგარ კომიტეტებში, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარ პალატებსა და ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარ დიდ პალატაში. პალატებს ქმნიან კომიტეტები დროის განსაზღვრული პერიოდით. დიდი პალატა მოქმედებს სასამართლოს თავმჯდომარის, ვიცე-თავმჯდომარის, პალატების თავმჯდომარეებისა და სხვა მოსამართლეთა შემადგენლობით.

სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებას და გამოყენებას, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლებით. 33-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერ ხელმომწერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა ხელმომწერი მხარის მიერ კონვენციისა და მისი დებულებების ნებისმიერი დარღვევის თაობაზე. 34-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მიიღოს განცხადება ნებისმიერი პირისგან, არასამთავრობო ორგანიზაციისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი ხელმომწერი მხარის მიერ კონვენციისა და მისი ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელმომწერი მხარეები მოვალენი არიან არ შეუძლონ ხელი ამ უფლების ეფექტურ გამოყენებას. სასამართლოს შეუძლია მიიღოს საქმე მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სასამართლოს საყოველთაოდ აღიარებული წესების თანახმად, ყველა შინა-სახელმწიფოებრივი საშუალება ამოიწურება და ამასთან, 6 თვის ვა-

დაში იმ თარიღიდან, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული.¹

თუ პირი გადაწყვეტს მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მან თავდაპირველად წერილი უნდა გაუგზავნოს სასამართლოს რეგისტრატორს. წერილში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი საჩივრის არსი, მითითებულ იქნეს, თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული რომელი უფლებისა თუ თავისუფლებების დარღვევას ჰქონდა ადგილი და რა სახის შინასახელმწიფოებრივი მექანიზმები იქნა გამოყენებული მათ აღსადგენად, ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა ოფიციალური გადაწყვეტილება, მათი მიღების თარიღი და მიმღები ორგანო, იქნება ეს სასამართლო თუ სხვა სახელმწიფო ინსტიტუტი. წერილს თან უნდა ერთვოდეს თითოეული აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი.

რეგისტრატორი ვალდებულია პასუხი გასცეს შემოსულ წერილს. მას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციისა თუ დოკუმენტების წარმოდგენა ან დამატებითი ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით. იგი ასევე შეატყობინებს წერილის ავტორს, თუ მანამდე რა სახით იქნა განმარტებული კონვენცია მსგავს საქმეებზე და საქმის დასაშვებობასთან დაკავშირებით ამკარა წინააღმდეგობის არსებობისას აცნობებს მას ამის თაობაზე. თუ რეგისტრატორისთვის გაგზავნილი საბუთები აკმაყოფილებს ყველა საჭირო მოთხოვნას, დაინტერესებულ პირს გაეგზავნება აუცილებელი დოკუმენტაცია ოფიციალური სასარჩელო განცხადების შევსებისა და სასამართლოში გაგზავნის მიზნით. ამასთან, რეგისტრატორი მუდმივ ინფორმაციას მიაწვდის მოსარჩლეს საქმის მიმდინარეობის შესახებ.

სასამართლო არ მიიღებს ინდივიდუალურ საჩივრებს განსახილველად, თუ ისინი ანონიმურია, ან არსებითად შეეხება იმავე საკითხს, რომელიც უკვე განხილულ იქნა სასამართლოს მიერ ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიებისა თუ დარეგულირების სხვა პროცედურას და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას ან განაცხადი შეუსაბამობაშია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, ამკარად უსაფუძვლოა ან დაკავშირებულია სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებასთან. ზემოაღნიშნული საფუძვლებით, სასამართლოს შეუძლია ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას ინდივიდუალურ განაცხადზე.

1. ამ პირობების არსებობისას, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ საჩივარი გააგზავნონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: The Registrar, European Court of Human Rights, Council of Europe, F-67075, STRASBOURG CEDEX.

კონვენციის 47-ე მუხლის შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტის თხოვნის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია წარმოადგინოს საკონსულტაციო მოსაზრებები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებას. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოსგან საკონსულტაციო მოსაზრებების მონოდების მოთხოვნის შესახებ საჭიროებს იმ წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობას, რომლებიც შედიან კომიტეტის შემადგენლობაში. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს მის მიერ ჩამოყალიბებული საკონსულტაციო მოსაზრება, თუ იგი მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი არ წარმოადგენს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს წარმოადგინოს განსხვავებული მოსაზრება. საკონსულტაციო მოსაზრებებს სასამართლო დაუყოვნებლივ აცნობებს მინისტრთა კომიტეტს.

პალატა უფლებამოსილია განიხილოს, როგორც ინდივიდუალური განცხადება, ასევე, ნებისმიერი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიმართვა სხვა მონაწილე მხარის მიერ კონვენციისა და სხვა დებულებების ნებისმიერი დარღვევის თაობაზე.

თუ პალატის განსჯადი საქმე დაკავშირებულია სერიოზულ საკითხებთან, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებას, ან როდესაც პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს შედეგი, რომელიც შეუთავსებელი იქნება სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან, პალატას უფლება აქვს განჩინების გამოტანამდე იურისდიქცია გადასცეს დიდ პალატას, თუკი საქმის არც ერთი მხარე არ იქნება ამის წინააღმდეგი.

პალატის ან დიდი პალატის მიერ განსახილველ ყველა საქმეში, სახელმწიფოს, რომლის მოქალაქესაც განმცხადებელი წარმოადგენს, უფლება აქვს, წარმოადგინოს წერილობითი კომენტარები და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.

სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია სასამართლოს შესაბამისი ადმინისტრაციის ინტერესებიდან გამომდინარე, მოინვიოს ნებისმიერი სახელმწიფო ან პიროვნება, რომელიც არ წარმოადგენს განმცხადებელს, რათა მათ წარმოადგინონ წერილობითი კომენტარები ან მონაწილეობა მიიღონ საქმის მოსმენაში.

სასამართლო უფლებამოსილია, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეწყვიტოს განცხადების განხილვა, როდესაც საქმის გარემოებებს იგი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებელი არ აპირებს ბოლომდე დაუჭიროს მხარი თავის განცხადებას ან მასში დასმული პრობლემა გადაწყვეტილია ან სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით

ალარ არის გამართლებული განაცხადის განხილვის გაგრძელება. ამასთან, სასამართლო გააგრძელებს საქმის განხილვას იმ შემთხვევაში, თუკი კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების პატივისცემა ამას მოითხოვს.

განცხადების ნარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო: შეუდგება საქმის განხილვას მხარეთა ნარმომადგენლებთან ერთად და თუკი საჭირო იქნება, ჩაატარებს გამოძიებას, რომლის ეფექტურად განხორციელებისთვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელ საშუალებას; ან კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების გათვალისწინებით, შესთავაზებს შესაბამის მხარეებს საქმის მეგობრული მოგვარების მიღწევის მიზნით და ეს პროცედურა კონფიდენციალურ ხასიათს უნდა ატარებდეს. მეგობრული მოგვარების შემთხვევაში, სათანადო გადანყვეტილების მიღებით სასამართლო გამორიცხავს საქმეს თავისი სიიდან.

სასამართლოს მოსმენები ღია იქნება იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად გადანყვეტს. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება, ასევე, რეგისტრატორთან შენახული დოკუმენტები.

თუ სასამართლო დაადგენს კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევას და შესაბამისი ქვეყნის შინასახელმწიფოებრივი სამართალი მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, სასამართლო აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის სამართლიან დაკმაყოფილებას.

პალატის მიერ გადანყვეტილების მიღების თარიღიდან 3 თვის მანძილზე ნებისმიერ მხარეს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. დიდი პალატის კოლეგია 5 მოსამართლის შემადგენლობით კი თხოვნას იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ საქმე ეხება კონვენციისა და მისი ოქმების გამოყენებასა და ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებს ან სხვა ზოგადი მნიშვნელობის გარემოებებს. თუ კოლეგია მიიღებს თხოვნას, დიდი პალატა გადანყვეტს საქმეს განჩინების მიღების გზით.

დიდი პალატის განჩინება ყველა შემთხვევაში საბოლოოა. პალატის განჩინება კი საბოლოო გახდება: როდესაც მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ მოითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას; თუკი განჩინების მიღებიდან სამი თვის მანძილზე არ მოხდება საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის შესახებ თხოვნის წარდგენა; როდესაც დიდი პალატის კოლეგია უარყოფს აღნიშნულ თხოვნას. საბოლოო განჩინება აუცილებლად უნდა იქნეს გამოქვეყნებული და იგი სავალდებულოა შესასრულებლად. სასა-

მართლოს ნებისმიერი გადანყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის განხილვის პროცედურა განსაზღვრულია კონვენციის 55-ე მუხლში, რომლის თანახმად, სასამართლო ადგენს საკუთარ წესებსა და პროცედურას. განხილვის პროცესში სასამართლო არამართო შეისწავლის ნაციონალურ კანონმდებლობას განსჯად საკითხთან მიმართებაში, არამედ გამოაქვს გადანყვეტილება ამ კანონის ევროპის კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

საჩივრების შესწავლის შედეგად სასამართლომ შეიძლება მიიღოს ორი სახის გადანყვეტილება: დაავალდებულოს მოპასუხე სახელმწიფო, რათა მან შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული კანონმდებლობა კონვენციაში განმტკიცებულ ევროპულ სტანდარტებთან; დაადგინოს დაზარალებული მხარისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმისწარმოების ყველა ხარჯს ევროპის საბჭო ანაზღაურებს. შესაბამისად, საჩივრის შეტანა უფასო პროცედურას წარმოადგენს. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიამ შეიძლება ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს პირს, რომლის საჩივარიც მიღებულია განსახილველად, მოახდინოს სასამართლო სხდომაზე გამგზავრებისთვის აუცილებელი ხარჯების სუბსიდირება და აანაზღაუროს ამ საერთაშორისო სასამართლო ორგანოში საკუთარი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

ასე რომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მთლიანად იმდაგვარად არის მოწყობილი და მომართული, რომ ევროპის კონტინენტზე ადამიანმა დაცულად იგრძნოს თავი.

§ 3. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო

დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესის ნორმალური მსვლელობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის სისტემაში მოქმედ მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს, რომელიც საგრძნობ გავლენას ახდენს თანამეგობრობაში გაერთიანებულ სახელმწიფოთა სამართლის ფორმირებაზე. გარდა ამისა, ლუქსემბურგში მოქმედი ეს სასამართლო მონოდებულია აღმოფხვრას ან მნიშვნელოვანწილად შეამციროს საერთაშორისო ხელშეკრულებით განმტკიცებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სისუსტე, რაც მათი სხვადასხვაგ-

ვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობაში ვლინდება.¹ ევროკავშირის სასამართლო ითავსებს სასამართლო ხელისუფლების რამდენიმე მიმართულებას. იგი მოქმედებს როგორც საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და საარბიტრაჟო სასამართლო.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო უფლებამოსილია: განიხილოს სახელმწიფოთაშორისი დაევი; გააუქმოს ევროკავშირის მთავარი ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები და გადაწყვეტილებანი; დააკისროს ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს აღებული ვალდებულებების შესრულება; განმარტოს ევროკავშირის სასამართლო ნორმები და რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, განიხილოს „გაერთიანების ანუ ევროკავშირის საბჭოს მიერ დაფუძნებული ნებისმიერი ინსტიტუტისა თუ ორგანოს კონსტიტუციურობის საკითხი.“² ამ სასამართლო ორგანოს საქმიანობის ორგანიზაციული ასპექტები და სამართალწარმოების წესი განსაზღვრულია რეგლამენტით. ევროკავშირის სასამართლოში მიმართვის უფლებით სარგებლობს ევროკავშირის სამართლის ყველა სუბიექტი – ევროკავშირის ორგანოები, წევრი-სახელმწიფოები, მათი ფიზიკური და იურიდიული პირები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მათი სასამართლო ორგანოები.

ევროკავშირის სასამართლოს შემადგენლობაში შედის 13 მოსამართლე, 6 გენერალური ადვოკატი, რომლებიც აირჩევიან 6 წლით ვადით. მათი უფლებამოსილების ვადა დაიწყება არჩევის შესახებ საბუთში მითითებული თარიღიდან, ისინი ფიცს დებენ, რომ მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 3 წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს. ქმნის პალატებს და განამწესებს მათში მოსამართლეებს, აღნიშნული მონაცემები კი ქვეყნდება ევროგაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში (Official Journal of the European Communities).

სასამართლოში საქმის განხილვის მოთხოვნის შესახებ განცხადების შეტანის შემთხვევაში, სასამართლო გადასცემს საქმეს წინასწარი გამოკვლევისთვის ერთ-ერთ პალატას, ხოლო პალატის რომელიმე წევრ-მოსამართლეს დააკისრებს მომხსენებლის ფუნქციას. იმ კრიტერიუმებს, რომლებიც განმსაზღვრელი იქნება საქმის ამა თუ იმ პალატისთვის გადასაცემად, თავად სასამართლო განსაზღვრავს.

1. *Международное частное право*. Отв. ред. Богуславский М. М., Москва, 1994, стр. 190.

2. John F. Mc. Eldowney. *Public Law*. London, 1994, p. 232.

სასამართლო ერთი წლის ვადით ნიშნავს პალატის თავმჯდომარეებს და პირველ გენერალურ ადვოკატს, ხოლო რეგისტრატორს ორ წლის ვადით. თავმჯდომარე რეგისტრატორის თანამდებობაზე კანდიდატურების შესახებ განაცხადებს სასამართლოს გააცნობს დანიშვნამდე ორი კვირით ადრე. განაცხადს თან უნდა ახლდეს სრული ინფორმაცია კანდიდატის ასაკის, ეროვნების, საუნივერსიტეტო ხარისხის, ენების ცოდნის, იურიდიულ და საერთაშორისო სფეროებში საქმიანობისა და გამოცდილების შესახებ. სასამართლო ასევე უფლებამოსილია, დანიშნოს დამხმარე რეგისტრატორებიც.

რეგისტრატორი ვალდებულია ანარმოოს რეესტრი, რომელშიც შეტანილ იქნება ინფორმაცია სასამართლოში წარდგენილი ყველა სახის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ. რეგისტრაციის თაობაზე ცნობა აღინიშნება, როგორც დოკუმენტის ორიგინალზე, ასევე, მხარის თხოვნით გაცემულ ასლზე. რეგისტრატორი პასუხისმგებელია დოკუმენტების მიღებაზე, გადაცემასა და შენახვაზე. რეგისტრატორი ეხმარება სასამართლოს, პალატებს, პრეზიდენტსა და მოსამართლეებს მათი ოფიციალური ფუნქციების განხორციელებისას. იგი ასევე პასუხისმგებელია ბეჭდების შენახვაზე, ჩანაწერების წარმოებასა და სასამართლოს ოფიციალური გამოცემების უზრუნველყოფაზე.

სასამართლოს ორგანიზაციის, სხვადასხვა დეპარტამენტად დაყოფის საკითხს რეგისტრატორის წარდგინებით, განსაზღვრავს სასამართლო. რეგისტრატორი, თავმჯდომარის ხელმძღვანელობის ქვეშ, პასუხისმგებელია სასამართლოს საქმიანობაზე, მისი ფინანსებისა და ანგარიშების მართვაზე, რაშიც მას დახმარებას უწევს სასამართლოს ადმინისტრატორი.

საქმის გარემოებიდან და მისი სირთულიდან გამომდინარე, შესაძლებელია სასამართლომ დანიშნოს დამხმარე მომხსენებლები, რომლებიც ხელს შეუწყობენ თავმჯდომარეს განცხადებებთან დაკავშირებით წინასწარი ზომების მიღებაში, ხოლო მომხსენებელ მოსამართლეებს მათ საქმიანობაში.

სასამართლო სხდომების თარიღსა და დროს თავად პრეზიდენტი განსაზღვრავს, ხოლო პალატების სხდომებისას – მათი თავმჯდომარეები. როგორც სასამართლო, ასევე მისი პალატები საქმეებს დახურულ სხდომაზე განიხილავენ. სხდომაში მონაწილეობენ მხოლოდ ზეპირი პროცედურის დამსწრე მოსამართლეები და შესაბამისი დამხმარე მომხსენებლები. თითოეული მოსამართლე წარმოადგენს თავის მოსაზრებასა და მოტივაციას განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. ისინი ასევე უფლებამოსილი არიან მათ მიერ არჩეულ ენაზე ფორმულირებული ნებისმიერი კითხვა კენჭისყრამდე წერილობით წარუდგინონ სასამართლოს

ან პალატას. სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი განისაზღვრება საბოლოო განხილვის შემდეგ მოსამართლეთა უმრავლესობის მიერ მიღებული დასკვნებით.

მართლმსაჯულების სასამართლოში საქმისწარმოება შეიძლება მიმდინარეობდეს დანიურ, გერმანულ, ინგლისურ, ფინურ, ფრანგულ, ბერძნულ, ირლანდიურ, იტალიურ, პორტუგალიურ, ესპანურ, ჰოლანდიურ ან შვედურ ენებზე.

წარმომადგენლები, მრჩეველები და იურისტები სარგებლობენ იმუნიტეტით მოცემულ საქმესთან ან მის მხარეებთან დაკავშირებით ზეპირად თუ წერილობით გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრებასთან მიმართებით. დაუშვებელია საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საბუთებისა და დოკუმენტების ჩხრეკა და ამოღება, აღნიშნულ პირებს, თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას, ასევე გარანტირებული აქვთ დაუბრკოლებელი გადაადგილების შესაძლებლობა.

სასამართლოში საქმისწარმოება მოიცავს რამდენიმე ეტაპს, კერძოდ, წერილობით პროცედურას, წინასწარ გამოკვლევას და ზეპირ პროცედურას, რაც სასამართლოს გადაწყვეტილების დასკვნით გადაწყდება.

საქმისწარმოება იწყება წერილობითი განცხადების წარდგენით, რომლის ორიგინალს ხელს უნდა აწერდეს მხარის წარმომადგენელი ან ადვოკატი. მასში მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის ვინაობა და მისამართი, მოპასუხის ვინაობა, დავის საგანი და სამართლებრივი აქტები, რომლებსაც ემყარება განცხადება, მისი მოთხოვნა და შესაბამისი მტკიცებულებები. მხარის ადვოკატმა ასევე რეგისტრატორთან უნდა წარადგინოს მსგავსი იურიდიული პრაქტიკის წარმოების შესახებ უფლებამოსილება ევროკავშირის ნებისმიერ წევრ-სახელმწიფოში.

სასამართლო უზრუნველყოფს განცხადების გადაგზავნას მოპასუხისთვის, რომელმაც, თავის მხრივ, ერთი თვის ვადაში სასამართლოს უნდა მიაწოდოს შესაგებელი საკუთარი ვინაობისა და მისამართის, დავის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლის, საკუთარი მოთხოვნის მითითებით.

აღნიშნული შესაგებლის შეტანის შემდეგ, თავმჯდომარე დანიშნავს მომხსენებელი მოსამართლის მიერ წინასწარი მომხსენების წარმოდგენის თარიღს. მასში გადმოცემული უნდა იყოს რეკომენდაციები საქმის შემდგომი განხილვის მიმართულებების შესახებ. ამ საკითხზე საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს გენერალური მდივანი, რის შემდეგაც სასამართლო გადაწყვეტს საქმისწარმოების განგრძობის საკითხს.

მოსამზადებელი ეტაპი რამდენიმე ქვეეტაპისგან შედგება, კერძოდ, აქ შედის მხარეთა პერსონალური გამოსვლები, ინფორმაციისა და დოკუმენტების წარმოდგენა, ზეპირი ჩვენებები, ექსპერტის მომხსენება, საქმესთან

დაკავშირებული ადგილის ან ნივთის გამოკვლევა. ამ ნარმოებს უძღვება უშუალოდ სასამართლო ან მომხსენებელი მოსამართლე და მასში მონაწილეობას იღებს გენერალური ადვოკატი. სასამართლოს თითოეული მოხსენების შესახებ ოქმს ანარმოებს რეგისტრატორი, რომლის ნებისმიერი ასლის მიღების უფლებაც აქვს თითოეულ მხარეს.

ზეპირ პროცედურას გახსნის და წარმართავს თავმჯდომარე. მას, სხვა მოსამართლეებსა და გენერალურ ადვოკატებს უფლება აქვთ, კითხვით მიმართონ მხარეთა წარმომადგენლებს, მრჩეველებს და ადვოკატებს. გენერალური ადვოკატის მიერ თავისი მოსაზრებების წარმოდგენის შემდეგ, სასამართლო დასრულებულად გამოაცხადებს ზეპირ პროცედურას.

სასამართლოს განაჩენი უნდა შეიცავდეს დასახელებას, გამოტანის თარიღს, თავმჯდომარისა და მონაწილე მოსამართლეების, გენერალური ადვოკატის, რეგისტრატორისა და მხარეების ვინაობას, მხარეთა პოზიციებს, გენერალური ადვოკატის პოზიციას, ფაქტების მიმოხილვას, გადანყვეტილების საფუძვლებს, მიღებულ გადანყვეტილებას და მისი აღსრულების ხარჯების განაწილების წესს. განაჩენი გამოქვეყნდება ღია სხდომაზე. მას რეესტრში შეიტანს რეგისტრატორი და ასლებს გადასცემს მხარეებს. განაჩენი ძალაში შედის გადაცემის მომენტიდან და სავალდებულოა შესასრულებლად.

თუ სასამართლოს გადანყვეტილების გამოტანამდე მხარეები მიაღწევნ შეთანხმებას და მიმართავენ სასამართლოს საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნით, მოსამართლე დააკმაყოფილებს ამ თხოვნას და საქმე ამოღებულ იქნება რეესტრიდან. მსგავსი პროცედურა გამოიყენება, თუ მოსარჩლე საქმისწარმოების მიმდინარეობისას უარს იტყვის თავის სასარჩელო განცხადებაზე.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, ასევე, უფლებამოსილია, ზემოაღნიშნული პროცედურის დაცვით განიხილოს საჩივრები პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებებზე.

§ 4. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს დაფუძნების იდეა პირველი მსოფლიო ომის დროს დაიბადა. 1919 წლის 28 ივნისს ხელმოწერილი ვერსალის ხელშეკრულების 226-ე მუხლი ადგენდა, რომ სამხედრო დამნაშავეებს, გერმანიის ყოფილი იმპერატორის კაიზერ ვილჰელმ II-ის ჩათვლით, პასუხისგებაში მისცემდა სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალი. ასევე, 228-ე მუხლი მოითხოვდა გერმანი-

ის მთავრობისგან მოკავშირეებისთვის ყველა იმ პირის გადაცემას, რომელთაც ბრალი ედებოდათ ომის წარმოების წესებისა და ჩვეულებების დარღვევაში. თუმცა, ამ შემთხვევაში კაიზერი არ ყოფილა გასამართლებული, ვინაიდან მას თავშესაფარი მისცა ნიდერლანდების მთავრობამ და მოკავშირეებმაც, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით, არ გასწიეს სათანადო ძალისხმევა ამ მიმართებით.

მოგვიანებით ადგილი ჰქონდა არაერთ წარუმატებელ მცდელობას, გაესამართლებინათ საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ სომხეთის გენოციდში ბრალდებული თურქები. 1920 წლის 10 აგვისტოს სევრესის ხელშეკრულება, რომელიც არასდროს არ ყოფილა რატიფიცირებული, ითვალისწინებდა თურქეთის ტერიტორიაზე მასობრივ მკვლელობებში დამნაშავე პირთა ექსტრადიციას. მაგრამ 1922 წლის ლოზანის ხელშეკრულებით, მოხდა აღნიშნულ პირთა ამნისტია.

1926 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციამ, საერთაშორისო სამართლის ასოციაციის მხარდაჭერით, შეიმუშავა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროექტი, რომელმაც ვერ მიიღო რეალიზაციისთვის აუცილებელი პოლიტიკური მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობისგან.

1937 წელს ერთა ლიგამ მიიღო კონვენცია ტერორიზმის თავიდან აცილების შესახებ და კონვენცია ტერორიზმში ბრალდებულ პირთა გასასამართლებლად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ. მაგრამ შედეგი არც ამ მცდელობას მოჰყოლია და არც აღნიშნული კონვენციები ამოქმედებულა, ვინაიდან პირველი მათგანის რატიფიკაცია მხოლოდ ინდოეთმა მოახდინა, მეორემ კი ვერც ერთი სახელმწიფოს მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოკავშირეებმა შექმნეს ორი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი ნიურნბერგსა და ტოკიოში. აღნიშნული ტრიბუნალების მიერ ნაცისტი სამხედრო დამნაშავეების გასამართლებამ და მსჯავრდებამ ახალი ბიძგი მისცა საერთაშორისო თანამეგობრობის მისწრაფებას სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი სასამართლოს დასაფუძნებლად.

1949 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიამ დაიწყო მუშაობა ნიურნბერგის პრინციპების პროექტზე, ასევე, მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის პროექტზე. კოდექსი 1951 წლისთვის უკვე მზად იყო, მაგრამ მისი შემდგომი რეალიზაციისთვის გენერალურ ასამბლეას აუცილებელი ზომები არ მიუღია.

მომდევნო წლებში, ცივი ომის პირობებში, აღნიშნულ საკითხზე მუშაობამ სტაგნაცია განიცადა. მხოლოდ 70-იან წლებში ადამიანის

უფლებათა კომისიის ad hoc კომიტეტმა აფრიკის საკითხებზე თხოვნით მიმართა გაეროს, გაეტარებინა ღონისძიებები აპარტიდის რეჟიმის წინააღმდეგ. ამ საკითხზე, ფაქტობრივად, კონსენსუსი არსებობდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი აღნიშნული სახის დანაშაულის ჩამდენ პირთა გასამართლების მიზნით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დასაარსებლად. მაგრამ, როდესაც 1989 წელს ტრინიდადმა და ტობაგომ გაეროსგან მოითხოვა საერთაშორისო სასამართლოს შექმნა ნარკოტიკების მწარმოებელთა გასამართლების მიზნით, გენერალურმა ასამბლეამ მიმართა ადამიანის უფლებათა კომისიას, გაეუმჯობესებინა მუშაობა აღნიშნულ საკითხზე.

საკითხისადმი მსგავსი მიდგომის მიზანშეწონილობა შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა. არაადამიანურმა ქმედებებმა ყოფილ იუგოსლავიასა და რუანდაში აიძულა გაერო, საკუთარი ნებსების VII მუხლის შესაბამისად, შეექმნა ორი საერთაშორისო ad hoc ტრიბუნალი: პირველი მათგანი – 1993 წელს ქ. ჰააგაში, ხოლო მეორე – 1994 წლის ნოემბერში, ტანზანიის ქალაქ არუშაში.

ამას მოჰყვა ის, რომ 1995 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ შექმნა ad hoc კომიტეტი 1994 წლის სტატუტის პროექტის საფუძველზე სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შესაქმნელად. ერთი წლის მუშაობის შემდეგ, კომიტეტმა თხოვნით მიმართა გენერალურ ასამბლეას, შეექმნა მოსამზადებელი კომიტეტი. ამ კომიტეტმა თავისი მოხსენება წარუდგინა გენერალურ ასამბლეას 1996 წლის დეკემბერში, რის შემდეგაც მისი უფლებამოსილება გაგრძელებულ იქნა 1998 წლამდე, მომავალი დიპლომატიური კონფერენციისთვის სტატუტის ტექსტის მოსამზადებლად.

1997 წლის იანვარში გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა, მოეწვია სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენცია ქ. რომში 1998 წლის 15-17 ივლისისთვის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის დასადგენად.

რომის კონფერენცია საყოველთაოდ აღიარებული იურისტებისა და ექსპერტების მიერ შეფასებულია ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად გაეროს მთელი არსებობის მანძილზე, უკანასკნელი 53 წლის მანძილზე და ამ მხრივ იგი სწორედ გაეროს დაფუძნების მიზნით მოწვეულ სან-ფრანცისკოს კონფერენციას შეიძლება გაუტოლდეს. გაეროს ნევრ-სახელმწიფოების სრულუფლებიანი წარმომადგენლების დიპლომატიური კონფერენცია დასრულდა სტატუტის ხელმოწერით, რომელიც შედგება პრეამბულის, 13 თავისა და 128 მუხლისაგან.

სულისკვეთება, რომლითაც განმსჭვალული იყვნენ ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სასამართლოს დაფუძნებაში მონაწილე სახელმწიფოები, ნათლად აისახა სტატუტის პრეამბულაში. დოკუმენტის ამ ნაწილში აღნიშნულია, რომ ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ხალხები მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებული, თითოეული ხალხისა და ერის მიერ შექმნილი კულტურული ღირებულებანი ქმნის მთლიანად კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას, რომლის უმთავრესი ფასეულობაც სწორედ მის მრავალფეროვნებაში მდგომარეობს. ამასთან, ეს მემკვიდრეობა ნებისმიერ დროს შეიძლება განადგურდეს. ამის საფუძველს, განსაკუთრებით, უკანასკნელი ასწლეული იძლევა, რომლის მანძილზე მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა კაცობრიობისათვის შემადრწუნებელ და წარმოუდგენელ არაერთ ბოროტმოქმედებას. მსგავსი უმძიმესი დანაშაულების ჩადენის შესაძლებლობა კვლავაც უქმნის საფრთხეს საყოველთაო მშვიდობას და თითოეული ბოროტმოქმედისთვის სასჯელის უცილობელ მიზღვას გვეკარნახობს. ეს კი მიიღწევა, ერთი მხრივ, თითოეულ სახელმწიფოში ნაციონალურ დონეზე სათანადო გარანტიების დანესებით, მეორე მხრივ, ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებით. საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ პირთა დასჯადობის გარდაუვალობა გამაფრთხილებელი დატვირთვის მატარებელია. თითოეული სახელმწიფო ვალდებულია, გაავრცელოს საკუთარი სისხლის სამართლის იურისდიქცია საერთაშორისო დამნაშავეებზე. ამ პროცესში გასათვალისწინებელია გაეროს წესდების მიზნებსა და პრინციპებიდან გამომდინარე ის გარემოება, რომ ყოველმა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ძალის გამოყენებისაგან, ასევე ძალის გამოყენების მუქარისაგან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, გაეროს არც ერთ წევრ-სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს უფლება, ჩაერიოს ნებისმიერი სხვა ქვეყნის შინაიურისდიქციაში შემავალ შეიარაღებულ კონფლიქტში. ეს მომენტიც ერთ-ერთ იმ ფაქტორად გვევლინება, რომელიც განაპირობებდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ფორმირების აუცილებლობას, კაცობრიობის ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით. ეს სასამართლო წარმოადგენს გაეროს სისტემის ნაწილს. მისი იურისდიქცია ვრცელდება ყველაზე სერიოზულ დანაშაულებზე, რომლებიც ზოგადასაკაცობრიო ღირებულებებს უქმნიან საფრთხეს. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო მოწოდებულია, შეავსოს და სრულყოს სისხლის სამართლის იუსტიციის ნაციონალური ორგანოების საქმიანობა, შექმნას საერთაშორისო მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მყარი გარანტიები და განამტკიცოს მისდამი პატივისცემა.

სასამართლოს შორეირების წესი, სტრუქტურა
და წევრთა სტატუსი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს იურიდიქცია იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით უმძიმეს, ყველაზე სერიოზულ დანაშაულებში და რომლებიც სახელმწიფოთა თანამეგობრობის სრულიად სამართლიან შეშფოთებას იწვევს. გაეროსთან სასამართლოს ურთიერთობა რეგულირდება სპეციალური შეთანხმებით, რომელსაც მხარი უნდა დაუჭიროონ სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებმა. შეთანხმების დადებისას სასამართლოს თავმჯდომარე წარმომადგენლობს.

სასამართლოს ოფიციალურ ადგილსამყოფელს ქ. ჰააგა წარმოადგენს. სასამართლოს თავმჯდომარე ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან დებს სპეციალურ ხელშეკრულებას შტაბბინის შესახებ, რომელიც შემდგომ საჭიროებს სტატუტის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ დამტკიცებას. თუმცა, მისთვის მინიჭებული ფუნქციები და უფლებამოსილებები სასამართლომ შეიძლება შეასრულოს ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ასევე, ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შესაბამისი თანხმობის არსებობის პირობებში.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შემადგენლობაში მოსამართლეები აირჩევიან და იუსტიციის ამ ორგანოს დაქვემდებარებაში იმყოფებიან მართლმსაჯულების ფუნქციის მუდმივად გასატარებლად მათი უფლებამოსილებების ცნობის დღიდან.

ამ თანამდებობაზე აირჩევიან მაღალი მორალური თვისებების მქონე, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ მათივე სახელმწიფოს მოსამართლისთვის ნაყენებულ მოთხოვნებს. სასამართლოს წევრობის კანდიდატი კომპეტენტური უნდა იყოს სისხლის სამართლის მატერიალურ ნაწილში, კარგად ერკვეოდეს საპროცესო სამართლის ნიუანსებში, ჰქონდეს მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის ან სისხლის სამართალწარმოების სფეროს სხვა თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება, ან იყოს საერთაშორისო სამართლის მცოდნე ავტორიტეტული სპეციალისტი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების სფეროში. მოსამართლეობის კანდიდატი სრულყოფილად უნდა ფლობდეს სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენას და თავისუფლად შეეძლოს ამ ენაზე საუბარი.

მოსამართლის თანამდებობაზე კანდიდატის წამოყენება შეუძლია სტატუტის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს ორი ალტერნატიული

პროცედურით: მოცემულ სახელმწიფოში არსებული წესით ან უშუალოდ საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით დადგენილი წესით. ამ მიზნით სასამართლოში შეიტანება სპეციალური განცხადება, სადაც დეტალურადაა ასახული და დასაბუთებული კანდიდატის შესაბამისობა სასამართლოს წევრისთვის სტატუტით დადგენილ მოთხოვნებთან. არჩევნების ჩატარების დროს თითოეული წევრი-სახელმწიფო უფლებამოსილია, წარადგინოს ერთი კანდიდატი.

მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა უფლებამოსილია, დააფუძნოს კანდიდატთა წარდგენის საკითხში საკონსულტაციო კომიტეტი და განსაზღვროს მისი შემადგენლობა და მანდატი.

მოსამართლეები აირჩევიან ფარული კენჭისყრით მონაწილე სახელმწიფოების მიერ სპეციალურად ამ მიზნით მოწვეულ ასამბლეის სხდომაზე. არჩეულად ჩაითვლება ის 18 კანდიდატი, რომელიც მიიღებს სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა ხმების 2/3-ს. თუ პირველი ტურის დროს მოსამართლეთა სათანადო რაოდენობა არ იქნება არჩეული, სასამართლოს შემადგენლობის შევსებამდე, შემდგომი ტურებიც ანალოგიური პროცედურით ტარდება. წევრად არ შეიძლება აირჩეს ერთი და იმავე სახელმწიფოს ორი მოქალაქე. თუ კანდიდატი ორი სახელმწიფოს მოქალაქეა, იგი მიიჩნევა იმ სახელმწიფოს მოქალაქედ, სადაც იგი სარგებლობს საკუთარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით.

მოსამართლეების არჩევისას მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მსოფლიოს ძირითადი სამართლებრივი სისტემების, გეოგრაფიული სპექტრის, სხვადასხვა სქესის პირთა თანაბარი წარმომადგენლობა. სასამართლოს სრული შემადგენლობის ფორმირების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კიდევ ერთი გარემოება: სასამართლოს წევრებად უნდა აირჩიონ პირები, რომლებიც ფლობენ იურიდიული საქმიანობის გამოცდილებას სხვადასხვა საკითხზე.

მოსამართლეები აირჩევიან 9 წლის ვადით – გადარჩევის უფლების გარეშე. ამასთან, ნავარაუდევია სასამართლოს შემადგენლობის სამ წელიწადში 1/3-ით განახლება, ისე, რომ სასამართლოს პირველი შემადგენლობის ერთი მესამედის უფლებამოსილების ვადაა 3 წელი, მეორე მესამედის – 6 წელი, ხოლო დარჩენილი მესამედისა კი უფლებამოსილების სრული ვადა – 9 წელია. მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდება უფლებამოსილების ერთიანი ცხრანობიანი ნორმა და ისიც, იმის გათვალისწინებით, რომ როტაციის წესი გამოყენებულ უნდა იყოს იმ პირობით, რომ სასამართლოს ან სააპელაციო პალატის წევრს უფლებამოსილება შეუნწყდება მხოლოდ მიმდინარე საქმისწარმოების დასრულების შემდეგ. მოსამართ-

ლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, გარდაცვალებ-
ნიას ან საკუთარი განცხადებით უფლებამოსილების მოხსნის დროს, ვა-
კანსია შეიცვლება სტატუტით დადგენილი ჩვეულებრივი პროცედურით,
ე.ი. ასამბლეის მიერ ხმათა 2/3-ით. როტაციის ნესი გავრცელდება ვაკან-
სიის შესავსებად არჩეულ მოსამართლეზეც.

სასამართლოს სტრუქტურულ დანაყოფებს წარმოადგენენ: პრეზიდ-
იუმი, სააპელაციო განყოფილება; სასამართლო განყოფილება; წინასწარი
წარმოების განყოფილება; პროკურორის კანცელარია; სამდივნო.

ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სასამართლო ირჩევს თავმჯ-
დომარეს, პირველ და მეორე ვიცე-თავმჯდომარეებს. ისინი შეადგენენ
პრეზიდიუმს, რომელიც პასუხისმგებელია სასამართლოს საქმეების სა-
თანადო მართვაზე და სტატუტით მასზე დაკისრებული სხვა ფუნქციების
განხორციელებაზე. პრეზიდიუმის წევრები საკუთარ უფლებამოსილებებს
მუდმივად ახორციელებენ ამ თანამდებობაზე არჩევის დღიდან. სასა-
მართლოს სტრუქტურული ერთეულებიდან მხოლოდ პროკურორის კან-
ცელარია არ ექვემდებარება პრეზიდიუმის გამგებლობას. სასამართლო
განახორციელებს პროკურორთან საქმიანობის კოორდინაციას და მი-
იღებს მის თანხმობას საერთო ინტერესში შემავალ ყველა საკითხზე.

შემადგენლობის დაკომპლექტების შემდეგ სასამართლო უმოკლეს ვა-
დაში ქმნის სტრუქტურულ დანაყოფებს. სააპელაციო განყოფილება
შედგება თავმჯდომარისა და 4 მოსამართლისგან, ხოლო სასამართლო
განყოფილება და წინასწარი წარმოების განყოფილება თითოეული არანაკ-
ლებ ექვსი წევრისგან. განყოფილებაში მოსამართლეთა განაწილებისას
მხედველობაში მიიღება თითოეული განყოფილების ფუნქცია, მოსა-
მართლეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება. აღნიშნულის გათვალ-
ისწინებით, თითოეულ განყოფილებაში შეყვანილი უნდა იყოს, ერთი
მხრივ, სისხლის სამართლისა და პროცესის და, მეორე მხრივ, საერთა-
შორისო სამართლის სპეციალისტების ოპტიმალური რაოდენობა. პრიორ-
იტეტული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო განყოფილებისა და
წინასწარი წარმოების განყოფილების დაკომპლექტებას, უპირველეს ყოვ-
ლისა, პროფესიონალებით სისხლის სამართლის წარმოების სფეროში.

სააპელაციო განყოფილების ყველა მოსამართლე შეადგენს ერთიან
სააპელაციო პალატას. სასამართლო პალატა თავის ფუნქციებს ახორ-
ციელებს სასამართლო განყოფილების სამი მოსამართლის შემადგენლო-
ბით, ხოლო წინასწარი წარმოების პალატის ფუნქციები ხორციელდება
წინასწარი წარმოების განყოფილების სამი მოსამართლის შემადგენლო-
ბით ან მხოლოდ ერთი მოსამართლის მიერ. სასამართლოს წარმოებაში
არსებული საქმეების მოცულობის შესაბამისად, შესაძლებელია ერთზე

მეტი სასამართლო პალატის ან წინასწარი წარმოების პალატის ფორმირება.

სასამართლოსგან განცალკევებული ორგანოს სახით ფუნქციონირებს პროკურორის კანცელარია. იგი უფლებამოსილია მის კომპეტენციაში შემავალ დანაშაულზე მოიპოვოს დასაბუთებული, საფუძვლიანი ინფორმაცია, შეისწავლოს ეს ცნობები და ჩაატაროს გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა. კანცელარიის თანამშრომლებს ეკრძალებათ რომელიმე გარეშე ორგანოს მითითებათა შესრულება. თავად პროკურორის უფლებამოსილებას შეადგენს კანცელარიის ხელმძღვანელობა და მართვა, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება კანცელარიის პერსონალის, შენობისა და მის გამგებლობაში არსებული სხვა რესურსების მიმართ. აღნიშნულ საქმიანობაში პროკურორს ხელს უწყობს ერთი ან რამდენიმე მოადგილე, რომლებიც ენაცვლებიან მას არყოფნის შემთხვევაში. პროკურორი და მისი მოადგილეები სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს უნდა წარმოადგენდნენ და მხოლოდ პროკურატურის კანცელარიაში უნდა იყვნენ დასაქმებულნი.

მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ფარული კენჭისყრით ირჩევს პროკურორს, ხოლო პროკურორის წარდგინებით – მის მოადგილეებს. როგორც წესი, პროკურორი და მისი მოადგილეები აირჩევიან 9 წლის ვადით.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ ფუნქციების განხორციელებას ხელს უწყობს სამდივნო, რომელიც არაპროცესუალურ საკითხებს კურირებს. სამდივნოს ხელმძღვანელობს მდივანი, რომელიც მთავარ ადმინისტრაციულ თანამდებობის პირს წარმოადგენს. მდივანი აირჩევა ასამბლეის მიერ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. საჭიროების შემთხვევაში, მდივნის რეკომენდაციით, ანალოგიური პროცედურით აირჩევენ მის მოადგილეს. მდივანი სამდივნოს სტრუქტურაში აფუძნებს დაზარალებულთა და მონმეთა დახმარების ჯგუფს, რომელიც პროკურორის კანცელარიის კონსულტირებით განახორციელებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას აღნიშნული კატეგორიის პირთა დასაცავად და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მთლიანად სასამართლოს და, კერძოდ, მისი სტრუქტურული დანაყოფების ეფექტური საქმიანობა განპირობებულია სასამართლოს აპარატისა და მაღალკვალიფიციური პერსონალის არსებობით, რომლებსაც ქვემდებარე დანაყოფებში ნიშნავენ პროკურორი და მდივანი. პერსონალის შერჩევისას გაითვალისწინება კანდიდატების შრომისუნარიანობა, კომპეტენტურობა და კეთილსინდისიერება. პრეზიდენტი და პროკურორის

თანხმობით, მდივანი სახელმწიფოთა ასამბლეას დასამტკიცებლად წარუდგენს დებულებას პერსონალის შესახებ, რომელშიც უნდა განისაზღვროს მათი დანიშვნის, გათავისუფლებისა და შრომის ანაზღაურების საკითხები. თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე მოსამართლეები, პროკურორი და მისი მოადგილეები, მდივანი და მისი მოადგილეები სასამართლოს ღია სხდომაზე საჯაროდ და საზემოდ აცხადებენ, რომ თავიანთ ფუნქციებს განახორციელებენ მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად.

მოსამართლეების, პროკურორის, მდივნის და მათი მოადგილეების თანამდებობიდან გათავისუფლება დასაშვებია, თუ დადგინდება, რომ მან ჩაიდინა სერიოზული გადაცდომა ან სტატუტით დაკისრებული მოვალეობების სერიოზული დარღვევა, ან მას არ შესწევს უნარი, განახორციელოს ეს უფლებამოსილებანი. აღნიშნული საფუძვლების არსებობისას: მოსამართლეს თანამდებობიდან გადააყენებს მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედის უმრავლესობა, დანარჩენი მოსამართლეების ორი მესამედის თხოვნით; პროკურორს – მონაწილე სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა; პროკურორის მოადგილეს – პროკურორის ინიციატივით, მონაწილე სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა; მდივანსა და მის მოადგილეებს – მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა. აღნიშნული პროცედურის წამოწყების შემთხვევაში, შესაბამის პირებს შეუძლიათ შეაგროვონ და წარადგინონ მტკიცებულებანი თავიანთი პოზიციის დასაცავად. შედარებით მსუბუქი ხასიათის გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, სასამართლოს თანამდებობის პირთა მიმართ გამოიყენება დისციპლინური ზემოქმედების ზომები. მეორე მხრივ, მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სასამართლოს წევრები სარგებლობენ პრივილეგიებისა და იმუნიტეტების იმ ხარისხით, რომელიც აუცილებელია სასამართლოს მიზნების მისაღწევად, კერძოდ, მათ მიმართ გამოიყენება დიპლომატიური წარმომადგენლების შესაბამისი პრივილეგია – იმუნიტეტები. მათ საჯარო გამოსვლებზე, წერილობით ფორმულირებებსა და მოქმედებებზე სასამართლო-პროცესუალური იმუნიტეტი ვრცელდება მათი უფლებამოსილების ამონურვის შემდეგაც.

მდივნის მოადგილე, პროკურორის კანცელარიისა და სამდივნოს თანამშრომლები, ასევე სარგებლობენ ყველა იმ პრივილეგიით, იმუნიტეტითა და შეღავათით, რომელიც აუცილებელია მათი ფუნქციების განსახორციელებლად.

დამცველს, ექსპერტებს, მონაწილესა და ნებისმიერ სხვა პირს, რომლის ყოფნაც აუცილებელია სასამართლო განხილვის ადგილზე, მიენიჭება სასა-

მართლოს სათანადო ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სტატუსი. ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია იმუნიტეტის ჩამორთმევა, კერძოდ, მოსამართლისა და პროკურორის მიმართ ეს საკითხი გადაწყდება მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობით, მდივნის მიმართ კი – პრეზიდენტის მიერ, პროკურორის მოადგილეებისა და მისი თანამშრომლების მიმართ – პროკურორის მიერ, ხოლო მდივნის მოადგილეებისა და მისი თანამშრომლების მიმართ – უშუალოდ მდივნის მიერ.

მოსამართლეების, პროკურორისა და მისი მოადგილეების, მდივნისა და მისი მოადგილეების თანამდებობრივ სარგოებსა და ხარჯების კომპენსაციებს განსაზღვრავს ასამბლეა და არ შეიძლება მათი შემცირება აღნიშნული თანამდებობის პირების უფლებამოსილებათა მთელი ვადის მანძილზე.

საქმიანობის პრინციპები

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებაში „პრინციპები“ ორ ასპექტში უნდა განვიხილოთ: ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ მართლმსაჯულების ამ საერთაშორისო ორგანოს საქმიანობა სისხლის სამართლის ზოგად პრინციპებს ეფუძნება, მეორე მხრივ, იგულისხმება ზოგიერთი პრინციპული დებულება, რომელიც სასამართლოს სტრუქტურასა და ორგანიზაციულ მოწყობას განამტკიცებს.

სტატუტში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია სისხლის სამართლის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, როგორცაა *Nullum crimen sine lege*, ე.ი. პირი არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუ შესაბამისი ქმედება მისი ჩადენის მომენტისთვის სამართლის მიხედვით არ იყო მიჩნეული დანაშაულად. დანაშაულთა შემადგენლობები სიტყვა-სიტყვით უნდა განიმარტოს და გამორიცხულია ანალოგიის გამოყენება. დანაშაულის ცნების ბუნდოვანებისას, იგი უნდა განიმარტოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდადებულის სასარგებლოდ.

აღნიშნულ პრინციპთან ახლოს დგას – *Nulla poena sine lege* – კიდევ ერთი პრინციპი, რომლის მიხედვით მსჯავრდადებულ პირს სასჯელი შეეფარდება სტატუტის დებულებების შესაბამისად. ამასთან, იურისდიქცია არ ვრცელდება სტატუტის ძალაში შესვლამდე ჩადენილ დანაშაულზე. კონკრეტული საქმის განხილვის მიმდინარეობისას, სტატუტში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, უკუქცევითი ძალა ენიჭება მხოლოდ იმ დებულებებს, რომლებიც ამსუბუქებს პირის საპროცესო მდგომარეობასა და პასუხისმგებლობას.

დეგო. სტატუტის მიხედვით, ამკარად მართლსაწინააღმდეგოდ აღიარებულია დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ და გენოციდი.

სტატუტის მე-10 მუხლში გადმოცემული პრინციპის თანახმად, არც ერთი დებულება ზიანის მიყენების შესახებ არ უნდა განიმარტოს როგორც რაიმე ფორმით შემზღუდავი, უკვე მოქმედი ან ძალაში შესვლის პროცესში მყოფი საერთაშორისო სამართლის ნორმებისა.

სტატუტის 6-ე მუხლი განამტკიცებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, კერძოდ, არავინ არ ჩაითვლება დამნაშავედ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება სასამართლოში გამოსაყენებელი კანონის შესაბამისად. ამ პრინციპის მეორე ასპექტის თანახმად, ბრალდების ტვირთი აწევს პროკურორს. მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოების თანახმად, ბრალდებულის მსჯავრდებისთვის სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ იგი ბრალეულია და არ არსებობს არავითარი კეთილგონიერი ეჭვი ამის საწინააღმდეგოდ.

ახლა, მოკლედ, ზოგიერთი იმ პრინციპული თავისებურებებისა და წესების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს სასამართლოს ორგანიზაციულ ერთიანობას. პირველ რიგში, ის უნდა ითქვას, რომ სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული, რომლებზეც ქვეყნდება სასამართლოს დადგენილებანი და სხვა გადაწყვეტილებანი. სამუშაო ენებს წარმოადგენს ინგლისური და ფრანგული, თუმცა შესაძლებელია განხილულ იქნეს საკითხი სხვა სამუშაო ენის გამოყენების შესახებ.

ასამბლეა მონანილე სახელმწიფოთა ორი მესამედის უმრავლესობით მიიღებს სასამართლოს პროცედურისა და მტკიცების წესებს და შეიტანს მათში ცვლილებებსა და დამატებებს. მსგავსი ინიციატივით შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი მონანილე სახელმწიფო, მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ან პროკურორი, თუ მოქმედ წესებს ხარვეზი ახასიათებს, კერძოდ, ითვალისწინებს საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ რომელიმე კონკრეტულ სიტუაციას. მოსამართლეების ორი მესამედის უმრავლესობით მიიღებენ დროებით წესებს, ასამბლეის მიერ შესაბამისი ცვლილებისა თუ დამატების შეტანამდე. ამასთან, დაუშვებელია შესწორებებისა და დროებითი წესების უკუქცევითი ძალის გამოყენება. ერთი მხრივ, სტატუტსა და, მეორე მხრივ, პროცედურისა და მტკიცების წესებს შორის კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესი იურიდიული ძალით სტატუტი სარგებლობს.

ყოველდღიური საქმიანობის დასარეგულირებლად სასამართლო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღებს რეგლამენტს, რომლის შემუშავებისას აქტიური კონსულტაციები ტარდება პროკურორსა და მდივანთან. რეგლამენტი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ყველაზე უფრო საშიშ და სერიოზულად მიჩნეულ დანაშაულებზე, როგორცაა: გენოციდი; კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; სამხედრო დანაშაული; აგრესია. პირველი სამი სახის დანაშაულის დეფინიცია უშუალოდ სტატუტშია მოცემული. რაც შეეხება „აგრესიას“, დადგენილია, რომ საუკეთესოდ იქნება განსაზღვრული მისი ცნება და პირობები, რომლის დროს სასამართლო გაავრცელებს საკუთარ იურისდიქციას ამ დანაშაულზე. ამასთან, ეს განსაზღვრება სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს გაეროს ნესდების სათანადო დებულებებთან.

გენოციდი გულისხმობს ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც მიმართულია რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ გასანადგურებლად, კერძოდ, იგულისხმება ასეთი ჯგუფის წევრთა მასობრივი მკვლელობა, სერიოზული ფიზიკური ზიანის მიყენება ან ფსიქიკის მოშლა, განზრახ ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მიმართულია მათი მთლიანად ან ნაწილობრივ გასანადგურებლად, ზომები, რომლებიც მიმართულია ასეთ ჯგუფში შობადობის შესამცირებლად, ადამიანთა ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების იძულებით გადაცემა.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად მიჩნეულია განზრახ ფართომასშტაბიანი და სისტემური თავდასხმა სამოქალაქო პირებზე, ამა თუ იმ სახელმწიფოს ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის პოლიტიკის გატარების მიზნით, რასაც მოსდევს მკვლელობა, მოსახლეობის ნაწილის განადგურების მიზნით ცხოვრების მძიმე პირობების შექმნა, მათ შორის, კვების პროდუქტებისა და ნაწილების მისაწვდომობის შეზღუდვა; დამონება, ე.ი. საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული უფლებების გამოყენება პიროვნების მიმართ, როგორცაა ადამიანით, კერძოდ, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად მიჩნეულია, აგრეთვე, მოსახლეობის დეპორტაცია ან ადგილსამყოფლის იძულებით შეცვლა, ე.ი. საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა წინააღმდეგოდ და უსაფუძვლოდ განდევნა მათი ადგილსამყოფლიდან, პირის საპრობილემო ჩასმა ან საერთაშორისო სამართლის ნორმათა დარღვევით ფიზიკური თავისუფლების სხვაგვარი სასტიკი ფორმით შეზღუდვა; ნაშევა, ე.ი. პატიმრობაში ან კონტროლქვეშ მყოფი ბრალდებულისთვის ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილის ან ტანჯვის მიყენება. ნაშევა არ ჩაითვლება ის ტანჯვა და

ტკივილი, რომელიც გამოწვეულია კანონიერი სანქციის გამოყენებით; გაუპატიურება, იძულება პროსტიტუციისაკენ, იძულებითი ორსულობა, იძულებითი სტერილიზაცია ან ამ მოქმედებათა ტოლფასი სხვა სახის სექსუალური ძალადობა; პოლიტიკური, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური ნიშნით პირთა ჯგუფის დევნა, სახელმწიფოსა და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ან მათი ნებართვით ადამიანების მოტაცება შემდგომში ამ ფაქტის უარყოფით და მოტაცებული პირების ადგილმდებარეობის ხანგრძლივი დროის მანძილზე დაფარვით; აპარტიდის დანაშაული, რომელიც ჩადენილია ერთი რასის დათრგუნვის მიზნით, მასზე ბატონობის ინსტიტუციონალიზებული რეჟიმის პირობებში და მის შესანარჩუნებლად.

საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება სამხედრო დანაშაულებზე, როცა ისინი გეგმა ზომიერადაა ჩადენილი ან პოლიტიკის რანგშია აყვანილი, და საერთოდ, მსგავსი დანაშაულის ფართო მასშტაბით ჩადენაზე. კონკრეტულად კი, სამხედრო დანაშაულად მიჩნეულია 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის მოთხოვნათა დარღვევა, ამ კონვენციით დაცულ პირთა და მათი ქონების მიმართ მართლსაწინააღმდეგო ქმედება: განზრახ მკვლელობა; ნაძვება და არაადამიანური მოპყრობა, განზრახ ძლიერი ტანჯვის ან ფიზიკური ზიანის მიყენება; უკანონო, უაზრო და ფართომასშტაბიანი განადგურება ან ქონების მითვისება, რაც არ იყო განპირობებული სამხედრო აუცილებლობით; სამხედრო ტყვის მონინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის იძულება; უკანონო დეპორტაცია ან თავისუფლების აღკვეთა; მძევლების აყვანა.

სამხედრო დანაშაულად, ასევე, მიიჩნევა შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობისას საერთაშორისო სამართლის ნორმების და ჩვეულებების დარღვევა: განზრახ თავდასხმა მოსახლეობაზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც მონანილეობას არ იღებენ სამხედრო მოქმედებებში, ასევე, სამოქალაქო ობიექტებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ სამხედრო სამიზნეებს; განზრახ დარტყმების მიყენება პერსონალზე, ობიექტებზე, მასალაზე, დანაყოფებზე ან სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც, გაეროს ნუსდების შესაბამისად, მონანილეობენ ჰუმანიტარული დანშარების ან სამშვიდობო მისიაში; განზრახ თავდასხმების განხორციელება, როდესაც ცნობილია, რომ ასეთი თავდასხმა გამოიწვევს სამოქალაქო პირთა შემთხვევით სიკვდილს ან დასახიჩრებას; თავდასხმა დაუცველ სოფლებზე, საცხოვრებელზე ან შენობაზე ან მათზე სხვაგვარად ცეცხლის გახსნა ნებისმიერი იარაღის გამოყენებით; მკვლელობა ან დაჭრა იმ კომბატანტისა, რომელმაც იარაღი ჩააბარა, აღარა აქვს თავდაცვის სხვა საშუალება და უპირობოდ ჩაბარდა ტყვედ; შხამის ან მომნამლაჟი იარაღის გამოყენება და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება იმ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილ იქნება სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ. სტატუტის მონაწილე სახელმწიფო ავტომატურად ცნობს სასამართლოს იურისდიქციას ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე, თუ ისინი ჩადენილია ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ბრალდებული პირი მის მოქალაქეს წარმოადგენს. თუ სასამართლოს საქმიანობის პროცესში საჭირო შეიქნება მისი იურისდიქციის გავრცელება არამონაწილე სახელმწიფოზე, ეს უკანასკნელი სამდივნოს წარუდგენს განცხადებას მოცემული დანაშაულის მიმართ სასამართლოს იურისდიქციის ცნობის შესახებ. გარდა ამისა, სასამართლოს მიერ კონკრეტულ დანაშაულებზე საკუთარი იურისდიქციის გასავრცელებლად აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის შესახებ უნდა ეცნობოს საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს და ეთხოვოს მას გამოძიების ჩატარება ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირისთვის ბრალდების წასაყენებლად. ამ ინფორმაციის მიწოდებისას, რამდენადაც ეს შესაძლებელია, წარდგენილი უნდა იყოს დამამტკიცებელი დოკუმენტაციაც. სწორედ პროკურორია უფლებამოსილი სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს გამოძიება. უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფოებიდან, გაეროს ორგანოებიდან ან სხვა შესაფერისი წყაროებიდან და შეუძლია მიიღოს წერილობითი ან ზეპირი მტკიცებულებანი.

თუ არსებობს საკმარისი საფუძველი გამოძიების დასაწყებად, პროკურორი შესაბამისი დოკუმენტაციით მიმართავს წინასწარი წარმოების პალატას სანქციების მისაღებად. გარკვეული პირობების არსებობისას სასამართლომ შეიძლება უარი განაცხადოს საქმის წარმოებაში მიღებაზე, კერძოდ, თუ მოცემულ საქმეზე სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს სათანადო იურისდიქციის მქონე სახელმწიფო; პირი, რომელიც ეჭვმიტანილად ფიგურირებს, უკვე მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში და სხვ.

პროკურორის მიერ გამოძიების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება მონაწილე სახელმწიფოებს, ასევე იმ ქვეყნებს, რომელთა იურისდიქციაც ვრცელდება მოცემულ დანაშაულზე. თუ პროკურორი მიზანშეწონილად მიიჩნევს, კონფიდენციალურად მოსთხოვს სახელმწიფოს ყველა აუცილებელი ღონისძიების მიღებას პირთა დასაცავად, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად ან ეჭვმიტანილთა დაფარვის თავიდან ასაცილებლად.

შესაძლებელია კონკრეტულ სახელმწიფოში უკვე ჩატარებული ან მიმდინარეობდეს შესაბამის ინფორმაციასთან დაკავშირებული გამოძიება. ამ გარემოების შესახებ მონაწილე სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა

შეატყობინოს საერთაშორისო სასამართლოს და სათანადო ინიციატივის გამოვლენის შემთხვევაში, გადასცეს მას საქმესთან დაკავშირებული ყველა მასალა.

კონკრეტული საქმის წარმოების დაწყებამდე სასამართლო აუცილებლად უნდა დარწმუნდეს საკუთარი იურისდიქციისა და განსჯადობის კანონიერებაში და გამოიტანოს შესაბამისი დადგენილება.

სასამართლოს იურისდიქციის საკითხთან ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ გამოსაყენებელი სამართლის საკითხიც, კერძოდ, თუ რომელი მატერიალური და პროცესუალური ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს მართლმსაჯულების ამ ორგანომ. სტატუტის 21-ე მუხლით, მოცემულია სამართლებრივი აქტების იერარქია. პირველ ყოვლისა, სასამართლო სარგებლობს სტატუტით, მის მიერვე განსაზღვრულ დანაშაულთა ელემენტებით და პროცედურისა და მტკიცების საკუთარი წესებით. მეორე მხრივ, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ნორმები, მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები. დაბოლოს, სასამართლო გამოიყენებს სამართლის ზოგად პრინციპებს, ალებულს მსოფლიოს სამართლებრივი სისტემების ნაციონალური კანონმდებლობიდან. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ სახელმწიფოთა კანონებს, რომლებიც ჩვეულებრივ განახორციელებდნენ იურისდიქციას მოცემულ დანაშაულზე. ყველა აღნიშნული პრინციპი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ისინი შესაბამისობაშია სტატუტთან, საერთაშორისო სამართალთან და საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებთან.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემულ სამართლის ნორმებისა და პრინციპების განმარტებას სავალდებულო ძალა აქვს შემდგომში განსახილველ საქმეებზე, ამასთან, განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ადამიანის უფლებებს და არ უნდა განაპირობებდეს დისკრიმინაციას სქესობრივი, ასაკობრივი, რასობრივი და სხვა ნიშნის მიხედვით.

საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის თავისებურებებს ნათელყოფს სასჯელთა ის სპექტრიც, რომელთა შეფარდების უფლებამოსილებითაც იგი სარგებლობს. სტატუტის 77-ე მუხლის თანახმად, საერთაშორისო დანაშაულში ბრალეულ პირს შეიძლება შეეფარდოს: თავისუფლების აღკვეთა; ჯარიმა; ჩადენილი დანაშაულიდან პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიღებული შემოსავლის, ქონებისა და აქტივების კონფისკაცია.

სასამართლოს საქმიანობის პროცესუალური საკითხები

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქმეთა წარმოება შემდეგ ეტაპებს მოიცავს: გამოძიება, სასამართლო წარმოება, გასაჩივრება და გადასინჯვა, გადანყევტილებათა აღსრულება.

გამოძიების წარმართვის პროცესში ცენტრალური ფიგურა პროკურორი. სწორედ იგი წყვეტს გამოძიების დაწყების საკითხს, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ჩადენილია სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაული; დასაშვებია თუ არა სასამართლოს მიერ ამ საქმის განხილვა; დანაშაულის ხასიათიდან და დაზარალებულთა ინტერესების გათვალისწინებით, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ გამოძიების ჩატარება არ შეესაბამება მართლმსაჯულების ინტერესებს. თუ მსგავსი გარემოებები უშუალოდ გამოძიების დაწყების შემდეგ გამოვლინდება, პროკურორი დაუყოვნებლივ ატყობინებს წინასწარი წარმოების პალატას ან სახელმწიფოს, რომლის ინიციატივითაც გამოძიებოდა მოცემული საქმე. ახლად გამოვლენილი ცნობებისა და ფაქტების საფუძველზე პროკურორს ნებისმიერ დროს შეუძლია გადასინჯოს გადანყევტილება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ.

პროკურორი გამოძიებას წარმართავს საქმესთან კავშირში მყოფი ყველა ფაქტისა და მტკიცებულების გამოსარკვევად. მან, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, უნდა გამოიძიოს როგორც პირის ბრალეულობის, ასევე მისი უდანაშაულობის დამამტკიცებელი გარემოებანი. ამასთან, იგი ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. პროკურორმა უფლებამოსილების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირთა უფლებების დაცვას. სათანადო პირობების არსებობისას, მათ შორის მონაწილე სახელმწიფოს თანხმობით და წინასწარი წარმოების პალატის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, პროკურორი გამოძიებას ატარებს ცალკეული სახელმწიფოს ტერიტორიაზეც. საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად პროკურორი მოიპოვებს და შეინახავს მტკიცებულებებს, გამოიძახებს და დაკითხავს ეჭმიტანილებს, დაზარალებულსა და მონაწილეს, ითანამშრომლებს მონაწილე სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ამ მიზნით გააფორმებს მათთან ცალკეულ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს, მონაწილე სახელმწიფოს მოთხოვნით უზრუნველყოფს მიღებული ინფორ-

მაციის კონფიდენციალობას, ასევე მტკიცებულებათა და ცალკეული პირების უსაფრთხოებას.

სტატუტით დადგენილია საპროცესო გარანტიები იმ პირების მიმართ, რომლებიც სხვადასხვა სტატუსით მონაწილეობენ პროცესში. კერძოდ, აკრძალულია პირის იძულება საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე ან ბრალდების ცნობაზე, დაუშვებელია რაიმე ფორმით პირის მიმართ მუქარა, მისი ნაშემა, სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება. სამართალწარმოების ენის არცოდნის შემთხვევაში, დასაკითხ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს კვალიფიციური თარჯიმანი. დაკითხვის დაწყებამდე პირს უნდა ეცნობოს, რომ არსებობს საკმაო საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის და სასამართლოს კომპეტენციაში შემავალი დანაშაული. ამასთან, მას აქვს დუმილის უფლება. ამ უფლების გამოყენებამ არანაირი გავლენა არ უნდა მოახდინოს მისი ბრალეულობის საკითხის განხილვისას. ეჭმიტანილი და დასაკითხი პირი უფლებამოსილია, საკუთარი არჩევით ისარგებლოს სამართლებრივი დახმარებით. მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, პირს სასამართლოს ხარჯზე დაენიშნება დამცველი.

გამოძიების სტადიაზე პროკურორთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს წინასწარი წარმოების პალატა, რომელიც უფლებამოსილია, გამოძიების მოთხოვნებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, პროკურორის თხოვნით გასცეს განკარგულებანი და ორდერები; დაპატიმრებული და ბრალდებული პირის თხოვნით უზრუნველყოს მისი დაცვის ორგანიზებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება, უზრუნველყოს დაზარალებულისა და მონშეების დაცვა და ხელშეუხებლობა.

გამოძიების მიმდინარეობისას, პროკურორის წინადადებით, წინასწარი წარმოების პალატა გასცემს პირის დაპატიმრების ორდერს, თუ ამას აუცილებლად და სათანადო საფუძვლის მქონედ მიიჩნევს.

მონაწილე სახელმწიფო, რომელსაც გადასცემენ დაპატიმრების ბრძანებას, ვალდებულია, საკუთარი კანონმდებლობის და სტატუტის დებულებათა მოთხოვნის გათვალისწინებით, მიიღოს ზომები შესაბამისი პირის დასაპატიმრებლად. დაპატიმრებული დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოცემული სახელმწიფოს სასამართლოს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეამოწმებს მოცემული პირის მიმართ სწორედ გაიცა თუ არა დაპატიმრების ორდერი, იყო თუ არა იგი დაპატიმრებული სათანადო პროცედურის დაცვით, იყო თუ არა უზრუნველყოფილი მოცემული პირის უფლებები. საქმის სასამართლოსათვის გადაცემამდე, დაპატიმრებული პირი უფლებამოსილია, დაკავების ადგილზე კომპეტენ-

ტურ ორგანოში იშუამდგომლოს დროებით გათავისუფლების მოთხოვნით. ამ შუამდგომლობის განხილვისას შესაბამისმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს კონკრეტული დანაშაულის სიმძიმე, საგანგებო და გამონაკლისი გარემოებები, რომლებიც ამართლებს დროებით გათავისუფლებას, ამასთან, გაითვალისწინოს რამდენად მტკიცე გარანტიები არსებობს იმისა, რომ სახელმწიფო შეასრულებს ამ პირის სასამართლოსთვის გადაცემის პირობას. დროებითი გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა აუცილებლად უნდა განიხილოს წინასწარი წარმოების პალატამ, რომელიც თავის გადაწყვეტილებას აცნობებს მიმღებ ორგანოს. ამ უკანასკნელმა, როგორც წესი, უნდა გაითვალისწინოს მსგავსი რეკომენდაციები, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხება გაქცევის შემაფერებელ ზომებს. პირის გათავისუფლების შემთხვევაში, წინასწარი წარმოების პალატა პერიოდულად გამოითხოვს მოხსენებებს დროებითი გათავისუფლების შესახებ.

დაპატიმრებული პირის გადაცემის შემდეგ მისი დროებითი გათავისუფლების საკითხი შესაძლებელია წინასწარი წარმოების პალატამ განიხილოს, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება პერიოდულად გადასინჯოს პროკურორის ან დაპატიმრებული პირის შუამდგომლობით. ამასთან, პალატამ უნდა უზრუნველყოს, რათა პირის პატიმრობა არ გაგრძელდეს გაუმართლებლად ხანგრძლივი ვადით, თავად გამოძიება პროკურორის მიერ დროულად და ოპერატიულად იქნეს ჩატარებული. გამოძიების გაჭინაურების შემთხვევაში, გარკვეული პირობებით ან უპირობოდ განიხილება პირთა გათავისუფლების საკითხი.

დაპატიმრებული პირის გადაცემის შემდეგ წინასწარი წარმოების პალატა გამართავს განმწესრიგებელ სხდომას, რომელზეც პროკურორის მიერ წარდგენილი ბრალდება უნდა დამტკიცდეს, ე.ი. გადაწყდეს სასამართლოში საქმის განხილვისას ბრალდების მხარის პოზიციის საკითხი. განმწესრიგებელ სხდომაში უნდა მონაწილეობდეს პროკურორი, ბრალდებული და მისი დამცველი. განმწესრიგებელი სხდომა ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარდება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული თავად განაცხადებს უარს, იგი ემალება მართლმსაჯულებას ან შეუძლებელია მისი ადგილსამყოფლის დადგენა.

განმწესრიგებელი სხდომის, ანუ წინასწარი მოსმენის დაწყებამდე ბრალდებულ პირს გადაეცემა ბრალდების ასლი, აგრეთვე, ინფორმაცია პროკურორის მიერ მტკიცებულებათა შესახებ. მოსმენის დაწყებამდე პროკურორის შეუძლია გააგრძელოს გამოძიება და შეცვალოს ან მოხსნას ნებისმიერი ბრალდება. ამ გარემოების თაობაზე დროულად უნდა მოხსენდეს ბრალდებულს. ბრალდების მოხსნის შემთხვევაში, პროკურორი ამის მიზეზებს განუმარტავს წინასწარი წარმოების პალატას.

წინასწარი წარმოების პალატა: ადასტურებს ბრალდებას და გადასცემს საქმეს რომელიმე სასამართლო პალატას; ან არ ადასტურებს ბრალდებას მტკიცებულებათა უკმარისობის მოტივაციით და გადადებს საქმის მოსმენას.

ბრალდების დამტკიცების შემდეგ, სასამართლო განხილვის დაწყებამდე, პროკურორი უფლებამოსილია, შეცვალოს ბრალდება მხოლოდ წინასწარი წარმოების პალატის ნებართვით და ბრალდებულის ინფორმირების შემდეგ. პროკურორის მიერ დამატებითი ბრალდების წყენება ან მისი შეცვლა უფრო სერიოზული ბრალდებით საჭიროებს განმწესრიგებელი სხდომის მიერ წინასწარ განხილვასა და დამტკიცებას. სასამართლო განხილვის დაწყების შემდეგ პროკურორი მხოლოდ სასამართლო პალატის თანხმობით მოხსნის ბრალდებას. ნებისმიერი ადრე გაცემული ორდერის მოქმედება შეწყდება იმ ბრალდებებთან მიმართებით, რომლებიც არ დაამტკიცა წინასწარი წარმოების პალატამ ან მოხსნა პროკურორმა.

ბრალდების დამტკიცების შემდეგ პრეზიდენტი ქმნის სასამართლო პალატას, რომელიც წარმართავს საქმის განხილვას და უფლებამოსილია, განახორციელოს წინასწარი წარმოების პალატის ნებისმიერი ფუნქცია მოცემულ საქმესთან მიმართებით.

ჩვეულებრივ, საქმის განხილვა სასამართლოს ადგილსამყოფელ ქ. შავგაში მიმდინარეობს, თუ სხვა გადაწყვეტილებას თავად სასამართლო არ მიიღებს. სასამართლო სხდომაზე ბრალდებულის დასწრება სავალდებულოდაა მიჩნეული. თუმცა, დასაშვებია მისი გაძევება დარბაზიდან მის მიერ საქმისწარმოების შეფერხების შემთხვევაში. ამასთან, ბრალდებულს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს თვალყური ადევნოს პროცესს და მითითებები მისცეს დამცველს. აქ, წინა პლანზე გამოდის სხვადასხვა ტექნიკური საშუალების, აუდიო-ვიდეოაპარატურის გამოყენების აუცილებლობა. სხდომის დარბაზიდან გაძევება, ჩვეულებრივ, უკიდურესი ზომაა ბრალდებულის არამართლზომიერი მოქმედების აღსაკვეთად, თუ, რა თქმა უნდა, ზემოქმედების სხვა საშუალებები ნაკლებეფექტური გამოდგა. სასამართლო პალატა წარმოების პირველ ეტაპზე მოითხოვს მხარეებთან იმ აუცილებელი პროცედურების დასადგენად და დასაზუსტებლად, რომლებიც საჭიროა საქმის სწრაფად და სამართლიანად გადასაწყვეტად, ასევე განსაზღვრავს სამართალწარმოების ენას ან ენებს, გადასაწყვეტს სხვადასხვა სახის დოკუმენტებისა და ინფორმაციის გამოქვეყნების მიზანშეწონილობის საკითხს. ეს ღონისძიებები პროცესის სანყის, მოსამზადებელ ეტაპს განეკუთვნება.

საქმისწარმოება ღია სხდომაზე მიმდინარეობს. თუმცა, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, კონფიდენციალური ინფორმაციის

დაცვის მიზნით, იგი შეიძლება დახურულად გამოცხადდეს. პროცესის დასაწყისში სასამართლო პალატა გამოაქვეყნებს ბრალდებას და დარწმუნდება, რომ ბრალდებული აცნობიერებს მის შინაარსს და გაარკვევს, ცნობს თუ არა იგი დანაშაულის ჩადენაში თავს ბრალეულად.

სასამართლო პალატა მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გადაწყვეტს მტკიცებულებათა დასაშვებობის და შესახეობის საკითხს, მიიღებს აუცილებელ ზომებს სასამართლო დარბაზში ნესრიგის დასაცავად, უზრუნველყოფს სასამართლო განხილვის დეტალური ოქმის შედგენას, რასაც უშუალოდ მდივანი ახორციელებს.

შესაძლებელია ბრალდებულმა პროცესის დასაწყისშივე ცნოს თავი დამნაშავედ. ამ შემთხვევაში სასამართლო გამოარკვევს, აცნობიერებს თუ არა ბრალდებული ბრალის აღიარების ხასიათსა და შედეგებს, დასტურდება თუ არა მისი დამნაშავეობა საქმეზე არსებული სხვა მტკიცებულებებით, კერძოდ, პროკურორის მიერ შედგენილი ბრალდებანი, მის მიერ წარმოდგენილი მასალებით, მოწმეთა ჩვენებებით და სხვ. სასამართლო ბრალის აღიარებას განიხილავს სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთკავშირში და საკმარისი საფუძვლის არარსებობისას მხედველობაში არ მიიღება ბრალის აღიარება და გაგრძელდება სასამართლო განხილვა. პროკურორისა და დაცვის მხარის მიერ ნებისმიერი შეთანხმება ბრალდების შეცვლის, ბრალის აღიარების ან გამოსაყენებელი სასჯელის შესახებ სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო.

სასამართლო განხილვისას ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს ბრალდების შინაარსი და საფუძველი, მიეცეს საკმარისი დრო დაცვის მოსამზადებლად და დამცველთან კონფიდენციალური შეხვედრისათვის, საქმე განხილულ უნდა იქნეს დაბრკოლების გარეშე, მისი თანდასწრებით და მიეცეს შესაძლებლობა, უშუალოდ განახორციელოს დაცვა, მიიწვიოს და დაპკითხოს მოწმეები, უფასოდ ისარგებლოს კვალიფიციური თარჯიმნის მომსახურებით, ფიცის დადების გარეშე წარმოადგინოს დაცვითი სიტყვა და სხვ.

სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება მის მიერ განხილულ საქმესთან დაკავშირებით ჩადენილ მართლმსაჯულების წინააღმდეგ მართულ დანაშაულზე, მაგალითად, ცრუჩვენების მიცემა, შეგნებულად ცრუ და ფალსიფიცირებული მტკიცებულებების წარდგენა, მოწმეზე არამართლზომიერი ზემოქმედება, მოწმის სასამართლოში გამოცხადებისათვის დაბრკოლების შექმნა და სხვ. მსგავს დანაშაულებში ბრალეულად ცნობილ პირს შეიძლება შეეფარდოს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით არა უმეტეს 5 წლისა და ჯარიმა.

სასამართლო პალატას საქმეზე გადაწყვეტილება გამოაქვს ყველა განხილული მტკიცებულების საფუძველზე და საქმისწარმოების თითოეული ასპექტის გათვალისწინებით. გადაწყვეტილება არ უნდა გასცდეს ბრალდებაში ფორმულირებულ გარემოებებს და დაეფუძნოს მხოლოდ საქმისწარმოებისას წარმოდგენილ და განხილულ მტკიცებულებებს. სასამართლო პალატას გადაწყვეტილება გამოაქვს დახურულ სხდომაზე, მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილებაში ფორმულირებულია სასამართლო პალატის სრული და მოტივირებული დასკვნა განსახილველ საკითხზე. მოსამართლეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებაში მოცემულია როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის თვალსაზრისი. მთლიანად გადაწყვეტილება ან მისი რეზიუმე გამოქვეყნდება ღია სხდომაზე.

გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აუცილებლად ადგენს დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურების პრინციპებს და სხვა საკითხებს, როგორცაა რესტიტუცია, კომპენსაცია და რეაბილიტაცია, შემოსული თხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, სასამართლო განსაზღვრავს ნებისმიერი ზიანის, დანაკლისისა და ზარალის მასშტაბებსა და ოდენობას.

განსასჯელის ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში სასამართლო, მხედველობაში მიიღებს განხილვისას წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და წარდგინებებს და დანიშნავს შესაბამის სასჯელს.

განაჩენი გამოქვეყნდება საჯაროდ და თუ ეს შესაძლებელია, ბრალდებულის თანდასწრებით, ამასთან, შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო წესით პროკურორის ან მსჯავრდადებულის მიერ. სააპელაციო საჩივრის შეტანის საფუძველს წარმოადგენს საპროცესო წესების დარღვევა, ასევე სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას შეცდომა, როგორც ფაქტების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით. ამას გარდა, გასაჩივრება შეიძლება მოტივირებულ იქნეს განაჩენის ჩადენილ დანაშაულთან არაადეკვატურობით.

აპელაციის განხილვამდე მსჯავრდადებული პატიმრობაში იმყოფება. იგი გათავისუფლდება პატიმრობის ვადის მისთვის მისჯილი თავისუფლების აღკვეთის ვადაზე გადამეტების შემთხვევაში. გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას კი ბრალდებული დაუყოვნებლივ გათავისუფლდება. თუმცა, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, დასაშვებია პატიმრობის გაგრძელება, კერძოდ, მხედველობაში მიიღება გაქცევის საფრთხე, წარდგენილი ბრალდების ხასიათი, აპელაციის დაკმაყოფილების ალბათობა.

სასამართლო პალატის გადანყვეტილებებზე აპელაციას განიხილავს სააპელაციო პალატა, რომელიც უფლებამოსილია, მიმართოს საქმის პირველი ინსტანციით განმზილველ პალატას დასკვნის წარმოდგენის თაობაზე, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოსარკვევად და გამოითხოვოს მტკიცებულებები. მსჯავრდადებულის მიერ გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო ვერ შეცვლის განაჩენს მოცემული პირის საზიანოდ. სააპელაციო პალატა გადანყვეტილებას იღებს მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით და აქვეყნებს ღია სხდომაზე, ამასთან, თითოეული მოსამართლე შესაძლებელია გამოვიდეს განსაკუთრებული აზრით.

მსჯავრდადებულ პირს ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მის მეუღლეს, მშობლებს ან მსჯავრდადებულის მიერ საგანგებოდ უფლებამოსილ პირს ან პროკურორს, ამ პირის სახელით უფლება აქვს, იშუამდგომლოს სააპელაციო პალატაში გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან სასჯელის ზომის გადასინჯვის შესახებ. შუამდგომლობის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ახლად აღმოჩენილი გარემოებები, რომლებიც სამართალწარმოებისას არ ყოფილა განხილული. კიდევ ერთი საფუძველი შეიძლება იყოს ასევე ისეთი ფაქტების აღმოჩენა, რომლებიც მიუთითებს გადანყვეტილების გამოტანისას ძირითადი მტკიცებულებების ფალსიფიცირების არსებობას. საქმის ხელახალი გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ სამართალწარმოებაში მონაწილე მოსამართლემ ან მოსამართლეებმა მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინეს სერიოზული გადაცდომა ან უფლებამოსილების გადაშეცემა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილების აღსრულების საკითხს. თავისუფლების აღკვეთის სახით პირი სასჯელს მოიხდის იმ სახელმწიფოში, რომელიც გამოთქვამს მსჯავრდადებულის მიღების მზადყოფნას და სასამართლოს აცნობებს მიღების პირობებს, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სტატუტის მოთხოვნებს. მოცემულმა სახელმწიფომ 45 დღის მანძილზე უნდა შეატყობინოს სასამართლოს იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ მის მიერ სტატუტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ხოლო სასამართლოს მიერ აღნიშნულ ვადაში გადანყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს სასჯელის აღსრულების მიმდინარეობა.

თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოსახდელად სახელმწიფოს შერჩევისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ეტუალოდ მსჯავრდადებულის აზრი ამ საკითხზე, მისი მოქალაქეობა, დანაშაულთან ან მსჯავრდადებულთან დაკავშირებული გარემოებები. სასამართლო უფლებამოსილია, ნების-

მიერ დროს გადაიყვანოს პირი ერთი ქვეყნის საპატიმროდან მეორეში. თავად მსჯავრდადებული პირიც სარგებლობს ამის თაობაზე შუამდგომლობის განცხადების უფლებით. სასჯელის მოხდის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებმა არანაირი წინააღმდეგობა არ უნდა შეუქმნან მსჯავრდადებულს ამ უფლების განხორციელებისას.

სასამართლო უშუალოდ ზედამხედველობს თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდას, რომელიც სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან. სასჯელის მოხდის შემდეგ პირი გადაეცემა იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს. გადაცემის ხარჯებს შესაბამისი სახელმწიფოს უარის შემთხვევაში, ანაზღაურებს სასამართლო.

კონფისკაციისა და ჯარიმების სახით სასჯელის აღსრულებას უზრუნველყოფს სასამართლო, მესამე პირისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ამ შემთხვევაში, ამოღებული მოძრავი ქონება და უძრავი ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავლები გადაეცემა სასამართლოს.

სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფო ვერ გაათავისუფლებს პირს განაჩენით გათვალისწინებული ვადის ამონურვამდე. ამ საკითხზე მხოლოდ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება პირის მოსაზრებების განხილვის შემდეგ. სასჯელის 2/3-ის მოხდის ან უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, 25 წლის გასვლის შემდეგ, სასამართლო გადასინჯავს განაჩენს და განიხილავს სასჯელის ვადის შემცირების მიზანშეწონილობას. საკითხი დადებითად გადაწყდება იმ შემთხვევაში, თუ პირი უმოკლეს ვადაში გამოთქვამს მზადყოფნას, ითანამშრომლოს სასამართლოსთან გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში, ნებაყოფლობით ეხმარება სასამართლოს გადაწყვეტილებისა და ბრძანების აღსრულებაში, დაფარული აქტივების გამოვლენაში, რომლებიც ექვემდებარება კონფისკაციას ან ჯარიმის გადახდასა თუ ზარალის ანაზღაურებას.

თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მსჯავრდადებულის სხვა სახელმწიფოში გაქცევისას, სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფო სასამართლოსთან კონსულტაციის შემდგომ მოითხოვს გაქცეული პირის გამოცემას. ამ შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული შუამდგომლობა თავად სასამართლომაც განახორციელოს.

როგორც სტატუტის 78-ე მუხლიდან ირკვევა, სასჯელის ზომის განსაზღვრისას სასამართლო გაითვალისწინებს ისეთ გარემოებებს და ფაქტორებს, როგორცაა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და მსჯავრდადებულის პიროვნება; თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის შეფარდებისას სასამართლო წინასწარი დაკავების ვადას ჩათვლის სასჯელის საერ-

თო ვადაში; თუ პირი მსჯავრდადებულია ერთზე მეტი დანაშაულის ჩადენისთვის, სასამართლო სასჯელს ნიშნავს თითოეული დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთის სრული ვადის მითითებით. ამ შემთხვევაში, მოქმედებს სისხლის სამართალში დამკვიდრებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყველაზე მკაცრი სასჯელი გადაფარავს მსუბუქ სასჯელებს. სასჯელის მაქსიმალური ზომებია 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლოს საქმიანობის გარანტიები და ორგანიზაციული თავისებურებანი

სტატუტის მონაწილე სახელმწიფოები ყოველმხრივ თანამშრომლობენ დანაშაულთა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურად განსახორციელებლად. ამის თაობაზე სასამართლო დიპლომატიური გზებით ან ინტერპოლის მეშვეობით ოფიციალურად უგზავნი თხოვნას სახელმწიფოებს. შესაბამისმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მიღებული თხოვნის კონფიდენციალობა, ხოლო სასამართლომ – დაზარალებულის, პოტენციური მონაწილისა და მათი ოჯახების უსაფრთხოება. სპეციალური შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, თანამშრომლობის თაობაზე თხოვნა შეიძლება გაეგზავნოს სტატუტის არამონაწილე სახელმწიფოს. სახელმწიფოს მიერ თანამშრომლობაზე უარის განცხადებისას სასამართლო ამის შესახებ აცნობებს ნევრ-სახელმწიფოთა ასამბლეას, ან ცალკეულ შემთხვევაში, უშიშროების საბჭოს.

თანამშრომლობის შესახებ სახელმწიფოს თხოვნა შეიძლება შეეხებოდეს განსაზღვრული პირის დაპატიმრებას ან დაკავებას და ამ მოქმედების განხორციელება აუცილებლად უნდა იყოს არგუმენტირებული შესაბამისი მასალებით. სახელმწიფო ამგვარ თხოვნას ასრულებს, როგორც საერთაშორისო ასევე ნაციონალური სამართლის გათვალისწინებით. დაკავებული ან დაპატიმრებული პირის შესამე სახელმწიფოში ტრანზიტივად გატარების შემთხვევაში, სასამართლო ამ ქვეყანასაც ოფიციალური თხოვნით მიმართავს, კერძოდ, მიანოდებს მონაცემებს გადასაცემი პირის შესახებ, საქმის გარემოებებს და სამართლებრივ კვალიფიკაციას, დაპატიმრებისა და გადაცემის ორდერს. არავითარ ნებართვას არ საჭიროებს დაკავებული პირის გადაყვანა საპაერო ტრანსპორტით. თუ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პარალელურად, გადაცემის შესახებ თხოვნას წამოაყენებს სტატუტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფო, ადგილი ექნება იურისდიქციის კოლიზიით გამონეულ თხ-

ოვსათა კოლიზიას. განსაზღვრული პირობების არსებობისას, კერძოდ, როდესაც სასამართლოს გამოტანილი აქვს განჩინება საქმის წარმოებაში მიღების შესახებ და ითვალისწინებს შესაბამის სახელმწიფოში ჩატარებულ გამოძიებასა და სასამართლო დევნას, მონაწილე სახელმწიფომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს საერთაშორისო სასამართლოს თხოვნას.

სტატუტი დეტალურად განსაზღვრავს დაპატიმრებისა და გადაცემის შესახებ თხოვნის შინაარსს, კერძოდ, მასში ასახული უნდა იყოს ძებნილი პირის შესახებ საკმარისი ინფორმაცია მისი იდენტიფიკაციისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის, დაპატიმრების ორდერის ასლი და ყველა სხვა დოკუმენტი, განცხადება და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია შესაბამისი პროცედურის განხორციელებისთვის. თუ პირი უკვე მსჯავრდადებულია, თხოვნას თან ერთვის ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი.

ზოგიერთ შემთხვევაში, გადაუდებელი აუცილებლობისას, სასამართლო უფლებამოსილია, ძებნილი პირის წინასწარი დაპატიმრების მიზნით სახელმწიფოს მიმართოს სათანადო წესით – თხოვნის წარდგენამდე. თუ განსაზღვრული დროის მანძილზე თხოვნა არ იქნება მიღებული, წინასწარ დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მონაწილე სახელმწიფოებთან სასამართლოს თანამშრომლობა შეიძლება სხვა ფორმებშიც გამოვლინდეს, კერძოდ, სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანომ განახორციელოს პირის ან საგნების იდენტიფიკაცია და ადგილმდებარეობის დადგენა, მიიღოს და შეაგროვოს მტკიცებულებები, ხელი შეუწყოს ექსპერტებად და მონმეებად პირთა ნებაყოფლობით გამოცხადებას სასამართლოში, ჩაატაროს განსაზღვრული ადგილებისა და ობიექტების დათვალიერება და სხვ.

სამართლებრივი დახმარების ამა თუ იმ ფორმაზე უარის შემთხვევაში, სახელმწიფომ დეტალურად და დაუყოვნებლივ უნდა ამცნოს სასამართლოსა და პროკურორს უარის მიზეზები. თუ თხოვნის დაუყოვნებლივი შესრულება დაბრკოლებას შეუქმნის სხვა საქმეზე მიმდინარე გამოძიებას ან სასამართლო დევნას, სახელმწიფო უფლებამოსილია, გადავადოს შესრულება სასამართლოსთან შეთანხმებული ვადით.

სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი თხოვნის შესრულებასთან ასოცირებულ ხარჯებს ანაზღაურებს როგორც მოცემული სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო სასამართლო. კერძოდ, სასამართლო ანაზღაურებს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მგზავრობასთან და მონმეების, დაზარალებული და გადასაცემი პირების უსაფრთხოებასთან, წერილობითი და ზეპირი თარგმანის შესრულებასა და სტენოგრაფიის შედგენასთან, მოსამართლის, პროკურორის, მისი მოადგილეების, მდივნისა და მისი მოადგილეების მგზავრობასა და ხელფასთან, საქსპერტო

დასკვნების მომზადებასთან, კონსულტაციის შემდეგ გამორკვეული გადაუღებელი პირობების შესრულებასთან.

სტატუსის დებულებათა რეალიზაციის უზრუნველსაყოფად მოქმედებს მონაწილე სახელმწიფოების ასამბლეა, რომელშიც ყოველი სახელმწიფოს თითო წარმომადგენელი ირიცხება. მას შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები და მრჩეველები. სახელმწიფოები, რომლებიც ხელს მოაწერენ სტატუსს ან დასკვნით აქტს, სარგებლობენ ასამბლეაში დამკვირვებლის სტატუსით.

ასამბლეა განიხილავს და ითვალისწინებს მოსამზადებელი კომისიის რეკომენდაციებს, პრეზიდენტს, პროკურორსა და მდივანს წარუდგენს ადმინისტრაციულ მიმოხილვას სასამართლოს ქვემდებარე საკითხებზე, განიხილავს მოხსენებებსა და ბიუროს საქმიანობის თავისებურებებს, ამტკიცებს სასამართლოს ბიუჯეტს, წყვეტს მოსამართლეთა რიცხოვნობის საკითხს და ახორციელებს სტატუსით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

ასამბლეის ბიურო შედგება თავმჯდომარის, ორი მოადგილის და 18 წევრისაგან, რომელნიც აირჩევიან ასამბლეის მიერ სამი წლის ვადით. ბიურო წარმომადგენლობითი ხასიათის ორგანოა და მისი დაკომპლექტებისას მხედველობაში მიიღება გეოგრაფიული რაიონებისა და ძირითადი სამართლებრივი სისტემების თანაბარი წარმომადგენლობა. ბიურო იკრიბება საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

ასამბლეას შეუძლია შექმნას დამხმარე ხასიათის ორგანოები, მაგალითად, ზედამხედველობის დამოუკიდებელი მექანიზმი სასამართლოს მიერ ჩატარებული ინსპექციებისა და გამოძიების ეფექტურობისა და ეკონომიურობის ასამალღებლად.

ასამბლეის სესია ტარდება წელიწადში ერთხელ, ხოლო საჭიროებისამებრ ტარდება ასამბლეის სპეციალური სესიები, რომელიც მოინვევა ბიუროს ინიციატივით ან მონაწილე სახელმწიფოთა შესამედის თხოვნით. ყოველი მონაწილე სახელმწიფო სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. როგორც ასამბლეა, ასევე ბიურო გადანყვეტილებებს იღებს, როგორც წესი, კონსენსუსით ან ხმათა ორი შესამედით. პროცედურულ საკითხებზე გადანყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

ყველა საფინანსო საკითხი, რომელიც შეეხება სასამართლოს, მონაწილე სახელმწიფოების ასამბლეის, ბიუროსა და სხვა დამხმარე ორგანოების სხდომებს, რეგულირდება სტატუსით და ასამბლეის მიერ მიღებული დებულებებითა და წესებით. ყველა აღნიშნული ორგანოს საქმიანობის ხარჯები იფარება სასამართლოს სახსრებით. სასამართლოს დოკუმენტების, წიგნებისა და ანგარიშების ყოველწლიურ რევიზიას ახორციელებს დამოუკიდებელი რევიზორი.

სასამართლო ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავას წყვეტს თავად სასამართლო. ნებისმიერი სხვა დავა ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის, რომელიც დაკავშირებულია სტატუტის განმარტებასთან ან გამოყენებასთან და არ რეგულირდება მოლაპარაკების მეშვეობით, წარმოქმნიდან სამი თვის მანძილზე გადაეცემა მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეას, რომელიც თავად გაატარებს ყველა ღონისძიებას მის აღმოსაფხვრელად, მოცემული დავის საერთაშორისო სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემის ჩათვლით.

სტატუტი ექვემდებარება ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო სიგელები, მიღების თუ დამტკიცების დოკუმენტები შესანახად გადაეცემა გაეროს გენერალურ მდივანს. სტატუტი ძალაში შედის გენერალური მდივნისთვის მე-60 სარატიფიკაციო სიგელის თუ დამტკიცების დოკუმენტის ჩაბარებიდან მე-60 დღის მომდევნო თვის პირველ დღეს. ამის შემდეგ მიერთებული სახელმწიფოებისთვის კი – სიგელის ჩაბარებიდან მე-60 დღეს.

სახელმწიფოს შეუძლია გამოვიდეს ხელშეკრულებიდან გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ეს ფაქტი იურიდიულ ძალას იძენს შეტყობინებიდან ერთი წლის შემდეგ, თუ თავად გამოსვლის მსურველი სახელმწიფო უფრო ხანგრძლივ ვადას არ დათქვამს.

სტატუტში ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადების შეტანა მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია სტატუტის ძალაში შესვლიდან 7 წლის შემდეგ. წინადადება წარედგინება გაეროს გენერალურ მდივანს, რომელიც დაუყოვნებლივ გაავრცელებს მას მონაწილე სახელმწიფოებში. სამი თვის მანძილზე ასამბლეა ხმათა უმრავლესობით გადანყვეტს შეტანილი წინადადების განხილვის საკითხს. ცვლილება მიიღება კონსენსუსით და ხმათა ორი მესამედით, ხოლო ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების დადგენილი ოდენობის ჩაბარებიდან ერთი წლის ვადაში.

თანაბარი აუთენტურობით სარგებლობენ სტატუტის ტექსტები ინგლისურ, ესპანურ, რუსულსა და ფრანგულ ენებზე.

§ 5. საერთაშორისო სავაჭრო კალატის საარბიტრაჟო სასამართლო

მე-20 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ფართო გავრცელება ჰპოვა საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟმა, როგორც საერთაშორისო კომერციული დავების გადანყვეტის ერთ-ერთმა ოპტიმალურმა საშუალებამ. თითქმის ყველა კონტინენტზე მოხდა არბიტრაჟის შესახებ ეროვნული

კანონმდებლობის მიღება, ხელი მოეწერა და შინასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ წარმატებით იქნა გამოყენებული არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება. საარბიტრაჟო წარმოება მრავალი იურიდიული სასწავლო დაწესებულების სასწავლო პროგრამაში იქნა შეტანილი. პოლიტიკური და სავაჭრო ბარიერების თანდათანობით დაძლევისა და მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის კვალობაზე განსაკუთრებით ამაღლდა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოების როლი, გაიზარდა მათ მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა და სირთულე, დავის საგნისა თუ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა.

1923 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს დაფუძნებიდან დღემდე ამ ორგანოს ფარგლებში განხილულ იქნა ათობით ათასი საერთაშორისო ხასიათის კომერციული დავა, დაახლოებით ასი ქვეყნის მოდავე მხარეებისა და არბიტრების წარმომადგენლობით. მრავალწლიანი გამოცდილება საქმიანობის სრულყოფის გზით იხვეწებოდა და საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟის წესების ბოლო ვარიანტი, საკმაოდ ინტენსიური და ფართომასშტაბიანი საკონსულტაციო პროცესის შემდეგ, 1998 წლის 1 იანვარს იქნა მიღებული.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქმის განხილვას საარბიტრაჟო ტრიბუნალი ახორციელებს, რომელსაც დავის ყველა ასპექტის შემონიშნის შემდეგ გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება. ყოველ წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟები იმართება 40-მდე ქვეყანაში, რამდენიმე ენაზე, 60-მდე ეროვნების არბიტრის მონაწილეობით.

საარბიტრაჟო ტრიბუნალების საქმიანობას მეთვალყურეობს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც იკრიბება თვეში არანაკლებ 3-ჯერ. ამჟამად სასამართლო შედგება 55 ქვეყნის წარმომადგენელი 65 წევრისგან და მის ფუნქციას წარმოადგენს იმ არბიტრაჟების ორგანიზება და ზედამხედველობა, რომელიც საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად ტარდება. სასამართლომ თვალყური უნდა ადევნოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საარბიტრაჟო წარმოების სამართლებრივ საფუძვლებსა თუ პრაქტიკაში მომხდარ ცვლილებებს, რათა საქმიანობის ფორმები და მეთოდები შესაბამისობაში მოიყვანოს მხარეებისა და არბიტრების საჭიროებასთან. იმდენად, რამდენადაც საქმეთა განხილვა რამდენიმე ენაზე მიმდინარეობს, საერთაშორისო სავაჭრო პალატის სასამართლოს წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად მოქმედებს სამდივნო, რომლის რეზიდენცია სავაჭრო პალატის ადგილსამყოფლის მიხედვით ქალაქ პარიზშია.

თუმცა, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესები საერთაშორისო ხასიათის დავების განსახილველად იქნა შემუშავებული, მათი

გამოყენება შესაძლებელია ნაციონალურ დონეზე არსებულ დაეხმარებათ მიმართებაშიც.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის რეკომენდაციის მიხედვით, მხარეებს, რომელთაც სურთ შესაძლებელი დავის გადაწყვეტა სავაჭრო პალატის არბიტრაჟის ფარგლებში, შეუძლიათ ხელშეკრულებაში მიუთითონ შემდეგი სახის სტანდარტული დებულება: „წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განხილულ იქნება საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ნესების მიხედვით, ერთი ან რამდენიმე არბიტრის მიერ, რომელთა დანიშვნა მოხდება ზემოაღნიშნული ნესების შესაბამისად.“ ასევე, მიზანშეწონილია, რომ მხარეებმა ხელშეკრულების ანალოგიურ მუხლში განსაზღვრონ მარეგულირებელი კანონმდებლობა, დააზუსტონ არბიტრების რაოდენობა, საარბიტრაჟო წარმოების ადგილი და ენა. აღნიშნულ საკითხებში მხარეები არ არიან შეზღუდულნი საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ნესების მიხედვით.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის საბჭო ნიშნავს სასამართლოს წევრებს ნებისმიერი სახის ბიზნესთან დაკავშირებული საერთაშორისო ხასიათის დავების მოსაგვარებლად, ან ხელშეკრულებაში შესაბამისი დებულებების არსებობისას, ასევე, ერთი ქვეყნის რეზიდენტებს შორის დავების გადასაწყვეტად.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო სავაჭრო პალატის სასამართლო უშუალოდ არ განიხილავს დავებს, იგი მხოლოდ უზრუნველყოფს არბიტრაჟის ნესების მიზანმიმართულ გამოყენებას. სასამართლო შეიმუშავებს და დაამტკიცებს რეგლამენტს, რომლის პირობების შესაბამისად, გადაწყვეტილებას მიიღებს ან უშუალოდ სასამართლო, ან მის მიერ შექმნილი კომიტეტი, ან თავმჯდომარე თუ ვიცე-თავმჯდომარე.

თხოვნას არბიტრაჟის წესით საქმის განხილვის თაობაზე მოსარჩლე მხარე გადაუგზავნის სასამართლოს სამდივნოს, რომელიც როგორც თავად მოსარჩლეს, ასევე მოპასუხეს შეატყობინებს მსგავსი თხოვნის მიღების ფაქტისა და თარიღის შესახებ. საარბიტრაჟო წარმოება დაწყებულად ჩაითვლება სწორედ აღნიშნული თარიღიდან. სასამართლო მიღებულ სარჩელს და თანდართულ დოკუმენტებს გადაუგზავნის მოპასუხეს, რომელმაც თავისი შესაგებელი სამდივნოს უნდა მიაწოდოს სარჩელის ასლის მიღებიდან 30 დღის მანძილზე. სამდივნო შესაგებელსა და თანდართულ დოკუმენტებს გადაუგზავნის მოსარჩლეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმახურებს საქმის განმხილველი არბიტრაჟის ფორმირების პროცედურა. ამ შემთხვევაში აუცილებელი მოთხ-

ოვნა ის გახლავთ, რომ თითოეული არბიტრი იყოს მიუკერძოებელი და არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს მხარეებთან. მთავარი კი ის არის, რომ არბიტრის დანიშვნის, დამტკიცებისა თუ შეცვლის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და სასამართლო ვალდებული არ არის მიუთითოს შესაბამისი გადაწყვეტილების მოტივაცია.

დავას განიხილავს ერთი არბიტრი ან საარბიტრაჟო კოლეგია სამი ნევრის შემადგენლობით. თუ მხარეებმა ხელშეკრულებაში არ განსაზღვრეს არბიტრების რაოდენობა, მაშინ ამ საკითხს, თავისი შეხედულებისამებრ, უშუალოდ სასამართლო გადაწყვეტს. თუ საჭირო შეიქნება საარბიტრაჟო კოლეგიის ფორმირება, ერთ ნევრს დანიშნავს სასამართლო, ხოლო თითო-თითო ნევრს მხარეები, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში. თუ მხარეები შეთანხმდნენ ერთი არბიტრის მიერ საქმის განხილვაზე, შესაბამისი არბიტრის კანდიდატურას ისინი ურთერთშეთანხმებით წარუდგენენ სასამართლოს დასამტკიცებლად. 30 დღის მანძილზე მსგავსი შეთანხმების მიუღწევლობისას, არბიტრს უშუალოდ სასამართლო დანიშნავს.

როდესაც ხელშეკრულების მიხედვით საქმე ექვემდებარება სამი არბიტრის მიერ გადაწყვეტას, მოსარჩლე და მოპასუხე, შესაბამისად, თავის სარჩელსა და შესაგებელში დანიშნავენ თითო-თითო არბიტრს, არბიტრაჟის მესამე ნევრს, რომელიც ამავე დროს ტრიბუნალის თავმჯდომარე იქნება, დანიშნავს სასამართლო.

საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებისთანავე, სამდივნო მას გადასცემს საქმის მასალებს. ამასთან, თუ მხარეებს ხელშეკრულებაში არ განუსაზღვრავს საქმის წარმოების ადგილი, ამის შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს. საქმის წარმოების პროცესი კი საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესებით განისაზღვრება, ხოლო კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში ვაკუუმის არსებობისას – მხარეების ან ტრიბუნალის მიერ შეთანხმებული წესით.

დავის არსებითი გადაწყვეტის მიზნით, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოსაყენებელი კანონმდებლობა, როგორც აღვნიშნეთ, სასურველია, უშუალოდ მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრონ. მსგავსი შეთანხმების არარსებობისას სასამართლო გამოიყენებს იმ კანონმდებლობას, რომელსაც იგი შესაფერისად მიიჩნევს. ნებისმიერ შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს ხელშეკრულების პირობები და შესაბამისი სავაჭრო ჩვეულებები.

სამდივნოდან საქმის მასალების მიღებისთანავე, სასამართლო შეადგენს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ პირობებს, რომელსაც ხელს მოაწერენ მხარეები და ტრიბუნალის წევრები. კერძოდ, ამ დოკუმენტში

განისაზღვრება მხარეთა ვინაობა, სარჩელისა და შესაგებლის შინაარსი, დავის საგანი და მიახლოებითი თანხა, გადასაწყვეტ საკითხთა ნუსხა, არბიტრების ვინაობა და მისამართი, საქმისწარმოების ადგილი და გამოსაყენებელი საპროცესო წესების თავისებურებანი.

საარბიტრაჟო ტრიბუნალი, საქმის გარემოებათა სწრაფი და სრულყოფილი გარკვევის მიზნით, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში უნდა შეუდგეს დავის განხილვას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალების განხილვის შემდეგ, ტრიბუნალი მოისმენს მხარეთა ჩვენებებს მათივე ინიციატივით ან საკუთარი გადაწყვეტილებით. იგი უფლებამოსილია ასევე, მოისმინოს მონშეთა, მხარეთა ან სხვა პირთა მიერ დანიშნული ექსპერტების ჩვენებები მხარეთა თანდასწრებით. მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ერთი ან მეტი ექსპერტი, განსაზღვროს მათი ამოცანები და მოისმინოს შესაბამისი მოხსენება. მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა, კითხვით მიმართონ ტრიბუნალის მიერ დანიშნულ ნებისმიერ ექსპერტს.

მხარეთა მოსაზრებისა და საქმის გარემოებათა სრულად განხილვის შემდეგ ტრიბუნალი უფლებამოსილია, დასრულებულად გამოაცხადოს საქმის მოსმენის ეტაპი და სამდივნოს აცნობოს ზუსტი ვადა, რომლის მანძილზეც სასამართლოს დასამტკიცებლად წარედგინება გადაწყვეტილების პროექტი. გასათვალისწინებელია, რომ ტრიბუნალის საბოლოო გადაწყვეტილება მხარეებს უნდა ეცნობოთ არა უგვიანეს ექვსი თვისა საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პირობების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დღიდან. სასამართლოს შეუძლია გაზარდოს ეს ვადა საარბიტრაჟო ტრიბუნალის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით.

საარბიტრაჟო კოლეგიის არსებობისას, გადაწყვეტილება მიიღება უმრავლესობის მიერ, მისი არარსებობის შემთხვევაში კი გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად გამოიტანს ტრიბუნალის თავმჯდომარე. გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს, მასში მითითებული უნდა იყოს საარბიტრაჟო წარმოების ადგილი და თარიღი. გადაწყვეტილების ხელმოწერამდე საარბიტრაჟო ტრიბუნალი მის პროექტს წარუდგენს სასამართლოს, რომელსაც შეუძლია გარკვეული კორექტირება მოახდინოს როგორც გადაწყვეტილების ფორმასთან, ასევე მის შინაარსთან დაკავშირებით. მაგრამ ამასთან, არ უნდა შეილახოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების პრინციპი. და მაინც მთავარი ის არის, რომ ტრიბუნალის არც ერთ გადაწყვეტილებას არ ექნება იურიდიული ძალა, თუ არ მოხდება მისი წინასწარი დადასტურება სასამართლოს მიერ.

საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადანყვეტილება მხარეთათვის სავალდებულო ხასიათს ატარებს. არბიტრაჟისთვის დავის განსახილველად გაცემით მხარეები იმთავითვე ვალდებულია იღებენ შეასრულონ ნებისმიერი სახის გადანყვეტილება და უარს ამბობენ გასაჩივრების ნებისმიერ ფორმაზე, თუ ამის შესახებ სათანადოდ არის მითითებული მხარეთა მიერ შესაბამის ხელშეკრულებაში.

გადანყვეტილებაში ცვლილების შეტანის ან განმარტების საკითხს არბიტრაჟი განიხილავს მიმართვიდან 30 დღის ვადაში. აღნიშნული ცვლილება და განმარტება წარმოადგენს გადანყვეტილების განუყოფელ ნაწილს.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით, აუცილებელია შევეხოთ ისეთი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხს, როგორცაა საქმისწარმოების ხარჯები. საქმე ის არის, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ ხელმოწერილი გადანყვეტილების ასლებს სამდივნო გადასცემს მხარეებს, იმ პირობით, რომ მათ მიერ სრულად იქნება ანაზღაურებული საქმისწარმოების ხარჯები. არადა, ერთი შეხედვით, ეს მარტივი დავალება ორელემენტისაა „ძვირფასი“ ხარჯთაღრიცხვის სახით ყალიბდება. უფრო ზუსტად, საქმის წარმოების ხარჯები მოიცავს, ერთი მხრივ, არბიტრების ჰონორარს, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის ადმინისტრაციულ ხარჯებს, რომლებსაც სასამართლო განსაზღვრავს, საარბიტრაჟო წარმოების დაწყების მომენტისათვის არსებული შკალის შესაბამისად. წიგნის ბოლოს მოცემული დანართებით ცხადი ხდება, რომ ჰონორარისა და ადმინისტრაციული ხარჯების საბოლოო მოცულობა, იქნება იგი დოლარებით თუ პროცენტებით გამოყვანილი, სადავო თანხის მოცულობაზეა დამოკიდებული, ვინაიდან სწორედ იგია ათვლის წერტილად მიჩნეული. ვფიქრობთ, მათი გაცნობა გარკვეულ შთაბეჭდილებას ქმნის მთელი ამ პროცესის „ღირებულების“ თვალსაზრისით. მთავარი კი ის არის, რომ არბიტრაჟის საბოლოო გადანყვეტილებაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული საარბიტრაჟო ხარჯების სრული ოდენობა და მხარეთა მიერ მათი ანაზღაურების წესი.

სარჩელის მიღებისას სასამართლოს გენერალური მდივანი მოითხოვს მოსარჩელეს თანხის იმ ოდენობით შეტანას, რომელიც აუცილებელია არბიტრაჟის ხარჯების ასანაზღაურებლად საარბიტრაჟო წარმოების პირობების შესახებ დოკუმენტების მიღებამდე. იმავე წესით გარკვეული თანხა უნდა შეიტანოს მოპასუხემაც.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო პროცედურის ფარგლებში ყველა წინა პირობა არსებობს დავის სრულყოფილი დარეგულირების მისაღწევად, შესაძლებელია მხარეთა ნების

გათვალისწინება, მაღალია დისპოზიციურობის ხარისხი, ერთობ ორიგინალურია საერთაშორისო სავაჭრო პალატის უფლებამოსილება, რაც საარბიტრაჟო წარმოებაზე მეთვალყურეობის განხორციელებაში ვლინდება. ყოველივე აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთობებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს.

§ 6. ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო

ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს საარბიტრაჟო ინსტიტუტს. მისი ორგანიზაცია, საქმიანობა და კომპეტენცია, პრაქტიკულად, სამართლის სხვადასხვა სისტემის პირობებში მთელ მსოფლიოში გამოიყენება. მართალია, მისი რეზიდენცია ლონდონში მდებარეობს, მაგრამ იგი საერთაშორისო ხასიათის დანესებულებას წარმოადგენს, რომელიც სწორედ საერთაშორისო დავების გადაწყვეტის ეფექტურობას, მიუკერძოებლობასა და მოქნილობას უზრუნველყოფს.

როგორც საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟზე მსჯელობისას ითქვა, საერთო სასამართლო სისტემასთან შედარებით, საერთაშორისო საარბიტრაჟო კოლეგიების ერთ-ერთ ძირითად უპირატესობას ის ფაქტორი წარმოადგენს, რომ მათი ნებისმიერი გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა შესასრულებლად, და როდესაც მხარეები მსგავს ვალდებულებას კისრულობენ, ისინი იმავდროულად უარყოფენ გასაჩივრების უფლებას.

არბიტრაჟის გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისი აღსრულება გაცილებით იოლია, ვიდრე ერთი ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებისა მეორე ქვეყანაში. როგორც ნესი, გამარჯვებული მხარე ემყარება „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ ნიუ-იორკის 1958 წლის საერთაშორისო კონვენციას. დამატებითი გარანტიის სახით, სასურველია, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა არბიტრაჟის ადგილად კონვენციის მონაწილე სახელმწიფო განსაზღვრონ და სადავო ქონებაც მსგავს სახელმწიფოში მდებარეობდეს. მით უმეტეს, რომ 1997 წლის ივლისისთვის ნიუ-იორკის კონვენციის რატიფიცირება და მასთან მიერთება განახორციელა 114-მა სახელმწიფომ, მათ შორის – საქართველომ.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო კონტრაქტების მხარეები სულ უფრო ხშირად ირჩევენ არბიტრაჟს დავის გადაწყვეტის მეთოდად, რამ-

დენადაც იგი არ არის შებოჭილი მკაცრი პროცედურითა და განრიგით. ამასთან, ტრიბუნალის დაკომპლექტებისა და პროცედურის განსაზღვრაში მხარეებს საკმაოდ ფართო უფლებამოსილება ენიჭებათ. კერძოდ, მხარეები, რომლებიც გამოიყენებენ ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს წესებს, თავად განსაზღვრავენ ისეთ საკითხებს, როგორცაა არბიტრების რაოდენობა, საქმისწარმოების ადგილი და ენა, ასევე ვადები. აღსანიშნავია, რომ მსგავსი „ჩარჩო-დებულებები“ დაეების გადაწყვეტის მიზნით, საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ არაერთ ნაციონალურ კანონმდებლობაში იქნა გამოყენებული და დანერგილი.

მხარეები, შეთანხმებით, სამწევრიან საარბიტრაჟო კოლეგიაში დანიშნავენ თითო-თითო არბიტრს, რომლებიც თავის მხრივ, მესამე არბიტრს აირჩევენ. შესაძლებელია მოვლენათა სხვაგვარი განვითარებაც, კერძოდ, მხარეებმა ხელშეკრულებაში დათქვან მესამე არბიტრის არჩევა ურთიერთშეთანხმებით ან მათ მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო დანებებულების მიერ. აქ, მთავარი ის არის, რომ მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრები მათი წარმომადგენლები არ არიან და აუცილებლად უნდა შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. რა თქმა უნდა, სასურველია არბიტრს ჰქონდეს დავის გადასაწყვეტად აუცილებელი გამოცდილება და სათანადო ცოდნა. ამასთან, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ არბიტრები წარმომადგენდნენ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს.

თუ კონტრაქტის მიხედვით საქმის განხილვა ერთ არბიტრს ექვემდებარება, მას მხარეების ურთიერთშეთანხმებით დანიშნავენ, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი ამ ფუნქციას ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო განახორციელებს.

რამდენადაც მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულებაში განსაზღვრონ მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელსაც, როგორც წესი, ერთ-ერთი მხარის მოქალაქეობა განაპირობებს, არბიტრაჟის ადგილად რომელიმე მესამე სახელმწიფოს არჩევა ყველაზე ოპტიმალურ ფორმას და მიუკერძოებლობის დამატებით გარანტიას ქმნის.

ნაციონალურ სასამართლოებში საქმისწარმოება, ჩვეულებრივ, ღიაა ფართო საზოგადოების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის. ამისგან განსხვავებით, საარბიტრაჟო წარმოებას დახურული ხასიათი აქვს და კონფიდენციალურად რჩება მხარეთა ვინაობა, ტრიბუნალის შემადგენლობა და დავის ხასიათი. ეს გარემოება კი უზრუნველყოფს კონტრაქტებში მოცემული სავაჭრო და სამრეწველო საიდუმლოების დაცვას.

ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს საერთაშორისო ხასიათი ვლინდება სხვადასხვა გარემოებაში, კერძოდ, მის წევრობაში, სასამართ-

ლოს საბჭოების ნევრობაში, პოტენციური არბიტრების ნუსხაში და განხილულ დავათა ხასიათში. სასამართლო უზრუნველყოფს საარბიტრაჟო წარმოებას როგორც საკუთარი წესების, ასევე საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს კომისიის (UNCITRAL) წესების შესაბამისად.

საერთაშორისო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, ორი ვიცე-თავმჯდომარის და 25-მდე სხვა წევრისგან, რომლებიც ავტორიტეტული საერთაშორისო არბიტრები არიან მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო ქვეყნებიდან. სასამართლოს ფუნქციებს წარმოადგენს: საჭიროების შემთხვევაში, არბიტრების შერჩევა და დანიშვნა; არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისას წარმოქმნილი დავის გადაწყვეტა; საარბიტრაჟო პროცედურის დაუბრკოლებელი განხორციელება და საარბიტრაჟო წესების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საარბიტრაჟო წარმოების განსახორციელებლად შექმნილია საბჭოები, რომლებიც პლანეტის თითქმის ყველა მსხვილ რეგიონს მოიცავენ, კერძოდ, ევროპის ქვეყნებსა და შუა აზიას, ჩრდილო ამერიკას, აზიასა და წყნარ ოკეანეს, აფრიკის კონტინენტს.

სასამართლო უფლებამოსილია, შექმნას კვალიფიციური და გამოჩენილი არბიტრების მონაცემთა ბაზა, თუმცა მსგავსი ნუსხის არსებობა არ უშლის ხელს მხარეების მიერ ნებისმიერი სხვა პირის არბიტრად დანიშვნას.

როდესაც მხარეები სასამართლოს მიმართავენ თხოვნით არბიტრების დანიშვნის შესახებ, მისი დაკმაყოფილება შემდეგი პროცედურით ხორციელდება: სასამართლოს რეგისტრატორი განიხილავს თხოვნას და თანდართულ დოკუმენტებს და მოამზადებს მოცემული საქმის რეზიუმეს, რომელშიც მითითებული იქნება ძირითადი კრიტერიუმები არბიტრების შესარჩევად. შემდეგ, მონაცემთა ბაზიდან ამოარჩევს ყველა იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს. რეზიუმეს, შესაბამის დოკუმენტაციას და პოტენციური არბიტრების მონაცემებს რეგისტრატორი გადასცემს სასამართლოს, რომელიც შეარჩევს შესაფერის კანდიდატურებს. რეგისტრატორი მათ შეატყობინებს საქმის არსს. თუ კანდიდატი გამოთქვამს თავის მზადყოფნას საქმის განხილვისთვის, დაადასტურებს თავის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას და დათანხმდება დაწესებულ ჰონორარს, სასამართლო დანიშნავს ასეთ არბიტრს, რის შესახებაც აცნობებს მხარეებს.

სასამართლო უფლებამოსილია, უარყოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი კანდიდატურები არბიტრის თანამდებობაზე, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ მოთხოვნებს.

ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო საარბიტრაჟო წარმოების სფეროში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. იგი უკვე საუკუნეა, რაც ფუნქციონირებს და არცთუ იშვიათად, მისი წესები საფუძვლად უდევს სხვა მსგავსი ახლად შექმნილი ინსტიტუტების საქმიანობას. გარდა ამისა, სასამართლო ყოველკვარტალურად გამოსცემს ბიულეტენს, ასევე ყურნალს – „საერთაშორისო არბიტრაჟი,“ რომელიც აღიარებულია მაღალ ავტორიტეტულ გამოცემად საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის განვითარებისა და ფუნქციონირების საკითხების გამჭუქების თვალსაზრისით.

თანამედროვე ეტაპზე მოქმედი სასამართლოს წესები მიღებულ იქნა სხვადასხვა საარბიტრაჟო სისტემაში მოღვაწე პროფესიონალებთან კონსულტაციების შემდეგ და ისინი სრულ შესაბამისობაშია UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ. აღნიშნული წესები უზრუნველყოფს არბიტრების დროულ დანიშნას; მხარეთა ფართო შესაძლებლობებს საპროცესო საკითხების განსაზღვრასთან დაკავშირებით; დისპოზიციურობის მაღალ ხარისხს საქმისწარმოებისას და, კერძოდ, როგორც კონტინენტური, ასევე, საერთო სამართლის პროცედურების გამოყენებას; ხარჯების გამოთვლას სადაო თანხის მოცულობის მიუხედავად; ტრიბუნალების გადაწყვეტილებებში ჩაურევლობას.

რაც შეეხება საარბიტრაჟო წარმოების ხარჯებს, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საქმის განხილვა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, არბიტრების ზედა ზღვარის ზომიერი ოდენობის დანესება, საკუთარი ჰონორარის განსაზღვრა დახარჯული დროის და არა სადაო თანხის გათვალისწინებით, სამდივნოსთვის საათობრივი სარგოების, ხოლო საარბიტრაჟო წარმოების ადმინისტრაციული ხარჯებისთვის მცირე პროცენტის გამოყოფა.

ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს ეგიდით, დავის განხილვის მსურველმა მხარეებმა, ურთიერთშორის დადებულ ხელშეკრულებაში, წინასწარ უნდა გაითვალისწინონ შესაბამისი დებულებები, როგორც ამას ადგილი აქვს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წარმოების დროს. დისპოზიციურობის მაღალი ხარისხის ფონზე, კონკრეტული დავის შემთხვევაში, მხარეებს მით უფრო ნაკლები პრობლემები ექნებათ, რაც უფრო მკაფიოდ და ფართოდ ექნებათ განსაზღვრული შესაბამისი ხელშეკრულებაში შესაძლებელი დავის მოგვარების პირობები. ამ თვალსაზრისით, საარბიტრაჟო წარმოება, როგორც ლონდონის, ასევე პარიზის საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტებში, პრაქტიკულად თანაბარ გარანტიას იძლევა საქმის სამართლიანი გადაწყვეტის მიზნით, თუმცა, დავის დარეგულირება ლონდონის საერთაშორისო საარ-

ბიტრაჟო სასამართლოს ფარგლებში, ჩვენი აზრით, გაცილებით შედეგა-
თიან პირობებში მიმდინარეობს.

6-3. საერთაშორისო სასამართლოებზე მიმართება ნაციონალურ სასამართლოებთან

მართლმსაჯულების ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემების განხილვის შემდეგ, მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ გავუს-
ვათ ხაზი ზოგიერთ ფუძემდებლურ თეზისს, რომელიც საერთაშორისო
სასამართლოების ხასიათსა და ნაციონალურ სასამართლოებთან მათ მი-
მართებას უკავშირდება:

– გაეროს სისტემაში მოქმედი მართლმსაჯულების საერთაშორისო
სასამართლო განიხილავს დავებს სახელმწიფოებს შორის, ე.ი. მისი განხ-
ილვის საგანი არ შედის არც ერთი ნაციონალურ სასამართლოს კომპე-
ტენციაში. ეს სასამართლო ორგანო მონოდებულია, იყოს ერთ-ერთ ძირ-
ითადი გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრების
უზრუნველსაყოფად;

– ევროკავშირის მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო განიხ-
ილავს დავებს არამარტო სახელმწიფოებს შორის, არამედ მას შეიძლება
მიმართონ ამ თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოების იურიდიულმა და
ფიზიკურმა პირებმა, ასევე ნაციონალურმა სასამართლოებმა. ეს გარე-
მოება აიხსნება ინტეგრაციის მაღალი ხარისხით ევროკავშირის სივრცე-
ში და, ფაქტობრივად, ნაციონალური სასამართლო სისტემის ზემდგომი
ინსტანციის ფუნქციონირებასთან გვაქვს საქმე;

– საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლო, სადაც პეტიციით მიმართვის უფლება აქვს ევროპის საბ-
ჭოს წევრ-სახელმწიფოს ნებისმიერ მოქალაქეს, პირთა ჯგუფს,
არასამთავრობო ორგანიზაციას თავისი დარღვეული უფლების აღსად-
გენად იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალურ სასამართლოში ის ვერ ჰპოვებს
სამართალს. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სახით, ნაციო-
ნალური სასამართლო სისტემების ზედამხედველი ზენაციონალური ინ-
სტიტუტი ფუნქციონირებს;

– საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ პირთა გასასამართლებლად
იქმნება სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალები, თუმცა, შესაძლე-
ბელია იგივე საქმე განიხილოს ნაციონალურმა სასამართლოებმა. რომის
სტატუტით დაფუძნებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასა-

მართლოს ამოქმედება უფრო მიზანმიმართულ და ეფექტურ ხასიათს შესძენს ისეთ დანაშაულებთან ბრძოლას, რომლებიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას, უშიშროებას და ადამიანის ძირითად უფლებებს;

– საერთაშორისო არბიტრაჟების, მათ შორის საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოსა და ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობა ნაციონალური სასამართლო სისტემების მიერ, კერძო სამართლებრივი დავების გადაწყვეტის მნიშვნელოვან და ერთ-ერთ ყველაზე ოპტიმალურ ალტერნატივას წარმოადგენს. იგი ხელს უწყობს მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს, კაპიტალის მოძრაობასა და ინვესტიციების დაბანდებას იმ რეგიონებსა და ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკა აუცილებლად საჭიროებს მსგავს ფინანსურ „ინექციებს.“ ეს ბუნებრივია, პირდაპირ პროპორციულად მოქმედებს მსოფლიოს ჩამორჩენილ რეგიონებსა და განვითარებად ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაციონალური, რეგიონული და საერთაშორისო სასამართლოების მიერ საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებების განმარტების საკითხი. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ ევროპული კონვენციის 53-ე მუხლის მიხედვით, „კონვენციის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ შეიზღუდოს ან შეილახოს ადამიანის უფლება თუ ძირითადი თავისუფლება, უზრუნველყოფილი ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით ან სხვა შეთანხმებით, რომლის მონაწილედაც იგი გვევლინება.“ ამ მუხლის მიზანია, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შედარებით ფართო განმარტებას ადამიანის სასარგებლოდ.

სამართლის მეცნიერებაში არსებული მოსაზრების თანახმად, საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ისეთი ნორმატიული აქტი, რომელიც ამომწურავი სახით მოიცავს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. ამ ხარვეზის შესავსებად, აღნიშნული ნორმებისა და პრინციპების კონკრეტიზებას ახდენენ სასამართლოები, როგორც ნაციონალური, საკონსტიტუციო სასამართლო, ასევე საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოები. სამართალგამოყენებისა და სამართალშეფარდების პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად ერთმანეთს უახლოვდება, ერთი მხრივ, შინასახელმწიფოებრივი და, მეორე მხრივ, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების განმარტების ნესი. ასეთი დაახლოება მნიშვნელოვანია, უპირველესად, სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, გამომდინარე იმ პრინციპებსა და ნორმებიდან, რომლებიც დეკლარირებულია ადამიანის უფლებების შესახებ

საერთაშორისო დოკუმენტებში, იქნება ეს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29-ე და 30-ე მუხლები; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-5, 46-ე და 47-ე მუხლები; ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-16, მე-17, 53-ე მუხლები თუ სხვ. ცნობილმა ავსტრიელმა იურისტმა ფ. ერმაკორმა ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით აქტების ინტერპრეტაციის უნივერსალური პრინციპები.¹ ისინი დამკვიდრდა და გამოიყენება არამხოლოდ საერთაშორისო სასამართლოების საქმიანობაში, არამედ, ასევე, დამახასიათებელია ევროპის არაერთი სახელმწიფოს სასამართლოების პრაქტიკისთვის, კერძოდ, ავსტრიის, გერმანიის, ესპანეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების სასამართლოებისათვის.

აუცილებლად მიგვაჩნია, თუნდაც მოკლედ, მაგრამ მაინც შევეხოთ ამ პრინციპებს.

პირველი პრინციპი ის გახლავთ, რომ არც ერთი ნორმა არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ სახელმწიფოს, პირთა ჯგუფს ან პირს შესაძლებლობა მიეცეს, ძირითადი უფლებების დაცვის საბაბით, შეზღუდოს ან შეცვალოს სხვათა უფლებები. ძირითადი უფლებები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს. მაგალითად, გერმანიის ძირითადი კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, პირს, რომელიც ბოროტად იყენებს აზრის გამოხატვის თავისუფლებას, განსაკუთრებით, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას, სწავლების თავისუფლებას, მიმონერის, საფოსტო ან სატელეგრაფო გზავნილების საიდუმლოებას, საკუთრების ან თავშესაფრის უფლებებს, ჩამოერთმევა ეს უფლებები, თუ ამ უფლებებისა და თავისუფლებების ბოროტად გამოყენება მიმართულია დემოკრატიული წყობის წინააღმდეგ. უფლებებისა და თავისუფლებების ჩამორთმევის ფაქტსა და ფარგლებს განსაზღვრავს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკანონმდებლო და სამართალშეფარდებითი საქმიანობის კანონით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპი. მაგალითად, ისევ და ისევ გერმანიის იურიდიული დოქტრინისა და სასამართლოს პოზიციის მიხედვით, თანაზომიერების პრინციპს აქვს სამი ასპექტი: პირველი – ეს არის ისეთი საშუალებების გამოყენება, რომელთა დახმარებით შესაძლებელია სასურველი შედეგების მიღწევა; მეორე – ეს არის ოპტიმალურობის მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც გამოსაყენებელი ზომები არ უნდა ლახავდეს ან მხოლოდ მინიმალურ ზიანს აყენებდეს უფლებებსა და თავისუფლებებს სხვა შესაძლებელ, გამოსაყენებელ საშუალებებთან შედარებით; დაბოლოს,

1. *Общая теория права человека. Отв. ред. Лукашева З.А., Москва, 1996, стр. 361.*

მესამე – ეს არის პროპორციულობის მოთხოვნა, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, რომლის თანახმად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში შეჭრა უნდა განხორციელდეს გონივრულ თანაფარდობაში მათ ღირებულებებსა და მნიშვნელობასთან. ამ სამი ასპექტიდან გამომდინარე, აღნიშნულ პრინციპს სხვაგვარად უწოდებენ ადამიანის უფლებების გადა-მეტებული შეზღუდვის გამორიცხვის პრინციპს.¹

ზემოთ მოყვანილ ორივე პრინციპს მყარად გამოიყენებენ თავიანთ პრაქტიკაში საერთაშორისო სასამართლოები, მათ შორის – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ საერთაშორისო და შინასახელმწიფოებრივი ნორმების ერთობლივი, ჰარმონიული თანაარსებობის პირობებში მნიშვნელოვანია მათი ინტერპრეტაცია სასამართლოების მიერ სამართლის ორივე სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად. მაგალითად, პირადი ხელშეუხებლობის უფლება, განმტკიცებული ნაციონალური სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, არ შეიძლება ევროპის საბჭოს ნევრ-სახელმწიფოს სასამართლოს მიერ განიმარტოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუთვალისწინებლად. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ამ სახელმწიფოს გაკეთებული უნდა ჰქონდეს განცხადება აღნიშნული სასამართლოს იურისდიქციის ცნობის შესახებ. იგივე შეეხება საერთაშორისო კონვენციებს, გაეროს ადამიანის უფლებების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებებს, მის ე.წ. ზოგად კომენტარებს და ყოველწლიურ მოხსენებებს. მხოლოდ ამ ორგანოების გადაწყვეტილებებში ფორმულირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმარტების გათვალისწინებითაა შესაძლებელი ადამიანის კონკრეტული უფლების შედარებით სრული და ადეკვატური შინაარსის გადმოცემა.

1. *Общая теория прав человека, Отв. ред. Лукашеви З.А., Москва, 1996, стр. 364.*

ბოლოთქა

წინამდებარე ნაშრომის შექმნის ამოცანას იმთავითვე წარმოადგენდა, საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის მიმდინარეობისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეგვექმნა გარკვეული თეორიული საფუძვლები საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო ორგანოების შედარებითი-სამართლებრივი გამოკვლევის სახით, რათა შესაძლებელი გამხდარიყო უცხოურ გამოცდილებასთან ქართული პრობლემატიკის შეჯერება-შეპირისპირება.

ამჯერად, ჩვენს მიზანს არ შეადგენს საქართველოში სასამართლო რეფორმების მიმდინარეობის შეფასება, მაგრამ წარმოდგენილი მასალა და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოცდა თავისთავად აყენებს ზოგიერთი საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის საჭიროებას:

– უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასამართლო ხელისუფლების შესახებ საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე თავის შემდგომი სრულყოფა. აქ მოსაგვარებელია ტექნიკური და იურიდიული ტექნიკის მთელი რიგი საკითხები. კონსტიტუციის სასამართლო ხელისუფლების თავში ორი ორგანული და 5 ჩვეულებრივი კანონი მოიხსენიება. ორგანულ კანონებად არის დაფიქსირებული კანონები „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და „პროკურატურის შესახებ.“ გამოდის, რომ სასამართლო ხელისუფლების დანესებულებას – პროკურატურას ორგანული კანონი არეგულირებს, ხოლო ყველა დანარჩენი, მათ შორის „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ და „სასამართლო ორგანოების ფორმირების წესის შესახებ“ კანონები ჩვეულებრივ კანონებს განეკუთვნება. ამას გარდა, საბოლოო გადაწყვეტას საჭიროებს მოსამართლეების არჩევის ვადის საკითხი, რომლის გარდამავალი ნორმა შესაბამისი თავის ნაცვლად სასამართლო ხელისუფლების თავშია დაფიქსირებული;

– გარკვეული პრობლემებით შემოვიდა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორსაც იუსტიციის საბჭო წარმოადგენს. მრავალი პრობლემა სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ იგი კონსტიტუციის მიღმა იქნა დაკანონებული და, პირველ რიგში, სწორედ კონსტიტუციურ აღიარებას საჭიროებს;

საზღვარგარეთის ქვეყნებში სასამართლო თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ კონსტიტუციურ რეგლამენტირებასთან ერთად, აუცილებელია იუსტიციის საბჭოს ზოგიერთი თვისებრივი მახასიათებლის შეცვლაც.

სტაბილური, ობიექტური და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების არსებობის ყველაზე ოპტიმალურ ფორმად სასამართლო თვითმმართველობის ორგანო გვესახება. დასაშვებად მიგვაჩნია იუსტიციის საბჭოს და კომპლექტებაში ხელისუფლების სამივე შტოს მონაწილეობა, რაც მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე და ავტორიტეტული იურისტების, სამართლის პროფესორების მის შემადგენლობაში არჩევითა თუ დანიშვნით უნდა შემოიფარგლოს. მაგრამ ეს არ უნდა იწვევდეს ხელისუფლების შტოთა ურთიერთშეჭრას და გარკვეულ პოლიტიზირებას. ამდენად, საბჭოს შემადგენლობაში პარლამენტის წევრთა ყოფნა არა გვგონია პოზიტიურ გავლენას ახდენდეს მის საქმიანობაზე, უფრო პირიქით. ამასთან, ისიც დასაკანონებელია, რომ იუსტიციის საბჭოს წევრები, სულ მცირე, რიგითი მოსამართლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს შაინც უნდა აკმაყოფილებდნენ. მსგავსი მოთხოვნის დაწესება სრულ შესაბამისობაშია სასამართლო თვითმმართველობის ორგანოს მაღალ სტატუსსა და მნიშვნელობასთან სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირების პროცესში.

– მოსამართლეთა საგამოცდო შერჩევის ნების სრულყოფის საკითხებიც დამატებით მსჯელობასა და ანალიზს საჭიროებს. ამ მხრივ საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში საკმაოდ მრავალფეროვან და საინტერესო მიდგომებს ვხვდებით, რაც მოსამართლეთა შერჩევის ოპტიმალური ფორმის გამოძებნისა და საქართველოს სინამდვილეში რეალიზაციის შესაძლებლობას იძლევა, რათა ბოლოს და ბოლოს, გამოირიცხოს „დაბალი მოსწრებების“ იურისტთა მოსამართლეობა და მოხდეს საკონკურსო შერჩევის პრინციპებისა და მექანიზმების დახვეწა;

– საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანოების გამოცდილების ანალიზი და ქართული პრაქტიკის შეჯერება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის გარკვეული რეფორმირების საკითხს აყენებს;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაეკისროს კონსტიტუციური ნორმების განმარტების ფუნქცია, მისი საქმიანობის ფორმებში უთუოდ უნდა დამკვიდრდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და რეფერენდუმის საგნის კონსტიტუციურობის წინასწარი კონტროლის მექანიზმი, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, ავტონომიური ფორმირებების ძირითადი კანონების კონსტიტუციურობის დადგენის მიზნით, წინასწარი კონტროლის საკუთარი ინიციატივით განხორციელების უფლება.

საჭიროდ მიგვაჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს პლენარულ სხდომას, ორგანიზაციულის გარდა, მიეცეს არსებითი დატვირთვა, საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ფუნქციით, თუნდაც იმ

შემთხვევაში, როდესაც კოლეგიის ხელმძღვანელის – სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიცია მთელი კოლეგიის გადანყვეტილებას უპირისპირდება.

– საგანგებო განხილვას იმსახურებს პროკურატურის საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის სრულყოფის საკითხი. ქვეყნის წინაშე მდგარი მრავალი საკვანძო პრობლემის გადანყვეტა, სწორედ პროკურატურის ეფექტურ და მიზანმიმართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. მის საქმიანობაში არსებული ხარვეზები ამკარაა და რეალობას წარმოადგენს. რამდენადაც პროკურატურა საქართველოს კონსტიტუციით სასამართლო ხელისუფლების დანესებულებად მოიაზრება, სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ უდავოდ დასარეგულირებელია სასამართლოსა და პროკურატურის ურთიერთმიმართების უფრო ქმედითი ფორმები;

– განსაკუთრებულ აქტუალობას ვანიჭებთ საქართველოში ადვოკატურის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის საკითხს. მისაღებად მიგვაჩნია ადვოკატურის ორგანიზაციის ამერიკული მოდელი, რომლის პირობებში გამოირიცხება სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სახით ზემოქმედება ამ ინსტიტუტზე. თვითმმართველობის პრინციპის მაქსიმალური რეალიზება, სწორედ ადვოკატურის მიმართ სამართლებრივი სახელმწიფოს და, შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ ძირითად გარანტიად გვესახება. სრულიად საქართველოს ადვოკატთა გაერთიანებას, იქნება ეს ასოციაცია, კავშირი თუ სხვა სახის გაერთიანება, კანონით უნდა მიეცეს უფლება, გადანყვიტოს ადვოკატთა თანამეგობრობაში ახალი წევრების მიღების, მათ მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელების, პროფესიული ეთიკის ნორმების დადგენის უფლებამოსილება. პრაქტიკულად, არსებითია, სწორედ ადვოკატურის ორგანიზაციული მონყობის საკითხის დარეგულირება, და თუ მაინც საჭიროდ იქნება მიჩნეული სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული კონტროლის დანესება ადვოკატურის მიმართ, სასურველია, რომ მსგავსი უფლებამოსილება სასამართლო ხელისუფლებამ განახორციელოს;

– როგორც ნაციონალური სასამართლოების საერთაშორისო სამართლებრივ საფუძვლებზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და პრინციპების შესაბამისად, საერთაშორისო თანამეგობრობა და უპირველესად, გაერო, არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ გარკვეულ შემთხვევებში მოვალენი არიან ხელი შეუწყონ წევრ-სახელმწიფოებში დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ფორმირებას;

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჩვენ მიერ მითითებული შენიშვნების მიუხედავად, საქართველოს სინამდვილეში პრობლემატურია

არა იმდენად სათანადო სამართლებრივი საფუძვლების არქონა, არამედ ძირითადად მათი პრაქტიკული რეალიზაცია, სასამართლო ხელისუფლების ნორმალური ფუნქციონირებისთვის შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობა და კადრების მომზადების დაბალი დონე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითად მიგვაჩნია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება ტექნიკური და სხვა აუცილებელი დახმარების მიღების მიზნით. ამ მიმართებით მუშაობის ეფექტურობისთვის აუცილებლად გვესახება, გარდამავალ პერიოდში მაინც, გარკვეული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა ან იუსტიციის საბჭოს კომპეტენციის გაფართოება აღნიშნულ სფეროში.

ჩვენ გადმოვეცით გარკვეული ნაწილი იმ საკითხებისა, რომელთა შემდგომი განხილვა წინამდებარე ნაშრომის სქემის კვალობაზე, უკვე საქართველოში არსებული კონკრეტული პრობლემათიკის ქრილში, სასამართლო ხელისუფლების სრულყოფილი ფორმების დამკვიდრების გზაზე კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ოთარ მელქაძე
ბექა დვალი

დანართი 1

**სადავო თანხის მოცულობის მიხედვით არბიტრის
კონორარის თანხობრივი თუ პროცენტული გათვლის
სისტემა**

სადავო თანხა (აწმ დოლარებით)	კონორარი	
	მინიმუმი	მაქსიმუმი
50 000-მდე	\$ 2 500	17,00 %
50 001-დან 100 000-მდე	2,00 %	11,00 %
100 001-დან 500 000-მდე	1,00 %	5,50 %
500 001-დან 1 000 000-მდე	0,75 %	3,50 %
1 000 001-დან 2 000 000	0,50 %	2,50 %
2 000 001-დან 5 000 000-მდე	0,25 %	1,00 %
5 000 001-დან 10 000 000	0,10 %	0,55 %
10 000 000-დან 50 000 000-მდე	0,05 %	0,17 %
50 000 001-დან 80 000 000-მდე	0,03 %	0,12 %
80 000 001-დან 100 000 000-მდე	0,02 %	0,10 %
100 000 000-ზე 'სეკიო	0,01 %	0,05 %

დანართი 2

სადავო თანხის მოცულობის მიხედვით
ადმინისტრაციული ხარჯების თანხობრივი თუ
პროცენტული გათვლის სისტემა

დავის თანხა (აშშ დოლარებით)	ადმინისტრაციული ხარჯები
50 000-მდე	\$ 2 500
50 001-დან 100 000-მდე	3,50 %
100 001-დან 500 000-მდე	1,70 %
500 001-დან 1 000 000-მდე	1,15 %
1 000 001-დან 2 000 000-მდე	0,60 %
2 000 001-დან 5 000 000-მდე	0,20 %
5 000 001-დან 10 000 000-მდე	0,10 %
10 000 001-დან 50 000 000-მდე	0,06 %
50 000 001-დან 80 000 000-მდე	0,06 %
80 000 000-ზე ზევით	\$ 75 800

ოთარ მელქაძე

დაიბადა 1938 წლის 8 აპრილს. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1961 წ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1968 წ.).

1984 წელს დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის, ხოლო 1995 წელს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

ამჟამად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის პროფესორია და ხელმძღვანელობს მის მიერვე დაფუძნებულ მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევით ცენტრს. ასეთი შთავსება მიზნად ისახავს სახელმწიფოთმცოდნე იურისტების პერსპექტიული გუნდის ჩამოყალიბებას.

კონსტიტუციური სამართლის პრობლემებზე მისი ავტორობით გამოცემულია თორმეტი წიგნი – სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამი ბროშურა და სამოცდაათამდე პუბლიკაცია საქართველოს, ჩეხეთის, რუსეთისა და უნგრეთის იურიდიულ ჟურნალებში. „ცენტრის“ საგამომცემლო პროგრამით გამოცემული ათი წიგნიდან – კრებულში თუ ცალკე წიგნებში – მის გვერდით ათი ახალგაზრდა თანაავტორია წარმოდგენილი. ასეთი თანამშრომლობა კვლავაც გრძელდება და წინამდებარე წიგნიც მისი ნაყოფია.

ბექა ღვალდი

დაიბადა 1977 წლის 31 ივლისს. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმებს მიუძღვნა საკურსო და სადიპლომო ნაშრომები. ჟურნალში „ადამიანი და კონსტიტუცია“ გამოქვეყნებული აქვს წერილების სერია საკონსტიტუციო იუსტიციის მსოფლიო გამოცდილებასთან დაკავშირებით.

ამჟამად მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროს განეკუთვნება, საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ფონზე, საზღვარგარეთის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების ანალიზი და დადებითი მაზასიათებლების ჩვენს სამართლებრივ სისტემაში იმპლემენტაციის საკითხების შესწავლა.

მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის გაეროს სამმართველოში.

მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, რომელსაც იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ მელქაძე თაოსნობს, გამოსცემს პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერიას.

წინამდებარე მონოგრაფია ამ სერიის მეთერთმეტე წიგნია.

უკვე გამოიცა:

ო. მელქაძე. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი;

უცხოელ ავტორთა კრებული – რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. შემდგენელი და რედაქტორი ო. მელქაძე;

ო. მელქაძე. საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე;

ო. მელქაძე. სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა;

გ. კვერენჩილაძე, ო. მელქაძე. საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა;

ო. ბეჟიტაშვილი, ო. მელქაძე. იტალიის სახელმწიფო სისტემა;

ო. მელქაძე, კ. ყურაშვილი. რუსეთის სახელმწიფო სისტემა;

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი. კრებული I – აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, იტალია, კანადა, რუსეთი, საფრანგეთი, უნგრეთი. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ო. მელქაძე;

ო. მელქაძე, ნ. რამიშვილი. გერმანიის კონსტიტუციური სამართალი;

ო. მელქაძე. საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში.

მზადდება გამოსაცემად:

ცნობარი – მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები.